

1987

1987/4

# საქართველო

გაერთიანებული  
პრესა





ენდრიუ შაიესი. ბრენდიუაინის ველი

# საუნჯე

1987/4

ივლისი

აპრილი



## უნიტარსი

### პროზა და პოეზია

ანდრეი პლატონოვი. მოთხრობები. თარგმნა გივი კიკელაშვილმა	8
ალექსანდრე პუშკინი. ლექსები. თარგმნა ლია უიფიანმა	89
ალექსანდრე მეთეროვი. ლექსები. თარგმნა გურამ კლდიაშვილმა	94
უილიამ ფოლკნერი. აბესალომ, აბესალომ! რომანი. დასაწყისი. ინგლისურიდან თარგმნა ზაურ კილაძემ	98
ბომ იუან მინი. ლექსები. თარგმნა მურმან ჭგუბურიამ	176
ამერიკული და ინგლისური პოეზიებიდან. ინგლისურიდან თარგმნა ლია ქაყელიძე	187
ილია შვეცი. ლექსები. თარგმნა გივი ნიუარაძემ	190
იალმარ ერიკ ფრედრიკ სედერბერგი. ეპიკი ბლასი. რომანი. დასაწყისი. თარგმნა დოდო ქავთარაძემ	191
ანა ბერდინავსკაია. ლექსები. თარგმნა გივი ციციქიშვილმა	249
ჯეორჯ ედ-დინ რუში. გაზელები. სპარსულიდან თარგმნა ალექსანდრე ელერდაშვილმა	258
ანაკრემონტი. ლირიკა. ძველბერძნულიდან თარგმნა თამარ კალატოზმა	257
აბაგი გაფორალია. ღია ბარათი ალმანახ „საუნჯის“ რედაქციას	281

### წერილები

ალექსანდრე ბლოკი. წერილები. თარგმნა ეკა ხუციშვილმა	284
ალექსანდრე პრევიტკი. წმინდა კაცი. თარგმნა ლამარა კიკელაშვილმა	296
თამარ კილუკაძე. კოლდერლინისეული უკეთესი მოგაგლის ხილვა და აქციისა და კოვლესის დიალექტიკა კებერ კერტლინების რომანში „კოლდერლინი“	306
ვიქტორ შალდოსკი. „კამლები“ და „თოლია“. თარგმნა ხუდხან ქორჯანელი	308
ბ. ლორთქიფანიძე, ნ. შარუშიძე. არმანდ კაშვილის კოლექციის გამოფენა თბილისში	312

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა  
მთავარი სარედაქციო კოლეგია



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი:

**მუხრან მათავარიანი**

სარედაქციო კოლეგია:

ელზა ახვლედიანი

ჯემალ აჯიაშვილი

გიორგი ბაძანიძე

მზია ბაქრაძე

ბაჩანა ბრეგვაძე

ბურაბ გოგიაშვილი

ნანა დარჩია (კ. მგ. მდივანი).

მაგალი თოდუა

ნოდარ ქაჯაბაძე

ზურაბ კიკნაძე

ვახუშტი კობახიშვილი

როგან ვიშინოშვილი

გიორგი ნიშნიაძე

ოთარ ნოდია

დალი შანგიძე

რუსუდან ქავლაძე

იოსებ ქვერთაძე

ნიკო ყიასაშვილი

გივი შანაზარი

გივი ქნელაძე (მთ. რედ. მოადგილე)

დავით წარადიანი

ნუგზარ წარათელი

თამაზ წივჭივაძე

რაჭო ჭანიშვილი

გარეკანზე: სპრ ჯონ ივირიტ მილენი. „ცოცხალი“.

მხატვარი ა. თოდრა, მხატვრული რედაქტორი ა. ვართაგავა ტექრედაქტორი რ. იმნაიშვილი  
გამომშვეები ნანა ბართია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22.

განყოფილებათა გამგეები — 72-26-30

გაღ. წარმ. 27. 03. 87 წ., ხელმოწ., დასაბეჭდად 25. 07. 87 წ., ქაღალდის ზომა 70x108<sup>1</sup>/<sub>16</sub>  
საღრ. თ. 24,25, სასტ. თ. 23,91. საღებავის გატ. 28,7, ტირ. 20 000, შეკვ. № 819.

შასი 1 შან. 80 კაკ.

ხაქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის  
ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ღენინის 14



თარგმნა ბივი კიკილაშვილმა

### ეთეოპიური ტრაგედია

ფადეი კირილოვიჩს მოსკოვში, თავის ბინაში, დილის ხუთ საათზე გაეღვიძა. იგრძნო, რომ რაღაც აღიზიანებდა. ოთახი განათებული იყო, რადგან ნათურა ჩასაქრობი დარჩენოდა, ხოლო სადღაც მსხვილი ვირთაგვები წრიპინებდნენ.

ფადეი კირილოვიჩს აღარ დაეძინებოდა. ეილეთი ჩაიცვა, წამოჯდა და გაბუჟებული ტვინი შეანჯღრია. პირველ საათზე საწოლამდე ძლივს მილასლასდა და ლოგინში ჩაწვა, ახლა კი უდროოდ დროს გაეღვიძა.

— აბა, ფადეი კირილოვიჩ, ერთხელაც შევეუტიოთ, — უთხრა საკუთარ თავს, — დაღლილობის მიკრობები დაწყნარდებიან: მაინც არ შევიწყალებ.

მან კალამი სამელნეში ჩაყო, მკვდარი ბუზი ამოათრია და გაიციინა:

— ეს ხომ, გენაცვალეთ, ბუზების საქერია! ყველაფერი ასეთი მაქვს, ყვითელო მოქალაქენო, — კალამი ქაღალდს კაწრავს, მელანი გაწყალებულია, ქაღალდი ნეჭასავითაა! საოცარია, ბატონებო!..

ფადეი კირილოვიჩს თავისი ოთახი მუდამ მუნჯი, მაგრამ გულისყურიანი თანამოსაუბრეებით დასახლებული ეგონა. ეს კი არა, უჩუმარ საგნებს განუსჯელად ცოცხალ არსებებად, თანაც თავის მსგავს არსებებად წრმოიდგენდა.

ერთხელ, საშინლად დაქანცულმა, კალამი მელანში ჩააწო, ჩაუმთავრებელ ფურცელზე დადო და თქვა: აბეზარო, დაამთავრეო! თვითონ კი დასაძინებლად დაწვა.

მარტოობამ, სულის გამოყრუებამ, ბნელმა და ნესტიანმა ბინამ ფადეი კირილოვიჩი ცხოვრებისთვის განუვითარებელი გონების მქონე ხანდაზმულ, დაუდევარ სუბიექტად აქცია.

ფადეი კირილოვიჩი ერთთავად ბუტბუტით მუშაობდა, ნააზრევის სტილისა და შინაარსის შესაძლო ვარიანტებს ხმამაღლა არჩევდა.

ვირთაგვები გაინაბნენ, რადგან ფადეი კირილოვიჩი მართლა აბუტბუტდა:

— ვიჩქაროთ, ფადეი! ვიჩქაროთ, ჩემი სულის სატანავ!.. ერთი რამ უეჭველია... როგორც კი მიწა თითო დესეტინაზე ორმოცი ფუთის ნაცვლად ხუთას ფუთს მოგვცემს, ხოლო... რკინა გამრავლებას დაიწყებს, მაშინ... ისინი, რა ჰქვიათ, ქალები და მათი ქმრები, უმაღვე ადგებიან და იმდენ ხალხს დააჩენენ, ვეღარ იმყოფინებენ ვერც პურს, ვერც რკინას და სილატაკე დამკვიდრდება... მორჩი ბუტბუტს, სულელო, ხელს მიშლი!..

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ. რესპუბ.  
ბიბლიოთეკა

215/81

ფადეი კირილოვიჩმა თავი ასე გამოილანძლა, გაყუჩდა და მუშაობას გულმოდგინედ შეუდგა, ასობი ისე ფაქიზად გამოჰყავდა, თითქოს სუფთა წერის გაკვეთილზეაო.

მოსკოვმა გაიღვიძა და ტრამვაების ვაგონები ააზრიალა, დროდადრო ნისლსა კვეთდა ვოლტას რკალები, რადგან დენშემკრებები ხოგვრის მავთულებს სწყდებოდა.

— ბრიყვები! — ველარ მოითმინა ფადეი კირილოვიჩმა, — რაციონალური დენშემკრებები აქამდე ველარ დააყენეს: მავთულებს წვავენ, ენერგიას ფლანგავენ და ქუჩაში მოსიარულე ხალხს აშფოთებენ!..

როცა ნისლი საბოლოოდ გაიფანტა და მოულოდნელად დღე გაბრწყინდა, ფადეი კირილოვიჩმა აცრემლებული თვალები მოისრისა და გააფთრებით იწყო ფრჩხილებით წელის ფხანა:

— ეს რა ოხერი შემიჯდა, ორი დღეა! ცოტა სულს მოითქვამ და უმალ რაღაც სატკივარი გაგიჩნდება! კაცი ერთთავად გაწამებულია!..

ამ დროს ფადეი კირილოვიჩს კარზე მიუკაკუნეს: დედაბერმა მოკრიდა ზახაროვნამ პოპოვს საუზმე შემოუტანა, თან ოთახიც უნდა დაელაგებინა.

— რაო, ზახაროვნა? იქ არაფერი მომხდარა? ხალხი არ ამომწყდარა? მეორედ მოსვლა ჯერ არ დაწყებულა? შეხედე ერთი, ზურგი უკანა მაქვს?..

— ფადეი კირილოვიჩ, ბატონო ჩემო, აბა, რას ამბობ? გონს მოდი, ბატონო ჩემო, — ასეთი რამ არსად გაგონილა, კაცი ერთთავად რომ ზის და ქალაქებს ჩაჰკირკიტებს, ამან იცის გამოთაყვანება! ჭამე, გენაცვალე, დაისვენე, გული დაგიამდება და გონებაც დაგიწყნარდება...

— დიახ, ზახაროვნა, დიახ, მოკრიდა! დიახ, დიახ, დიახ! სამგზის, სამჯერ — დიახ! და ერთხელ კიდევ — დიახ! მოიტა შენი გემრიელი საჭმელი. თორმეტგოჯა ნაწლავში მლბობელი ბაქტერიები მოვაშენოთ, დაე, წყვედიადში იცხოვრონ!.. შენ კი, დედაბერო, წადი! არ მცალია, ქვაბების წასადებად საღამოზე მოდი, ოთახიც მაშინ დაალაგე. საღამოს წავალ.

— ოჰ, ბატონო ჩემო, ფადეი კირილოვიჩ, ძალზე ახირებული და ჭირვეული გახდი, გამაწამე დედაბერი!.. როდის გელოდოთ?

— ნუ მელო, წადი, გარდაცვლილად მიმიჩნიე!

ფადეი კირილოვიჩმა ფაცაფუცით შეჭამა, პაპიროსი გააბოლა და უცებ წამოხტა, — მხნე, მკვირცხლი და მხიარული:

— აი, თურმე სად იმალეობოდი, ცხოველო, პირუტყვთმავლობავ და სუბრემატიავ! გამოძვერ, ღვთის ქუბრო! ისუნთქე, ჩემო ფიტულო! იცოცხლე, ჩემო შვილიყო! იცეკვე, ფადეი, იბზრიალე, გავრილა, ბორბალი მარცხნივ, ინტორიას მუხრუჭი მოაცილე! ეჰ, ჩემო სიჭაბუკე! გაუმარჯოს ბავშვობას, საპატარძლოებს და სველ, წითელ, ხარბ ბაგეებს! ძირს მალთუსი და შობადობის სახელმწიფო გეგმები! გაუმარჯოს ცხოვრების გეომეტრიულ და ჰომეროსულ პროგრესიას!..

ფადეი კირილოვიჩი შეჩერდა და მერე თქვა:

— ფადეი, ხანდაზმული სუბიექტი კი ხარ, მაგრამ მაინც ბრიყვი ბრძანდები! ძლივს მიხვდი და უკვე ქველმოქმედებას აპირებ, თავმოყვარე არამზადავ! მაგიდას მიუჭექ, მუშაობით დაგაღპობ, ბილწო მაიმახო!

ფადეი კირილოვიჩი მაგიდას მიუჭდა, მაგრამ გონების საშინელი სიცარიელე იგრძნო, თითქოს იქ მუშაობის თქემს მთელი ნაყოფიერი ნიადაგი გა-

დაერეცხა და მისი შემოქმედების ულორტებს აღარაფერი ასაზრდოებდა.

ამიტომ კერძო წერილის წერას შეუდგა:

„პროფესორ შტაუფერს, ვენა.

სახელოვანო კოლეგა! უეჭველია, დაგავიწყდებოდით თქვენი ოცდაერთი წლის წინანდელი ნამოწაფარი. გახსოვთ თუ არა ვენაში გატარებულ მანისტს წკრიალა ღამე, როცა გალურსული ჰაერიც კი მეცნიერული შემოქმედების წყურვილს მოეცვა, როცა ქვეყნიერება ჩვენს წინაშე გადაშლილიყო ვით სიჭაბუკე და ვით გამოცანა! გახსოვთ, ოთხნი რომ მივდიოდით ნაციონალისტ-რასეზე — თქვენ, ორი ვენელი და მე, რუსი, ელალთმიანი, ცნობისმოყვარე ყმაწვილი კაცი! გახსოვთ, თქვენ თქვით, სიცოცხლე, ფიზიოლოგიური გაგებით, უზოგადესი ნიშან-თვისებაა მეცნიერების შემწეობით განჭვრეტილი სამყაროსიო. მე ყმაწვილურად გთხოვეთ, ნათქვამი განგემარტათ. თქვენ ხალისით მიპასუხეთ: ატომი, როგორც ცნობილია, ელექტრონების კოლონიანა, ხოლო ელექტრონი არამარტო ფიზიკური კატეგორიანა, ბიოლოგიური კატეგორიაც გახლავთ — ელექტრონი მიკრობი, ანუ ცოცხალი სხეულია და იმ ცხოველისგან, ადამიანი რომ ჰქვია, თუმცა მთელი უფსკრული მიჯნავს, ორივე პრინციპულად მაინც ერთი და იგივეაო! თქვენი ნათქვამი არ დამვიწყებია. არც თქვენ დაგვიწყებიათ: თქვენი ნაშრომი წავიკითხე, წლეულს ბერლინში რომ გამოვიდა, „მენდელეევის სისტემა, როგორც ალფა-არსებათა ბიოლოგიური კატეგორიები“. ამ ბრწყინვალე ნაშრომში თქვენ პირველად, ფრთხილად, ჭეშმარიტად მეცნიერულად, მაგრამ დამაჯერებლად დაამტკიცეთ, რომ ელექტრონები სიცოცხლის მოძღვნილია, რომ ისინი მოძრაობენ, ცოცხლობენ და მრავლდებიან, რომ მათი შესწავლა ამიერიდან უნდა ამოღებულ იქნეს ფიზიკიდან და ბიოლოგიურ მეცნიერებას გადაეცეს. კოლეგავ და მასწავლებელო! თქვენი ნაშრომის წაკითხვის შემდეგ სამ ღამეს არ მიძინია! თქვენს წიგნში ასეთი ფრაზა გაქვთ: „ახლა ტექნიკოსთა საქმეა, რკინის, ოჭროსა და ქვანახშირის მოშენებას ისე მიჰყონ ხელი, როგორც მესაქონლეები ღორების მოშენებას მისდევენ“. არ ვიცი, ვინმემ აითვისა თუ არა ეს აზრი ისე, როგორც მე ავითვისე! ნება მიბოძეთ, კოლეგა, ნებართვა გთხოვოთ, თქვენს სახელს მივუძღვნა ჩემი მოკრძალებული ნაშრომი, რომელიც მთლიანად თქვენს ბრწყინვალე თეორიულ გამოკვლევებს და გენიალურ ექსპერიმენტებს ემყარება.

დ-რი ფადეი პოპოვი,  
მოსკოვი, ~~სტარკ~~.

ფადეი კირილოვიჩმა წერილი და ნაშრომი, რომელსაც, ცოტა არ იყოს, არამეცნიერული სახელწოდება — „ჯოჯოხეთის ფსკერის შემმუსვრელი“ — ჰქონდა, კონვერტში ჩადო, ჩემოდანი ფაცაფუცით გატენა წიგნებითა და ხელნაწერებით, პალტო ანგარიშმიუცემლად შემოიცივა და ქუჩაში გავიდა.

ქალაქში ნადრევი სალამო ელექტროშუქს გაებრწყინებინა. ხალხით გაჭედულ მხიარულ ქუჩებში მშფოთვარება, მძაფრი დაძაბულობა, რთული კულტურა და ფარული ქარაფშუტობა შეიგრძნობოდა.

ფადეი კირილოვიჩი ტაქსიმოტორში ჩაჯდა და შოფერს გეზი შორეული ვაგზლისკენ ააღებინა.

ვაგზალზე ფადეი კირილოვიჩმა სადგურ რეავსკამდე წასასვლელი ბილეთი იყიდა, დილით კი უკვე იქ იყო, სადაც მიისწრაფოდა.

ვაგზლიდან ქალაქ რუჟესკამდე სამი ვერსი იყო. ფადეი კირილოვიჩმა ეს გზა ფეხით გაიარა: უყვარდა რუსული ფიქრობიერი, უხეცო/ბუნება, უყვარდა ოქტომბრის თვე, როცა ყოველივე გაურკვეველი და უცნაური, როგორც ნათლისღებისას, მსოფლიო გეოლოგიური კატასტროფის წინ.

ფადეი კირილოვიჩი რუჟესკის ქუჩებში მიდიოდა და მუხრუჭებს და ჰიშკრებს ტრაფარეტით შესრულებულ უცნაურ წარწერებს კითხულობდა: „ტარა“, „ბრუტო“, „ს. დ“, „ავად“, „გზაზე საკუთ.“, „მუხრუჭი უმოქმედ“. თურმე ქალაქი რკინიგზელებს სამუშაოდან მოტანილი მასალებით აეშენებინათ.

ბოლოს ფადეი კირილოვიჩმა დაინახა წარწერა „ახალი ათონი“. ჯერ გაიფიქრა, ეს ალბათ პირველი კლასის ვაგონის გარსამოსის მონაჭერიყო, მერე ქალღმრთისგან გამოჭრილი და ფანჯარაზე გაკრული ჩაიდანი შეამჩნია, ეზოში მოსასაქმებლად გამოსულ არმიაციან, ფეხშიშველა, ულაზათო კაცსაც მოჰკრა თვალი და მიხვდა, რომ სასტუმროს მისდგომოდა.

— თავისუფალი ნომერი გაქვთ? — ჰკითხა ფეხშიშველა კაცს ფადეი კირილოვიჩმა.

— გამზადებული, მოქალაქევე, მთლად გამზადებული, მოწყობილი, დათბუნებული.

— ფასი?

— მანეთიანი, მანეთი და ოცდაათ კაპიკიანი და ორმოცდაათკაპიკიანი!

— ათშაურიანი მომეცი!

— ზემოთ აბრძანდით!

შიგნით შესულმა ფადეი კირილოვიჩმა იმ მაგიდაზე, სადაც ის კაცი მორიგებოდა, წიგნი შენიშნა და სათაური ამოიკითხა: „დროზე დათესილს დროზე მოიმკი“.

„ხალხი ვითარდება, — გაიფიქრა პოპოვმა, — გოგოლის პეტრუშკა ლოცვანს კითხულობდა, თანაც სულის სარგოდ კი არა, ცნობისმოყვარეობის გამო“.

შუადღისას ფადეი კირილოვიჩი ოლქის აღმასკომში მივიდა და თავმჯდომარესთან მიღება ითხოვა, თანაც თქვა, სასურველია, თუ ცალკე ველაპარაკებო.

თავმჯდომარემ იგი უმაღ მიიღო. ეს ვახლდათ ახალგაზრდა ზეინკალი-ჩვეულებრივი სახის, ცნობისმოყვარე თვალებისა და მთელი სამაზრო კაცობრიობის ორგანიზაციის მძაფრი სურვილის მქონე. ამ სურვილის გამო სამხარეო აღმასკომში ცოტას დატუქსავდნენ ხოლმე. თავმჯდომარეს საუცხოო ხელები ჰქონდა — ადრინდელი პროფესიისთვის შეუფერებლად თხელი და გრძელთითებიანი. ეს ჰკვირნი თითები ერთთავად, მოუთმენლად, შფოთიანად, ნერვულად ტოკავდა. სახე მუდამ მშვიდი ჰქონდა, ხელები კი ყოველ გარეგან შთაბეჭდილებას უპასუხებდა.

როცა შეიტყო, რომ მასთან ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორს სურდა საუბარი, ჯერ გაუკვირდა, მერე გაუხარდა და მდივანს კარი უმაღ გააღებინა, ხოლო აბუსალათინის თესვის თაობაზე მოხსენებით მოსული მიწგანის გამგე სასწრაფოდ გაისტუმრა.

ფადეი კირილოვიჩმა თავმჯდომარეს სამეცნიერო ინსტიტუტებისა და



სახელმწიფო საგეგმო კომისიის სექციის ქალაქები უჩვენა, რითაც მას რეკომენდაციას უწევდნენ, როგორც მეცნიერ მუშაკს, და საუბარს შეუდგა:

— ჩემი საქმე უბრალოა და დასაბუთებას არ საჭიროებს. თხოვნა საფუძვლიანი და დამაჯერებელია და შეუძლებელია, უარყოფილ იქნეს. ხუთი წლის წინ თქვენს ოლქში დიდი კვლევა-ძიება ჩატარდა მაგნიტური რკინის მადნის აღმოსაჩენად. თქვენთვის ეს ცნობილია. მადანი აღმოჩენილია საშუალოდ ორასი მეტრის სიღრმეზე. ამ სიღრმიდან მადნის ამოღება ჭერჭერობით ეკონომიურად მომგებიანი არ არის. ამიტომ მიტოვებულია. მე ზოგიერთი ცდის ჩასატარებლად ჩამოვედი. არც თანამშრომლები მჭირდება, არც ფული. მხოლოდ გაცნობებთ, რა მიზანს ვისახავ და გთხოვთ, ოცი დესეტინა მიწა გამომიყოთ — თუნდაც გამოუსადეგარი. ადგილი ჭერ არ შემირჩევია. მაშინ მოგახსენებთ, როცა ოლქს შემოვივლი და უკან დავბრუნდები. შემდეგ — მინდა იცოდეთ, რომ აქ სახუმროდ არ ჩამოვსულვარ. გეუბნებით: ჩემი მუშაობის მიზანია, ასე ვთქვათ, მადნის გამოკვება — რათა ათქვირდეს და თავად ამოღინდეს მიწის ხილულ ზედაპირზე, საიდანაც შეგვეძლება, შიშველი ხელით მოვხვეტოთ. ცდების შედეგში დარწმუნებული ვარ, მაგრამ გთხოვთ, ჭერ ნურაფერს იტყვიოთ. სამ დღეში ადგილს შევარჩევ და თქვენთან დავბრუნდები. მიმიხვდით და თანახმა ხართ, რომ დამეხმაროთ?

— სავსებით მიგიხვდით. ინებეთ ჩემი ხელი. იმუშავეთ — ჩვენ კი დამხმარედ გვიგულეთ!

ფადეი კირილოვიჩი იმავე დღეს საზიდრით ველად გაემგზავრა, რათა აკადემიკოს ლაზარევის ექსპედიციის დატოვებული სიმაღლის პირობითი ნიშნული მოეძებნა, რომლის სიახლოვესაც მაგნიტურ რკინას ენა ამოეყო და ას სამოცდაათი მეტრის სიღრმეზე იყო გაწოლილი. პოპოვმა მიყრუებული, უკაცრიელი ხრამის კიდეზე მეორე დღესვე იპოვა თუჩის სვეტი, მოკლე პირობითი წარწერა რომ აჩნდა: „მ. ა. ე. 38, 24, 168, 46, 22“.

ერთი კვირის შემდეგ ფადეი კირილოვიჩი იმ ადგილას მიწის მზომელის თანხლებით მივიდა. მას ოცი დესეტინა მიწის ნაკვეთი უნდა მიეზომა. მათ ახლდა მიხაილ კირპიჩნიკოვიც.

კირპიჩნიკოვიც ფადეი კირილოვიჩს ოლქის აღმასკომის თავმჯდომარემ დაუხასიათა, როგორც იდეოლოგიურად გამობრძმედილი კაცი და თანაშემწედ მიუჩინა. პოპოვმაც ნახა, რომ თანაშემწის გარეშე საქმეს თავს ვერ გაართმევდა.

სამი დღის შემდეგ პოპოვმა და კირპიჩნიკოვმა სოფელ ტინოვკიდან, ათი კერსის დაშორებით რომ იყო, დაშლილი ძელური მოიტანეს და ახალ ადგილას ააწყვეს.

— ფადეი კირილოვიჩ, აქ რამდენ ხანს ვიცხოვრებთ? — ჰკითხა პოპოვს კირპიჩნიკოვმა.

— არანაკლებ ხუთ წელიწადს, ჩემო მეგობარო, უფრო კი ათიოდე წელს, ეს შენ არ გეხება. საერთოდ, ნუ დამეკითხები, შეგიძლია, ყოველ კვირა დღეს წახვიდე და შენს კლუბში დრო გაატარო...

და წაეწყო ერთმანეთს უმაგალითო დღეები. კირპიჩნიკოვიც დღეში თორმეტ საათს მუშაობდა: სახლის აწყობა-გამართვას რომ მორჩა, მერე ხრამის

ძირას შახტის ამოთხრას შეუდგა. პოპოვი მასზე ნაკლებს არ მუშაობდა, ნა-  
ჯახსა და ნიჩაბს მარჯვედ ხმარობდა, თუმცა ფიზიკურ მეცნიერებათა დოქ-  
ტორი გახლდათ. ასე, მიყრუებულ ველთა შორის ჩაქარგულ მხარეში, სადაც  
მზენელ-მთესველნი, დედამიწაზე მამაც მოხეტიალეთა ჩამომავალნი ცხოვ-  
რობდნენ, შრომობდა ორი კაცი: ერთი ნათელი და ზუსტი მზენის მისაღწე-  
ვად, მეორე საზრდოს საშოვნელად, თანდათანობით რომ ცდილობდა, მეცნიე-  
რისგან შეეტყო ის, რასაც თავად ეძიებდა — ადამიანის შემთხვევითი, ნაუც-  
ბათევი სიცოცხლე სასწაულებრივი სამყაროს მბრძანებლად როგორ გადა-  
ექცია.

პოპოვი ერთთავად ღუმდა. ხანდახან მთელი დღით მიდიოდა ნოემბრის  
წვიმებით ატალახებულ ველებში. ერთხელ კირპიჩნიკოვს შორიდან შემოესმა  
მისი ხმა — მხნე, მღერადი, მზიარული ენერგიით აღსავსე. მაგრამ პოპოვი  
შინ დაღვრემილი დაბრუნდა.

დეკემბრის დამდეგს პოპოვმა კირპიჩნიკოვი სამხარეო ქალაქში გაგზავნა,  
თან სია გაატანა, რომლის მიხედვითაც მას წიგნები, ელექტრული მოწყობი-  
ლობანი, ხელსაწყოები და ინსტრუმენტები უნდა ეყიდა.

კირპიჩნიკოვი ერთი კვირის შემდეგ დაბრუნდა და ფადეი კირილოვიჩი  
რალაც მომცრო, რთული ხელსაწყოს კეთებას შეუდგა.

პოპოვი კირპიჩნიკოვს მხოლოდ ერთხელ, გვიან ღამით გამოელაპარაკა,  
როცა იგი ლამპაში ნავთს ამატებდა:

— იცი რა, მოვიწყინე, კირპიჩნიკოვო! მითხარ, ვინა ხარ, საცოლვე თუ  
გყავს, ცხოვრების მიზანი, ნაღველი, ან რაიმე ამგვარი თუ გაგაჩნია? თუ  
მხოლოდ ანტროპოიდი ხარ?

კირპიჩნიკოვმა თავი შეიკავა:

— არა, ფადეი კირილოვიჩ! არაფერი გამაჩნია, ის საქმე მინდა გავიგო,  
რასაც აკეთებთ, თქვენ კი არაფერს მეუბნებით: ჯობდა კი, გეთქვათ, მაშინ  
უფრო უკეთ ვიმუშავებდი. გავიგებ, ფადეი კირილოვიჩ, გეფიცებით!

— დამეხსენ, დამეხსენ, ვერაფერსაც ვერ გაიგებ! ჰო, კმარა, რაც ვილა-  
პარაკეთ. დაწექ, დაიძინე, მე კი ცოტა ხანს კიდევ ვიჯდები...

ფადეი კირილოვიჩი კიდევ წავიდა სახეტიალოდ — ამჯერად უკვე გა-  
თოშინლ, სუნთქვაშეკრულ ველზე. კირპიჩნიკოვი შახტის გასამაგრებლად ძელს  
თლიდა და ძელურში ასანთისთვის შევიდა, რომ პაპიროსისთვის მოეკიდებინა.

მაგიდასთან მისულმა რამდენიმე სიტყვა ამოიკითხა იქიდან, რაც პოპოვს  
ღამით დაეწერა, პოდა, ასანთი აღარც აუნთია, თითქოს გაქრა ყოველივე, რაც  
მის ირგვლივ არსებობდა, მიავიწყდა თავისი სახელიცა და თავისი არსებო-  
ბაც.

„კოლეგავ და მასწავლებელო! მე-8 თავს იმ ხელნაწერისა, რომელიც გან-  
სახილველად გამოგიგზავნეთ, აუცილებლად უნდა დაემატოს:

„ყოველივე იმიდან, რაც ეთერის თვისებებზე ითქვა, უცილობელი დასკ-  
ვნები უნდა გამოვიტანოთ. — თუ ელექტრონი მიკრობი, ანუ ბიოლოგიური  
ფენომენია, მაშინ ეთერი (ის, რასაც ზემოთ „გენიალური სხეული“ ვუწო-  
დე) ელექტრონების სასაფლაოა. ეთერი მექანიკური მასაა დაბოცილი თუ  
მკვდარი ელექტრონებისა. ეთერი მიკრობთა — ელექტრონთა გვამების ნარევია.

მეორე მხრივ, ეთერი არამართო ელექტრონების სასაფლაოა, არამედ მათი სიციცხლის მშობელიცაა, ვინაიდან ცოცხალ ელექტრონთა ერთადერთი საზრდო მკვდარი ელექტრონებია. ელექტრონები თავიანთ წინააღმდეგობებს ჭამენ.

განსხვავება ელექტრონისა და ადამიანის სიციცხლის ხანგრძლივობას შორის უჩვეულოდ აძნელებს ამ, თქვენს ტერმინოლოგიას თუ ვინმართ, ალფა-არსებათა ყოფაზე დაკვირვებას. სახელდობრ, ელექტრონის სიციცხლის დრო უნდა განისაზღვრებოდეს ორმოცდაათი — ასი ათასი მიწიერი წელიწადით, ანუ გაცილებით ხანგრძლივი დროით, ვიდრე ადამიანის სიციცხლეა. ამასთანავე ელექტრონის, როგორც უფრო პრიმიტიული არსების სხეულში ფიზიოლოგიურ პროცესთა რაოდენობა ბევრად ნაკლებია, ვიდრე ადამიანის მაღალორგანიზებულ სხეულში. მაშასადამე, ელექტრონის ორგანიზმში ყოველი ფიზიოლოგიური პროცესი ისე უკიდურესად ნელა მიმდინარეობს, რომ შეუძლებელი ხდება, ამ პროცესს უშუალოდ დავუკვირდეთ, თუნდაც ყველაზე მგრძობიარე ხელსაწყოს შემწეობით. ეს გარემოება ადამიანის თვალში ბუნებას მკვდრად წარმოსახავს. სხვადასხვა კატეგორიის არსებების სიციცხლის დროთა ეს შემზარავი სხვადასხვაობა არის მიზეზი ბუნების ტრაგედიისა. ერთი არსება საუკუნეს მთელ ერად შეიგრძნობს, მეორე კი წამად. ეს „დროთა სიმრავლე“ ყველაზე სქელი და დაუძლეველი კედელია ცოცხალ არსებათა შორის, რომლის განგრევასაც ძლივძლივობით იწყებს ადამიანთა მეცნიერების მძიმე არტილერია. მეცნიერება ობიექტურად მორალური ფაქტორის როლს ასრულებს: ცხოვრების ტრაგედიას ლირიკად აქცევს, ვინაიდან სიციცხლის პრინციპული ერთიანობის ძმობით აახლოებს ისეთ არსებებს, როგორც ადამიანი და ელექტრონი.

მაგრამ ელექტრონის სიციცხლის აჩქარება მაინც შეიძლება, თუ შევასუსტებთ იმ მოვლენებს, რომლებიც მისი სიციცხლის ხანგრძლივობას განაპირობებს. აუცილებელია წინასწარი განმარტება. ეთერი, როგორც მეცნიერების მიერ დადგენილია, არაჩვეულებრივად ინერტული, რეაგირების უნარს მოკლებული, მატერიის ძირითად თვისებათა უქონელი სფეროა. ეთერის ამგვარი შეუგრძნობლობა და ექსპერიმენტული შეუცნობლობა იმით აიხსნება, რომ „მსგავსი მსგავსის მიერ შეიცნობა“, იმაზე უფრო არამსგავსი კი აღარაფერია, როგორც ადამიანი და ელექტრონების გვამთა საბადო, ანუ ეთერია. შესაძლოა, ეთერი სწორედ ამიტომაცაა „მოკლებული“ მატერიის თვისებებს, რადგან ერთის მხრივ ადამიანსა და ცოცხალ მიკრობს — ელექტრონს თუ ავიღებთ, მეორეს მხრივ კი ეთერს — მათ შორის პრინციპული განსხვავებაა. პირველნი ცოცხალნი არიან, მეორე მკვდარია. მინდა ვთქვა, რომ ეთერის „შეუცნობლობა“ უფრო მეტად ფსიქოლოგიური ამოცანაა, ვიდრე ფიზიკური.

ეთერს, „სასაფლაოს“ კვალობაზე, არავითარი შინაგანი აქტიურობა არ გააჩნია. ამიტომ ის არსებანი (მიკრობ-ელექტრონები), რომელნიც მისით საზრდობენ, საუკუნო შიმშილისთვის არიან განწირულნი. მათ საზრდოობას გარეგან, შემთხვევით ძალთა ხარჯზე ეთერის ახალ-ახალი მასების მოდენა უზრუნველყოფს. ეს არის ელექტრონთა შენელებული სიციცხლის მიზეზი. მათი ინტენსიური ცხოვრება შეუძლებელია: მასაზრდოებელ ნივთიერებათა

მოდენა ძალზე შენელებულია. ამან გამოიწვია ელექტრონთა სხეულში ფიზიოლოგიური პროცესების შენელება.

როგორც ჩანს, საზრდოს მიწოდების დაჩქარებამ ელექტრონთა ცხოვრების ტემპი უნდა დააჩქაროს და მათი გაძლიერებული გამრავლების ფიზიოლოგიური აქტების ამჟამად არსებული შენელებულობა კვების ხელსაყრელ პირობებში იოლად გარდაიქმნება გაშმაგებულ ტემპად, რადგან ელექტრონი პრიმიტიულად ორგანიზებული არსებაა და მასში ბიოლოგიური რეფორმების მოხდენა არაჩვეულებრივად ადვილია.

მაშასადამე, კვების პირობების გაუმჯობესება ელექტრონის ყველა სასიცოცხლო ქმედების (მათ შორის გამრავლების) ისეთ ინტენსივობას გამოიწვევს, რომ ამ არსებათა ცხოვრებაზე დაკვირვება იოლად შესაძლებელი შეიქნება. რა თქმა უნდა, ცხოვრების ამგვარი ინტენსივობა ელექტრონის სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირების ხარჯზე მოხდება.

მთელი ამოცანა ის არის, რომ ადამიანისა და ელექტრონის სიცოცხლეთა ხანგრძლივობაში განსხვავება შევამციროთ. მაშინ ელექტრონი ისეთი ძალით დაიწყებს პროდუქციის წარმოქმნას, რომ ადამიანს მისი ექსპლუატაცია შეუძლებელია.

მაგრამ ელექტრონებთან მასაზრდოებელი ეთერის თავისუფალი და გაძლიერებული მოდენა როგორ გამოვიწვიოთ? ტექნიკურად როგორ შევქმნათ ეთეროვანი ტრაქტი — გზა ეთერისთვის?

პასუხი მარტივია — ელექტრომაგნიტური კალაპოტი...“

პოპოვის ხელნაწერი აქ წყდებოდა. წერა ჯერ არ დაემთავრებინა. კირპიჩნიკოვმა ყველა სიტყვა ვერ გაიგო, მაგრამ პოპოვის სანუკვარი იდეა რაც იყო, ამას კი კარგად მიხვდა.

ფადეი კირილოვიჩი გვიან დაბრუნდა და მაშინვე დასაძინებლად დაწვა, რაც მანამდე არ უქნია. კირპიჩნიკოვი ცოტა ხანს კიდევ იჯდა და წიგნს კითხულობდა, რომელსაც ერქვა „შახტის ჭების მოწყობილობის შესახებ“, მაგრამ ვერაფერი გაიგო.

არის აზრები, რომელნიც ადამიანს თავად წარმართავენ და, სულ ერთია, სურს თუ არ სურს, მის გონებაზე მბრძანებლობენ. კირპიჩნიკოვს ჯერ არ ეძინებოდა. ჩახუთულ ოთახში მოუსვენრობა ეუფლებოდა. პოპოვი ძილში ხვრინავდა და კვნესოდა.

კირპიჩნიკოვმა სკივრიდან თავისი ძველი დღიური — საკუთარი ხელით შეკერილი რვეული ამოიღო და კითხვას შეუდგა: „მარტის 20. საღამოს 9 საათი. დედას და ბავშვებს იატაკზე დაფენილ ძველ ტანსაცმელზე სძინავთ. წასახურიც არაფერი აქვთ. დედას გამხდარი ფეხი გაუშიშვლდა — მებრალეობა, მრცხვენია და ვიტანჯები. ზახარუშკა 11 თვისაა, ძუძუს მოაშორეს და მხოლოდ დამბალ ფუნთუშას აჭმევენ. რა მზაკვარია ცხოვრება! ანდა იქნებ მე ვარ უმაქნისი, ამ წყვეულ ცხოვრებას ყბები აქამდე რომ არ ამოვუნაყე? რად ვაძლევ ნებას, ბავშვები და დედაჩემი ასე რომ ტანჯოს... იმათთვის უნდა იცხოვრო, ვინც მომავალს ქმნის, ვისაც ახლა ქანცი უწყდება მძიმე ფიქრთა ტვირთისგან, ვინც თვითონ მთლიანად მომავალი, ტემპი და მისწრაფებაა. ასეთები ცოტანი არიან. სადღაც არიან ჩაკარგულნი, ანდა იქნებ არც არსებობენ. მაგრამ მე მათთვის ვცოცხლობ და ვიცოცხლებ და არა იმათთვის,

ვინც საკუთარ სიცოცხლეს გრძნობიერი ვნებით აშობს, ხოლო სული ნულზე ჩაუყვანია“.

კირპიჩნიკოვი ეზოში გავიდა, ძელს დასწვდა და ხევში ჯობივით გადაისროლა. მერე კბილები გაახრჭიალა, ამოიგმინა, ნაჯახი ზღურბლზე დააგაიღიმა. ეზოში ერთი ხე იდგა — ტირიფი. კირპიჩნიკოვი ტირიფთან მივიდა, ხელი შემოხვია და ღამით მონაბერმა ქარმა ორივე შეარხია.

ღილით, როცა შემწვარ კარტოფილს ჭამდნენ, ფადეი კირილოვიჩმა უცებ ჭამას თავი ანება და წამოდგა მხიარული, იმედითა და ველური სიხარულით აღსავსე.

— ეჰ, დედამიწავ! ნუ მექნები სახლად, ციურ ხომალდად მექეც! პოპოვმა ეს სიტყვები მოულოდნელად, სასაცილო გაშმაგებით შესძახა და თავადვე შეკრთა.

— კირპიჩნიკოვო! — უთხრა თანაშემწეს ფადეი კირილოვიჩმა, — მითხარ, ტილი ხარ, უჯიშო ხარ, თუ — ზღვაოსანი? მიპასუხე, ობივატელო, ხომალდზე ვართ თუ ძელურში? ოჰო, ხომალდზე — მაშ საჭეს ტყვიის ხელები ჩასჭიდე, მიწაყრილზე კი ნუ იცრემლები! გაჩუმდი, ჭრიჭინავ! მე ვუწყვი მიმართულება და ადგილსამყოფელი... კარტოფილი შესანსლე და ვახტზე დადექი..

კირპიჩნიკოვი დუმდა. პოპოვს მალარია შეეყარა, ძილში აუხდენელ სანატრელს ბუტბუტებდა, დღისით ბრაზი და მძვინვარება უეცრად სიცილად გადაექცეოდა. მომუშავე გონება მთელ მის სისხლს იწოვდა, გამოფიტული სხეული წონასწორობას კარგავდა და განწყობილებას იოლად ემორჩილებოდა. კირპიჩნიკოვმა ეს იცოდა და ბუნდოვნად წუხდა.

მარტოობამ, უკიდევანო ველებში გადაკარგვამ და ერთი მიზნისკენ მიწრაფებამ პოპოვს სულიერი წონასწორობა უფრო მეტად შეურყია და მასთან მუშაობა ჭირდა. ამას გარდა, ფადეი კირილოვიჩს დედის მიმართ საშინელი, დაუოკებელი ნაღველი აღეძრა, თუმცა დედამისი უკვე თხუთმეტი წლის გარდაცვლილი იყო. ოთახში ბოლთასა სცემდა, აგონდებოდა, კუბოში დედას როგორი ფეხსაცმელი ეცვა, აგონდებოდა მისი კალთისა და რძის სუნი, მისი ალერსიანი თვალები და მთელი მისი სხეული, ბავშვობის უსაყვარლესი საყუდელი... კირპიჩნიკოვი ხვდებოდა, რომ პოპოვს რალაც განსაკუთრებული სენი სჭირდა, მაგრამ ვერაფერს შეელოდა და დუმდა.

ასე გავიდა ერთი თუ ორი თვე. ფადეი კირილოვიჩი სულ უფრო ნაკლებს მუშაობდა, ბოლოს, 25 იანვარს დილით ლოგინიდან აღარც ამდგარა და მხოლოდ თქვა:

— კირპიჩნიკოვო! ძელური დაასუფთავე და აქედან დაიკარგე — ფიქრს უნდა მივეცე!

კირპიჩნიკოვმა იქაურობა მოაწესრიგა და გარეთ გავიდა.

ველზე ქარბუჭი ბობოქრობდა და თოვლის კორიანტელს აყენებდა.

კირპიჩნიკოვი ხრამში ჩავიდა და შახტის ლიუკი დახურა, სადაც პოპოვს ხელსაწყოების დაყენება უკვე დაწყებული ჰქონდა. ქარბუჭი მძვინვარებდა — ეზოში მიყრილ-მოყრილ საგნებს აჯანჯლარებდა. თავშესაფარი არსად იყო და კირპიჩნიკოვი ვიწრო, ხარახურით გამოტენილ სხვენზე აძვრა. სახურავზე

თოვლი ტრიალებდა და სტვენდა... კირპიჩნიკოვს უცებ წყნარი, უცნაური, სევდიანი მუსიკა შემოესმა, ძალზე დიდი ხნის წინ სადღაც რომ გაეგონა. უსაგნო გოდების შეგრძნება გულის გამაწვრილებლად მძლავრდებოდა და თითქოს ადამიანის აღსასრულს მოასწავებდა. თანაც თითქოს ეს მთხევრული სევდა და მოგონებანი იყო კაცის ერთადერთი ნუგეში. კირპიჩნიკოვი წამოწვა და ახალმა კრძალულმა განცდამ, რაც მანამდე არ შეუგრძენია, ძალა წაართვა. დაავიწყდა, რომ ყინავდა და აკანკალებულს უნებურად ჩაეძინა. მუსიკა კვლავ გაისმოდა და მერე სიზმრად იქცა. კირპიჩნიკოვმა უცებ ცივი, მძიმე, ნელი ტალღის შეხება იგრძნო. შიშით ატანილი, საკუთარი სივიწროვით დაქანცული გონება შეეძრა და გამოფხიზლებას შეეცადა.

კირპიჩნიკოვს ერთბაშად გაეღვიძა, თითქოს ვიღაცამ ყურში ჩასძახა ანდა რაღაცას შეჯახებული დედამიწა უცებ დამუხრუჭდაო. კირპიჩნიკოვი წამოხტა, თავი სახურავს შეახეთქა და ეზოში ჩავიდა. ქარაშოტი მიწას აზანზარებდა. როცა ქარი ატმოსფეროს გაფხრეწდა და ჰორიზონტს გამოაჩენდა, ირგვლივ ჩაშავებული, შიშველი ველები მოჩანდა. თოვლი ქარს ხრამებსა და მიყრუებულ ხეობებში ჩაეხვეტა. კირპიჩნიკოვმა თვალი ჰკიდა, რომ ძელურის კარი ღია ეგდო და თოვლი შიგნით მიექანებოდა. ოთახში როცა შევიდა, თოვლის ზვინი დაინახა. ამ ზვინზე, საწოლზე კი არა, პირდაპირ ზვინზე, მკვდარი ფადეი კირილოვიჩ პოპოვი იწვა — წვერი მაღლა შეემართა, სიბერისგან გამჭკნარ მკერდზე განუყრელი ეილეტი შემოტმასნოდა, თეთრი შუბლი ნალვლიანად მოუჩანდა. თოვლი თანდათან ფარავდა, ფეხები უკვე შიგ ჩამალოდა.

კირპიჩნიკოვმა გვამს ხელები იღლიებში სრულიად დამშვიდებულმა ამოსდო და საწოლისკენ გააცურა. ფადეი კირილოვიჩს ქვედა ტუჩი ჩამოეჩაჩა; იგი საწოლზე თავისით გადატრიალდა ცალ გვერდზე და თავი ძირს ჩაჰკიდა, თითქოს ცდილობდა, ადგილი ეპოვა დედამიწის ცენტრთან რაც შეიძლება ახლოს. კირპიჩნიკოვმა კარი მიხურა, იატაკზე თოვლი ახვეტა და პატარა შუშა იპოვა, რომლის ძირშიც მოვარდისფრო საწამლავი კიდეც იყო ჩარჩენილი. კირპიჩნიკოვმა საწამლავის ნარჩენი თოვლზე წამოღვარა — თოვლი აშიშინდა, აორთქლდა, საწამლავმა კი იატაკიც ამოჭამა.

სკამზე სამელნით დამაგრებული დაუმთავრებელი ხელნაწერი იდო... „პასუხი მარტივია — ელექტრომაგნიტური კალაპოტი...“

— ამხანაგო კირპიჩნიკოვო, კომუნისტი ხართ? — ჰკითხა კირპიჩნიკოვს ოლქის აღმასკომის თავმჯდომარემ.

— კანდიდატი.

— სულ ერთია. მოჰყევით, ეს რანაირად მოხდა? გესმით თუ არა, რომ ძალზე ცუდი ამბავი მოხდა — პასუხი რადგანაც უნდა ვაგოთ, იმიტომ კი არა, იმიტომ, რომ დაიღუპა დიდად საჭირო და გამორჩეული კაცი. რაიმე ბარათი ხომ არ გიპოვიათ?

— არა.

— კარგი, მოჰყევით.

კირპიჩნიკოვი მოჰყვა. კაბინეტში თავმჯდომარის გარდა ისხდნენ პარტი-

ის კომიტეტის მდივანი და მთავარი პოლიტიკური სამმართველოს რწმუნებული.

კირპიჩნიკოვს გულსუფრით მოუსმინეს. იგი ყველაფერს მოჰყვებოდა და მთავრებული ხელნაწერის შინაარსსაც კი. აღწერა ქარბუქი, მთავრებული კარი და პოპოვის გვერდზე უცნაურად გადახრილი თავი, როგორც ცოცხალს არა აქვს ხოლმე. ესეც თქვა, პოპოვი ცოცხალი კაცისგან არც ისე განსხვავდებოდა, თითქოს სიკვდილი მისთვის ისეთივე ჩვეულებრივი რამ იყო, როგორც სიცოცხლე.

კირპიჩნიკოვმა დაამთავრა.

— ნიშანდობლივი ამბავია! — თქვა პარტკომის მდივანმა. — პოპოვი ნამდვილი დეკადენტი. უდავოდ გახრწნილი სუბიექტი. მას, რა თქმა უნდა, გენია ამოქმედებდა, მაგრამ ეპოქამ, რომელშიაც დაიბადა, ნაადრევი დაღუპვისთვის განწირა და მისმა გენიამ პრაქტიკული გამოყენება ვერ პოვა. აწეწილი ნერვები, დეკადენტური სული, მეტაფიზიკური ფილოსოფია — ყოველივე ეს პოპოვის მეცნიერულ გენიას უპირისპირდებოდა და ამან გამოიწვია ასეთი აღსასრული.

— დიახ, — თქვა აღმასკომის თავმჯდომარემ. — ნამდვილი ფაქტებით აგიტაციაა. მეცნიერება ყოვლისშემძლეა, მისი მფლობელები კი გადაგვარებულები და უჯიშოები არიან. ნამდვილად საჩქაროდ გვჭირდება მყარი შინაგანი მიზანდასახულობის მქონე ახალი ხალხი.

— რაო, ახლად დარწმუნდი? — ჰკითხა მას მთავარი პოლიტიკური სამმართველოს რწმუნებულმა. — უცნაური კაცი ხარ, ძმობილო! მე მგონი, ახლა ჩვენი საქმეა, გამოძიება დავნიშნოთ და მერე, თუ კირპიჩნიკოვის მონაყოლში საეჭვოს ვერაფერს ვნახავთ, იგი პოპოვის სამეცნიერო ბაზის მცველად დავაყენოთ. ჰო, კირპიჩნიკოვს ამაში ცოტა გასამრჯელო უნდა მიეცეთ. ამას შენ, — მიმართა თავმჯდომარეს, — ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოაგვარებ! შემდეგ, უნდა ვაცნობოთ იმ სამეცნიერო ინსტიტუტს, ვინც პოპოვი გამოგზავნა, რომ საქმის განსაგრძობად სხვა მეცნიერი გამოგზავნონ... ყველაფერი კი უვნებლად უნდა შევიწინაბოთ! თანამშრომელს გავგზავნი აღწერის ჩასატარებლად. იქ ხომ ძვირფასი ხელნაწყოები, პოპოვის ხელნაწერები, რაღაც ნივთები და ქონებაა...

— სწორია, — თქვა თავმჯდომარემ. — მოდი, ამით დავამთავროთ. მთელ საქმეს პრეზიდიუმზე გავიტან და ჩვენი დადგენილება მერე დავამტკიცოთ.

ერთი კვირის შემდეგ ძიება დაამთავრეს, პოპოვის გვამი მოსკოვში გაგზავნეს, კირპიჩნიკოვი კი პოპოვის სამეცნიერო ბაზის მცველად მიავლინეს და თვეში თხუთმეტი მანეთი ხელფასი დაუნიშნეს.

კირპიჩნიკოვს აღწერის ასლი ჩააბარეს და იგი მარტო დარჩა.

დგებოდა ადრიანი გაზაფხული — ჟამი ზამთრის ინერციისა და მზის ვაეკაცური მოძალებისა.

პოპოვის შემცვლელი არადა არ მოდიოდა. კირპიჩნიკოვი გულმოდგინედ კითხულობდა პოპოვის წიგნებსა და ხელნაწერებს, ათვალთვლებდა აქვე პოპოვის ხელით დამზადებულ ხელნაწყოებს და მის წინაშე იშლებოდა დაუცხრომელი, ულმობელი ცხოვრების შეცნობის, დაუფლებისა და წყურვილის მძლავრი სამყარო. კირპიჩნიკოვმა ცხოვრების გემო თანდათან შეიგრძნო და

დაინახა მისი მშფოთვარე მორევი, სადაც შეიძლება ყველა სურველის აღსრულება, სადაც არის ყველა მიზნისკენ მიმავალ გზათა თავშესაფარი.  
 „ოჰ, რა კარგია! — ფიქრობდა კირპიჩნიკოვი. — ამოდ მოკვდა პოპოვი: ეს თვითონ დაწერა და თავადვე არ ესმოდა. არადა, გაიგებდა მშენებლის კაცი, სიცოცხლე მოუნდება...“

დადგა ზაფხული. ყველაფერი კი ძველებურად დარჩა. პოპოვის ნაცვლად ახალი მეცნიერი არ მოდიოდა. კირპიჩნიკოვმა ფადეი კირილოვიჩის ხელნაწერების პირწმინდად გადაწერა დაიწყო, თავადაც არ იცოდა, ამას რად სჩადიოდა, მაგრამ ასე უკეთ იგებდა.

ბოლოს, ივლისში, ორი მოსკოველი მეცნიერი ჩამოვიდა. მათ პოპოვის მთელი ავლადიდება — ხელნაწერებიცა და ხელსაწყოებიც წაიღეს.

კირპიჩნიკოვი კრამიტის სახელოსნოში სამუშაოდ დაბრუნდა და მისთვის ირგვლივ ყოველივე დადუმდა. მაგრამ მის წინაშე განცხადებულმა ადამიანის გონების სასწაულმა ცხოვრების ჩვეული მდინარებიდან ამოაგდო. დაინახა, რომ არსებობდა საგანი, რის შემწეობითაც შეიძლებოდა როგორც ვარსკვლავთა გზის, ასევე საკუთარი დაუდგრომელი გულის გარდაქმნაც, შეიძლებოდა, ყველა პირის სამყოფი პურის, ყველა გულის საკმარი ბედნიერების და ყველა გონების აღმავსებელი სიბრძნის მოპოვება. მთელი ცხოვრება წარმოუდგა როგორც ქვის ზღუდე, რაც მის საუკეთესო წადილს წინ აღუდგებოდა, მაგრამ იცოდა, რომ ეს ზღუდე, შესაძლოა, მისი გამარჯვების ასპარეზად ქცეულიყო, თუ ცოდნის წყურვილს გულში უმძაფრეს ვნებად აღანთებდა.

კირპიჩნიკოვი აღმასკომის თავმჯდომარესთან მივიდა და განუცხადა: მინდა, ვისწავლო, მუშაობაში გამგზავნეო.

— ბატონო ჩემო, პოპოვის კვალს გინდათ, რომ გაჰყვეთ? თქმა არ უნდა, დასაწუნი არ არის, გასწით! — უთხრა თავმჯდომარემ და წერილი მისცა, სად უნდა მიემართა.

ერთი კვირის შემდეგ კირპიჩნიკოვმა ფეხით გასწია სამხარეო ქალაქისკენ, რომელიც ას ორმოცდაათი ვერსის იქით მდებარეობდა. იქ იყო მუშაობა.

იღვა აგვისტო. მინდვრებში მიწის მუშებს ყრიაბული გაჰქონდათ, შარავზას ჯოგები ამტვერებდნენ, გაოცებული ჭაბუკი მზე მშობიარობით განაწამებდეს დამიწას უღიმოდა.

მდინარის ჭავლებში თევზები სრიალებდნენ, ხეებს აქა-იქ სიყვითლე შეჰპაროდა, მიწა ცისფერ სივრცედ გადაჭიმულიყო იმ მხარისა და ცხოვრებისკენ, საითაც კირპიჩნიკოვი მიდიოდა, სადაც საგალობელივით დიდებული დრო-ჟამი ელოდა.

გავიდა რვა წელი — ვადა, საკმარი სამყაროს სრული გარდაქმნისთვის, ვადა, რომელშიც კაცი ერთიანად, ლამის ზურგის ტვინამდე გადახალისდება.

მიხაილ ერემევიჩ კირპიჩნიკოვი ინჟინერ-ელექტრიკოსი გახდა და მეცნიერ მუშაკად მუშაობდა ელექტრონთა ბიოლოგიის კათედრაზე, რომელიც პოპოვის სიკვდილის შემდეგ ჩამოყალიბდა მისი შრომების საფუძველზე.

კირპიჩნიკოვმა ცოლი შეირთო და ორი ვაჟი შეეძინა. მისი ცოლი —



ყოფილი სოფლის მასწავლებელი, ქმრის მსგავსად სამყაროს დაუყოვნებელი ფიზიკური გარდაქმნის მომხრე იყო. მსოფლიო პლაცდარმზე საყვარელი მეცნიერების გამარჯვების საბედნიერო რწმენამ მათ სწავლის, გაჭირვების, მბრუნავატელთაგან აბუჩად აგდების მტანჯველი წლები გადაატანინა და რომი მვილის დაიწინა გააბედვინა. სწამდათ, რომ დადგებოდა დრო, როცა პური იმდენი იქნებოდა, რამდენიც ჰაერია. კირპიჩნიკოვი გონებით გრძნობდა ამ ბორკილახსნილი ეპოქის მოახლოებას, როცა ადამიანი ხელებს შრომისგან, ხოლო სულს სიბერეისგან გაითავისუფლებდა და სამყაროს ხელახლა გამოძერწვას შეძლებდა.

მშვიერი და ბედნიერი იყო ეს ოჯახი. იდგა უამი სოციალიზმისა და ინდუსტრიალიზაციისა, საზოგადოების მატერიალური ძალები უკიდურესად იყო დაძაბული და კეთილდღეობა სახვალიოდ უნდა გადაედოთ.

კირპიჩნიკოვი როცა მეცნიერულ მუშაობას დაეუფლა, კათედრა კი არ დაიკავა, გასავარჯიშებლად პრაქტიკულ სამუშაოზე წავიდა. უმაღლესი განათლების გარდა კირპიჩნიკოვს ცოცხალი საზოგადოებრივი მუშაობის სტაჟიც ჰქონდა და მტკიცე, სპეტაკი კომუნისტი გახლდათ. როგორც ჰკვიანმა და პატროსანმა კაცმა, როგორც კრამიტის სახელოსნოში აღზრდილმა, იცოდა, რომ სოციალიზმის გარეშე მეცნიერული მუშაობა და ტექნიკური რევოლუცია არ განხორციელდებოდა. მის დროს ეს თავისთავად იგულისხმებოდა, ისევე, როგორც ცოცხალი ადამიანის გულის ფეთქვა იგულისხმება, მაგრამ არ შეიცნობა.

პოპოვის სიკვდილის შემდეგ ათი წელი გავიდა. ამის თქმა იოლია, მაგრამ უფრო იოლია, ამ ათ წელში კაცი ათჯერ რომ დაიღუპოს. აბა, ცადეთ ამ ათი წლის მისხალ-მისხალ აღწერა. აღწერა ბრძოლისა, მშენებლობისა, სასოწარკვეთისა და ხანმოკლე მოსვენებისა. შეუძლებელია — დაბერდები, მოკვდები და სათქმელს ვერ ამოწურავ. აბა, სცადეთ, კაცობრიობის უსიერ ტევრში ცინცხალი, ბრძენი და პირუთვნელი დარჩეთ! შეუძლებელია. ამიტომაც კირპიჩნიკოვს საფეთქლები გვარიანად შეუჭალარავდა და სახე ნაოჭებმა დაუღარა, თუმცა ჯერ მხოლოდ ოცდათერთმეტი წლისა იყო.

კირპიჩნიკოვის თხოვნა პრაქტიკულ სამშენებლო სამუშაოზე გაგზავნის თაობაზე დააკმაყოფილეს და ქვემო კოლიმის ტუნდრაში ვერტიკალური გვირაბის მშენებლობაზე სამუშაოთა მწარმოებლად გაგზავნეს. ნაგებობა დედამიწის შინაგანი სითბური ენერჯის მოსაპოვებლად იყო გამიზნული.

კირპიჩნიკოვმა ოჯახი მოსკოვში დატოვა და თავად გაემგზავრა. ვერტიკალური თერმული გვირაბი იაკუტიის საბჭოთა მთავრობის საცდელი სამუშაო გახლდათ. თუ ეს სამუშაო წარმატებით დამთავრდებოდა, განზრახული ჰქონდათ, აზიის კონტინენტის მთელი მხარე პოლარული წრის მიღმა ამგვარ გვირაბთა მთელი ქსელით დაეფარათ, შემდგომ ერთიანი ელექტროგადაცემით მათი ენერჯის ბლოკირება მოეხდინათ, ელექტრული სადენის წვერით ყინულოვანი ოკეანისკენ წარემართათ კულტურა და მრეწველობა და ხალხი დაესახლებინათ.

მაგრამ საგვირაბო სამუშაოთა წამოწყების მთავარი მიზეზი ის გახლდათ, რომ ტუნდრის ველებზე უცნობი დიდებული ქვეყნებისა და კულტურათა ნაშთები აღმოაჩინეს. ტუნდრის ნიადაგი და ქვენიადგი პირველყოფილი, უძველესი გეოლოგიური წარმოშობისა კი არ იყო, ნარიყს წარმოადგენდა,

თანაც ეს ნარიყი სუდარასავით გადაფარებოდა ადამიანთა უძვე-  
 ლესი კულტურების მთელ წყებას. ხოლო იმის წყალობით, რომ იდუმალ ცი-  
 ვილიზაციათა ნაშთებზე გადაფენილი სუდარა მარადი გაყინული მდინარეების  
 ქვეულიყო, მიწაში ჩამარხული ადამიანები და ნაგებობები დასაქვნი-  
 ვის ქილაში, ხელუხლებლად, უცვლელად, უვნებლად შენახულიყო.

ის მცირედიც კი, რაც მეცნიერებმა ტუნდრის ზედაპირის ჩანაქცევებში  
 შემთხვევით იპოვეს, არნახული მნიშვნელობის საუკუნო ფასეულობას წარმო-  
 ადგენდა. აღმოჩნდა ოთხი მამაკაცისა და ორი ქალის გვამი. ქალებს ვარდის-  
 ფერი ლოყები და მსუბუქი პიგიენური ტანსაცმლის ნელსურნელება შემორ-  
 ჩენოდათ. ერთ მამაკაცს ჭიბეში მოხდენილი შრიფტით აჭრელებული პატარა  
 წიგნი ედო. მისი სავარაუდო შინაარსი: პირადი უკვდავების პრინციპთა გად-  
 მოცემა ზუსტ მეცნიერებათა შუქზე; წიგნში აღწერილი იყო რომელიღაც  
 პატარა ცხოველის სიკვდილის აღსაკვეთად ჩატარებული ცდები. ცხოველის  
 სიცოცხლის ხანგრძლივობა ოთხი დღე ყოფილა. მისი სასიცოცხლო სფერო  
 (საკვები, ატმოსფერო, სხეული და სხვა) ელექტრომაგნიტური ტალღების  
 მთელი კომპლექსის ზემოქმედების ქვეშ მოაქციეს; თანაც ტალღათა ყოველი  
 სახეობა გათვალისწინებული იყო საცდელი ცხოველის სხეულში მყოფ დამ-  
 ლუპველ მიკრობთა ცალკეული სახეობის მოსასპობად; ამგვარად, ელექტრო-  
 მაგნიტური სტერილიზაციის ველში საცდელი ცხოველის სიცოცხლის მოქცევით  
 შეძლეს, მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა ასმაგად გაეზარდათ.

შემდეგ ბუნებრივი ქვის პირამიდული სვეტი იპოვეს. სვეტს ისეთი სრულ-  
 ყოფილი ფორმა ჰქონდა, სახარატო ჩარხით დამუშავებული გეგონებოდათ,  
 მაგრამ ორმოცი მეტრის სიმაღლისა და ძირთან ათი მეტრის სიგანისა გახ-  
 ლდათ.

ადამიანთა გვამებს შავგვრემანი სახე, ვარდისფერი ტუჩები, დაბალი, მაგ-  
 რამ ფართო შუბლი, მომცრო ტანი, განიერი გულმკერდი და მშვიდი, სათნო,  
 თითქოს მოღიმარი გამომეტყველება ჰქონდათ. ცხადია, ან უცაბედად დაი-  
 ხოცნენ, ანდა, რაც უფრო სარწმუნოა, სიკვდილს ისინი ჩვენგან სრულიად  
 განსხვავებულად განიცდიდნენ და აღიქვამდნენ.

ამ აღმოჩენებმა მთელ მსოფლიოში სამეცნიერო ვნებები გააღვივა. სა-  
 ზოგადოებრივი აზრი ტუნდრის ათვისებისათვის საჭირო სამუშაოთა დაჩქარ-  
 ებას ელტვოდა, რათა მთლიანად მოეხდინათ ძველი სამყაროს რესტავრაცია,  
 რომელიც გაყინული სივრცის ნიადაგქვეშ იყო მოქცეული და, შესაძლოა, ყი-  
 ნულოვანი ოკეანის ფსკერზედაც გრძელდებოდა.

ცოდნისკენ ლტოლვა ადამიანის ახალ ორგანულ გრძნობად იქცა, ისეთი-  
 ვე დაუოკებელ, მძაფრ და მდიდარ გრძნობად, როგორც მხედველობა ანდა  
 სიყვარულია. ეს გრძნობა ზოგჯერ საზოგადოების ურყევ ეკონომიკურ კანონ-  
 ნებს და მატერიალური კეთილდღეობისკენ სწრაფვასაც კი ცვლიდა.

ამგვარი გახლდათ ტუნდრაში ვერტიკალური თერმული გვირაბის მშე-  
 ნებლობის ნამდვილი მიზეზი.

ასეთი გვირაბების სისტემა უნდა ქცეულიყო ტუნდრის კულტურისა და  
 ეკონომიკის საფუძვლად, ხოლო შემდეგ მიწისქვეშა ჭიშკრის გასაღებად უც-  
 ნობი პარმონიული ქვეყნის სამყაროსკენ, რომლის პოვნასაც ორთქლის მან-  
 ქანის გამოგონებაზე და რადიუმოვანი მონბლანის აღმოჩენაზე მეტი მნიშ-  
 ვნელობა ჰქონდა.

მეცნიერები ფიქრობდნენ, მეცნიერების, კულტურისა და მრეწველობის განვითარების მონაკვეთი, რის გავლაც უახლოესი ასი-ორასი წლის განმავლობაში მოგვიწევს, ტუნდრის წიაღში მზამზარეულად დევსო. საკმარისი ექნებოდა გაყინული ნიადაგის მოცილება და ისტორია ერთი ან ორი საუკუნით წინ გადახტებოდა, შემდეგ კი კვლავ თავისი ტემპით გასწევდა. სამაგიეროდ შრომისა და ღრის როგორ ეკონომიას მივალწევდით, ორ მომავალ საუკუნეს საჩუქრად თუ მივიღებდით! ამას ვერ შეედრება წარსულში კაცობრიობის ვერავე თარი კეთილქმედება!

18512

ამის გულისთვის ღირდა, რომ დედამიწა ორი კილომეტრის სიღრმეზე გაეხვრიტათ.

კირპიჩნიკოვი გაემგზავრა, თან სიხარულით მუშტებს კუმშავდა, რადგან იმ მიზანს, რაც უნდა განეხორციელებინა, მსოფლიო მნიშვნელობის გამარჯვებად და დღევანდელობასთან უძველესი ერის დაწინდვად შეიგრძნობდა.

ტუნდრის სახელგანთქმული ჭაბურღილი იოლად არ აშენებულა — ადამიანი იტანჯება, ტანჯავს, ცდება და სხვის შეცდომებს იწვევს, იღუპება და აღდგება, — ვინაიდან, რაც უნდა იყოს, წინ მიილტვის და ისტორიისა და ბუნების კედელზე მიცოცავს.

მაგრამ გვირაბი მაინც აშენდა. აი ინჟინერ კირპიჩნიკოვის საბუთი.

„შრომის ცენტრალურ საბჭოს

ქვემო კოლიმის ტუნდრაში 67-ე პარალელზე  
ვერტიკალური თერმული გვირაბის  
მშენებლობის სამუშაოთა სამმართველოს.

1934 წლის საერთო და ზოგადი მოხსენება

ამა წლის 2 დეკემბერს დამთავრდა ვერტიკალური თერმული გვირაბი (№ 1). როგორც გამიზნული იყო, გვირაბი განკუთვნილია იმ სიმხურვალის უტილიზაციისთვის, რაც ჩვენი პლანეტის წიაღშია. ეს სიმხურვალე, ელექტრულ დენად გარდაქმნილი, უნდა მოხმარდეს ტაო-ლუნად წოდებულ მზარეს, რომლის ფართობი 1 100 კვ. კილომეტრია და განკუთვნილია იმ ხალხის დასახლებლად, ვინც ტუნდრის მასივის ნიადაგისა და ქვენიადაგის მთლიანი საფარის მოსაცილებლად იმუშავენს.

გვირაბს წაკვეთილი კონუსის ფორმა აქვს და წანაკვეთით დედამიწის წიაღისკენაა მიმართული. მისი ჭაურის ეკვატორული კვეთის სიბრტყის მიმართ 62°-ით არის დახრილი. გვირაბის ჭაურის სიგრძე 2080 მეტრია. დედამიწის ხილულ ზედაპირზე ფართო ფუძის დიამეტრი 42 მეტრია, ხოლო დედამიწის წიაღში წაკვეთილი წვეროსი — 5 მეტრი.

გვირაბის ფსკერზე (იმ ადგილას, სადაც თერმოელექტრული ბატარეებია დაყენებული) მიღწეული ტემპერატურაა 184°C.

შრომის საბჭოს მიერ დამტკიცებული პროექტის თანახმად მუშაობა დაიწყო 1934 წლის 1 იანვარს, დამთავრდა ამავე წლის 2 დეკემბერს.

გვირაბის დაყალიბება აფეთქების მეთოდით კი არ შესრულდა, როგორც პროექტით იყო გათვალისწინებული, არამედ წიაღის მიკროფიზიკური ელექტრონული სტრუქტურის შესაბამისად დარეგულირებული ელექტრომაგნიტუ-

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ. რესპუბ.  
გიგლიოთეძე

რი ტალღებით. ვიბრატორით იმ სიგრძისა და სიხშირის ელექტრომაგნიტურ ტალღებს წარვმართავდით, რომლებიც დედამიწის პერიფერიით ატომებში ელექტრონების ბუნებრივ რხევას ზუსტად ემთხვეოდა, ამიტომ გარეგანი და-მატებითი ძალის მოქმედებით მათი მანძილი იზრდებოდა და სტრუქტურული ორბიტების გაგლეჯა ხდებოდა, რის შედეგადაც ატომის ბირთვის რეკონსტრუქცია — მისი სხვა ელემენტებად გარდაქმნა — დაშლა იწყებოდა.

ზედაპირზე მძლავრი, დიდ ფარგლებში სარეგულირებელი რეზონატორები დავდგით. ვიპოვეთ წიაღის ყოველი შემხვედრი დასაშლელი (უფრო სწორად გასამტვერებელი, დასარბილებელი) ქანის ექსპერიმენტულად საშუალო ტალღა. გვირაბის ქაური ყოველ განივ კვეთზე ამგვარად დავფშვენით.

შემდგომ ამისა, გვირაბში წარმოქმნილი ფაფა ფოლადის ბაგირებზე ჩამოკიდებული ლითონის ხუთტონიანი სკრეპერული ციციხეებით ამოვხაპეთ. თუმცაღა, ელექტრომაგნიტური ოპერაციის შემდგომ ეს ფაფა ცოტაღა იყო დარჩენილი: ნიადაგისა და ქანების შემადგენელ ნაწილთა უმეტესობა აირად იქცა და აქროლდა. თიხა, წყალი, გრანიტი თუ რკინის მადანი ერთგვარ რბილ მტვრად და აირად იყო ნაქცევი.

მყარი ნარჩენების სახით სულ 400 ათასი კუბური მეტრი ამოვიღეთ, 640 ათასი კუბური მეტრი აირად აქროლდა.

წარმოქმნილმა კონუსურმა (არცთუ მთლად სწორმა) ყელმა პირი გაუხსნა გრუნტის წყლების 7 ჰორიზონტს. მე-5 ჰორიზონტში ზღვის წყალი აღმოჩნდა, მე-6 და მე-7 ჰორიზონტში — პირველყოფილი, გეოლოგიური, შეკუმშული, მძლავრად დაგაზიანებული, მკვეთრი სამკურნალო თვისებების მქონე წყლები.

ამ წყლის ამოსატუმბად გვირაბში 7 მრგვალი ტერასა წარმოვქმენით (აფეთქების ხერხით, ზუსტი პროფილი გვჭირდებოდა) და ელექტრული ამძრავების მქონე კამერული ტუმბოები დავაყენეთ. ამ ტუმბოებს ერთიანად საათში 120 ათასი კუბური მეტრი წყალი ამოჰქონდა. გვირაბიდან სამუშაოთა მთავარი დამაბრკოლებლის — წყლის გამოდევნა ფილტრაციასა და წყლის ამოტუმბვას შორის წონასწორობის შედეგად საკმაოდ სრულად მოხერხდა.

ამის შემდეგ (აგვისტოში) გვირაბის საპროექტო დაყალიბებას შევუდექით. მაღალი ტემპერატურის გამო ხალხმა მხოლოდ 1000 მეტრამდე შეძლო ჩასვლა; უფრო ქვემოთ სამუშაოს ბაგირებით ვასრულებდით: მათი შემწეობით ტერასებზე ვაყენებდით ტუმბოებს, ვთხრიდით კიუვეტებს და წყალსაყრებ აუზებს, ვმართავდით მიწახაპია ციციხეებს კალთების დაყალიბებისას. გვირაბის ფსკერი და ქაური მთლიანად ტეროიზოლიტით არის დაფარული; საფარის საწყისი სისქე (დედამიწის ზედაპირთან) 2 სანტიმეტრია, სასრული კი 1,25 მეტრი.

გვირაბის აშენების შემდეგ ზემოთ აწყობილი თერმოელექტრული ბატარეები სადენებთან ერთად გვირაბის ფსკერზე ბაგირებით ჩავუშვით და ერთიმეორეზე თორმეტ სართულად დავალაგეთ.

ერთთვიანი საკონტროლო მუშაობის შემდეგ ბატარეებმა გვაჩვენეს, რომ შეუძლიათ წლიურად 172 800 ათასი კილოვატ-საათი უწყვეტი განაცემი მოგვცენ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბატარეების სიმძლავრე 28 000 ცხენის ძალის ტოლია.

სადენთა ბოლოები დედამიწის ზედაპირთან გამომყვან კრონშტეინებზე დამაგრებული და მათში წამოსული დენი მომხმარებელს ელის.

ენერგია ჯერჯერობით ტუნდრის ნიადაგშია გაშვებული — ტუნდრა დნება; პირველად დნება მას შემდეგ, რაც დაფარა და ჩვენ შემოგვინანა უცნაური, სასწაულებრივი სამყარო, რის გამოც შრომის ცენტრალური საბჭოს დადგენილებით მოპოვებულ იქნა დედამიწის შინაგანი სიმბურველი

ვერტ. თერმგვირაბის მთ. ინჟინერი —  
ვლ. კროხოვი.

სამუშაოთა მწარმოებელი —  
ინჟინერი მ. კირპიჩნიკოვი.

№ 2/ა, 1934 წ. 4 დეკემბერი“.

კირპიჩნიკოვი შინ მხოლოდ აპრილში დაბრუნდა, თვრამეტ თვეს ოჯახიდან წასული იყო.

იგი თავს დაღლილად გრძნობდა და ცოლ-შვილთან ერთად სადმე სოფელში წასვლას აპირებდა.

არიან ადამიანები, შეუცნობლად ბუნებასთან შეწყობილნი რომ ცხოვრობენ; თუ ბუნება ძალისხმევას იჩენს, ასეთი ადამიანები ცდილობენ, ბუნებას შინაგანი დაძაბულობითა და თანაგრძნობით დაეხმარონ.

შესაძლოა, ეს ნაშთია იმ ერთიანობის შეგრძნებისა, როცა ბუნება და ადამიანი ერთიან სხეულს შეადგენდნენ და ერთსულოვნად ცხოვრობდნენ.

ასე იყო კირპიჩნიკოვიც. თუ გაზაფხულის უამი მოატანდა, თოვლი დნებოდა და ნაკადულთა რაკრაკს სამხრეთიდან მოფრენილი ჩიტები ციდან ჭიკჭიკს აყოლებდნენ, კირპიჩნიკოვი კმაყოფილებას გრძნობდა. მაგრამ თუ უცაბედად კვლავ თოვას დაიწყებდა, მოყინავდა და ქვეყნიერებას მდუმარე, დაღვრემილი ცა გადაეფარებოდა, სევდამოძალებული კირპიჩნიკოვიც დაიძაბებოდა.

ოცდარვა აპრილს კირპიჩნიკოვები ვოლოშინოში — ვორონეჟის გუბერნიის შორეულ სოფელში გაემგზავრნენ, სადაც ოდესღაც მიხაილის ცოლი, მარია კირპიჩნიკოვა მასწავლებლობდა.

მარიას იქ ქალიშვილობის მოგონებები იზიდავდა, ახსენდებოდა მარტობაში გატარებული წლები, წარმტაცი დღეები, როცა სული იღვიძებდა და საკუთარი არსებობის განსამტკიცებლად ბრძოლას იწყებდა. მარია კირპიჩნიკოვას სანუკვარი სამშობლო ვოლოშინოს მწირ ველთა ჩარჩოში იყო მოქცეული.

მიხაილ კირპიჩნიკოვს ვოლოშინოსკენ გული იმიტომ მიუწევდა, რომ ცოლი, მისი მშვიდი წარსული უყვარდა, ამას გარდა, იმიტომაც, რომ ვოლოშინოს მახლობლად, მეზობელ სოფელ კოჩუბაროვოში ცხოვრობდა კირპიჩნიკოვის ნაცნობი, ინჟინერ-აგრონომი ისაყ მატისენი. კირპიჩნიკოვი და მატისენი ოდესღაც, ინსტიტუტში სწავლისას ხვდებოდნენ ერთმანეთს და ახლობელ ტექნიკურ თემებზე საუბრობდნენ. მატისენმა ელექტროტექნიკური ინსტიტუტი მეორე კურსზე მიატოვა და სასწავლებლად სოფლის მეურნეობის აკადემიაში გადავიდა. კირპიჩნიკოვს მატისენის უმანქანო ტექნიკის თეორია აინტერესებდა. ამ ტექნიკის უნივერსალური იარაღი თვით ადამიანი უნდა ყოფილიყო. კეთილსინდისიერმა, მიზანდასახულმა და ურყევი ნებისყოფის მქონე მატისენმა თავისი აზრის განხორციელება ცხოვრების მიზნად დაისახა.

ახლა იგი კოჩუბაროვს საცდელ-მელიორაციული სადგურის გამგე იყო. კირპიჩნიკოვს ამხანაგი ექვსი წელია არ ენახა, არ იცოდა, რას მიაღწია, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ იგი მიზნის მიღწევას თავგამოდებით შეეცდებოდა.

ვოლოშინოსკენ მიმავალ კირპიჩნიკოვს წინასწარ უხაროდ, მატისუნს რომ უნდა შეხვედროდა.

მიხაილ კირპიჩნიკოვს იმ კირპიჩნიკოვისგან, ოდესღაც გრობოვსკში<sup>1</sup> რომ ცხოვრობდა, კრამიტის სახელოსნოში მუშაობდა, ჭეშმარიტებას ეძიებდა და ოცნებობდა, ცოტა რამდა შემორჩა. ოცნებები თეორიებად იქცა — თეორია კი ნებისყოფად, და თანდათან ხორციელდებოდა. ჭეშმარიტება გულის მომამყუდროებელი რაღაც კი აღარ იყო, სამყაროს პრაქტიკული დაუფლების საშუალებად გარდაიქმნა.

მაგრამ კირპიჩნიკოვს ერთი რამ არ აძლევდა მოსვენებას, ყველგან — წიგნებში, ადამიანთა შორის და სხვათა მეცნიერულ ნაშრომებში ერთთავად ერთ რამეს დაეძებდა. განსვენებული პოპოვის ნაშრომის დამთავრება ეწადა, ელექტრონ-მიკრობთა ხელოვნურ გამრავლებას რომ ეძღვნებოდა. სურდა, ტექნიკურად განეხორციელებინა პოპოვის ეთეროვანი ტრაქტი, რათა მისი შემწეობით მიკრობის ხახამდე ეთეროვანი საკვები მიეზიდა და მიკრობებში სიცოცხლის გაშმაგებული ტემპი აღეძრა.

— „...პასუხი მარტივია — ელექტრომაგნიტური კალაპოტი...“ — დროდადრო ბუტბუტებდა კირპიჩნიკოვი პოპოვის დაუმთავრებელი ნაშრომის უკანასკნელ სიტყვებს და ამაოდ ეძებდა იმ მოვლენას ანდა სხვათა აზრს, რაც „ეთეროვანი ტრაქტის“ საიდუმლოს ამოახსნევინებდა. კირპიჩნიკოვმა იცოდა, ეთეროვანი ტრაქტი ხალხს რასაც მისცემდა: ადამიანი შეძლებდა, ბუნებაში არსებული ყოველი საგანი ეთერის ხარჯზე იმხელა გაეხადა, რამხელასაც ისურვებდა. მაგალითად, ერთი კუბური სანტიმეტრის ხელა რკინის ნაჭერს აიღებდი, მასთან ეთეროვან ტრაქტს მიიყვანდი, ეს რკინის ნაჭერი თვალდათვალ ზრდას დაიწყებდა და არარატის მთის ოდენა გახდებოდა, რადგან რკინაში ელექტრონთა გამრავლება დაიწყებოდა.

კირპიჩნიკოვს მრავალი წლის მანძილზე თუმცა ერთი რამ ჭქონდა აკვირებული და მხოლოდ ამ აზრს ჩაჰკირკიტებდა, ეთეროვანი ტრაქტის ამოცანის გადაწყვეტას ვერა და ვერ ახერხებდა. როცა ტუნდრაში თერმული გვირაბის მშენებლობაზე მუშაობდა, დაუსრულებელ, გულის გამაწყალებელ, შემაშფოთებელ პოლარულ ღამეში სულ ერთსა და იმავე რაღაცაზე ფიქრობდა. თავგზას უბნევდა კიდევ ერთი საიდუმლო, რაც პოპოვის შრომებში არ იყო გადაწყვეტილი: რას წარმოადგენდა ატომის დადებითად დამუხტული ბირთვი, რაშია ც მატერია არსებობდა?

თუ წმინდა უარყოფითი ელექტრონები მიკრობები და ცოცხალი სხეულებია, მაშ ატომის მატერიალური, თანაც დადებითად დამუხტული ბირთვი რაღაა?

ეს არავინ იცოდა. მეცნიერულ შრომებში კირპიჩნიკოვს ამის თაობაზე ბუნდოვანი მითითებანი და ასობით ჰიპოთეზა კი ხვდებოდა, მაგრამ არც ერთი მათგანი არ აკმაყოფილებდა. იგი პრაქტიკულ გადაწყვეტას, ობიექტურ ჭეშმარიტებას ეძებდა და არა სუბიექტურ დაკმაყოფილებას პირველად

<sup>1</sup> შემოთ ავტორი რკინის უწოდებს.

თვალში მოხვედრილი დასკვნით, თუნდაც ბრწყინვალე რომ იქნებოდა, მაგრამ ბუნების აღნაგობას ვერ განმარტავდა.

კირპიჩნიკოვი ვოლოშინოში თავისი ავტომობილით გაემგზავრა, მის დროს ყოველი ადამიანის იარაღად რომ იქცა. მოსკოვიდან კრემლინში მისი თუმცა ცხრაასკილომეტრიანი გზა ედოთ, კირპიჩნიკოვმა გადაწყვიტა, რომ მატარებლით კი არა, ავტომობილით წასულიყვნენ. მიხაილს და მის ცოლს იზიდავდა ნაკლებ ცნობილი გზა, ლამის თვეა დაბა-სოფლებში, ჩრდილოეთის ვაკეთა სადა ბუნება, სახეზე მსუბუქი ნიავის ქროლა — ცოცხალი სამყაროს მთელი მშვენიერება და თანდათანობით განმარტობა, როცა შეგიძლია, თავდავიწყებასა და ფიქრებს მიეცე.

ისინი გაემგზავრნენ. მანქანა „ალგონდა-09“ უხმაუროდ მუშაობდა: ლენინგრადელ აკადემიკოს იოფეს კრისტალური აკუმულატორისგან ძლეულ ბენზინის მობტორს ხუთი წლის წინ სული ამოხდა. ავტომობილი ელექტრული აკუმულატორებით მუშაობდა და აზბესტ-ცემენტის შარაგზაზე მხოლოდ მისი საბურავების წყნარი სისინი გაისმოდა. „ალგონდას“ ათი ათასი კილომეტრის გასავლელად საკმარი ენერჯის მარაგი ჰქონდა, თუმცა მისი აკუმულატორები სულ ათ კილოგრამს იწონიდა.

და, აი, მგზავრთა წინაშე გადაიშალა წარმტაცი სამყარო, რომლის სიღრმეში გონების თვალთ ჩაწვდომას ათეულ საუკუნეთა მანძილზე ცდილობდნენ ბრძენნი ყველა ქვეყნისა და კულტურისა. ბუდა, ვედების შემდგენელნი, ათობით ეგვიპტელი და არაბი, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, სპინოზა, კანტი, ბოლოს, ბერგსონი და შპენგლერი — ყველა ცდილობდა, სამყაროს არსს ჩასწვდომოდა. საქმე კი ის არის, რომ ჭეშმარიტების მიხვედრა შეუძლებელია, ჭეშმარიტებამდე შრომით უნდა მიხვიდე: აი, როცა მუშაკაცი მთელ სამყაროს თითებში გამოატარებს და სასარგებლო საგნად აქცევს, ჭეშმარიტების სრულ დაუფლებაზე ლაპარაკი მაშინ შეგვეძლება. ამას გულისხმობდა ფილოსოფია რევოლუციისა, თვრამეტი წლის წინ რომ მოხდა და მთლიანად ჯერაც არ დამთავრებულა.

შეცნობა უშუალო შეგრძნებას და გარდაქმნას გულისხმობს — რევოლუციის ეს ფილოსოფია კირპიჩნიკოვს მთელი სისხლითა და ხორციით სწამდა, მის სულს ეს ასაზრდოებდა და ნებისყოფას ბრძოლისუნარიან იარაღად უქცევდა.

კირპიჩნიკოვი „ალგონდას“ მიაქროლებდა, იღიმებოდა და გარემოს აკვირდებოდა. სამყარო ისეთი აღარ იყო, როგორსაც ბავშვობისას, მიყრუებულ გრობოვსკში ხედავდა. მინდვრად მანქანები გუგუნებდა; პირველ ორას კილომეტრზე ექვსჯერ შემოხვდა მძლავრი ცენტრალებიდან გამოყვანილი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი. სოფელს სახე ძალზე ეცვალა — ხალის საბურავების, წნული ღობეების, ნაკელის, წვრილი და მრუდე ძელების ნაცვლად სამშენებლოდ გამოყენებული იყო კრამიტი, რკინა, აგური, ტოლი, ტერეზიტი, ცემენტი და, ბოლოს, ხე, მაგრამ ისეთი ნივთიერებით გაუღენთილი, რაც უწევას ხდიდა. ხალხი შესამჩნევად შესუქდა და გულკეთილი გახდა. ისტორია დიალექტიკური მატერიალიზმის პრაქტიკულ გამოყენებად იქცა. ხელოვნურმა რწყვამ მოსკოვის პარალელამდე მიაღწია. საწვიმბელი მოწყობილობანი ისევე ხშირად ხვდებოდათ, როგორც სახნავ-სათესი მანქანები. მოსკოვის ჩრდილოეთით საწვიმბელები ქრებოდა და სადრენაეო

დამშრობი მექანიზმები ჩნდებოდა. საწვიმებლებიცა და დამშრობებიც გარეგნულად ტრაქტორებს წააგავდა.

კირპიჩნიკოვის ცოლი შვილებს სოციალისტური ქვეყნის ამ სოცხალ ეკონომიკურ გეოგრაფიას უჩვენებდა და მის მონათბრობას კირპიჩნიკოვიც სიამოვნებით უსმენდა. დაძაბულმა პირადმა ცხოვრებამ ჩაუხშო დანახვისა და გაოცების, ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებით ტკბობის შეგრძნების უნარი.

მგზავრები ვოლოშინოში მხოლოდ მეხუთე დღეს ჩავიდნენ.

იმ სახლის წინ, სადაც კირპიჩნიკოვები დაბინავდნენ, ალუბლის ბალი მოჩანდა. ალუბლის შტოებს კვირტები უკვე დაბეროდა, მაგრამ თვალწარმტაცი, საამური თეთრი სამოსლით ჯერ არ შემოსილიყო.

თბილოდა. ისეთი მშვიდი და საბედნიერო შუქით გაბრწყინებული დღეები იდგა, თითქოს კაცობრიობას ათასწლოვანი ნეტარების დილა გასთენებოდა.

კირპიჩნიკოვი ერთი დღის შემდეგ მატისენს ესტუმრა.

ისაკი მის სტუმრობას სრულებით არ გაუკვირვებია.

— მე ყოველდღიურად გაცილებით ახალ და ორიგინალურ მოვლენებს ვხედავ, — განუმარტა კირპიჩნიკოვს მატისენმა, როცა შეამჩნია, რომ სტუმარი მისმა გულგრილმა დახვედრამ შეაცბუნა.

ერთი საათის შემდეგ მატისენი ცოტა მოლბა.

— ეშმაკის კერძო, დაცოლშვილდი და სანტიმენტალობას მიეჩვიე, არა? მე კი, ძმობილო, შრომა შვილებზე უფრო მყარ მემკვიდრეობად მიმაჩნია! — თქვა ეს და გაიცინა, მაგრამ ისე საშინლად, რომ მულოტი თავი დაუნაოჭდა. ეტყობოდა, რომ მისი სიცილი ისეთივე ხშირი მოვლენა გახლდათ, როგორც მზის დაბნელება.

— აბა, მომიყევი და მაჩვენე, რას აკეთებ, რას საქმიანობ, რა გიყვარს! — გაუღიმა კირპიჩნიკოვმა.

— რაო, ცნობისმოყვარეობა მოგეძალა? მომწონს და მივესალმები!.. მაგრამ ყური მიგდე, — მხოლოდ ჩემს უმთავრეს ნამუშევარს გაჩვენებ, რადგან დასრულებულად მიმაჩნია. სხვა სამუშაოზე არაფერს გეტყვი და ნურცა მკითხავ!..

— იცი რა, ისაკ, — უთხრა კირპიჩნიკოვმა, — მაინტერესებს, უმანქანო ტექნიკის თემაზე ისევ მუშაობ? თუ ეს პრობლემა უკვე გადაგავიწყდა და გული აიცრუე?

მატისენმა თვალეები მოჭუტა, უნდოდა, ეხუმრა და ამხანაგი განეცვიფრებინა, მაგრამ მერე გადაავიწყდა, ანგარიშმიუცემლად ამოიოხრა, უძრაობას ნაჩვევი სახე შეიჭმუნა და უბრალოდ უპასუხა:

— კოლეგა კირპიჩნიკოვო, სწორედ ამას გაჩვენებ!

მათ პლანტაციები გაიარეს, პატარა მდინარის ხეობაში ჩავიდნენ და შეჩერდნენ. მატისენი წამოიშართა, სახე ჰორიზონტისკენ მიაპყრო, თითქოს ბორცვის ფერდობზე მილიონიან აუდიტორიას გასცქერისო, და კირპიჩნიკოვს მიშართა:

— მოკლედ გეტყვი, მაგრამ გაიგებ: ელექტრიკოსი ხარ და ეს შენი დარგის სფეროშია! ოღონდ ნუ გამაწყვეტინებ: ორივეს მიგვეჩქარება — შენ ცოლისკენ (მატისენმა წელანდელივით გაიცინა — თავზე გამელოტებული კანი



ისევ შეუნაოჭდა და ყბები ერთმანეთს დასცილდა, სხვაფრივ კი ხახვი (არ შეს-  
ტოკებია), მე კი — ნიადაგისკენ.

კირპიჩნიკოვმა ამაზე არაფერი უპასუხა და შეეკითხა:

— მატისენო, ხელსაწყოები სადა გაქვს? მე შენი ლექციების მოსმენა კი  
არ მწადია, ექსპერიმენტების ნახვა მსურს!

— ერთიც იქნება და მეორეც, კირპიჩნიკოვო, ერთიც და მეორეც! ყვე-  
ლა ხელსაწყო კი თავის ადგილზეა! თუ ვერ ხედავ, მაშ ვერც გაიგონებ ვერა-  
ფერს და ვერც გაიგებ!

— გისმენ, მატისენო! — მოკლედ დააჩქარა კირპიჩნიკოვმა.

— მაშ მისმენ, ხომ! თუ ასეა, ვილაპარაკებ, — მატისენმა ქვა აიღო,  
რაც ძალა და ღონე ჰქონდა, მდინარის გაღმა გაისროლა და დაიწყო: — თვა-  
ლითაც კი ჩანს, რომ ყოველი სხეული, თუ შეარხევ ან ადგილს უცვლი, ელექ-  
ტრომაგნიტურ ენერგიას გამოასხივებს. ხომ ასეა? და ყოველ ცვლილებას —  
ზუსტად, განუმეორებლად, ინდივიდუალურად — ამა და ამ სიგრძისა და ამა  
და ამ სიხშირის ელექტრომაგნიტურ ტალღათა მთელი კომპლექსის გამოსხი-  
ვება შეესაბამება. ერთი სიტყვით, გამოსხივება, თუნდაც რადიაცია, საცდე-  
ლი სხეულის ცვლილების, გარდაქმნის ხარისხზე დამოკიდებული. შემდგომ,  
რადგან აზრი ტვინის წყობის გარდამქმნელი პროცესია, იგი ტვინს სივრცეში  
ელექტრომაგნიტურ ტალღებს გამოასხივებინებს.

მაგრამ აზრი იმაზეა დამოკიდებული, ადამიანი კონკრეტულად რას გაი-  
ფიქრებს, — ამაზევეა დამოკიდებული, ტვინის წყობა როგორ და რამდენად  
შეიცვლება. ხოლო ტვინის ცვლილებაზე ანდა მდგომარეობაზეა უკვე დამო-  
კიდებული, როგორი იქნება ეს ტალღები. მოაზროვნე, წყობაშეცვლილი ტვი-  
ნი ელექტრომაგნიტურ ტალღებს ქმნის, თანაც ყოველ შემთხვევაში სხვადა-  
სხვანაირად ქმნის: გააჩნია, ტვინს წყობა რა აზრმა შეუცვალა. კირპიჩნიკოვო,  
ყველაფერი ცხადია?

— დიახ, — დაუმოწმა კირპიჩნიკოვმა, — განაგრძე!

მატისენი კოლბოხზე ჩამოჯდა, დაქანცული თვალები მოისრისა და გა-  
ნაგრძო:

— ცდების ჩატარებით აღმოვაჩინე, რომ ყოველი სახეობის ტალღას  
ერთი ზუსტად განსაზღვრული აზრი შეესაბამება. რა თქმა უნდა, ცოტას ვა-  
ზოგადებ და ვასქემატიზირებ, რომ უკეთ მიხვდეთ. სინამდვილეში კი ყოველივე  
გაცილებით რთულია. მაშ ასე. მე უნივერსალური მიმღები — რეზონატორი  
ავაგე, რომელიც ყოველგვარი სიგრძისა და სიხშირის ტალღებს იჭერს და  
აფიქსირებს. მაგრამ უნდა გითხრა, რომ თუნდაც ერთი, ყველაზე უმნიშვნე-  
ლო და უმოკლესი აზრიც კი ტალღათა მთელ ურთულეს სისტემას წარ-  
მოქმნის.

მაგრამ აზრს, ვთქვათ, „წყვეულ ძალას“ (გახსოვს ეს რევოლუციამდელი  
ტერმინი?) მაინც ტალღათა უკვე ცნობილი, ექსპერიმენტულად დადგენილი  
სისტემა შეესაბამება. სხვა კაცისგან გამოწვეული ტალღათა სისტემა მხოლოდ  
მცირედად განსხვავებული იქნება.

და, აი, ჩემი მიმღებ-რეზონატორი რელეთა სისტემას და ტექნიკურად  
რთულ, მაგრამ სადად და ერთიანად გამიზნულ აღმასრულებელ აპარატებსა  
და მექანიზმებს შევუერთე. თუმცაღა ეს სისტემა კიდევ უფრო გასართუ-  
ლებელი და გასააზრებელია. შემდეგ იგი საყოველთაოდ მოსახმარებლად

მთელ დედამიწაზე უნდა გავრცელდეს. ჯერჯერობით კი მცირე ნაკვეთზე და აზრთა განსაზღვრული ციკლისთვის ვამუშავებ.

ახლა კი ნახე! მდინარის გაღმა კვლებს თუ ხედავ? ეს კომპლექსის ჩითილი მაქვს დარგული. თუ ამჩნევ, უწვიმობისგან უკვე ჩაშტამქვანდა. ახლა თვალი ადევნე: მე მკაფიოდ ვფიქრობ და წარმოვთქვამ კიდევ, თუმცა წარმოთქმა აუცილებელი არ არის: მ-ო-რ-წ-ყ-ე! ჰკუის კოლოფო, მდინარის გაღმა გაიხედე!..

კირპიჩნიკოვი მდინარის გაღმა ნაპირს დააკვირდა და ბუჩქში სანახევროდ ჩამალული, რწყვისთვის განკუთვნილი სატუმბი მოწყობილობა და რაღაც კომპაქტური ხელსაწყო ახლალა დაინახა. მიხვდა, ალბათ მიმღებ-რეზონატორი იქნებაო.

მატისენმა წარმოთქვა თუ არა — მორწყეო — სატუმბი მოწყობილობა ამუშავდა, ტუმბომ მდინარიდან წყლის ამოქაჩვა დაიწყო და მთელ კობოსტოს ნაკვეთზე ფრქვევანა-დამწვიმებლებიდან წვრილ-წვრილი წვეთების მშხეფავმა პატარა შადრევნებმა იფეთქა. შადრევნებში მზის სხივებმა ცისარტყელა აათამაშა, მთელი ნაკვეთი ახმაურდა და გამოცოცხლდა: ტუმბო ზუზუნებდა, წყალი შხუოდა, ნიადაგი იყვინთებოდა და ნორჩმა მცენარეებმაც სული მოითქვა.

მატისენი და კირპიჩნიკოვი კობოსტოს ნაკვეთიდან ოციოდე მეტრზე მდუმარედ იდგნენ და ამ უცნაურ, დამოუკიდებელ სამყაროს თვალს ადევნებდნენ.

მატისენმა კირპიჩნიკოვს გესლიანად შეხედა და უთხრა:

— ხედავ, ადამიანის აზრი რად იქცა? გონივრული ნების ქმედებად! ხომ ასეა, არა?

ეს თქვა და უსიცოცხლო სახეზე სევდიანმა ღიმილმა გადაურბინა.

კირპიჩნიკოვმა იგრძნო, გულსა და გონებაში მხურვალე, მწველმა ჭაკლმა როგორ დაურბინა, ისევე, როგორც მაშინ, როცა თავის მომავალ ცოლს შეხედა. ამასთანავე რაღაც ფარული სირცხვილი და იღუმალი სიძაბუნეც დაეუფლა — შეგრძნებანი, რაც ყოველ მკვლელს აღეძვრება, თუნდაც მკვლელობა მთელი სამყაროს გულისთვის იყოს ჩადენილი. მატისენი კირპიჩნიკოვის თვალწინ ბუნებაზე აშკარად ძალმომრეობდა. ხოლო დანაშაული იმაში მდგომარეობდა, რომ არც თვით მატისენი და არც მთელი კაცობრიობა ბუნებაზე უფრო მეტად ღირებულ ფასეულობას ჯერ არ წარმოადგენდნენ. პირიქით, ბუნება ჯერაც ყველა ადამიანზე უფრო ღრმა, ბრძენი და მრავალფეროვანი იყო.

მატისენმა განმარტა:

— ყველაფერი ძალზე მარტივია! ადამიანი, ანუ მე, მოცემულ შემთხვევაში აღმსრულებელი მექანიზმების სფეროშია მოქცეული და მისი აზრი (მაგალითად, „მორწყე“) აღმსურებელი მანქანების შესაძლებლობათა გეგმაშია: ეს მანქანები ასეა აგებული. აზრს — მორწყე — რეზონატორი აღიქვამს. ამ აზრს ტალღების ზუსტი, განუმეორებელი სისტემა შეესამება. სახელდობრ, მხოლოდ ამა და ამ სიგრძისა და ამა და ამ სიხშირის ტალღებით, რაც მოცემული აზრის — მორწყე — ეკვივალენტურია, ჩაირთვება ის რელები, რომლებიც აღმასრულებელ მექანიზმებში მორწყვას განაგებს. ანუ იქ დენი პირდაპირ ჩაირთვება და ელექტრომოტორ-ტუმბოს აგრეგატი მუშაობას იწ-

ყებს. ამიტომ ადამიანი გონებაში გაივლებს თუ არა აზრს — მორწყე — კომ-  
ბოსტოს ძირებთან იმავე წამს წყალი აჩუხჩუხდება.

ამგვარი უმაღლესი ტექნიკა მიზნად ისახავს, ადამიანი კუნთებით მუშა-  
ობისგან გაათავისუფლოს. საკმარისი იქნება, გაიფიქრო, რაც საჭიროა, და  
ვარსკვლავი გზას შეიცვლის... მაგრამ მე მინდა, იმას მივალწიო, რომ აღარ  
დამჭირდეს აღარც აღმასრულებელი მანქანები და აღარც რაიმე მუშაობა,  
და ბუნებაზე პირდაპირ და უშუალოდ, მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკის  
ტურბაციით ვიმოქმედო. მე მჭერა უმანქანო ტექნიკის წარმატებისა. ვიცი,  
რომ საკმარისია ადამიანსა და ბუნებას შორის ერთი კონტაქტი — აზრი, —  
რათა სამყაროს მთელი ნივთიერება მართო! მიხვდი?... განვიმარტავ. ხომ იცი,  
ყოველ სხეულში არის ისეთი ადგილი, ისეთი გული, რომ იმ ადგილს ერთი  
თუ ჩაუწყობურტე — მთელი სხეული შენი განდება: რასაც გინდა, იმას უზამ!  
ხოლო თუ სხეულს იქ განმსჭვალავ, სადაც საჭიროა და როგორც საჭიროა,  
იგი თავად იქმს იმას, რასაც უბრძანებ! პოდა, მე მიმაჩნია, რომ ეს ელექ-  
ტრომაგნიტური ძალა, რასაც ადამიანის ტვინი ყოველი გაფიქრებისას გა-  
მოსცემს, სრულიად საკმარისია, რათა ბუნება ისე განმსჭვალოს, რომ იგი  
ჩვენი შეიქნეს!..

კირპიჩნიკოვმა მატისენს გამომშვიდობებისას ხელი ჩამოართვა, მერე გა-  
დაეხვია და მხურვალე გრძნობით და სრულიად გულწრფელად უთხრა:

— გმადლობ, ისაკ! გმადლობ, მეგობარო! იცი რა, მხოლოდ ერთი პრობ-  
ლემა არის კიდევ, შენსას რომ გაუტოლდება! მაგრამ ის ჯერ ამოუხსნელია,  
შენი კი თითქმის მზად არის... მშვიდობით! ერთხელ კიდევ გიხდი მადლო-  
ბას! ყველამ შენაირად უნდა იმუშაოს — ბასრი გონებით და ცივი გულით!  
ნახვამდის!

— მშვიდობით! — უპასუხა მატისენმა და ფეხზე არც გაუხდია, წყალ-  
მარჩხი მდინარის ფონში ისე შეტოპა გაღმა გასასვლელად.

სანამ კირპიჩნიკოვი ვოლოშინოში ისვენებდა, მსოფლიო სენსაციამ შეა-  
ზანზარა. დიდი ტბებისპირა ტუნდრაში პროფესორ გომონოვის ექსპედიციამ  
ორი გვამი აღმოაჩინა: მამაკაცი და ქალი დაუზიანებლად შემონახულ ნობზე  
გადახვეულები იწვნენ. უნაყოფო ცისფერ ნობზე უცნობი ცხოველის თხელი  
ტყავი ეფინა. ადამიანებს მუქი ფერის სქელი, უნაკერო ქსოვილის ტანსაც-  
მელი ეცვათ. ქსოვილზე გამოსახულ ტანკენარ, მაღალ მცენარეთა კენწერო-  
ებს ყვავილი და ორი ფოთოლი ამშვენებდა. კაცი მოხუცი იყო, ქალი ახალ-  
გაზრდა. ალბათ მამა-შვილი იყვნენ. სახე და სხეული ისეთივე იერისა და  
აღნაგობისა ჰქონდათ, როგორც ქვემო კოლიმის ტუნდრაში აღმოჩენილ ადა-  
მიანებს. მშვიდ სახეთა ისეთივე გამომეტყველება: თან მოღიმარე, თან სევ-  
დიანი, თან ფიქრიანი, — თითქოს მეომარს მარმარდლოთი ნაგები; მიუვალი  
ქალაქი დაუპყრია, მაგრამ ქანდაკებათა, შენობათა და უცხო ნაგებობათა შო-  
რის დაქანცული და განცვიფრებული დაცემულა და მომკვდარაო.

მამაკაცს ქალი გულში მაგრად ჩაეკრა, თითქოს მისი უშფოთველობა  
და უმანკოება სიკვდილს უნდა შეუნახოსო. ნობის ქვეშ, რაზედაც უძველესი  
ტუნდრის მკვდარი ბინადარნი იწვნენ, ორი წიგნი იპოვეს — ერთი იმავე  
შრიფტით იყო დაბეჭდილი, რომლითაც ქვემო კოლიმაში ნაპოვნი წიგნი, მე-

ორეს კი სხვანაირი ნიშნები ჰქონდა. ეს ნიშნები ასოები კი არა, ერთგვარი სიმბოლოები გახლდათ, ოღონდ ყოველ სიმბოლოს ძალზე ზუსტად შეესაბამებოდა ცალკეული ცნება. სიმბოლოები ძალზე ბევრი იყო, ამიტომ მათ გაშიფვრას მთელი ზუთი თვე დასჭირდა. ამის შემდეგ წიგნი ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის მეთვალყურეობით ითარგმნა და აღმოჩენილი წიგნის ტექსტის ნაწილი ამოუკითხავი დარჩა: რაღაც უცნობი ნიშნები რჩებას, რომელიც ალბათ ნოხში იყო, ძვირფასი გვერდები ძალზე დაეზიანებინა — წიგნის ფურცლები გაშავებულიყო და ვერავითარმა რეაქციამ მათზე სიმბოლური ნიშნები ვეღარ გამოავლინა.

აღმოჩენილი ნაწარმოების შინაარსი განყენებულ-ფილოსოფიური, ნაწილობრივ ისტორიულ-სოციოლოგიური გახლდათ. მაგრამ ნაწარმოებმა როგორც თემის, ისე ბრწყინვალე სტილის გამო ისეთი დაინტერესება გამოიწვია, რომ წიგნი ორი თვის მანძილზე ზედიზედ თერთმეტჯერ გამოიცა.

კირპიჩნიკოვმა წიგნი გამოიწერა. იგი ყველგან ერთსა და იმავეს დაეძებდა — ეთეროვანი ტრაქტის ამოსახსნელ გასაღებს.

როცა მატისენს ესტუმრა და უკან ბრუნდებოდა, თავში თითქოს რაღაც ამოუტივტივდა და გაუხარდა, მაგრამ მერე ყოველივე კვლავ გაქრა — მიხვდა, რომ მატისენის ნაწარმოები მის მტანჯველ პრობლემას მხოლოდ შორეულად ენათესავებოდა.

კირპიჩნიკოვმა წიგნი მიიღო თუ არა, უმაღლ დაეწაფა, რადგან მხოლოდ ერთი აზრი არ აძლევდა მოსვენებას, სტრიქონთა შორის მხოლოდ ერთ რამეს დაეძებდა, ჩემი ოცნების ამოსაცნობად იქნებ ბუნდოვან ქარაგმას მაინც წავაწყდეთ. დიდი ტბებისპირა კულტურაში ეთეროვანი ტრაქტის საიდუმლოს განმარტების ძებნა თუმცა უგუნურება, სრული უაზრობა იყო, გარდაცვლილი ფილოსოფოსის თხზულება მაინც სულმოუთქმელად წაიკითხა.

თხზულებას ავტორის სახელი არ ეწერა, „აიუნის სიმღერა“ ერქვა. კირპიჩნიკოვმა თხზულება წაიკითხვით კი წაიკითხა, მაგრამ არაფერს გაუოცებია — იქ ყურადსაღები ვერაფერი ნახა.

— მოსაწყენია! — თქვა მან. — ტუნდრაშიც გონივრული ვერაფერი მოუხაზრებიანთ! სულ სიყვარული, შემოქმედება და სული, პური და რკინა სადღაა?..



კირპიჩნიკოვი ძალზე დასევდიანდა, რადგან ადამიანი იყო, ადამიანს კი ხანდახან სევდა მოერევა ხოლმე. უკვე ოცდათხუთმეტი წელი შეუსრულდა. მის მიერ ეთეროვანი ტრაქტის შესაქმნელად აგებული ხელსაწყოები დუმდა და კირპიჩნიკოვის შეცდომას ცხადსა ხდიდა. კირპიჩნიკოვი ყოველნაირად ცდილობდა, ექსპერიმენტთა შემწეობით ამოეხსნა პოპოვის ფრაზა — „პასუხი მარტივია — ელექტრომაგნიტური კალაპოტი“, მაგრამ ეს მხოლოდ ფოკუსები იყო და მეტი არაფერი, ეთერიდან ელექტრონებისკენ საკვების მიმწოდებელი სადენი ვერა და ვერ შექმნა.

— კმარა! — გაშმაგებით უთხრა საკუთარ თავს ბოლმამორეულმა კირპიჩნიკოვმა. — მაშასადამე, ხელი სხვა საქმეს უნდა მოჰკიდო! — მერე კოლისა და შვილების სუნთქვას მიუგდო ყური (ღამე იყო და ეძინათ), პანიროსი გააბოლა, ფანჯრის მიღმა ტვერსკაიას გუგუნს მიაყურა და ყველა-

ფერს ხაზი უცებ გადაუსვა. გიჯობს, დედამიწის გზებს ფეხით გაუყვე, ფესვები გილპება, ინჟინერო კირპიჩნიკოვო! ოჯახი? არა უშავს — ცოლი ლამაზია, ახალი ქმარი მასთან თავად მოირბენს, შვილები ჯანმრთელნი არიან, ქვრეყანა მდიდარია — ასაზრდოებს და გამოზრდის! ერთადერთი საშველი ესაა, სხვაგვარად — გამოღებულ კართან თოვლის ნაბუქში უნდა ჩაკვდეთ... როგორც ფადეი კირილოვიჩს დაემართა!.. დიახ, კირპიჩნიკოვო, გასული საძმე... კირპიჩნიკოვმა ძალზე სანტიმენტალურად, ნამდვილად კი გულწრფელად და ტანჯულად ამოიოხრა.

— რა მაქვს გაკეთებული? — ჩურჩულით განაგრძო ლამეული საუბარი საკუთარ თავთან. — არაფერი. გვირაბი? დიდი რამეც ის არის: უჩემოდაც ააგებდნენ. კროხოვი ჩემზე ნიჭიერი იყო. აი, მატისენი კი ნამდვილი მუშაკია! მანქანებს აზრით ამუშავენს! მე კი... მე კი ცხოვრებას ვეხვევი, გულში ვიკრავ, ვუაღერსებ, მაგრამ ვერ ვანაყოფიერებ... თითქოს კაცი დაქორწინდა, მამაკაცი კი მხოლოდ გარეგნულადაა და ცოლი მოატყუაო...

კირპიჩნიკოვი ახლა გონს მოეგო:

— რას ფილოსოფოსობთ, ბატონო ჩემო? სასოწარკვეთამ შეგიპყროთ? სდექ! ძმობილო, გეტყობა, ნერვები დაგერღვა: სუბიექტური ტანჯვის უნარის უქონელი უბრალო ფიზიოლოგიური მექანიკა... მაშ რატომღა იტანჯები?

უცაბედად და შეუფერებელ დროს ტელეფონი აწკრიალდა:

— კროხოვი ვარ. გამარჯობა, კირპიჩნიკოვო!

— გაგიმარჯოს, რა გინდა?

— ძმობილო, მე სამუშაოდ განმაწესეს. ატლანტის ოკეანეზე ფეისულის ვერფისკენ მივემგზავრები პირველი კომპრესორულ-ტალღური ხომალდის ასაგებად. გეცოდინება, როგორია ეს ახალი კონსტრუქცია: ხომალდი თვით ოკეანის ტალღების ძალის ხარჯზე მოძრაობს! ინჟინერ ფლიუველბერგის პროექტია.

— გამიგონია. მერედა, მე რა შუაში ვარ?

— რას ბუზღუნებ? ალბათ გულსა გძმარავს! შე უხიაკო, ვერფის მთავარ ინჟინრად მივდივარ, შენ კი მოადგილედ მინდა წაგიყვანო! მე ხომ განათლებით გემთმშენებელი ვარ — როგორმე თავს გავართმევთ, თვითონ ფლიუველბერგიც ჩვენთან იქნება! ჰა, წამოხვალ?

— არა, არ წამოვალ, — უპასუხა კირპიჩნიკოვმა.

— რატომ? — ჰკითხა განცვიფრებულმა კროხოვმა. — სად მუშაობ?

— არსად.

— კარგი ახლა, ყმაწვილო! გულის ძმარვა გაგივლის და მერე ინანებ! ერთ კვირას მოგიცდი.

— ნუ მომიცდი, არ წამოვალ!

— კარგი, შენი ნებაა!

— მშვიდობით.

— ძილი ნებისა.

კირპიჩნიკოვი საწოლ ოთახში გავიდა. ერთხანს კარებთან მდუმარედ იდგა, მერე ძველი პალტო ჩაიცვა, შლაპა დაიხურა, აბგა აიღო და შინიდან სამუდამოდ წავიდა. სინანული არაფრისა მიჰყვებოდა და მხოლოდ თავისი იდუმალი საწუხარი აფორიაქებდა. ერთი რამ იცოდა: ეთეროვანი ტრაქტის აგება დაეხმარებოდა იმაში, რომ ცდების მეშვეობით აღმოეჩინა ეთერი, როგორც სამყაროს გენერალური სხეული, რომელიც თავისი წიალიდან ყოველივეს წარ-

მოქმნიდა და ყველაფერს თავისსავე წიაღში აბრუნებდა. მაშინ მთელ სამყაროს ტექნიკურად, ანუ ერთადერთი ჭეშმარიტი საშუალებით განჭვრეტდა და დაეპატრონებოდა, საკუთარ თავსაც და ხალხსაც ცხოვრების-ცხოველმყოფელ, უმთავრეს აზრს მოუპოვებდა. ეს ძველთაძველი საზრუნავია, მაგრამ/სწორედ ძველი ჭრილობებია მტკივნეული. მარტო უჯიშო გლახაკები იყვნენ, ჰამე, იშრომე და ენას კბილი დააჭირეო. მაგრამ თუ შენი გონება უმწიფებელია და საზრდოს ისევე გაშმაგებით ეძიებს, როგორც შენივე სხეული, რა უნდა ქნას? მაშინ ვაი შენს დღეს! საკუთარ თავს თავადვე უნდა უშველო, ნურავის იმედი ნუ გექნება.

დიახ, ასეა! თუ იბოვით სადმე კაცს, უჭმელ-უსმელი რომ ცოცხლობდეს! ბოლო კირპიჩნიკოვი იმ ეპოქაში იყო, როცა გონება საკვებს დაუყოვნებლივ თხოულობდა. ეს ისეთივე ცხარე, გაშმაგებულ წყურვილად იქცა, როგორც შიმშილი სტომაქისა, როგორც ვნების წადილი სქესისა.

შესაძლოა, ადამიანი, თავისდა შეუმჩნეველად, საკუთარი წიაღიდან ბადებდა ახალ, დიდებულ არსებას, რომლის მამოძრავებელი გრძნობა ინტელექტუალური შემეცნება იყო და სხვა არაა! ალბათ ასეა. და ამ არსების პირველი წარმომადგენელი და წამებული კირპიჩნიკოვი გახლდათ.

კირპიჩნიკოვი ვაგზალში ფეხით მივიდა, მატარებელში ჩაჯდა და თავის შორეულ, მივიწყების ბურუსში ჩაძირულ სამშობლოსკენ — გრობოვსკისკენ გაემგზავრა. თორმეტი წელია, რაც იქ აღარ ყოფილა. ისე მიდიოდა, გარკვეული მიზანი არ ჰქონდა. იქით მიაქანებდა საკუთარი გონების წუხილი და მისწრაფება იმ რეფლექსის პოვნისა, რაც მის აზროვნებას ეთეროვანი ტრაქტის აღმოჩენისკენ უბიძგებდა. თავს უაზრო იმედით ინუგეშებდა, უკაცრიელ პროვინციულ გარემოში უცნობ რეფლექსს მივაკვლევო.

კირპიჩნიკოვმა ვაგონში ფეხი შედგა თუ არა, თავი უმაღვე ინჟინრად კი არა, მიყრუებული ხუტორიდან წამოსულ ახალგაზრდა გლეხად იგრძნო და თანამგზავრებს საუბარი ცოცხალ სოფელურ ენაზე გაუბა.

რუსეთის დახრამული ველი ოქტომბერში დილის ექვს საათზე აპოკალიფსური მოვლენაა — თუ ძველებური წიგნი აპოკალიფსი წაგიკითხავთ. ნესტიანი, ჩაჯანღული ჰაერის მთავრებნილები მოიგრაგნება, ხევსუვეებში ნაყური წყალი საწყალობლად ჩუჩუნებს, ამ საყენზე ნისლის კედლები მოედინება და ფეხით მიმავალი მგზავრის გონებას სევდანარევი ბრაზი აფორიაქებს. ასეთ ამინდში ასეთ მზარეში თუ კაცი სოფელში დაიძინებს, შესაძლოა, შემადრწუნებელი რაღაც ესიზმროს.

მართლაც, გზაზე ერთი კაცი მიდიოდა, ღამე მახლობელ სოფელში რომ გაეთია. ვინ იცის, ვინ იყო. არიან ამგვარი სექტანტები, ზემო დონელი მეტეფზეები და სხვა ამგვარი ხალხი. მგზავრი კაცი კი არა, ჰაბუკი უფრო იყო. იგი ჩქარობდა, ნაბიჯი ერეოდა და გამხდარ, სველ ხელებს ისრესდა. ხრამში ტბორი მოჩანდა, კაცი თიხნარ ფერდობზე ჩაბობდა და წყალი დალია. რა დროს წყლის სმა იყო — ასეთ ამინდში, სინესტეში, ოქტომბრის ცივ დღეს წყალს ნარბენი კაციც კი არ დალევს. მგზავრი კი ბევრს სვამდა, მადიანად და ხარბად, თითქოს კუჭს კი არ უკლავს წყურვილს, გადახურებულ გულს იბოზავს და იგრილებსო.

კაცი გამოფხიზლდა და კვლავ გზა განაგრძო, თან ისე იცქირებოდა, თითქოს შეშინებულიაო.

გავიდა ორი საათი; მგზავრს ღრმა ტალახში სიარულისგან ქანცი გამოე-  
ლია და ნატრობდა, იქნებ შემთხვევით შორიახლოს რამე სოფელი გამოჩ-  
ნდესო.

დაიწყო ველი, ხრამები გამოილია და გაქრა, სადღაც უბადრუკ მხარეში  
ჩაიკარგა.

მაგრამ დრო გადიოდა და გზასთან სოფელი არსად ჩანდა. მაშინ ჭაბუკი  
ქარისგან გამოფიტულ კოლბოხზე ჩამოჯდა და ამოიოხრა. ეტყობოდა, წესი-  
ერი, უსიტყვო, მომთმენი სულის მქონე კაცი იყო.

სივრცე კვლავ უკაცრიელი ჩანდა, მაგრამ ნისლი თანდათან აიყარა და  
ნაჭაფი მინდვრები გააშიშვლა, მზესუმზირების უსიცოცხლო ღეროებს რომ  
დაეფარა. დღეს თანდათან კრძალული შუქი ეპარებოდა.

ჭაბუკმა ხევში ჩაგდებული ქვა დაინახა და შეებრაღა, ასე მარტო რომ  
უნდა ყოფილიყო მიჯაჭვული იმ უბადრუკ ადგილას. იგი უმაღლვე წამოდგა  
და გზა განაგრძო; ატალახებულ ველებზე მიმოყრილ უსახელო საგნებს გას-  
ცქეროდა და მათი ხვედრი სიბრაღულს აღუძრავდა.

მალე გზამ ჩაივარა და თხუთმეტითდე კომლიანი პატარა სოფელი გა-  
მოჩნდა.

ქვეითად მიმავალი კაცი პირველივე ძელურთან გაჩერდა და კარზე მია-  
კაკუნა. არავინ უპასუხა. მაშინ შიგნით უნებართვოდ შევიდა.

ძელურში ჭარმაგი, უწვერ-ულვაშო გლეხი დახვდა, სახე ჯაფისა თუ გმი-  
რულ საქმეთაგან დაქანცული რომ ჰქონდა. ისე იჯდა, თითქოს იქ თავადაც  
ახლახან შესულა, დაღლილს განძრევის თავი აღარა აქვს და სტუმარს კაკუნ-  
ზე იმიტომ არ უპასუხაო.

გრობოვსკის ოლქის მცხოვრები ჭაბუკი ძელურში მჯდარ დაღვრემილ  
კაცს დააკვირდა და უთხრა:

— ფეოდოსი! ნუთუ დაბრუნდი?

კაცმა თავი ასწია, ჰკვიანური, ეშმაკური თვალები გაუბრწყინდა.

— დაჯე, მიხაილ! — უთხრა სტუმარს. — დავბრუნდი. ღვთისმოსაობა არ-  
სადაც არ არის — სხეული გარეთაა, სული კი შიგნით. ან ეგ იცის კი ვინმემ?  
თავისი სული, აბა, ვის მოუსინჯავს?

— რაო, ათონი კარგი იყო? — ჰკითხა მიხაილ კირპიჩნიკოვმა.

— რა თქმა უნდა, მიწა იქ უფრო მრავალფეროვანია, ადამიანი კი არამ-  
ხადაა, — განმარტა ფეოდოსიმ.

— ახლა რას აპირებ, ფეოდოსი, რა უნდა აკეთო?

— აბა, რა გითხრა! ჯერ გავიხედ-გამოვიხედავ, — ექვსი წელი ტყუი-  
ლად დავკარგე, ახლა სირბილით უნდა დავეწიო ცხოვრებას! შენ საით გაგი-  
წევია, მიხაილ?

— ამერიკაში ვაპირებ. ახლა კი რიგაში მივდივარ, საზღვაო გემს გავ-  
ყვები.

— იმ სიშორეზე? მაშ რამე მაგარი საქმე გექნება!

— მაშ რა!

— ალბათ დიდ საქმეს გინდა, ხელი მოჰკიდო.

— მაშ არა და! საგლახაკაოდ მივდივარ, ყველაფერი დავკარგე!

— გატყობ, ძნელი რაღაცა მოგიწოდებია!

— მაშ რა, არცთუ იოლი. უსაგზლოდ მივდივარ, საქმელ-სასმელს გზად-გზა მუშაობით ვშოულობ!

— დიდ საქმეზე დამდგარხარ, მიხაილა...

ცარიელ ძელურს ადამიანის ხელი არ ეტყობოდა. <sup>მჭრქალი / ფანჯრები</sup> გულგრილად იმზირებოდა და თითქოს ლამობდა, კაცისთვის განჭრაქვა გადა-  
ეთქმევიანებინა: დარჩი, ნურსად წახვალ, მყუდრო ალბათ უჩემრად იცხოვ-  
რეთ!

მიხაილმა და ფეოდოსიმ ფეხთ გაიხადეს, სველი ფეხსახვევები გასაშ-  
რობად გაჰკიდეს, გააბოლეს და მაგიდას უგულისყუროდ დააცქერდნენ.

— თითქოს უბერავს! მიხაილა, კარი მიგულე! — უთხრა ფეოდოსიმ.

მიხაილმა კარი მიხურა და ჰკითხა:

— ათონის მონასტერში ახლა ალბათ თბილა! ალბათ რა არხეინად არიან. ბერებს რატომ გამოეჭეცი?

— კარგი ერთი, მიხაილ, მე ჭეშმარიტებას ვეძიებდი, სხვის ხარჯზე ყოფ-  
ნა კი არ მინდოდა. ათონიდან მესოპოტამიაში წასვლას ვაპირებდი — ამბობენ,  
იქ სამოთხე შემორჩაო, მაგრამ მერე გადავიფიქრე. წლები გავიდა, აღარაფ-  
რის სურვილი აღარა მაქვს. მარტო ბალები რომ გამახსენდება, გული მიკ-  
ვდება. გახსოვს, ერთ ზაფხულს სამი შვილი დავმარხე?.. მას მერე ოცი წელი  
გავიდა, საფლავში ძვლები და თმაღა იქნება დარჩენილი... ეჰ, რაღაც გული  
მიკვნესის, მიხაილ!.. ამალამ აქ დარჩი, დილამდე გზაზე ტალახი იქნებ აშ-  
რეს...

— ფეოდოსი, დავრჩები, მაგრამ ასე რიგაში როდისღა ჩავალ!

— კარტოფილი მოხარშე! დარდიან გულზე ჩათქვლეფა მომიწინდა...

ფეოდოსიმ და მიხაილმა ადრე დაიძინეს და ღამე გაელვიძათ. ძელურში  
ცეცხლი არ ენთო; ფანჯრის მიღმა სამარისებურ სიჩუმეს ჩქამიც არ არლ-  
ყვდა. თითქოს მინდვრებსაც გაღვიძებოდათ, მაგრამ ღამის პირველი საათი  
იყო, გათენებამდე დიდი დრო რჩებოდა და ისინიც ადამიანებივით მოწყენილ-  
ნი იწვნენ.

ფეოდოსიმ იგრძნო, რომ მიხაილს არ ეძინა, და ჰკითხა:

— ამერიკიდან დაბრუნებას თუ აპირებ?

— სწორედ იმიტომ მივდივარ, რომ დავბრუნდე.

— საეჭვოა, ძალიან შორსაა!

— მერე რა, ვისწავლი იმ საქმეს, რაც მჭირდება, და დავბრუნდები!

— ჭკვიანურ საქმეს აგრე მალე ვერ ისწავლი.

— ეგ მართალია, ჩემი საქმე ისეთია, მალე ვერ დავძლევ!

— რა საქმე გაქვს ეგეთი?

— რა ჩაცეება იცი, ფეოდოსი, ათონში და უცხო ქვეყნებში ხარ ნამ-  
ყოფი, სამოთხე გიძებნია, საჭირო კი ვერაფერი შეგიტყვია...

— მართალია, ვის რა სჭირდება და ვის რა!

— გლებ კაცს ერთი რამ სჭირდება — დოვლათი! ჩვენში ისეთი ჭკავი  
იცის, შეშად ივარგებს, მაგრამ მდიდრულად მაინც ვერა ვცხოვრობთ და  
ჩვენს ყოფას უკეთესობის პირი არც უჩანს. წელს აბაზიანის სიმსხო ჭკავი  
მოვიდა — ამაზე მეტი მოსავალი ხომ აღარ იქნება!

— შენ რაღას აპირებ?

— ვარდის ზეთი ვაგიგონია? — თავისთვისაც მოულოდნელად წამოიძახა  
კირპიჩნიკოვმა, ბუნდოვნად გაახსენდა რომელიღაც ძველი, დიდი ხნის გა-



გონილი ამბავი. ამან იხსნა, რადგან თავადაც ნათლად არ იცოდა, მოგზაურობის მიზნად რა ჰქონდა.

— გამიგონია, ბერძნის ქალები ტანს იზელენ გასალამაზებლად!

— ეგ რა არის! მარტო სურნელებისთვისაა. ვარდის ზეთისგან სავეეუნოდ განთქმულ წამლებს ამზადებენ — კაცი არ ბერდება, სისხლი უხალისდება. თმა ახლად ამოსდის — წიგნიდან მაქვს ნასწავლი. ახლაც ისე წიგნიდან მიმაქვს. ამერიკაში ნახევარ მიწაზე ვარდი აქვთ გაშენებული ტინა ყოველწლიურად ათას მანეთ წმინდა შემოსავალს აძლევთ. აი, ფეოდოსი, გლეხი სად არის ბედნიერი...

კეთილშობილური მიზნებისგან გრძნობამოჭარბებული მიხაილი თვალემოჭუტული ლაპარაკობდა, ფიქრით კი სხვა რამეზე ფიქრობდა. თვალეები როცა გაახილა, შეამჩნია, რომ ფანჯრიდან ცრიატი შუქი შემოდის, ღუმლიდან ჩამოვიდა და დრო ტყუილად რომ არ დაეკარგა, უმაღლ ამერიკაში წასასვლელად მზადებას შეუდგა.

— სად მიდიხარ? — ჰკითხა ფეოდოსიმ.

— დროა, დავიძრა. წინ შორი გზა მიდევს. დავისვენე და წავალ, თორემ გული მიწვრილდება, როცა ვფერხდები!

— ჯერ ადრეა, ხალიფათა მოვხარშოთ, ჰამე და ისე წადი.

— არა, წავალ, დღე ისედაც მოკლეა!

— შენი ნებაა... მაშ ამერიკაში გინდა გაიგო, ვარდის ზეთი როგორ კეთდება?

— მიხვდი? აბა, რა გეგონა, იქ სანთლების საკეთებლად მივდიოდი? ჩვენი მიწა ვარდის გასაშენებლად არის შექმნილი! ჩვენს შავ მიწაზე მხოლოდ ვარდი უნდა ხარობდეს! წარმოიდგინე, ფეოდოსი, რა სურნელება დადგება — ყველანაირი სენი გაქრება!..

— ჰო, ძაან სახათაბალო საქმეს დასჭიდებიხარ! აბა, გასწი, სასწაულთმოქმედო, ვნახოთ ერთი, რას იზამ! ნერგი კი ბევრი დაგჭირდება, ხომ იცი! ოღონდ მალე დაბრუნდი, ზღვაში არსად ჩაიხრჩო!

კირპიჩნიკოვი ძელურიდან გავიდა და ველებში გაუჩინარდა. კმაყოფილი იყო, ღამე იქ რომ გაათია, უცოდველი მიწის საძებნელად თვრამეტ წელიწადს სადღაც გადაკარგული ფეოდოსი ნახა და გულიანად ესაუბრა, ფეოდოსის კი იგი ისევ მეკრამიტე ეგონა. იმ საუბარში სიმართლაც ერია — კირპიჩნიკოვი ამერიკაში წასვლას მართლა აპირებდა, რათა იქ ცხოვრების არნახული სიახლე ენახა, წინასწარ ხარობდა და გულში აუხსნელ შვებას გრძნობდა.

მიხაილმა საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილი ფეხით გაიარა და რიგას მიაღწია. ამ გზის გავლას ოთხი თვე მოანდომა, თუმცა იმდენად მანძილი არ აბრკოლებდა, რამდენადაც ხუტორებში წანწალი, სადაც თითო-ოროლა დღეს მოჯამაგირეობდა. როგორც კი ერთი კვირის სამყოფ საგზალს იშოვიდა, დამქირავებელსა და იმის საზრუნავს მიატოვებდა და ბალტიის ზღვისკენ გასწევდა.

რიგაში მიხაილ კირპიჩნიკოვის გულში ინჟინერმა გაიღვიძა. იგი გააოცა შენობების სიმკვიდრემ — ვერც ქარი, ვერც წყალი ასეთ ნაგებ სახლებს ვერაფერს დააკლებდა — მიწისძვრა თუ დააზიანებდა ამ მონუმენტებს. რიგაში მიხაილმა უმაღლ იგრძნო სოფლური ცხოვრების უბადრუკობა, ავბედითობა და სიბეჩავე. მოსკოვში ამაზე რატომღაც არ უფიქრია. ასევე გააოცა ამ ქალაქის შენობათა სილამაზემ და ფიქრიანმა სადღესასწაულო იერმა, ხალხის სიჯან-

საღამო და უშფოთველობამ. კირპიჩნიკოვმა თუმცა სწავლა-განათლება მიიღო და მოსკოვში ცხოვრობდა, პირველყოფილი უშუალოება და უბრალო რამით გაოცების უნარი მაინც შეინარჩუნა. მან თავისდაუნებურად ირწმუნა, რომ დამატობელი სურნელების მქონე ვარდის ზეთს მართლა შეეძლო მისი სამშობლოს ხრიოკ ხეხუფებში მარადიულ შენობათა აგება ფაქიფ შენობებში კმაყოფილი, თავაზიანი გლეხების ჩასახლება.

ბიზნისმენა

კირპიჩნიკოვის გონებას ასე თანდათან ეუფლებოდა მეორე იდეა, რათა პირველი იდეისთვის მოსვენება მიეცა.

ცემენტის სწორ გზებზე ნაყშიანი რეზინის სრიალით იქროლებენ კრიალა ავტომობილები და ამ ავტომობილებით გლეხები მოყვრებთან ორას ვერსზე და უფრო შორს ივლიან. ფეოდოსი მაშინ ალბათ ცოლს შეირთავს, ას ფუთბენზინს იყიდის და განსვენებული ღმერთის სამყოფლის ნარჩენთა სანახავად მესოპოტამიაში გაემგზავრება.

რა კარგი იქნება: დილას ადგები, ბერკეტს გადაწევ, ღილაკებს გადაატრიალებ და საუზმე მომზადდება, ჩაი გაცხელდება, ოთახიდან მტვერს ტუმბო გაიწოვს, შენ კი ხელში ჰკვიანური წიგნი გეჭირება. ქალს აღარ გააწამებ, თავად ქალიც აღარ გაიტანჯება მოუწყობელ ყოფასთან ბრძოლით, ხოლო ლოყები ვარდისფრად აულაქლაქდება, რადგან მინდვრებში ჰვავს კი აღარ დათესავენ, ვარდი იქნება გაშენებული. ქალი მაშინ ძლიერ ადამიანთა ნამდვილი დედა შეიქნება, ჰვეყნიერებაზე ეს ადამიანები დასახლდებიან და ამქვეყნად სიჯანსაღე და მშვიდი ძალა დამკვიდრდება. მომავალი ქალები ტუნდრაში აღმოჩენილ თავიანთ დობილთა მსგავსნი შეიქნებიან.

მიხაილი რიგის ქუჩებში დადიოდა და სიამოვნებისგან იღიმებოდა იმის გამო, ასეთ ქალაქს რომ უცქეროდა და გულით საყოველთაო სიმდიდრისა და სიჯანსაღის მომპოვებელ ჰემმარიტ აზრს დაატარებდა. ასე იმდენ დღეს იარა, სანამ საგზალი არ გამოეღია. ამის მერე ნავსადგურში მივიდა.

კირპიჩნიკოვი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ვარდის გაშენება უეჭველად ივარგებდა და ხალხის გამდიდრების საიმედო წყაროდ იქცეოდა. ბევრს ხომ ჯერაც აკლდა შეძლება თვით საბჭოთა ჰვეყანაშიც კი.

ნავსადგურში ჰოლანდიური გემი „ინდონეზია“ იდგა. გემიდან ინდიგო, ჩაი და კაკაო ჩამოეტვირთათ და აბლა ხე-ტყით, ხის დამამუშავებელი მანქანებით, ქერელით და საბჭოთა ინდუსტრიის სხვადასხვა ნაწარმით ტვირთავდნენ. რიგიდან გემი ამსტერდამში ჩავიდოდა, იქ მანქანების მიმდინარე რემონტს ჩაიტარებდა და მერე ამერიკისკენ, ქალაქ სან-ფრანცისკოსკენ გასწევდა.

კირპიჩნიკოვი გემზე ცეცხლფარეშის თანაშემწედ — ჰვანახშირის შემყრელად აიყვანეს, რადგან დაჰყაბულდა, ნახევარ ხელფასზე ვიმუშავებო.

ათი დღის შემდეგ „ინდონეზია“ დაიძრა და მიხაილ კოვალს<sup>1</sup> თვალწინ გადაეშალა სივრცისა და ბობოქარი წყლის აბალი მძლავრი სამყარო, რაზედაც მაინცდამაინც ბევრი არასოდეს უფიქრია.

ოკეანე ენით აუწერელია. იშვიათად განიცდის მას ვინმე სრულად, იმ გრძნობით, რისი ღირსიცაა. ოკეანე იმ უმძლავრეს ბგერას წააგავს, ჩვენ ყურს რომ არ ესმის, იმიტომ, რომ ეს ბგერა ძალზე მაღალი ტონის მქონეა. ამქვეყნად არის ისეთი სასწაულები, ჩვენი გრძნობები რომ ვერ დაიტევს, რადგან ადამიანს მათი დაძლევა არ ძალუძს და, თუ შეეცდება, განადგურდება კიდეც.

<sup>1</sup> ავტორის შეცდომაა. იგულისხმება კირპიჩნიკოვი.

ოკეანის ხილვამ მიხაილი კვლავ დაარწმუნა, რომ აუცილებელი იყო მდიდრული ცხოვრების მოპოვება და ეთეროვანი ტრაქტის პოვნა, ხალხის მარადიულმა ჯაფამ ენერგია და შეუპოვრობა შემატა.

კირპიჩნიკოვის შემეცნებაში ეთერი უკვე ვარდს ერწყმოდნენ და მომჭირნეობა გაეწია, ვარდს ზოგჯერ ეთერის ლურჯ წიაღში მოიდგენდა.

სან-ფრანცისკოში კირპიჩნიკოვს ურჩიეს, კალიფორნიაში წადი, იქ რივერსაიდის მხარეა, სადაც უამრავი ლიმონის ბაღია და მეყვავილეებიც ბლომად არიან, ვარდის ზეთის გამოხდას სწორედ იქ მისდევენ და ამისთვის დიდი ქარხანაც აქვთო.

კირპიჩნიკოვმა მთელი ამერიკის გადასალახავად გასწია.

გზად კირპიჩნიკოვი ერთ ფერმერს ბაღის დამსუფთავებლად დაუდგა. ფერმერს ისეთი ალერსიანი და მოხდენილი ქალიშვილი ჰყავდა, რომ მიხაილს მოეწონა. ქალიშვილს რუფი ერქვა. იგი მუყაითად მუშაობდა, მარჯვე ხელები ჰქონდა და „ფორდს“ ყოჩაღად დააქროლებდა. რუფი განაგებდა აგრეთვე ფერმაში ყველა მანქანა-იარაღს და წყლის სატუმბსაც, რომლის მეშვეობითაც ბაღს რწყავდნენ, თავად ამუშავებდა. რუფი ქერათმიანი, ცისფერთვალა ქალიშვილი იყო და ხასიათითაც — გულითადობითა და სიღარბაილით — რუს ქალსა ჰგავდა.

კირპიჩნიკოვმა ფერმაში დარჩენა მოინდომა. რუფის მამა მიხაილის გულმოდგინებას აფასებდა, კარგი თვალით უყურებდა და ალბათ განუსაზღვრელი დროით დაიტოვებდა. მით უმეტეს, რომ ფერმაში არც ზეინკალი ჰყავდა და არც მჭედელი, მიხაილს კი ორივე საქმე ემარჯვებოდა.

მაგრამ მიხაილს ერთხელ ღამით გამოეღვიძა. ჭასთან ძრავა დუგდუგებდა და წყალს ბაღისკენ ქაჩავდა. ხუტორს ეძინა და მიხაილმა სევდა და შეშფოთება იგრძნო. ვარდები, რუსეთი, ფეოდოსი, პოპოვი, ეთეროვანი ტრაქტი, მარად მშრომელი ოკეანე გაახსენდა და ჩაცმას შეუდგა. ფული ოცი დოლარი ჰქონდა და ღამის სიგრილეში გარეთ გავიდა. ფერმის მიღმა წყვედიადი იდგა, შორეულ ბორცვზე ღამეულ სასწაულივით ბრწყინავდა რომელიღაც ქალაქი და მიხაილმა მდუმარედ გასწია შორს, კალიფორნიისკენ, რივერსაიდის ლიმონის ბაღებიანი მხარისაკენ.

მიხაილი რკავისკიდან რაც წავიდა, მას შემდეგ ათი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში მუშფაკისა და ელექტროტექნიკური ინსტიტუტის დამთავრებაც მოასწრო და ამერიკაში მივლინებითაც გაემგზავრა. იგი ყველგან განსვენებული პოპოვის ამოცანის ამოხსნას დაეძებდა. ახლა ადრიანი ზაფხულის ცინცხალ დილას კალიფორნიის ახალგაზრდა ვარდისფერ მთებს შორის მიაბიჯებდა შორეული რივერსაიდის ლიმონის კორდებისა და ყვავილოვანი ველებისაკენ.

კირპიჩნიკოვი მკერდში გულს, გულში სისხლის მოზღვავებას, სისხლში კი მომავლის, ვარდთა კეთილმოქმედი აირით გაჭერებულ და ეთეროვანი რკინით გამოკვებილ ასობით ბედნიერ საბჭოთა წელთა რიგს გრძნობდა.

მიხაილი ფერმებს შორის მიიჩქაროდა, უშველებელ ფარა-ჯოგებს უკან ტოვებდა, გაზაფხულზე თეთრად აფეთქებულ ალუბლის ბაღებში გზას მიიკვლევდა. კალიფორნია ოდნავ აგონებდა უკრაინას, სადაც პატარა ბიჭობისას

იყო ნამყოფი, მაგრამ აქ ხალხი ერთპირად ჯანმრთელი, ტანად და სახელაყ-  
ლაყა იყო, ხოლო კალთებჩამოღადრული მთების ყავისფრად გამიწვლებული  
ბებერი ქანები ახსენებდა, რომ სამშობლო შორს დარჩა და ალბათ  
სევდა და ნალველი სუფევდა.

შინგლიწყისეკა

ამიტომაც ხან გამძვინვარებული, ხან სასოწარკვეთილი, ხანაც შურით  
აღვსილი ღონიერ ფეხებს ძალას ატანდა და თითქმის გარბოდა, ჩქარობდა,  
იდუმალი რივერსაიდისთვის მიეღწია, სადაც ასობით დესეტინაზე ვარდი იყო  
გამენებული, უმწეო ყვავილის ნაზ ფურცლებს უფაქიზეს და უძვირფასეს  
წვენს ადენდნენ და სადაც, შესაძლოა, მოქმედებდა გამომწვევი იმ რეფლექ-  
სისა, ეთეროვან ტრაქტს რომ მიაგნებინებდა: ამერიკის ელექტრულ უნიონს  
იმზანად იქ ჰქონდა ეთერის ფიზიკის სახელგანთქმული ლაბორატორია.

მიზაილი ოთხ დღეს მიდიოდა. ცოტათი გზა აებნა, შორიდან შემოუარა  
და ორმოცდაათი კილომეტრი ზედმეტად იბორიალა.

ბოლოს ქალაქ რივერსაიდს მიაღწია. ქალაქში სულ ათასამდე სახლი იდ-  
გა, მაგრამ ქუჩები, ელექტროგაყვანილობა, გაზი, წყალი — ყოველივე ისე  
მარჯვედ იყო გააზრებული და გამართული, როგორც საუცხოო დედაქალაქში.

ქალაქის შესასვლელთან ფირნიში ეკიდა:

„მგზავრო, მხოლოდ გლენ-ბაბკოკის სასტუმრო „ქვეყნიერების ოთხ მზა-  
რეში“ გამოსრუტავენ მტვერს. შენი ტანსაცმლიდან (ვაკუუმპიუპიტრები), მო-  
გართმევენ რივერსაიდის საუკეთესო წყაროების წყალს, გაჭმევენ სტერილი-  
ზებულ საკმელს, რომელიც თითქმის არ ტოვებს გადაუმუშავებელ ნარჩენებს,  
ელექტროსათბუნებლებიან და რენტგენოკომპარესორიან საწოლში ჩაგაწვენენ,  
მტანჯველ სიზმრებს რომ გაგიფანტავს“.

კირპიჩნიკოვს ინგლისური ცოტ-ცოტა გაეგებოდა და ამ წარწერების კით-  
ხვით თავს იქცევდა.

„ამერიკელებო! ვაშინგტონშია თქვენი სიბრძნე! ნიუ-იორკში — დიდება!  
ჩიკაგოში — სამწარეულო! რივერსაიდში — თქვენი სილამაზე! ამერიკელებო,  
თქვენ ისევე ლამაზები უნდა იყოთ, როგორი ენერგიულნი და მდიდარნიც  
ხართ: ტონობით შეუკვეთეთ პუდრი „რივერგენი!““

„ფრისკოში ჩვენი ხომალდებია, რივერსაიდში კი ჩვენი ქალები არიან!  
ამერიკელო ქალებო, ქმრებს განუშარტეთ, რომ ჩვენ ქვეყანას მარტო ჯავშ-  
ნოსნები კი არა, ყვავილებიც სჭირდება! ამერიკელო ქალებო, ჩაეწერთ ეროვნ-  
ული შეყვავილების ხელშემწყობ ნებაყოფლობით ასოციაციაში: რივერსაიდი,  
1, ა) 34“.

„ვარდის ზეთი ჩვენი ოლქის სიმდიდრის საფუძველია! ვარდის ზეთი ერის  
ჯანმრთელობის საფუძველია! ამერიკელებო, ვაუკაცური სხეულები ვარდის  
ესენციით დაიწილეთ და ვაუკაცობას ახ წლამდე არ დაკარგავთ!“

„აწიაში მესოპოტამიაა, მაგრამ უსამოთხეოდ, ამერიკაში კი რივერსაიდი,  
მაგრამ სამოთხეში!“

„ჩვენი ეროვნული სამოთხის ელემენტები გაბლავთ:

საკმელი — ბინა — წყალი: გლენ-ბაბკოკი;

ტანსაცმელი — სილამაზე — მორალი: კაცმანზონი;

ხელოვნება — მსჯელობა — რელიგია — უოფაქცევას მიმართულებანი — მარადიული დიდება: ვარსკვლავთა ტრესტის უნივერსალური ბლოკ-საწარმო; მარადიული განხვევება: ანონიმური კომპანია „ურნა“;

სიცილისა და გართობის მიზნით დროის ექსპლუატაცია: **ინოვაციური** სავანე „ევას ხე“;



პრეპარატები „ანტისექსუსი“: ბერკმანი, შოტლუა და CH“.

„მხოლოდ სკრეგის ფეხსაცმელებით დადიან, სხვა ფეხსაცმელით კი დალოდავენ“

„ამოქმედვ ხიფათის მუხრუჭის სდექი იქით ქვეყნიერების აღსასრულია! შემოდი ჩვენს „სამყაროს შექმნის“ სახლში“

„ქენტლმენებო! ადამიანს ცეკვა ქმნის — შექმენით საკუთარი თავი — საცეკვაო დარბაზი ქუჩის გადაღმა! მანქანა მანრიტი: სტაფი ნმ წელი ევროპის ქვეყნებში“.

„ილოცე! ყველას სიკვდილი მოეღოს! ღმერთთან შეხვედრა გარდუვალია რას ეტყვი ღმერთს? შემოდი აბსოლუტური რელიგიის სახლში! შესვლა უფასოა. ფიქსირებული უბიწობის მქონე უმაწვილქალების გუნდი! ქეშმარიტ ღმერთის გაცოცხლებული ქანდაკება! მისტიკური პროცედურები, ლექსები, დაუბადებელ სულთა მუსიკა, სურნელოვანი სადგომი კინო რელიგიური მითოლოგიით ასურათებს თანამედროვეობას, პასტორი ფოქსი ასაბუთებს ისტორიისა და ბიბლიის შესატყვისობას! შემომსვლელს უზრუნველყოფილი აქტ სულის სტერილიზება და პირველყოფილი სიწრფელის დაბრუნება!“

„ვარსკვლავთა ბეჭედი მაღალი ღმერთის ბეჭედი! ალილუია!“

„თავი დახარე: შენ გელის ფეხსაცმლის ავტომატები და ოფლის საწინააღმდეგო პრეპარატები!“

„ცხოვრებაში მთავარი საკვებია და — პირიქით! რივერსაიდის უოველ კვარტალში სრულყოფილი ექსკრემენტარიუმები შეგხვდება! შეიცან კუჭი შენი!“

„აეროპლანები ცალობით, უფასოდ შეფუთული: ენტონ გაგენი“.

კირპიჩნიკოვი ხარხარებდა. სადღაც წაკითხული ჰქონდა, ამერიკელები გონებრივი განვითარებით თორმეტი წლის ბიჭებს არ ალემატებიანო. რივერსაიდის მიხედვით ეს უტყუარი სიმართლე გახლდათ.

კირპიჩნიკოვმა სამუშაო ოთხი დღის მერე იშოვა; მემანქანედ მოეწყო სატუმბ სადგურში, რომელიც მდინარე კვებეკიდან წყალს ლიმონის ბაღებში ქაჩავდა. ვარდის ზეთის სახდელ ქარხანაში სამუშაო არც იყო და არც გამიჩნდებოდა. კირპიჩნიკოვმა გადაწყვიტა, მოეცადა.

თვე ერთფეროვნად გავიდა. ირგვლივ გონებაჩლქნგი ადამიანები ცხოვრობდნენ: მუშაობდნენ, ქამდნენ, ეძინათ, უოველ საღამოს გართობას არ იქლებდნენ. ღმერთი ურყევად სწამდათ, აგრეთვე ურყევად სწამდათ მთელ მოფლიაში თავისი ერის უპირველესობა! ძალზე საინტერესო კი იყო! კირპიჩნიკოვი აკვირდებოდა, ღუმდა და ითმენდა, არავის დამეგობრებია.

კირპიჩნიკოვს შინ არც მისამართი დაუტოვებია, არც რაიმე წერილი, მაგრამ ამერიკაში რომ იყო წასული, ეს ამბავი მის სამშობლოში იცოდნენ. იგი გახეტებს ძველებურად ყურადღებით კითხულობდა და ერთხელ „ჩიკაგოს ორატორში“ შემდეგი განცხადება ნახა:

„ძარია კირპიჩნიკოვა თავის ყოფილ ქმარს მიხაილ კირპიჩნიკოვს სიხოვს,

სამშობლოში დაბრუნდეს, თუკი ცოლის სიცოცხლე რამედ უღირს საშუალებას თვის შემდეგ კირპიჩნიკოვი თავის ცოლს ცოცხალს ვეღარ იხილავს. ეს მუქარა კი არა, თხოვნა და გაფრთხილებაა.

კირპიჩნიკოვი წამოხტა, მანქანისკენ გაქანდა და ორბიტისკენ სპრქველი გადაკეტა. მანქანა გაჩერდა.

უმაღვე ტელეფონი აწკრიალდა:

— ალო. მექანიკოსო, რა მოხდა?

— შემცვლელი ვადამდე გამოგზავნეთ! მივდივარ!

— ალო! რა მოხდა? სად მიდიხართ? რას ოინბაზობთ? ტუმბო ახლავე ჩართეთ, თორემ ზარალს აგანაზლაურებიანებთ! ალო, გესმით თუ არა? ჯარიმის გადასახდელად დოლარები საკმარისად გაქვთ? პოლიციას ვურეკავ!

— ჯანდაბას შენი თავი, თორმეტი წლის სულელო! მე გაგაფრთხილეთ— ანგარიშის გაუსწორებლად მივდივარ!

კირპიჩნიკოვმა მცურავი პონტონი მიატოვა, რაზედაც სატუმბი დანადგარი იყო მოთავსებული, პონტონიდან ნაპირზე გადებული ხიდი გადაირბინა და კვებეკის ველს დასაფლეთისკენ გაუყვა, ისე, რომ დაფიქრებაც ვერ მოასწრო. მზე ქვეყანას აღმურს უნთებდა, პორიზონტს მთები შემოსალტოდა, მთათა მორები კი ერთიანად ზშირ პლანტაციებს დაეფარა, მაგრამ სამწუხარო ის იყო, მიწის მშვენიერი ნაყოფი საბოლოოდ ადამიანის ბნელ უგუნურებად და უაზრო განცხრომად რომ უნდა ქცეულიყო.



ისევ გაჰყვა ერთმანეთს საშოვრის მტანჯველი ძიების, ათასნაირი გასაჭირისა და თავგადასავლების დღეები. ადამიანის ჩვეულებრივი დღის აღწერასაც კი მთელი ტომი დასჭირდებოდა, ხოლო კირპიჩნიკოვის ერთი დღის აღწერას ოთხი ტომიც არ ეყოფოდა. სიცოცხლე მოლეკულათა მუშაობაა. ჯერ არავის ნათელუყვია, რა ტრაგედიათა და კატასტროფათა ხარჯზე ხდება ადამიანის სხეულში მოლეკულათა არსებობის შეხმატკბილება და სუნთქვის, გულის ცემისა და აზროვნების სიმფონიის შექმნა. ეს უცნობია, საჭიროა ახალი სეცნიერული მეთოდის გამოგონება, რათა ადამიანის შინაგანი წიაღი მისი აბვილი იარაღით გაიბურღოს და ინახოს, იქ რა მძაფრი მუშაობაა.

კვლავ ოკეანე. მაგრამ კირპიჩნიკოვი გემზე ცეცხლფარეშად აღარ არის, მჯერად მგზავრია. ნიუ-იორკში შიმშილის საშინელ მარწუხებში მოექცა. სმუშაოს ვერ შოულობდა და გასაჭირს თავი მხოლოდ შემთხვევით დააღწია. ჯერ კიდევ სტუდენტობისას ელექტრული ძაბვის ზუსტი რეგულატორი ჰქონდა გამოგონებული. ახლა ერთი კვირა იშიმშილა, მერე ტრესტებსა და საწარმოებს ჩამოუარა და თავისი გამოგონება ყველას შესთავაზა.

ბოლოს მისი რეგულატორის პროექტი დასავლეთის ინდუსტრიულმა კომპანიამ შეიძინა. მაგრამ მოსთხოვეს, ყველა დეტალის სამუშაო ნახაზები დაგმადეო. კირპიჩნიკოვმა ამ საქმეს ორი თვე მოანდომა და გასამრჯელოდ სულ ორასი დოლარი მიიღო. გასაჭირიდან ამან იხსნა.

„ჰამბურგ — ამერიკის ხაზის“ საოკეანო გემი საათში სამოცი კილომეტრის საშუალო სიჩქარით მიცურავდა და კირპიჩნიკოვი ევროპისკენ მიჰყავდა. კირპიჩნიკოვმა ცოლის ხასიათი იცოდა და დარწმუნებული იყო, თუ შინ დაბრუნებას დათქმულ ვადაზე ვერ მოასწრებდა — მარია მკვდარი დახვდებოდა. თვის რომ არ მოიკლავდა, ეს იცოდა, მაგრამ სხვა რა უნდა მომხდარიყო?

გაგონილი ჰქონდა, რომ უწინ ადამიანები სიყვარულისგან კვდებოდნენ. ეს ახლა მხოლოდ ღიმილს იწვევდა. ნუთუ მის მტკიცე, ყოჩაღ მარიას, ვინაც ცხოვრების ყოველგვარი წვრილმანი ახარებდა, სიყვარულისგან სიკვდილი შეეძლო? ძველი ტრადიციისგან არ კვდებიან, მაშ რილას გამო უნდა უმჯობესდარიყო?

ამ ფიქრებით აფორიაქებული კირპიჩნიკოვი გემბანზე დაბოროილებდა. ამ დროს საპირისპიროდ მომავალი გემის პროექტორი შეამჩნია და შეჩერდა.

უცებ გემბანზე ერთბაშად აგრილდა — ჩრდილოეთის საზარელმა ქარმა დაჰქროლა, მერე გემს წყლის უშველებელი მთა დააცხრა და გემბანებიდან თვალის დახამხამებაში გადახვეტა საგნებიც, გემის მოწყობილობებიც და ადამიანებიც. გემი ოკეანის ზედაპირის მიმართ თითქმის 45°-ზე დაფერდდა. კირპიჩნიკოვს ლიუკში ფეხი შემთხვევით მოუყვა და გადარჩა.

ერთმანეთში ათქვეფილი ჰაერი და წყალი გემს, ატმოსფეროს და ოკეანეს გრგვინვა-ღრიალით ლეწდა.

ირგვლივ აღსასრულის ზარ-ზრიალი და სასიკვდილოდ განწირულთა შესაბრალისი, სასოწარკვეთილი კივილი გაისმოდა. ქალები კაცებს ფეხებზე ეჭიდებოდნენ და ემუდარებოდნენ, გვიშველეთო. კაცები მათ მუშტებს ურტყამდნენ და თავის საშველად გარბოდნენ.

კატასტროფა გემს უცაბედად დაატყდა და ეკიბაყი თუმცა თავგამოდებით, მამაცურად ცდილობდა ხალხისა და გემის გადარჩენას, მაინც ვერაფერს ახერხებდა.

კირპიჩნიკოვი უმაღლესი განაცვიფრა თვით ქარიშხალმა და მთად აღმართულმა, მომავთობელმა წყალმა კი არა, არამედ სტიქიის უცაბედმა შემოტევამ. ქარიშხლის ამოვარდნამდე ნახევარი წუთით ადრე ოკეანეზე შტილი იყო გამეფებული და ჰორიზონტი ყოველ მხარეს ნათლად მოჩანდა. გემმა ყველა საყვირი ააბრავლა, რადიომ განგაშის სიგნალთა გადაცემა დაიწყო, წყალში გადაცვივნულთა გადარჩენას შეუდგნენ. ამ დროს ქარიშხალი უცებ მიყუჩდა და გემი წყნარად შეტოკდა წონასწორობის აღსადგენად.

ჰორიზონტი გადაიწმინდა, ერთი კილომეტრის იქით ევროპიდან მომავალი გემი გამოჩნდა, პროექტორებს რომ აჩახჩახებდა და საშველად მოიჩქაროდა.

გალუმბული კირპიჩნიკოვი კატერს უტრიალებდა, ცდილობდა, გაჯიუტებული მოტორი როგორმე აემუშავებინა. თავადაც არ იცოდა რიგიანად, კატერთან რანაირად გაჩნდა. მაგრამ წყალში კატერის დაუყოვნებლივ ჩაშვება იყო საჭირო, რადგან ასობით ადამიანს დახრჩობა ემუქრებოდა. ერთი წუთის შემდეგ მოტორი ამუშავდა. კირპიჩნიკოვმა უანგმოდებული კონტაქტები გაწმინდა — მიზეზი თურმე სულ ეს ყოფილიყო.

კირპიჩნიკოვი კატერის კაბანაში ჩაჯდა და შესძახა, ჭოჭონაქები აუშვითო!

იმავე წუთს მთელ გემს ისეთი სქელი, მწვავე აირი გადაეფარა, კირპიჩნიკოვი საკუთარ ხელებსაც კი ვეღარ ხედავდა. უმაღლესი თვალი მოჰკრა ციდან დაქანებულ, აუტანლად მოელვარე, შმაგ მზეს, საკუთარი გაგლეჯილი ტვინის ჭახანში ირმის ნახტომის ქღერასავით იღუმალი სიმღერა ჩაესმა და გული დასწყდა, ასე მალე რად მიწყდაო.



საბჭოთა კავშირის დებეშათა სააგენტომ საზღვარგარეთით გადმოსცა მთავრობის მიერ გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ მოთავსებული

„ამა წლის 24 სექტემბერს 11 საათსა და 15 წუთზე  $35^{\circ} 11'$  11-სა და აღმ. გრძედის  $62^{\circ} 4'$ -ზე ჩაიძირა ამერიკის სამგზავრო გემი „კალიფორნია“ (8485 კაცი, ეკიპაჟიანად) და გერმანული გემი „კლარა“ (6841 კაცი, ეკიპაჟიანად), რომელიც პირველი გემის საშველად მიემართებოდა. ზუსტი მიზეზები გამოურკვეველია. სათანადო ძიებას ორივე მთავრობა აწარმოებს. გადარჩენილი ანდა კატასტროფის მოწმე არავინაა. მაგრამ უნდა მივიჩნიოთ, რომ ორივე გემის დაღუპვის მთავარი მიზეზი ზუსტად დადგენილია: „კალიფორნიას“ ვერტიკალურად დაეცა უზარმაზარი ბოლიდი. ამ ბოლიდმა გემი ოკეანის ფსკერისკენ გაიტაცა: წარმოქმნილმა ძაბრმა „კლარაც“ ჩანთქა.

ძიებისა და წყალქვეშა ძებნის მიმდინარეობის კვალდაკვალ პუბლიკაციებში და სრულად იქნება ინფორმირებული.

ეს ცნობა მსოფლიოს ყველა გაზეთში გადაბეჭდა. ცნობამ ყველაზე მეტად დაღუპულთა ობლად დარჩენილი შეილები, საცოლეები, ცოლები და ნათესავეები კი არა, ცენტრალურ-შავმიწა მხარის ვორონეჟის ოლქის სოფელ ვოლოშინოს მახლობლად მდებარე კოჩუბაროვოს საცდელ-მელორაციული სადგურის დირექტორი ისაქ მატისენი დაამწუხრა.

— რაო, ჰკუის კოლოფო! მსოფლიო ძლიერებას ხომ მიაღწიე — ახლა გამარჯვებით დატყბი! — ისე მშვიდად ეჩურჩულებოდა მატისენი საკუთარ თავს, სასიკვდილოდ განწირული კაცის ტანჯვას რომ შეესაბამება. მხოლოდ ეგ იყო, თითებით პურს ამოოდ ფხვნიდა, ასორსლებდა და ბურთულებს მაგიდიდან იატაკზე წყიპურტით ჰყრიდა.

— არსებითად და სამართლიანად მე ხომ არაფრისთვის მიმიღწევია: სამყაროს მართვის ახალი ხერხი მხოლოდ გამოვეცადე, რა მოხდებოდა, ეს კი სრულებით არ ვიცოდი! — მატისენი ადგა, ღამის სიბნელეში ჩაძირულ ეზოში გავიდა და ძაღლს მოუხმო: — ჩიკორა! — ძაღლმა მოიბრბინა და მატისენმა თავზე ხელი გადაუსვა. — ეჰ, შე ძაღლის ნამობო! ჩიკორა, მართალია, რომ ჩვენი სენი ჩვენივე გულია? ჰა, ხომ მართალია, რომ სანტიმენტალობა აზრსა ჰკლავს? რა თქმა უნდა, ასეა! ეს წინააღმდეგობა გონების სასარგებლოდ გადავტრათ და დასაძინებლად წავიდეთ!

მატისენმა მესერის გადაღმა გაშლილი ველისკენ უხილაგი, მაგრამ შესაძლო მტრების დასაშინებლად გაჰკივლა. ჩიკორა აწყმუვლდა და ორივემ დასაძინებლად გასწია.

ხუტორი მიუუჩდა. ველზე პატარა მდინარე წყნარად მიჩუხჩუხებდა და წყალს შორეული ოკეანისკენ მიაქანებდა. სოფელ კოჩუბაროვოში ელექტროსადგურის ძრავა გამონაბოლქვ აირს კვეთდა. იქ ხალხს გულიანად ეძინა, არც „კალიფორნიაზე“ და არც „კლარაზე“ ნათესავი არავის ჰყავდა.

მატისენსაც ეძინა — სახე ჩაქვედომოდა, ტყვიასავით გრილი გული არ უშფოთავდა, დაღებული პირიდან მყრალი სუნნი ამოსდიოდა. იგი არასოდეს ზრუნავდა არც ჰიგიენაზე და არც საკუთარ ჯანმრთელობაზე.

მატისენს ალიონზე გაეღვიძა. კოჩუბაროვოში მამლები ძლივგასაგონად ყიოდნენ. მატისენმა იგრძნო, რომ არაფერს ნანობდა: მაშ გული მთლად ჩაქვედომოდა. იმავე წუთს მიხვდა, რომ არაფერი იინტერესებდა და რასაც მი-



აღწია, თავადაც არ სჭირდებოდა. მიხვდა, რომ ტვინს გულის ძალა ეჭვბუცა, მკვდარი გული კი გონებასაც კლავდა.

კარზე ადრიანად მოსულმა სტუმარმა დაუკაკუნა და უთქმელად წაიწიდა. გლეხი პეტროპავლუშკინი შემოვიდა.

— ისაკ გრიგორიევიჩ, თქვენთან ჩვენმა კომუნამ გამომგზავნა, არ გეწყინოთ, თავადაც წოდებითა და განათლებით აგრონომის თანაშემწე გახლავართ და ცრუმორწმუნეობა არ მახასიათებს!..

— მოკლედ მითხარ, რა საქმე გაქვს? — ააჩქარა მატისენმა.

— ის საქმე გვაქვს, რომ თქვენ განსაკუთრებული სიტყვა იცით და იმ სიტყვით დიდი სარგებლობა შეგიძლიათ გასწიოთ. ჩვენ ხომ ვიცით, თქვენი ფიქრის ძალით მანქანები მუშაობას როგორ იწყებს...

— მერე რა?

— არ შეგიძლიათ, ისეთი რამე გაიფიქროთ, რომ მიწამ პურის მოსავალი უფრო დიდი მოგვცეს...

— არ შემიძლია, — შეაწყვეტინა მატისენმა, — მაგრამ შესაძლოა, აღმოვაჩინო და მაშინ დაგეხმარებით. აი, ის კი შემიძლია, რომ ციდან ქვა პირდაპირ თავზე დაგთხლიშო!..

— ისაკ გრიგორიევიჩ, ეგ რა საჭიროა! თუ ციდან ქვის ჩამოგდება შეგიძლიათ, მიწა ხომ ცაზე ახლოსაა...

— სწამე ეგ არ არის, მიწა ახლოს რომაა...

— ისაკ გრიგორიევიჩ, წავიკითხე, ასევე ციდან ჩამოვარდნილ ქვას ოკეანეში გემები ჩაუძირავს. ამერიკელებს თქვენ ხომ არ ასიაშოვნეთ?

— დიახ, ამხანაგო პეტროპავლუშკინო! — უბასუხა მატისენმა უგულისყუროდ.

— ტყუილ-უბრალოდ, ისაკ გრიგორიევიჩ! რა ჩემი საქმეა, მაგრამ, მე მგონი, ეგ სულ ტყუილ-უბრალოდ ქენით!

— პეტროპავლუშკინო, თავადაც ვიცი, რომ ტყუილ-უბრალოდ ვქენი! მაშ როგორ მოვიქცე? უწინ მეფეები, გენერლები, მემამულეები, ბურჟუები იყვნენ, გახსოვს? ახლა კი ძალაუფლება სხვების — მეცნიერთა ხელშია. ბოროტების ალაგი არასოდეს ცარიელდება.

— მე კი მაგას არ ვიტყვოდი, ისაკ გრიგორიევიჩ! მეცნიერებას გონიერება და გულკეთილობა რომ დავურთოთ, მაშინ, მე მგონი, უდაბნოც ყვავილებით მოიფინება, ბოროტი მეცნიერება კი მობიზინე ყანებსაც ქვიშით დაფარავს!

— არა, პეტროპავლუშკინო, მეცნიერება რაც მეტია, მით უფრო მეტად უნდა გამოიყადოს. ჩემი მეცნიერების შესამოწმებლად კი მთელი ქვეყნიერება უნდა გაწამდეს. აი, სად არის ცოდნის ბოროტი ძალა! ჭერ დავასახიჩრებ და მერე ვუმკურნალებ. ან იქნებ ჯობდეს, არ დაასახიჩრო, მაშინ წამალიც აღარ დაგჭირდება...

— ისაკ გრიგორიევიჩ, განა მარტო მეცნიერება ასახიჩრებს? მაგრე არ არის. ხალხს ბრიყვული ცხოვრება ასახიჩრებს, მეცნიერება კი კურნავს!

— ჰო, თუნდაც ასე იყოს, პეტროპავლუშკინო! — გამოცოცხლდა მატისენი. — თუნდაც ასე იყოს! აი, მე ვიცი, ციდან ქვები მიწას როგორ დავუშინო, ზოგი რამ ამაზე უარესიც ვიცი! ჰოდა, წინ რა დამიდგება, ეს რომ არა ვქნა? შემიძლია, ქვეყნიერება დავაშინო, მერე კი დავიმორჩილო და მთელ მსოფლიოს იმპერატორად წამოვაჭდე! ან არადა — ყველა დავფშვნა და ავაორთქლო!

— მერედა, სინდისი, ისაჲ გრიგორიევიჩი, საზოგადოებრივი ინსტიქტი? თქვენი გონება სადღაა? უადამიანებოდ შორს თქვენც ვერ წახვებით, მეცნიერების დაუფლებაც მთელმა ხალხმა შეგაძლებინათ! თქვენით ხომ არ დაბადებულხართ და ყველაფერი ერთბაშად არ შეგიტყვიან!

— ეჰ, პეტროპავლუშკინო, ეგ შეიძლება ფეხებზე დასდგეთ! იქნება შე ასეთი ბოროტი ვარ?

— ისაჲ გრიგორიევიჩი, ბოროტები ჭკვიანები არ არიან!

— მე კი მგონია, რომ მთელი ჭკუა ბოროტებაა! მთელი შრომა ბოროტებაა! ჭკუაც და შრომაც მოქმედებას და სიძულვილს საჭიროებს, ხოლო სიკეთე გულს აგიჩუყებს და აგიცრემლებს...

— უსამართლოდ ლაპარაკობთ, ისაჲ გრიგორიევიჩი! ასეთ ლაპარაკს მიუჩვეველი ვარ, თავი ისე გამიბეჭუვდა, ლამის გამისკდეს.. მაშასადამე, ჩვენი კომუნა დახმარებას გთხოვთ, ისაჲ გრიგორიევიჩი! მიწა ძალიან გამოფიტულია, ვერავეთარი ფოსფატი ვეღარ ანოყიერებს. თქვენ ნიადაგისთვის აზრის გადაცემა არ გაგიძნელდებათ, ჩვენ კი გვეშველება! რა იქნება, რომ დაგვეზმაროთ, ისაჲ გრიგორიევიჩი! აჰ ხომ ყველაფერი მშვენივრად გაქვთ მოწყობილი: მიხვალთ, გაიფიქრებთ, რაც საჭიროა, და მანქანა წყალს თვითონ გადაქაჩავს! ჩვენი მიწისთვის ნაყოფიერება ასევე რომ მიგეცათ! ნახვამდის, ჯერჯერობით!

— კარგი. მშვიდობით! — უპასუხა ისაჲ გრიგორიევიჩმა.

„ეს კაცი ჭკვიანი კი ყოფილა, — გაიფიქრა მატისენმა, — თითქმის დამარწმუნა, რომ გადაგვარებული ვარ!“

მერე მატისენმა ტანთ ჩაიცვა და მეორე ოთახში გავიდა. ოთახში დაბალი, ბრტყელი მაგიდა იდგა 4X3 მეტრი სიგრძე-სიგანისა. მაგიდაზე ხელსაწყოები ეწყო. მატისენი ყველაზე პატარა აპარატთან მივიდა, აკუმულატორებიდან მომავალი დენი ამ აპარატში ჩართო და იატაკზე დაწვა. უმაღლვე გონების სიცხადე დაკარგა და ტვინის ფიზიკურად დამანგრეველი, თითქმის სასიკვდილო ძალის მქონე დამლუპველი კოშმარები შემოეჭარა. სისხლი შხამებით ივსებოდა და ძარღვებს აშავებდა; მატისენის მთელი ჯან-ღონე, ორგანიზმის მთელი ფარული ძალები, მთელი მისი თავდაცვის საშაულებანი დაძაბულიყო და ტვინისკენ მიმავალ სისხლში გაჩერებულ შხამებს ებრძოდა. თვით ტვინი კი თითქმის უმწეოდ დანებებოდა მაგიდაზე მდგარი აპარატიდან მომდინარე ელექტრომაგნიტურ ტალღათა დარტყმებს.

ეს ტალღები მატისენის ტვინში საგანგებო აზრებს აღძრავდა და კოსმოსს სფერულ ელექტრომაგნიტურ ბომბებად უშენდა. აზრები სადღაც, შესაძლოა, ირმის ნახტომის წიაღში, ანდა პლანეტათა გულში იჭრებოდა და მათი პულსის მოშლას იწვევდა — პლანეტები ორბიტას სცდებოდნენ, მთვრალი მაწანწალებივით გრძნობადაკარგულნი უგზო-უკვლოდ ცვიოდნენ და ილუპებოდნენ.

მატისენის ტვინი იდუმალ მანქანას წარმოადგენდა, რომელიც კოსმოსის წიაღს ხელახლა ამონტაჟებდა, მაგიდაზე მდგარი აპარატი კი ამ ტვინს ამოქმედებდა. ადამიანის ჩვეულებრივ აზრებს, ტვინის ჩვეულებრივ მოძრაობას სამყაროზე შემოქმედების ძალა არ შესწევს, ამას ტვინის ნაწილაკთა ქარაშოტი ესაჭიროება, — სამყაროს ნივთიერებას ვრიგალი მაშინ შეძრავს.

როცა ცდას იწყებდა, მატისენმა არ იცოდა, ახალი შეტევის შედეგად დედამიწაზე ანდა ცაში რა მოხდებოდა. თავისი ტვინიდან მომდინარე ელექტრომაგნიტური ტალღის სასწაულებრივი და განუმეორებელი აღნაგობის მარ-

თვას ჯერ არ დაუფლებოდა. ტალღის ძალოვნების მთელი საიდუმლო კი სწორედ მის განსაკუთრებულ აღნაგობაში მდგომარეობდა; სამყაროს მატერიას უნაზეს ადგილას სწორედ ეს ურტყამდა და მატერია ტკივილისგან სწებდებოდა. ასეთი რთული ტალღების აღძვრა კი მხოლოდ ადამიანის ცოცხალ ტვინს ძალედვა, ოღონდ მკვდარი აპარატის შემწეობით.

საგანგებოდ მომართულ საათს მაგიდაზე მდგარი ტვინის აპარატის მკვებავი დენი ერთი საათის შემდეგ უნდა გამოერთო და ცდა დამთავრდებოდა.

მაგრამ საათი გაჩერდა: ცდის დაწყების წინ მატისენს მისი მომართვა დაავიწყდა. დენი აპარატს დაუცბრომლად კვებავდა და მომუშავე აპარატი ხმადაბლა ზუზუნებდა.

ორი საათი გავიდა. მატისენის სხეული დროის ოდენობის კვადრატის პროპორციულად ღნებოდა. სისხლი ტვინიდან ლავასავით დაძრულ წითელი ბურთულების გვამთა ნაკადს მიაქანებდა. სხეულში თანაფარდობა დაირღვა, დაშლა აღდგენას აჭარბებდა. მატისენის ტვინის ჯერაც ცოცხალ ქსოვილში უკანასკნელი უსაზომო კოშმარი შეიჭრა და ლმობიერმა სისხლმა უკანასკნელი სახება ჩააქრო, უკანასკნელი ტკივილი ჩააყუჩა. შავი სისხლი გაგლეჯილი ვენიდან ტვინში ქარაშოტივით შეიჭრა და მფეთქავი მედგარი გულის ძგერა შეაჩერა. მაგრამ უკანასკნელი სახება, რომელიც მატისენს წარმოესახა, სათნოებით იყო აღსავსე: თვალწინ ცოცხალი, გატანჯული დედა დაუდგა; დედას თვალებიდან სისხლი სდიოდა და შვილს შესჩიოდა, ვიტანჯებით.

დილის ცხრა საათზე მატისენი უსულოდ იწვა — გათეთრებული თვალები გახელილი დარჩენოდა, ხელები გასაბრძოლებლად გაეფარჩხა და ფრჩხილები იატაკში გამწარებით ჩაესო.

აპარატი ბეჯითად ზუზუნებდა და სალამოთილა გაჩერდა, როცა აკუმულატორში ენერჯია გამოილია.

მატისენის სახლთან მთელ დღეს მიქრი-მოქროდნენ ცხენშებმული საზიდრები და ტონანახევრიანი სატვირთო მანქანები — სათიბებიდან თივას ეზიდებოდნენ, რომ საქონლისთვის საკმარისი საკვები მოემარაგებინათ.

პეტროპავლუშკინს ავტომობილი — სატვირთო მანქანა დაჰყავდა, ველმინდერებში სამყაროს სივრცეს ულიმოდა და გულმშვიდად ფიქრობდა სასიკეთო მეცნიერების სარგებლობაზე, რაშიც თავადაც საკმაო წილი ედო.

ორი დღის შემდეგ „იზვესტიის“ განყოფილებაში, „მსოფლიოს ყოველი კუთხიდან“ რომ ერქვა, მთავარი ასტრონომიული ობსერვატორიის ინფორმაცია დაიბეჭდა:

„ორი დღეა, მწვერების თანავარსკვლავედში მოწმენდილ ცაზე აღარსად ჩანს აღფა-ვარსკვლავი.“

ირმის ნახტომში მეოთხე დისტანციაზე (მეცხრე სექტორი) ცარიელი სივრცე-განახლეჩი წარმოიქმნა. მისი მიწიერი კუთხეა  $4^{\circ}71'$ . პერკულესის თანავარსკვლავედი ოდნავ გადანაცვლებულია, რის შედეგადაც მთელი მზის სისტემა მოძრაობის მიმართულებას შეიცვლის. ასეთი უცნაური მოვლენები, რამაც ცის საუკუნეობრივი აღნაგობა დაარღვია, თვით კოსმოსის შედარებითი

სიმუიფისა და უმყარობის მაჩვენებელია. ობსერვატორია გაძლიერებულ დაკ-  
ვირვებებს აწარმოებს, რათა ამ ანომალიების მიზეზებს მიაკვლიოს.



ინფორმაციას თან ახლდა რედაქციის დაპირება, რომ უახლეს მუშაობაში  
ამ მოვლენის ირგვლივ აკადემიკოს ვეტმანთან საუბარი გამჭვირვალეობა. იმ  
დებეშათა მიხედვით, რაც დედამიწის ერთი მეოთხედიდან (საბჭოთა კავში-  
რის მაშინდელი სივრცე) იყო მოსული, არ ჩანდა იმის კვალი, რომ ვარსკ-  
ვლავთა კატასტროფის შედეგად დედამიწას რაიმე არსებითი დამართოდა. გა-  
მონაკლისს წარმოადგენდა კამჩატკიდან გამოგზავნილი პეტრით დაბეჭდილი  
ინფორმაცია:

„მთებზე დაეშვა მცირე ზომის, დაახლოებით 10 კილომეტრის განივკვე-  
თის მქონე ციური სხეული. მისი აღნაგობა უცნობია. ფორმით სფეროიდია.  
სხეულის მცირე სიჩქარით მოფრინდა და მთების მწვერვალებზე მდორედ და-  
ეშვა. ბინოკლში მის ზედაპირზე უზარმაზარი კრისტალები მოჩანს. ბუნების-  
მეტყველების მოუვარულთა ადგილობრივმა საზოგადოებამ აღნიშნული სხე-  
ულის წინასწარ შესასწავლად ექსპედიცია გაგზავნა. მაგრამ ექსპედიცია მი-  
ზანს მალე ვერ განახორციელებს: მთები თითქმის მიუდგომელია. ვლადივოს-  
ტოკიდან აეროპლანები გამოითხოვეს. ციური სხეულის მიმართულებით დღეს  
იპონელთა აეროპლანების მცირე ესკადრილიამ გადაიფრინა“.

ეს ცნობა მეორე დღეს სენსაციად იქცა და უცნაურ მოვლენას აკადემი-  
კოს ვეტმანის სამასსტრიქონიანი სტატია მიეძღვნა.

იმავე დღეს „ლარიბობამ“ თავის მკითხველებს აუწყა, რომ გარდაიცვალა  
სპეციალისტთა წრეში ცნობილი მუშაკი, ნიადაგის სინოტივის ოპტიმალური  
რეჟიმის შემსწავლელი ინჟინერ-აგრონომი მატისენი.

მხოლოდ კოჩუბაროვოელ აგრონომის თანაშემწე პეტროპავლუშკინს, რო-  
მელსაც „იზვესტიაც“ ჰქონდა გამოწერილი და „ლარიბობაც“, შემთხვევით  
მოუვიდა თავში აზრი, რომ გაზეთებში გამოქვეყნებულ ამ სამ ცნობას ერთ-  
მანეთთან კავშირი ჰქონდა: მატისენი მოკვდა — კამჩატკის მთებზე პლანეტა  
დაეშვა — ერთი ვარსკვლავი დაიკარგა და ირმის ნახტომი გაიხლიჩა. მაგრამ  
ამ სოფლურ ნაბოღვარს ვინ დაიჭერებდა?

მატისენი დიდის ამბით დაკრძალეს. მის გვამს თითქმის მთელი კოჩუბა-  
როვოს სასოფლო-სამეურნეო კომუნა მიაცილებდა. მიწის მუშას ყარიბნი და  
შასწაულთმოქმედნი ოდითგანვე უყვარდა. ხოლო სიტყვაძუნწი ეული მათი-  
სენი იმათთაგანი რომ იყო, ამას ყველანი აშკარად გრძნობდნენ. როცა კუბო  
ვიდაცამ უხერხულად შეანჯღრია, მატისენს მელოტი თავიდან თმის უკანას-  
კნელი ბლუჯა ჩამოსცივდა. ამან ყველა გლები განაცვიფრა და მკვდარი მა-  
ტისენის მიმართ უფრო მეტი სიბრალულითა და პატივისცემით განმსჭვალა.

მატისენის დაკრძალვა ოკეანეში ჩაძირული „კალიფორნიისა“ და „კლა-  
რას“ მოსაძებნად ამერიკისა და გერმანიის მთავრობათა მიერ გაგზავნილი  
წყალქვეშა ექსპედიციის სამუშაოთა დამთავრებას დაემთხვა.

კატასტროფის ადგილიდან წასვლის წინ ექსპედიციამ ნიუ-იორკსა და  
ბერლინში რადიოგრამა გადასცა:

„ზუსტი დაზვერვით დადგენილად იქნას მიჩნეული — ბოლიდის ცოც-

ხალი ძალა ტიტანური სიდიდისა იყო: „კალიფორნია“ და „კლარა“ ბოლიდმა ოკეანის ფსკერში ღრმად ჩამარბა და თვით ბოლიდიც ოკეანის წიაღში ჩაიკარგა. კატასტროფის ადგილას ორმოცი კილომეტრის დიამეტრის მქონე ღრმული წარმოიქმნა, რომლის უღრმესი ადგილი ფსკერის პერვენიდული დონიდან 2,5 კილომეტრია. მხოლოდ წყალქვეშა ბურღვის შედეგობით შეიძლება დადგინდეს, რა სიღრმეზეა ჩამარბული სამივე სხეული — „კალიფორნია“, „კლარა“ და თვით ბოლიდი. მოსალოდნელია, რომ საკვლევო საგნები ძალზე დეფორმირებული იქნება“.

პასუხად ორივე მთავრობამ უღებუა:

„ოკეანის ფსკერის ბურღვას შეუდექით. შესაბამისი კრედიტები გახსნილია“.

ექსპედიციამ ერთ-ერთი თავისი გემი წყალქვეშა საბურღი სამუშაოებისთვის საჭირო დამატებით მოწყობილობათა მოსატანად გაგზავნა, ორი კვირის შემდეგ კი ბურღვაც დაიწყო.

პეტროპავლუშკინი „ღარიბობის“ სოფლკორი იყო. მეცნიერებამ მსოფლიო სენსაციათა მანიკის ტყვეობაში მოაქცია. მეცნიერულ აღმოჩენათა მანიფესტები ყოველდღიურად პრესის ნახევარს იკავებდა. იყო დრო, როცა მეომარი ხარობდა, მერე მდიდარი ზეიმობდა, ახლა კი გმირი მეცნიერისა და მოზეიმე ცოდნის ქამი დადგა. ისტორიის წინამძღვრობა მეცნიერებამ მიიკუთვნა.

პეტროპავლუშკინი მეცნიერებიდან განზე დგომას ვერ აიტანდა, ამიტომ „ღარიბობას“ კორესპონდენცია გაუგზავნა, რომელსაც იგი მსოფლიო მეცნიერების მონაწილე უნდა გაეხადა და შინაგანი კმაყოფილება მიენიჭებინა.

გუმანი ცხრა დღეს ტანჯავდა, მერე ეს გუმანი რწმენად ექცა და მისმა მხურვალეობამ გონება გაუფიცხა.

კორესპონდენციას სათაურად ჰქონდა „ადამიანის ბრძოლა მთელ სამყაროსთან“:

„მეცნიერმა ინჟინერმა და აგრონომმა ისაკ გრიგორიევიჩ მათისენმა, რომელიც რამდენიმე დღის წინ გარდაიცვალა, რაც მკითხველმაც უწუის, ისეთი აზრები გამოიგონა, რომ ამ აზრების ზეგავლენით მეტეორები დედამიწაზე თავისით ცვიოდა. სიკვდილის წინ, როცა სხეულის მხურვალეობა ჯერ არ ჩასცხრომოდა, ისაკ გრიგორიევიჩმა მითხრა, უარეს რაღაცას ვიზამო. ამერიკელების გემიც მისი ნებით ჩაიძირა. ვურჩიე, ასეთ ცოდვას ნუღარ იტვირთავ-მეთქი. მან კი მცირედ განსწავლული კაცის (მემინდვრეობის აგრონომის თანაშემწის ბარისხი მაქვს) საღი აზრი სასაცილოდ აიგდო. დარწმუნებული ვარ, რომ ირმის ნახტომი ისაკ გრიგორიევიჩის აზრის ზეგავლენით გაიხლიჩა. ამის თქმა სასაცილო კია, მაგრამ იგი დაძაბულობისგან მოკვდა. თავში ძარღვები გაუხკდა და სისხლი ჩაექცა. ირმის ნახტომის გარდა ისაკ გრიგორიევიჩმა ერთი ვარსკვლავი საბუდამოდ წაახდინა და მზე დედამიწიანად წუნარი, გავალული გზიდან გადააცდინა. აგრეთვე ამის გამო, მე მგონი, რომელიღაცა პლანეტა რატომღაც კამჩატკის ნახევარკუნძულზე მოფრინდა.“

მაგრამ ეს წარსული ამბავია. ისაკ გრიგორიევიჩი ახლა მკვდარია, საიმი-

დოდ გამართული სამყარო კი სულ ამაოდ წაახდინა. შეეძლო, სიკეთეც ექნა, მაგრამ რატომღაც არ მოისურვა და მოკვდა.

ამ მსოფლიო მნიშვნელობის ფაქტს ვაშუქებ და მოვითხოვ, რომ ნდობით მოეპყრონ, რადგან უველაფრის შემსწრე გახლავართ. ამის დასამტკიცებელია ისაკ გრიგორიევიჩთან ჩემი წინასწარი საუბარი, ვინაიდან განმარტობებით მოკვდებოდა.

ამგვარად უველაფერი ახსნილია მცირედ გათვითცნობიერებულთა თვალის ასახვლად და ფაქტი უველას უურადსაღებ ფაქტად იქცა.

ძირს ბოროტი საიდუმლოებანი, გაუმარჯოს სასიკეთო მეცნიერებას! სოფლკორი და უბნის აგრონომის თანაშემწე მემინდვრეობის დარგში პეტროპავლუშკინი“.

„ლარიბობის“ რედაქციაში მიცვალეზულის ამგვარ დასმენაზე ბევრი იცინეს, ამხანაგ პეტროპავლუშკინს მისი რწმენის უარყოფელი, გულთბილი წერილი მისწერეს და შეჰპირდნენ, ისეთ წიგნებს გამოგიგზავნით, წაიკითხავ თუ არა, იდეალისტური აბდაუბდისგან უმაღლვე განიკურნებიო.

პეტროპავლუშკინი განაწყენდა და კორესპონდენციების გაგზავნა შეწყვიტა. მერე გადაიფიქრა და გულმოსულმა ღია ბარათი გაგზავნა:

„მოქალაქენო! რედაქტორ-გამომცემლებო! მცირედ განსწავლულმა კაცმა ფაქტი შეგატუბინეთ, თქვენ კი არ დაიჭერეთ, თითქოს მთლად უსწავლელი ვიყო. გთხოვთ, გონს მოხვიდეთ და თუნდაც ერთ დღეს ირწმუნოთ, რომ აზრი ბდეალიზმი კი არ არის, მყარი და მძლავრი ნივთიერებაა. ხოლო უველა სამყარო გარეგნულადაა მტკიცე, ნამდვილად კი ბეწვზე ჰკიდია. ბეწვს არავინ კრის და ისინიც უვნებლად არიან. აზრის ნივთიერება დაეჯახა თუ არა, ყოველივე დაირღვა. მაშ რაღა გალაპარაკებთ და ფაქტებს რაღას დასცინით? მსოფლიო სამყარო ქალღმერთის გაზეთი კი ნუ გგონიათ. საყვედურს გითვლით — ყოფილი სოფლკორი პეტროპავლუშკინი“.

მარია ალექსანდროვნა კირპიჩნიკოვამ „კალიფორნიაზე“ დალუპულთა სი-აში ქმრის სახელი ამოიკითხა. აქამდე იცოდა, ქმარი რომ დაუბრუნდებოდა, ახლა შეიტყო, რომ იგი ამქვეყნად აღარ იყო.

თორმეტი თვეა, რაც თვალით აღარ ენახა, ახლა კი ველარასოდეს იხილავდა.

— ცხოვრება დასრულდა! — ხმამალლა თქვა მან და ფანჯარასთან მივიდა.

— დედა, რა თქვი? — ჰკითხა ხუთი წლის ვაჟმა, კატას რომ ეთამაშებოდა.

— ზაფხული დასრულდა, შეიღო! ხედავ, გარეთ ხეს ფოთლები სცვივა!

— რა გატირებს? მამა აღარ მოვა?

— მოვა, გენაცვალე!..

— გეცოდება? დიდი წიგნი იმას უყიდე?

— შენი ლექსი ხომ არ დაგვიწყებია? აბა, თქვი!

ბიჭი იატაკიდან წამოდგა და ლექსი სულმოუთქმელად წარმოთქვა. შეჩერებისა ეშინოდა, ვაითუ დამავიწყდესო:

წითურ შოფერს ახტობუნი  
მიბყავს, მიუჩქარია.  
ასე ჩქარა სიარული  
საშიშია ძალიან.



ერეკლე

ბიჭს საკუთარი თავი შოფრად ჰყავდა წარმოდგენილი და დურად ამბობდა. დედა მოეხვია და ხვეწნა დაუწყო, დაიძინე, თორემ საღამომდე ქანცი გაგიწყდებაო. ბიჭი არ ემორჩილებოდა და დედას თავად უაღერსებდა, ხარბად და შეგნებულად, როგორც დავაჟაკებული.

- დაწეჭი, შვილიყო, დაიძინე და მამა უფრო მალე მოვა!
- დედა, ნუ მატყუებ! რამდენჯერ დავიძინე და მაინც არ მოვიდა!
- მაშინ ისე, ტყუილად დაწეჭი! თორემ ბებიასთან გავგზავნი, როგორც ლევოჩკა გავგზავნე და მოგენატრები! წახვალ ბებიასთან?
- არ წავალ!
- რატომ?
- იქ მომწყინდება, მამა კი მაშინ მოვა, როცა აქ არ ვიქნები!

ბიჭი დასაძინებლად მაინც დაწვა — დედამ იცის, ეს როგორ მოახერხოს. მარია ალექსანდროვნამ შვილს დახედა. ბიჭუნას სახე დაუწყნარდა და უჩვეულო გაუხდა. ახლა სიბრაღულსა და უფრო ძლიერ სიყვარულს იწვევდა. ისეთი შესახედავი იყო, თითქოს როგორც კი გაიღვიძებს, სულ სხვანაირად მოიქცევა და დედას მისი დატუქსვა აღარ დასჭირდებაო. მაგრამ მძინარე ბავშვის უმწეო, გულის ამაჩუყებელი შესახედაობა მხოლოდ მაცდური იყო; გაიღვიძებდა თუ არა, უმალვე პატარა მოურჯულებელ ყაჩაღად იქცეოდა, ისე აიწყვეტდა, ავეჯსაც კი ქანცს გამოუღევდა.

მარტოდ დარჩენილმა მარია ალექსანდროვნამ გადაწყვიტა, ცხოვრებას არ შედრკომოდა. მაგრამ იცოდა, რომ ახლა თავისი ცნობიერების მთელი ძალა იმისთვის უნდა მოეხმარებინა, სიყვარულით მოწყვლული, აკვნესებული გული როგორმე დაეოკებინა. მხოლოდ ასე თუ გაძლებდა, თორემ შეიძლებოდა, სული ძილში ამოხდომოდა.

დაძინებისა ეშინოდა: დაუოკებელი მწუხარებისგან აღძრული შემზარავი სახებანი გაყუჩებულ, უმწეო გონებას დამიშანთავენო. იცოდა, რომ მძინარე ადამიანს საშინელი მოჩვენებანი ეუფლებიან, ისე როგორც მოუვლელი, გავერანებული მინდვრები სარეველა ბალახის კუთვნილება ხდება.

ამიტომ ღამის მოახლოება უკიდურესად აშინებდა.

როგორც ქალს, როგორც ადამიანს სურდა, რომ ქმრის ნეშტისგან შთენილი ერთი მუჟა ფერფლი ჰქონოდა. ოკეანის ფსკერს ჰვემოთ უმისამართო საფლავი ნამდვილი სიკვდილის რწმენას ვერ ბადებდა, მაგრამ ბუნდოვანი ინსტინქტი უკარნახებდა, რომ მიხაილი ამქვეყნიური ჰაერით აღარ სუნთქავდა.

მძინარე ეგორუშკა მამას მოზმანებულოვით წააგავდა. მხოლოდ ნაოჭები და ტუჩებთან დაქანცულობისგან გაჩენილი ღარები არა ჰქონდა.

მარია ალექსანდროვნა ქმრის გულისთქმას მთლად მაინც ვერ სწვდებოდა: ვერ მიმხვდარიყო, იგი შინიდან რა მიზნით წავიდა. არა სჯეროდა, რომ ცოცხალ ადამიანს შეეძლო, უცილობელი ცხოველმყოფელი ბედნიერება განყენებული ეული იდეის მთოშავ უდაბურებაზე გაეცვალა. ეგონა, რომ ადამიანი მხოლოდ ადამიანს ეძებს, არ კი იცოდა, ადამიანთან მისასვლელი გზა ზოგჯერ უკაცრიელსა და გამთოშავ სივრცეზე თუ გადიოდა. მარია ალექ-

სანდროვნას მიაჩნდა, რომ ადამიანებს ერთმანეთისგან ორიოდ ნაბიჯი აშორებდა.

მაგრამ მიხაილი თავისი იდუმალი აზრის საგანძურის საძიებლად წავიდა, მერე კი შორეულ ოკეანეში დაიღუპა. მარია ალექსანდროვნამ, რა თქმა უნდა, იცოდა, მისი ქმარი რასაც ეძებდა. ხვდებოდა, რა მნიშვნელობა ჰქონდა გამოგონებას, რაც მატერიის გამრავლებას შეაძლებინებდა. მისი სურდა, ამ საქმეში ქმარს დახმარებოდა და ათ ტომად გამოცემული დიდი ნაშრომი — ტუნდრაში ახლახან ნაპოვნი წიგნის თარგმანი უყიდა, „გენერალური თხზულების“ სახელწოდებით რომ დაიბეჭდა. როგორც ჩანს, აიუნეთში კითხვას ძალიან ეტანებოდნენ: ამას ხელს უწყობდა რუსთვიანი ლამის წყვედიანი და აიუნების განმარტოებული ცხოვრება.

მერე ვერტიკალური თერმული გვირაბის მშენებლობისას, როცა კირპიჩნიკოვი უკვე დაკარგული იყო, მშენებლებმა გრანიტის ოთხი ფილა აღმოაჩინეს, რომლებზეც მსხვილად ამოკვეთილი სიმბოლოები იყო გამოსახული. ამ სიმბოლოებს ისეთივე მოხაზულობა ჰქონდა, როგორც ადრე ნაპოვნი წიგნში — „აიუნის სიმღერაში“ გამოსახულ სიმბოლოებს, ამიტომ თანამედროვე ენაზე მათი გადმოტანა იოლად მოხერხდა.

წარწერებიანი ფილები, როგორც ჩანს, აიუნი ფილოსოფოსის ძეგლი და ანდერძი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ ანდერძში ბუნების იდუმალი არსზეც იყო აზრები გამოთქმული. მარია ალექსანდროვნამ მთელი წიგნი გულდასმით წაიკითხა და შიგ აშკარა მინიშნებებს მიაგნო იმ საიდუმლოებაზე, რასაც მისი ქმარი მთელ ტიალ დედამიწაზე დაეძებდა. ოდესღაც გარდაცვლილი კაცი მის ქმარს, მეცნიერსა და მოხეტიალეს, დახმარების ხელს უწვდიდა. ხოლო ქალსა და დედას შემწეობასა და ბედნიერებას აღუთქვამდა.

მარია ალექსანდროვნამ განცხადებები ზუთ ამერიკულ გაზეთში, აი, მაშინ გაგზავნა.

მარია ალექსანდროვნამ „გენერალური თხზულების“ საჭირო ადგილები დაიზეპირა, რადგან ეშინოდა, ვაითუ წიგნები შემთხვევით დამეკარგოს და მიხაილს ვეღარ დავახვედრო ის საჩუქარი, რაც ყველაზე მეტად გაახარებსო.

„ცოცხალი მხოლოდ ცოცხალს შეიცნობს, — წერდა აიუნი, — უსიცოცხლო შეუცნობელია. საეჭვო უცილობლით ვერ განიჭომება. სწორედ ამიტომ შევიცანით ჩვენ ასე ცხადად ისეთი შორეული რამ, როგორც აენია (შეესაბამება ელექტრონს. — მთარგმნელთა და განმმარტებელთა შენიშვნა), და მცირედ შეცნობილი დაგვჩა ისეთი ახლობელი რამ, როგორც მამარვაა (შეესაბამება მატერიას. — მთარგმნელთა და განმმარტებელთა შენიშვნა). ეს იმიტომ მოხდა, რომ პირველი ცოცხლობს, როგორც შენ ცოცხლობ, მეორე კი მკვდარია, როგორც მუია (უცნობი სახე. — მთარგმნელთა და განმმარტებელთა შენიშვნა). როცა აენები პროიაში (შეესაბამება ატომს. — მთარგმნელთა და განმმარტებელთა შენიშვნა) მოძრაობდნენ, თავდაპირველად ეს მექანიკურ ძალად მიგვაჩნდა, შემდეგ კი აენებში სიცოცხლე აღმოვაჩინეთ და გაგვიხარდა, მაგრამ პროიას მამარვით სავსე ცენტრი საუკუნეთა მანძილზე ამოუცნობი რჩებოდა, სანამ ჩემმა ვაჟმა უცილობლად არ დაამტკიცა, რომ პროიას ცენტრი იმავე აენებისგან, ოღონდ მკვდარი აენებისგან შედგება. მკვდარი აენები ცოცხალთა საზრდოა. ჩემმა შვილმა პროიას გული როგორც კი ამოაცალა, ცოცხალი აენები შიმშილისგან ერთიანად ამოწყდნენ. აღმოჩნდა,



რომ პროიას ცენტრი ცოცხალი აენების საზრდოს ბედელია და აენები თავიანთი წინაპრების გვამთა სავანის ირგვლივ ტრიალებენ, რათა ისაზრდონ. ასე ხადად და ბრწყინვალედ ამოიხსნა მთელი მამარვის ბუნება. მარადიული ხსოვნა ჩემს ვაჟს. მარადიული გლოვა მის სახელს! მარადიული პატივი მის დაქანცულ სახებას!

ერეკლე  
ზიზლიძე

მარია ალექსანდროვნამ ეს ისევე ზეპირად იცოდა, როგორც მისმა ვაჟმა წითურ შოფერზე გამოთქმული ლექსი.

„გენერალური თხზულების“ დანარჩენი ნაწილი შეიცავდა მოძღვრებას აიუნთა ისტორიაზე — მათი ისტორიის დასაწყისზე და აღსასრულის მოახლოებაზე, როცა აიუნები თავიანთ ზენიტს მიაღწევდნენ დროსა და ბუნებაში, როცა სამივე ძალის — აიუნთა ხალხის, დროის და ბუნების — ჰარმონიული თანაფარდობა დამყარდებოდა და მათი თანაარსებობა სიმფონიასავით აქლერდებოდა.

ეს მარია ალექსანდროვნას ნაკლებად აინტერესებდა. იგი თავისი პირადი ბედნიერების წონასწორობას ეძიებდა და იღუმალის აიუნის წინასწარმეტყველებას მთლად ვერ ჩასწვდა.

მხოლოდ წიგნის უკანასკნელმა გვერდებმა ააფორიაქა, განცვიფრებულმა გულისყური გაიმახვილა და თავდავიწყებით იწყო კითხვა.

„...ამჟამად ეს ისევე შესაძლებელი შეიქნა, როგორც ჩემი სამშობლოს სიყრმის ეპოქაში. მაშინ დედა ოკეანის (ჩრდილოეთი უინულოვანი ოკეანის. — რედაქტორის შენიშვნა) წიაღი აბობოქრდა და ოკეანემ თოშოანი მქისე წყლითა და უინულის ლოდებით იწყო ჩვენი მიწა-წყლის დაფარვა. წყალი ოკეანეში დაბრუნდა, უინული კი დარჩა. ეს უინულები დიდხანს დაცოცავდნენ ჩვენი ვრცელი სამშობლოს ბორცვებზე, სანამ მთლიანად არ გადათქერეს და ჩვენი სამშობლო უნაყოფო ველად არ აქციეს. საუკეთესო ნაყოფიერი ნიადაგი ბორცვებიდან უინულმა გადახვეტა და ხალხი დამშეულ ველზე დარჩა. მაგრამ უბედურება საუკეთესო მოძღვარია, კატასტროფა კი მაორგანიზებელია ხალხისა, თუ მისი სისხლი დედამიწაზე დიდხანს ცხოვრებით უნაყოფო არ ქმნილა. ასე მოხდა მაშინაც: უინულმა მოსავლიანი მიწა გაანადგურა, ჩვენს წინაპრებს საზრდო წაართვა, ხალხი ვეღარ მრავლდებოდა და დაღუპვის საშიშროება ემუქრებოდა. ოკეანის ცხელმა ნაკადმა, ჩვენს ქვეყანას რომ ათბობდა, ჩრდილოეთისკენ დაიხია და სუსხი აქაბჭახდა იმ მიწაზე, სადაც დაბინდული არგონები ყვაოდა. ჩრდილოეთიდან უსიცოცხლო უინულთა ქაოსი შემოგვეჭარა, სამხრეთით ზღუდედ მდგარი ტყე სავსე იყო საშინელი მხეცვებით, კუნაპეტი ღრუბელივით რომ მოიგრაგნებოდნენ. ტყეს ზუნდრის (გიგანტური გველების განავალი — რედ. შენ.) შხამიანი მდინარეები სერავდა, შემზარავ ქვემძრომთა სისინი აყრუებდა. მამაცი აიუნები ბედისწერას ღირსეულად შეხვდნენ. ხალხმა საკუთარი თავის მოსპობა დაიწყო. ისინი წიგნებს, აიუნთა უძვირფასეს განძეულს, მიწაში ფლავდნენ, ფურცლებს წინასწარ ვენიის შემცველი სითხით უღენტავდნენ, ხოლო გარედან ოქროს ფურცლებს აკრავდნენ, რათა ეს წიგნები არ დაზიანებულიყო და საუკუნოდ შენახულიყო.

როცა ხალხის ნახევარი სიკვდილს დანებდა და უსულოდ იწვა, გამოჩნდა ეია — წიგნთა მცველი. იგი გაუკაცრიელებულ გზებსა და დაღუმებულ სადგომებს გაუყვა. — ჩვენს მიწას ნაყოფიერება წაერთვა, — ამბობდა იგი, — მაერს

სითხოვ ეკარგება, უინული ხვეტს ჩვენს სამშობლოს და უბედურება გონების სიბრძნეს და სიმაჰაცეს სძობს. მარტო მზის შუქილა დაგვრჩა. მე აპარატი ვაკეთებ — აი, ეს აპარატი ტანჯვამ მოთმინება მასწავლა და ხალხის სასოწარკვეთის საშინელი წლები ნაყოფიერად გამოვიყენე. შუქი ტანჯული მამარვის (ცვალებადი მატერიის — რედ. შენ.) ძალაა, შუქი აენებეს, აენებენ აენები საშინელი ძალის მქონენი არიან. ჩემი აპარატი მზის აენებებს — ნაკლებად სითბოდ გარდაქმნის. ჩემი უბრალო მანქანით შემოძლია, მარტო მზის შუქი კი არა, მთვარისა და ვარსკვლავების შუქიც სითბოდ გარდავქმნა. შემოძლია, უდიდესი რაოდენობის სითბო მივიღო, რაც მთებსაც კი დაადნობს. ჩვენი მიწის გასათბობად ოკეანის თბილი ნაკადი ახლა აღარ გვჭირდება.

ასე იქცა ეია ცხოვრების წარმამრთველად და აიუნთა ახალი ისტორიის დამწყებად. მისი აპარატი რთული სარკეებისგან შედგება, რომელთა შემწეობითაც ცის შუქი სითბოდ და ლითონის ცოცხალ ძალად (აღბათ ელექტრობად — რედ. შენ.) გარდაიქმნება, იგი ახლაც ხალხის სიცოცხლისა და კეთილდღეობის წყაროა.

სამშობლოს ველ-მიდნვრები აუვაავდა და ბავშვები კვლავ დაიბადნენ. გაიარა ენმა (დროის ძალიან დიდმა მონაკვეთმა. — რედ. შენ.).

ადამიანის ორგანიზმს ძალა ამოეწურა. ახალგაზრდა მამაკაცსაც კი აღარ ძალედვა თესლის წარმოქმნა, უძლიერესი გონებაც კი აზრს ველარ ბადებდა. სამშობლოს სივრცეები უკიდურესი სასოწარკვეთის ბინდში ჩაიძირა — ადამიანმა საკუთარ თავში ზღვარს მიაღწია — აიუნა, ჩვენი გულის მზე, მალე საუკუნოდ ჩაესვენებოდა. ამასთან შედარებით რა იყო უინული, რა იყო სიციფე, რა იყო სიკვდილი. ადამიანს საკუთარი თავის სიძულვილიდა ასაზრდოებდა. აღარ შეეძლო არც სიყვარული, არც აზროვნება, ტანჯვაც კი აღარ შეეძლო. სხეულის წიაღში სასიცოცხლო წყარო დაიშრიტა, ერთიანად დაილია. საჭმელსასმელი მთებად გვედგა, სასახლეები გვექონდა სალხენად, კრისტალურ წიგნთსაცავებს ვფლობდით. მაგრამ ბედმა ზურგი შეგვაქცია, ჩვენს სხეულს ცხოველმყოფელობა და მხურვალეობა გამოეღია, იმედები წყვდიადმა მოიცვა. ადამიანი იმ მაღაროს დაემგვანა, სადაც მაღანი ამოწურულია და ცარიელი შახტებიდაა დარჩენილი.

კარგია, როცა ბობოქარ ოკეანეში მკვიდრად ნაგებ ხომალდზე დაიღუპები, საჭმლით გაგუდვა კი საშინელია.

ასეთმა ყოფამ დიდხანს გასტანა. მთელ თაობას სიჭაბუკე არ განუცდია.

მაშინ ჩემმა შვილმა რიიგომ ხსნის გზას მიაგნო. რის მოცემაც შენებას არ შეეძლო, ოსტატობამ შეძლო. რიიგოს ცოცხალი გონება შემორჩა და გვითხრა, ჩვენი ბედი აღსასრულისკენ მიედინება, მაგრამ ჭერ კიდევ შეიძლება, კარი გავუღოთ, — ნათელი დღე კვლავ მოგველისო. ხსნის გზა მარტივი იყო: ელექტრომაგნიტური კალაპოტი. (დედანში: მილი ლითონის ცოცხალი ძალისათვის. — რედ. შენ.). რიიგომ სივრციდან ჩვენი დაშრეტილი სხეულის აენებისკენ საჭმლის მიმწოდებელი სადენი გამოიყვანა და ამ სადენში მკვდარი აენების (შეესაბამება ეთერს — რედ. შენ.) ნაკადები მიუშვა; ჩვენი სხეულის აენებმა სამყოფი საჭმელი მოიპოვეს და გამოცოცხლდნენ. ასე აღდგა მკვდრეთით ჩვენი გონება, ჩვენი გული, ჩვენი სიყვარული ქალისადმი და ჩვენი აიუნა. უფრო მეტიც: ბავშვები ორჯერ უფრო სწრაფად იზრდებოდნენ და სიცოცხლე მათში უმძლავრესი მანქანასავით ფეთქავდა. სხვა ყოველივემ — შემეცნებამ, გრძნობამ და სიყვარულმა — იმატა, საშინელ სტიქიად

იქცა და მამები დააფრთხო. ისტორიამ ხვლა შეწყვიტა და სრბოლა იწყო. ბედისწერის ქარაშოტი შეუბურავ სახეზე გვცემდა და ნააზრევისა და ნაწოქმედარის უღიადეს სიახლეებს წარმოაჩენდა.

ჩემი ვაჟის გამოგონება უფერულია, ისევე როგორც ყოველივე ჩინებული. რიიგომ პროიას ორი ცენტრი აიღო, აენების გვამებით რომელიმე ნაწილში, და ერთ პროიაში მოათავსა. უმაღლვე პროიას ცოცხალმა აენებმა სწრაფად შეწყვეტეს გამრავლება და მთელი პროია ათ დღეში ხუთმაგად გაიზარდა. მიზეზი ცხადი და უბრალოა: აენებმა ჭამას უმატეს, რადგან საზრდოს მარაგი გაუორმაგდა.

რიიგომ ამგვარად მოაშენა მადლარი, სწრაფად მზარდი და გამრავლებისკენ უსაზომოდ მისწრაფებული აენები. მაშინ მან ჩვეულებრივი სხეული — რკინის ნაჭერი აიღო და მის სიახლოვეს, რკინასთან ოდნავ შეხებით, კოლონიებში გამრავლებულ მადლარ აენტა ნაკადის გასხივება იწყო ვარსკვლავეთისკენ. მადლარი აენები თავის წინაპართა გვამებს (ანუ ეთერს. — რედ. შენ.) შესაქმელად აღარ ეტანებოდნენ და ისინი თავისუფლად მიედინებოდნენ რკინის ნაჭრისკენ, სადაც მათ მშიერი აენები ელოდნენ. ამის შედეგად რკინამ ხალხის თვალწინ იწყო ზრდა, როგორც მიწიდან აღმოცენებული ღვი იზრდება, როგორც ბავშვი იზრდება დედის მუცელში.

ჩემი ვაჟის ოსტატობამ ამგვარად აალორძინა ადამიანი და ნივთიერების მოშენება დაიწყო.

მაგრამ გამარჯვება ნიადაგ დამარცხების მომამზადებელია.

ხელოვნურად გამოკვებილმა აენებმა, რომელთაც უფრო ძლიერი სხეული ჰქონდათ, ცოცხალ, მაგრამ ბუნებრივ აენებზე თავდასხმა და მათი ჩანთქმა იწყეს. ხოლო რადგან ნივთიერების ყოველგვარი გარდაქმნისას დანაკარგის თავიდან აცილება შეუძლებელია, ამის გამო შექმნილი პატარა აენი დიდი აენის სხეულს იმხელაზე ვერ ზრდიდა, რამხელაც თვითონ იყო სიცოცხლეში. ამგვარად, ხან აქ, ხან იქ — ყველგან, სადაც კი მოხვდებოდა გამოკვებილი აენი (ელექტრონები — შემდეგ ამ თანამედროვე ტერმინს ვიხმართ. — რედ. შენ.), ნივთიერებამ შემცირება იწყო. რიიგოს ოსტატობამ მთელი დედამიწისთვის საჭმლის მიმწოდებელი სადენის შექმნა ვერ შეძლო და ნივთიერება ილეოდა. ნივთიერება მხოლოდ იქ იზრდებოდა, სადაც ელექტრონების გვამთა ნაკადისთვის ტრაქტი იყო გაყვანილი (ეთეროვანი ტრაქტი. — რედ. შენ.). ეთეროვანი ტრაქტებით აღჭურვილნი იყვნენ ადამიანები, აგრეთვე ნიადაგი და ჩვენი სიცოცხლისთვის საჭირო უმთავრესი ნივთიერებანი. სხვა ყოველივე მცირდებოდა, ნივთიერება ილეოდა, ჩვენ პლანეტის ნგრევის ხარჯზე ვცხოვრობდით.

რიიგო სახლიდან გაქრა. დედა ოკეანეში წყალმა კლება იწყო. რიიგომ იცოდა, წყალი რატომაც ქრებოდა, და მტრის შესახვედრად წავიდა. ერთხელაც მისი გამოკვებილი და აღზრდილი ელექტრონების მოდგმამ დრო-უამის წემოქმედებითა და ბუნებრივი შერჩევის შედეგად იმას მიაღწია, რომ მოცულობა ყოველი ელექტრონის სხეულისა ღრუბლის ოდენა შეიქნა.

ელექტრონთა მძვინვარე ღრუბლები დედა ოკეანის წიაღიდან გაშმაგებით მოედინებოდნენ, ვითარცა მთები მიწისძვრისას ისე ირყეოდნენ, მძლავრი ქარებივით მოქშუოდნენ. აიუნას ისინი წყალივით შესვამდნენ! რიიგო დაიღუბა. ელექტრონის მზერის გაძლება შეუძლებელია. შიშისგან სიკვდილი უღირსი იქნება, მაგრამ აიუნას ველარაფერი იხსნის. დიდი ხანია, რაც რიიგო

უცნობლობაში, როგორც ქვა ქაში, ისე ჩაიქარგა. ძალზე ნელა მოდიან ეს კოსმოსური მხეცები. მაგრამ გზა პროიას ნაწილაკიდან ცოცხალ მთად ქცევამდე ძალიან მალე გაიარეს. მე მგონი, ისინი მიწაში, როგორც ხაჭოში ისე იძირებიან, რადგან მათი სხეული ტყვიაზე უფრო მძიმეა. რეგულარულად ამოდ არ დადუპულა, მას ამოცნობილი ჰქონდა საშუალება უცნობ ელემენტარული სხეულების დასამარცხებლად. ელექტრონის ძალა სწრაფ ზრდაში, ბუნებრივი შერჩევის გააფთრებულ მოქმედებაშია. ამაშივეა მათი სისუსტე, ვინაიდან ეს მათი ფსიქიკისა და ფიზიოლოგიური ორგანიზაციის უკიდურესი სიმარტივის მაჩვენებელია და, მაშასადამე, მათ დაუცველ, მოწყვლად ადგილს ავლენს. რიგომ ამოიცნო ეს აშკარა არსი, მაგრამ ტლატინის ზოდევით მძიმე ელექტრონის თათის დარტყმამ მოკლა...”

მარია ალექსანდროვნა წიგნში თავჩარგული იჯდა, ეგორუშკას ეძინა, საათმა ლამის თორმეტი ჩამორეკა — ყველაზე საშინელი უამი მარტობისა, როცა ყველა ბედნიერს სძინავს.

— ნუთუ ასე ძნელია ადამიანისთვის საქმლის მოპოვება? — ზმამალლა თქვა მარია ალექსანდროვნამ. — ნუთუ გამარჯვება მუდამ დამარცხების წინამორბედი?

მოსკოვი დადუმებულა. უკანასკნელი ტრამვაები კონტაქტებიდან ნაპერწყლების ფრქვევით პარკისკენ მიიჩქარიან.

— მაშ რა გამარჯვება აანაზღაურებს ჩემი ქმრის ავბედით სიკვდილს? რა სულიერმა უნდა შემიცვალოს მისი სევდიანი სიყვარული?

მარია ალექსანდროვნას გული მწუხარებით დაემდულრა და ცრემლები ჩამოსცვივდა, რაც სხეულს უფრო აღრე კლავს, ვიდრე სისხლისგან დაცლა. გონება კოშმარმა აუფორიაქა: ბრძენ უმწეო აიუნას ცოცხალ პირქუშ ელექტრონთა გრგვინვა ტანჯავდა, აყვავებულ ტუნდრას შხამიანი ზუნდრის მწვანე მდინარეები ფარავდა. მისი ერთადერთი, საუკუნოდ დაქარგული მეგობარი მიხაილ კირპიჩნიკოვი ზუნდრის მდინარეში ქანცგამოლუული მიცურავდა და მწვანე წყლით იგუდებოდა.

კრემატორიუმის მახლობლად, ვერცხლისფერ ფიჭვნარში დახვეწილი არქიტექტურული სტილით ნაგები შენობა იდგა. იგი სფეროიდს — კოსმოსურ სხეულს გამოსახავდა, მაგრამ მიწას კი არ ეხებოდა, ხუთ მძლავრ სვეტს ეყრდნობოდა. სფეროიდის უმაღლესი წერტილიდან ცისკენ ტელესკოპის მაგვარი სვეტი იყო აღმართული ცოცხალთათვის ცოცხლების, მოყვარულთათვის საყვარელი არსებების წამართმეველი, პირქუში, სტიქიური სამყაროს მიმართ მუქარის ნიშნად, იმის ნიშნად, რომ ზეადმავალი მეცნიერების ძალა სამყაროს წიაღიდან მიცვალებულებს დაიხსნის, მკვდრებით აღადგენს და ცოცხალთა შორის დააბრუნებს.

ეს იყო ხსოვნის სახლი, სადაც ურნები იდგა დალუპულ ადამიანთა ფერფლით.

სახლში ჭაბუკთან ერთად შევიდა ჭაღარა, ხანდაზმულობისგან გალამაზებული ქალი.

ისინი მოგონებებისა და სევდის აღმძვრელი წყნარი ლურჯი შუქით განათებული უზარმაზარი დარბაზის მოჭეულ კუთხესთან მივიდნენ.

ურნები რიგ-რიგად იყო ჩამწკრივებული ჩამქრალ ჩირაღდანთა მსგავსად, ოდესღაც გაუკვალავ გზას რომ ანათებდნენ.

ურნებს მემორიალური დაფები ჰქონდა მიმაგრებული.



ეროვნული  
საკვლეო ცენტრი

„ანდრეი ვოგულოვი. უკვალოდ დაიკარგა ატლანტიდის ქვეშა ექსპედიციაში ყოფნისას.“

ურნაში ფერფლი არ არის — მისი სისხლით დასველებული ცხვირსახოცი დევს. ვოგულოვი წუნარი ოკეანის ფსკერზე მუშაობისას დაიჭრა და ცხვირსახოცი იქიდან მისმა თანამგზავრმა ქალმა ჩამოიტანა“.

„პეტერ კრეიცკოპფი, მთვარეზე გასაფრენი პირველი ჭურვის ამგები. თავისი ჭურვით მთვარეზე გაფრინდა და აღარ დაბრუნებულა. ურნაში ფერფლი არ არის. მისი ბავშვობის დროინდელი ტანსაცმელია შენახული. დიდება დიად ტექნიკოსს და მის მამაცურ სულისკვეთებას!“

საოცრად სახენათელი ქალარა ქალი ჭაბუკთან ერთად კვლავ დარბაზს გაუყვა.

ისინი განაპირა ურნასთან შეჩერდნენ.

„მიხაილ კირპიჩნიკოვი, მატერიის გამრავლების ხერხის მკვლევარი, ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორ ფ. კ. პოპოვის თანამშრომელი, ინჟინერი. დაიღუპა „კალიფორნიაზე“ ბოლიდის დაცემის შედეგად. ურნაში ფერფლი არ არის. ინახება მისი ნაშრომი ელექტრონთა ხელოვნური კვებისა და მოშენების შესახებ და თმის ბლუჯა“.

ქვემოთ მეორე, უფრო მცირე დაფა იყო მიმაგრებული:

„ელექტრონთა საზრდოს ძიებას მან საკუთარი სიცოცხლე და მეგობარი ქალის სული ანაცვალა. დაღუპულის ვაჟი მამის საქმეს განახორციელებს და დედას მამისგან დაკოდელ გულს გაუმთელებს. ხსოვნა და დიდება დიად მამიბებელს!“

სიბერე ხან სიჭაბუკის მსგავსია: ხსნას ნაგვიანევე წარმტაც ცხოვრებაში მოელის.

მარია ალექსანდროვნა კირპიჩნიკოვამ ახალგაზრდობა ფუჭად გალია და ქმრისადმი სიყვარული ახლა უმძაფრეს დედობრივ გრძნობად ექცა უფროსი ვაჟის ეგორის მიმართ, რომელსაც უკვე ოცდახუთი წელი უსრულდებოდა. უმცროსი ვაჟი ლევი სწავლობდა, გულთბილი და ძალიან ლამაზი ყმაწვილი იყო, მაგრამ დედა მის მიმართ ისეთ მძაფრ სინაზესა და მზრუნველობას არ იჩენდა და არც ისეთი იმედით შეჰყურებდა, როგორც ეგორს.

ეგორი მამას ჰგავდა — ისეთივე უბრალო, ჩვეულებრივი სახე ჰქონდა, მაგრამ უჩვეულოდ გიზიდავდათ ფარული სიღარბაისლითა და შეუცნობელი სიძლიერით.

მარია ალექსანდროვნამ ეგორს ხელი, როგორც ბავშვს, ისე ჩაჰკიდა და გასასვლელისკენ წაიყვანა.

ხსოვნის სახლის ვესტიბიულში ოქროს კვადრატული დაფა ეკიდა და ზედ პლატინის მორუხო ასოებით ეწერა:

„სიკვდილი ბატონობს იქ, სადაც არ არის საკმარისი ცოდნა ორგანიზმში მოქმედი ფიზიოლოგიური სტიქიონებისა, რაც ორგანიზმის რღვევას იწვევს“.

სახლის შესასვლელთან თაღზე ეწერა:



ეროვნული

სიყვარულით გაიხსენე და მწუხარებას ნუ მიეცემი: მკვდრებს მიცვალე მკვდრეთით აღადგენს და გულს დაგიმშვიდებს“.

ქალი და ჭაბუკი გარეთ გავიდნენ. სისხლჭარბ დედამიწას მზე დასჩახჩახებდა და ორ ადამიანს თვალწინ გადაეშალა ახალი მოსკოვი — ქალაქი მძლავრი კულტურისა, მუყაითი შრომისა და გონივრული ბედნიერებისა.

მზე ჯაფას ესწრაფოდა, ძალღონემოჭარბებული ადამიანები იცინოდნენ და შრომასა და სიყვარულს ხარბად ეძალებოდნენ.

ქვეყნის მანათობელი მზე მათ ყველაფრით უზრუნველყოფდა — იგივე მზე, ოდესღაც მიხაილ კირპიჩნიკოვს რომ უნათებდა გზას ლიმონის ბაღებში ჩაფლულ რივერსაიდის მხარეში, — ჭარმაგი მზე, მშფოთვარე, მძაფრი სიხარულით რომ ბრწყინავდა, როგორც მსოფლიო კატასტროფა და ჩასახვა ქვეყნიერებისა.

●  
ეგორ კირპიჩნიკოვმა ლომონოსოვის სახელობის ინსტიტუტი დაამთავრა და ინჟინერ-ელექტრიკოსი გახდა.

სადიპლომო პროექტი მან ჩააბარა თემაზე:

„დედამიწის ელექტროსფეროს შეშფოთება მთვარის ზეგავლენით“.

დედამ ეგორს მამამისის ყველა წიგნი და ხელნაწერი გადასცა, მათ შორის ფ. კ. პოპოვის ნაშრომიც, მიხაილ კირპიჩნიკოვმა პოპოვის სიკვდილის შემდეგ მთლიანად რომ გადაწერა.

ეგორი გაეცნო პოპოვის ნაშრომებს, აიუნთა უბადლო ლიტერატურას და ყველა თანამედროვე ჰიპოთეზას, რაც კი ელექტრონთა გამოკვებასა და აღზრდას შეეხებოდა. ელექტრონები ცოცხალი არსებები რომ იყვნენ, ამის თაობაზე ყოველგვარი ეჭვი გაიფანტა. ელექტრონების შემსწავლელი მეცნიერება უკვე მტკიცედ განისაზღვრა, როგორც მიკრობიოლოგიური დარგი.

ეგორმა თავისი ცხოვრების მიზნად სამყაროს საიდუმლოს საბოლოო ამოხსნა დაისახა და მამის მსგავსად სამყაროს პირველად წიაღს არცთუ ამაოდ ეძებდა ვარსკვლავთაშორის სივრცეში — ეთერის შემადგენელ ელექტრონთა იდუმალებით აღსავსე არსებობაში.

ეგორს სჯეროდა, რომ ნივთიერების ბიოლოგიური გამრავლების გარდა ხელოვნური გამრავლების ელექტრომაგნიტური ხერხიც არსებობდა და ამ ხერხს ქალის სიყვარულის ჯერ განუცდელი ჭაბუკის მთელი სიკისკასითა და მგზნებარებით ეძიებდა.

იმ ზაფხულს ეგორმა მალე დაამთავრა თავისი სამუშაო პროფესორ მარანდის ლაბორატორიაში, ვისთანაც ასისტენტად იყო ეთერის აღნაგობის კათედრაზე.

მარანდი მაისში ავსტრალიისკენ გაემგზავრა თავის მეგობარ ასტროფიზიკოს ტოვტთან სტუმრად, ხოლო ეგორი ისვენებდა და ზაფხულის მშვენიერ-

რებითა და საკუთარი ფიქრებით ტკებოდა, რაც თავში შემთხვევით გაურბენდა.

დასვენება საუკეთესო შემოქმედებააო, სწერდა ოდესღაც მარია ალექსანდროვნას ეგორის მამა, როცა ტუნდრაში ვერტიკალური თერმული გვირგვინის ირგვლივ დაეხეტებოდა, სადაც ერთხანს სამუშაოთა მწარმოებლობა იყო.

ეგორი შინიდან დილას გადიოდა. მეტროპოლიტენი წითელი ჭიშკრის, ხუთი ვაგზლის მოედნის ქვეშ გააქროლებდა და შორს ქალაქგარეთ, ახალი სოკოლნიკების გადაღმა, ჟანგბადით გაჯერებულ ტევრში გაიყვანდა. იქ დახეტილობდა, სისხლის წნევას, ტვინის თავისუფალ ვიბრაციასა და მოახლოებული სიყვარულის მწვავე სევდას შეიგრძნობდა.

ერთხელაც ასე მოხდა. ეგორს გამოეღვიძა — გარეთ უკვე დიადი და მოზეიმე ზაფხულის დღე იდგა. დედა გვიან ღამემდე წიგნს კითხულობდა და ახლა ეძინა. ეგორმა ჩაიცვა, დილის გაზეთი წაიკითხა, საოცარი ქალაქის გაბმულ გუგუნ-ზიმზიმს ყური მიუგდო და გადაწყვიტა, სადმე წასულიყო. მოძრაობის, ხეტიალისა და თვალის დატკობის წადილი ალბათ მამისგან თუ შორეული წინაპრებისგან გადმოჰყვა. შესაძლოა, მისი შორეული მამა-პაპანი ოდესღაც აბგაგადაკიდებულნი, ჯობზე დაყრდნობილნი მიდიოდნენ სალოცავად ვორონეჟიდან კიევში იმდენად სულის სახსნელად კი არა, რამდენადაც ახალი მიწაწყლის სახილველად; ანდა, ვინ იცის, კიდევ რისთვის. ჰოდა, ეგორიც ხეტიალის დაუოკებელ წადილს მცირე რადიუსის მქონე სივრცეში შეძლებისდაგვარად იკმაყოფილებდა.

მიწისქვეშა მატარებელმა ეგორი ოსტანკინოს იქით გაიყვანა და იქ მართო დატოვა. ეგორი ველზე გაკლაკნილ უკაცრიელ გზას გაუყვა, ქუდი მოიძრო და დედის წიგნში ამოკითხული, მივიწყებული ლექსი ჩაიბუტბუტა:

ამა სოფელში, მოყვასთა და უცხოთა შორის,  
დავეხეტები უმიზნოდ და უსიხარულოდ...

შემდეგ რა იყო, ვეღარ გაიხსენა, მაგრამ ახლა სხვა რაღაც მოაგონდა:

მიჯნური შენი სადღაც შორს მოკვდა,  
ქაში ჩავარდნილ ქვახავით გაქრა,  
ურნაში გიდევს მისი კულუღი,  
მოსაგონებლად მხოლოდ ეგ დაგრჩა.

ამ სიმღერას ზანდაზან ეგორის დედა ძღეროდა, როცა ქმარი გაახსენდებოდა, სევდა მოედარებოდა და მწუხარებისგან თავის დაღწევას შვილების ალერსითა და უბრალო სიმღერის შემწეობით ცდილობდა.

— მაშ ასე, — ჩაილაპარაკა ეგორმა, — ეთერი მაინც რას წარმოქმნის? — მერე ბალახზე გაიშოტა: — ეჰ, ეშმაკმა უწყის, რას!

მზე დედამიწას პირშელმა ელამუნებოდა და დედამიწას ბალახი და ტყეები ებურძგნებოდა, ქარები, მიწისძვრები და ჩრდილოეთის ნათებანი აფორიაქებდა.

ეგორმა მზეს დაუდევრად ახედა და უმალ მზურვალე ტალღა ყვლიდან დაეძრა, თავში აასკდა და იქ შეჩერდა.

ეგორი წამოდგა, აზრის მოკრებას შეეცადა, მაგრამ ვერ შეძლო. თითქოს სადღაც გადაკარგული საყვარელი ქალი უეცრად უკანიდან მო-  
 ეხვია და უმაღვე გაუჩინარდა.

რალაც ელვარე აზრი მის შემეცნებას, როგორც ქალს, ისე მისწვდა და ტვინში მოწყვეტილი ვარსკვლავით ჩაუსრიალდა. ეს იყვანა მისი ბიერებ-  
 ლად და ფიცხლად მოხდა, როგორც ბავშვი დედის ძუძუს წყვეტისას, როგორც ჩასახვის წამია უბიწო სხეულში. ეგორმა ისეთივე ალგზნება და გუ-  
 ლის დაამება იგრძნო, ყვავილი რომ იგრძნობს, როცა მანაყოფიერებელ მტვერს  
 სადღედ არეში ჩაიბნევს.

რაკილა უეცარი აზრი გაუსხლტა, ეგორმა სინანულით შეჰყვირა და იმ  
 ადგილს გაეცალა.

მაგრამ მერე ყველა ბუნდოვანი აზრი ნელ-ნელა დაუბრუნდა, როგორც  
 ბავშვები ეზოდან ბრუნდებიან, როცა თამაშით გულს იჯერებენ და დედას ოდ-  
 ნავლა უძალიანდებიან.



თბილისის იანვარს გაზეთ „ინტელექტუალურ მუშაკში“ შემდეგი წერილი დაი-  
 ბეჭდა:

„სიცოცხლის ელექტროცენტრალი.“

ახალგაზრდა ინჟინერი გ. კირპიჩნიკოვი რამდენიმე თვეა, პროფ. მარან-  
 დის ეთერის ლაბორატორიაში ეთერის ხეოვნურად წარმოებისთვის საინტე-  
 რესო ცდებს ატარებს. ინჟინერ კირპიჩნიკოვის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ  
 ცვლადი ელექტრომაგნიტური ველი მატერიაში ცოცხალ ელექტრონებს  
 ელავს; ხოლო ეთერის სხეული, როგორც ცნობილია, მკვდარი ელექტრონე-  
 ბისგან შედგება. ინჟინერ კირპიჩნიკოვის ტექნიკური ოსტატობის დონეს ის  
 მიგვახვედრებს, რომ ელექტრონების დასახოცად საჭიროა წამში არანაკლებ  
 10<sup>17</sup> პერიოდის მქონე ცვლადი ველი.

კირპიჩნიკოვის ძალადი სიხშირის მანქანა თვით მზეა, რომლის სხივი  
 მაინტერფერირებელი ზედაპირების რთული სისტემის მეშვეობით იშლება შე-  
 მადგენელ ენერგეტიკულ ელემენტებად: წნევის მექანიკურ ენერგიად, ქიმიურ  
 ენერგიად და ა. შ.

კირპიჩნიკოვს, საკუთრივ, მხოლოდ ელექტრული ენერგია სჭირდება, რა-  
 საც იგი პრიზმებითა და დეფლექტორებით დამზადებული საგანგებო ბელსაწ-  
 ყოს მეშვეობით თავს უყრის ძალზე შეზღუდულ სივრცეში და საჭირო სიხ-  
 შირეს აღწევს.

ელექტრომაგნიტური ველი არსებითად ელექტრონების კოლონიაა. კირ-  
 პიჩნიკოვმა ამ ველის სწრაფი პულსირებით მიაღწია იმას, რომ ველის შემად-  
 გენელი ცოცხალი ელექტრონები იხოცებოდნენ. ამის შედეგად ელექტრომაგ-  
 ნიტური ველი ეთერად — მკვდარი ელექტრონების სხეულთა მექანიკურ მა-  
 სად გადაიქცა.

ერთგვარ ეთეროვან სივრცეს როცა მიიღებდა, კირპიჩნიკოვი მათში რაი-  
 მე ჩვეულებრივ სხეულს (მაგალითად, ვატერმანის თვითმწერს) ჩაუშვებდა და  
 ამ სხეულის მოცულობა სამ დღეში ორმაგდებოდა.

თვითმწერის ნივთიერებაში შემდეგი პროცესი მიმდინარეობდა: თვით-  
 მწერის ნივთიერებაში არსებული ცოცხალი ელექტრონები ირგვლივ მყოფი



ელექტრონების გვამთა ხარჯზე გაძლიერებით იკვებებოდნენ და სწრაფად მრავლდებოდნენ, ამასთან ერთად მოცულობაც ემატებოდათ. ეს გარემოება თვითმწერის მთელი ნივთიერების ზრდას იწვევდა. ცოცხალი ელექტრონების მიერ ეთერის ჩანთქმის კვალობაზე ამ ელექტრონთა ზრდა და გამრავლება წყდებოდა.

თავისი ნაშრომების საფუძველზე კირპიჩნიკოვმა დაადგინა, რომ მზის მასივში უსაზღვრო რაოდენობით წარმოიშობიან მხოლოდ და მხოლოდ ცოცხალი ელექტრონები; მაგრამ შედარებით მცირე ადგილას ელექტრონთა გიგანტური რაოდენობის თავმოყრა იწვევს სწორედ მასაზრდოებელ წყაროთა გამო მათ შორის ისეთ საშინელ ბრძოლას, რომ თითქმის ყველა ელექტრონი ერთიანად იღუპება. მზის მაღალ პულსაციას საზრდოს გამო ელექტრონთა ბრძოლა განაპირობებს. მზის ფიზიკურ ენერგიას, ასე ვთქვათ, სოციალური მიზეზი აქვს — ელექტრონების ურთიერთშორის კონკურენცია. მზის მასივში ელექტრონები სულ რამდენიმე მეგილიონედ წამს ცოცხლობენ. იმათ ანადგურებენ ძლიერი მეტოქეები, რომელნიც, თავის მხრივ, უფრო ძლიერ მეტოქეთა დარტყმით ნადგურდებიან და ა. შ. ელექტრონი მეტოქის გვამის შთანთქმას ძლივს ასწრებს და თვითონაც იღუპება — მომდევნო გამარჯვებული მას მანამდე მოკლული ელექტრონის სხეულის მოუხელებელ ნაგლეჯებთან ერთად ნთქავს.

მზეში ელექტრონები ისე სწრაფად მოძრაობენ, რომ მათი ურიცხვი რაოდენობა მზის საზღვრებს გარეთ იდევნება და სამყაროს სივრცეში მიექანება წამში სამასი ათასი კილომეტრი სიჩქარით, რაც სინათლის სიხვის ეფექტს წარმოქმნის. მაგრამ მზეზე ისეთი უღმობელი და გამანადგურებელი ბრძოლა მიმდინარეობს, რომ მზიდან მომწყდარი ყველა ელექტრონი მკვდარია და ან სიცოცხლეში დაწყებული მოძრაობის ინერციით, ან მეტოქის დარტყმის შედეგად მიფრინავს.

მაგრამ კირპიჩნიკოვი დარწმუნებულია, რომ უიშვიათესი გამონაკლისიც ხდება — დროთა ეონში ერთხელ, — როცა ელექტრონს ძალუძს, მზეს ცოცხალი მოსწყდეს. მაშინ იგი ახალი პლანეტის მამაღ იქცევა, რადგან ირგვლივ ეთერი — ბარაქიანი მასაზრდოებელი გარემო აქვს შემორტყმული. ინე. კირპიჩნიკოვი ვარაუდობს, რომ შემდგომში ეთერის დიდი რაოდენობით წარმოებას შეძლებს უპირატესად ატმოსფეროს მაღალი ფენებიდან, რაც ეთერის მოსაზღვრეა. ელექტრონები იქ ნაკლებად აქტიური არიან და მათ განადგურებას ნაკლები ენერგია დასჭირდება.

კირპიჩნიკოვი ეთერის ხელოვნური წარმოების ახალ მეთოდს ამთავრებს: ახალი ხერხის საფუძველია ელექტრომაგნიტური კალაპოტი, სადაც ელექტრონების დასახოცად მაღალი სიხშირე მოქმედებს. მაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტური კალაპოტი დედამიწიდან ცისკენ წარიმართება და მასში, როგორც მილში, ისე წარმოიქმნება მკვდარ ელექტრონთა ნაკადი, რომელიც მზის სინათლის წნევით დედამიწის ზედაპირისკენ მოექანება.

დედამიწის ზედაპირზე ეთერს მოაგროვებენ და საგანგებო ტურტლებში აკუმულირების შემდეგ იმ ნივთიერებათა გამოსაკვებად გამოიყენებენ, რომელთა მოცულობის გაზრდასაც მოისურვებენ.

ინე. კირპიჩნიკოვმა საპირისპირო ცდებიც ჩაატარა. მაღალი სიხშირის ველით რაიმე საგანზე ზემოქმედების შედეგად ამ საგნის, ასე ვთქვათ, გაღვას და სრულ გაქრობას მიაღწია. როგორც ჩანს, საგნის ნივთიერებაში ელექტრონების

ტრონთა დახოცვით კირპიჩნიკოვი ნივთიერების უმთავრეს თვისებას სპობდა, რადგან მხოლოდ ცოცხალი ელექტრონია მატერიის ნაწილი. მკვდარი ელექტრონი კი ეთერის კუთვნილებაა. კირპიჩნიკოვმა რამდენიმე საგანი ამგვარი ხერხით ერთიანად ეთერად აქცია, მათ შორის ვატერმანის თვითმწერიც, რომელიც მანამდე „გამოკვება“.

კირპიჩნიკოვის ყველა ნაშრომთა ერთობლიობა გვაჩვენებს, რომ გამოგონებამ კაცობრიობას შექმნისა და განადგურების რა ტიტანური ძალა მიანიჭა.

კირპიჩნიკოვის აზრით, მზიდან მომდინარე ეთერით დედამიწის სფეროს გამუდმებული მომარაგების შედეგად მთელი დედამიწის მოცულობა და მისი ნივთიერების ხვედრითი წონა გამუდმებით მატულობს. ეს კაცობრიობის პროგრესს უზრუნველყოფს და ისტორიულ ოპტიმიზმს ფიზიკურ ბაზისს უქმნის.

კირპიჩნიკოვი ამბობს, რომ თავის გამოგონებაში დედამიწაზე მზის ზემოქმედების ზუსტი ასლი გადმოიღო და ეს მუშაობა მხოლოდ ააჩქარა.

ამ განსაცვიფრებელ აღმოჩენებთან დაკავშირებით უნებურად გვახსენდება ფ. კ. პოპოვი, ვინც დიდებული ნაშრომი დაგვიტოვა, და, ბოლოს, გამომგონებლის მამა. უცნაურად და ტრაგიკულად დაღუპული ინჟინერი მიხაილ კირპიჩნიკოვი“.



კირპიჩნიკოვის მუშაობა მუსიკასავეთ მიედინებოდა. იგი შეყვარებულივით გრძნობდა ლტოლვას მოუხელთებელი, ნაზი სხეულის — ეთერის მიმართ. როცა განმარტებით ბარათს წერდა „ელექტრონების დამატებითი კვების შესაძლებლობასა და ნორმებზე“, თავადაც მადაზე მოსულს მსხვილი ჭაბუკური ტუჩები უნებურად ნერწყვით უსველდებოდა.

კირპიჩნიკოვი გახეთქების კორესპონდენტებს არ იღებდა. ჰპირდებოდა, ინფორმაციული ხასიათის მცირე ნაშრომს მალე გამოვცემ და ჩემს ცდებს საჯაროდ ჩავატარებო.

ეგორ კირპიჩნიკოვს ერთხელ მაგიდასთან ჩაეძინა, მაგრამ უმაღლ გამოელვიდა. სულდგმულთა დედამიწას შუალამე ჩამოსწოლოდა, — შეუცნობელი, როგორც ამქვეყნად ყოველი ღამე, დაძაბულსა და მშფოთვარე ეამს, როცა, მივიწყებული პოეტის ლექსით რომ ვთქვათ:

**ელექტროტალღის თხემზე მაღიმაღ  
მღუმარე ფიქრი გაილივლივებს  
და ღამის მცხრალი იღუმალეება  
ელამუნება რომანის ფურცლებს.**

ამ დროს, როცა ადამიანს ან შემოქმედება იტაცებს, ან ახალი სიცოცხლის ჩასახვის სურვილი, ეგორს კარზე მიუკაკუნეს. მამ ვილაც შინაური, ანდა პატივსაცემი ვინმე მოვიდა, რაკილა ეგორის დედამ შემოუშვა, დაძაბულად მომუშავე შვილის მყუდროებას მკაცრად რომ იცავდა.

— მობრძანდით! — გასძაბა ეგორმა და გვერდზე შეტრიალდა.

შემოვიდა იშვიათი სტუმარი — ვალენტინა კროხოვა, ეგორის მამის მეგობრის, ტუნდრაში ვერტიკალური გვირაბის მშენებლობაზე მასთან ერთად მომუშავე ინჟინერ კროხოვის ქალიშვილი. ვალენტინა ოცი წლისა იყო — იმ

ასაკისა, როცა უნდა გადაწყვიტო, რა ქნა: ან ერთი ვინმე შეიყვარო, ან სიყვარულის ძალა სამყაროს შეცნობის წყურვილად აქციო, ანდა, ეგების, თუ ისე სავსე ხარ სიცოცხლით, ერთსაც ეწიო და მეორესაც? *ერქვენული*

ამას ჩვენ ვერ მივხვდებით, მაგრამ ასე იქნება. მეცნიერებამ *მეცნიერება* სიცოცხლო ფიზიოლოგიურ მისწრაფებად ექცევა, ისეთივე გარდუვალ მისწრაფებად, როგორც სქესია.

ვალენტინა კროხოვას სახეზე ამ გაორებული, გაურკვეველი გადაწყვეტილების ანარეკლი იხატებოდა. მაძიებელი სიყმაწვილე, მწყურვალე თვალები, მთრთოლვარე კუნთებისა და მჩქეფარე სისხლის გარსში მოქცეული სათუთი სული, თავისი მიზიდულების ცენტრი ჯერაც რომ ვერ ეპოვა, — ასეთი იყო ვალენტინა კროხოვას სილამაზე. აზრის მერყეობა-ბორიალი, მიმნდობი სახის დაუხვეწავი ნაკვთები — განსაცვიფრებელი მშვენიერება სიყმაწვილისა.

— რაო, ვალია, რას მეტყვი? — ჰკითხა ეგორმა.

— ისეთს არაფერს! შენ ხომ სულ მოუცლელი ხარ! — უპასუხა ვალენტინამ.

— არც ისე ძალიან: ხან მოუცლელი ვარ, ხან არა! ასე მგონია, სიზმარში ვარ. მე თვითონ ჯერაც არ ვიცი, რას მივალწევ!

— უკვე მიაღწიე, ეგორ! ასეთი თავმდაბლობა რა საჭიროა!

— ჯერ მთლიანად არა, ვალია, ჯერ მთლიანად არა! კიდევ ისეთი რამ აღმოვაჩინე, ლამის გული გამიჩერდეს...

— რა აღმოაჩინე? ისევ ეთეროვანი ტრაქტის თაობაზე?

— არა, ეს სულ სხვა რამეა. ეთეროვანი ტრაქტი რა სათქმელია!.. ვალია, ქვეყნიერება როგორ დაიბადა და იბადება, ნივთიერება სუნთქვას როგორ იწყებს სამყაროს ქაოსის, თავისუფლების, სივიწროვისა და გარდუვალობის წიაღში! აი, წარმტაცი რა არის, ვალია! მაგრამ მე მხოლოდ ვგრძნობ, არაფერი კი არ ვიცი... ეჰ, კმარა! მამაშენი სად არის?

— კამჩატკაზეა...

— რაო, იმ უბედურ პლანეტას სულ ბურღავენ და ბურღავენ? ჯანდაბას, ეს მეც კი მომბეზრდა! რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ის პლანეტა ციდან ჩამოფრინდა, მამაჩემი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო!..

— ჰო, სულ ბურღავენ, ეგორუშკა!

— მერე, რას პოულობენ, მამაშენი არ იწერება?

— იწერება, სხვადასხვა ლითონთა შენადნობებს ეპოულობთ, მაგრამ ყველა ლითონი, რაც ვიპოვეთ, ადამიანისთვის უკვე ცნობილია.

— სხვას აღარაფერს იწერება?

— კიდევ იმას იწერება, რალაც მრგვალი საგანი ვიპოვეთ...

— რა საგანია? ჩქარა მითხარ!..

— იმ ბურთულას თურმე არაფერი ეკარება — ვერც ვერანაირი მექანიკური დამუშავებით მოუხერხეს რამე, ვერც ვერავითარი ქიმიური რეაქტივი მიუყენეს. სრულიად ნეიტრალურია!

— ვაჰ! ვალია, შენ ხომ ქიმიკოსი ხარ, რა გგონია, რა უნდა იყოს?

— აბა, მე რას მივხვდები, ეგორ, რას მეუბნები? შენთვის მინდოდა მეკითხა.

— ეშმაკმა უწყის, რა არის! რაღა არ იქნება იმ უძირო უფსკრულში, საიდანაც ჩვენთან სინათლე მოედინება და მეტეორები მოფრინავს!

— ეგორ, შენი ეთეროვანი ტრაქტი როდისღა უნდა მაჩვენო?

— გაჩვენებ როგორმე, მაცადე, სანამ წიგნს დავწერდე.  
 — წიგნი ვის უნდა მიუძღვნა?  
 — მამაჩემს, რა თქმა უნდა — ინჟინერ მიხაილ კირპიჩნიკოვს, ყარიბსა და ელექტროტექნიკოსს!  
 — ძალიან კარგი იქნება, ეგორ! დიდებულია, რანგის მქონე მამაში, — ყარიბსა და ელექტროტექნიკოსს!  
 — დიახ, ვალია, მამაჩემის სახე გადამავიწყდა, ეს კი მახსოვს, ჩუმი კაცი იყო, დილაადრიაანად დგებოდა. რა უცნაურად მოკვდა, ეთეროვანი ტრაქტი ხომ თითქმის აღმოჩენილი ჰქონდა!  
 — ჰო, ეგორ! დედაშენიც უკვე დაბერდა!.. ცოტაზე ხომ არ გამაცილებდი? გვიანია, თანაც ისეთი კარგი ლამეა — აქეთ განზრახ ნელა მოვდიოდით.  
 — გაგაცილებ, ვალია, ოღონდ ცოტაზე... მინდა, გამოვიძინო. ორი დღის შემდეგ წიგნი დასაბეჭდად უნდა ჩავაბარო, მე კი მხოლოდ ნახევარი მაქვს დაწერილი — წერა არ მეხალისება, რაიმე არსებითის კეთება მიყვარს... ისინი ვესტიბიულში გავიდნენ, ლიფტით ჩასრიალდნენ და უცებ გავიდნენ ჰაერზე, დაქანცული ლამეული დინებანი რომ არხევდა.  
 ცაზე მთვარე ნელა მიცურავდა. შესაძლოა, იქ ახლა ინჟინერ კრეიცკოპფის გაყინული, მარადიულ სიმარტოვეში შთენილი სხეული იყო გაშოტილი. ეგორი და ვალია ხელიხელგაყრილნი მიდიოდნენ. ეგორს თავში ბუნდოვანი აზრები უტრიალებდა, ასე საყვარელ, ასე გულითად, ასე ნაზ ქალიშვილთან შეხებისგან რომ გაუელვებდა და უმაღლ უქრებოდა, როგორც ქარი უჩინარდება ხოლმე უკაცრიელსა და წყვდიადით მოცულ ველზე. მაგრამ კირპიჩნიკოვი თავის გამოგონებას მარტო გონებას კი არა, გულსა და სისხლსაც ახმარდა, ამიტომ ვალენტინა მხოლოდ მსუბუქ სევდას აღუძრავდა. მისი გულის ძალა სხვა რამისკენ იყო მიმართული.  
 მოსკოვი იძინებდა. საღვთო შორს ბუნდოვნად, ძლივგასაგონად გუგუნებდა რაღაც მანქანები. ძილგამფრთხალი მთვარე ადამიანს პლანეტათა შორის უსასრულო სივრცეში გასაფრენად, სახეტიალოდ და სულის მოსათქმელად იზიდავდა.  
 ეგორმა ვალიას ხელი ჩამოართვა, რაღაც უნდოდა, რომ ეთქვა — ისეთი წყნარი, უბიწო სიტყვა, რასაც ყოველი კაცი სიცოცხლეში ერთხელ ამბობს, მაგრამ ვერაფერი უთხრა და შინისკენ მდუმარედ წავიდა.  
 დედას ეძინა, სახაზავი მაგიდა კი პატრონს სულგანაბული ელვავდა.  
 ეგორმა ფეხთ გაიხადა, შუქი ჩააქრო და უცებ კამჩატკის ბოლიდზე კრონოვის ნაპოვნი საგანი გაახსენდა — მდუმარე ბურთულა, რომლის ვერც გაჭრა ხერხდებოდა და ვერც მყავებით ამოჭმა.  
 — დაწნეხილი ეთერი! — ხმამაღლა თქვა ეგორმა. — ერთმანეთში ჩაქედილი ელექტრონთა გვამები! ჰო — იმას მართლაც ვერანაირად მიუდგები — პრიმიტიული და აბსოლუტური სიკვდილია!  
 ეგორმა საბანი წაიხურა, უკვე ძილმორეულმა გაიფიქრა, ეთერი რამ დაწნეხაო, და ჩაეძინა.  
 სიზმრად ნახა, ვითომ თვითონ შვიდი წლის ბიჭი იყო და წინ უზარმაზარი, საუცხოოდ გაფორმებული წიგნი ედო. წიგნის შუა გვერდზე წაიკითხა: „სიცოცხლე მანკიერი ფაქტია, ყოველი არსება ილტვის, ისეთი რამ ქმნას, რაც არასდროს ქმნილა და არც მერე იქმნება, ამიტომაც ცოცხალი ბუნების მრავალი მოვლენა აუხსნელია და სამყაროში მსგავსი რამ არ მოეძებნებ-

ბა. სწორედ ამგვარად, მომაცვდავ ელექტრონს, რომელიც ეთერში თანაბრი საცოლის გვამს დაეძებს, ძალუძს, თავისკენ მთელი კოსმოსი მიიზიდოს. უბრალოდ ზვედრითი წონის მქონე ქვად შეამჭიდროოს, თავად კი მის ცენტრში დაილუპოს სასოწარკვეთისგან, რომლის მასშტაბი დედამიწისაა. მის ნახტომამდე მანძილს უტოლდება. განაღდა შეიძლება, მეცნიერი ციური მკვდარი ქვის საიდუმლოს მიხვდეს? განა იშვება გონება, შემძლე იმისა, სამყაროს შემზარავი სირთულე და უკიდევანო მანკიერი სილამაზე რომ დაიტოს?"

ეგორს გაღვიძებისთანავე ეს სიზმარი სამუდამოდ გადაავიწყდა.



ოც მარტს დღე ისე გრძელი და ღამე ისე მოკლე არ არის, რომ შუაღამისას ინათოს. ასეთი რამ არასოდეს ყოფილა, მოხუცებსაც კი არ ახსოვთ.

ერთხელ კი ეს მაინც მოხდა. მოსკოველები შინისკენ მიეშურებოდნენ— ზოგი თეატრიდან, ზოგი ქარხნიდან, სადაც ღამის ცვლაში მუშაობდნენ, ზოგნიც, უბრალოდ, მეგობართან სტუმრად იყვნენ და საუბარს შეჰყვნენ.

იმ საღამოს ფილარმონიის დიდ დარბაზში განთქმულმა ვენელმა პიანისტმა შახტმაიერმა კონცერტი გამართა. მსმენელი შეძრა მისმა უძირო მორევივით ღრმა მუსიკამ, აღსავსემ დიდებული, უცნაური გრძნობით, რასაც ვერც სევდას დაარქმევდი და ვერც ექსტაზს. ფილარმონიიდან გამოსულნი წავიდნენ, შეძრწუნებულნი და აღფრთოვანებულნი სიცოცხლის ახალი, უცნობი წიაღისა და სიმალღეთა ხილვით, რაც შახტმაიერმა მუსიკის სტიქიური ენით მათ თვალწინ გადაუშალა.

პოლიტექნიკურ მუზეუმში კი მთვარის ნახევარი გზიდან დაბრუნებული მაქს ვალირის მოხსენება პირველის ნახევარზე დასრულდა. აღმოჩნდა, რომ მის მიერ აგებულ რაკეტაში რაღაც არასწორად იყო გაანგარიშებული: ამას გარდა, გარემო დედამიწასა და მთვარეს შორის სულ სხვანაირი გამოდგა, ვიდრე დედამიწიდან დაკვირვებნას ეგონათ, ამიტომ ვალირი უკან დაბრუნდა. აუდიტორია ვალირის მოხსენებამ უკიდურესად ააღელვა, დიადი ცდის ძლევამოსილებითა და ენთუზიაზმით დამუხტული ხალხი გარეთ ლავასავით გამოიჭრა და მოსკოვის ქუჩებს საშინელი ხმაურით მოეფინა. ამ მხრივ ვალირისა და შახტმაიერის მსმენელები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებოდნენ.

სწორედ ამ დროს სვერდლოვის მოედნის თავზე, შორს, ცაში, ლურჯი წერტილი აკიაფდა, ერთ წამში ათმაგად გაიზარდა და მერე ლურჯი სპირალის გამოსხივება იწყო, თან წყნარად ბრუნავდა, თითქოს ბლანტი, ლურჯი ნაკადის ვორგალსა შლისო. ერთი სხივი დედამიწისკენ მოილტვოდა და აშკარად ჩანდა, მოძრაობისას როგორ თრთოდა, თითქოს შეუპოვარი ძალები წინ აღდგომია და ამ ძალებს შეჭიდებული მუხრუჭდებო. ბოლოს დედამიწასა და უსასრულობას შორის უსიცოცხლო, უძრავი შუქის ლურჯი სვეტი მკვიდრად აღიმართა და მთელი ცა ლურჯმა ნათებამ მოიცვა. უეცრად ხალხი შეაძრწუნა იმ ამბავმა, რომ ყველა ჩრდილი გაქრა: ყოველ საგანს მიწის ზედაპირზე რაღაც უტყვი, მაგრამ ყოველის გამსჭვალავი სინესტე გარს შემოეჭდო და ჩრდილი ყველაფერს დაუკარგა.

მოსკოვის მშენებლობებზე ხმაური პირველად მიწყდა: ვინც ლაპარაკობდა, სიტყვა გაუწყდა, ვინც დუმდა, ხმა ველარ დაძრა. ყოველგვარი მოძრაობა

შეჩერდა; ვინც მიდიოდა, დაავიწყდა, გზა რომ უნდა განეგრძო, ვინც ერთ ადგილას იდგა, ველარ იხსენებდა, წასვლას სად აპირებდა.

დედამიწას მხოლოდ და მხოლოდ ერთმანეთს ჩახვეული მღუმარება და ლურჯი, ბრძნული ნათება დაუფლებოდა.

ეროვნული

გარემო ისე ჩამყუდროვდა, გეგონებოდათ, ეს უცნაურად მხოლოდო-ნურად და ალერსიანად ზმინობსო, როგორც ჭრიჭინები მღეროდნენ ჩვენს ბავშვობაში.

გაზაფხულის ცინცხალ ჰაერში ყოველი ხმა მკლერი და ახალგაზრდულია — დიდი თეატრის სვეტებს ქვემოთ განცვიფრების გამომხატველად გაიწკრიალა ქალის ხმამ: ვილაცის სულმა დაძაბულობას ველარ გაუძლო და მკვეთრად ათროლოდა, რათა ამ ხიბლისგან თავი განერიდებინა.

და მთელი ღამეული მოსკოვი უმაღვე ამოძრავდა: შოფრებმა სტარტერები აამუშავეს, ქვეითად მოსიარულეებმა პირველი ნაბიჯი გადადგეს, მოსაუბრე-ებმა შეჰყვირეს, მძინარეებმა გაიღვიძეს და გარეთ გამოცვივდნენ, ყველამ თვალი ცისკენ აღაპყრო, ყველას გონება აღგზნებისგან აუთროლოდა.

მაგრამ ლურჯმა ნათებამ ქრობა იწყო. ჰორიზონტებს სიბნელე შეეპარა, სპირალი შეიკუმშა და ირმის ნახტომის წიაღში შეიმალა, მხოლოდ კაშკაშა, მბრუნავი ვარსკვლავი და რჩა, მაგრამ ისიც თვალდათვალ ილეოდა და მალე ყოველივე სიზმარით გაქრა. თუმცა ცისკენ აპყრობილი ყოველი თვალი ლურჯ, მბრუნავ ვარსკვლავს კიდევ დიდხანს ხედავდა, — ის კი უკვე აღარ-სად იყო, ცაზე ჩვეულებრივი ვარსკვლავთა ნაკადი მიედინებოდა.

რატომღაც ყველამ მოიწყინა, თუმცა თითქმის არავინ იცოდა, რა მოხდა.



დილას „იზვესტიაში“ ინჟინერ კირპიჩნიკოვთან ინტერვიუ გამოქვეყნდა.

### „დედამიწაზე შუალამის ნათების განმარტება.“

ჩვენმა კორესპონდენტმა პროფ. მარანდის სახელობის მიკრობიოლოგიურ ლაბორატორიაში დიდი გაჭირვებით შეაღწია. ეს მოხდა ღამის ოთხ საათზე, უშუალოდ ეთერში ოპტიკური მოვლენის შემდეგ. ლაბორატორიაში კორეს-პონდენტს დახვდა მძინარე გ. მ. კირპიჩნიკოვი — ცნობილი ინჟინერი, მატე-რიის გამამრავლებელი ხელსაწყოების კონსტრუქტორი, ეგრეთ წოდებული „ეთეროვანი ტრაქტის“ აღმომჩენი.

ჩვენმა კორესპონდენტმა დაღლილი გამომგონებლის გაღვიძება ვერ გა-ბედა, მაგრამ ლაბორატორიაში არსებული ვითარების მიხედვით აშკარა იყო ღამით ჩატარებული ცდის ყველა შედეგი.

ეთეროვანი ტრაქტის წარმოქმნისა და მკვდარი ელექტრონების აკუმული-რებისათვის საჭირო ხელსაწყოების გარდა გამომგონებლის მაგიდაზე ძველი, გაყვითლებული ხელნაწერიც იდო. გადაშლილ ფურცელზე ეწერა: „ახლა ტექ-ნიკოსთა საშემეა, რკინის, ოქროს და ქვანახშირის მოშენებას ისე მიჰყონ ხელი, როგორც მესაქონლეები ღორების მოშენებას მისდევენ“. ვის ეკუთვნის ეს სიტყვები, კორესპონდენტს ჯერ არ დაუდგენია.

საექსპერიმენტო დარბაზის ნახევარი მოელვარე სხეულს დაეკავებინა. ეს სხეული რკინისა გამოდგა. რკინის სხეულს თითქმის წესიერი კუბის ფორ-მა აქვს. კუბის ზომა 10X10X10 მეტრი. გაუგებარია, ამგვარი სხეული დარ-

ბაზში რანაირად გაჩნდა, რადგან დარბაზის კარ-ფანჯრებიდან შემთავსებული ზეორიულ-ორჯერ მცირე საგანი თუ შეეტევა. ერთი ვარაუდილა გვჩვენებს რკინა დარბაზში არსაიდან არ შეუტანიათ, თვით დარბაზშია წარმოქმნილი. ამ ვარაუდის უტყუარობას ადასტურებს ექსპერიმენტთა ჟურნალი, რომელიც იმდენს ადასტურებს რომ იდო, სადაც კორესპონდენტმა ის ხელნაწერი ნახა. გ. მ. კირპიჩნიკოვის ხელნაწერით იქ ჩაწერილია საცდელი სხეულის ზომები: „რბილი რკინა 10X10X10 სანტიმეტრის ზომისა — 1 ს. 25 წუთი, ოპტიმალური ვოლტაჟი“. ჟურნალში შემდგომი ჩანაწერები აღარ არის. ამგვარად, 2—3 საათის განმავლობაში რკინის მოცულობა ასმაგად გაიზარდა, ასეთია ელექტრონთა ეთეროვანი კვების ძალა.

დარბაზში რაღაც თანაბარი და გამუდმებული ზუზუნი გაისმოდა, რისთვისაც ჩვენს კორესპონდენტს თავდაპირველად ყურადღება არ მიუქცევია. როცა ჩვენმა თანამშრომელმა დარბაზი გაანათა, რკინის მასის გვერდით იატაკზე მჭდარი რაღაც ურჩხული შეამჩნია. უცნობი არსების გვერდით თითქოს ვოლტას რკალით გადამწვარი, დამსხვრეული ხელსაწყოების რთული ნაწილები ეწყო. ცხოველი თანაბარი ხმით კვნესოდა. კორესპონდენტმა მისი სურათი გადაიღო (იხ. ქვემოთ). ცხოველის სიმაღლე ერთი მეტრია, სიგანე — დაახლოებით ნახევარი მეტრი, სხეულის ფერი — წითელ-ყვითელი, საერთო ფორმა — ოვალის. მხედველობისა და სმენის ორგანოები არ აღმოაჩნდა. ურჩხულს მალლა აღმართული, უზარმაზარი დაღრენილი პირიდან შავი კბილები მოუჩანს; ყოველი კბილის სიგრძე 3-4 სანტიმეტრია. აქვს ოთხი მოკლე (1/4 მეტრი) კუნთებდაბერილი მძლავრი თათი, რომელთა გარშემოწერილობა არანაკლებ ნახევარი მეტრია; თათი ელასტიკური მოელვარე შუბის ფორმის მქონე მძლავრი თითით მთავრდება. ცხოველი მსხვილ, ღონიერ კუდზე დგას, რომლის სამად დაკბილული ბოლო ირხევა. დაღრენილი პირიდან ამოჩრილი კბილები კუთხვილის მქონეა და თავის ბუდეებში ბრუნავს. ეს უცნაური, საშინელი არსება ძალზე მკვიდრი აღნაგობისაა და ლითონის ცოცხალი ნაქრის შთაბეჭდილებას ახდენს.

ლაბორატორიაში ხმაურს ურჩხულის ზმუილი იწვევს; ცხოველი ალბათ მშიერი. უეჭველია, ეს კირპიჩნიკოვის მიერ ხელოვნურად გამოკვებილი და გამოზრდილი ელექტრონია.

დასასრულ რედაქცია მკითხველებს და ქვეყანას მეცნიერული გენიუს ახალ გამარჯვებას ულოცავს და სიხარულს გამოთქვამს, რომ ეს გამარჯვება ახალგაზრდა საბჭოთა ინჟინერს ხვდა წილად.

რკინის ხელოვნურად მოშენება და საერთოდ ნივთიერების გამრავლება საბჭოთა კავშირს მსოფლიოს დანარჩენი, კაპიტალისტური ნაწილის წინაშე ისეთ ეკონომიკურ და სამხედრო უპირატესობას მიანიჭებს, კაპიტალიზმს ეპოქის შეგრძნება და ისტორიით ნაკარნახევი გონიერება რომ ჰქონდეს, სოციალიზმს ახლავს, ყოველგვარი პირობის გარეშე დანებდება. მაგრამ, სამწუხაროდ, იმპერიალიზმს ასეთი ძვირფასი თვისებები არასოდეს გააჩნდა.

რევოლუციური სამხედრო საბჭოსა და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ უკვე მიღებულია შესაბამისი ზომები, რათა გ. მ. კირპიჩნიკოვის გამოგონებებით სახელმწიფომ მონოპოლიურად ისარგებლოს.

გ. მ. კირპიჩნიკოვი პარტიისა და ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი ბიუროს წევრია და მთავრობამ მისგან რამდენიმე თვის წინვე მიიღო თანხმობა, რომ იგი ყველა გამოგონებასა და კონ-

სტრუქციას სახელმწიფოს გადასცემს, თანაც უსასყიდლოდ. მთავრობა გ. მ. კირპიჩნიკოვს, რა თქმა უნდა, მთლიანად და სავსებით უზრუნველყოფს, რომ მან მუშაობა შემდგომ განაგრძოს.

დღეს, დღის პირველ საათზე, გ. მ. კირპიჩნიკოვი სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს, ამხ. ჩაპლინს უნდა შეხვდეს.

ამ ცნობამ მთელი მოსკოვი — სოციალისტური სამყაროს ახალი პარიზი — ერთიანად ააფორიაქა. ცოცხალი, მგზნებარე, საზოგადოებრივი ქალაქი მთლიანად ქუჩებს გამოეფინა. ხალხმა გაავსო კლუბები, ლექციათა დარბაზები, ყველა ის ადგილი, სადაც კი შეიძლებოდა, ყური მოეკრათ სულ მცირე ცნობისთვის, რაც კირპიჩნიკოვის მუშაობას შეეხებოდა.

მზიანი დღე დადგა, თოვლი ღვებოდა და ადამიანთა გულებს უსაზღვრო იმედი ავსებდა. მზე შუადღის ზენიტს რაც უფრო უახლოვდებოდა, ადამიანის გონებას მით უფრო ნათლად ესახებოდა მომავალი, როგორც ცისარტყელა, როგორც სამყაროს დაუფლება, როგორც დიადი სულის ლურჯი უსასრულობა, სამყაროს სტიქიას სატრფოსავეით რომ ჩახვევია.

ტექნიკის გამარჯვებით გახარებული ადამიანები სიტყვის ამოთქმას ველარ ახერხებდნენ და ყოველი მათგანი იმ დღეს კეთილშობილი იყო.

რა უნდა იყოს იმ დღეზე უფრო ბედნიერი და მშფოთვარე, ტექნიკურ რევოლუციას და საზოგადოების არნახულ გამდიდრებას რომ მოასწავებს?

„სალამოს მოსკოვში“ დაიბეჭდა აღწერა მუშათა კრებისა, რომელიც გაიმართა ქარხანა „გენერატორში“, სადაც ეგორ კირპიჩნიკოვმა სტუდენტობისას ორწლიანი პრაქტიკა გაიარა.

კრებაზე მოვიდნენ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ჩაპლინი და კირპიჩნიკოვი, რვა ათასი მუშა და სპეციალისტი სტუმრებს ფეხზე მდგარი შეხვდა.

კირპიჩნიკოვმა მოხსენება წაიკითხა ეთეროვანი ტრაქტის აღმოჩენისა და ახლო მომავალში მისი სამრეწველო ექსპლუატაციის შესახებ. მან დაიწყო აიუნთა ნამოღვაწარით, რაც მათ ამ მიმართულებით მიუძღვით, გაიხსენა ფ. კ. პოპოვი, ვინც ეთეროვანი ტრაქტის გამომგონებლად უნდა მივიჩნიოთ, და დაწვრილებით ილაპარაკა მის ნაშრომებზე, შემდეგ მსმენელებს თავისი მამის ძიებანი გააცნო და მოხსენება იმით დაასრულა, რომ მოკლედ აღწერა, წინამორბედთა საქმიანობა თავისი ნამუშევრით როგორ დააგვირგვინა.

ამხ. ჩაპლინმა დამსწრეთ ამცნო, მთავრობას რა ჰქონდა განზრახული იმისათვის, რომ კირპიჩნიკოვის გამოგონებას საზოგადოებისთვის, რაც შეიძლება, მეტი სარგებლობა მოეტანა.

მუშებმა კირპიჩნიკოვი და ჩაპლინი ხელში აიტაცეს, მოტორებსა და ჩარხებს შორის ჩაატარეს და ავტომობილამდე ასე მიიყვანეს.

ჩაპლინმა კრემლისკენ გასწია, ხოლო კირპიჩნიკოვი ბოლშაია ზლატოუსტინსკაიასკენ დედასთან გაეშურა.



ქალებს ახლა, როგორც ძველად, მხრებზე მოსასხამი ჰქონდათ მოხურული და ფეხებს გრძელი კაბა უფარავდათ. სიყვარული იშვიათი რამ შეიქნა, მაგრამ მაღალი ინტელექტის ნიშან-თვისებად იყო მიჩნეული.

ქალთა და მამაკაცთა უბიწობა სოციალურ ზნეობად იქცა და იმ დროის ლიტერატურამ შექმნა ნიმუში ახალი ადამიანისა, ვისთვისაც ქორწინება უცხო იყო, მაგრამ სიყვარულის უზენაესი განცდა ახასიათებდა, რასაც თანაც-



ზოვრებით კი არა, მეცნიერული შემოქმედებით ანდა სოციალური აღმშენებლობით იკმაყოფილებდა.

კაცობრიობა საზოგადოებისა და ბუნების მოწესრიგებით და სქესობრივ მანკიერებათა ქაში დავიწყებას მიეცა.

ახალი ზაფხული დადგა. ეგორ კირპიჩნიკოვი ეთეროვანმა ტრაქტმა დაქანცა და შორეული, ბუნდოვანი მოვლენები უსაშველოდ მოენატრა, როგორც არაერთხელ დამართვია.

იგი მთელ დღეებს კვლავ ხეტიალში ატარებდა და მარტოობით ტკბებოდა. ხან ოსტანკინოს ეწვეოდა, ხან ვერცხლისფერ ფიჭვნარს, ხანაც ლადოგის ტბისკენ გაისეირნებდა, სადაც ყოფნა ძალიან უყვარდა.

— ეგორ, ვინმე უნდა შეიყვარო! — ეუბნებოდნენ მეგობრები. — კობტარუსი გოგო უნდა მოგიჩინოთ, ნაწნავეებზე ბალახის სურნელი რომ ასდის!..

— მომეშვით, — უპასუხებდა ეგორი, — საკუთარ თავს რა მოვუხერხო, არ ვიცი! ვერაფერი ვერ მღლის, — დილა მდე ვმუშაობ, მაგრამ მესმის, ტვინი როგორ მიღრქიალებს და დაძინება არა სწადია!

— ჰოდა, ცოლი შეირთე! — მაინც არ ასვენებდნენ მეგობრები.

— არა, თუ ვინმე მართლა შემეყვარდა, პირველად და სამუდამოდ, მაშინ..

— რა მაშინ?..

— მაშინ... ვიხეტიალებ და შეყვარებულზე ვიფიქრებ.

— უცნაური კაცი ხარ, ეგორ! რაღაც სიძველისა და რომანტიზმის სუნი ვიღის... ინჟინერი ხარ, კომუნისტი, და მაინც ოცნებობ!..

მაისში ვალენტინა კროხოვას დაბადების დღე იყო. ვალენტინა მთელი დღე პუშკინს კითხულობდა და ტიროდა: ოცი წელი შეუსრულდა. სადამოთი ნაცრისფერი კაბა ჩაიცვა, მამის ნაჩუქარ ბეჭედს აკოცა, თითზე რომ ეკეთა, მაგიდა მიალაგა და ახლა სტუმრებს — ეგორს, ეგორის დედას და თავის ორ მეგობარ ქალიშვილს ელოდა. ოთახში გვირილების, მინდვრის და ადამიანის სუფთა სხეულის სუნი იდგა.

უზარმაზარი, გამოღებული ფანჯრიდან მხოლოდ ცა და ცის უსაზღვრო წიალში მოლივლივე ჰაერი მოჩანდა.

შვიდი საათი შესრულდა. ვალენტინა როიალს მიუჯდა და შახტმაიერისა და მეტნერის რამდენიმე ეტიუდი დაუკრა. საკუთარი გულის მღელვარება ველარ დაეოკებინა და აღარ იცოდა, რა ექნა — ატირებულიყო, თუ პირმოკუმული უიმედობას მისცემოდა.

გაზაფხულზე აზავთებული, გამრავლების წყურვილით აღსავსე ბუნება სიცოცხლითა და სიყვარულით თავდავიწყებას ელტვოდა. ვალენტინა კროხოვაც ამ მარტივი ძალების ტყვეობაში მოქცეულიყო და მათი მარწუხებიდან თავი ველარ დაეღწია. მისი ნორჩი გულის დარდს ვერ შველოდა ვერც გონიერება და ვერც სხვისი ტანჯვა პოემებსა და მუსიკაში. კოცნა სჭირდებოდა და არა ფილოსოფია, ან თუნდაც მშვენიერება, და რადგან გულწრფელად ფიქრს იყო ნაჩვევი, ამას კარგად ხვდებოდა.

რვა საათი იყო, როცა კარზე მიუკაკუნეს. ეგორის გამოგზავნილი დეპეშა მიუტანეს. დეპეშაში უცნაური, სახუმარო და უღმობელი სიტყვები ეწერა, თანაც ლექსად, რისკენ მიღრეკილებაც ეგორს ბავშვობიდანვე ჰქონდა:

შენ მოგიძღვნი სავსე მთვარეს ცაზე  
და მიწაზე მობიბინე ბალახს.  
მერე რა, რომ ღარიბი ვარ ძალზე,  
შენთვის მაინც არ ვიშურებ არას.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ვალენტინა ვერაფერს მიხვდა. ცოტა ხნის მერე მხიარული მეგობარი ქალიშვილები ეწვივნენ.

თერთმეტ საათზე ვალენტინამ მეგობრები გაისტუმრა და სასოწარკვეთისგან გულდამძიმებულმა ეგორისკენ გასწია.

იქ მხოლოდ მარია ალექსანდროვნა დახვდა. მარია ალექსანდროვნამ სტუმარს უთხრა, ეგორი ორი დღეა, რაც შინ აღარ მოსულაო. ვალენტინამ დეპეშის ბლანკს დახვდა: დეპეშა პეტროზავოდსკიდან იყო გამოგზავნილი.

— მე კი მეგონა, ამ საღამოს თქვენთან იქნებოდა! — უთხრა მარია ალექსანდროვნამ.

— არა, ჩვენთან არ მოსულა.

მერე ორივენი მღუპარედ დასხდნენ, დაკარგულ ეგორზე ფიქრობდნენ და, ერთი და იმავე დარდით გატანჯულნი, ერთიმეორეზე ეჭვიანობდნენ.



აგვისტოში მარია ალექსანდროვნამ ეგორის წერილი ტოკიოდან მიიღო:

„დედა, ბედნიერი ვარ და რაღაცას ჩავწვდი. ჩემს სამუშაოს მალე დავასრულებ. ფიქრი მხოლოდ მაშინ შემიძლია, როცა დედამიწაზე დავხეტილობ, მზის სხვადასხვანაირი სხივები დამნათის და სხვადასხვაგვარ ნიადაგზე დავაბიჯებ. მამაჩემს ახლა მივუხვდი. აწრთა აღსაძრავად გარეგანი ძალებია საჭირო. ეს ძალები ქვეყნიერების გზებზეა მიმოზნეული, უნდა მოძებნო და, როგორც წვიმის ჭავლებს, თავი და სხეული ისე შეაგებო. ხომ იცი, რასაც ვაკეთებ და ვეძებ — სამყაროს ფესვს, იმ ნიადაგს, საიდანაც ქვეყნიერება ამოიზარდა. ძველი დროის ფილოსოფიური ოცნებიდან ეს დღევანდელობის მეცნიერულ მიზანდასახულებად იქცა. ვიღაცამ ხომ უნდა გააკეთოს. მოდა, ხელი მე მოვკიდე. ამას გარდა, ხომ იცი ჩემი მოუსვენარი კუნთების ამბავი, თუ არ დავიძაბე და არ დავიქანცე, სევდა შემიპყრობს და თავს მოვიკლავ. ეს შეგრძნება მამაჩემსაც მქონდა; იქნებ სენია, იქნებ წინაპრების — მოხეტიალეებისა და კიევში ფეხით მიმავალი მლოცველების — უხეირო მემკვიდრეობა. ნუ შეძებ და ნუ იღარდებ, — განწრაბულს შევასრულებ და დავბრუნდები. სულ შენზე ვფიქრობ, როცა თივის ზვინებში და მეთევზეთა კარვებში ვათევ ღამეს. ძალზე მენატრები, მაგრამ მოუსვენარი ფეხები და აფორიაქებული გონება წინ მიმაქანებს. იქნებ სიცოცხლე მართლაც მანკიერი ფაქტია და უოველი სულდგმული სასწაული და გამონაკლისია. ამით გაოცებულს საყვარელ დედაზე და შურუძიებლად შთენილ მამაზე ფიქრი მატკობს.

ეგორი“.



ოცდათერთმეტ დეკემბერს მოსკოვში ცნობა მოვიდა, რომ ეგორ კირპიჩნიკოვი ბუენოს-აიერის ციხეში მოკვდა. იგი ჩქარი მატარებლების მძარცველ

ავაზაკებთან ერთად შეიპყრეს. ციხეში ტროპიკული მალარია შეეყარა. ყველა ავაზაკს ჩამოხრჩობა მიუსაჯეს. რადგან მომაკვდავი კირპიჩნიკოვი ბოძებმო-რეული იწვა და სახრჩობელამდე ვერ მიაღწევდა, ამიტომ საწამლავი დააღუ-ვინეს და ისე მოკვდა, ამქვეყნიური აღარაფერი გახსენებია.

მისი გვამი ჩამოხრჩობილი ავაზაკების გვამებთან ერთად ამაზონის ლამიან წყალში გადააგდეს და მდინარემ წყნარ ოკეანეში ჩაიტანა. სახრჩობელები ამაზონის ნაპირას იდგა; მსჯავრის აღსრულების შემდეგ სახრჩობელებიც მდი-ნარეში გადაყარეს და დინებამ ძელები ყულფჩაბმულ გვამებთან ერთად გაი-ტაცა.

საბჭოთა მთავრობამ ბრაზილიის მთავრობას მოსთხოვა, გვაცნობეთ, ასე მკაცრად რატომ დასაჯეთ კაცი, რომელიც არ შეიძლებოდა, ავაზაკი ყოფილი-ყო და მძარცველებთან ალბათ შემთხვევით მოხვდაო. ბრაზილიის მთავრობამ უპასუხა, არ ვიცოდით, თუ ხელთ კირპიჩნიკოვი გვყავდა, დაპატიმრებისას თავისი ვინაობის გამჟღავნება არ ისურვა, მერე კი სენი შეეყარა და ძიების დამთავრებამდე გონზე ერთხელაც არ მოსულაო.

მარია ალექსანდროვნამ ვერცხლისფერ ფიჭვნარში აღმართულ ხსოვნის სახლში ქმრის ურნის გვერდით ახალი ურნა დადგა.

ურნას ეწერა:

„ეგორ კირპიჩნიკოვი, დაიღუპა 29 წლისა. ეთეროვანი ტრაქტის გამომგო-ნებელი — ფ. კ. პოპოვისა და თავისი მამის მიმღევარი. საუკუნო დიდება და სამარადისო გლოვა ახალი ბუნების შემოქმედს“.

## მთვარის ბოზი

### 1. კრეიცკოპფის პროექტი

მეშახტის ვაჟი, ინჟინერი კრეიცკოპფი, თავისი ქვეყნის დედაქალაქში პირველად ჩავიდა. ავტომობილების ნიაღვარმა და მიწისქვეშა რკინიგზების გრიალმა აღაფრთოვანა, მაშ ქალაქი თითქმის მთლიანად მექანიკოსებით ყო-ფილა დასახლებული! მაგრამ ქარხნები არსად ჩანდა, — კრეიცკოპფი ცენ-ტრალურ პარკში სკამზე იჯდა, ხოლო ქარხნები გარეუბნის ქაობებში, საკანა-ლიზაციო წყლების გადასაქცევ მინდვრებზე, მსოფლიოს საპაერო გზების აე-როდრომთა მიღმა იყო განლაგებული.

კრეიცკოპფი ახალგაზრდა იყო, ფული სრულებით არ ჰქონდა; იგი მალა-როების ადმინისტრაციას წაეჩხუბა, ვისაც ფულის შოვნა მხოლოდ შეკუმ-შული ჰაერით სურდა, თავის მალაროში თვითნებურად მოიქცა, სასამართლოს გადასცეს, სამსახურიდან დაითხოვეს და ახლა დედაქალაქს ესტუმრა.

მატარებელი ადრე ჩავიდა, მაგრამ ეს უცნაური ქალაქი უკვე მზნედ დაბ-ვდა: იგი არასოდეს იღვიძებდა, რადგან არც იძინებდა. თანაბარ-აჩქარებუ-

ლი მოძრაობა იყო მისი ცხოვრება. ბუნებასთან არაერთი კავშირი არ ჰქონდა: ეს გახლდათ საკუთარ თავში ჩაკეტილი ბეტონ-ლითონის ობიექტი, მსოფლიოს ორთომტრიალიდან სრულიად იზოლირებული და განმარტოებული.

კრეიციკოპფის ყურადღება მოშავო მქრქალი ქვით ნაგებმა დიდებულმა თეატრმა მიიპყრო. თეატრი იმოდენა იყო, საპაერო ხომალტებმა — მადგომად გამოდგებოდა.

პეტერ კრეიციკოპფს გული მწუხარებამ დაუსერა: მისი ახალგაზრდა, ოდესღაც მასზე შეყვარებული ცოლი ერნა მეშახტეთა ქალაქ კარბომორტში დარჩა, საიდანაც პეტერი ჩამოვიდა. პეტერს უნდოდა, გადაეთქმევინებინა: „ნუ დავცილდებით, ერნა. შვიდ წელიწადს ერთად ვცხოვრობდით. მერე უფრო გაგვიადვილდება. მე ცენტრში წავალ და „მთვარის ბომბის“ აგებას დავიწყებ, — ფულს მომცემენ, უთუოდ მომცემენ“.

მაგრამ ერნას მობეზრდა დაპირებები, მობეზრდა მალაროებიდან მონადენი ქვანახშირის ნისლი, კარბომორტის ჩაკეტილი ცხოვრება და უცვლელი ტექნიკური პერსონალის ერთნაირი სიფათები; განსაკუთრებით თავი მოაბეზრეს პეტერის მეგობრებმა — ორმა ვიწრო სპეციალისტმა, თავი შეგნებულად რომ მიაჩნდათ კაცობრიობის ცოდნის ატომებად. ერნას ყველაზე ხშირად პეტერის თანამშრომლის, მერცის ნათქვამი ესმოდა: „ჩვენ იმისთვის ვცოცხლობთ, რომ ვიცოდეთ“.

— ის კი არ იცით, — უთხრა მას ერნამ, — რომ ადამიანები იმისთვის არ ცოცხლობენ, რომ იცოდნენ...

პეტერს ერნას გულისთქმაც ესმოდა, თავისი მეგობრებისაც, იმათ კი მისი გულისთქმისა მაინცდამაინც არა გაეგებოდათ რა. ქვანახშირის მსხვილი მრეწველის ქალიშვილს, არისტოკრატ ერნას განათლება სორბონაში ჰქონდა მიღებული. მას სთულდა პეტერის მეგობრები — ოსტატები, ელექტრომონტიორები და გამომგონებლები, სასტუმრო ოთახში პეტერთან ერთად შუალამემდე რომ ისხდნენ და გაუთავებლად დაობდნენ.

კრეიციკოპფმა იცოდა, რომ ერნასთან მცირე რამ ჰქონდა საერთო: თავად სანახევროდ თვითნასწავლი კაცი, მოწოდებით ინჟინერი იყო, — ის კი კულტურის უკანასკნელ, მისთვის მიუწვდომელ მწვერვალებს დაუფლებული ქალი.

ჰოდა, ერნამ იგი მიატოვა და თავისი წრის ხალხს დაუბრუნდა.

კრეიციკოპფი დანადგლიანდა, არ იცოდა, უამრავ ადამიანთა შორის მარტოდმარტო დარჩენილს რა უნდა ექნა.



საყოველთაო მოუცლელობა, ელექტრორეკლამები, ნამუშევარი აირების სუნნი და მძვინვარე მანქანების ღრიალი კრეიციკოპფს სევდას უათმაგებდა. გაახსენდა თავისი ცხოვრების განვლილი წლები, აღსავსე შრომითა და ტექნიკური შემოქმედებით, როცა ადამიანებს ენდობოდა და ცოლი გულალადად უყვარდა. მაგრამ შეუცნობელმა სტიქიებმა ყოველივე მოუსპო: ადამიანებმა მოატყუეს და უღალატეს, მისი შრომა მათ აღარ სჭირდებოდათ, ცოლმა სხვა შეიყვარა და იგი შეიძულა, შემოქმედებამ კი მარტოობა და სილატაკე არგუნა.

— ნუთუ ხსნა არსაით არის? სიკვდილი? არა, ან გამსრისოს დაუძლეველმა ძალამ, — ანდა მე დავძლევე ყოველივე ხილულსა და უხილავს!



კრეიციკოპფი წამოდგა, თვალეზი ჭუჭყიანი ცხვირსაბოლოო რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის წერი მაგიდების სარგებლიანობისა არ სწამდა, იცოდა, რა იმეორებოდა კანცელარიის უჯრებში, პროფესორების ყრუ უმეცრებაც დილი, მაგრამ სხვა გზა არა ჰქონდა.

იგი კომიტეტის თავმჯდომარემ, გზათა ინჟინერმა მიიღო. კრეიციკოპფმა თავისი წინადადება გააცნო, ამასთან ერთად გრაფიკული მასალებიც წარუდგინა.

კრეიციკოპფი სთავაზობდა „მთვარის ბომბს“ — ერთგვარ სატრანსპორტო იარაღს, რომელსაც გადაადგილება შეეძლო ყოველგვარ აირიან გარემოში. ატმოსფეროშიც და ატმოსფეროს გარეთაც. დედამიწაზე სტაციონარულად დადგმულ დისკოზე სასარგებლო ტვირთით გავსილ სფეროს მოათავსებდნენ სფერო დისკოს კიდეზე მაგრდებოდა. თავად დისკოს დედამიწის ზედაპირის მიმართ ან ჰორიზონტალური მდგომარეობა ექნებოდა, ან დახრილი, ან ვერტიკალური, — იმისდა მიხედვით, ჭურვს სად აგზავნიდნენ, დედამიწის სადგურზე თუ სხვა პლანეტაზე.

დისკოს ისეთ ბრუნვას ანიჭებდნენ, რაც დანიშნულების სადგურამდე ჭურვის მისაღწევად იკმარებდა; როცა დისკო ბრუნვათა საჭირო რაოდენობას მიღწევდა და ფრენის მიმართულების შესაბამისი მდგომარეობა ექნებოდა, სფერო დისკოს ავტომატის მეშვეობით მოსცილდებოდა და მისი მხები ხაზის გასწვრივ გაფრინდებოდა. ყოველივე ცენტრიდანული ძალის ფარგლებში ხდებოდა, რასაც გარემოს წინაღობის კოეფიციენტი ერთვოდა.

დედამიწაზე (ანდა სხვა პლანეტაზე) ჭურვის უხიფათო დაშვებას თვით ჭურვზე დაყენებული ავტომატები უზრუნველყოფდა: მყარ ზედაპირთან მიახლოებისას ავტომატში დენი ჩაირთვებოდა და ფეთქებადი ნივთიერების გარკვეული რაოდენობა დაიწვეებოდა. იმავე მიმართულებით, საითაც ჭურვი მიფრინავდა. ფრენის დამუხრუჭება უკუცემით ხდებოდა და ვარდნა მდორე, უხიფათო დაშვებად გარდაიქმნებოდა. ჭურვის აფრენაც ასევე უხიფათო და მდორე იქნებოდა, რადგან გამტყორცნი დისკოს სიჩქარე ნულიდან იწყებოდა.

კრეიციკოპფი სთავაზობდა, პირველი ჭურვი ისეთი გზით წარემართათ, რომ მას მთვარის ირგვლივ, მის ზედაპირთან ახლოს, მრუდი შემოეხაზა და კვლავ დედამიწაზე დაბრუნებულიყო. „მთვარის ბომბში“ ყველა საჭირო აპარატს დააყენებდნენ, რომლებიც პლანეტათშორის სივრცეში, მთვარის ახლოს, ავტომატურად აღნუსხავდნენ ტემპერატურას, მიზიდულების ძალას, გარემოს საერთო მდგომარეობას, ელექტრომაგნიტური სფეროს აღნაგობას; დასასრულ კინოაპარატები საგანგებო მიკროსკოპების შემწეობით აღბეჭდავდნენ ყოველივეს, რაც ჭურვის სიახლოვეს ჩაიჭროლებდა. ყველა აპარატის კონსტრუქციებში, რა თქმა უნდა, „მთვარის ბომბის“ მსრბოლავ მდგომარეობასაც გაითვალისწინებდნენ.

კრეიციკოპფს იღუმალი აზრი ამოძრავებდა: დედამიწაზე დიდძალი ხალხია დასახლებული, — განუმეორებელი სიცოცხლის დღენი დედამიწის დაშრეტილ მასაზრდოებელ ძარღვებთან ჩგლეთასა და სივიწროვეში გადის კრეიციკოპფი იმედოვნებდა, რომ მახლობელ პლანეტებზე აღმოაჩენდა მიწიერი ცხოვრების მასაზრდოებელ ახალ, ხელუხლებელ წყაროებს, ამ წყაროებთან დედამიწაზე სადენებს გამოიყვანდა, რითაც გაიწოვდა ადამიანური ყოფის ბოროტებას, ჭირ-ვარამსა და ნაკლულევენებას. როცა უცხო ვარსკვლავთა საგან-

ძურის უკიდვგანო წიალი განიხვნებოდა, ადამიანისთვის მეორე ადამიანი უფრო სასურველი და საჭირო შეიქნებოდა.

— მოსავალს კარგი პირი უჩანს, — ჩაფიქრებით თქვა კომიტეტის თავმჯდომარემ, როცა კრეიცკოპფის ნალაპარაკევი მოისმინა, — კრეიცკოპფის მოწესრიგებულია, ახალი მშენებლობა მიმდინარეობს... პო, პო, პო... კრეიცკოპფის თხოვნა შეიძლება. ხარჯთაღრიცხვით რამდენი დაგჭირდებათ? ექვსასი ათასი? კარგი. ოღონდ აუცილებელია, საკითხი მთლიანად კომიტეტის პლენუმის წინაშე დავაყენოთ, პლენუმის დადებითი დასკვნა მივიღოთ და მთავრობას მხოლოდ ამის შემდეგ წარვუდგინოთ... კომიტეტის პლენუმი შედგება... დღეს სამშაბათია... პარასკევს. პირადად მე თქვენი წინადადების მომხრე ვარ. განგარიშებაში, რამდენადაც გავერკვიე, შეცდომა არ უნდა იყოს. პარასკევს თუ გცალიათ?

— როგორც მიბრძანებთ, — უპასუხა კრეიცკოპფმა.

— კარგი. მაშ პარასკევამდე გემშვიდობებით. კარგად ბრძანდებოდეთ.

— ნახვამდის.

კრეიცკოპფი წავიდა. იგი არ ელოდა, ასეთი ყურადღებით თუ დახვდებოდნენ. ეს კი კარგია, მაგრამ პარასკევამდე, სამ დღეს რა უნდა ეკეთებინა? ანდა საქმელი სად ეშოვა?

ქალაქი ნიადაგ ცხოვრებასა და საქმეს იყო შეჭიდებული. მცხუნვარე ზაფხულის შუადღე იდგა. კრეიცკოპფმა იაფფასიანი გაზეთი იყიდა და პირდაპირ განცხადებების კითხვას შეუდგა. „...გვჭირდება ინჟინერი... გასაგზავნად... გასაგზავნად...“ შესაფერი არაფერია. აი: „გვჭირდება კონსტრუქტორი... გენერატორებისა...“ ეს დარგი კრეიცკოპფმა დეტალურად არ იცოდა. კიდევ: „დროებით გვესაჭიროება შოფერი მოძრაობისას ავტომობილთა ახალი კონსტრუქციის მოტორების გამოსაცდელად...“

ეს კი გამოდგება: კრეიცკოპფს ორი ავტომობილი ჰქონდა (ცოლის ნაჩუქარი ქორწინების პირველ წელს), საუცხოოდ მართავდა და ეს საქმე უყვარდა.

კრეიცკოპფი მიიღეს და, მისდა გასაკვირად, უფრო მეტი ხელფასი მისცეს, ვიდრე მაღაროში ჰქონდა. უთხრეს, სამუშაოდ გარაჟში ოთხშაბათ დილას მოდიო.

ის საღამო და მთელი ღამე კრეიცკოპფი პარკში ერთ ადგილას იჯდა, წარსულს იხსენებდა და იტანჯებოდა.

## 2. ტრაპედია გზატკეცილზე

დილით კრეიცკოპფი ქალაქის გარეუბნისკენ გაემართა, სადაც გარაჟი, მისი ახალი სამუშაო ადგილი იყო. გარაჟი ღია დახვდა, მაგრამ გამგე ჯერ არ მოსულიყო. დილა გაჩირადნდა. კრეიცკოპფი პაპიროსს ეწეოდა და ძილს ებრძოდა.

ბოლოს გამგე მოვიდა და კრეიცკოპფს მანქანა მისცეს, გარეგნულად ოთხმოცდაათ ცხენისძალიან „ისპანოსუიზს“ რომ ჰგავდა, მაგრამ რაღაც შეეცვალათ: ბორბლების დიამეტრი გაეზარდათ, ხოლო რადიატორი სანახევროდ მოემრგვალებინათ. მოტორი დაპლომბილი იყო. ყველა საჭირო თვითაღმნუსხველი ხელსაწყო ჰქონდა დაპლომბილ ყუთში მოეთავსებინათ.

კრეიციკოპფი გზას გაუდგა. მანქანა რბილად მისრიალებდა და წინ გაშ-  
მაგებით მიიწევდა, თუმცა მტორი ჯერ არ გახურებულყო. მგზავრების ნაც-  
ვლად უქმი ტვირთი იყო ჩალაგებული.

კრეიციკოპფს დავალება მისცეს: იმ დღეს, სადილობამდე მანქანის წინით  
სამასი კილომეტრი უნდა გაევილო და ამ მანძილს როცა დაფარავდა, უკან დაბ-  
რუნებულყო.

გზატკეცილი ცარიელი ჩანდა. კრეიციკოპფმა მეოთხე სიჩქარე ჩართო,  
გაზი ბოლომდე მისცა და მანქანა გააფრინა. ტაქსომეტრი ას ოთხ კილომეტრს  
აჩვენებდა. მაგრამ მტორი ხურდებოდა და წევას უმატებდა. ას თვრამეტი  
კილომეტრი... ამ წყნარ დილას მანქანის გვერდით ქარი ზუზუნებდა. ირგვლივ  
ბუნება გადაშლილიყო. მოშორებით კრემატორიუმის საკვამლე მიწები  
ბრჩოლავდა.

კრეიციკოპფს თავისი გულის საღარდელი მიავიწყდა, დამშვიდდა და სიჩ-  
ქარეს უმატა. ას ორმოცდასამი კილომეტრი... გზა უკაცრიელია, წარსული  
მკვდარია, წინ კი ქარი, გზა და სიჩქარის მზომის აღმავალი ისარია.

უცებ ძროხა გამოჩნდა. კრეიციკოპფმა საჭე დაუშუხრუჭებლად შეატრია-  
ლა. წინ მცირე მოსახვევი შემოხვდა და მანქანა სიჩქარისგან ოდნავ განზე  
გაქანდა. კრეიციკოპფმა კონუსი ამორთო და მანქანიდან ერთ მეტრზე ბავშვის  
ხუჭუჭა თავი დაინახა...

კრეიციკოპფმა საჭე მარცხნივ სწრაფად გადაატრიალა და ხელის მუხრუჭი  
ბოლომდე ამოსწია. მანქანა შეინჯღრა, აყრილი ქვაფენილიდან მტვერი ავარ-  
და, მაგრამ ბავშვს მარჯვენა ფანარი დაეჯახა და თავის ქალა ნაკერებზე გაუხ-  
ლიჩა. სისხლის ნაკადი ბავშვს პერანგზე ჩამოეღვარა. დაუზიანებელი გრძელ-  
წამწამებიანი თვალეები სანახევროდ დაეხუჭა და ალისფერი მსხვილი ტუჩები  
სამუდამოდ მოექუმა.

მოზღვავებულმა მწუხარებამ კრეიციკოპფს სისხლი გაუყინა. მან შეჰყვირა,  
ავტომობილიდან გადმოხტა და ბავშვის გვამს სასოწარკვეთილების წყვდიადში  
ჩაძირული დაეკონა. ირგვლივ მღუშარებამ დაისადგურა, მტორი ჩაქრა, მხო-  
ლოდ შორიდან მოისმოდა ქალაქის თანაბარი გუგუნე.

კრეიციკოპფი წამოდგა, ბავშვი აიყვანა და ავტომობილის სავარძელზე  
დაასვენა. ბიჭუნა ყოფილიყო, ქუდზე წარწერილი ჰქონდა „ოკეანე“. სისხლი  
შედედდა და აღარ სდიოდა. ბიჭი ხუთიოდე წლისა იქნებოდა.

კრეიციკოპფმა მანქანა დაძრა და ნელა წაიყვანა, თან აქეთ-იქით იყურე-  
ბოდა, ბავშვის დედას დაეძებდა. ორმოებს გვერდზე უვლიდა, რომ გვამი არ  
დაეჩქლრია, ირგვლივ არავინ ჩანდა. კრეიციკოპფმა ქუდი მოიძრო და მანქანა  
ააჩქარა. ტაქსომეტრის ისარი სწრაფად დაიძრა მაღლა. მტვერში არეული  
ცრემლები კრეიციკოპფს სახეზე ღვარად ჩამოსდიოდა, საჭეზე მკერდდაყრდნო-  
ბილი ქვითინებდა. ბავშვის გვამი სავარძლიდან იატაკზე ჩავარდა და მანქანის  
რყევისგან ისე ქანაობდა, თითქოს კანკალებსო.

კრეიციკოპფმა თემშარაზე შეუხვია და მანქანა იქვე ახლოს გააჩერა. სა-  
მიჯნე ბოძთან ამოთხრილი ორმო დაინახა, გვამი ჩამოიღო და გამზადებულ  
საფლავში ჩაასვენა. ბავშვს სახე უკვე შენაოჭებოდა, სანახევროდ ღიად დარ-  
ჩენილი თვალეები გასთეთრებოდა და გადასტრიალებოდა. კრეიციკოპფმა რადი-  
ატორიდან წყალი ამოიღო და გვამი გულდასმით განბანა, მერე უმანკო ტუ-  
ჩებზე ფრთხილად აკოცა და სახე კვლავ ცხელმა ცრემლებმა დაუსველა.

— ჩემო საყვარელო, ჩემო კეთილგონიერი, არასოდეს დაგივიწყებ... ჩურჩულებდა: „არასოდეს დაგივიწყებ...“ როგორც კაცობა კოცონივით უდაგვდა, ზედა ქერათმის კულუღი შეაჭრა, იათა სასოვრად შეენახა ქუდთან ერთად, ზედ „ოკეანე“ რომ ეწერა, მერე ავტომობილის ინსტრუმენტებით გვერდს მოეწვინა და დაეყარა. როცა სამარე ამოავსო, ბიჭი ისე მთენატრა, რომ გვამის ამოთხრა მოუხდა.

— ამ დანაშაულს გამოვისყიდი შენს წინაშე, საყვარელო, — ჩაიჩურჩულა და მანქანისკენ გაემართა. — ერნას დავივიწყებ! ამიერიდან აქ იქნება ჩემი სინაზის მარადიული სამყოფელი!

კრეიციკოვმა საფლავის ადგილი დაიხსოვა და მანქანა დაძრა. აბლა აღარ ჩქარობდა. საქესთან ერთად ბავშვის მრგვალი ქუდი და წმინდა ქერათმის კულუღი ჩაებღუტა.

ვარაუდში როცა დაბრუნდა, ხელფასის ავანსი აიღო და ქალაქში წავიდა. იქ საღამოს გახეთი იყიდა. ბიჭის სახელის გაგება უნდოდა და გაიგო კიდეც: „მშობლებო ყველას ემუდარებო... დილის ექვს საათზე შინიდან წავიდა... გოგა ქვიდა... ოთხწლიანხევრან... ქერათმისანი, ძალიან ალერსიანი, ქუდზე აწერია „ოკეანე“... რომის მარხლა... ბევრონობა... დირექტორ ფემს...“

— გოგა ფემი. — ჩურჩულებდა კრეიციკოვტი. — მაგრამ რა უნდა ვქნა, დედამისი ხომ მოკვდება, თუ შევატყობინებ, შეიღო რომ გავუხრისე!..



პარასკევი დადგა. კრეიციკოვტი ცენტრალურ სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტში თავის პროექტს ასავდა. დარცვა კიდეც. თავგამოდებით დაობდა და იბრძოდა, თვალწინ სულ მკვდარი ბიჭი ედგა.

კომიტეტმა პროექტს ერზა მისცა და მთავრობას გაუგზავნა, მაგრამ შედეგს ერთ თვეზე ადრე ვერ შეიტკობდნენ.

კრეიციკოვტი ძველებურად ცდიდა მანქანებს, საღამოობით დროს კინოში სიარულითა და ხალხით სავსე ქუჩებში უახრო. ზეტიალით კლავდა.

ერთხელ ერნას წერილი მიიღო. მისამართი როგორღაც გაეგო და სწერდა: „პეტერ, ინჟინერ ნიშტს მივთხოვდი. შე და ჩემი ქმარი ახალ წლამდე ბრიუსელში მივემგზავრებით. შინდა, ხანდახან შეგხვდე ხოლმე, როგორც შეგობარს. წარსულს უყუებ ვერ დაგივიწყებ! 20 აგვისტოდან 25 აგვისტომდე დედაქალაქში ვიქნებით. „მაიონშიზ“ ვიცხოვრობთ. შევიტყუე, რომ არცთუ ისე ბედნიერი ხარ. მოფრად მუშაობ. თუ ნებას მომცემ, შემიძლია, ჩემს ქმარს ვთხოვო, მოგაცალოს ის დაბრკოლებანი, რაც შენს კარიერას წინ ეღობება. შენ ხომ არაჩვეულებრივად ნიჭიერი ხარ, ეს შე ვიცო. პასუხი კარბომორტში გამომიგზავნე. ერნა“.

კრეიციკოვმა, რა თქმა უნდა, არაფერი უპასუხა.

კვირა კვირას მისდევდა. კრეიციკოვს ახალ სამსახურში აფასებდნენ. ერთხელ ოფიციალურ ავტოსრბოლაში მონაწილეობა მიიღო და მეორე პრიზი მოიპოვა.

ბოლოს კომიტეტი გამოიძახეს. მთავრობის პასუხი მოსულიყო: ფულს ორი წლის მანძილზე ხარჯა ურიცხვის მიხედვით თანაბარ ნაწილებად გამოუყოფდნენ, მუშაობის დაწყება შეეძლოთ, პლანეტათმორის გზისა და მთვარის კვლევის ყველა შედეგი მთავრობის საკუთრებად ცხადდებოდა.



3. კატასტროფა მშენებლობაზე



კრეიციკოპფი ზეიმობდა. ბიჭის საფლავი მოინახულა. იქ ბორცვს მოსდებოდა, მინდორი ჩაყრუებულიყო. კრეიციკოპფმა იგრძნო, რამდენად მნიშვნელობის საბურველში ეხვეოდა. უკან როცა ბრუნდებოდა, ტიხტისა და სხვა მსგავსი თავთავეებს გლეჯდა. რადგან არც ახლობელი ჰყავდა ვინმე, არც მეგობარი, დეპეშა ბრიუსელში გაგზავნა: „ერნა, ბომბს ორი წლის მერე გავტყორცნით, აგება დავიწყე“.

ერნამ უპასუხა: „მიხარია, ხელს მაგრად გართმევ“.

კრეიციკოპფს მთელ სიცოცხლეში ასეთი წარმატება არ ჰქონია. ამიტომ თავს ველარ იკავებდა: თავის ოთახში უცნაური ხმით რაღაცას არეულ-დარეულად მღეროდა და ლუდხანაში მოფრებთან ერთად დადიოდა.

მშენებლობა დაიწყო. ღია ცის ქვეშ პლაცდარმზე საძირკველი ამოჰყავდათ ას ოცი ათას ცხენისძალიანი ელექტრომობილის, სატრანსმისიო მოწყობილობისა და საყრდენი საკისრისთვის — გამტყორცნი დისკოს საქუსლისთვის. ერთსა და იმავე დროს მაღალი ძაბვის უახლოესი მაგისტრალიდან განშტოება გამოჰყავდათ ელექტროძრავის საკვებად და ტრანსფორმატორსაც დგამდნენ.

კრეიციკოპფმა აღარ იცოდა, რა ექნა მოჭარბებული ენერჯისთვის, მთელ არსებაში ორთქლმავალივით რომ უდუღდა. ნაგებობათა მთელ სისტემას, რაც „მთვარის ბომბს“ გასაფრენ ცოცხალ ძალას მიანიჭებდა, ექვს თვეშიც დაასრულებდა, მაგრამ დაფინანსების გეგმა ორ წელიწადზე იყო გათვალისწინებული.

თვით ჰურვს მონტე-მონდის მანქანათმშენებლობის ტრესტი აგებდა და ხუთი თვის მერე უნდა დაემთავრებინათ.

მაგრამ ბედუკულმართობა კრეიციკოპფს კვალდაკვალ დასდევდა: საყრდენი საკისრის ქვაბულში ასაფეთქებელ სამუშაოთა ჩატარებისას ორმოცი მუშა, მათ შორის ხუთი საუკეთესო სპეციალისტი მთელ სახელმწიფოში, ელექტროდენმა დახოცა, როგორც საგანგებოდ დანიშნულმა კომისიამ დაადასტურა. მაგრამ სიცოცხლისთვის საბიფათო ძაბვა სამუშაოთა აღვილზე არ ყოფილა. ეს ზუსტად დაადგინა ტექნიკურმა ექსპერტიზამ, ორმოცი გვამი კი უხეში ტილოთი შესუდრეს და ჭირისუფლებს ხუთი სატვირთო მანქანით ჩამოურიგეს.

მუშაობა შეჩერდა. კრეიციკოპფი დუმდა და არ ცდილობდა, რამდენიმე მშენებლობის განსაახლებლად. აშკარად გრძნობდა, გული როგორ ეგლიჯებოდა. ის მუშები უნებურად დახოცა. თავისი მეთოდი, რითაც მთის ქანებს მტვრად აქცევდა, ადრე მალაროებში ჰქონდა გამოცდილი, თუმცა მაშინ იქ ხალხი არ ყოფილა.

მეთოდის არსი შემდეგნაირი გახლდათ: იმ მატერიაში, რომლის მინერალებიც მტვრად უნდა ექციათ, ისეთი სიხშირისა და სიგრძის ელექტრომაგნიტურ ტალღებს წარმართავდნენ, რაც მატერიის ატომთა ელექტრონების ბუნებრივ რხევას ემთხვეოდა. ეს ხელოვნური ტალღები ატომთა ელექტრონულ პულსს არყევდნენ და აძლიერებდნენ, რის გამოც ატომი იხლიჩებოდა, ნაწილობრივ უცნობ, შეუშინველ აირად, ნაწილობრივ კი მსუბუქ მტვრად იქცეოდა.

კრეიციკოპფმა იცოდა (თეორიულად ზუსტად), რომ ამგვარი სტრუქტურის ელექტრომაგნიტური ტალღები ადამიანისთვის უვნებელი იყო, ამიტომ თავს

ვისი აპარატი ქვაბულის მიმართულებით ისე ამოქმედა, რომ არაფერი უთქვამს და ამდენი ადამიანი იმსხვერპლა.

საოცარია, გამომძიებელი რატომ ვერ მიხვდა, კრეიცკოპფი დამნაშავე რომ იყო: მას ხომ სახესა და თვალებზე ეტყობოდა, გული როგორ ეტანჯებოდა.

სამუშაოები განახლდა, მაგრამ ნელა მიმდინარეობდა, ხოლო კრეიცკოპფი სამუშაოთა მწარმოებლებს არ აჩქარებდა. მაგრამ მალე ახალი დაბრკოლება გაჩნდა, სადაც კრეიცკოპფი არაფერ შუაში იყო: სამუშაოთა ფინანსურ ნაწილში დიდძალი თანხის დატაცება გამოჰქლავნდა, მოლარე და ნაწილის უფროსი მიიმალნენ. კრეიცკოპფს ბრალად დასდეს ადმინისტრაციული დაუდევრობა და ვილაცის ბინძური დასმენით თანამონაწილეობაც კი.

კრეიცკოპფი თავს არ იცავდა. სამუშაოები შეაჩერეს, მთავრობამ მთელი პროექტის გადასასინჯად საგანგებო ტექნიკური კომისია დანიშნა, ხოლო კრეიცკოპფი გაასამართლეს და ერთი წლის პატიმრობა მიუსაჯეს.

#### 4. გამომგონებელი საპატიმროში

კრეიცკოპფი საკანში გონს მოვიდა. მრავალი კვირის განმავლობაში საწოლზე იჯდა და ფიქრობდა. ზაფხული იწურებოდა, ფოთოლცვენა დაიწყო, ერნა ბრიუსელში იყო, გოგა ფემი სამარეში, ის ორმოცი მუშაც ფერფლად იქცა. წინაც ერთი დასამარებული ოცნება ჰქონდა — მთვარეზე გაფრენა.

კრეიცკოპფს რალაც სენი შეეყარა ნაწლავებისა და ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ბუნებას შემოდგომა ჩამოცვივრულ ფოთლებზე უხმაუროდ, ფეხაკრეფით ეპარებოდა.

კრეიცკოპფი თანდათან მომჯობინდა და საავადმყოფოს მესამე სართულის დერეფანში დასეირნობდა. დერეფნის ბოლოს გამოღებული ფანჯარა წყნარ პარკს გადასცქეროდა, სადაც აქა-იქ შემორჩენილი ჩიტები გალობდნენ.

კრეიცკოპფი გამოღებულ ფანჯარასთან მივიდა, მწუხრის შუქმილევულ პაერსა და მცენარეული სამყაროს აგონიას დიდხანს გასცქეროდა, მერე ფანჯრიდან ერთბაშად, გაუქანებლად გადაეშვა. პატიმრის ქუდი თავიდან მოსძვრა, ხოლო ზალათი მასაც გადაეფარა და ყარაულსაც, ვისაც ზედ დაეცა, რბილ სხეულს მოულოდნელად დაენარცხა თუ არა, დამსკდარი ფილტვებიდან ამოხეთქილმა სისხლმა სული შეუგუბა, მაგრამ მიხვდა, რომ ცოცხალი გადარჩა, მის ქვეშ მკვდარი ყარაული ეგდო, საჯდომთან შუაზე გადაწყვეტილს ფეხები საკუთარ თავთან მისჭყლეტოდა.

კრეიცკოპფი ხელახლა გაასამართლეს. ახლა გაქცევა და ყარაულის მკვლელობა ბრალდებოდა. წინანდელი დანაშაულიც გაითვალისწინეს და რვა წლის პატიმრობა მიუსაჯეს. კრეიცკოპფი ვერ დაამტკიცებდა, რომ თავისუფალ ცხოვრებას კი არა, სამარის ტყვეობას ეძიებდა.

დრო მღვრიე და დაუღეველი შეიქნა: დღე წელიწადს უტოლდებოდა, ხოლო კვირა კვირას ისე ნელა ენაცვლებოდა, როგორც თაობა თაობას. კრეიცკოპფი განწირული იყო. მერე, როცა იმის უნარი გამოიმუშავა, რომ არ ეფიქრა, არაფერი ეგზრძნო, დროის სელა არ ეანგარიშა, იმედი არაფრისა ჰქონოდა, თითქმის არ, ეარსება, ყოფნა ოდნავ შეუმსუბუქდა.

მისი ქვეყნის ინჟინერთა ასოციაციამ მთავრობას შეკითხვა გაუგზავნა, კრეიცკოპფის ვადაზე ადრე გათავისუფლება ხომ არ შეიძლება, რათა მან

„მთვარის ბომბის“ აგება განაგრძოსო. მთავრობამ გადაწყვიტა, მთელი კრი-  
ექტის გადამსინჯავი საგანგებო ტექნიკური კომისიის დასკვნისთვის მოეცადათ.

მოთოვა. კრეიციკოპფს ტვინი ულაყდებოდა, სული უდუნდებოდა. საგანგებო კომისიამ მუშაობა დაამთავრა და დაასკვნა: „მთვარის ბომბის“ აგება და თუ ბომბი მთვარისკენ მიმავალ გზაზე მოხეტიალე მეტეორიტებს არ შეხვდება, შეძლებს, მთვარის პერიფერიამდე მიაღწიოს და უკანვე დაბ-  
რუნდეს. ხოლო პლანეტათშორის გზის ყველა შემთხვევითობის გათვალისწინე-  
ბა აბსოლუტურად შეუძლებელიაო. საგანგებო კომისიამ თავს ნება მისცა, კრეიციკოპფზე აზრი გამოეთქვა და იგი განსაკუთრებული ტექნიკური შემოქ-  
მედებითი ნიჭისა და უზარმაზარი ცოდნის მქონე კაცად ეღიარებინა.

მთავრობა დათანხმდა, კრეიციკოპფი ინჟინერთა ასოციაციის თავდებო-  
ბით გაეთავისუფლებინათ. მთავრობის გადაწყვეტილებამ ქვეყანა დააკმაყოფი-  
ლა, ყველას მიაჩნდა, რომ კრეიციკოპფის პიროვნებაში საიშვიათო გენიალუ-  
რობა შემზარავ ანტისოციალურ არსებას, მკვლელსა და ბნელი სულის მქონე  
მაწანწალას ერწყმოდა, მაგრამ „მთვარის ბომბის“ დამთავრების შესაძლებ-  
ლობა მისთვის მაინც უნდა მიეცათ. საზოგადოებრივი აზრი სიბრაღისა კი  
არა, ცნობისმოყვარეობის შედეგად წარმოიქმნა.

კრეიციკოპფი საპატიმროდან გამოუშვეს. მას დიდი ხანი დასჭირდა, მუშა-  
ობას ხელახლა რომ შეჰგუებოდა, ძნელად იხსენებდა იმას, რასაც ადრე ნაჩ-  
ვევი იყო.

სამუშაოები განახლდა კრეიციკოპფს ახლა ვიწრო ტექნიკური, საკონსტ-  
რუქტორო საქმე მქონდა დაკისრებული. მთავარ ინჟინრად სხვა კაცი იყო —  
ინჟინერ-ელექტრიკოსი ნიმტი, ერნას მეორე ქმარი. ნიმტმა მთავრობისა და  
ინჟინერთა ასოციაციის ნდობა მოიპოვა და ახლა კრეიციკოპფის მოდური საქ-  
მით კარიერას იქმნიდა.

კრეიციკოპფს უნარი შესწევდა, სწორი და ტაქტიანი დამოკიდებულება  
ქონოდა იმის მიმართ, რაც ირგვლივ ხდებოდა. ყოველგვარ ცვლილებას გულ-  
გრილად ხვდებოდა: მხოლოდ მთვარის კვლევის საქმე აინტერესებდა და თა-  
ნაბრად, გულმოდგინედ, ავტომატურად მუშაობდა. ძილისკენ მიდრეკილება  
განუვითარდა და სამსახურიდან თავისუფალ მთელ დროს შინ ძილში ატარებ-  
და. პატიმრობის მერე მარტოობის სიყვარული დასჩემდა, და, რადგან ხალხი  
სამსახურშიაც თავს აბეზრებდა, ამიტომ ქალაქში არ გადიოდა. ნიმტი კრ-  
ექტულად ეპყრობოდა, მაგრამ უცხო, შეუცნობელ კაცად რჩებოდა.

ერნა მშენებლობაზე ეროვნულად არ მისულა: ცოლ-ქმარი ქალაქში ცხოვ-  
რობდა.

## 5. მატალურგის დედაქალაქში

ბოლოს ქურვი დამზადდა. გამტყორცნი დისკოს სრული სიზუსტით დაყე-  
ნება დიდხანს ვერ მოხერხდა. დისკო დედამიწის გეომეტრიული ზედაპირის მი-  
მართ გარკვეული კუთხით, თანაც ზედმიწევნით ზუსტად უნდა დაეყენებინათ,  
ვინაიდან „მთვარის ბომბის“ ფრენის გზას დისკოს დახრის კუთხე განსაზ-  
ღვრავდა.

განაფხულზე სამუშაოები ხუთი თვით შეაჩერეს: ახალი საბიუჯეტო წლი-  
სა და კრედიტების მეორე ნახევრისთვის უნდა მოეცადათ, რადგან იმ წლის  
საბსრები უკვე ამოწურეს.

ნიმტი ერნასთან ერთად საზღვარგარეთ, კისინგენში გაემგზავრა. კრეიცკოპფმა სამუშაოთა განახლებამდე შვებულება მიიღო ხელფასის მენარჩუნებით.

იგი სტუასეპტის სახელგანთქმული ელექტრომეტალურ ქარხნების დასათვალისწინებლად წავიდა. ამ ქარხნების მიერ აღდაგებული მანქანების ღრმად მდებარე რკინის მადნის ამოსაღებად ჩატარებული ცდები აინტერესებდა.

ქარხნების გამგეობამ კრეიცკოპფს ალაგანის მთავარ ინჟინერთან წარსადგენი სარეკომენდაციო წერილი მისცა და ისიც გზას გაუდგა. ოთხი ათასი კილომეტრი ჰქონდა გასავლელი. კრეიცკოპფი რკინიგზით გაემგზავრა. მატარებელი ორთქმავალს კი არა, აირმავალს მიჰყავდა, თბომავალი რომ შეცვალა, რომელმაც მცირე ხანს გაძლო.

აირმავალი ბორბლებზე დაყენებულ აირის ძრავას წარმოადგენდა. მთელი ჰვედა სავალი მოწყობილობა ორთქლმავლისნაირი ჰქონდა, ოღონდ ცილინდრებში ორთქლი კი არა. შეკუმშული ჰაერი მუშაობდა: წამყვან ბორბლებს აირგენერატორული ძრავის ენერჯია პნევმატურად გადაეცემოდა. აირმავალი ყველაზე იაფი სატრანსპორტო ძრავა გახლდათ. იგი ქვანახშირის, შეშის, ტორფის, ჩალის, ფიქლის, მურა და ნაკლებწვადი ნახშირის აირათ და ყველანაირი საწვავი ნარჩენებით მუშაობდა, რისგანაც კი ძალური აირის გამოქაჩვა შეიძლება.

აირმავალს ორი ვაგონ-აკუმულიატორი ჰქონდა მიბმული, სადაც ძალზე შეკუმშული აირი იყო მოთავსებული, რითაც აირმავლის ძრავა საზრდოობდა. ყოველ სამას-ოთხას კილომეტრზე პატარ-პატარა აირის ქარხნები იდგა, რომლებიც აირს ადგილობრივი, იოლად მოსაპოვებელი, იაფი საწვავისგან აწარმოებდა. აირმავალი ამ ქარხნებიდან აირს ისე იღებდა, როგორც უწინ ორთქლმავალი იღებდა წყალს წყალსატუმბების წყალსადაწნეო ავზებიდან.

აირმავლით ტვირთის გადატანა ორთქლმავალთან შედარებით ოთხჯერ იაფი ჯდება.

ტრანსპორტში სწრაფად დამკვიდრებულმა მანქანებმა კრეიცკოპფი დააინტერესა, ფანჯრიდან გახარებული გასცქეროდა აირმავალს, რომელიც მხნედ, მძლავრად ძღვედა ციცაბო აღმართებს და სიჩქარეს სრულებით არ კარგავდა.

უკვე ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც კრეიცკოპფი დედქალაქში პირველად ჩავიდა. ახალი ზაფხული იდგა. ველ-მინდვრებში ხვატი ბურბუტებდა. სოფლის მუშაკი ამ ხვატს მუყაითად, ქანცის გაწყვეტამდე ებრძოდა, რათა ბალახს ტენი, დიდ ქალაქს საზრდო არ მოკლებოდა და მთვარეზეც გაფრენილიყვნენ.

კრეიცკოპფი შესამჩნევად გაჭაღარავდა, მობერდა და უსარგებლო საგანთა მიმართ ბავშვური ინტერესი დაკარგა. გრძნობდა, რომ უკვე დაღმა მიდიოდა, — კიდევ რამდენიმე წელი და სიცოცხლე უიშვიათესი ამბავით განქარდებოდა.

კრეიცკოპფს სურდა, მეგობარი ჰყოლოდა, ვინმესთან გულითადად ესაუბრა, უბრალო სიტბო ენატრებოდა, ადამიანთა შორის სიახლოვესა და თანაგრძნობაზე იდუმალად რომ მეტყველებს. მაგრამ ბინდით მოცულ სიზმარში ცხოვრობდა, პატივს სცემდნენ, ოღონდ ერიდებოდნენ, არაჩვეულებრივად მიანდნათ მისი გენიალურობაც და დამნაშავეობაც, ის კი ჩვეულებრივი, უბრალო

ადამიანი იყო. ვერ ეგუებოდა განყენებულობას, სძულდა ცივი მწვერვალები. ფიცხელი მოქმედება უყვარდა და არა უხესთავსი ჭკრეტა.

მეორე დღეს მატარებელი იმ მხარეში შევიდა, სადაც ვხედავთ სამინერალურ ბართ-დაღმართებს მიუყვებოდა: აქ იწყებოდა მთისწინეთი დიდი ალუბანის სისტემისა, ტროპიკული ზღვის სიღრმიდან რომ ამომართულიყო კული ოკეანის ყინულოვან წიაღში უჩინარდებოდა.

სტუასებტის სადგურიდან ერთ კილომეტრზე იყო მეტალურგიის დედაქალაქი: რკინის მადნის მრეწველობის დირექცია, სამთო აკადემია, ელექტრომეტალურგიული ქარხნების გამგეობა და მილიონკილოვატიანი ჰიდროელექტრული ძალური დანადგარი.

კრეიკოპფი მაშინვე იქით გაემართა, სადაც ღრმად მდებარე მადნის ამოღება ხდებოდა. სამუშაოთა ადმინისტრაცია უბრალოდ, გულითადად შეხვდა: სამთო ინჟინრებისთვის იგი სხვა დარგის პირველბარისხოვანი ტექნიკოსი იყო და მეტი არაფერი.

ცნობილია, რომ სამასი მეტრის სიღრმიდან რკინის მადნის ამოღება ეკონომიურად გამართლებული არ არის, აქ კი ცდების შეშვეობით სულ სხვა რამის დასაბუთებას ცდილობდნენ. ასი ათასი ცენტის ძალის მქონე ჰიდრაულიკური დანადგარებით დენით მოქმედ ელექტრომაგნიტთა პოლუსებს რკინის მადნის მიწისქვეშა ბუდობებისკენ წარმართავდნენ.

როგორც მიწისძვრისას იცის, ისეთი გუგუნო ატყდებოდა, მადნის გოგანტური მასივი დედამიწის გარსს ზუზუნითა და გრგვინვით გაარღვევდა, დღის სინათლეზე ამოვარდებოდა და ელექტრომაგნიტის პოლუსისკენ გაექანებოდა. იმ დროს, როცა მადანი ნიადაგის უკანასკნელ ფენას არღვევდა, საგანგებო ავტომატი ელექტრომაგნიტში დენს გამოთიშავდა და თვით ელექტრომაგნიტს განზე გადასწევდა. შემხვედრ ქანებთან ხახუნისგან გაეარვარებული მადნის ლოდები მიწის წიაღიდან მხურვალე ქარივით ამოიჭრებოდნენ, ასობით მეტრის სიმაღლეზე ავარდებოდნენ, მერე დედამიწაზე დაეცემოდნენ და ოდნავ ჩაეფლობოდნენ.

თვითმავალი ჯალამბარი მადნის ნატეხებს წვეტურა ციციხვით აიღებდა, გასაცივებლად ტბორში ამოაელებდა და კონვეიერთან მიზიდავდა, ბოლო კონვეიერი მადანს ბრძმედებისკენ მიაქანებდა.

მიწის წიაღიდან მადნის ამოვლევას თუმცა უზარმაზარი ძალა სჭირდებოდა, ეს ძალა მხოლოდ რამდენიმე წამს ხხარჭებოდა. შემდეგ კი ელექტრომტორები იმ დენით საზრდოობდა, მეტბორილი წყლის ენერგია რომ იძლეოდა. ამის გამო ღრმად მდებარე მადანი მიწის ზედაპირის სიახლოვეს განლაგებული მადნის ჩვეულებრივი წესით ამოღებაზე ძვირი არ ჯდებოდა. მიწის წიაღიდან ლითონი სევდიანი ღრქიალით მოექანებოდა და ეს არაბუნებრივი სანახაობა ძალზე შემზარავი იყო.

იმ საღამოს კრეიკოპფმა მადნის მაგნიტური წესით ამოღების სამუშაოთა მწარმოებელ ინჟინერ სკორბთან ისადილა. ხანში შესულ წყნარ კაცს, მადნის ამოღები მძლავრი ელექტრომაგნიტების ერთ-ერთ კონსტრუქტორ სკორბს მშვიდი ხასიათი და დაუცბრომელი შრომისუნარიანობა ჰქონდა. მარტოხელა იყო: ოჯახი — ცოლი და ორი ქალიშვილი — ოცი წლის წინ გაზაფხულზე ადიდებულ მთის მდინარეში დაეხრჩო. სკორბმა შემდეგ ამ მდინარეზე შური იძია: დინების კვალდაკვალ სარეგულაციო ნაგებობანი მოაწყო და წყალდიდობა მთლიანად აღკვეთა. მას შემდეგ სკორბი მარტოდმარტო ცხოვრობდა,

თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მასთან ათასობით ელექტრიკოსი, ზეინკალი, მონტიორი და მუშა მეგობრობდა.

კრეიციკოპფმა სკობთან ლამე გაათია და დედაქალაქისკენ გაემგზავრა.

აირმავალი კვლავ აძივდიგდა და გზას ბორბლების ბუბუნით გაუყვა. მზის მარადიული შუქით გაბრწყინებული ზაფხული მდიდრულად მოკაზმულიყო.

## 6. „მთვარის ბომბის“ გაფრენა

შინ, უმოქმედო მშენებლობაზე დაბრუნებულმა კრეიციკოპფმა აღარ იცოდა, რა საქმეს მოჰქიდებოდა: სამუშაოთა დაწყებამდე თითქმის ოთხი თვე რჩებოდა. ჰოდა, უნებურად წიგნების კითხვა დაიწყო. ერთხელ ძველ გალავანთან მღვარ ფარდულში რაღაც წიგნი იყიდა, შინ მივიდა, სინათლე აანთო, წიგნი გადაშალა და ამოიკითხა:

ნათესავი ვარ ჭერაც  
ბალახისა და მხეცის;  
მე შენი სუნთქვის მჭერა  
და დაბინდული ზეცის...

ამას მოსაწყენი სტრიქონები მოსდევდა, შემდეგ კი კვლავ:

მე მიჯნური ვარ და არა ბრძენი,  
მუხლმოყრით ვდგავარ დაგმანულ კართან;  
უხახო ქმნილი წყალობას ველი,  
არარა ვიცი ტრფიალის გარდა.

რაღაც მომხიბლავი, ბუნდოვანი, მწვავე სევდანარევი აზრი კრეიციკოპფის არსებას ერთიანად დაეუფლა. წიგნს მანამდე კითხულობდა, სანამ ოთახი ალიონმა და ელექტროშუქმა ყვითლად არ შეფერა. დღისით თხუთმეტიოდე წიგნი კიდევ იყიდა, მხოლოდ იმიტომ, რომ მათმა სათაურებმა დააინტერესა. აი ეს წიგნებიც: ბურბარის „მყრალ აირში მოგზაურობა“, ვოგულოვის „ცისფერი გზები“, შოტის „ზენიტის დრო“, ზაგ-ზაგერის „ანტროპომორფული რევოლუცია“, ფერენტის „მთვარის ცეცხლი“, ბერკმანის „ანტიექსუსი“, გორგონდის ფილოსოფიური ნაშრომი „მუდამ იყო და იქნება თუ არა ისტორია, ბოლოს და ბოლოს, რა არის იგი სინამდვილეში?“ და კიდევ რამდენიმე სხვა წიგნი.

კრეიციკოპფი წიგნის სამყარომ განაცვიფრა. კითხვის დრო არასოდეს ჰქონია. ახლა ტანჯვით, ერთფეროვანი შრომითა და ყრუ ნალველით დაბინდულ გონებას კითხვით ირეცხავდა. სულ ახალი ხალხი დაინახა — პირქუშები, ფიცხები, მოძრავნი, ვნებითა და აღფრთოვანებით მყივარნი, აზრთა სივრცეში სულმიხდილნი, კედლის ერთ კვადრატულ მეტრიან ქვის ნიშში მოზეიმენი, უბიწო მიწა-წყლის მაძიებელნი და უდაბნოს მპოვნელნი, ქვიშაზე მოხეტიალენი და წყალს შეფეთებულნი, ურჯუკთა ქვეყნისკენ გამგზავრებულნი, ვინც მშობლიური კერის სითბოს ღამით ქარში წანწალი არჩია.

კრეიციკოპფს ხალხი როგორც მასა ისე არ წარმოესახებოდა. თვალწინ ედგა მოგზაურები, ლატაკები, მაწანწალები, თვალახვეულნი რომ დაეხეტებოდნენ. მოულოდნელად გაიფიქრა, ლიტერატურამ არ იცის, ბედნიერება არის, ხოლო თვით ბედნიერება, სადაც არის, მხოლოდ მოახლოებულ უბედურებას და სულის შერყევას მოასწავებსო.

კრეიციკოპფის ქვეყანაში უკვე მოსავალს იღებდნენ. ლოკომობილთა საცეცხლეებში ჩალა იწვოდა და მინდვრად პური იღეწებოდა. ხეებს ფოთლები სცვიოდა და ამ ფოთლებს თხები ჭამდნენ. გველები კენკრას ყლაპავდნენ, მათი შემყურე ჩიტები კი ხეებზე კანკალებდნენ. მოსავალს მრავალი ბავშვის დაბადება მოჰყვა, კარგი მწერლებიც გამოჩნდნენ. თხელი მაუდის ფაბრიკებს აშენებდნენ, ზამთრისთვის ხილსა და ბოსტნეულს სამყოფად ინახავდნენ.

ახალი საბიუჯეტო წელი დადგა. მთვარეზე გაფრენის სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მეორე ნახევარი მისცეს.

კრეიციკოპფი და ნიმტი ხუთას მშენებელთან ერთად საქმეს შეუდგნენ.

დამქანცველ შრომაში კვირა კვირას მისდევდა. ყველაფერს არაჩვეულებრივი სიზუსტე სჭირდებოდა, რადგან მთვარის დაპყრობა ქანჩის კუთხვილის ყოველ ლარზეც კი იყო დამოკიდებული.

გამტყორცნი დისკო დაამთავრეს. „მთვარის ბომბი“, კარგა ხანია, მზად იყო. ელექტროძრავა, ვადამცემი, ყველა საზომი და ავტომატი დააყენეს. ახლა მარტო ისღა დარჩა, რომ თვით ჭურვზე ყველანაირი დასაკვირვებელი და მაფიქსირებელი ხელსაწყო დაეყენებინათ.

ეს საქმე სწრაფად კეთდებოდა. სამშენებლო სამმართველო გააუქმეს და „მთვარის კვლევის სამეცნიერო ბიუროთი“ შეცვალეს. ბიუროს სათავეში ჩაუდგა ცნობილი ასტროფიზიკოსი, აკადემიკოსი ლესიურენი, ხოლო ნიმტი მის თანაშემწედ დარჩა ტექნიკურ ნაწილში. კრეიციკოპფი კვლავ კონსტრუქტორად ითვლებოდა.

ბიურომ დაადგინა, რომ გაფრენის დრო 19—20 მარტის ზუსტი ასტრონომიული შუალამე ყოფილიყო, როცა მთვარეს დასამიზნებლად ყველაზე ხელსაყრელი მდგომარეობა ექნებოდა. შუალამისას ავტომატი ჭურვს მბრუნავი დისკოდან მოწყვეტდა და „მთვარის ბომბი“ ჩვენი თანამგზავრისკენ გაფრინდებოდა, ხოლო ოთხმოცდაერთი საათის შემდეგ კვლავ დედამიწაზე დაბრუნდებოდა და ქალაქ კოროკოროტანგთან ახლოს დაჭდებოდა.

სენსაციების მოყვარული გაზეთები გაფრენაზე ისეთ რამეებს წერდნენ, რომ ლესიურენიცა და ნიმტიც თავდაპირველად ბეჭდვით ორგანოთა საინფორმაციო ცნობებში შესწორებებს გულმოდგინედ ათავსებდნენ, შემდეგ კი თავი მიანებეს: გაზეთები ხომ სრულიადაც არ არის შექმნილი იმისთვის, რომ მკითხველს ახალი ამბები და ზუსტი ინფორმაციები მიაწოდოს, ეს ადამიანთა ჩვევაა, დაღლილი ტვინის ერთგვარი ბანგი.

მთელმა ქვეყანამ თავი მოიყარა იმ ადგილას, საიდანაც „მთვარის ბომბი“ უნდა გაეშვათ. მთავრობას ზედმეტი ხარჯის გაწევა არ უნდოდა და მხოლოდ იმის ნება დართო, რომ ნაგებობის ირგვლივ უზარმაზარი ცირკი აეშენებინათ.

კრეიციკოპფი ფიქრს მიეცა. უკვე 10 მარტი დადგა, გაფრენის დღე ახ-

უფლებობდა. „ბომბს“ განგადადის გამომმუშავებელ და ნახშირორთქანგის მთანტქმელ აპარატებსაც თუ დაუმატებდნენ, მაშინ გაფრენას ადამიანიც შეძლებდა. გაფრენა ხომ სულ ოთხმოცდაერთ საათს გასტანდა.

კრეიცკოპფმა „მთვარის კვლევის სამეცნიერო ბიუროს“ განცხადება წაუდგინა. სადაც მთვარისკენ „ბომბით“ გაფრენის სურვილს ეფუძნებოდა. განცხადებაშივე დაწვრილებით ჩამოაყალიბა, რა სასარგებლოა ეს ქმნილება თუ „ბომბა“ ცოცხალ ადამიანსაც გააყოლებდნენ.

ბიურომ კრეიცკოპფის განცხადება მთავრობას გადაუგზავნა. მთავრობამ უარით უპასუხა. კრეიცკოპფმა მეორე განცხადება დაწერა: „მთავრობას ჩემგან“ „მთვარის ბომბის“ გამოგონებაზე პატენტი არ შეუსყიდია, კონსტრუქციის დეტალები აქამდე მხოლოდ ჩემთვის, კრეიცკოპფისთვის, არის ცნობილი, მე კი ჩემი გამოგონების ამოქმედების თანხმობას არ ვიძლევი; პრაქტიკულად მის ამოქმედებას უჩემოდ ვერც შეძლებენ. მე, კრეიცკოპფი, აგრეთვე უარს ვამბობ ყოველგვარ ფულად გასამრჯელოზე და გასამრჯელოს სანაცვლოდ ვთხოვლობ, „ბომბით“ გაფრენის შესაძლებლობა მომცენ“.

ამ ქვეყანაში არსებული საპატენტო კანონებით კრეიცკოპფი სრულიად წართალი გახლდათ. მან მთავრობას გამოუვალი მდგომარეობა შეუქმნა და ამუღებული გახდნენ, „მთვარის ბომბში“ ჩაჯდომის ნება დაერთოთ.

კრეიცკოპფი „მთვარის ბომბით“ გაფრენას რომ აპირებდა, ამ ცნობამ საზოგადოება განაცვიფრა. მაგრამ შემდეგ დაასკვნეს, ეს თვითმკვლელის ეფექტური ეესტიათ. 19 მარტს საღამოს რვა საათზე კრეიცკოპფი „ბომბში“ ჩაჯდა. მისი ჭურვში ჩასმა და მთელი ჭურვის დაგმანვა სახელოსნოში განხორციელდა, რის შემდეგაც ჭურვი უმაღლ დისკოზე გადაიტანეს. ამით კრეიცკოპფმა ხალხის ყურადღებას თავი აარიდა. ამ საათზე მთელი ცირკი, უკანასკნელი ამფითეატრების ჩათვლით, გაიქცა.

ცირკი ერთიანად გაეჩაზჩაზებინათ, მუსიკას უკრავდნენ, წყალს, ბურახსა და ნაყინს ყიდდნენ. ტაქსომოტორები მორიგეობდნენ, — ყოველივე ისე იყო, როგორც იშვიათ ამბავს შეეფერებოდა.

როცა ზუსტ შუალამემდე სამი წუთილა დარჩა, დისკო დაატრიალეს. ელექტროძრავა ღრიალებდა, ზეთი ვიგანტური ვენტილატორი მოგუგუნე, გახურებული მოტორისკენ ცივი ჰაერის მთელ ღრუბლებს მიაქანებდა, ხოლო მოტორიდან უკვე გამშრალი, ხისტი, უდაბნოს ქარბორბალასავით გაფიცებული ჰაერი გამოქროდა. აპარატებში ზეთი ცენტრიდანული ტურბინებიდან მიმავალი ყინულოვანი ჭავლებით გრილდებოდა, მაგრამ დისკოსა და მთელი ნაგებობას ირგვლივ მაინც მყრალი კვამლი იდგა: საკისრები ზომაზე მეტად ხურდებოდა, ზეთი ყინულშიაც იწვოდა.

დისკო ზუსტად დაყენებული და სრულყოფილად დამონტაჟებული იყო, მაგრამ ბრუნვათა ისეთი დიდი სიხშირე ჰქონდა, მისი გრგვინვა იჭაურობას კანონადასავით, ვულკანის ამოფრქვევასავით აყრუებდა. დისკოს პერიფერია ბოლაჟდა, რადგან ჰაერთან ჩახუნისგან იწვოდა.

ნიმტს შიშისგან სისხლი ეყინებოდა: იმ წამში უმნიშვნელო ავტომატს სულ მცირედად რომ ემტყუნა, არნახული კატასტროფა მოხდებოდა. დისკო ხომ ასე ათასობით ცოცხალი მაყურებლის გარემოცვაში მუშაობდა...

სიხშირის მზომი უკვე გაფრენისთვის საჭირო რიცხვს უჩვენებდა: წუთში 946 000 ბრუნვას. დისკოდან ჭურვის მოწყდომამდე ნახევარი წამი რჩებოდა. ავტომატური საათი დისკოს ავტომატის მმართველ დენს ერთბაშად ოცდაოთხ



საათში ჩართავდა. ავტომატი „ბომბს“ დისკოდან გაათავისუფლებდა და „ბომბი“ დისკოზე ყოფნისას დაგროვებული ცოცხალი ძალის ხარჯზე გაფრინდებოდა.

ნიმტმა ბრუნვათა რიცხვის რეგულატორი გააჩერა. „ბომბს“ ეჭიფტა და ბით საჭირო სიჩქარე უკვე მინიჭებული ჰქონდა.

პლაცდარმზე პროექტორები უმაღვე შხესავით გაჩახჩახდა იმის მანიშნებლად, რომ „ბომბი“ გაფრინდა. გაფრენის მომენტი ვერავინ შეამჩნია. ჭურვს წარმოუდგენლად დიდი ფრენის საწყისი სიჩქარე ჰქონდა. ადამიანის ტექნიკური გენიით ბუნების ამგვარი მსხვერვეა შევრძნებისთვის მიუწვდომელია.

ნიმტის მიერ წამყვანი ჭუროდან ამორთული დისკო ინერციით ბრუნვას განაგრძობდა. მხოლოდ ოთხი საათის შემდეგ შეძლეს მისი გაჩერება, მას შემდეგ, რაც მაგნიტური მუხრუჭები მთელი ძალით ჩართეს.

მაყურებელთაგან თხუთმეტი ათასი კაცი დაყრუვდა, ხოლო ათი ათას კაცს ერთგვარი ნერვული შერყევა დაემართა: არავინ მოელოდა, რომ ტექნიკური ნაგებობის სახით ველურ, შმაგ სტიქიას ნახავდა, ისეთ ღრიალს თუ გაიგონებდა, თითქოს ქვეყნიერების აღსასრულმა მოაწიო.

## 7. ცნობები პლანეტათშორისი სივრციდან

„მთვარის ბომბზე“ საგანგებო კონსტრუქციის რადიო იყო დადგმული. ამ რადიოთი დაახლოებით ყოველ საათში (კრეიცკოპფს საათი ვერ ექნებოდა) კრეიცკოპფისგან ცნობები უნდა მიეღოთ. ამავე რადიოაპარატის ტალღათა მიხედვით დედამიწიდან შეძლებდნენ „ბომბის“ პლანეტათშორისი მდებარეობის განსაზღვრას.

კრეიცკოპფის ყველა ინფორმაციას „მთვარის კვლევის ბიუროში“ ლესიურენი იღებდა. ასევე პირადად თვითონ ლესიურენი აწარმოებდა „ბომბის“ მდებარეობის ყველა გაანგარიშებას და „ბომბზე“ მთელ მეთვალყურეობასაც აბორციელებდა.

„ეურნალისტები საგანგებო გამოშვებათა გამოქვეყნებით ფულს შოულობდნენ და ამ ფულს ლუღად აქცევდნენ. თუმცა, გაფრენის შემდეგ პირველ დღესვე ერთმა გაზეთმა კრეიცკოპფზე სტატია გამოაქვეყნა, სტატიას „სამარის მაძიებელი“ ეწოდებოდა. ავტორი „მთვარის ბომბსაც“ და კრეიცკოპფსაც დალუპვას უწინასწარმეტყველებდა.

აი პლანეტათშორისი სივრციდან კრეიცკოპფის გამოგზავნილი ცნობები რიგის მიხედვით:

„1. შესატყობინებელი არაფერია, ხელსაწყობიდან ნახშირით შავი ცა მოჩანს. ვარსკვლავები წარმოუდგენელი ძალით ანათებენ. ჭურვი რაღაცას ოდნავ ვაეხახუნა: ხელსაწყობს მიზეზი არ აღმოუჩენიათ. თავისუფლებას ვგრძნობ. შემთხვევით წამოღებულ წიგნს, ანდრეი ნოვიკოვის „ბატონის საბლკარს“ ვკითხულობ. საინტერესო ნაწარმოებია“.

„2. „მთვარის ბომბს“ გვერდით დიდძალმა ლურჯმა ალმა ჩაუქროლა. მიზეზი არ ვიცი. ტემპერატურას არ მოუმატია“.

„3. ფრენა გრძელდება. რა თქმა უნდა, არავითარ მოძრაობას არ ვგრძნობ.

ხელსაწყოები, აპარატები, ავტომატები გამართულად მუშაობს, ალდაგანში სკორბს ჩემი მოკითხვა გადაეცით“.

„4. ჩემს ბომბს მთვარე ეცემა. მომცრო ბოლიდი ქურვის პარალელურად იმავე მიმართულებით მიქრის. „მთვარის ბომბმა“ ბოლიდს ჩახსნის“.

„5. „ბომბი“ მკვეთრი ბიძგებით მიფრინავს. უცნაურს — მსხვერპლს უგრაგნავს, ოღრო-ჩოღროებზე მიაქანებს და ძლიერ ახურებს, თუმცა ირგვლივ ეთერი უნდა იყოს“.

„6. ბიძგები ძლიერდება. მოძრაობას ვგრძნობ. ხელსაწყოები ყანყალისგან ზრიალებს. სამყაროს ლანდშაფტი დიდი ხნის წინ გარდაცვლილი მხატვრის, ჩიურლიონისის ნახატებს ჰგავს. კოსმოსურ ოკეანეში ვარსკვლავები ყვირიან“.

„7. რყევა გრძელდება. თავისი გზით მიმავალი ვარსკვლავები ფიზიკურად გრვეინავენ. მათი მოძრაობა, რა თქმა უნდა, ელექტრომაგნიტური გარემოს გაღიზიანებას იწვევს, ხოლო ჩემი უნივერსალური რადიომიმღები ტალღებს სიმღერად გარდაქმნის. გადაეცით, რომ მე მიწიერი პოეზიის თავწყაროებთან ვარ: ვილაც-ვილაცანი დედამიწაზე ვარსკვლავთა სიმფონიას გუმანით ხვდებოდნენ, მღელვარება ეუფლებოდათ და ლექსებს წერდნენ. ხალხს უთხარით, რომ ვარსკვლავთა სიმღერა ფიზიკურად არსებობს. კიდევ გადაეცით: აქ სიმფონიაა და არა კაკაფონია. საპლანეტათშორისო ბომბებით ცაში, რაც შეიძლება, ბევრი ხალხი ამოიყვანეთ. აქაურობა შიშის მომგვრელი და შემამოფოთებელია, მაგრამ ყოველივე გასაგებია. ამ ვარსკვლავთა ქღერის მოსასმენად მიმღებები გამოიგონეთ“.

„8. ფრენა მშვიდია, რყევა აღარ არის. სივრცის ნახევარი წყალივით მოლივლივ იისფერ სხივებს უკავია. რა არის ეს, არ ვიცი“.

„9. ირგვლივ ელექტრომაგნიტური ოკეანე აღმოვაჩინე“.

„10. დედამიწაზე დაბრუნების ყოველგვარი იმედი გადამიწყდა, ლურჯ დაფიონში მივფრინავ. ხელსაწყოები გარემოში რვაასი ათასი ვოლტის ძაბვას აღნუსხავს“.

„11. მთვარე ჩემკენ მოიწევს. ძაბვა — ორი მილიონი ვოლტია. წყვდიადია“.

„12. ელექტრობის მორევაია. ხელსაწყოები მოიშალა. ფანტასტიკური ამბავია. მზე ღრიალებს, მცირე კომეტები სრბოლისას ჭყვიან: ატმოსფეროს გარსის მიღმა თქვენ არაფერი გესმით და ვერაფერს ხედავთ“.

„13. მეტეორთა ღრუბლები ელვარების მიხედვით ლითონია, ელექტრომაგნიტური გავლენითაც — აგრეთვე. დიდ მეტეორებზე სანთლები ანდა ფარნები ანთია, მოციმციმე შუქს რომ ჰფენს. აქ მთრთოლარე არაფერი მინახავს“.

„14. ელექტრომაგნიტურ ტალღათა გარემოს, სადაც ვიმყოფები, მძლავრ, დაუოკებელ, უკონტროლო აზრთა აღძვრის უნარი აქვს. ამ ჩურჩულის დაძლევა არ ძალმიძს. გონება ველარ დამიმორჩილებია, თუმცა ოფლის ღვრიო ვებრძვი. რაც მინდა, რომ ვიფიქრო, რაზედაც მინდა, რომ ვიფიქრო, იმაზე ფიქრი აღარ შემიძლია. გამუდმებით იმაზე ვფიქრობ, რაც ჩემთვის უცხოა, ვიხსენებ რაღაც ამბებს, ღრუბელთა გაბობას, მზის გახლეჩას, — ყოველივეს როგორც გარდასულს და ნამდვილს ისე ვიხსენებ, მაგრამ ამგვარი არაფერი გადამხდომია. თვალწინ ცხადად წარმომიდგება ვილაც ორი კაცი, უდაბურ თხემზე რომ მელიან, სადაც ორი დამპალი ბოძია, ხოლო ბოძებზე — შეყი-

ნული რძე. განუწყვეტლად მწყურია და მინდა, კონსერვები გამოვიზოგო. თითო-თითო თევზსა ვჭამ, ზვიგენის შექმა კი მსურს. შევეცდები, ეს ფიჭვები დავძლიო, ელექტრობა რომ ბადებს და ჩემს ტვინს ისე შეესევია, რომ გორც მაინარე სხეულს ტილები შეესევინა ხოლმე“.

„15. ახლახან დავბრუნდი კლდოვანი მთებიდან, სადაც ბაღსა მწიქლიარე მუმიების სამყარო ვნახე... (სიგნალები გაუგებარია. ბაღსა მწიქლიარე მუმიების სამყარო ვნახე... (სიგნალები გაუგებარია. ლესიურენის შენიშვნა). ყველაფერი ცხადია: მთვარე ას კილომეტრზეა. ტვინზე მისი გავლენა შემზარავია, — მე ჩემით კი არ ვფიქრობ, მთვარისგან ვარ დაინდუქციკრებული. ზემოთქმულს გონივრულად ნუ მიიჩნევთ. მე სხეულგამკრთალებული ვწევარ: მთვარე განუწყვეტლივ მასაზრდოებს გავარვარებული ინტელექტით. მეჩვენება, რომ ჭურვიც აზროვნებს, რადიოც საკუთარ თავს მკაფიოდ ეჩურჩულება“.

„16. მთვარე გვერდით მიცურავს ორმოციოდე კილომეტრზე: უდაბნო, მკვდარი მინერალი და პლატინისფერი ბინდბუნდი. ნელა მივემართები, თვალზომით არა უმეტეს საათში ორმოცდაათი კილომეტრის სიჩქარით“.

„17. მთვარეს ასობით ღრმული აქვს. ღრმულებიდან მწვანე ან ცისფერი თხელი აირი ამოდის... თავს უკვე მოვერიე და მივეჩვიე“.

„18. მთვარის ზოგიერთი ღრმულიდან აირი გრიგალისებურად ამოქრის: ეს სტიქიაა თუ ცოცხალი არსების გონი?... ალბათ გონი; მთვარე ერთიანად შემზარავი ტვინია“.

„19. აირის ამოფრქვევათა მიზეზი ვერ შემიტყვია: მე მგონი, ჩემი ბომბის ლიუკს გავხსნი და გადავხტები, მაშინ გულს მომეშვება. ჭურვის წყვდიადში ვბრმავდები, მხოლოდ ხელსაწყოთა საჭვრეტლებიდან დანაწილებული სამყაროს თვალიერება მომბეზრდა“.

„20. მთვარიდან ამოფრქვეული აირის ღრუბლებში მივემართები. დედამიწას რაც მოვწყდი, მას შემდეგ ათასწლეულები გავიდა. ცოცხალი თუ არიან ისინი, ვისაც ამ სიტყვათა სიგნალებს გადავცემ? მისმენთ თუ არა?... (კრეიციკობფის გაფრენიდან ცხრამეტი საათი გავიდა. აკად. ლესიურენის შენიშვნა“).

„21. მთვარე ჩემს ზემოთაა. ჩემი „ბომბი“ ეშვება. მთვარის ღრმულები აირს აშუქებს. ვარსკვლავთა სვლა აღარ მესმის“.

„22. ყველას უთხარით, ყველას, რომ ადამიანები ძალიან ცდებიან. სამყარო მათ ცოდნას არ შეესაბამება. ირმის ნახტომზე კატასტროფას ხედავთ თუ არა? იქ განივი ლურჯი ნაკადი ხმაურობს. ეს არც ნისლოვანებაა და არც ვარსკვლავთა გროვა...“

„23. „ბომბი“ ეშვება ლიუკს ვალებ, რათა შვება ვბოვო. მშვიდობით“.

## მზის მემკვიდრენი

(ფანტაზია)

იგი ოდესღაც ნაზი, სევდიანი ბავშვი იყო. უყვარდა დედა, მშობლიური ეზოს ღობე, მინდორი და მალლა ზეცა. საღამოობით დაბაში მშობლიური, საწყალობელი ხმით რეკავდნენ ზარები, საყვირი გაჰკიოდა, მამა სამუშაოდან

ბრუნდებოდა, შვილს ხელში აიყვანდა და დიდრონ, ლურჯ თვალებს უკოცნიდა.

წყნარი და ალერსიანი სადამო სახლებს მოეფინებოდა და დღისით დაქანცული ხალხი დაძინებამდე დარჩენილ მცირე უამს ალერსში ატარებდა, ცოლ-შვილს ესიყვარულებოდა, იმედს ეძლეოდა, რომ ხვალინდელი დღეც ვიდრე არებას მოუტანდა. მეორე დღეს საყვირი კვლავ აკივლდებოდა, ეკლესიის ზარები კვლავ აკვნესდებოდნენ და ბიჭს ეჩვენებოდა, საყვირიცა და ზარებიც შორს მყოფებს და გარდაცვლილებს უმღერიან, იმას გვაუწყებენ, რაც ამქვეყნად შესაძლო არ არის და ვერ იქნება, მაგრამ გვსურს, რომ გვქონდესო. ბიჭს ღამე ვარსკვლავთა სიმღერად ეჩვენებოდა და ძილი აღარ ეწადა. მთელი ქვეყნიერება ღამის მყუდროებაში თითქოს მოგზაურივით გასდგომოდა ვარსკვლავთა შორის გაკვალულ ზეციურ გზას.

ღამით ბიჭს სული ეზრდებოდა, მისი არსების სიღრმეში ქანცი ელეოდათ მძინარე ძალებს, ოდესმე რომ იფეთქებდნენ და ქვეყნიერებას ხელახლა შექმნიდნენ. როგორც ყველა ბავშვს, სული უყვარდა, მის არსებაში ბნელი, დაუცხრომელი, შმაგი ძალები იჭრებოდა და ადამიანად გარდაიქმნებოდა. ეს ის სასწაულია, რომლითაც თავისი შვილის შემყურე ყოველი დედა ყოველდღიურად ხარობს. დედა ქვეყნიერების მხსნელია, რადგან შვილს ადამიანად აქცევს.

ვერავინ განჭვრეტდა, ეს ბიჭი ვინ იქნებოდა. იგი იზრდებოდა და მის არსებაში მომწყვდეული, ჩაჭედილ-ჩაწნეხილი ძალები სულ უფრო თავაწყვეტილად, სულ უფრო გაშმაგებით ბორგავდნენ. ბიჭი კამკამა, ცისფერ, მზიარულ სიზმრებს ხედავდა, დილას კი ერთი სიზმარიც აღარ ახსოვდა. გამოღვიძებულს ახლად ამოსული მზის წყნარი შუქი ხვდებოდა და სულსა და გულში ყოველივე უცხრებოდა, უყუჩდებოდა, ელეოდა. მაგრამ იგი ძილში იზრდებოდა; დღისით მხოლოდ მზის აღმური, ქარი და გზაზე სევდისმომგველად აბოლქვილი მტვერი იყო.



იგი დედამიწის გადაკეთებისა და ელექტრობის დიად ხანაში გაიზარდა. შრომის მჭუხარება დედამიწას აზანზარებდა, რა ხანია, ცისკენ აღარავინ იყურებოდა — ყველა მიწას ჩასცქეროდა, ყველას ხელები მოუცლელი ჰქონდა.

რადიოს ელექტრომაგნიტური ტალღები მომუშავე ადამიანის მრისხანე სიტყვებს ჩურჩულებდა ატმოსფეროსა და ვარსკვლავთა შორის განფენილ ეთერში. შეუცნობელ, დაუმონებელ, მუამბოხე მატერიას აზრი და მანქანები სულ უფრო დაეინებით და მოუთმენლად კვეთდა და მისგან ადამიანის მონას ძერწავდა.

დედამიწის გადასაკეთებელ სამუშაოთა მთავარი ხელმძღვანელი ინჟინერი ვოგულოვი — მხრებდადრეკილი, ქალარა კაცი, მოელვარე, სიძულვილის გამომხატველი თვალები რომ ჰქონდა, — სწორედ ის ნაზი ბიჭი იყო. იგი ხელმძღვანელობდა მუშათა მილიონიან არმიებს, დედამიწას მანქანებით რომ ღრღნიდნენ და სახეს უცვლიდნენ, რათა კაცობრიობის ბინად ექციათ.

ვოგულოვი შეუნაცვლებლად, გულში ჩაგუბებული სიძულვილით, გააფთრებით, შმაგურად და დაუოკებელი, ამოუწურავი გენიალობით მუშაობდა. ძილი რა იყო, არ იცოდა. ეს სამუშაო მას მუშათა მასების მსოფლიო კრებამ დააგვალა. ვოგულოვმა დედამიწა ათჯერ მაინც მოიარა, სამუშაოებს აწესრი-

გებდა, დედამიწის გადაკეთების იდეას ქადაგებდა და ხალხს მუშაობის აღ-  
მაფრენით ალაგზნებდა. მთელს დედამიწაზე, მთებში, ასევე ოკეანეებსა და  
ზღვებში თბილ დინებათა გამოსაკვლევად ასობით ექსპედიცია მოაწყო. ათა-  
სობით მეტეოროლოგიური თბსერვატორია აიგო და ატმოსფეროს ათასობით  
საუკეთესო მეცნიერის ტვინი ჩხრეკდა.

ვოგულოვის გეგმა ძალზე უბრალო გახლდათ.

დედამიწას პერიოდულად გვალვები ანდა, პირიქით, ძალზე დიდი ტენია-  
ნობა აპარტახებს. ამ თრომტრიალისგან კაცობრიობის მილიონობით ნაწილი  
ნადგურდება. ახლა წელიწადის დროთა ცვლა, ეს ზამთარი, ზაფხული და  
ა. შ. კაცობრიობის მუშაობის ტემპს ანელებს, მათთან შესაგუებლად დიდ  
ძალას ართმევს, დედამიწის უზარმაზარ სივრცეებს უნაყოფოს ხდის, ყინუ-  
ლისა და წყვდიადის სამფლობელოდ აქცევს. ხოლო დედამიწის სხვა ნაწილში  
მძვინვარე ქარი, ქვიშა და შმაგი აღმური ბატონობს.

კაცობრიობის განვითარების კვალდაკვალ დედამიწა სულ უფრო გაუსაძ-  
ლისი, სულ უფრო შმაგი გახდა. დედამიწა ადამიანის ხელით ისე უნდა გადა-  
კეთდეს, როგორც ადამიანს სჭირდება. ეს აუცილებელი გახდა, კაცობრიობის  
შემდგომი ზრდის საკითხად იქცა.

ეს პროექტი ინჟინერ-პიროტექნიკოსმა ვოგულოვმა დაამუშავა. პროექტის  
არსი შემდგენილი იყო: დედამიწის ზედაპირის რელიეფის შეცვლით ქარე-  
ბის ძალისა და მიმართულების რეგულირება უნდა მოეხდინათ. პაერის ცირ-  
კულაციისთვის და ქარების გასასვლელად მთებში არხები გაეჭრათ და ამ არ-  
ხებით კონტინენტების შიგნით თბილი ან ცივი დინებები შემოეშვათ. ეს იყო  
და ეს. რამეთუ ატმოსფეროს ყოველგვარი მდგომარეობა (ტენიანობა, სიმშრა-  
ლე) ქარებზეა დამოკიდებული.

ამ სამუშაოთა ჩასატარებლად უპირველეს ყოვლისა არაჩვეულებრივი,  
სასწაულებრივი ძალის მქონე ასაფეთქებელი ნივთიერება უნდა გამოეგონე-  
ბინათ, რათა ოც-ოცდაათიათასიან მუშათა არმიას ატმოსფეროში ჰიმალაის  
ატყორცნა შეძლებოდა. ვოგულოვმა გონება გაიფიცხა, ათასობით ინჟინერი  
გარს შემოიკრიბა, მთელი მსოფლიო აიძულა, ასაფეთქებელ ნივთიერებაზე  
ეფიქრა, მას დახმარებოდა — და ნივთიერება აღმოჩენილ იქნა. ეს ნივთიე-  
რება კი არა, გადამეტაბული სინათლე გახლდათ. სინათლე ელექტრომაგნი-  
ტური ტალღებია, ხოლო სინათლის სიჩქარე სამყაროში ზღვრული სიჩქარეა.  
თავად სინათლე მატერიის ზღვრული და კრიტიკული მდგომარეობაა.

სინათლის მიღმა უკვე სხვა სამყარო იწყება, მატერია ისპობა. სინათლეზე  
უფრო მძლავრი, უფრო დაძაბული ენერგია სამყაროში არ არსებობს. სინათ-  
ლე სამყაროს კრიზისია. ვოგულოვმა სინათლის ელექტრომაგნიტური ტალღე-  
ბის გადამეტაბვის, შეგროვების ხერხს მიაგნო და ულტრასინათლე, ისეთი  
ენერგია მიიღო, უცნაური, გამანადგურებელი, არაჩვეულებრივი, ციფრებით  
გამოუხატველი ძალით კვლავ სამყაროსკენ, „ნორმალური“ მდგომარეობისკენ  
რომ მიისწრაფოდა. ვოგულოვი ულტრასინათლეზე შეჩერდა. დედამიწისგან  
კაცობრიობისთვის ბინის ასაგებად ეს ენერგია იკმარებდა.

ულტრასინათლე კარპატებში გამოცადეს.

პატარა გვირაბში კონცენტრირებული ულტრასინათლის მუხტიანი მომ-  
ცრო ვაგონი შეაგორეს და ელექტრული მუხრუჭი ამორთეს, რაც ულტრასი-  
ნათლეს არანორმალურ მდგომარეობაში აჩერებდა. უმაღვე მთელი ევროპა

მოგოგუნე ალში გაეხვია, ქარაშოტი ქვეყნებს მიწის პირიდან ხვეტდა, ატ-  
 მოსფერო მძვინვარე მეხთატეხამ მოიცვა, ატლანტის ოკეანე ფსკერამდე აბორ-  
 გდა და მილიარდობით ტონა წყალი კუნძულებს გადაამხო. გრანტის კლდე-  
 ლოდები ღრუბლებში გრგვინვით აიჭრა, განუზომელ ტემპერატურამდე გავარ-  
 ვარდა, უმსუბუქეს აირებად გარდაიქმნა, აირები ატმოსფეროს უმაღლეს ფე-  
 ნებში ავარდა, იქ ეთერს როგორღაც შეუერთდა და დედამიწის წყაროდ  
 მოსწყდა. კარბატებისგან ნამცეციც აღარ დარჩა მოსაგონებლად. კარბატები  
 ვარსკვლავთა სიახლოვეს გადასახლდა. ვოგულოვის ნააზრევმა მატერია თით-  
 ქმის არარად აქცია.

ერთი თვის შემდეგ აზიაში ხინგანისა და საიანების ზოგიერთ ნაწილსაც  
 იგივე დამართეს. ერთმა თვემაც გაიარა და ციმბირის ტუნდრებში უკვე მორ-  
 ცხვი ყვავილები გაიფურჩქნა, თბილი, ალერსიანი წვიმები მოდიოდა, სითბოს  
 კვალდაკვალ მიჰყვა ხალხი, მიფრინავდნენ აეროპლანები, მიემართებოდნენ  
 მძიმე მატარებლები და საძირკველს იდგამდნენ ქარხნების ვეებერთელა კორ-  
 აუსები.

ვოგულოვი მილიონობით მანქანას და ასი ათასობით ტექნიკოსს განა-  
 გებდა. კაცობრიობა ბუნებას გააფთრებით, მძვინვარედ შეეჭიდა. გონება და  
 რკინა მატერიას ღრღნიდა და ლეჭდა. კაცობრიობას მუშაობის სიშმაგე დაე-  
 უფლა. შრომის ტემპერატურამ ზღვარს მიაღწია — შემდეგ უკვე სხეულის  
 დაშლა, კუნთების გლეჯა და სიგიჟე იწყებოდა. გაზეთები შრომის პროპა-  
 განდას ისე ეწეოდნენ, თითქოს რელიგიას ქადაგებენო. კომპოზიტორები სამ-  
 თო და არხების მშენებლობათა კლუბებში თავიანთი ორკესტრებით ნების-  
 ყოფისა და სტიქიური შეგნების სიმფონიებს უკრავდნენ; არა ოცნებით, არა-  
 მედ შეგნებითა და მანქანებით შეიარაღებული ადამიანი სამყაროს აუჯანყდა.

რადიოკავშირის აპარატურით გარშემორტყმული, ნახაზებსა და ციფრებ-  
 ში თავჩარგული ვოგულოვი, უკვე ოთხი წელია, მუშაობით წელს იწყვეტდა.  
 მის წინაშე სულ უფრო უკიდევანოდ იშლებოდა შრომის უძირო ოკეანე. ძილ-  
 გამფრთხალი, ცნობადაკარგული, გონების რიტმულ აფეთქებებს მინებებულნი,  
 ამ შრომის ოკეანეში იღუპებოდა, ხსნას ვერ ხედავდა და არც სურდა. შორე-  
 ული, დიადი ჰორიზონტები თვალწინ ეშლებოდა, ათასობით პრობლემა ესახე-  
 ბოდა, მაგრამ მათ გადასაწყვეტად დრო არ ჰქონდა. ვოგულოვი ხანდახან  
 წამოდგებოდა, კაბინეტში ზოლთასა სცემდა სქელ-სქელი ქაღალდებისა და  
 კალკების ზვინებს შორის და გონს მოსასვლელად მუშურ სიმღერებს მღე-  
 როდა — სხვა სიმღერები არ იცოდა. მღეროდა და წიკოს ეწეოდა, რასაც  
 ბავშვობიდან მისჩვეოდა. მაგრამ მთელი სიჩქარით მომუშავე მანქანა თავის  
 რეგულატორებთან შემანქანეს მოუხმობდა. ზღვა სამუშაო ნაპირებიდან გად-  
 მოდიოდა და კატასტროფით იმუქრებოდა, თუ გონებითა და მანქანებით მის  
 ამოშრობას თუნდაც წამით შეწყვეტდნენ. ამიტომ ვოგულოვი თავის მაგიდას  
 და მთელ მსოფლიოსთან დამაკავშირებელ აპარატებს მიუჯდებოდა, ანგარი-  
 შობდა, წერდა, აზრთა სრბოლას მიჰყვებოდა და ინჟინრებს აპარატებით ეხმია-  
 ნებოდა ჰიმალაიზე, ხინგანზე, საიანებზე, ანდებზე, ყინულოვანი ოკეანის ხე-  
 ლოვნურ არხებზე, საიდანაც თბილი დინებები ციმბირის სიღრმეში შემოჰყავ-  
 დათ; ერთ წუთში საჰარის ჰიდროფიკაციურ წყალსაწევ ნაგებობაზე მომუშავე-  
 ებს რომ უბრძანებდა რაღაცას, მეორე წუთში ინდოეთის ოკეანეში მეტეორო-  
 ლოგიურ ექსპედიციას ელაპარაკებოდა. ვოგულოვის ნააზრევი შუქს ჰფენდა

და წარმართავდა დიად, გმირულ შრომას — შორეთში მყოფ მილიონობით ადამიანის ბრძოლას.

ვოგულოვი, დიდი ხანია, მიხვდა, რომ ძალა ადამიანის გონებისა უამრავი, სრულიად სხვადასხვაგვარი რამის ერთდროული, ნათელი და სრული წარმოდგენის უნარია. ჰოდა, ამას მიაღწია.

ერთი წელიც და დედამიწას გადააკეთებდნენ. აღარ იქნებოდა ზამთარი, აღარც ზაფხული, არც ხორშაკი და არც წყალდიდობა. მთელ დედამიწას კლიმატურ უბნებად დაჰყოფდნენ, ყოველ უბანს მუდმივ და თანაბარ ტემპერატურას შეუნარჩუნებდნენ, იმ მცენარის აღმოცენებას რომ სჭირდებოდა, რაც ამა თუ იმ ქვეყნის ნიადაგში ყველაზე უკეთ ხარობდა. კაცობრიობას ანტარქტიდაში გადაასახლებდნენ — დედამიწის დანარჩენი ფართობი პურის მოსაყვანად, ადამიანის ნააზრევის გამოსაცდელად და სასინჯად იქნებოდა განკუთვნილი, სახელოსნოდ, მანქანათა სავანედ და სახნავ-სათესად გადაიქცეოდა.

თავდავიწყების ანდა ექსტაზის იშვიათ წუთებში ვოგულოვს დარუმბებულ თავში რაღაც სხვა, არასადღეისო აზრი გაუელვებდა.

ვოგულოვს მხოლოდ მგზნებარე გონებალა შერჩა, ესმთა სვლისა და მუშაობისგან სულ უფრო მძლეთა მძლე რომ ხდებოდა. აქამდე ადამიანები მეოცნებენი, მკერდდაჩიავებული პოეტები, ქალებისა და მტირალა ბავშვების დარნი იყვნენ. მათ სამყაროს შეცნობა არ შეეძლოთ და არც იყვნენ ამის ღირსნი. მატერიის შემზარავი წინააღმდეგობა, საშინელი, საკუთარი თავის შთანთქმელი ქვეყნიერება მათთვის უცნობი იყო. ამისათვის საჭიროა მძვინვარე, მჭახე, გამოწრთობილი, მატერიაზე უფრო მტკიცე და მატერიალური აზრი, რათა სამყარო შეიცნო, მის ყველაზე ღრმა უფსკრულებში ჩაეშვა, არაფრისა შეგეშინდეს, ცოდნისა და შრომის მთელი ჯოჯოხეთი თავით ბოლომდე გაიარო და ქვეყნიერება ხელახლა შექმნა. ამისათვის უფრო უღმობელი და მტკიცე ხელები უნდა გქონდეს, ვიდრე იმ ველურ შემოქმედს ჰქონდა, ვარსკვლავები და სივრცეები ოდესღაც თამაშ-თამაშით რომ წარმოშვა. ვოგულოვი ასეთი დაიბადა, უსაზღვრო, ტიტანური შრომით თავი განივითარა და შეუცნობლად იქცა მატერიაზე უფრო მტკიცე და უდრეკი შემეცნების განსახიერებად, რომელსაც ძალუძს, ქვეყნიერება ქაოსად მარტომ ააფეთქოს და ქაოსიდან შვას სხვა ქვეყნიერება — უვარსკვლავებო და უმზეო, — მხოლოდ და მხოლოდ მოზეიმე, თვალისმომჭრელი, ყოვლისშემძლე შემეცნება, გამათავისუფლებელი ყველა ფორმისა და წარმომქმნელი ახალი დედამიწებისა, — თუ ამას მოისურვებს, თუ ასეთი შემოქმედების ხალისი ექნება. მაგრამ შესაძლოა, არც შექმნა, არც დაანგრიო, არამედ სხვა მდგომარეობა გქონდეს. შესაძლოა, არ გიხაროდეს, არ იტანჯებოდე და არც მშვიდად იყო, — ეს გაფრენაა ეს მთის ჰაერია, წყნარია, სუფთა და მშფოთვარე.

სამყაროსა და სამყაროების წინააღმდეგ ამბოხებისა და მათი დამარცხებისთვის საჭირო ძალის შესაძენად მიწიერმა კაცობრიობამ შემეცნების სატანა და აზრის ეშმა უნდა შვას და საკუთარ არსებაში მცურავი, თბილისხლიანი, ღვთაური გული ჩაკლას.

ვოგულოვმა მოქმედება ნელა და მცირედით — დედამიწის გადაკეთებით დაიწყო. მაგრამ ეს არ კმაროდა: აზრი მძვინვარებდა, მუშაობაში მძლავრ-

დებოდა და ჯაფას, აღმაფრენასა და გიგანტურ, გადაულახავ დაბრკოლებებს ელტვოდა.

ვოგულოვი სამყაროს ჩაუჭდა: ეს საიდუმლო ბოლოს და ბოლოს რომ ამოცნობილ უნდა იქნეს, თანაც ამოცნობილ იქნეს მთლიანად. შეცნობა კი ვამარჯვების სამი მეოთხედია. იგი სამყაროს როგორც პოეტურ-ფილოსოფოსი კი არა, როგორც მუშა ისე მიუდგა.

ერთი წლის მანძილზე ჩატარებული ცდებისა და ფიქრის შემდეგ კაცობრიობის უნივერსალური და უკანასკნელი ამოცანა გადაწყვიტა, რა თქმა უნდა, მთელი კაცობრიობის დახმარებით. მიაგნო იმ ელიფსს, იმ მკაცრ ფორმას, რაშიაც ჩვენი სამყაროა მოქცეული. ვოგულოვის ფიქრობდა რომ სამყარო მკაცრად შემოფარგლულია საზღვრებისა და ბოლოების, ზუსტი ფორმის მქონეა — და მხოლოდ ამიტომა აქვს წინააღმდეგობა, ესე იგი რეალურად არსებობს.

წინააღმდეგობა საგნის რეალურობის პირველი და უმნიშვნელოვანესი ნიშანია.

წინააღმდეგობის უნარი კი მხოლოდ იმას გააჩნია, რასაც ფორმა აქვს. მკაცრობა უსასრულობაზე მხოლოდ მსჯელობაა და არა ფაქტი.

ვოგულოვმა სამყაროს მოხაზულობას, საზღვრებს მიაგნო და ამ ცნობილ უკიდურეს სიდიდეთა მიხედვით ყველა საშუალო უცნობი იპოვა. სამყაროს იარი უკიდურესი კრიტიკული წერტილი არსებობს: სინათლე, როგორც სამყაროს უმაღლესი დაძაბულობა: სინათლის მიღმა უკვე სამყაროს განადგურებაა და სინათლის ზღვრის გადაღახვა არ შეიძლება, რადგან იქ სამყაროს წინააღმდეგობა განუსაზღვრელია — და მეორე კრიტიკული წერტილი — ინფრაელექტრომაგნიტური ველი, რაც ჩვეულებრივი ელექტრომაგნიტური ველის მსგავსია, მაგრამ თითქმის ნულოვანი ძაბვა აქვს, მისი ტალღის სიგრძე უსასრულობაა, ხოლო სიხშირე პერიოდებისა — ერთი შეფარდებული მარადისობასთან.

ამ საზღვრებს შორის არის მოქცეული ყველა დანარჩენი გარდამავალი ფორმა: სითბო, სტრუქტურათა ქიმიური წონასწორობისკენ მატერიის მისწრაფება, რადიოაქტიურობა და სხვა. ეს ცვალებადობანი სინათლიდან ინფრაელექტრომაგნიტურ ველამდე, სინამდვილეში, ძალზე უმნიშვნელოა. მაგალითად, რადიუმის ემანაციის სიჩქარე სინათლის სიჩქარეს უახლოვდება, ელექტრულ დენსაც თითქმის ასეთივე სიჩქარე აქვს. სინათლის, ინფრაველისა და ყველა გარდამავალი ფორმის ბუნება, იდუმალემა ერთი და იგივეა.

ვოგულოვმა ცდების შემწეობით დაინახა, ამ დახშულ წრეში აქეთ-იქით როგორ აწყდება ის, რასაც სამყარო ჰქვია. ინფრაველი გარდუვალად იზრდება სინათლის მდგომარეობამდე, სინათლე საკუთარ თავს ეჯახება და კვლავ ეშვება თავის პოლარულ პოლუსამდე — ინფრაველამდე. ასე, წრიულად, ზემოთ მარჯვენა ნახევარზე, ქვემოთ — მარცხენაზე, ირხევა და ფეთქავს სამყარო საპყრობილეში, რაც თავად თვითონაა.

ინფრაველი მეცხეულად (განუსაზღვრელად, მოუხელთებლად) უკვე სინათლედ გარდაიქმნება, ხოლო სინათლე უმაღლეს პასუხად ინფრაველს იძლევა. შედეგად ცვლილება კი არა, თითქმის გაქვავებული მდგომარეობაა.

ინფრაველს უსასრულობაში გავრცელებისას ერთგვაროვანი შინაგანი წინააღმდეგობა არა აქვს. საწყის წერტილებთან მეტია, სასრულთან — ნაკლები, ამის გამო იქმნება სხვადასხვაგვარი სიჩქარე, ანუ თრთოლა — ტალღები;



ველის ინტენსივობა მაქსიმუმს, ანუ სინათლეს აღწევს, ხოლო შემდეგ წამში  
ორმოცდაათი მეოცე ხარისხში რხევიდან კვლავ ეცემა მარადისობაში ერთ  
რხევამდე, ანუ რხევათა სრულ უქონლობამდე.

მაშინ ვოგულოვმა თავის ლაბორატორიაში სამყაროს ასლენსულის  
მისი ფუნქციებით, და ცდამ ყველა გაანგარიშება გაამართლა. ვოგულოვს ეს  
არც კი გახარებია, მხოლოდ გაირინდა თავის მექანიზმთან — სამყაროსთან და  
აზრი წამით გაეყინა.

მის ლაბორატორიულ მაგიდაზე იგივე წრიული ნაკადი წარმოიქმნებოდა  
ინფრაველიდან სინათლემდე და პირუკუ, რაც სამყაროს უსასრულო სივრცე-  
ებშია. სამყარო ადამიანის მიერ დღის სინათლესავით შეცნობილ და განმეო-  
რებულ იქნა.

ახლა ვოგულოვს ულტრასინათლე, თავისი ფეთქებადი ენერგია გაახ-  
სენდა და უხსოვარი ხნიდან პირველად გაიღიმა: ადამიანმა სამყაროს აჯობა,  
რადგან ულტრასინათლე ჩვენი სამყაროს ელემენტი აღარ არის. ვოგულოვმა  
ფანქარი აიღო და გამოთვალა, რომ ათასი კუბური კილომეტრი კონცენტრი-  
რებული ულტრასინათლე იკმარებდა იმისთვის, რომ სამყაროს არსებობა შე-  
ეწყვიტა.

ორი აფეთქება, თითოეული ხუთასი კუბური კილომეტრი ოდენობისა,  
საკმარისი იქნება: პირველი აფეთქება ყოველივე არსებულს სინათლის მდგო-  
მარეობამდე მიიყვანს, მეორე კი სინათლეს ულტრასინათლედ გარდაქმნის,  
ხოლო თავად ულტრასინათლე ინერციით გადაიძაბება და რაღაც ახალ ზე-  
ენერგეტიკულ წარმონაქმნს, სხვა სამყაროს წარმოშობს.

ვოგულოვმა სევდიანი კმაყოფილება იგრძნო; კედელი გაირღვა და გზა  
გამოჩნდა.

ერთი წლის შემდეგ ვოგულოვმა გადაწყვიტა, სამყარო ულტრასინათლით  
ხელახლა შეექმნა. მის გონებაში აზრმა კვლავ იფეთქა; უსასრულო ლენტად  
დაიძრა სახელოსნოებისა და ლაბორატორიების ნახაზები, ფინანსური ხარჯ-  
თაღრიცხვები. მაგრამ აქ იგი გადაულახავ დაბრკოლებას შეეჯახა. ათასი კუ-  
ბური კილომეტრი ულტრასინათლის წარმოქმნას დედამიწის მთელი ენერგია  
არ ჰყოფნიდა. მაშინ ვოგულოვმა ჩარხები უსასრულობით, თვით სივრცით,  
ყველაზე უნივერსალური ენერგიით — სინათლით დატვირთა. ამისათვის ფო-  
ტოელექტრომაგნიტური რეზონატორ-ტრანსფორმატორი გამოიგონა. ეს ხელ-  
საწყობ სინათლის ელექტრომაგნიტურ ტალღებს ელექტრომოტორებისთვის გა-  
მოსადეგ ჩვეულებრივ სამუშაო დენად გარდაქმნიდა. ვოგულოვი სივრციდან  
მიღებულ სინათლის სხივებს „აცივებდა“, ინფრაველით ამუხრუჭებდა და სა-  
ჭირო სიგრძისა და ცვლათა სიხშირის მქონე ტალღებს იღებდა, თავისთვისაც  
შეუმჩნევლად და მოულოდნელად მან კაცობრიობის მთელ ისტორიაში უდი-  
დესი ენერგეტიკული საკითხი გადაჭრა, ცოცხალი ძალის უმცირესი ხარჯვით  
როგორ მიეღო მუშაობისთვის გამოსადეგი ენერგიის უდიდესი რაოდენობა.  
ცოცხალი ძალის დანახარჯი აქ უმნიშვნელოა — რაც რეზონატორ-ტრანს-  
ფორმატორების შემწეობით სინათლის დენად ფაბრიკაციას სჭირდება, ენერგია  
კი, ზუსტად რომ ვთქვათ, უსასრულო ოდენობისა მიიღება, ვინაიდან ადამი-  
ანის ჩარხებში მთელი სამყარო მოექცა; სამყაროს შორეულ საზღვრებს უსას-  
რულობა პირობითად შეიძლება ვუწოდოთ, სამყარო ხომ ფიზიკური სინათ-  
ლეა. მსოფლიოს ენერგეტიკა და, მაშასადამე, ეკონომიკა დამხობილ იქნა: კა-

ცობრიობას ქეშმარიტად ოქროს ხანა დაუდგა — სამყარო ადამიანისთვის მუშაობდა, ასაზრდოებდა და სიხარულს ანიჭებდა.

ვოგულოვმა სამყარო თავის სახელოსნოში ულტრასინათლის ფაბრიკაციისთვის აამუშავა, რათა ეს სამყარო გაენადგურებინა. მაგრამ მუშაობდა: ადამიანი ძალზე ნელა და ზანტად მუშაობდა. ასეთი მუშაობის კარგად დენობის რეზონატორებს — მილიონ ცალს მცირე ხანში ვერ დაამზადებდნენ. მუშაობის ტემპი უკიდურესად უნდა გაეზარდათ. ამიტომ ვოგულოვმა მუშათა მასებს ენერგიის მიკრობები შეუსია. ამ მიზნისთვის ელემენტი აიღო, რომელიც შემადრწუნებლად მიისწრაფოდა სინათლისკენ — მაქსიმალური მდგომარეობისკენ, ამ ელემენტთა კულტურები, კოლონიები ტრილიონობით მოაშენა და ატმოსფეროში მიმოაბნია. ამის შედეგად ადამიანი მუშაობისას კვდებოდა, წმინდა სიძამაცის წიგნებს წერდა, სიყვარულს დანტესავით განიცდიდა და წლობით კი არა, დღეობით ცოცხლობდა, მაგრამ ამას არ ნანობდა.



პირველივე წელს ასე კუბური კილომეტრი ულტრასინათლე გამოიმუშავეს. ვოგულოვი ფიქრობდა, ყოველ მომდევნო წელს წარმოება გაეორმაგებინა, ისე რომ სამ წელზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ ათასი კუბური კილომეტრი ულტრასინათლე უკვე დამზადებული იქნებოდა.

კაცობრიობა თითქოს გრიგალში ცხოვრობდა. ფასეულობათა წარმოების მიხედვით ერთი დღე ათას წელს უტოლდებოდა. თაობათა გრიგალისებური სისწრაფით ცვლამ მძვინვარე ენერგიის მქონე, გენიალობით გასზივოსნებული ადამიანის ახალი, სრულყოფილი ტიპი ჩამოაყალიბა.

ენერგიის მიკრობმა მარადიულობა არარაობად აქცია, ადამიანს მოკლე წამიც ჰყოფნიდა, რათა სცოცხლით გამძლარიყო და სიკვდილი ისე შეეგრძნო, ვითარცა სასიხარულო ინსტიქტის აღსრულება.



არავინ იცოდა, რომ ინჟინერ ვოგულოვს გული ჰქონდა და ტანჯვას განიცდიდა. ასეთი გული და ასეთი სული ადამიანს არ უნდა ჰქონდეს. ოცდამორი წლისას ქალიშვილი შეუყვარდა, მაგრამ შეყვარებული მალევე მოუკვდა, როცა სულ ერთი კვირის გაცნობილი ჰყავდა.

მწუხარებისგან გულჩაკლული ვოგულოვი სამ წელიწადს გაშმაგებული დაეხეტებოდა, უკაცრიელ გზებს ქვითინით მიუყვებოდა, ხან ლოცავდა ქვეყნიერებას, ხანაც წყევლა-კრულვას უთვლიდა და ბღაოდა. ისეთი სიხარული შეიქნა, რომ სასამართლომ მისი მოკვლა დაადგინა. ვოგულოვი ისე დარდობდა და იტანჯებოდა, სიკვდილიც კი აღარ შეეძლო. სხეული ჭრილობად ექცა და ეხრწნებოდა, სული ჩაუკვდა.

შემდეგ კი ორგანულმა კატასტროფამ შეარყია: სიყვარულის ძალა, გულის ენერგია ტვინში აუფარდა, თავის ქალა გაუფართოვდა და არნახული, წარმოუდგენელი უსაზღვრო ძალის მქონე გონება წარმოქმნა.

მაგრამ არაფერი შეცვლილა — მხოლოდ ეგ იყო, სიყვარული აზრად იქცა, აზრი კი სიძულვილითა და სასოწარკვეთით ანადგურებდა იმ სამყაროს, სადაც ადამიანს არ მიეცა ის ერთადერთი რამ, რაც სჭირდება — სული სხვა ადამიანისა...

ვოგულოვი ქვეყნიერებას უშიშრად, უმოწყალოდ გააცამტვერებს, გულმოკლული იმის გამო, რაც დაკარგა და ველარ დაიბრუნებს, რაც კაცს ასულდგმულებს, რაც უსასრულო დროის მერე კი არა, ახლა სჭირდება. ვოგულოვს სურდა, ეს შეუძლებელი რამ საკუთარი ხელით ახლა შეექმნა.

მხოლოდ სიყვარულით გულადესილმა იცის, რაც შეუძლებელია, მხოლოდ იგი ესწრაფვის თავგანწირვით ამ შეუძლებელს და შესაძლოს გახდის, მიზნისკენ რანაირი გზაც არ უნდა ჰქონდეს გასავლელი.



თარგმნა ლია ჟიჟიაძეა

### ზღვას

ლალ სტიქიავ, გემშვიდობები —  
 ამოიოხრე გულიდან ტალღა,  
 უკანასკნელად შემართე მალღა,  
 ასე ლამაზი და უღმობელი.

ნაღვლიანი ხმა ლურჯი უფსკრულის  
 მე გულისგულში ისე ჩამწვდება,  
 როგორც მეგობრის, ტოლის ბუზღუნის  
 განშორებისას უკანასკნელად.

შენს ფარულ ზრახვებს აქ ვეზიარე,  
 აქ ვიგრძენ ჩემი სულის სამანი,  
 აქ შედგა ფიქრი მოხეტიალე,  
 შეჩერდნენ ჩემნი გზანი სავალი.

რარიგ მიყვარდა მე შენეული  
 მჭუხარე ექო და შეძახილი,  
 ამოვარდნილი როგორც მახვილი  
 და საღამო ჟამს რინდი გრძნეული.

ან სუნთქვა შენი ლალი, მეფური.  
 ზოგჯერ იალქნებს ადევნებული  
 შორეულ გზებზე თითქოს მფარველად,

თუ ცოდვის ეინით გემთან შებმული  
 სამკვდრო ქიდილში ტალღა თავნება.

ვერ დაგიწყვილე ცით მონაბერი  
 ღვთიური ხმები სამუსიკონი,  
 ვერ მივატოვე უგი ნაპირი,  
 რათა პოეტურ გზნებით ნაფერი  
 ტალღას შერწყმოდა ჩემი სტრიქონი.

მიხმობდი — ვდუმდი, ვერ ამოვგლიჯე  
 მწყურვალე სული გვამს ვნებით  
 დაქრილს

და მე, მარადის შენი მომიჩნე,  
 მაინც მომნუსხველ ნაპირზე დავრჩი...

მშვიდობით ზღვაო, სხივნათლიერი  
 თან მიმაქვს როგორც ძვირფასი უნჯი  
 სულში ჩადვრილი სივრცენი ლურჯი  
 და ქორო შენი, მწუხრისმიერი.

იქნები ფიქრში სულ მონავარდე,  
 ტყუც გაჯერდება შენი გუგუნით  
 და მწირ ქარაფზე, როგორც შურდული,  
 სუნთქვაშეკრული მჭევლი ავარდეს!

### ზამთრის მწუხარი

ცას ბორბო მრუმედ ნისლავს,  
 ნამქრის ბოლქვებს ერთურთს ახლის,  
 ხან გვაწყდება მხეცის რისხვად,  
 ხან ქვითინებს, როგორც ბალღი.

აიჭრება უცებ სხვენში,  
 ჩალის ბულბულს გადაჩეჩავს,  
 მგზავრს მაგონებს, ღამით გეში  
 არ უმართლებს როცა ბეჩავს.

ფარღალა ზვენი ქოხი  
 ზნელია და ცივი თანაც,  
 რას მისტირი ჩუმი ოხვრით,  
 რაო, ჩემო ბებრუხანა?  
 ფანჯარასთან მობუზულხარ,  
 თითისტარზე ფიქრებს ართავ,  
 ხან ჩასთვლემ და ხანაც სწუხარ,  
 რა გაუძლებს ასეთ ზამთარს?!

მეგობარო ჩემი სიყრმის,  
 დადგი ტოლჩა — დარდი ვინძლო,  
 უმოწყალოდ გულს რომ გვიღრღნის,  
 ისევ ღვინომ დაგვაფიწყოს.

კვლავ მიმღერე შენებრ ტკბილად,  
 რად ფრენს ჩიტი უცხო მხარეს,  
 ან გოგონა სისხამ დილით  
 წყალზე როგორ მინარჩარებს.

ერქვენული

ცას ბორიო მრუმულ მისლავს,  
 ნამქრის ბოლქვებს ერთურთს ახლის,  
 ხან გვაწყდება მხეცის რისხვად,  
 ხან ქვითინებს, როგორც ბაღლი.

მეგობარო ჩემი სიყრმის,  
 დადგი ტოლჩა — დარდი ვინძლო, —  
 უმოწყალოდ გულს რომ გვიღრღნის,  
 ისევ ღვინომ დაგვაფიწყოს!

მე თქვენ მიყვარდით და ვინ იცის, გულისგულს იქნებ  
 დღესაც მინათებს წმინდა სხივი გარდასულ დღეთა,  
 მაგრამ, ძვირფასო, ნუ აპყვებით უამურ ფიქრებს,  
 მშვიდობა სულის მოგანიჭოთ მოწყალე ღმერთმა.

მე თქვენ მიყვარდით უსასო და უიმედო  
 მტანჯავდა ეჭვი, როცა გჭერე ტდით ლაღს და უდარდელს,  
 ერთი მაქვს სულთქმა და მაღალმა ღმერთმაც ინებოს,  
 რომ ჩემებრ წმინდად და სათუთად სხვასაც უყვარდეთ.

### შეათავსება

ჰა, ოქტომბერიც! — აშრიალდა მღუმარე ჰალა,  
 ჩამოიბერტყა გულმოდგინედ ზაფხულის ხიბლი;  
 სუსხიან სუნთქვას მიაღია სითბო და ღალა.

გზა მოისარკა, არ გადიკრა ყინულის ლიბრი  
 დელომ და ისევ წისქვილებთან კალაპოტს კვალავს.  
 აი, იჭერებს ხადიოობის თადარიგს ირგვლივ,  
 მწევართ გნიასი და ველური ყიჟინა კაცთა  
 შემოესია მთვლემარე ტყეს და ხნულებს გასცდა.



ჩემია ეს დრო. არ მიზიდავს მე გაზაფხული,  
 მზარავს თოვლ-ჭყაბი, ავადა ვარ, ვერ ვეპუები  
 დამაჭრებული სისხლის ამბოხს და გაბაწრული  
 გონების კვნესას, გამიხსენებს ძველი წყლულებიც.  
 სხვაა ზამთარი: მთვარე ბეჟუტავს, თეთრი ასული  
 მარხილში მიზის განაბული. თრთიან გულები,  
 მხურვალე ხელმა მიატოვა სიასამური,  
 ჩამაღწა ხელში, სიახლოვე მამცნო ამურის.

არ გავიხსენო, არ იქნება ლიპი მდინარის,  
 მოსარკულ პირზე ციგურებით სრიალი მარდი,  
 თანაც შობის და ყველიერის უქმე წინ არის,  
 მაგრამ ყველაფერს თავის დრო აქვს. ბარდნის და ბარდნის  
 ნახევარ წელს და ამ ყოფაში დათვიც მძინარე,  
 ვფიცავ, ვერ გაძლებს. გაგონილა, დღე და ღამ მარხილს  
 გადაყოლილმა არმიდებთან შეხვდეს ალიონს,  
 ან თბილ ღუმელთან მთქნარებაში ყამი გალიო?!

შევიყვარებდი ალბათ ზაფხულს, მაგრამ ვაი, რომ  
 პაპანაქებას გაბლანტება სცოდნია გრძნობის,  
 კოლო-ბუზმა და სიბინძურემ გული წაიღო  
 და გონებასაც უქნარობის ედება ობი.  
 ცალკე ხვატს უნდა გადაურჩე — იქნებ გაიღოს  
 ზეცამ სისველე! — ვნატრობთ ზამთარს. ეჰ, წუთისოფლის  
 წესია ძველი: გავისტუმრეთ ზამთარი ბლინით,  
 ხოლო ზაფხულში ალაპს ვუხდით ცივ-ცივი ღვინით.

უჰ, შემოდგომა მოგვბეზრდაო! — ხშირად მსმენია,  
 თქვენი არ ვიცი, მე კი ამ დროს წელიწადისას —  
 ვამჯობინებდი სხვა დანარჩენს. გულს დაჩენია  
 მისი მშვენება საოცარი — როგორ აგიხსნათ,  
 როგორ გამოვთქვა იღუმალი მისი გენია:  
 მხიბლავს ვით ბავშვი, სიყვარული რომ არ აღირსა  
 იღბალმა, მაგრამ სიმართლევებ მით უფრო სრულტქმნა  
 ბუნება მისი — არ დაშვრება განგება უქმად!

უკურნებელი სენით ვნებულ ქალწულს მაგონებს  
 ეს დრო და ახლა ამის თქმითაც ვცოდავ ეგება,

მაგრამ მატყვევებს სილამაზე, სულია ოდეს  
 ანთებული და ჭიან გვამში ნელა დედდება  
 სიკვდილის ხსენი. უდრტვინველად კარგავს ძალ-ღონეს,  
 დამკვნარ ბაგეზე კრთის ღიმილი, სადღაც თენდება წული  
 ახალი დილა, მიწიერის ყოვლის მსახვრალი, ბიზ-ნიქონიქა  
 სხეულს კი, როგორც კუთვნილ ლუკმას, შთანთქავს საფლავი.



მკმუნვარე დროო! უებარო ხიბლო თვალთაო!  
 რარიგ ტკბილია განშორების ნაზი ამბორი,  
 ფერისცვალება დიდებული რას შევადარო,  
 ან ოქრო-ქარვით განბანილი ტყე და მთა-გორი.  
 მსუბუქი ნისლის მიღმა მზის და ნათლის სამთავრო,  
 პირველი სუსხი, ჭირხლის ჭვირნი საარაკონი,  
 კარის ღრიჭოში ქარი ღმუის, როგორც აფთარი  
 და გვემუქრება შორეული თეთრი ზამთარი!

შემოდგომაზე ვიფურჩქნები სისხლ-ხორციანა,  
 ჩემს ჯანმრთელობას წამალივით ადგება სუსხი,  
 მიწიერ ყოფას და ცხოვრებას ვერწყმი მთლიანად,  
 მინდა ვიძინო, ანდა საჭმელს გავავლო მუსრი,  
 გული ბავშვური სიხარულით მიცემს ნიადაგ,  
 ვეტრფი სიცოცხლეს და ქალწულებს სიყვარულს ვუხსნი,  
 რა გაეწყობა თუ ასეთი მაქვს ორგანიზმი.  
 (გთხოვთ, მომიტევოთ უადგილო ეს პროზაიზმი).

ცხენი მომგვარეს თვინიერი, ქარის უსწრაფეს  
 გადავიქროლეთ, დავარბიეთ, მინდორი მზრალი,  
 ახალი თოვლი ეფინება მიწას სუფრასებრ  
 ფლოქვის ნახმევის უკან მომდევს წკრიალა ზარი.  
 დღეც მიილია და ბუხრისპირ ცეცხლის სუნთქვაზე  
 უნაზეს წუთებს ვეწაფები. ციაგი მკრთალი  
 ხან მიილევა, ხან გაკრთება. მე კი ფიქრების  
 მივდეგ იღუმალ გზას და სულის წიაღ ვინთქმები.

მიმავიწყდება ტკბილ ბურანში წუთისოფელი,  
 ყოველი მყოვრის, ყოველივე ხილულის მიღმა  
 გამომალვიძებს შთაგონების ძალი ცხოველი,  
 აღელვებული სული უკვე დაეძებს სიტყვას  
 და სადაცაა გულუბრყვილო და უცოდველი  
 დაიბადება ლექსიც, რაიც აროდეს მითქვამს  
 და ჰა, ჩემს ირგვლივ ოცნებების ზღაპრულ ქვეყნიდან  
 უკვე სტუმართა უხილავთა დასიც შეყრილა.

დაესართება სიტყვას სიტყვა, შეიკონება  
 აზრად და უმალ მოფრინდება გუნდი რითმების,

ბელში ავიღებ მერე კალამს და სტრიქონებად  
დალაგდებიან აკინძული მარგალიტები, —  
ასეა გემიც, უბალისოდ თვლემს და ყოვნდება  
მაგრამ ყიჟინა მეზღვაურთა თავდავიწყების  
გაპფანტავს ბურუსს, აივსება ქარით აფრები  
და გოლიათი შეებმება ზღვაა გამძაფრებით,



მიცურავს, მაგრამ საით მიდის? . . .

. . . . .  
. . . . .

□



თარგმანა გურამ კლდიაშვილმა

### დათვი

თათით ლეწავდა მუხების მოდგმას,  
 ტყეს აყრუებდა ღრიალი მისი,  
 მას დაძარღვული სხეული ჰქონდა,  
 ტანში უღულდა ველური სისხლი.

ის გაზაფხულზე სტოვებდა ბუნაგს,  
 ნედლი სუნი რომ ტრიალებს  
 ირგვლივ...

აი, კვირტები სკდებიან ყურთან  
 და რეტდასხმული ბაჯბაჯებს იგი.

მოსწყინდა ზამთრის შიშშილი, ძილი,  
 არ არის მუდო და გაძლებს ბევრ  
 წელს,

მიდის დათუნა, ბარბაცით მიდის,  
 ფესვებზე იწმენდს დათითხნილ  
 ბეწვებს.

მოაბოტებდა ტყეების მკვიდრი,  
 დაჰმონებოდა სიახლის იერს,  
 რომ არ შეეძლო სიმღერა ტყბილი,  
 ბღღვინ-ა-ვ-დ-ა ძლიერ.

მას წლოვანების არ ჰქონდა დარდი,  
 ამხანაგებიც არ ჰყავდა არსად,  
 იგი ბუნებით არ იყო ხარბი,  
 რაც ჰქონდა, მისი იცოდა დაცვა.

მტერს არ ინდობდა თათები მისი,  
 ქვეყნის ნალველი ფეხზე ეკიდა.

მონადირეებს თელავდა რისხვით,  
 თრკაპა ჯოხებს ლეწდა ფეხითა.

და საფარიდან ბერდანკამ მკაცრმა  
 პატარა ტყვიით ქურდულად დასცა.

არ დახეულა ბამბურას ტყავი,  
 მახათის წვერი დაეტყო ნახვრეტს,  
 სისხლი შედედდა, დაჰკიდა თავი,  
 წამსვე სიკვდილი მოედო მარღევს.

გამოუშიგნეს მუცელი დანით,  
 არ დასტყობიათ ფიორი განცდა  
 დაამარჩილეს, გააშრეს ტყავი  
 და ჰა... საწოლის საფენი გახდა.

მასზედ მრუშობენ, სვამენ და სძინავთ,  
 პასტერნაკზეა მსჯლობა მათი,  
 ლექსებსა თხზავენ, სიმღერებს ცვლიან  
 და ბაღლინჯოებს წამლავენ ნავთით.

მოსკოვის ცენტრში, ტყეების იქით,  
 წევს პუდრწყარილი აჩრდილი დათვის,  
 ასეთ ყოფაში ჩააგდეს იგი,  
 ერთ დროს ძლიერი მუხლით და თათით.

დაკრეჭილ კბილებს და შუშის თვალებს,  
 ვეება ხახას — არაფრით სავსეს,  
 ნახავთ და ფიქრობთ: მწარეა, მწარე,  
 რომ განიცადო ცვლილება ასე.





ჩასახვევი პატარა, მართლაც თეატრალური,  
გამზირიდან ჩაჭრილი მანქანების ხმაური...

მე ვიგონებ იმ დღეებს, ო, იმ დღეებს სულ ველი,  
გაუღენთილი ჰაერი შემოდგომის სურნელით...

გამზირზე კი რუსთველი.. ოპერასთან — აკაკი...  
ნელა მიმოდრიდა ხალხის დიდი ნაკადი...

მე ვიგონებ ნაზ სახელს ქალისას და ჩიტისას  
და მუსიკის ორმაგ ნოტს, გულმა რომ შეითვისა.

შემოხედვა დამწველი... მიხვრა-მოხვრა ქალური,  
ყველაფერი ისეთი — მართლა თეატრალური...

გამზირზე კი სირბილით აბა როგორ გაივლი,  
ვახ თუ გამოგეპაროს ფეხადგმული ყვავილი...

ქვევით, ქუჩის შუაზე, არც მეტი, არც ნაკლები,  
სახლი ერთი სართული სულს ითქვამდა სარკმელით.

მიცინოდა სარკმლიდან ქალი რაა, ქალი — მზე  
და ნელ ცეცხლზე ვიწვოდი  
რუსთაველის გამზირზე...

მე მუსიკოსი ვერა ვარ განთქმული —  
ტყუილად ვაწუხებ კლავიშებს,  
მე სულ სხვა ხმებს ვყავარ ყრმობიდან დაბმული  
და ვატყობ, თავს ველარ ავიშვებ.

ის სულ სხვა ხმებია მე რომ მკლავს ყრმობიდან —  
ხმაური, ჩხრიალი რითმების,  
ის ხმები მომყვება მერხიდან, სკოლიდან,  
მას შემდეგ პოეტად ვითვლები...

და, აი, ერთხელაც მზედაკრულ ნოემბერს  
ლექსის პწკარს ვაწყობდი ფერებით,  
ერქოლვით და კანკალით ჩემს თითებს მოედენენ:  
დო-დო.. და კვლავ დო-დო... ბგერები.

იმ დღემ და იმ წამმა მე ისე დამქანცა, —  
ტყვედ ვყავარ ფიქრების ქარავანს,  
ასეთი სიტყვა და ასეთი რაღაცა  
ვიცი, რომ დალისაც არა აქვს...

დავაგდე კალამი, ხელი ვით მოვკიდო...  
ოთახში დავიწყებ ბორიალს..  
ავიღე ნოტი „დო“ და ისევ ნოტი „დო“  
და „დოდო“ აღმოხდა როიალს.

მე ლამის შემშალა ფიქრების ტრიალმა,  
კლავიშებს დავემხე უსიტყვოდ...  
შენ ქალი კი არა და ლექსი კი არა,  
ყოფილხარ მუსიკა!..



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მ ა მ ა

დაბრუნდებოდა ნაჯაფი,  
დაისვენებდა განა?!  
— შვილო, ისწავლე, იშრომე,  
ჩამჩიჩინებდა მამა.

ათენდებოდა შრომაში  
პატიოსნებით სავსეს,  
არად აგდებდა სახეზე  
ოფლით გაჩენილ ხაზებს.

ავად ვარ,  
      ვფიქრობ, ფიქრებმა  
გული ვერ დამიამა...  
უძილობისგან მოხრილა  
მოხუცებული მამა.

და ნაცნობ სასაღილოში  
(ჩემი დატუქსვის ნაცვლად),  
იგი ინახავს მალულად  
ჩემთვის ეკლერის ნამცხვარს.

მოსკოვის მხრიდან წამოსულს  
ყინვა აშინებს როდი,  
მოაქვს ნამცხვარი ხელჩანთით,  
მოაქვს და ჩემთან მოდის.

ტკბილეს მადლევს ჩაისთვის,  
რომ მაგრძნობინოს სითბო,  
მე თითქოს ამას ვერ ვამჩნევ;  
ვერაფერს ვხვდები თითქოს...

ხიდზე დროდადრო გარბიან —  
ვაგონი მისდევს ვაგონს...  
მე არასოდეს მაცვია  
მაზარა ჩემი სარგო.

ვცხოვრობ დესანტთა კორპუსში —  
ორცხობილების ღრღნითა,  
უმისამართოდ ვითვლები  
უბარათობას ვიტან.

მამა კი ტეხავს ღამეებს,  
მას არასოდეს სძინავს,  
ჩალამებული თვალებით  
უცქერს შეჭირხლულ მინას.

ომის ხმა მიწყდა და მაინც  
თითქოს სუნი დგას დენთის...  
მამა  
დაღლილი ნაბიჯით  
თავის ოთახში შედის.

ხანდახან წარსულს იგონებს  
და ფიქრი დასცემს თავზარს,  
როცა ვზად შეხვდა შემთხვევით  
ვიღაც ცხენოსან კაზაკს.

კაზაკმა თავზე გადაკრა  
მათრახის მსხვილი კუდი,  
საბრალო მამამ სიმწარით  
ჩაჰყლაპა სისხლის კუტი...

დრომ ჩაიარა წყალივით,  
დღეები ისევ წავლენ,  
სტკივა მამილოს დროდადრო  
ნაჭრილობევი მწარე.

ხანში შევიდა, არ გვიკვირს,  
კაცია განა რკინა?!  
ნაჭდევს ავდარი ატკივებს,  
ან იქნებ ისეც სტკივა.

მას სჯერა...  
თავისუფლებას  
მსაჯული თვით ჰყავს ვზაზე,  
და რაც დრო გავა, ვიქნები  
პატიოსნებით სავსე.

ალარასოდეს ვიქნები  
ცრუ და ტყუილის გულა,  
ვეგმების შესრულებაზე  
თმები თეთრდება მუდამ



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მოკრძალებული მამა მყავს  
და ვზარობ მისი ნახვით,  
მუდამ მართალი, ერთგული,  
ოჯახისა და ხალხის.

შრომა-გარჯისგან მოღლილი,  
მშვიდი, ამაყი, წმინდა,  
ძალაში დარწმუნებული  
და კაცთმოყვარე დიდად.

თუ ვზარმაცობდი, შემინდე,  
მართალ ვზას უნდა მივყვე,  
თუკი სიმართლე არ ახლავს,  
შეუნდე ამ ჩემს სიტყვებს.

შენ ჩემო ტკბილო მოხუცო,  
ყური დამიგდე წამით,  
გამოუთქმელი გრძნობისთვის  
გთხოვ,

მაპატიო, მამი!..

□

# უილაამ უოლკნერი

## აბესალომ, აბესალომ!



რომანო

ინგლისურიდან თარგმნა ზაურ კილაძემ

1

სამი საათი იქნებოდა დაწყებული, აქ რომ დასხდნენ და იქამდე აღარ ამდგარან, სანამ მზე არ მიიწურა. გალევანზე იყო სექტემბრის ხანგრძლივი, ჩუმი, ცხელი, დამლელი და უსიცოცხლო დღე. მისს კოულდფილდს კაბინეტი დაერქვა ამ ოთახისათვის, მამამისი ეძახდა ასე და იმიტომ: ორმოცდასამი ზაფხული იყო მაგრად დაკეტილი დარბები ამ მჭრქალი, ცხელი, სულის შემხუთავი სამყოფისა — ჯერ კიდევ გოგო იყო მაშინ, ვილაცას რომ უთქვამს, სიცხე შემოაქვს სინათლესა და ჰაერის რხევას, სიბნელეში კი ყოველთვისააო სიგრილე — და ეს სიბნელე (სახლის ამ მხარეს თუ უფრო ძლიერ და ძლიერ მოაცხუნებდა მზე) მიეხაზ-მოეხაზა მტვრის აუარება ყვითელ ბუსუსს; კვინტინს ასე ეგონა, ქარს მოჰყვებო 'შიგნით მკვდარი, ძველისძველი და გამხმარი საღებავის ნატეჩი. სარკმლის მიღმა ხის მოაჯირს დახვეოდა ამ ზაფხულს მეორედ აყვავილებული გლიცინია, რომელსაც დროდადრო დააცხრებოდა ბელურა ჩიტების გუნდი, შრიალით წამოშლიდნენ მტვერს და გაფრინდებოდნენ. მისს კოულდფილდი, მარადიული შავებით შემოსილი ქალი, დასკუბებულიყო კვინტინის პირდაპირ, ორმოცდასამი წელიწადი აღარ იშორებდა შავებს, ზუსტად არავინ უწყოდა, ვის გლოვობდა — დას, მამასა თუ არაქმარს. წელგამართული იჯდა მაგარ მაღალ სკამზე, ფეხებით იატაკს ვერ სწვდებოდა ბავშვის მსგავსად, გაჭიმული, თითქოსდა რკინისაგან ჩამოსხმული მისი წვივ-კოჭი რაღაც უილაჯობასა და წარუვალ რისხვას გვამცნობდა. ენად გაკრეფილიყო და მის ხმას გაოცება, ულონობა და ურვა დასტყობოდა. თავგზა აებნეოდა და ყურთასმენა წაერთმეოდა მის მსმენელს და ქალის აწ უკვე დიდი ხნის ქანცაწყვეტალი და ჯერაც დაუცხრომელი საგანი მღელვარებისა გამომხუურებულიყო ამ გააფთრებული თხრობით და მშვიდს, დაუდევარსა და უვნებელს სიზმარეული ზარ-ზეიმით მოეცილებინა მტვერი და მიწა.

სულ აღარ ჩუმდებოდა, მხოლოდ ხანდახან იკარგებოდა ხმა. საღამო ეამის ბინდს შერთვოდა კუბოთა ხის სუნი, სევდისმომგვრელად რომ დაეტკბო და ჩაეტკბო სექტემბრის ზანტი და დაუნდობელი მზის ქვეშ გარეთა კედელზე მეორედ გაფურჩქვნილ გლიცინიას. სულ უფრო და უფრო მძაფრს ხდიდა ამ სურნელებას ჯერ მისი სხივები, მერე კი, თითქოსდა უქმად მყოფ ბიჭს წკება-ლა გაეჭიოსო, ბელურების ჩუმი ფრთხილი გაისმოდა და დგებოდა უსიამოვნო სუნი ქალის დაბერებული სხეულისა, დიდხანს მცველად რომ ედგა თავის

სიქალწულეს. ჭვარცმული ბალღი გეგონებოდათ უსაშველოდ მაღალ სკამზე მჯდომარე, ყელსა და მაჯებზე სამკუთხად შემოვლებული, გახუნებული მანების ზემოთ გამოღალული სახე ჩანდა მისი. გაუთავებლივ ლაბარავობდა, ესაა ხანდახან იკარგებოდა ხმა და მერე კარგა ხნის შემდგომ კვლავ ანეხებოდა იმ მოდინარე წყლისა თუ ნაკადულის მსგავსად, ერთი კვირის გროვიდან მეორემდე რომ მიჩქაფუნობს, და ამ დროს აჩრდილი გულისმომწყვლელი მორჩილებით ასე ფიქრობდა, ამ ხმის დაუფლებალა შევძელი მე, სხვა კი, უფრორე ბედიანი ვინმე მთელ სახლსაც დაეპატრონებოდაო. უჩუმარი მეხთატეხით მოვლენილი იგი (კაცი-ცხენი-ეშმა) ჩამოჭრილიყო სცენაზე, ისეთი მშვიდობიანი და ყოვლად წესიერი, ვითარცა აკვარელი, გამოტანილი სასკოლო გამოფენაზე. ხროვა ჩანდა ველური ზანგებისა მის უკან, დამსგავსებული იმ ნადირთ, რომლებსაც ძლივსღა ესწავლათ ადამიანურად ფეხზე სიარული და ახლა აქ დამდგარიყვნენ, თავი ერთად მოეყარათ, შუაში კი ბორკილდადებული ფრანგი არქიტექტორი ჩაეყენებინათ, კაცი პირქუში, ძალაწართმეული, ჩამოძენძილი. ხელისგული გამოეწვდინა აქ მოხვეტილი ველური ზანგებისა და დატყვევებული არქიტექტორის წინ მდგომ გარინდებულ წვეროსან მხედარს. მშვიდობიანი დაპყრობის პარადოქსულად უსისხლო იარაღი — ნიჩბები, წერაქვები და ნაჯახები ეკავათ ზანგებს. მერე კი ხანგრძლივად გაუკვირებელმა კვენტინმა თითქოსდა ასე იხილა, როგორ უეცრივ შეიჭრნენ ისინი ასი კვადრატული მილის გაყუჩებულ, შეძრწუნებულ მიწაზე და გარინდებულ არარას გააფთრებით წარსტაცეს სახლი ბალითურთ და, როგორც კარტი მაგიდაზე, წინ გაუშალეს მეფურად შეუძვრელ ხელისგულს, და იქმნა სატპენის ასეული, იყავ სატპენის ასეული, ვითარცა ადამის ეამს — იყავ ნათელი. შემდგომ ამისა შეეგუეა მისი სმენა და თითქოს ახლა უკვე ორ სხვადასხვა კვენტინს უსმენდა — რომელთაგან ერთი ის კვენტინ კომპსონი გახლდათ, ვინც სამხრეთში წასასვლელად ემზადებოდა, იმ შორეულ სამხრეთს უნდა სწვეოდა, მკვდარი რომ იყო 1865 წლიდან, ენაბრტყელი, ბორგნეული და თავგზააბნეული აჩრდილებით დასახლებული. იგი უსმენდა, აბა რა ექნა, უსმენდა ამ აჩრდილთაგან ერთს, ვინც სხვებივით აქამდე ვერ დამცხრალიყო და მოუთხრობდა მას ძველ, აწ უკვე აჩრდილად მოქცეულ დროებაზე; მეორეს, სულ ემაწვილ კაცს, კვენტინ კომპსონს კი ჭერ კიდევ არ დაემსახურებინა პატივი აჩრდილად ქცევისა, თუმცა კი საბოლოოდ მაინც ეს იყო მისი ხვედრი, რადგან ისიც შორეულ სამხრეთში დაბადებულიყო და აღზრდილიყო ამ ქალივით; ხოდა, ახლა არაკაცთა ხანგრძლივ მდუმარებაში ეს ორი სხვადასხვა კვენტინი უსიტყვოდ დაახლოებით ასე ეძრაბოდა ერთმანეთს: მგონია, ეს იყო ეშმა — მისი სახელია სატპენი — (პოლკოვნიკი სატპენი) — პოლკოვნიკი სატპენი. ვინც არარაიდან მეუსეულად გამოტყვრა ამ მიწაზე, მოიყვანა ზანგების ხროვა და პლანტაცია დააარსა (გააფთრებით გამოწალდაო პლანტაცია, როგორც ამბობდა მისს როუზა კოულდფილდი). და მისი დაი ელენი შეირთო ცოლად და ბიჭი და გოგო შვა — (არ მოფერებიაო, ისე შვა, როგორც ამბობდა მისს როუზა კოულდფილდი) არ მოფერებიაო. შვილები უნდა ყოფილიყვნენ მისი თვალისჩინი, იმედი და ნუგეში მისი სიბერისა, მაგრამ — (მაგრამ იმანთ დაღუბეს იგი თუ მან დაღუბა ისინი, თუ რაღაც მოხდა ამდაგვარი, და მოკვდა) — მოკვდა. გული არც არავის დასწყვეტიაო, როგორც ამბობდა მისს როუზა კოულდფილდი — (ამ ქალის გარდა, არავის) — დიახ, ამ ქალის გარდა

არავის (და კვენტინ კომპსონის გარდა კიდეც.) დიახ. კვენტინ კომპსონის გარდა კიდეც.

— პარვარდს, კოლეჯში სასწავლებლად მიემგზავრებაო, მე მითხრეს თქვენზე, — თქვა მისს კოულდფილმა, — ვერ წარმომიდგენია, როდესმე თუ დაბრუნდებით აქ, ჯეფერსონისნაირ პატარა ქალაქში ხომ არ დაიწყებთ ვეპილობას, ჩრდილოელების წყალობით უკვე კარგა ხანია ახალგაზრდა კაცს სამხრეთში აღარ დაედგომება. მრავალი სამხრეთელი კეთილშობილი კაცისა და ქალის მსგავსად იქნებ თქვენც ლიტერატორობას მიჰყოთ ხელი და ერთ დღეს შეიძლება გაგახსენდეთ და აღწეროთ კიდეც ეს ამბავი. მერე იქნებ დაოჯახდეთ და თქვენი მეუღლე ახალ კაბას ან სახლისთვის ახალ სავარძელს თუ მოისურვებს, აღწერთ ამ ამბავს და ჟურნალში მიიტანთ. შეიძლება მაშინ კეთილი მოსაგონარი იყოს თქვენთვის მოხუცი ქალი, რომელმაც მთელი სამი საათი თათახში გამოგამწყვდიათ და რა არ გიამბოთ ადამიანებსა და შემთხვევებზე, რომლებიც საბედნიეროდ თქვენ არ გადაგხდენიათ თავს; თუმცაღა თქვენი ასაკის ყმაწვილს გარეთ, მეგობრებთან ყოფნა უფრო შეჰფერის.

— დიახ, ქალბატონო, — მიუგო კვენტინმა. **ამას არ უნდა გულისხმობდეს ეს ქალი.** ასე გაიფიქრა. **მას მხოლოდ ამ ამბების მოსმენა სურს.** ჯერ კიდეც ჰქონდა დრო. ჯიბეში უტკაცუნებდა ის ბარათი, პატარა ზანგის ბიჭმა რომ მოუტანა შუადღის დადგომამდე ცოტა ხნით ადრე. თავისთან უხმობდა ამ ბარათით, მოდი და მნახეო — მშრალი, ცივი და უცნაური თხოვნა, უფრო სწორად, რაღაც უწყება იყო საიქიოდან გამოგზავნილი, უხსოვარი დროის იშვიათი, ძველებური და კარგი საფოსტო ქალაქი, გაურკვეველი, მკრთალი ხელით, თუმცა კი სუფთად ნაწერი. გულცივი, გაუტანელი, თითქმის უწყალო ადამიანი უნდა ყოფილიყო ამ ბარათის დამწერი, მაგრამ ამას ვერ ჩახვდა, იქნებ იმიტომ, რომ გაოცებული იყო მეტად, ბარათს რომ უგზავნიდა სამჯერ მასზე უფროსი ქალი, ვისაც ყრმობიდანვე იცნობდა და ასიოდე სიტყვაც არ ექნებოდათ ერთმანეთისათვის ნათქვამი, ანდა იქნებ იმიტომ, რომ მხოლოდ ოცი წლის ყმაწვილი იყო. თხოვნა შეუსრულა და ნაშუადღევს, სექტემბრის პირველი, სიცხიან-მტვრიანი დღეები იდგა მაშინ, თავისი ბინიდან იმ ქალის სახლამდე ნახევარი მილი გზა გამოიარა. რაღაც პატარა ჩანდა ეს სახლი, სინამდვილეში არ იყო ასეთი — ორსართულიანი შენობა, შეუღლებავი და მცირეოდნავ მოუვლელი, მოთმინებით ჭუშ-ჭუშად გამომზირალი, თავისი პატრონის დარადვე თითქოსდა ამ ქვეყნისთვის კი არა, უფრო მომცროს სამყაროსათვის უნდა ყოფილიყო შექმნილი; ბინდს მოეცვა ყოველი მხრით დახშული შემოსასვლელი, სადაც უფრო ცხელოდა, ვინემ გარეთ, თითქოსდა მძიმედ და მცხუნვარედ მომდინარე დროების ფშვინვა დასამარებულიყო აქ მთელი ეს ორმოცდახუთი წელიწადი. ჩია ტანის შავოსანი ქალი გარინდებული იდგა აქ, ყელსა და მაჯებზე სამკუთხად შემოვლებოდა გახუნებული მაქმანები, ფიქრიანი, დაძაბული, გაფაციცებული და ზაფრანისფერი შესცქეროდა მოსულს, ელოდა, როდის დადგებოდა შემოპატიჟების წუთი.

ამ ქალს უნდა, რომ ითქვას ამის შესახებ, გაიფიქრა კვენტინმა, სურს, რომ იმ ზალხმა, რომელთაც არასდროს არ უნახავს ეს ქალი და არც არასდროს გაიგონებს მათ სახელს, რომელთაც არასდროს უნახავთ ამ ქალის სახე და არც არასდროს გაუგონიათ მისი სახელი — წაიკითხონ და საბოლოოდ გაიგონონ, თუ რად გაგვწირა ღმერთმა და რად წავაგეთ ეს ომი, რომ მხოლოდ ჩვენი ვაჟაკების სისხლისა და ჩვენს ბანოვანთა ცრემლების მეოხებით შეძლო უფალმა

წინამდგომოდა იმ ეშმას და აღგავა კიდევაც პირისაგან მიწისა. შემდეგ ასე გაუელვა თავში კვენტინს, ბარათის გამოგზავნის მიზეზი ეს არ უნდა ყოფილიყო, იმ ამბის მოყოლა, აღწერა და გამოქვეყნებაც რომ ნდომებოდა, მაშინ ამ ბარათს მას არ გამოუგზავნიდა სწორედ, ამისთვის არც არავის მოუუხმობდა ქალი, რომელიც ჯერ კიდევ მისი (კვენტინის) მამის სიყმაწვილში მისი მამისა და ოლქის ცნობილი პოეტი-ლაურეატი იყო, აქაურ მკაცრ და ხელის-მომწერლების მქონე საოლქო გაზეთში აქვეყნებდა ლექსებს, ოდებს, ეპიტაფიებსა და პანეგირიკებს — თავის შემოქმედებას, არდამარცხების მწარე და შეურიგებელი მარაგით ნასაზრდოებს.

მაგრამ კიდევ სამი საათი უნდა გასულიყო, ვიდრე კვენტინი გაიგებდა მოწვევის მიზეზს, რომლის ნაწილი, პირველი ნაწილი უკვე იცოდა. ეს იყო ის ნაწილი, რომელიც ოცი წელია სისხლსა და ხორცში გასჯდომოდა, მამამისი ხომ იმთავითვე მოუთხოვდა იმ კაცის — სატპენის შესახებ. ნაწილი ეს ამ ქალაქის, ჯეფერსონის სისხლი და ხორციც იყო, სისხლი და ხორცი იმ კაცისა, ვინც ოთხმოცი წელიწადი დღევანდელ, 1909 წლის სექტემბრის დღემდე სუნთქავდა აქაურ პაერს 1833 წლის ივნისის იმ კვირა დილიდან, როდესაც თავისი ბუნდი წარსული დაეგდო და ცხენზე ამხედრებული შემოსულიყო ამ ქალაქში. ღმერთმა უწყის, რით და როგორ იყიდა მიწა, როგორც ჩანს, არც არარაიდან აიშენა სახლი, სასახლე და ცოლად მოიყვანა ელენ კოულდფილდი, შვა ორი ბავშვი — ერთი ვაჟი, ვინაც მისი ჯერ კიდევ გაუთხოვარი ქალიშვილის დაქვრივება მოახერხა — დაბოლოს, თავად ასე უღვთოდ გაასრულა თავისი (მისს კოულდფილდის სიტყვით, ასეც უნდა მომხდარიყო) სიცოცხლე ამ გარემოში გაიზარდა კვენტინი; თითქმის მირიადი ეს სახელი ურთიერთს ენაცვლებოდა მხოლოდ. ბავშვს მეტი არც არაფერი ესმოდა; დამარცხებულთა ომახიანი სახელების ექო ხმინებდა მის არსებაში, ვითარცა ცარიელ ტალანში, და ასე, ვინმე ერთი არსის მქონე არსება კი არა, თანავარსკვლავედი იყო, მთელი ყაზარმა, დასახლებული ჯიუტად უკან მაკქერალი შავი აჩრდილებით, რომლებსაც ორმოცდასამი წლის შემდგომაც თავიანთი ავადობის მომრჩენელი ციებ-ცხელება ვერ მოეცილებინათ; ამ ციებ-ცხელებისაგან თავდაღწეულებმა კი არც იცოდნენ, ავადობასთან კი არა, მის მომრჩენელ ციებ-ცხელებასთან გაემართათ ბრძოლა, ჯიუტი შეუპოვრობითა და გულწრფელი მწუხარებითაც ამ ციებ-ცხელების მიღმა დავანებული ავადობისათვის მიეპყროთ მზერა; ციებ-ცხელებით დასუსტებულნი და ამ ავადობისაგან განთავისუფლებულნი ვერც იმას მიმხვდარიყვნენ, რომ უძლურება იყო ეს თავისუფლება.

(—და მაინც მე რად მიაშბო ეს ამბავი? — დაბრუნებისთანავე ჰკითხა მან იმ სალამოს მამას, როდესაც შინ გამოუშვა მისს კოულდფილდმა იმ პირობით, ეტლი უნდა მოიყვანოო ჩემს წასაყვანად, — მე რად მიაშბო ეს ამბავი? მე რა მენადვლება, რომ მიწა და თუ რა ჰქვია იმას, დაიღალა იმ კაცის ზიდვით და აღგავა? მე რა მენადვლება, რომ მთელი მისი ოჯახი აღიგავა ასევე? მოვა დრო და ერთ დღეს ჩვენც აღვიგვებით, სულ ერთია, რაც უნდა გვერქვას, სატპენი, კოულდფილდი თუ სხვა რამე.

— პოო, — თქვა ბ-ნმა კომპსონმა, — მრავალი წლის წინ სამხრეთში ქალბატონებად ვაქციეთ ჩვენი ქალები. მერე ომმა ისინი აჩრდილები გახადა, რა ვქნათ, ყური აღარ დავუგდოთ აჩრდილებად მყოფ ქალებს, უკეთუ ჯენტლმენები ვართ? — დასძინა მან, — თუ ხვდები, შენ რად აფიჩია იმ ქალმა?—

სწორედ ეს ხანია ივახშმეს და აივანზე ისხდნენ, დროის დადგომას ელოდებოდნენ, როდესაც კვენტინს მისს როუზა კოულდფილდისათვის უნდა მიეკითხა. — ვილაცა ხომ უნდა წაყვეს მას — მამაკაცი, ჯენტლმენი, თან ახალგაზრდა უნდა იყოს, რათა ქმნას ის, რაც სურს და როგორც სურს, კიდევ იმიტომ აგირჩია, სატპენს შენს ბაბუაზე ახლო მეგობარი არავინ ჰყავდა ამ არემიდამოში და, როგორც ჩანს, ფიქრობს, იმ სატპენს შეეძლო მოეთხორო მისთვის, მოეყოლა, თუ როგორ დაიწინდნენ და მაინც დარჩნენ დაუწინდავნი; ისიც არ დავიწყებოდა იქნებ, ქორწილი რად ჩაიშალა. შეიძლება ესეც კი ჰქონდა ნათქვამი ბაბუაშენისათვის, რა იყო მიზეზი, რომ აღარ მისთხოვდა ის ქალი. ხოდა, ბაბუაშენს იქნებ ჩემთვის ემცნო ყოველივე, მე კი — შენთვის. და ასე და ამდაგვარად, რაც უნდა იყოს, იმლაშინდელი ამბავი აღარ გავიდოდა ოჯახის გარეთ; ჩონჩხი კი (თუ მართლაც იყო ეს ჩონჩხი) დარჩებოდა თავის ადგილას, საკუჭნაოში. შესაძლოა ასე ჰგონია, ბაბუაშენის მეგობარი რომ არ ყოფილიყო, სატპენი არასდროს დაიდებდა აქ ბინას და, თუ ფეხს აღარ მოიკიდებდა აქ, ველარც ელენს შეირთავდა ცოლად. ხოდა, ესეც შეიძლება, ბაბუაშენის მემკვიდრეს, ამ ქალისა და მისი ოჯახის ამბებში შენც ასე თუ ისე გიღევს წვლილი).

ვინ იცის, იმიტომ თუ იმიტომ, კიდევ დიდხანს ვერ მივხვდებით ამ ქალის არჩევანის მიზეზს, ფიქრობდა კვენტინი, და ამ დროს ხმის გაღვევისდა კვალად ნელინელ უფრო რაღაც მტკიცე, უცვლელი ხდებოდა გამოხმობილი აჩრდილი კაცისა, ვისაც არასდროს აპატიებდა ეს ქალი, ვისზეც ვერასდროს ვერ იძიებდა შურს. დანთქმული თავის თავში და საკუთარივე ჯოჯოხეთური სიმყრალით გარემოცული, ეს მარად მოუნანიებელი აჩრდილი ფიქრს მისცემოდა (ფიქრს მისცემოდა, თითქოსდა ჰქონდა გრძნობები, თითქოსდა-მეთქი, და თუმცა მოსვენება დაეკარგა — ოღონდ დაღლა რა იყო, მან არ იცოდა — არც ამ ქალს სურდა, რომ მოესვენა, ეს კია, ვერც აწყენინებდა და ვერც დაჩაგრავდა), სული აწ უკვე მშვიდობიანი, უწყინარი, განსაკუთრებული რამ გულისხმიერებით რომ არ გამოირჩეოდა — მართლაცდა ურჩხული, რომელმაც მისს კოულდფილდთან საუბრის უამს სწორედ კვენტინის თვალწინ შვა ორი ნახევრად ურჩხულივე ბაღლი, და მერე ამ სამ ურჩხულთა მიღმა მეოთხეც გამოჩინარდა მქრქალ ლანდად. დედა იყო ის, მისი განსვენებული დაი, ელენი: ცრემლგამშრალი ნიობეა, ვინაც ლამეულ ბურანში მყოფმა მუცლად ილო ეშმასაგან, ვინც ცოცხალი მკვდარს დამსგავსებოდა, ვისაც ტირილის თავიც არ ჰქონდა, ისე იტანჯებოდა, ვინც მოთმინებით მისცემოდა წარუვალ სევდა-ვარამს, და არა იმიტომ, რომ სუყველა დახოცილიყო მის ირგვლივ, ან არადა, თავად მომკვდარიყო პირველი, უფრო იმიტომ — თითქოსდა არც არასდროს ყოფილიყო სააქაოს. კვენტინს ასე ეგონა, ოთხივე ჩემ წინ გამწკრივებულაო, სწორედ ასეთი ცერემონიული, უსიცოცხლო-კეთილზნიანი თავდაჭერა ჰქონდათ იმხანად და ასე ჩანდა, თითქოს გადიდებული, ფერგადასული და დაძველებული ფოტოსურათი ამ ქალის უკან, კედელზე დაეკიდათ — ზემოთ ეს სურათი, ქვემოთ კი ხმა მისი და ამ ხმის პატრონმა (მისს კოულდფილდმა) არა იცის რა ამ სურათისა, თითქოს არც არასდროს უნახავს ეს ოთახი; სურათზე ხალხის ჯგუფი იყო გამოსახული კვენტინის აზრითაც რომ უცნაური, წინააღმდეგობრივი, უცხო სანახავი ჩანდა; რაღაც კი იყო გაუგებარი (ოცი წლის ჰაბუკისთვისაც), გაუგებარი-მეთქი, ამ ჯგუფიდან უკანასკნელი ოცდახუთი წელია აღარ ეწერა ცოცხლებში, ხოლო პირველი ორმოცდაათი წლის



გარდაცვლილი იყო უკვე, ვინც ახლა აქ, ამ ბნელით მოცულ, სულისშემბრუნ-  
 თავ, მკვდარ სახლში გამოეხმო ამ ორ — პირქუშ, გამძვინვარებულ მოხუც  
 ქალს, რომელსაც არც არაფერი დაეწყებოდა და არც არაფერი ეპატიებინა  
 მისთვის, და ოცი წლის ჭაბუკს, რომელსაც დრტვინვა მოეთოქა და ქაღალდის  
 დაცემული ქალის წინაშე თავის თავს ეუბნებოდა: იქნებ ასეა, კაცი რომ გიყ-  
 ვარდეს, ძალიან კარგად უნდა იცნობდე მას, მაგრამ ორმოცდასამი წელი თუ  
 გძულდა ვინმე, მაშინ მართლა კარგად გაიცნობ და იქნებ სულაც ასე სჯობს,  
 იქნებ სულაც ჩინებულაია, რომ ორმოცდასამი წლის შემდგომ აღა-  
 რაფერი გაგაკვირვებს, აღარც გახიამოვნებს დიდად, აღარც გაგაბრაზებს  
 დიდად. და იქნებ სწორედ ეს (ხმა მისი, სიტყვები მისი, იქვნეული და მოუთ-  
 მენელი გაცემა მისი) იყო ოდინდელი ხმამაღალი გოდება, ფიქრობდა  
 კვენტინი, დიდი ხანი იყო გასული მას შემდეგ, როცა გოგო გახლდათ ეს ქა-  
 ლი — გოდება ჭირვეული არმონანიებისა, ახალგაზრდული და დაუოკებელი, გა-  
 რემობათა სიბრმავისა და შემთხვევათა უსულგულობის ბრალდების მაცნე;  
 ოღონდ ეს მაშინ იყო და არა ახლა: ახლა მარტოსული მოხუცი დედაკაცის ბორ-  
 გნეული ხორცილა შებრძოლებოდა ორმოცდასამი წლის წინანდელ, ძველისძველ  
 წყენას, ძველისძველ მარად დაუვიწყარ შეურაცხყოფასა და ლალატს, რომელიც  
 სრულად და საბოლოოდ დააგვირგვინა სატპენის სიკვდილმა:

— ჯენტლმენი არ იყო, ჯენტლმენიც კი არ იყო ის კაცი. აქ რომ ჩამობ-  
 რძანდა, ცხენი ჰყავდა და ჰქონდა ორად ორი დამბაჩა და ის სახელი, მანამდე  
 რომ არავის არ გაუგონია, ზუსტად არც არავინ იცოდა, მისი საკუთრება თუ  
 იყო ის ცხენი და ის დამბაჩები, თავშესაფრის საძებრად ჩამოვიდა და რასაც  
 ეძებდა, იოკნაპატოფას ოლქში, ნახა კიდევაც. სახელიანი ხალხის თავდებობა  
 სჭირდებოდა, ვინც დაიცავდა მას იმ გადამთიელთაგან, რომლებიც შეიძლება  
 მის კვალდაკვალ ჩამოსულიყვნენ, და ესეც აისრულა ჯეფერსონში. რესპექტა-  
 ბელობაც ხომ უნდა მოეხვეჭა, კეთილზნისანი ქალი უნდა ენახა ფარად, რათა  
 ისე მოეკიდებინა აქ ფეხი, რომ ისინიც კი, ვინც მას მფარველობდნენ, ველა-  
 რაფერს გამხდარიყვნენ მის წინააღმდეგ, როდესაც უსათუოდ დადგებოდა  
 ეამი, დაკრავდა საათი და შეურაცხყოფილნი, ზიზლითა და ზარით აღუდგებოდ-  
 ნენ წინ; ჩემმა და ელენის მამამ კიდევაც გაუწია ეს სამსახური. ჰოი,  
 ელენს მე არ ვამართლებ, ბრმა და სულელ რომანტიკოსს, ახალგაზრდა და  
 გამოუცდელი იყო და მხოლოდ ამიტომ თუ აპატიებდა ადამიანი; ბრმა და  
 სულელი რომანტიკოსი იყო, მერე კი გახდა ბრმა და სულელი დედა-ქალი,  
 რომელზეც ვერ იტყოდი, ახალგაზრდა და გამოუცდელიაო; ხოდა, როცა  
 კვდებოდა სწორედ იმ სახლში, რასაც სიმშვიდე და სიამაყე ორივე ერთად  
 ანაცვალა, სადაც აღარავინ დარჩენილიყო, მხოლოდ ერთი ქალიშვილი დას-  
 დგომოდა თავზე, გოგო, ვისაც ჯერ კიდევ პატარძლობა არ ღირსებოდა და  
 ქვრივი კი ეთქმოდა უკვე, ვინც მართლაც ისე დაქვრივდა სამი წლის შემდეგ,  
 რომ ვერც ველარაფერი დაირქვა საბოლოოდ, და კიდევ ერთი იყო იქ იმ დროს,  
 მისი ვაჟიშვილი, რომელმაც ის კერა უარყო, სადაც იშვა, სადაც ერთხელა  
 გამოჩნდა, რათა მერე დაკარგულიყო სამუდამოდ და დაეტოვებინა მკვლელის,  
 თითქმის ძმისმკვლელის სახელი; თავად ის კაცი კი, გარეწარი, ტარტაროზი,  
 სატანა, ვირჯინიაში იბრძოდა, შეიძლებოდა იქ დამიწებულიყო, მეტი სადღა  
 უნდა დაბნელებოდა მზე, მაგრამ ორივემ, ელენმა და მე ვიცოდით, ის უნდა  
 დაბრუნებულიყო, ჩვენი არმიის ყოველი ჯარისკაცი გამოესალმებოდა სიცოცხ-  
 ლეს ჯერ და იქნებ მერე ეპოვა იგი ტყვიას ან ყუმბარას; და სხვა რაღა უნდა

ექნა, მხოლოდ მე, ბავშვს მთხოვდა ელენი: „შენ უნდა დაიცვა, ჯუდიით მაინც უნდა დაიცვა“; ეს მე უნდა მივშველებოდი დისშვილს, როგორც ვინც ოთხი წლით უფროსი იყო ჩემზე. დიახ, ბრმა და სულელი რომანტიკოსი, თითქოს არც კი ჰქონოდა ის ასი მილი პლანტაცია, რომელმაც, როგორც ჩანს, აცთუნა ჩვენი მამა, თითქოს არც ის სრასახლი და არც ის მარტოობა ენახა, ფეხქვეშ რომ ეგებოდნენ დღედაღამ, თითქოს არც არაფერი არსებობდა ამქვეყნად, რამაც შემოირიგა ჩვენი მამიდა. აცთუნა-მეთქი, არ მინდა ვთქვა, არც არაფერი, მხოლოდ სახე იმ კაცისა, ვინც ცხენზე მჯდომარეც კი მამლაყინწობდა, კაცი, ვისაც, ყველამ იცოდა ეს ამბავი (მამამაც, რომელმაც თავისი ქალიშვილი მიათხოვა), არც რამე წარსული ჰქონდა ან სულაც ვერ ბედავდა მის გამომზეურებას; კაცი, ვინც ამხედრებული, ორი დამბაჩით შეიარაღებული, არარაიდან გამოტყვრა, ნადირთა გარეული ხროვით შემოვიდა ქალაქში, ვინც მარტოდმარტომ მოინადირა ეს ხროვა, თავად უფრო შიშისმომგვრელი ჩანდა, ვიდრე ეს ხროვა იყო ოდესღაც წარმართთა იმ ქვეყანაში, საიდანაც გამოიქცა და თან ჩამოიყვანა ის ფრანგი არქიტექტორი, ვინც ზანგების მონადირეებულს. დაჭერილსა და უკან დაბრუნებულს დამსგავსებოდა თავად. კაცი, რომელიც გამოიქცა და აქ დაიშალა, ამოეფარა რესპექტაბელობას, ამოეფარა იმ ასიოდე მილ მიწას, ბრიყვი ინდიელებს რომ დასტყუა, თუმცა როგორ, არაფერ იცის. იმ სახლსაც ამოეფარა, სასამართლოს შენობის ოდენა რომ იქნებოდა და სადაც სამი წელიწადი ისე ცხოვრობდა, კარ-ფანჯრები არ ჩაუდგამს და არც ლოგინი შეუტანია. სატპენის ასეულს ეძახდა ამ ყოველივეს, თითქოსდა მეფის ნაბოძები ყოფილიყო და თაობიდან თაობამდე გადადიოდა ეს საკუთრება სულმუდამ. სახლი, მდგომარეობა, ცოლი და ოჯახი მისი ნიღბად სჭირდებოდა მას, ყოველივე ეს და სხვაც, რესპექტაბელობა რომ ჰქვია, ყოველივე თავისი გახადა და რაბან ასე იყო, თუგინდ უსიამოვნებას, თუგინდ ეკალჯაგს გადააპყროდა, სულ ერთი იყო მისთვის, ოღონდ ენახა შემწეობა, ენახა ის, რასაც ეძებდა იმთავითვე.

არა, ჯენტლმენიც კი არ იყო ის კაცი, არც არასდროს გახდებოდა, თუნდაც ელენი, თუნდაც ათი ათასი ელენი შეერთო ცოლად. ჯენტლმენი კი მინდა ვიყო, ანუ იქნებ როგორმე მეც ჯენტლმენი დამიძახონო, არა, ეს არ სჭირდებოდა, სურვილი მხოლოდ ერთი ჰქონდა — ელენს და მამაჩვენის სახელებს დაემშვენებინა მისი საქორწინო მოწმობა (ან მისი რესპექტაბელურობის დამადასტურებელი სხვა საბუთიც), და ხალხს დაენახა და წაეკითხა. ისევე, როგორც სჭირდებოდა მამაჩვენის (ან სხვა ვინმე გავლენიანი კაცის) ხელმოწერა თამასუქზე, რაკილა მამაჩვენმა იცოდა, თუ ვინ იყო ტენესიში მამამისი და ვინ იყო მისი ბაბუა ვირჯინიაში და ჩვენმა მეზობლებმა და იმ არემიდამოს ხალხმა, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, იცოდნენ, რომ ჩვენ ეს ვიცოდით და ჩვენ ვიცოდით, რომ იმათაც იცოდნენ, ჩვენ რომ ვიცოდით და ჩვენ ვიცოდით, რომ თუნდაც ტყუილი გვეთქვა, ყველა მაინც დაგვიჯერებდა, თუ ვინ იყო და საიდანაც ჩამობრძანდა, სწორედ ასევე, ერთი კი შეეხედა მისთვის ვინმეს და იმ წუთას მიხვდებოდა — თავის სადაურობასა და თავისი ჩამოსვლის მიზეზს ჩვენ ეს კაცი არ გვეტყვისო; ან როგორ არ მიხვდებოდა თუნდაც იმით, რომ არაფერს ამბობდა ამის შესახებ, რესპექტაბელობას ამოფარებოდა და სწორედ ამას, ამ გარემოებას ემხილებინა ეს კაცი (თუკი ვისმე სჭირდებოდა ეს სამხილი), რომ რესპექტაბელობის საპირისპირო რასმეს უნდა გამოქცეოდა და არც იყო სათქმელი ეს მეტად ბნელით მოცული ამბავი. იმი-

ტომ, რომ მეტად ახალგაზრდა იყო იგი ოცდახუთი წლის გახლდა და ასაკის უმაწვილი კაცი თავისი ნებით ათასად არ გაიჭრება და მხოლოდ ფულის გულისათვის ხელს არ მოკიდებს გაუკვალავ მიწას, სულ ახალგაზრდა პლანტაციას არ გააშენებს. დიახ, სწორედ ის ახალგაზრდა გახლდათ, ვისი წარსულიც ნამდვილად არ იყო გასამხელი 1833 წელს, მისისიპში, როდესაც მდინარე ორთქლის გემებით გაივსო და აუარება ბრილიანტებით ახუნძლული ლოთიფოთი და სულელი დაეხეტებოდა ზევით-ქვევით, რას არ იქმოდნენ, ოღონდ თავიანთი ბამბა და მონები დაესაღებინათ, სანამ ახალ ორღეანს ჩავიდოდა გემი; იქ ჩასვლას კი რა უნდოდა, ერთი ღამე უნდა გველო ცხენით და ერთადერთი დაბრკოლება, ანუ ხელის შეშლა სხვა ავაზაკის დახვედრა იქნებოდა, ანდა შეიძლება სადმე ქვიშოვან ნაპირზე გადმოესვათ, ანდა სულ უარესიც მომხდარიყო და კისრით ჩამოეკიდათ. არც უმცროსი ვაჭიშვილი იყო ის ბიჭი, ვინც ნამატი ზანგებითურთ ძველი და მყუდრო, ვირჯინიისა და კაროლინის მსგავსი კუთხიდან გამოეგზავნათ ახალ მიწაზე დასამკვიდრებლად, ერთი იმ ზანგებისათვის შეგებდათ და უმაღ მიხვდებოდით, საიდანაც იყვნენ ჩამოსულნი (და რომ ჩამოსულნი იყვნენ, ცხადია), ვირჯინია და კაროლინა რა მოსატანია, უფრო ძველი უნდა ყოფილიყო ის ქვეყანა, მაგრამ მშვიდობიანი იყო ის ქვეყანა, ვერ იტყოდით ამას. ხოლო იმ ბიჭის სახე რომ გენახათ, ნათელი გახდებოდა, მდინარეზე ხეტიალი და უეჭველი კისრით ჩამოკიდება ერჩია მას იმ საქმეს, რისთვისაც ხელი მოეკიდა აქ, თუნდაც უტყუარად სცოდნოდა, ერთი კი ჩავიდე და იმ ჩემს ნაყიდ მიწაში ოქრო დამხვდებაო ნამდვილად.

არა, ელენზე უფრო დამნაშავე მე ვარ. თუნდაც იმიტომ, რომ მე ოცი წელიწადი დრო მქონდა იმ კაცის საცქერლად, ელენს — ხუთი, და ეს ხუთი წელიწადიც არ ენახა იგი, მხოლოდ მესამე პირების მონათხრობს ისმენდა მისი თავგადასავლის შესახებ, თუმცა სრულად ვინ უამბობდა იმ თავგადასავალს, ნახევარსლა თუ გაიგებდა, ხოლო იმისი ნახევარი, რაც მართლაცდა ჩავიდინა მას, არა სულიერმა არ იცოდა. დარჩენილ ნახევარზე, კი კაცი ცოლთან, მით უმეტეს, გაუთხოვარ ქალთან ენას როგორ დაძრავდა; ჩამობრძანდა აქ, ჯეფერსონში, გახსნა ცირკი და მთელი ეს ხუთი წელიწადი ჩვენი ქალაქი თუნდა იმით იხდიდა საზღაურს ამ გასართობისათვის, რომ მის თავგადასავალს უმაღავდნენ ჩვენს ქალებს. მაგრამ მე მთელი ცხოვრება მქონდა იმის საცქერლად, რადგან უკვე ნათელი გამხდარიყო — თუმცა მიზეზი რა იყო, ღმერთმა უწყის — ჩემი ბუდი, სიცოცხლე ჩემი უნდა გასრულებულიყო აპრილის ერთ დღეს ამ ორმოცდასამი წლის წინ, ეინაიდან ყოველი, ვისაც სულ ცოტა ხანს მაინც უგემია ის, რასაც სიცოცხლე ჰქვია, სიცოცხლეს ვერ დაარქმევდა იმას, რითაც აქამდე მე მიცხოვრია. ვნახე, თუ რა დაემართა ელენს, ჩემს დას; ვნახე, რომ ამ თითქმისლა განდევილი ქალის თვალწინ იზრდებოდა ის ორი განწირული ბაღლი, რომელთა დახსნის იმედი უკვე გადაწუროდა; ვნახე, თუ რის ფასად დასჯდომოდა ეს სახლი და თავისი სიამაყე; ვნახე, რომ ყავლი გაუვიდა მისი სიამაყის, მისი შეძლების, მისი სიმყუდროვის თამასუქებს, რომლებზეც ხელი მქონდა მოწერილი იმ საღამოს ეკლესიაში შესვლის წინ; ვნახე, მთლად უსაფუძვლოდ და უმიზეზოდ როგორ აუკრძალეს გათხოვება ჯუდიტს; ვნახე, მომაკვდავმა ელენმა მხოლოდ, მე ჯერ კიდევ ბავშვს მთხოვა დაცვა მისი ერთი გადარჩენილი შვილისა; ვნახე, როგორ უარყო ჰენრიმ თავისი სახლი, შემკვიდრეობა და უკან დაბრუნებულმა თავისი

დის საქორწინო კაბის კალთასთან დააგდო მისი მიჯნურის სისხლიანი გვამი; ვნახე უკან მობრუნებული ის კაცი, წყარო და სათავე ბოროტებისა, რომელმაც მოინელა ყველა თავისი მსხვერპლი და რომელმაც შვა ორი ბავშვი, რათა იმათ შერე მოესპოთ ერთმანეთი და არა მართო თავის ჯილჯიჯი ქვეყნის მდგმაც ამოეგდო ძირფესვიანად, და მე მაინც დაეთანხმდი ამ კაცის — ცოდნებს.

არა, დამნაშავე უფრო მე ვარ, ჩემი სიყმაწვილე არაფერ შუაშია, რადგან 1861 წლიდან სამხრეთში არა სულიერს — გინდა კაცს, გინდა ქალს, გინდა ზანგსა და გინდა სახედარს — არ ჰქონდა დრო და შემთხვევა დამტკბარიყო თავისი სიყმაწვილით და არც კი გაუგონია არასდროს ამის შესახებ იმისგან, ვისაც ჰქონია ბავშვობის ხანა. ჩემი ნათესაური სიახლოვეც არაფერ შუაშია; მოხდა ისე, რომ მე, ყმაწვილი, გასათხოვარი ქალი ორი წელიწადი ვცხოვრობდი მასთან ერთად ერთ ჭერქვეშ, სწორედ ეს დრო იყო მაშინ, როდესაც მეტი ნაწილი ახალგაზრდა მამაკაცებისა, ვინც მე ჩვეულებრივ პირობებში უნდა გამეცნო, წაგებული ომის ველზე დაღუპულიყო. ჩემი გაჭირვებაც არაფერ შუაშია, მოხდა ისიც, რომ მე, ობოლმა, ლარიბ-ლატაკმა დახმარება კი არა, არსობის პური ვთხოვე ერთადერთ ახლობლებს — ჩემი განსვენებული დის ოჯახს. ჩემი მდგომარეობის გამართლებას კი არ ვცდილობდი მხოლოდ, გვარის ღირსებასაც ვიცავდი თავგამოდებით; ჩემი გვარის ქალებს ყოველთვის ჰქონდათ კარგი სახელი, და ვინ გაბედავდა ოცი წლის ობოლ, გროშ-კაპიკს მოკლებულ ყმაწვილქალისთვის ეთქვა, პატიოსან წინადადებაზე უარი უნდა გეთქვა, არ უნდა დასთანხმებოდი ცოლობაზე კაცს, ვისი პურიც იძულებული იყავი გეტკმა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ მე მაინც არ ვამბობ, მართალი ვარ-მეთქი; მე, ყმაწვილი ქალი, რომელმაც თავი დააღწია თავისი მშობლების მომწინებელი ბედის უკულმა ტრიალს, რამაც წარსტაცა ყოველი სიკეთე, და რომელიც ხედავდა, ყოველივე, რითიც იგი ცხოვრობდა, ნამუსრევად იქცა და ამ ნამუსრევის წიად რამდენიმელა ჩანდა ადამიანის სახისა, რომელთაც აღნაგობა და სახელები ჰქონდათ გმირების; მართალი ვარ-მეთქი, არ ვამბობ მე, ყმაწვილი ქალი, რომელსაც დღენიადაგ უნდა ეცქირა იმ კაცისთვის, ვინც მიუხედავად ყველაფრისა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყო ოდესღაც, ან ეს ქალი რას ფიქრობდა და რა იცოდა მის შესახებ, იმ ოთხ სახელოვან წელიწადს იბრძოდა იმ ქვეყნის სულისა და ტრადიციებისათვის, სადაც ეს ქალი იყო დაბადებული. და ამ კაცს, რომელმაც ეს ქმნა, თუმცა კი გარეწარი დარჩენილიყო, ფერილა შეეცვალა მხოლოდ, მაგრამ მაინც ექნებოდა იმ ქალის თვალში სახე გმირისა, თუნდაც იმიტომ, რომ გმირთა შორის უხდებოდა ტრიალი; და ახლა იმ კაცმა თავი დააღწია უბედურებას, რამაც ასე გასტანჯა ეს ქალი, და ცარიელ-ტარიელი შეხვდა სამხრეთის მომავალ სვეს, ხმალი დარჩა ერთი, მტრისთვის რომ არ დაუთმია არასდროს, და ერთი მადლობაც დამარცხებული მთავარსარდლისაგან. ჰო, ის გულადი იყო. არც არასდროს უარყოფდი მე ამას. მაგრამ რად არის, რომ ჩვენი საქმის, მთელი ჩვენი ცხოვრების, იმედებისა და გარდასული ყამის სიამაყის მეოხად სწორედ ასეთი ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ მხოლოდ — მამაცნი და ძალამოსილნი, ოლონდ უწყალონი და უღირსნი. რაღაა გასაკვირი, რომ დამარცხება გვარგუნა ძალაღმამა ღმერთმა?

— არც მიკვირს, ქალბატონო, — მიუგო კვენტინმა.

— მაგრამ რაღაა, რომ ყველა იმათთაგან, ვისაც ეს კაცი ცნობდა, მხოლოდ მამაჩვენი, ჩემი და ელენის მამა ემსხვერპლა მას, და არა ისინი, ვისთვისაც იმას შეეძლო ქალიშვილი სულაც კარტში მოეგო. მასთან ხომ ბევრი დადიოდა,

სვამდა და თამაშობდა კიდევაც, და ბევრსაც უნახავს იგი იმ ველურ ზანგებთან შებრძოლებული, და მაინც როგორ დაუახლოვდა მამას, საფუძველი რა იყო, შეხვედრა ქუჩაში და კარგი სალაში, საერთო მეტი რა უნდა ჰქონოდათ იმ არსაიდან ჩამოსულ, თავისი სადაურობის დამძალავ კაცს და მამაჩვენს; საერთო რა უნდა ჰქონოდა ასეთ კაცთან მამას — მეთოდისტთა ეკლესიის ხაზინადარს, უქონელ ვაჭარს, ვინც ვერც კი წარმოიდგენდა, თუ რამეს გაკეთება შეეძლო ამ მზისქვეშეთში მისი მომავლისა და წინსვლისათვის, ის კი არა, მას რომ გამოადგებოდა, გზაზე დაგდებულსაც ვერ აიღებდა რამეს; უმიწაწყლო კაცს, მონებიც რომ არ ჰყავდა, რომელმაც ორი მსახური იყიდა და იმ წუთას გაათავისუფლა, ვინც არ სვამდა, არ ნადირობდა, არ თამაშობდა, საერთო რა უნდა ჰქონოდა იმასთან, ვინც, ნამდვილად ვიცი, ცხოვრებაში მხოლოდ სამჭერ იყო ჯერფერსონის ეკლესიაში; ერთხელ მაშინ, ელენი რომ ნახა, მეორედ, როცა იქ საქორწინო ცერემონიალი გაითამაშეს და მესამედ ჯვარი დაიწერა კიდევაც; ნახავდა იმ კაცს ვინმე და მიხვდებოდა, მართალია, ამას ახლა არა აქვს რა, მაგრამ კი უნდა იყოს ფულს შეჩვეული და კიდევაც ლამობს კვლავ მის მოხვეჭას, როგორ და რა გზით, სულ ერთია მისთვის. სწორედ მან, ამ კაცმა დაადგა თვალი ეკლესიაში ელენს. ეკლესიაში-მეთქი, გესმის, თითქოსდა განწირული და დაწყევლილი რომ იყო ჩვენი ოჯახი, თავად ხედავდა ამას ღმერთი და წვეთწვეთობით ბოლომდე შეგვასვა ეს მწარე ფიალა. დიახ, მთელი სამხრეთი, მთელი ჩვენი ოჯახი იყო განწირული და დაწყევლილი, თითქოსდა იმიტომ, რომ ჩვენს წინაპართაგან ერთმა შთამომავლობის დამკვიდრება გადაწყვიტა იმ მიწაზე, იმთავითვე რომ იყო განწირული და დაწყევლილი, თუმცა შესაძლოა ეს წყევლა ჩვენი გვარის კაცს, ჩვენს მამაპაპას კი არა, სხვას დაემსახურებინა სულაც და აწ უკვე დაწყევლილ მიწაზე დაგვაფუძნა ზეცამ. და მეც კი, მთლად ბავშვს, რა უნდა მცოდნოდა, მიუხედავად იმისა, რომ ელენი ღვიძლი დაი იყო ჩემი, ხოლო ჰენრი და ჯუდიტი ჩემი დისშვილები, მარტოს მე იქ არ მიშვეებდნენ, მამა და მამიდა უნდა გამყოლოდნენ უთუოდ, მხოლოდ სახლში უნდა მეთამაშა ჰენრისა და ჯუდიტთან (და იმიტომ კი არა, რომ მე ჯუდიტზე ოთხი წლით უმცროსი ვიყავი, ხოლო ჰენრიზე — ექვსით; განა მე არ მთხოვა ელენმა სიკვდილის წინ: „ხომ დაიცავო იმათ?“); მეც მიფიქრია ბევრი, რომ ჯერ კიდევ მაშინ, სანამ მამაჩვენი ცოლად მოიყვანდა დედაჩვენს, რა ჩაიდინეს ჩვენმა მშობლებმა ისეთი, რომლის გამოსყიდვა ელენსა და მე მოგვიხდებოდა და ჩვენთაგან ვერც ერთი გამოისყიდებოდა ამას; და მაინც რა უნდა დაეშავებინათ, რომ მთელ ჩვენს ოჯახს დაედო ცოდვა, დამღუპველი რომ შეიქნა არა მარტო იმ კაცისთვის, ჩვენთვისაც.

— დიახ, ქალბატონო, — თქვა კვენტინმა.

— დიახ, — სამკუთხა მრუმე მაქმანების ზემოთ მოისმა ხმა სუსტიანი, წყნარი, და ახლა ფიქრებგაშლილ და კეთილზნიან აჩრდილთა შორის კვენტინის თვალწინ თითქოსდა წარმომადგარიყო იმ მკვდარი დროების ხანის სწორკიკინებიანი პატარა გოგო, გამოწყობილი კოხტა კაბასა და პანტალონებში. თითქოსდა დგას თავისთვის გაყუჩებული ეს გოგო საშუალო შეძლების მქონეთა პატარა, სევდის მომგვრელ ეზოში თუ მდელიოზე, სწორად ჩარიგებული ღობის მიღმა და ამ წყნარი სოფლის ქუჩაში მოსახლე კაციკამიათა სამყაროს ისეთი სახით გამოსცქერის, იმ ბაღლებს რომ აქვთ, რომლებიც ძალზე გვიან გაჩნდებიან თავიანთი მშობლების ცხოვრებაში და განწირულნი არიან იმისათვის, რომ ადამიანთა მთელი საქმენი ასაკოვანთა აბურ-

დული ხუმტურებიდან დაინახოს. კასანდრეს მსგავსად პირქუში, ღრმა და მკაცრად წინასწარმეტყველური იერით დგას, სრულიად არ შეეფერება ეს სახე მის ბავშვურ ასაკს, თუმცა იგი არც არასდროს ყოფილა ბავშვი. — ეს იმიტომ, რომ მეტად გვიან, მთელი ოცდაორი წლით გვიან დავბადებულვარ. და მე, ჯერ კიდევ ბავშვი, დიდების საუბარს ჩუმად რომ ვესმენდი, წინაწიფული დისა და დისშვილების სახეებს თითქოს კაციჭამია დევების იმ ზღაპარში ვხედავდი, ნავახშმებს, დაძინებამდე რომ მიამბეს კარგა ხნის წინ, ჯერ კიდევ მაშინ, სანამ იმდენად წამოვიზრდებოდი, რომ იმათთან თამაშის უფლებას მომცემდნენ. მაგრამ სწორედ იმ ჩემმა დამ სიკვდილის უამს, როდესაც ძისი გადაკარგული ბიჭი კაცისმკვლელი უნდა გამხდარიყო, ხოლო გოგო დაუქორწინებლად დაქვრივებული. სწორედ მაშინ მიმიხმო და მითხრა: „ხომ გადაარჩენ, ჯუღითს ხომ მაინც გადაარჩენ“. ბავშვი ვიყავი და ჩემმა ბავშვურმა გონებამ მამცნო პასუხი, ასაკოვანთა სიბრძნეს რომ არ ძალუძს, ისეთი: „გადავარჩენ? კი მაგრამ, ვინ რას ემუქრება? ხომ მან შვა ისინი და რატომ უნდა სდევნიდეს მერე. საკუთარ თავს უნდა გადაურჩნენ ისინი მხოლოდ“.

ყოველივე ეს გაცილებით გვიან უნდა მომხდარიყო; თუმცა კი ისედაც გვიანი იყო, მაგრამ მტვრის ბუსუსებით სავსე მთრთოლარე ყვითელი მზის სხივების ნახაზი ჯერ კიდევ არ აწეულიყო მალლა და არ შერთოდა ბინდით მოცულ უჩინარ კედელს; თითქოსდა გარინდებულიყო, არც კი იძროდა მზე; ყოველივე ამას (საუბარს, მონათხრობს), ასე ეჩვენებოდა (მას, კვენტინს), სიზმარეული ულოგიკობა და უგონობა დასტყობოდა; სიზმარი კი, როგორც მძინარემ იცის, მკვდრადშობილი, გასრულებული და მსწრაფლწარმავალია, მაგრამ რეალობის რაღაც ნიშანი სცხია და ამიტომ შეუძლია ძილმორეულ კაცს თავზარი დასცეს, აღაფრთოვანოს ან გააოცოს — წარსულის აწ ჯერაც მიმდინარე დროის გაგებასა და გათავისებაზეა დამოკიდებული სხენებული გარემოება, სწორედ ასე მოგვეახლება ჩვენ მუსიკა ან ნაბეჭდი რამე ზღაპარი.

— დიახ, მე ძალზე გვიან დავბადებულვარ. მე ის ბავშვი ვიყავი, ვისაც სამივე (და იმისიც) სახე ისე უნდა დახსომებოდა, როგორც მან პირველად იხილა ეტლში მსხდომარენი იმ კვირა დილას, როდესაც მთელმა ქალაქმა გაიგო საბოლოოდ — სატბენის ასეულიდან ეკლესიამდე მას გზა საჭირითო ბილიკად გადაუქცევიანო. იმხანად მე სამი წლისა ვიყავი და, თქმა არ უნდა, ადრეც მეყოლებოდა ნანახი ისინი, კი, უთუოდ ვნახავდი სადმე. მაგრამ მე არ მახსოვს. მე ისიც არ მახსოვს, თუ შეხვედროდა მას იმ კვირადღემდე ელენი. თითქოსდა ჩემი დაი, ვინც თვალითაც არ მინახავს და ვინც ჯერ კიდევ ჩემს გაჩენამდე კაციჭამია დევს ჰყავდა გამომწყვდეული, მხოლოდ ერთი დღით დააბრუნეს იმ სამყაროში, რომელიც დაატოვებინეს, მე კი, სამი წლის ბაღლი, ამ შემთხვევისა გამო დილაადრიანად გამაღვიძეს, გამომაწყვეს და, შობადლისთვის ან შობადლეზე უფრო დიდი ზეიმისთვის რომ იციან, თმა ისე დამიხვიეს, რადგან ბოლოს და ბოლოს ის კაციჭამია დევი თუ სული ბოროტი თანახმა გახდა. ეკლესიაში წასულიყო, რათა არ წაწყმედილიყვნენ, მხოლოდ ერთხელ დართო ნება ელენს გასულიყო იმ ომის ველზე, სადაც იმ ბავშვების სულის სახსნელად ბრძოლა იყო გამართული და სადაც ამ ქალს არა მარტო ზეცა, მისი ნათესავებიც, მისი წრის ადამიანებიც დაუჭერდნენ მხარს; დიახ, იქნებ სულ მცირე ხნით თავი მოიდრიკა, დიდსულოვნება გამოიჩინა, ანუ მიხვდა, რომ ასეა საჭირო, დაბოლოს იქნებ ერთი წამით რაინდი გახდა, ერთი

წამით-მეთქი, რადგან შეცვლით რა შეცვლიდა. აი, რისი იმედი მქონდა. დანახვით კი აი რა დავინახე ეკლესიის წინ მამაჩემისა და მამიდაჩემის გვერდით მდგომმა იმ ეტლის მოლოდინში, ოცდაორი მილი რომ უნდა გამოეცვლა და თუმცა აქამდე უნდა მყოლოდა ნანახი ელენი და ბავშვები, მაგრამ ვერც ერთი სწორედ მაშინ აღვიქვი მე ისინი და სამარის კარამდეც არ დამხვდნენ. ამბავი: ჯოჯოხეთური-სიჩქარით მომქროლავი ეტლი და ელენის თეთრი, მზვარობარი სახე, აქედან და იქიდან კი ამ სახის ორი დაპატარავებული ასლი, მათ წინ სახე და კბილები მეეტლის — ველური ზანგისა. ის კაციც აქ იყო, ზუსტად იმ ზანგისნაირი მქონდა იმასაც სახე, მხოლოდ კბილებით არ ჰგავდა (უთუოდ იმიტომ, რომ წვეროსანი გახლდათ), და თვალეზაბრიალებული ველური ცხენების ფლოქვებქვეშ ავარდნილ მტვერში გრგვინვა-გრიალით დაინთქა ყოველივე.

ჰოი, ბევრი იყო აქ, ვინც აგულიანებდა და მსახურადაც დადგომოდა ამ კაცს, რათა ეს ყველაფერი დოლად ექცია: კვირადღეა, დილის ათი საათი, ეკლესიის კარიბჭის წინ მოგრილებს ორთვალა, ზედ ქრისტიანულ ტანსაცმელში გამოწყობილი ის ველური ზანგი წამოსკუბულა, ცილინდრი დაუხურავს და ტილოს ლაბადა წამოუხურავს, ისე გამოიყურება, თითქოს ვეფხვის მომთვინიერებელი იყოს, ფერი აღარ ადევს სახეზე ელენს და ხელი ჩაუვლია იმ ორი ბავშვისთვის, რომლებიც სრულიად წყნარად აქედან და იქიდან უსხედან გვერდით, უკვე სიბილწე სცხიათ იმათ ბავშვურ სახეებს, თუმცა მაშინ ამას ვინ მიხვდებოდა. ჰოი, დიახ, ბევრი იყო აქ, ვინც ეხმარებოდა, აგულიანებდა მას. მედოლეები იქ სხვებიც იყვნენ, თორემ ისიც კი დოლს ვერ გამართავდა. ხოდა, ხალხის აზრიც ვერ შეაჩერებდა მას, ვერც მამაკაცები, რომელთა ეტლებში მსხდარი ცოლებიცა და ბავშვებიც შეიძლება თხრილში ჩაცვენილიყვნენ და ამოსვრილიყვნენ კიდევაც, მხოლოდ მღვდელმა შეაგნებინა ბოლოს, ჯეფერსონისა და იოკნაპატოფას ოლქის ქალების სახელით გთხოვ, ამას ნუ შვრებიო. ფეხი აღარ დაუდგამს ეკლესიაში მას მერე; მხოლოდ ელენი და ბავშვები სხდებოდნენ ეტლში კვირა-დილაობით, და ახლა ჩვენ ვიცოდით, ნიძლავს აღარავინ ჩამოვიდოდა, აღარავინ იტყოდა, ნამდვილი იქნებოდა ეს დოლი თუ არა; მას შემდეგ აღარ დაუნახავთ მისი სახე; იმ ველური ზანგის შეუვალი პირისაზე და მისი კბილების მქრქალი ნათებალა ჩანდა აქ, და ახლა არც არავინ იცოდა, დოლი იყო ეს თუ უცებ ცხენებმა აიწყვიტეს თავი. და თუკი ზეიმობდა ვინმე, ეს იყო ის კაცი, ვინც თორმეტი მილის იქით, სატპენის ასეულში იმყოფებოდა, ვისაც არც აქ ყოფნა და არც არაფრის დანახვა არ სჭირდებოდა. იმ ზანგს აგზავნიდა ახლა, რომელიც სხვის ეტლს რომ ჩაუვლიდა, თითქოს მისი ყოფილიყო, ისე ჩაუბურტყუნებდა რალაც უსიტყვოდ ცხენებს. სიტყვები არ სჭირდებოდა მას, როგორც ჩანს. ბურტყუნებდა იმ ენაზე, რა ენაზეც საუბრობდნენ მაშინ, როდესაც იმ ჭაობის ლაფში გორაობდნენ და იქ ეძინათ სხვა რომელიღაც ჭაობის ბნელეთიდან გადმოხვეწილებს, სადაც მან ის ზანგები ნახა და კიდევაც ჩამოიყვანა; მტვერი ავარდება, გრგვინვა-გრიალით მიიჭრება ეტლი ეკლესიის კარიბჭის წინ, ქალები და ბავშვები წივილ-კივილით გზიდან გადაცვივდებიან, მამაკაცები კი თავიანთი ცხენების აღვირს სტაცებენ ხელს. კართან ჩამოსვამს ზანგი ელენს და ბავშვებს, შეატრიალებს ეტლს და კადონზე მიაბამს და სცემს ცხენებს, თავი რად აიწყვიტეთო; ერთხელ იყო და ვიღაც სულელმა სცადა ჩარევა. ჯოხი მოუღერა ზანგმა იმას, კბილებიდან გამოცრა: „ბატონმა ბრძანა, ხოდა წადი და უთხარი ბატონს“.

ლიახ. იმათგან; თავად იმათგან-მეთქი. ხოდა, ამჯერად მღვდელს კი არ შე-  
უჩერებია იგი, ელენმა იმარჯვა. მამიდაჩემს ელაპარაკებოდა მამა. შევედი იქ  
და მამიდამ მითხრა, გარეთ გადი და ითამაშეო. თუნდაც რომ არაფერი გამე-  
გონა კარიდან, მაინც შევძლებდი იმათი საუბრის გამეორებას; ეს ხომ შენი  
ასულია, ის ხომ შენი ღვიძლი ასულია“. თქვა მამიდამ: „მამაჩემს უკუასუბა;  
„ლიახ, ჩემი ასულია. ხოდა, თუ დასჭირდება, თავად მეტყვის, უნდა ჩაერიოო“.  
იმიტომ, რომ მეორე კვირას, როცა ელენი და ბავშვები გამოვიდნენ სადარბა-  
ზო კარიდან, ის ეტლი აღარ დახვედრიათ იქ, ელენის ფაეტონში ბებერი  
მშვიდი ფაშატი შეებათ და იმ ველური ზანგის მაგივრად ახალნაყიდი მეჭი-  
ნიბე ბიჭი დაეყენებინათ. ხოდა, ჯუღითმა დაინახა თუ არა ფაეტონი, მიხვდა,  
რაც იყო, და ტყვილი მორთო, მაშინაც ტყიოდა და ტლინკაობდა, უკან, სახლში  
რომ შეიყვანეს და ლოგინში ჩააწვინეს. არა, მაშინ ის კაცი იქ არ ყოფილა.  
მე ახლა არც იმის მტკიცებას დავიწყებ, სარკმლის იქით, ფარდის მიღმა მისი  
მოზეიმე სახე იმალებოდა-მეთქი. იქნებ ისიც ჩვენსავით გაცობულიყო, რად-  
გან ახლა ჩვენ ყველა მივხვდებოდით, მარტოოდენ ბავშვური ჭირვეულობა ან  
თუნდაც ისტერია არ უნდა ყოფილიყო ეს; სულ ყოველთვის ჩანდა იმ კა-  
ცის სახე ეტლში, და სწორედ ის ექვსი წლის ციციქნა ჯუღითი აქეზებდა და აძ-  
ლევდა განკარგულებას იმ ზანგს, მიდი და მაგრად გააჭენეო. არა, ჰენრი კი  
არა, ბიჭი კი არა, რაც თავისთავად შემზარავია საკმაოდ, სწორედ ჯუღითი,  
გოგო.

იმ შუადღითვე ვიგრძენი ეს, როცა მამა და მე შევედით ეტლით იმ ჭიშ-  
კარში და სახლისკენ გავწიეთ. თითქოსდა იმ კვირადღის სიჩუმე და სიმშვიდე  
გაუმსჭვალავს, დაუნთქავს იმ ბავშვის ტყვილს და ახლა ეს უკვე ხმა კი არა,  
რალაც ის არის, კანს რომ ესმის, თავზე თმას რომ ესმის. მაგრამ იმ წუთას მე  
აღარაფერი მიკითხავს, მხოლოდ ოთხი წლისა ვიყავი მაშინ; სწორედ ისე  
ვიჩქეტი მამის გვერდით კაბრიოლეტში, როგორც მაშინ — ეკლესიის წინ ვი-  
დექი მამიდაჩემს და მას შორის იმ პირველ კვირადღეს, როდესაც გამომაწყვეს  
და პირველად მანახვეს ჩემი დაი და მისი ქალ-ვაჟი; ვიდექი და გავცქეროდი  
სახლს. ადრეც შევსულვარ, შიგნით, რალა თქმა უნდა, მაგრამ მაშინაც კი, რო-  
ცა პირველად დავინახე ეს შენობა, რამდენადაც მახსოვს, თითქოსდა უკვე  
ვიცოდი, თუ როგორი იყო, სწორედ ასევე, როგორც ვიცოდი, თუ როგორნი  
იყვნენ ელენი, ჯუღითი და ჰენრი მანამდე, სანამ ვნახავდი მათ და ჩემს  
მეხსიერებაში სულმუდამ პირველი ეს შეხვედრა ჩამრჩებოდა. არა, მაშინაც კი  
არ მიკითხავს არაფერი, ერთი გავხედე იმ ვეებერთელა მღუმარე სახლს და  
ვთქვი: „მამა, რომელ ოთახში წევს ავადმყოფი ჯუღითი?“ შეუცნობელს  
ასე მშვიდად აღიქვამს ხოლმე ბალლი, თუმცა ახლა კი ვიცი, რისი გავებაც  
მინდოდა მაშინ. ანუ რა დაინახა ჯუღითმა, როცა გარეთ გამოვიდა და ორთვა-  
ლას მაგივრად ფაეტონი დახვდა, იმ ველური ზანგის ნაცვლად კი ბუნჩულა  
მეჭინიბე ბიჭი; რა დაინახა ისეთი იმ ფაეტონში, ყველა ჩვენთაგანისთვის უვ-  
ნებელი რომ ჩანდა, ან კიდევ უფრო უარესი, რა ვერ ნახა ისეთი, ფაეტონის  
შეხედვისთანავე ტყვილი რომ მორთო. ღიახ, ცხელი და მშვიდობიანი კვი-  
რადღე იყო, დღეს რომაა, სწორედ ისეთი; ისიც მახსოვს, სრული მღუმარება  
გამეფებულიყო იმ სახლში, როცა შევედით, და იმ წუთას მივხვდი, ის კაცი აქ  
არ უნდა ყოფილიყო, კი არ ვიცოდი, ვაზის ტალავერქვეშ იჯდა თურმე და უღმ  
ჯონსთან ერთად სვამდა. გადავაბიჯეთ თუ არ ზღურბლზე ფეხი მე და მამამ,  
იმასლა მივხვდი, რომ ის აქ არაა; თითქოსდა ეჭვიც არ შემზარავია, ან კი რად



უნდა დარჩენილიყო აქ და ეცქირა თავისი ძღვევამოსილებითვის — და ყოველივე ეს, იმასთან შედარებით, რაც მერე მოხდა, ჩვეულებრივი ამბავი იყო და არც გახლდათ ყურადსაღები ჩვენთვის. დიახ, ის მშვიდი, დარაბებში სურული, ჩაბნელებული ოთახი, მარაომომარჯვებული ლოგინთან მჭდომარე ხანგის ქალი, ბალიშზე კი ჯუდითის თეთრი სახე, ჭაფურჩიან ნაჭერს დაუფარავს მისი შუბლი და ასე მეგონა, სძინავს-მეთქი — შესაძლოა ეს ძილი იყო ან ის, რასაც ძილს ეძახიან, და აქვე ელენი, თეთრი და უშფოთვარე სახით, და მამამ თქვა: „წადი, პენრი მოძებნე და უთხარი, გეთამაშოს, როუზა“; ხოდა, ვდგავარ იმ მშვიდი კარის მიღმა მშვიდ შემოსასვლელში, რაკილა აქედან გასვლაც კი მეშინია, რაკილა ამ სახლის კვირადღის სიმშვიდე ელ-ჭექზე უფრო მქუხარეა, კიდევ უფრო მქუხარე, ვიდრე ძღვევამოსილი ხარხარი.

„ბავშვები ნუ გავიწყდება“, თქვა მამამ.

„ნუ გავიწყდებაო?“, მიუგო ელენმა, „აბა რაღას ვაკეთებ? აბა რაღას ვაკეთებ, როცა ვწევარ ღამღამობით ძილგატეხილი და სულ იმათზე ვფიქრობ“. არც მამას და არც ელენს უთქვამთ, შინ დაბრუნდიო. არა, ეს ამბავი მანამ მოხდა, ვიდრე მოდა არ გახდა: საკუთარი შეცდომების გამოსასწორებლად ხალხმა ზურგი შეაქციოს და გაექცეს მათ. მხოლოდ ორი ჩუმი ხმა გაისმოდა დაყრუებული კარის მიღმა, თითქოსდა მხოლოდ რაღაცას ბჭობდნენ ქურნალში დაბეჭდილი წერილის გამო; და მე, პატარა გოგო, ვდგავარ ამ კარის სიახლოვეს, რადგან მეშინია აქ დარჩენა, მაგრამ კიდევ უფრო მეშინია იქიდან წასვლის, ვდგავარ გარინდებული ამ კართან, თითქოსდა მინდა ჩაშავებულ ფიცარს მიკრული ქამელეონისამებრ უხილავი გავხდე და ყური მივუგდო ამ სახლის ფეთქვას, რაკილა ისევე, როგორც იმ კაცისა, ახლა ელენის სიცოცხლე და სუნთქვაც ჩაჭდევია აქაურობას, და ვარ აქ და ვსუნთქავ გამარჯვებისა და უსასოობის, ძალმოსილებისა და შიშის ხანგრძლივ, მინელებულ ხმაურს.

„შენ გიყვარს...“ თქვა მამამ.

„მამა“, უთხრა ელენმა, და მორჩა. მაგრამ მაშინ ამ ქალის სახის დანახვა ისევე ცხადლივ შემეძლო, როგორც მამას, გამომეტყველება ისეთივე ჰქონდა, პირველსა თუ სხვა კვირადღეს რომ ვხედავდი ეტლში მჭდომარეს. მერე მსახური შემოვიდა და გვითხრა, ორთვალა გელოდებათო.

დიახ, თავად იმათგან-მეთქი. არც იმ კაცისგან, არც სხვა ვინმესგან, აღარც არავის, იმ კაცსაც კი აღარ შეეძლო მათი დახსნა. რაკილა ახლა მან გვიჩვენა, თუ რად არ იყო ყურადსაღები ეს ძალმოსილება. მე კი არა, ელენს უჩვენა. მე არ ვიყავი იქ; ექვსი წელი იქნებოდა უკვე, რაც, მგონია, აღარც მინახავს ის კაცი. მამიდა უკვე წასულიყო და მამისეული სახლის მოვლა მე დამაწვა კისრად. წელიწადში ერთხელ თუ წავიდოდით მამა და მე იქ სადილად, ალბათ წელიწადში ოთხჯერ კი ელენი ჩამოდის და ბავშვებითურთ და ერთ დღეს რჩებოდა ჩვენთან. ის კაცი კი არა; რამდენადაც მახსოვს, რაც ის და ელენი დაქორწინდნენ, ერთხელაც არ შემოუდგამს ამ სახლში ფეხი. მე მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, ძალიან ახალგაზრდა და მჭეროდა, მონანიებით შეიძლება არ მოენანიებინა, მაგრამ რაღაც სინდისის ქენჯნას მაინც ვერ დააღწევდა თავს. ახლა კი კარგად ვიცი, რაც იყო. ახლა კი ვიცი, ამას რა ლარი და ხაზი უნდა, რაკილა მას მამამ ცოლი შერთო და ამით რესპექტაბელობა მიუბოძა, მეტი არც აღარაფერი სჭირდებოდა მამისგან, ხოდა, თავაზიანობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, უბრალო მადლიერების გრძობამაც ვერ აიძულა ეს კაცი ცოტათი მაინც შეელოდა საკუთარ სიამოვნებას და ცოლის ნათესავეებს სტუმრებოდა

სადილად. ამიტომ სულ რამდენიმეჯერ მინახავს ის კაცი. თუნდაც ოდესმე მომსურვებოდა თამაში, ახლა ამისთვის დრო აღარ მრჩებოდა. ხოდა, არც არასდროს მისწავლია თამაში და დროც რომ მქონოდა, მიზეზს ვეღარ ვხედავდი, რატომ უნდა მესწავლა.

ექვსი წელიწადი გავიდა ასე; ეს, რაღა თქმა უნდა, საინტერესო არაა უნდა ყოფილიყო ელენისთვის, რადგან, როგორც ჩანს, მას შეძლებდა გრძელდებოდა, რაც იმ კაცმა თავის სახლს უკანასკნელი ლურსმანი მიატედა; დაცოლშვილდა და ახლა მისი სტუმრები უკვე ცხენებსა და ვირებს საჯინბოს უკან, პატარა ტყეში აბამდნენ და მდუღლოთი მოდიოდნენ, ისე რომ სახლიდან მათ ვერ დაინახავდით. ვინაიდან ისინი ჯერ კიდევ ბევრნი იყვნენ; თითქოს ღმერთმა ან ეშმამ თავად მისი ბიწიერებით ისარგებლა, რათა იმ ამბავს, დაწყველილებს მიწა რომ გვისკდებოდა ფეხქვეშ, მოწმეები ჰყოლოდა არა მარტო ნაირ წესიერ ადამიანებს შორის, არამედ ვიგინდარებსა და ნადირალებშიც, რომლებიც არაფრის დიდებით არ გაბედავდნენ სახლთან მოახლოებას თუნდაც უკანა მხრიდან. დიახ, ქალაქიდან თორმეტი მილით დაცილებულ სახლში მარტოდ არიან ელენი და მისი ორი ბავშვი, ქვემოთ კი საჯინბოში ოთხკუთხა ჩაღრმავებული ალაგია ერთი ფარნით განათებული, ადამიანებით სავსე, სამი მხრიდან თეთრი სახეები იმზირებიან, მეოთხედან — შავი, შუაში კი მისი ორი ველური დედიშობილა ზანგი ერთიმეორეს შესტიდებია, თეთრი კაცების წესებითა და იარაღებით კი არ იბრძვიან, ზანგურად შებმიან და უნდათ ერთმანეთი რაც შეიძლება მალე და სასტიკად დაასახიჩრონ; ელენმა ამის შესახებ იცოდა, ანუ ეგონა, რომ იცოდა; მაგრამ ეს არ იყო მთავარი. იგი შეეგუა ამას, კი არ შერიგებია, შეეგუა; თითქოსდა შეურაცხყოფას მადლობით უნდა შეხვდეს, რაკილა შეგიძლია ასე უთხრა თავს, **მადლობა ღმერთს, მორჩა, გათავდა; ახლა კი ვიცი ყველაფერი** — ამ ფიქრით, ამ ფიქრს ჩაქიდებულმა შეირბინა ელენმა საჯინბოში იმ საღამოს, და სწორედ იმ, უკანა მხრიდან შემოპარულმა ხალხმა უტია გზა, რაღაი ჯერ კიდევ შერჩენოდათ ზნეობის რაღაც ნატამალი; ორი შავი მხეცის ხილვას მოელოდა ახლაც ელენი, მაგრამ რას ხედავს, წელამდე გაშიშვლებულა ერთი თეთრი კაცი და ერთიც შავი და სადაცაა ერთმანეთს თვალს წამოუგდებენ ბუდიდან, თითქოსდა არა მარტო ერთი ფერისანი იყვნენ, ბანჯგვლითაც იყვნენ დაფარულები. დიახ, როგორც ჩანს, გარკვეულ შემთხვევაში, შესაძლოა საღამო ხანს, ამ სანახაობის დიდებული დასასრულის მოსაწყობად ან სულაც წინასწარ, თავისი ზნეობის, ძალაუფლების შემზარავი სიცხადით წარმოსაჩენად რინგზე გადიოდა და დგებოდა ზანგის პირისპირ თავად ის კაცი. დიახ, სწორედ ეს ნახა ელენმა: მისი მეუღლე და მამა მისი შვილებისა დგას წელამდე ტიტლიკანა, აქოშინებული და დასისხლიანებული, მის ფეხთან ეს-ესაა ზანგი წაქცეულა და ისიც სისხლში ცურავს, ოღონდ ზანგური სისხლი ქონსა და ოფლს დამსგავსებია — თავქვე დაეშვა თავშიშველი ელენი გორაკიდან, გამოიჭრა სახლიდან, და ეს ხმაური თუ ყვირილი გაიგონა და კიდევ ესმოდა ეს ხმა სიბნელეში გამოქცეულს, ვიდრე მაყურებლებმა არ დაინახეს იგი, ვიდრე ერთმა მათგანმა არ თქვა, ცხენი შემოვიდაო, მერე კი ქალიო, დაბოლოს — ღმერთო ჩემო, ბავშვიაო; ხოდა, შეირბინა იქ, გზა უტიეს მაყურებლებმა და მან ჰენრის მოკრა თვალი, ზანგებისგან დასხლტომას რომ ცდილობდა, ჰყიოდა და აღებინებდა, არც კი შეჩერებულა ელენი, არც იმათთვის შეუხედავს, ვინც გზა დაუთმო მას. იატაკზე, ფუნაში ჩადგა მუხლებით, ჰენრის წამოყენება

სცადა ისე, რომ არც შეუხედავს ჰენრიისთვის, მხოლოდ მას არ აცილებდა თვალს; ეს კაცი იდგა და იმ წვერებშიც კი მოუჩანდა კბილები, ხოლო მერტე ზანგი ტომრის ნაგლეჯით სხეულზე სისხლს სწმენდდა. „ვიცი, რომ გვაპატი-  
 ებთ ჩვენ, ბატონებო“, თქვა ელენმა. მაგრამ ისინი, ზანგებიცა და თეთრებიც, უკვე მიდიოდნენ, გარეთ მიიპარებოდნენ ისევე, როგორც შიგნით შემრჩენილნი და ელენი არც უყურებდა ახლა მათ, სიბინძურეში იდგა მუხლებით, მუხრის ტირილით ეპოტინებოდა მას, ის კაცი კი არც განძრეულა, მესამე ზანგი მას პერანგს თუ სერთუკს სჩრიდა, თითქოსდა ეს სერთუკი ჯოხი ყოფილიყო, ის კი — გველი გალიაკში. „ჯუღითი სადღაა, ტომას?“ იკითხა ელენმა.

„ჯუღითი?“ — მიუგო იმან. ჰოი, არა, ის არ ცრუობდა; თავადაც არ მოელოდა თავის ასეთ ძალმოსილებას; კარგადაც აიღვა თავს ბიწიერების კარავი, არც კი ეგონა, ამდენს თუ შეძლებდა. „ჯუღითი? ის ხომ შინ წევს?“

„ნუ მატყუებ, ტომას“, უთხრა ელენმა, „ჰენრი რომ აქ, ამის საყურებლად მოიყვანე, მე შემიძლია ეს გავიგო, ჰენრიმ უნდა ნახოს ეს: კი, მე შევეცდები ამის გაგებას. კი-მეთქი; ვაიძულებ თავს და ასე შევეცდები ამის გაგებას. მაგრამ ჯუღითს ნუ, ტომას. ჩემს ციციქნა გოგოს ნუ-მეთქი, ტომას“.

„მე არც მოველი, შენ ამას ვერ გაიგებ“, — უპასუხა მან. „შენ ხარ ქალი. მაგრამ გუბნები, ჯუღითი მე აქ არ მომიყვანია. და არც მოვიყვანდი აქ. მე არც მოველი, რომ დამიჯერებ, მაგრამ გეფიცები ასეა“.

„კი მსურდა დამეჯერებინა შენთვის“, თქვა ელენმა, „კი მინდა დაგიჯერო“. შემდეგ დაიძახა: „ჯუღით!“ სასოწარკვეთილი წყნარად და ტკბილად ეძახოდა: „ჯუღით, ძვირფასო! ძილის დროა“.

მაგრამ მე იქ არ ვიყავი, მე იქ არ ვიყავი და ვერ დავინახავდი სატბუნების ორ სახეს — ერთი ჯუღითი გახლდათ, მეორე კი ზანგის გოგო მის უკან, ქვემოთ იმზირებოდნენ ისინი, სხვენის ოთხკუთხა ჭრილიდან.

2

კარგი ზაფხული დაუდგა ამ გლიცინიას. ბინდბუნდი აევსო მის სურნელებასა და მამამისის სიგარის კვამლს, როდესაც ისინი ნავახშმევს გამოვიდნენ და, კვენტინის გამგზავრების მოლოდინში წინ, ტალანში დასხდნენ, ვერანდის ქვემოთ; ხშირსა და გადაბიბინებულ გაზონებში ციციანთელები დაფარფატებდნენ უთავბოლოდ—სწორედ ამ სურნელებას, ამ სუნს, ხუთი თვის შემდეგ ახალი ინგლისის ხანიური ყინულოვანი თოვლის გავლით მისისიპიდან ჰარვარდს, კვენტინის ოთახამდე მიიტანს ბ-ნ კომპსონის წერილი. მთელი ეს დღე უურს უგდებდა, უურს უგდებდა და გაიგონა 1909 წელს იმის შესახებ, რაც მეტწილად უკვე იცოდა მან, რადგან აქ იყო დაბადებული და სუნთქავდა იმავე ჰაერით, რომელშიაც ეკლესიის ზარები რეკდნენ იმ, 1833 წლის კვირა დილით; ხოლო კვირაობით იმ პირველ ზართაგან ერთ-ერთის ხმა ახლა მასაც ესმოდა სწორედ იმ სამრეკლოდან, სადაც ყინჩად, ლულუნით იქვე ტრიალებდნენ იმ მტრედების შთამომავალნი და მოგვაგონებდნენ ზაფხულის ცაზე აქა-იქ მითხიპნილ უფერულსა და თხელ საღებავს. ივნისის იმ კვირა დილით მშვიდობიანად, მბრძანებლურად, უსიამოვნოდ, თუმცა კი ერთმანეთის თანხედენილად აწკრილებულ ზარებქვეშ ქალები, ბავშვები, მზის ქოლგებითა და მწერების მოსაგერიებლებით მომარჯვებული მოსამსახურე ზანგები, და რამ-

დენიშე კაცი (მაუდის კოსტიუმებიან პატარა ბიჭებსა და პანტალონებიან გოგონებს შორის მოდიოდნენ ქალები კრინოლინებში, იმდროინდელი კაბებში გამოწყობილნი, ზოდესაც კი არ დადიოდნენ, მოიხეოდნენ). და როცა პოლსტონ ჰაუზის ვერანდის მოაჯირზე ფეხებზე წყობილმა სხვა მამაკაცებმა მალა აიხედეს, ვიღაც უცხო წარმოდგა იმათ თვალწინ. თვეწიანი მოქანცულ ლურჯა ცხენზე ამხედრებულს უკვე მოედნის ნახევარს მგაშობდა, და თითქოსდა კაციცა და ცხოველიც შვა გამჭვირვალე ჰაერში და დაბლა, ამ ზაფხულის კვირადღის სინათლეში დაღლილი, მოზომილი ნაბიჯით გაატარა — სახეცა და ცხენიც იმათაგან არავის არ უნახავს, სახელიც იმათაგან არავის არ სმენია, და მისი წარმომავლობა და მიზანი არც არავის არ ეცოდინება არასდროს. და ამის შემდგომ ოთხი კვირა (ჯეფერსონი მაშინ პატარა დაბა იყო: პოლსტონ ჰაუზი, სასამართლოს შენობა, ექვსი დუქანი, სამჭედლო, მეეტლეთა ეზო, მეჯოგეებისა და მოხეტიალე ვაჭრების საყვარელი ფუნდუკი, სამი ეკლესია და ოცდაათიოდე საცხოვრებელი სახლი) დუქნებსა და ქუჩებში ყველას იმ უცხოს სახელი ეკერა პირზე და როგორც უნდოდათ, ისე ატრიალებდნენ: **სატპენი, სატპენი, სატპენი, სატპენი.**

თითქმის ერთი თვე ქალაქს ამის შესახებ მეტი აღარაფერი არ გაუგია. სამხრეთიდან უნდა ყოფილიყო უთუოდ ჩამოსული ამ ქალაქში, ასე, ოცდახუთი წლის კაცი იქნებოდა, რაც ქალაქმა მოგვიანებით გაიგო, რადგან იგი ნაავადმყოფარს ჰგავდა და პირველად ძნელი იყო მისი ასაკის მიხედვრა. ოღონდ, არც იმ კაცს ჰგავდა, ვინც მშვიდად გამოშუშდება შინ და გამოჯანსაღებისას შიშნეულად, გაციებით შეეცდება შემობიჭებას იმ ქვეყანაში, რომელიც, ასე იყო დარწმუნებული, კინაღამ არ დატოვავ; ის იმ კაცს უფრო დამსგავსებოდა, ვინც სრულიად მარტოკა ჩვეულებრივ ციებ-ცხელებაზე უფრო დიდ ჯოჯობეთს თავს დააღწევს და, ვთქვათ, ვინმე მკვლევარისამებრ, ვინც დასახული მიზნის მისაღწევად მცირეოდენ გაჭირვებას კი არ შეხვდება მხოლოდ, ციებ-ცხელების სახით კიდევ სხვა, გაუთვალისწინებელ დაბრკოლებასაც გადააწყდება და უდიდესი — უფრო სულიერი და არა ფიზიკური — ძალისხმევით იბრძვის მარტომყოფი, სიცოცხლისა და გამძლეობის შენარჩუნების ბრმა ინსტინქტებს კი არ არის მინდობილი, არამედ სურს მოიხვეჭოს, არ დაკარგოს და დატკბეს იმ ნივთიერი ჯილდოთი, რის გულისთვისაც მსხვერპლი გაიღო იმთავითვე. ძვალი და ტყავი გამხდარიყო ეს ვეებერთელა კაცი, თითქოსდა თავი შეენიღბა მოკლე, მოწითალო წვერით, რომლის ზემოდან იღუმალებითა და მიუნდობლად, უწყალოდ და მშვიდად იმზირებოდნენ მისი ღია ფერის თვალები, თითქოსდა თიხისგან გამოეძერწათ მისი სახე და მზეზე კი არა, უფრო ციებ-ცხელების ღუმელში გამომწვარის ფერი მიეღო — ვითარცა აუშდვრეველი შეუვალლობით მოქიქულის. მიზეზი ამისა სული უნდა ყოფილიყო მისი ან გარემო. აი ყველაფერი ის, რაც დაინახეს, ხოდა, წლები გავიდა, ვიდრე ქალაქი გაიგებდა, რომ იმხანად ესლა იყო მისი საკუთრება — გამძლე ქანცაწყვეტილი ცხენი, ტანისამოსი, ზედვე რომ ეცვა, და პატარა საუნაგირე ჩანთა, სადაც ძლივსლა ეტეოდა ერთი ხელი საცვალი, სამართებელი და ორი დამბაჩა, რომლის შესახებაც მისს კოულდფილდი ეუბნებოდა კვენტინს. დამბაჩების სახელურები ნიჩბის ტარებივით გლუვი ჩანდა და ისევე მარჯვედ ხმარობდა, როგორც დიაცი საქსოვ ჩხირებს; მოგვიანებით კვენტინის ბაბუას დაენახა, ნორჩ ხეს ჩორთით ჩაუარა ცხენით და ოცი ფუტიდან ტოტზე მიმაგრებულ სათამაშო კარტს ორი ტყვია მოარტყა. პოლსტონ-ჰა-

უზში ერთი ოთახი დაიჭირა, თუმცა იმისი გასაღები ყოველთვის თან დაჰქონდა, ყოველ დილით აჭმევდა და უნაგირს ადგამდა ცხენს, მაგრამ ვითე-  
ნებამდე ორი, სამი საათით ადრე სად მიდიოდა ეს კაცი, ქალაქმა ვერა და ვერ  
გაიგო, როგორც ჩანს, იმიტომ, რომ ჯერ კიდევ აქ ჩამოსვლის შესახებ ვერ  
ჰქონდა ნაჩვენები სროლის ხელოვნება. ასე რომ, მხოლოდ საღამოს ხანს, მისი  
სტონ-ჰაუზის სასადილო ოთახში ვახშამზე ან სასტუმრო ოთახში მჯდომარე-  
ნი შეკითხვებით თუ გახდებოდნენ რამეს, სწორედ ეს სასტუმრო ოთახი უნდა  
გაეგლო მას, რათა ისევ თავის ოთახში ჩაკეტილიყო, დაამთავრებდა თუ არა  
ჭამას, ასეც შვრებოდა ყოველთვის. ბარიც იქვე, იმ სასტუმრო ოთახთან იყო  
და იქ შეიძლებოდა ან საჭიროც კი იყო დალაპარაკებოდნენ კიდევაც, მაგრამ  
ბარში ერთხელაც არ შემოუდგამს ფეხი. არა ეს არა, ასე უთხრა თურმე იმათ.  
ის კი არ უთქვამს, რომ ადრე სვამდა, მაგრამ მერე თავი დაანება და აღარც  
გაკარებია სასმელს. მხოლოდ ასე თქვა, დაღევა არ მჭირდებაო; მრავალი  
წლის შემდგომდა გაიგო კვენტინის ბაბუამ (მაშინ სულ ყმაწვილი იყო და  
კიდევ ბევრი წყალი ჩაივლიდა, ვიდრე გენერალი კომპსონი გახდებოდა), რომ  
ჯიბეცარიელი იყო სატპენი, თავისი წილისას ვერ გადაიხდიდა და ვერც სანაც-  
ვლოდ დაპატიჟებდა ვინმეს. დაღევა ამიტომაც არ უნდოდა მას. სწორედ  
გენერალი კომპსონი იყო პირველი, ვინც ჩაბვდა, მაშინ სატპენს უფულობა  
და ის ამბავი აწუხებდა, რომ დაღევა და ქეიფი არ შეეძლო, ამისთვის დროც  
არ ჰქონდა და არც სურვილი: მთელი ის ხანი თავისი იღუმალი და დაუო-  
კებელი მოუთმენლობის მონა-მორჩილი გამხდარიყო, რაკი მის ახლანდელ  
რომელიღაც გამოცდილებას — სულიერსა თუ ფიზიკურ ციებ-ცხელებას  
თუ დროის რაღაც უკმარისობის გრძნობას — ჩაეგონებინა იგი, და შემდგომ  
ამისა მთელი ხუთი წელიწადი, ასე გამოეანგარიშებინა გენერალ კომპსონს, ისე  
გაატარა, რომ თავისი ბიჭის დაბადებამდე მხოლოდ ცხრა თვით ადრე გამო-  
უნელდა ეს ლტოლვა.

ხოდა, მისი ჩაქერა უნდოდათ, დასდევდნენ მას სასტუმრო ოთახში, სასა-  
დილო მაგიდას და იმ დაკეტილ კარს შორის, რათა საშუალება მიეცათ მოეთ-  
ხრო, ვინ არის, საიდანაა და რა უნდოდა. იგი კი თანდათანობით და განუხრე-  
ლად უკან იხევდა, ვიდრე ზურგით რამეს — ბოძს ან კედელს არ მიებჯინე-  
ბოდა. მერე კი იდგა იქ და თუმცა სასტუმროს მოსამსახურესავით ზრდილო-  
ბიანი და თავაზიანი ჩანდა, მაგრამ თქმით კი არაფერს ეუბნებოდა მათ. ჩიკა-  
სოს ტომის ერთ ინდიელთან დაეჭირა საქმე ანუ იმ კაცის მეშვეობით გადიო-  
და ფონს. ხოდა, როცა მან, სატპენმა, მიწის მფლობელობის აქტი თუ პატენტი  
ჩაიგდო ხელში და შაბათს, ღამით გააღვიდა მომრიგებელი მოსამართლე — ერ-  
თი ესპანური ოქროს ფული ჰქონდა მხოლოდ — მაშინდა გაიგო ქალაქმა,  
სატპენის საკუთრება გამხდარიყო საუკეთესო, ხელუხლებელი მიწა. თუმცა ეს  
ამბავიც გვიან გახმაურდა, რადგან სატპენი ისევ წასულიყო და არავინ უწყობდა  
მისი ასავალ-დასავალი. მაგრამ ახლა მისი მიწა მათ მეზობლად იყო და ზოგი-  
ერთ მათგანს ეჭვი გაუჩნდა, გენერალმა კომპსონმა, როგორც ჩანს, იცოდა,  
რომ უკანასკნელი, რაც მას, სატპენს დარჩენოდა, იყო ის ერთი ესპანური ოქ-  
როს ფული, რომლითაც მან თავისი პატენტი დავთარში გაატარებინა. ასე რომ,  
ახლა ისინი მიმხვდარიყვნენ, ფულის ჩამოსატანად იყო წასული; რამდენიმემ  
კიდევაც იწინასწარმეტყველა და დაასწრო (და კიდევაც თქვეს საჯაროდ, მა-  
შინ ხომ ის კაცი იქ არ იყო) სატპენის მომავალ, იმხანად არდაბადებულ ცო-  
ლის დას, ვინც თითქმის ოთხმოცი წლის შემდეგ ასე ეტყვის კვენტინს, თა-

ვისი ნაძარცვის დასამალავად საოცარი და საიმედო ადგილი ჰქონდა მონახული და ჯიბის გამოსატენად იმ სამალავს მიაკითხაო, ანდა სულაც იმ თავისი ორი დამბაჩით ხელში იმ სამალავის გამოსატენად ისევ მდინარესთან, ბამბისა და მონების მყიდველ-გამყიდველებითა და კარტის მოთამაშეებით სავსე გემებისკენ გაქუსლაო. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ამას მოუთხოვდა ჰენრიმე ადამიანი ერთმანეთს, როდესაც ორი თვის შემდეგ ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ის კაცი ამჯერად დახურული ფურგონით უკან დაბრუნდა. ფურგონს ზანგი მოაგრილებდა და იმ ზანგთან ერთად იჭდა ყურაცქვეტილი და ქედდადრეკილი კაცუნა. მოქანცულობა ეტყობოდა იმის ქუშ, ლათინურ სახეს, ეცვა სერთუკი, ფერადი ქილეტი და ეხურა ქუდი, რომელიც მხოლოდ პარიზის ბულვარებზე არ გაუკვირდებოდათ. მთელი ორი წელიწადი წუთითაც არ მოუცილებია ეს კაეშნისმომგვრელი თეატრალური სამოსელი და გაოგნებულ კაცის ფატალური სიმტკიცის გამომეტყველება. მხოლოდ შემხმარი ტალახი ფარავდა, თორემ ისე მთლად ტიტლიკანა დადიოდა იმისი თეთრი კლიენტი თავისი ზანგებითურთ, რომლებსაც იგი არაპირდაპირ, სხვისი მეშვეობით მბრძანებლობდა. ფრანგი არქიტექტორი გახლდათ ის კაცუნა. წლების შემდეგ გაიგო მთელმა ქალაქმა, რომ შორეული მარტინიკიდან აქ ჩამოსვლამდე მრავალი გზა გამოეგლო სატპენის ლიტონ სიტყვებს მინდობილს და ვიდრე რამეს მისცემდნენ, მთელი ორი წელიწადი ცეცხლზე შემწვარი ირმის ხორციით იკვებებოდა და იმ ფურგონიდან ჩამოხსნილ, შიშველ მიწაზე გამართულ კარვის ქვეშ ცხოვრობდა. ორი წლის შემდეგ კი ნიუ-ორლეანში მიმავალს ჯეფერსონის გავლა მოუხდა და მორჩა, მეტი აღარც უნახავს ეს ქალაქი; იქნებ თავად არ მოისურვა იქ წასვლა ან იქნებ სატპენმა არ წამოიყვანა მაშინ, როცა სატპენი სულ რამდენიმეჯერ ეყო აქ ჩამოსული, და რაკი იმ პირველ დღეს ფურგონი იქ აღარ შეჩერებულა, ვერც ვერაფრის ნახვა ველარ მოასწრო. როგორც ჩანს, სრული გეოგრაფიული შემთხვევითობა იყო საერთოდ ამ ქალაქში სატპენის გამოჩენა და ისიც სწორედ იმდენი ხანი გაჩერებულა აქ, რომ ვილაცამ (და არა გენერალმა კომპსონმა) მოასწრო კიდევაც ფურგონში შეჭვრეტა ამ უამრავი თვალის თეთრონით გავსებულ შავ გვირაბში, რომელიც მგლის ბუნაგივით ყარდა.

მაგრამ უცებ არ წარმოშობილა ლეგენდა სატპენის ველური ზანგების შესახებ, რადგან სულ წინ მიიწევდა ფურგონი, თითქოსდა ხეცა და რკინაც, რისგანაც ის გაეკეთებინათ და ასევე მისი გამწვევი სახედრებიც, თავიანთი პატრონისდა კვალად, გაუთავებლად და მოუღლეულად მიილტვოდნენ, რაკილადრო აღარ რჩებოდა და აჩქარება მართებდათ; შემდეგ ასე ვთქვა სატპენს კვენტინის ბაბუასთვის, იმ შუადღით, როცა ფურგონით ჯეფერსონი გავიარეთ, უკვე ოცდაოთხი საათი იყო გასული, რაც არაფერი გვექამა და გვინდოდა მალე მივსულიყავით სატპენის ასეულამდე და მდინარის ქვედა წელამდე, რათა იქ დაბნელებამდე ირემი მოგვეკლა და მეც, არქიტექტორსაც და ზანგებსაც ეს მეორე ღამეც მშვივრებს არ გაგვეთიანო. ხოდა, ლეგენდა ველური ხალხის შესახებ თანდათან უკან, ქალაქში ბრუნდებოდა იმათი მეშვეობით, ვინც ცხენებით წავიდნენ სეირის საყურებლად და მერე პყვებოდნენ, როგორ ჩაუსაფრდა სატპენი ნადირს ორი დამბაჩით ხელში და, ვითარცა მწვევართა ხროვა, ჭანჭრობში გარეკა ზანგები; იმასაც ამბობდნენ ისინი, იმ ზაფხულსა და შემოდგომაზე მის ზანგებს არ ჰქონდათ (ან სულაც არ სჭირდებოდათ) საბნები ღამე დასახურავად; ენოტზე მონადირე ეიკერსი ამის შემდეგ იყო რომ

არწმუნებდა ხალხს, მძინარე ნიანგისამებრ მთლად ლაფში ჩაგორებულს მივა-  
 ლქი იმათთაგან ერთს და კიდევ კარგი დაიყვირა, თორემ ზედ გადავუვლიდი.  
 ჯერ კიდევ არ ესმოდათ ინგლისური იმ ზანგებს და ნამდვილად არა მართრ  
 ეიკერსმა, ბევრმაც არ იცოდა, რომ სატპენთან რალაცნაირი ფრანგულით მეტ-  
 ყველებდნენ და არა თავიანთ ბნელსა და ავბედით ენაზე.

ეიკერსის გარდა სხვა ბევრიც მოდიოდა აქ, თუმცა ესენი მანულებლნი  
 მოქალაქენი და მიწისმფლობელები იყვნენ და ჩუმ-ჩუმად არ დაძვრებოდნენ  
 ღამე ბანაკის გარშემო. მისს კოულდფილდს ასე უთქვამს კვენტინისთვის, ცხე-  
 ნით რომ ჰოლსტონ-ჰაუზში თავს იყრიდნენ, თავიანთი საუზმე ხშირად თან  
 მიჰქონდათო. სატპენმა აგურის გამოსაწვავი ლუმელი ააშენა, დააყენა ხერხი  
 და სარანდავი ჩარხი, ფურგონით ჩამოეტანა ესენი, ასევე ხისტარიანი ჯალამ-  
 ბარი, რომელშიაც ფურგონისეულ სახედრებს და ზანგებს აბამდნენ და ეს  
 მანქანა სვლას თუ შეანელებდა, თავადაც შეებმებოდა ხოლმე — თითქოს ის  
 ზანგები მართლაცდა ველურები იყვნენ; გენერალმა კომპსონმა თავის ვაჟს,  
 კვენტინის მამას, ასე მოუთხრო, ზანგები რომ მუშაობდნენ, სატპენი ერთზე-  
 ლაც არ შეუყვირებდა, უხეშ დაშინებას არ მიმართავდა, თავად გამხდარიყო  
 იმათთვის მაგალითი, თავისი მოთმინებით ზემოქმედებდა ამ ხალხზე. ხოდა,  
 ცხენიდანაც არ ჩამოდიოდნენ ისინი (ჩვეულებრივ სატპენი საღმის ნიშნად  
 თავსაც არ დაუკრავდა, ვითარცა უსაქმო ჩრდილები ყოფილიყვნენ, ვერც კი  
 ამჩნევდა იმათ მოსვლას), თითქოსდა ურთიერთდაცვის მიზნითო, უტყვი ცნო-  
 ბისმოყვარეობით შეჭგუფულიყვნენ სრასახლის მშენებლობის მაცქერალნი; ფი-  
 ცარი ფიცარზე, აგური აგურზე მოჰქონდათ იმ ჭანჭრობიდან, სადაც აუარება  
 იყო თიხა და ხე-ტყე; და ხედავდნენ, როგორ მუშაობდა ლაფში ამოთითხნილი,  
 მთლად ტიტლიკანა ერთი წვეროსანი თეთრი და ოცი ზანგი. რაკი ამ სურათის  
 მაყურებლები მამაკაცები იყვნენ, აზრდაც არ მოსვლიათ, რომ ის ტანისამოსი  
 იყო მისი ერთადერთი ჩასაცმელი, რითაც შემოჭირითდა სატპენი პირ-  
 ველად ჯეფერსონში, ხოლო ამ კუთხის ქალთაგან ორიოდეს თუ ენახა იგი,  
 თორემ ვინმე ქალი ამასაც დაასწრებდა მისს კოულდფილდს — მიხვდებოდა,  
 რომ თავის სამოსელს უფრთხილდებოდა ეს კაცი, რადგან შესახედად ელე-  
 განტური თუ არა, წესიერი მაინც გახლდათ მისი ერთადერთი იარაღი (უფრო  
 სწორედ კიბე), რომლის მეშვეობითაც უკანასკნელად შეუტევდა იმას, რის-  
 თვისაც მისს კოულდიფლდსაც და სხვებსაც რესპექტაბელობა დაერქმიათ, ამ  
 რესპექტაბელობაზე იდუმალი ფიქრით კი, გენერალ კომპსონის აზრით, სატ-  
 პენს დღე და ღამე ჰქონდა გასწორებული და, როგორც ჩანს, დიდ მნიშვნე-  
 ლობასაც ანიჭებდა ამ ამბავს, რადგან მხოლოდ ოჯახის დიასახლისის შემოყ-  
 ვანა როდი უნდოდა მას. ხოდა, ერთად შრომობდნენ ის და ოცი ზანგი. ტა-  
 ლახი წაეცხოთ მთელ სხეულზე კოლოებისაგან დასაცავად და, როგორც მისს  
 კოულდფილდი უამბობდა კვენტინს, წვერითა და თვალებითა გამოირჩეოდა  
 სხვებში ეს კაცი, ადამიანს მხოლოდ ის ფრანგი არქიტექტორი ჰგავდა, რად-  
 გან ფრანგული ტანისამოსი ეცვა დაუძლეველი ფატალურობით სულმუდამ იმ  
 დღემდე, ვიდრე არ წავიდა სახლის მშენებლობის დამთავრების ხანს, თუმცა  
 სარკმლის მინები და რკინის მასალა არ ჰქონდათ ნაშოვნი ჯერ კიდევ, თავისი  
 ხელით კი ამას რას გააკეთებდნენ; და შრომობდნენ ასე, უჩუმრად, დაუოკე-  
 ბელი მძვინვარებით ზაფხულის თაკარა მზის ქვეშ, ზამთრის ლაფსა და ყინ-  
 ვაშიც.

ორი წელი დასჭირდათ ამისთვის მას და მის ჩამოყვანილ მონებს, რომ-

ლებიც უფრო საზარელნი ჩანდნენ მის თანამოქალაქეთა თვალში, ვიდრე ის მხეცები, რომელთა წამორეკვა და მოკვლა შეეძლოთ იმ არემიდაში. მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე მუშაობდნენ, იმ დროს კი მხედრები მოდიოდნენ აქ ჩგუფ-ჩგუფად და ცხენზე მჯდომარენი უხმოდ უმზერდნენ, ის ფრანგი არქიტექტორი კი, სერთუქსა და პარიზულ შლაპაში გამოწყობილი პირქუში და გაავებულ-გაოცებული სცენის მიღმა იყო მიმაღული და აწილავდა მხეცებზე, უგულისყურო მაყურებელსა თუ განწირულ კეთილსინდისიერ აჩრდილს ჰგავდა, იმათი საქმიანობით კი არა, უფრო საკუთარი თავით, თავისი აქ ყოფნის აუხსნელი და წარმოუდგენელი ფაქტით გაოცებულს, თქვა გენერალმა კომპსონმა. მაგრამ ის კარგი არქიტექტორი იყო; ჯეფერსონიდან თორმეტი მილის იქით კვენტინს ნანახი ჰქონდა კედრისა და მუხის ხეივნით გარშემობზურული, სამოცდათხუთმეტი წლის წინათ აშენებული ეს სახლი. მარტო არქიტექტორი არ ყოფილა ის კაცი, დასძინა გენერალმა კომპსონმა, მხატვარიც გახლდათ, რადგან მნატვარსდა შეეძლო დაეთმინა ეს ორი წელიწადი და აეშენებინა სახლი, რომლის ნახვის იმედი არამცთუ ჰქონდა, მტკიცედაც გადაეწყვიტა ფეხი აღარასოდეს დაედგა მის სიახლოვეს. არა, უთქვამს გენერალ კომპსონს, მის გონებაზე მიმძლავრებას და მისი გრძნობების შეურაცხყოფას კი არ შეუქირვებიაო იგი ეს ორად ორი წელიწადი, არამედ სატპენს; მხოლოდ მხატვარი თუ დაითმენდა სატპენის უწყალო ხასიათსა და სულსწრაფობას და აღაგმავდა იმის ოცნებას შიშისმომგვრელ და ციხესიმაგრის მსგავს დიდებულ ნაგებობაზე, სატპენის მიერ დაგეგმილი კარმიდამო თითქმის მაშინდელი ჯეფერსონის ოდენა იქნებოდა. ხოდა, ამ მარტოსულმა, პატარა და პირქუშმა უცხოელმა ბრძოლა გაუმართა და დაამარცხა სატპენის სასტიკი და დაუღვეელი მედიდურობა ანუ დიდებისმოყვარეობა, ანუ თავისთავადობა, ანუ კიდევ სხვა რამე (გენერალმა კომპსონმაც რომ არ იცოდა). და ასე, სწორედ სატპენის ძლევით საფუძველი ჩაეყარა მისსავე გამარჯვებას, და თავად ძლევამოსილი რომც დარჩენილიყო სატპენი, ამდენს მაინც ვერ მიაღწევდა.

ხოდა, ასე დამთავრდა სახლის მშენებლობა, თავისი ადგილი მიუჩინეს უკანასკნელ ფიცარს, აგურსა და ხის სამსჭვალს, რომელთა გაკეთება თავად არ შეეძლოთ. თორმეტი მილით იყო დაცილებული ქალაქსა და მეზობელთაგან თითქმის ყოველს ეს შეუღებავი და გაუწყობელი, სარკმლებშეუმინავი, უსახელურო და უანჯამებო კარებიანი სახლი; სამი წელი იდგა ასე ინგლისური ყაიდის კოხტა ბილიკებიანი ბაღით, მონათა ქოხმახებით, საჯინბოებითა და საშაშხით გარშემორტყმული. იმ არემიდაში ერთ მილზე ველურ ინდაურებს შეხვდებოდით, სულ ახლოს მოდიოდნენ ნისლა ირმები და თავიანთ ნაზ ნაკვალევს ტოვებდნენ ამ ბაღის შესაფერისავე საყვავილე მოედნებზე, კიდევ ორი წელი უყვავილებოდ რომ იყო დარჩენილი. და ახლა ის ხანა, ის დროება დადგა, როცა ქალაქი და ოლქი უფრო მეტად შეჩქვიფებული უთვალთვალედა ამ კაცს. ალბათ ამიტომ, თავისი იდუმალი საწადელის მისაღწევად შემდეგი ნაბიჯი უნდა გადაედგა მას. ვიცოდით მე ამის შესახებ, ასე იყო დარწმუნებული გენერალი კომპსონი; ქალაქი და ოლქი კი ამას მხოლოდ ბუნდად, ანუ სულაც ვერ ხვდებოდა და აწ მოითხოვდა მოთმინებასა და წყნარ მოლოდინს და არა დამთხვეულ ჰენებას, რომელსაც უკვე შეეჩვივნენ მისი შემწეობით; ქალები იყვნენ პირველნი, ვინც ეჭვი აიღეს და ჩახვდნენ იმის სურვილს, იმის შემდგომ ნაბიჯს. კაცთაგან არავის არ აუღია ეჭვი, ცოლი უნდაო მას, რაღა თქმა უნდა, არავის იმათ გარდა, ვინც ისე ახლოს იცნობდა



მას, რომ შეეძლო სახელითაც მოეხმო. მართლაცდა იმათაგან ზოგიერთს, ცოლიანებსაც და უცოლოებსაც, არამცთუ აზრადაც არ მოსვლიათ ეს თავში, მტკიცედაც უარყოფდნენ ამ მოსაზრებას, რადგან სანეტარო ჩანდა იმათთვის მისი შემდგომი სამი წლის არსებობა. ხოდა, ცხოვრობდა უახლოეს მეზობლებთან რვა მილით დაცილებული ეს მარტოსული მამრი თავადურად, ნახევარ-აკრიან, შეიძლება ასე დავარქვათ, იარაღებით შემკულ დარბაზში. ცხოვრობდა იგი ამ მხარის ყველაზე უფრო დიდი, მართლმსაჯულების სასახლესაც რომ აჭარბებდა, ნაგებობის სპარტანულ გარსში, რომლის ზღურბლზე არა ქალს არ გადაებიჯებინა და არ უნახავს, ქალური სიაზიზე რომ აკლდა ამ შეუშინავ სარკმლებს, კარებსა და ლეიბებს; სადაც არ შემოსულა ქალი, ვინც დაუშლიდა ძალღთან ერთად თივაზე წოლას, თუმცა ამას არც ძალი ჰყავდა, ამ სახლის სამზარეულოს კარის სიახლოვეს მოსული გარეული ფრინველის მონადირე-ბაში რომ შეეშველებოდა, იმის მაგივრობას ცხოველთა დარი ადამიანები სწევდნენ, სულითა და ხორციით რომ მას ეკუთვნოდნენ, და ხალხს ასე სჯეროდა (ანუ კი ამბობდნენ ასე), რომ იმათ შეეძლოთ მძინარე ირემს ხობვით მიპარვოდნენ და სანამ შეტოვდებოდა, ყელი გამოელადრათ.

სწორედ ეს ის დრო იყო, როცა მან სატპენის ასეულში მამაკაცების მიწვევა დაიწყო, უამბობდა მისს კოულდფილდი კვენტინს, საბანში გახვეულები ათევდნენ ღამეს, ჯერ ცარიელი იყო ის ოთახები, მომავალში მის უსაშველო სიმდიდრეს რომ დაიტევდა; ნადირობდნენ, საღამოობით კარტს თამაშობდნენ და სვამდნენ, შემთხვევისდა კვალად ერთმანეთზე აგულიანებდა ზანგებს და ამ დროს იქნება თავადაც დასტაკებოდა იმათაგან რომელიმეს, და თუ მისს კოულდფილდს დავუჯერებთ, ამ სანახაობის ატანა არ შეეძლო მის ბიჭს, აი გოგო კი თვალმოუცილებლივ შეპყურებდა იმათ, სატპენი ახლა უკვე სვამდა, კვენტინის ბაბუას გარდა ეს სხვებსაც უნდა შეენიშნათ, ზომიერად სვამდა მეტწილად, ხოლო თავად თუ მოიტანდა სასმელს, მაშინ აღარ იყო ასეთი ზომიერი. სტუმრებს სულმუდამ მოჰქონდათ ვისკი, მაგრამ ეს კაცი ამ დროს გამოწვლილვით ანგარიშიანი ხდებოდა, თითქოს თავის გულში უნდოდა შეენარჩუნებინა, როგორც გენერალი კომპსონი ამბობდა, რაღაც წონასწორობა სულიერი გადახდისუნარიანობისა და ცდილობდა მორთმეული ვისკი იმ ცოცხალი ხორცის, სადარი ყოფილიყო, იმათ თოფებს რომ მოანადირებინებდა.

სამი წელიწადი ასე გაატარა. პლანტაცია ჰქონდა ახლა; ხელუხლებელ ჭაობს სახლი და ბაღი გამოსტაცა ორ წელიწადში, მიწა გადახნა და გენერალ კომპსონისგან ნასესხები ბამბის თესლი ჩაყარა. თითქოსდა ამის შემდეგ ყველანაირ საქმეს თავი დაანება. თითქოსდა გასუსული იქნა თავისი ნაშრომ-ნალვაწის შუაგულში, თითქმის რომ მოეთავებინა უკვე და სამი წელიწადი არ წამომდგარა, სრულიადაც არ ჩანდა, რამე განზრახვა თუ ჰქონდა, ანუ თუ კიდევ სურდა რამე. ხოდა, რა გასაკვირია, რომ ამ ოლქის მამაკაცები დარწმუნდნენ, ასეთი ცხოვრება იყო მისი მიზანი ყოველთვის; მხოლოდ გენერალი კომპსონი გახლდათ, ვინც თითქოს საკმარისად იცნობდა მას და დასაწყისისთვის ბამბის თესლი შესთავაზა სესხად, სხვაზე უფრო კარგად იცნობდა მას ეს კაცი, რადგან სატპენს მისთვის თავისი წარსულისა რაღაც-რაღაცები მოეთხორო. მხოლოდ გენერალი კომპსონი მიხვდა პირველად, ის ერთი ესპანური ფული იყო სულ უკანასკნელი, რაც იმას დარჩენოდა. კომპსონი იყო (ქალაქში ეს მოგვიანებით გაიგეს), ვინც სატპენს ფული შესთავაზა სესხად, სახლი დაამთავრე და გააწყვეო, მაგრამ იმან იუარა. სწორედ გენერალი კომპსონი იყო

ამ ოლქში პირველი, ვისაც თავის გულში უთქვამს, სატპენს არც უნდა სახლის დასამთავრებლად ფულის სესხება, მერე დასჭირდება, რაკი ცოლის მოყვანა დაუსახავსო მიზნად. მეტი ვინდა იქნებოდა, უფრო სწორად, პირველად ეს კაცი მიხვდა იმას, რაც მისს კოულდფილდმა სამოცდათხუთმეტამდე მომდევ მოუთხრო კვენტინს — ამ ოლქის ქალები ერთმანეთს დაზარალებულნი თვლიან ქმრებს უამბობდნენ, რომ სატპენს სხვა მიზანიც ექნებოდა უსათუოდ, რაკილა ამდენი ფათერაკი გადახდა, ამდენი გაჭირვება და ხელმოკლეობა გამოიარა, ისევ ისე ხომ არ იცხოვრებდა ახლა, როგორც მაშინ, სახლის მშენებლობის ხანს ცხოვრობდა, თუმცა ახლა შეეძლო ჭერქვეშ დაეძინა და არა შიშველ მიწაზე, ფურგონიდან ახსნილ ტენტში. შესაძლოა ქალები უკვე ანგარიშობდნენ, მეგობარს რომ ეძახდა, იმ მამაკაცთა ოჯახებიდან რომელში დაიგულებდა საცოლეს, რომლის მზითევს შეეძლო მიენიჭებინა ფორმა და შინაარსი იმ რესპექტაბელობისთვის, მისს კოულდფილდს, ასე თუ ისე, ამ კაცის მიზნად რომ მიაჩნდა. სამი წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც სახლის მშენებლობა დათავრდა, არქიტექტორი აქედან წავიდა და გასრულდა იმხანად ამ ამბების მეორე ფაზა: ხოდა, ისევ კვირა დილით, ისევ გაუფრთხილებლად, მთელმა ქალაქმა დაინახა, მოედანი რომ გადაჭრა მან, თუმცა ისევ ეცვა ის სამოსელი, რომლითაც ქალაქში შემოვიდა ამ ხუთი წლის წინათ და რომელიც არც აღარავის უნახავს მას მერე (თავად მას ან ზანგთაგან რომელიმეს გახურებული აგურით გაეუთოვებინა მისი სერთუკი, ასე უთქვამს გენერალ კომპსონს კვენტინის მამისთვის), და მეთოდისტთა ეკლესიაში შევიდა, მხოლოდ რამდენიმე მამაკაცს თუ გაუკვირდა ეს ამბავი. ქალებმა კი უბრალოდ თქვეს, ყოველი ღონე გაუცუდდა იმ ოჯახებში, რომელთა კაცებთან ნადირობდა და თამაშობდა და ახლა ცოლის მოსაყვანად ქალაქში მოვიდა, სწორედ ისე, როგორც მემფისის ბაზარს ეწვიაო საჭონლისა თუ მინების საყიდლად. მაგრამ როცა მიხვდნენ, თუ ვისი გულისთვისაც იყო მოსული ამ ქალაქსა და ეკლესიაში, ქალები დარწმუნებულან, ხოლო მამაკაცები გაოცებულან, მერე კი სულაც საბტად დარჩენილან თურმე.

რადგან ქალაქში უკვე ფიქრობდნენ, უკვე ვიცნობთო მას. თვალყურს აღევნებდნენ თრი წელიწადი, როგორ ამოჰყავდა დაუოკებელი მძვინვარებით ამ პირქუშ კაცს გარსი სახლისა და ასუფთავებდა თავის მიწას: მერე კი სამი წელიწადი მთლად გარინდებული დაყუდებულიყო, თითქოსდა ელექტროდენს აემოძრაებინა იგი და ახლა ვიდაცას გამოერთო, გაეწყვიტა მავთული და დინამო-მანქანა მოეშალა. ხოდა, იმ კვირა დილით გაუთოებულ სერთუკში გამოწყობილი მეთოდისტურ ეკლესიაში რომ შემოვიდა, კაცებსა და ქალებსაც ასე ეგონათ, ერთი კი გადავხედავთო მრევლს და მივხვდებით, სად მიიყვანსო იმას საკუთარი ფეხები; და იმ წუთას გაუელვათ თავში, რომ ამ კაცს უკვე გულცივად, უწყალოდ გადაეწყვიტა და, როგორც ჩანს, მისს კოულდფილდის მამა ამოელო მიზანში, შესაძლოა იმ ფრანგი არქიტექტორის მსგავსადვე. გაოცებისგან თავზარდაცემულნი ხედავდნენ, სწორედ ის კაცი უნდა მოექცია ალყაში, ვისაც ვერც ვერაფერს გამოჩეობდა, განსაკუთრებით — ფულს; ვერც ვერაფერში წაადგებოდა ამ მზისქვეშეთში ეს ადამიანი, ვისაც მხოლოდ ეს შეეძლო — ნისიად გამოეტანებინა მისთვის რამე გზაჯვარედინზე მდებარე თავისი პატარა ღუქნიდან ან ხმა მიეცა არჩევნებში, თუკი ის ოდესმე მეთოდისტური ეკლესიის მღვდლად კურთხევას მოისურვებდა; მართლაც რა შეეძლო მეთოდისტური ეკლესიის ხაზინდარს, ვაჭარს, ხელმოკლე

კაცს, ვისაც ცოლ-შვილის გარდა დაიც და დედაც ჰყავდა სარჩენი ამ დუქანის შემოსავლით. ამ ოთხი წლის წინ ჯეფერსონში ერთი ფურგონი საქონელი შემოეტანა და იმითლა მოემარაგებინა ეს დუქანი, უმწიკვლო, შეუღრეკელი და პურიტანი წმინდანი კაცის სახელიც ჰქონდა მას იმ ქვეყანაში, სადაც იმ დუქანს კანონს არავინ დაგიდევდათ, არ სვამდა, არ თამაშობდა და არც ინაწირობდა. ხოდა, ის ხალხი გაოცებულა და კიდევაც გადააფიქვდათ, რომ გასათხოვარი ქალი ჰყავდა ბ-ნ კოულდფილდს. არც კი ახსოვდათ ამ კაცის ქალიშვილი. სატპენი თუ ვინმეს შეიყვარებდა, ვერც კი წარმოედგინათ. უფრო ამას ფიქრობდნენ, სასტიკი იგი და არა სამართლიანი, დაშინება უფრო უყვარსო, ვიდრე პატივისცემა, ამ კაცთან რა უნდაო გულმოდგინებასა და სიყვარულს; თავს იმტვრევდნენ და ვერ მიმხედარიყვნენ, რა გზით, რა ხერხითა და რა საშუალებით გამოადგებოდა მას ბ-ნი კოულდფილდი იმ თავისი საბოლოო, იღუმალეებით მოცული საქმის მოსაგვარებლად. ვერც ვერასდროს გაიგებენ ამას, ვერც მისს როუზა კოულდფილდმა ვერ გაიგო ვერაფერი, რადგან იმ დღის მერე სატპენის ასეულში სანადიროდ აღარავინ მიუწვევიათ და ახლა ქალაქში თუ ნახავდნენ მას. მაგრამ უსაქმო, მოცლილი არ ჩანდა ეს კაცი. და ის ხალხი, ვისაც მის ჰერქვეშ ეძინა და სვამდა (ზოგიერთი მათგანი უკვე უბატონოდ, უბრალოდ სატპენს ეძახოდა კიდევაც), პოლსტონ-ჰაუზის წინ გამოვლილს რომ დაინახავდა, საღმის ნიშნად მცირეოდნავლა შეეხებოდა იგი ქუდს და ბ-ნ კოულდფილდის დუქანში შევიდოდა. ეს იყო და ეს.

„ხოდა, ერთხელ მეორედ დატოვა ჯეფერსონი“, უთხრა ბ-ნმა კომპსონმა კვენტინს, „ქალაქი იმხანად კი უნდა ყოფილიყო შეჩვეული ამას, მაგრამ იმისი მდგომარეობა ისეთი აღარ იყო, შენც მიხვდები, როცა ნახავ, თუ როგორ დახვდა მას ხელმეორედ დაბრუნების ხანს ქალაქი. რადგან მაშინ ის, შეიძლება ვთქვათ, მტრად მოევიდინა საზოგადოებას. მიზეზი ამისა იქნებ ის იყო, რომ ახლა ველური ზანგებით სავსე ფურგონი კი აღარ ჩამოიყვანა, სულ სხვანაირი საქონლით დაბრუნებულიყო უკან. მაგრამ არა მგონია, ანუ მგონია, ჭაღების, წითელი ხის, ნოხების ნამდვილი ფასი არ იყო მთავარი. მე მგონია, ხალხი შეურაცხყოფილი დარჩა, რაკილა მათი ჩათრევა მოინდომა თავის საქმეში; მიუხედავად იმ დანაშაულისა, რისი მეშვეობითაც მას წითელი ხე და ბროლი მოეპოვებინა, მაინც ლამობდა მათთან მორიგებას. მანამდე კი, იმ კვირა დილამდე, როცა იგი ეკლესიაში მოვიდა, მისი გაცურებული და მოტყუებული თუ იყო ვინმე, ეს გახლდათ მოხუცი იკემოტუბე, რომელმაც მას მიწამისცა, და მისი სინდისის, ბიძია სემისა და ღმერთის კისრად იყო ეს საქმე, მაგრამ ახლა მისი მდგომარეობა ისეთი აღარ იყო, რადგან სამი თვე გასულიყო, რაც წავიდა, და მდინარისკენ მის შესახვედრად ოთხი ფურგონი გაეგზავნათ ჯეფერსონიდან, კიდევაც გაიგეს, რომ მათი დამქირავებელი და გამგზავნი კაცი ბ-ნი კოულდფილდი ყოფილა. კამეჩები შეებათ ამ დიდ ფურგონებში, და როცა უკან მობრუნდნენ, დაინახა თუ არა ქალაქმა, უკვე იცოდა, რითიც არ უნდა დაეტვირთათ, თუნდაც მთელი სარჩო-საბადებელი დაექირავებინა ბ-ნ კოულდფილდს, მაინც ვერ გაავსებდა ამ ფურგონებს; რალა თქმა უნდა, ახლა ქალებზე უკეთ კაცებს წარმოედგინათ მისი აქ არყოფნის უამს მომხდარი ამბავი — სახეზე ცხვირსახოცაფარებული მამრის ორი დამბაჩის ლულას ბრწყინვა გააქვს გემის კაიუტკომპანიის შუქზე; ანდა სულაც უარესი: ჭუჭყიან ნავსაყუდელში, სიბნელეში მიმალულს დანა ჩაურტყამს ვილაცასთვის ზურგში. ნახეს, თავის ოთხ ფურგონს მოჰყვებოდა ლურჯა ცხენზე ამხედრებული, და

ახლა მას ისიც კი არ გამოლაპარაკებია, ვისაც მისი პური გაეტება, მასთან ერთად უნადირია და უბატონოდ და უბრალოდ „სატპენს“ ეძახდნენ და ელოდებოდნენ, მითქმა-მოთქმა და ხმები ამ დროს ისევ უფანქროს დაბრუნებულყო, თურმე თავად და მისი აწ უკვე ასე თუ ისე მოშინაურებული ზანგები კარ-ფანჯრების მოწესრიგებას შეუდგნენ, ჯამ-ტოტოვანი სეზონარულ-ლოში შეიტანეს, ბროლის ქალები დაკიდეს პალატებში, გააწყვეს ავეჯით, ფარდებითა და ნოხებით; ხოდა, სწორედ ის ეიკერსი გახლდათ, ვინც ამ ხუთი წლის წინ ლაფში ჩაგორებულ ზანგს გადააწყდა, პოლსტონ-ჰაუზში, რომ მოიბრინა და ასე ამოთქვა თვალეზადმოკარკლულმა და მთლად პირდაღებულმა მთელი გემი გაუძარცვავსო ამჯერად იმას, ბიჭებო!

დაბოლოს იმძლავრა სამოქალაქო კეთილზნობამ, რვა თუ ათი კაცის თანხლებით იმ ოლქის შერიფმა ერთ დღეს სატპენის ასეულისკენ გასწია. მთელი გზის გავლა აღარ დასჭირდათ, რადგან ქალაქიდან ექვს მილზე თავად სატპენი შემოხვდათ. თავის ლურჯა ცხენზე იჯდა, ისევ ის ნაცნობი სერთუკი ეცვა და თავზე ტყავის ქუდი ეხურა, ფეხებზე ტილოს ნაჭერი გადაეფარა, უნაგირის წინა კეხზე ჩანთა გადაეკიდებინა, ხელში ეჭირა პატარა დაწნული კალათა. შეაჩერა იმან თავისი ლურჯა (აპრილის თვეში ჯერ კიდევ კარგა ტალახიანი იყო გზა), იჯდა თავისი ამოსვრილი ტილოთი და ხან ერთს შეხედავდა, ნან მეორეს; შენს ბაბუას უთქვამს, თეფშის ნატეხებს მიუგავდაო იმას თვალები, წვერი ფოცხივით ჰქონდა გაჩხინკული. სწორედ ასე უთქვამს, ფოცხივითო. „დილა მშვიდობისა, ბატონებო“, თქვა მან, „ჩემთან მობრძანდებით?“

შესაძლოა კიდევ რაღაც შეუტყვიათ იმხანად, თუმცა რამდენადაც მე ვიცი, სიფხიზლის კომიტეტიდან არავის არ მოუხსენებია ამის თაობაზე, მხოლოდ ეს გავიგე, პოლსტონ-ჰაუზის ვერანდაზე მყოფმა მამაკაცებმა დაინახეს, ერთად შემოვიდნენ მოედანზე სატპენი და კომიტეტის წევრები, მცირეოდნავ გამოესწრო სატპენს, სხვები კი მის უკან მოეხეტებოდნენ, მას კობტად გადაუფარებია ფეხებზე ტილო და ზის ცხენზე წელგამართული იმ შავი მაუდის ძველსა და ფართო სერთუკში, თავზე ცოტაოდნავ გამომწვევად დაუკოსებია ის ძველი ტყავის ქუდი, მიუტრიალებია თავი და ასე, მხარს ზემოდან ელაპარაკება იმათ, იმზირება ცივად და მოურიდებლად, დაცინვითაც და ზიზლითაც უელავს ხანდახან თვალები. კართან მისულმა აღვირი მოსწია, მეჭინიბე ზანგი მიიჭრა და ლურჯას თავი დაუჭირა, სატპენი ჩამოხდა თავისი ჩანთითა და კალათით და კიბეზე ავიდა; მე ისიც გავიგე, მიბრუნებულა თურმე და იმათთვის შეუხედავს კვლავ, ისინი კი ისხდნენ თავიანთ ცხენებზე და აღარ იცოდნენ, რა ექნათ. მართლაცდა იქნებ კარგიც იყო, რომ წვერს დაეფარა და ისინი ველარ ხედავდნენ იმის პირს. მერე კიდევ მიბრუნებულა და ახლა მოაჯირზე ფეხებშეწყობილ სხვა მამაკაცებს გადახედა, ისინიც გამოსცქეროდნენ მას, ის მამაკაცები, ვინც მასთან დადიოდა, იატაკზე იძინებდა მის სახლში და ნადირობდა, ვისაც იგი ქუდზე ხელის მიღებით გამომწვევად, ამაყად ესალმებოდა (დიახ, ცუდად გაზრდილი გახლდათ. და ადამიანებთან ურთიერთობისას ეს სულმუდამ ჩანდაო, უთქვამს შენს ბაბუას, ჯონ ლ. სალივენს\* ჰგავდა ეს კაცი, რომელმაც რის ვაივაგლახით ისწავლა შოტლანდიური ცეკვა, ჩუმად ვარჯიშობდა და ვარჯიშობდა, ვიდრე არ დარწმუნდა, შეიძლება ახლა უმუსიკოდაც

\* ცნობილი ამერიკელი მოკრივე, შემდეგ მსახიობი.

იოლად გავიდეთ. იქნებ ასე ფიქრობდა სატპენი, მე უფრო დიდი ჯაფა დამადგაო, ვიდრე შენს ბაბუას ან მოსამართლე ბენბოუს, მაგრამ იმას კი არ ფიქრობდა შეიძლება სხვა ვინმემ უფრო მეტი იცოდეს, თუ რა უნდა გააკეთოს და როგორ, და კიდევაც აჯობოს. და ამასთან ერთად სახეზე ეტყობოდა ესაუბრობდა ეს იყო მისი ძალა, ამბობდა შენი ბაბუა: ერთი შეგებულათ იმისთვის და იტყოდით — დასჭირდება ამ კაცს რაღე და ყველაფრის გაკეთება შეუძლიაო). შემდეგ შევიდა შენობაში და ოთახი მოითხოვა.

ხოდა, ისინი ისხდნენ თავიანთ ცხენებზე და ელოდებოდნენ. მგონია, კი იცოდნენ, რომ ოდესმე ხომ უნდა გამოსულიყო გარეთ; მგონია, ისინი ისხდნენ და იმის ორ დამბაჩაზე ფიქრობდნენ. გესმის, იმათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მისი დაპატიმრების ორდერი; მხოლოდ ხალხის აზრი აღდგომოდა წინ უკვე; მერე კი სხვა მხედრებიც მოვიდნენ მოედანზე და ისინიც მიხვდნენ ყველაფერს, ხოდა, ვერანდაზე გამოსულს მთელი ჯარი დახვდა. ახალი ქუდი დაეხურა იმას და ახალი მაუდის სერთუკი ჩაეცვა, ახალა გაიგეს, რა ჰქონია იმ ჩანთაში, ისიც გაიგეს, რომ კალათაში რა ედო მას, რადგან კალათიც იქ დაეტოვებინა თურმე. რალა თქმა უნდა, ამ გარემოებისა გამო სულ გადასულან გონთით, რადგან, გესმის, სულმოუთქმელად მსჯელობდნენ იმაზე, თუ რა გზით უნდოდა მას ბ-ნ კოულდფილდის გამოყენება და ბრაზით წამონთებულიყვნენ მისი დაბრუნების მერე, რაკი ახლა შედეგსა ხედავდნენ, თუმცა საშუალებანი კი იყო საიდუმლოებით მოცული; ვისლა გახსენებია მისს ელენი.

ხოდა, თქმა არ უნდა, ისევ შეჩერდა და ხან ერთს შეხედავდა და ხან მეორეს, თქმა არ უნდა, გულდინჯად იხსომებდა ახალმოსულთა სახეებს, ხოლო რისი გამჟღავნებაც იმის პირს შეეძლო, ის წვერს დაეფარა. მაგრამ ამჯერად, როგორც ჩანს, აღარაფერი უთქვამს. ჩვეულებრივ ჩამოვლო კიბე და მოედანი გადაჭრა, მთელი ეს შეკრებილობა (შენმა ბაბუამ თქვა, ორმოცდაათ კაცამდე მიღწეულიყო უკვე) მიჰყვა მას მოედანზე. ერთხელაც არ მოუხედავსო უკან, ასე ამბობდნენ. მიდიოდა წელგამართული, ახალი ქუდი ამაყად დაეკოსებინა თავზე და ხელთ ეპყრა ის, რისი დანახვაც სულ უკანასკნელი, დაუმსახურებელი შეურაცხყოფა უნდა ყოფილიყო ხალხისთვის; მცირეოდნავ დაცილებული მიჰყვებოდა მას ქუჩაში ცხენდაცხენ შეკრებილობა და ისინიც გამოკიდებოდნენ მათ, ვინც უცხენოდ იყვნენ მოსულნი; ქალბატონები, ბალები და მონა ქალები კარ-ფანჯრებიდან უმზერდნენ ამ შიშის მომგვრელ ნაირფეროვან მსვლელობას. სატპენი კი ისე შევიდა ბ-ნ კოულდფილდის ჭიშკარში, ერთხელაც არ მოუხედავს, კართან მივიდა აგურგაწყობილი ბილიკით და მიიტანა გაზეთში გახვეული დიდი კონა ყვავილებისა.

კვლავ დაელოდნენ. მალიად იზრდებოდა ახლა ბრბო — სხვა მამაკაცები, ბიჭებიცა და ზანგები მუზობელი სახლებიდან გარს შემორტყმოდნენ იმ პირვანდელ რვაკაციან ჯგუფს, კომიტეტის წევრებს, რომლებიც უთვალთვალდნენ ბ-ნ კოულდფილდის კარს და ელოდებოდნენ, როდის გამოჩნდებოდა იგი. კარგა ხანი გავიდა, დაბოლოს უყვავილებოდ გამოვიდა, ჭიშკართან მობრუნებული უკვე დაწინდული გახლდათ. მაგრამ არ იცოდნენ ეს ამბავი, და ჭიშკარს მოატანა თუ არა, დააპატიმრეს. წამოიყვანეს, უკან ქალაქში დააბრუნეს, ფარდებიდან, სახლების კუთხეებიდან, სამზარეულოებიდან, სადაც უკვე ეხრუკებოდათ საჭმელი, ქალები, ბალები და მოსამსახურე ზანგები იმზირებოდნენ, მოედანზე ასე გამოვიდნენ, აქ სხვა ჯანმგარი მამაკაცებიც დახ-

ვდნენ, თავიანთი დაწესებულებები და ღუჭნები მიეტოვებინათ თურმე. სასამართლოს შენობასთან სატბენს უკვე დიდძალი ხალხი მოჰყვა გაქცეული მონის მსგავსად. სასამართლოს გადასცეს, მაგრამ ამ დროს მოვიდნენ შენი ბაბუა და ბ-ნი კოულდფილდი, თავდებით გამოაშვებინეს და სალამო ხანს ბ-ნი კოულდფილდთან ერთად იგი იმავე დილას გამოვლილი გზით შენს დაბრუნდა. რაღა თქმა უნდა, იგივენი უთვალთვალეზდნენ მას სარკმლის ფარდებიდან, დაწინდვის აღსანიშნავ სუფრას მოუსწრო სწორედ, თუმცა არც ახლა და არც შემდგომაც არც ღვინო გამოეტანათ და არც ვისკი. დღის განმავლობაში სამჯერ გავლილ-გამოვლილს ერთხელაც არ შეუცვლია იერი — ისევ ისეთი აუჩქარებელი ნაბიჯით მოაფრიალებდა თავისი ახალი სერთუკის კალთებს, ისევ ისე მოგედო თავისი ახალი ქუდი თვალებსა და წვერზემთ. შენს ბაბუას უთქვამს, ქალაქში ჩამოსულს ამ ხუთი წლის წინ გამომწვარი თიხის ელფერი ჰქონდა სახეზე, ახლა კი მზეზე სასიამოვნოდ გარუჭული ჩანდაო. მერე შენმა ბაბუამ ასე დასძინა, ხორცსავსე კაცი არ გახლდათ, არა, თითქოსდა გამოქცეულს ჰაერის წინააღმდეგობა დაეძლია და ახლა შეჩერებულიყო, და აწ დაწყნარებულს ხორცი ძვლებზე დაერჩინა, და ასე მოეხერხებინა სამოსლის შევსება. სიამპარტავნე რაღაც ჯერ კიდევ ეტყობოდა, მაგრამ ახლა ვერ იტყოდით, ყოყლოჩინა და დიდგულააო, თუმცა შენი ბაბუა ამბობდა, მზვაობარი სულაც არასდროს არ ყოფილა, დაძაბული იყო უფრო, და ახლა ესეც არ დარჩა მას, თითქო სამ სამი წლის შემდეგ საკუთარი თვალებიღა ჰყავდა მზვერავად, თავის ძვლებზე შერჩენილ ხორცს აღარ ანდობდა გუშაგობას. ჯვარი დაიწერეს ორი თვის შემდეგ მან და ელენმა.

1838 წლის ივნისის თვე იყო, თითქმის ხუთი წელიწადი გასულიყო იმ დღიდან, როდესაც კვირადილით თავის ლურჯაზე ამხედრებული შემოვიდა ქალაქში. ეს (ჯვრისწერა) მოხდა სწორედ იმ მეთოდისტურ ეკლესიაში, სადაც მან პირველად ნახაო ელენი, თქვა მისს როუზა კოულდფილდმა. მამიდამისს ალბათ იმდენი უღუღლუნია (ხვეწნა-მუდართ რას გახდებოდა), რომ ბ-ნმა კოულდფილდმა ამ შემთხვევის გამო პუდრის წასმის უფლება მისცა ელენს. ცრემლების ნაკვალევი უნდა დაეფარა პუდრს. მაგრამ ჯერ კიდევ ჯვრისწერის დამთავრებამდე პუდრი ჩამოირეცხა, აფუვდა და ზოლებად დააჩნდა. თითქოს იმ სალამოს ელენს წვიმაში გამოეველო, ტირილიდან შემოედგა ფეხი ეკლესიაში, დამთავრდა ჯვრისწერა და მერე ეკლესიიდან ისევ უკან, ტირილში, ცრემლებში შებრუნდა, იმავე ცრემლების თავსხმა წვიმაში მოჰყვა. ჩაჭდა ეტლში და მიაშურა (ამ წვიმაში) სატბენის ასეულს.

ქორწილი იყო ამ ცრემლების მიზეზი და არა ის, სატბენს რომ მიყვებოდა ცოლად. და თუკი მოუხდა ამის გამო ცრემლების ღვრა, ეს მერე იყო, მოგვიანებით. დიდი ქორწილის მოწყობას არც აპირებდნენ, უფრო სწორად, ბ-ნი კოულდფილდი არ აპირებდა ამას. შენ ალბათ შეგიმჩნევია, რომ განქორწინებას მეტწილად ქალები მოისურვებენ ხოლმე, ვისაც თამბაქოს მღეჭავი სამოქალაქო მოსამართლე დაადგამს უღელს საოლქო სასამართლოს შენობაში ან შუალამით გაღვიძებული მღვდელი, სერთუკის კალთებში შარვლის საჭიბები რომ მოუჩანს და საყელოც არ უკეთია, ხელისმომკიდებად კი ცოლი გამოუყვანია თავისი და პაპილოტებიანი შინაბერა დაი. მოდი და ნუ დაიჯერებ, ამ ქალებს იმიტომ კი არ უნდათ განქორწინება, რაღაც დაგვაკლდებაო ამით, დალატს ხედავენ ამაში და იმიტომ სულიერი საბუთები — ბავშვები და კიდევ სხვა ბევრი ჰყავთ თვალწინ და მიუხედა-

ვად ამისა, ფიქრი ვერ მოუცილებიათ: ჰქუხს საზეიმო მუსიკა, ყველა/მათ  
 შესცქერის, მიღიან სიმბოლური ზიზილ-პიპილებით გარემოცულნი.  
 ასე გასცენ ის, რაც უკვე დაუკარგავთ, რატომაც არა, ნამდვილადაც და ჰეშ-  
 მარიტადაც რომ გასცემენ. ეს იქნება მხოლოდ (და არის კიდევაც) მისგანსა-  
 ცერემონიალისა, როდესაც ასიგნაციებს გაცვლიან მატარებელზე<sup>სა-  
 ყიდლად. ამ ორი მამაკაციდან უფრო სატპენს სჭირდებოდა დიდი ქორ-  
 წილი, ხალხით გაჭედილი ეცლესია და სრული სანახაობის მოწყობა. შენს  
 ბაბუას გადმოუკრავს ამის შესახებ და, რალა თქმა უნდა, სწორედ ასევე, შემ-  
 თხვევით, თავად სატპენისგან ექნებოდა მას გაგონილი ეს ამბავი. თავის სურ-  
 ვილს სატპენი არც არასდროს ამცნობდა ელენს, და სულ ბოლო წუთს ქალის  
 წადილსა და თხოვნას რომ ყური არ ათხოვა, ეს იყო იმ ცრემლების მიზეზი.  
 ბ-ნი კოულდფილდს, როგორც ჩანს ეკლესიის გამოყენება უნდოდა, რაკილაც  
 გარკვეულწილად მსხვერპლი გაელო ამისთვის და, თქმა არ უნდა, თავიც დაი-  
 ვიწყა, ხოლო შრომა და ფული ბევრი დახარჯა, რათა, თუ შეიძლება ასე  
 ვთქვათ, შეენარჩუნებინა სულიერი გადახდისუნარიანობა, სწორედ ასევე გა-  
 მოიყენებდა ღვი ბამბის გამსუფთავებელ მანქანას, რომლის გამოც თვითონაც  
 იქნებოდა ვალდებული მოსავალი არ წაეხდინა და კარგადაც გასძლოლოდა საქ-  
 მეს — თუგინდ ბამბის მომყვანნი ყოფილიყო თავად ამ მისი ოჯახის წევრთ-  
 თაგანი, ან მოყვარეთაგან რომელიმე, გინდ თავისი და გინდ ცოლის მხრიდან,  
 შესაძლებელია ამ კაცისთვის პატარა ქორწილის მოწყობის მიზეზი იყო მისი  
 ოდინდელი და მარადიული ხელმომჭირნეობა, რამაც საშუალება მისცა შეენა-  
 ხა დედა და დაი, მოეყვანა ცოლი და შეექმნა ოჯახი შემოსავლით იმ დუქნისა,  
 რომლის მთელი ავლადიდება ერთმა ფურგონმა დაიტია ამ ათი წლის წინათ:  
 ან იქნებ სულაც მისი თავმოდრეკილებითა და თვითმკმარი ბუნებით იყო გა-  
 მოწვეული (სიტყვამ მოიტანა და მისი დაი და ქალიშვილი მოკლებულნი იყ-  
 ვნენ ამ თვისებას), რომ ასე შეხვდა თავის მომავალ სიძეს; ამ ორი თვის წინ  
 კი ციხიდანაც გამოაშვებინა. ამას კი ვერ ვიტყვი, ქალაქში თავისი სიძის საექ-  
 ვო მდგომარეობამ შეაშინა-მეთქი. მაგრამ როგორი დამოკიდებულებაც არ  
 უნდა ჰქონოდა მასთან ადრეც და მერეც, სატპენის დანაშაულში დარწმუნე-  
 ბული რომ ყოფილიყო იმხანად ბ-ნი კოულდფილდი, თავს აღარ შეიწუხებდა  
 მის დასახსნელად. მართალია, სატპენის ციხეში დასატოვებლად არაფერს ილო-  
 ნებდა, მაგრამ, რალა თქმა უნდა, მისი შემწეობა საუკეთესო საბუთი იყო  
 სატპენისათვის, რათა თავისი მეგობარი თანამოქალაქეების თვალში გამართ-  
 ლებულიყო. ბ-ნი კოულდფილდი თუნდაც თავისი პატიოსანი სახელის გადა-  
 სარჩენადაც არ დაეხმარებოდა სატპენს, თუმცა დაპატიმრების უშუალო მიზეზი  
 მისი და სატპენის საქმიანი ურთიერთობა იყო, და როცა ამ საქმიანობამ გარ-  
 კვეულ ზღვარს მიატანა, ბ-ნი კოულდფილდი სინდისმა შეაწუხა, განზე გად-  
 გა და მთელი მოგება სატპენს გადაულოცა, თავისი უარით გამოწვეული ზა-  
 რალიც კი არ აანაზღაურებინა მას, და მაინც, ასე იყო თუ ისე, თავისი ქალი-  
 შვილი ცოლად გააყოლა იმ კაცს, რომლის საქმიანობასაც მისი სინდისი ვერ  
 შეეგუებოდა, ეს უკვე მეორე შემთხვევა იყო, რალაც ამდაგვარი ადრეც მოს-  
 ვლოდა თურმე.</sup>

ჯვრისწერა დასასრულს უახლოვდებოდა, ასიოდე ადამიანი მოეწვიათ,  
 მაგრამ სულ ათნი შემოსულიყვნენ ეკლესიაში, მათ შორის უშუალო მონაწი-  
 ლენიც იყვნენ; ხოდა, ეკლესიიდან რომ გამოვიდნენ (კარგა მოსაღამოვებუ-  
 ლიყო უკვე; სატპენს ნახევარი დუქინი ის ველური ზანგებიც მოეყვანა და

კართან ელოდებოდნენ ისინი ანთებული კვარით ხელში). დანარჩენი იმ ასთაგან გახლდნენ — ბიჭები, ყმაწვილები და მამაკაცები ქალაქის განაპირას მდებარე მეჯოგეთა სასტუმროდან — საქონლით მოვაჭრენი, მეჭინბეები და სხვა ამდაგვარნი, რომლებიც არავის დაუპატიებია. მიზეზი ელენის ცრემლებისა ესეც იყო ნაწილობრივ. დიდი ქორწილი უნდა გადაიხადოთ მისი მამის მემკვიდრეებია თუ შეხვეწნია ბ-ნ კოულდფილდს მამიდა. მაგრამ მხოლოდ სატბენს სჭირდებოდა ეს. ამ კაცის სურვილი იყო არა უგვარტომო ცოლი, არა უგვარტომო შვილები; უმწიკვლო ცოლისა და სპეტაკი სიამარის — ამ ორი ადამიანის ხელისმოწერა სჭირდებოდა თავის საქორწინო მოწმობაზე, საბუთზე. და ეს საბუთი უნდა ყოფილიყო ოქროსბეჭდიანი და აგრეთვე წითელბაფთიანიც, თუკი ეს რამეში წაადგებოდა. მაგრამ არა თავისთვის. პატივმოყვარეობის გამოვლინებას დაარქმევდა ამ ოქროს ბეჭედსა და ბაფთებს იგი (მისს როუზა). მაგრამ განა პატივმოყვარეობამ არ ჩააგონა ეს სახლი, თითქმის შიშველი ხელებით რომ ააგო ამ კაცმა უდაბნოში, და შემდეგ ხომ გაჩნდა ამ სახლზე გაუთავებელი მიძლავრების საფრთხე, რაკილა ადამიანთა ვერანაირი საზოგადოება ვერ შეეგუება იმას, რისი გაგებაც მის ძალას აღემატება. და კიდევ სიამაყე: თავად მისს როუზამაც აღიარა, გულადი იყო ეს კაცი; თავად ეს ქალიც ვერ უარყოფდა მის სიამაყეს; სწორედ ამ სიამაყის გამო მოისურვა მან ეს სახლი, მცირესლა აღარ დასჯერდებოდა, და ამისთვის სულსაც არ დაიშურებდა. და შემდეგ მარტოდ ცხოვრობდა იქ, სამი წელიწადი თივაზე წვებოდა, ვიდრე არ გააწყო სახლი, რომლის გაწყობა სწორედ იმ საქორწინო საბუთის მოპოვებას ნიშნავდა. სრულიად მართალი გახლდათ ის ქალი, მხოლოდ თავშესაფარი, მხოლოდ უგვარტომო ცოლი და შვილები მხოლოდ ჩვეულებრივი ქორწილი არ მოუსურვებია ამ კაცს. მაგრამ ქალებმა ამბობენ რომ მოაწყვეს და ელენმა და მამიდამ მისი გადაბირება მოინდომეს, იქნებ ბ-ნმა კოულდფილდმა დიდი ქორწილის ნება მოგვეცესო, იმან მხარი აღარ დაუჭირა. თქმა არ უნდა, მას ბ-ნ კოულდფილდზე უკეთ ახსოვდა, რომ ციხეში ჯდომა მოუხდა ამ ორი თვის წინ; და საზოგადოებრივმა აზრმა ამ ხუთი წლის განმავლობაში ერთხელ კიდევაც შთანთქა, თუმცა კი მისი მონელება ვერა და ვერ შესძლო და კაცობრიობისთვის დამახასიათებელი გაუგებარი, გააფთრებული სრული შემობრუნების წყალობით უკანვე იქნა ამონახეული. და იმანაც ვერ უშველა ამ კაცს, რომ ეს ორი მოქალაქე, შეურაცხყოფილი ხახის ორი კბილთაგანი, იმის მწედ და მშველელად იქცა და მრთელი და უვნებელი დააგდებინეს პირამკმულ ხახას.

ელენსა და მამიდამისს ესეც ახსოვდათ. ყოველ შემთხვევაში, მამიდას მაინც არ დაავიწყდებოდა, ქალი იყო და, რაღა თქმა უნდა, გადიოდა ჯეფერსონის ქალთა მარაქაში, რომელმაც ამ ხუთი წლის წინ ამ კაცის ჩამოსვლის მეორე დღიდანვე დაადგინა. ნურასდროს დავივიწყებთო იმის უწარსულობას. თავიანთი აზრი არც შეუცვლიათ მერე. რაკილა ქორწილი უკვე გადაწყვეტილი ამბავი იყო, ეს ქალი, როგორც ჩანს, ფიქრობდა არა მარტო იმას, რომ მხოლოდ ასე იქნებოდა უზრუნველყოფილი მომავალი ამ კაცის მეუღლის — მისი ძმისშვილისა; თავისი ძმაც გაამართლა, როცა იმან სატბენი ციხიდან დაიხსნა, საკუთარი თავითაც კმაყოფილი დარჩა, ელენის გათხოვება ხომ მისი თანხმობითა და მოწონებით მოხდა, თუმცა, მართალი თუ გნებავთ, ვერც დაუშლიდა. შეიძლება მიზეზი ამისა იყო დიდი სახლი, მდგომარეობა და ბრწყინვალება, რაც მხოლოდ მიზანში კი არ ამოელო იმ კაცს, უთუოდ უნდა მიეღწია კიდე-



ვაც, ხოდა, მამაკაცებზე უფრო დიდი ხნით ადრე ქალები ჩახვდნენ ამ ამბავს, ან იქნებ ქალები ისეთი არასრულყოფილი არიან, რომ იმათთვის ქორწილი უქორწილობას სჯობს, ხოლო დიდი ქორწილი და არამზადა სიძე უფროსი სურველია, ვიდრე პატარა ზეიმი წმინდანი სიძითურთ.

ხოდა, მამიდამ ელენის ცრემლები მოიშველია; სატპენი კი, როგორც ჩანს, მიხვდა, რას მოასწავებდა ეს და დროის მოწვევის კვალობაზე სულ უფრო და უფრო პირქუში ხდებოდა. შეშფოთებული კი არ გახლდათ, ფრთხილობდა უბრალოდ, ასეთი გამხდარიყო იმ დღიდან, როცა ყველაფერი უარყო — ადამიანები და ჩვეულებანი (სწორედ მაშინ გახდა თოთხმეტი წლისა, ასე უთხრა თურმე შენს ბაბუას) და ფეხი შედგა იმ სამყაროში, რომლის შესახებ თეორიულადაც კი არაფერი იცოდა, თუმცა მიზანი კი ჰქონდა გულში ამოჭრილი, რომელსაც კაცთაგან არავინ დაისახავდა, ვიდრე ძარღვებში არ შეუნელდებოდა სისხლის მჩქეფარება ასე ოცდაათ წლამდე მიტანებულს ან მერეც და თუ დაისახავდა, ესეც კიდევ იმიტომ, უკეთუ მოსვენებულ ცხოვრებას, გულხელდაკრეფილ ჯდომას ან დაბოლოს პატივმოყვარეობის ავსებულ საწყაულს დაუკავშირებდა ამას, იმხანადაც კი იყო ასე ფხიზლად და ფრთხილად, მერე კი, მოგვიანებით, დღედაღამ გახლდათ ასე და არც შეუცვლია ეს თავისი ხასიათი, თითქოსდა ყოფილიყო ის შესამოსელი, დღენიდაგ რომ ეცვა ძილსა თუ ღვიძილში უცხო ქვეყანასა და ხალხში, რომლის ენაც მას უკვე შეესწავლა; ეს იყო ის მარად დაუძინებელი სიფრთხილე, რომელმაც იცოდა, ერთხელაც არ უნდა შეცდეს; იმავე სიფხიზლით ზომავდა და წონიდა შემთხვევითობასა და კანონზომიერებას, ადამიანთა ურთიერთობას, ურთიერთობას ცთომილი გონებისა და მოკვდავი სხეულისა ერთი მხრით და მეორე მხრით ადამიანებისა და ბუნების ძალთა შორის, რათა არჩევანი გაეკეთებინა, მიეღო და უკუეგდო იგი თავისი ოცნებისა და პატივმოყვარეობის გულისთვის — იმ მხედრის მსგავსად, ცხენს რომ სოფლის ბილიკებსა და ტყეში მიაჭენებს და მართავს მხოლოდ იმიტომ, ცხოველს თავისი უსუსურობა არ აგრძნობინოს, არ მიახვედროს, რომ ის კაცზე უფრო ძლიერია.

უცნაური იყო ახლა მისი ყოფა. მარტოსული გახლდათ. ელენი კი არა, მას მხოლოდ მამიდა არ ამოსდგომია მხარში, ისიცაა სათქმელი, რომ ქალი არც არასდროს აღიარებს თავის მარტოობას, ვიდრე გარემოების შეუცნობელი და დაუძლეველი ძალები საბოლოოდ არ წარსტაცებს სათამაშოს დაუფლების იმედს, მისი ოცნების საგანი რომაა იმხანად, და არც ბ-ნი კოულდფილდი. არა მარტო საზოგადოებრივი აზრი იყო ამ კაცის მხარეზე, თავადაც სჯეროდა, რომ დიდი ქორწილი შეუფერებელი ანუ პარადოქსული ამბავია ამჟერად. შემდეგ კი (ცრემლებმა გაიმარჯვეს; ელენმა და მისმა მამიდამ ასი მოსაწვევი ბარათი დაწერეს, ხოლო სატპენმა კარდაკარ დააგზავნინა თავისი ერთი ველური ზანგის ხელით, თორმეტიოდე წინასწარაც კი მოიწვიეს გენერალურ რეპეტციასზე), როცა საღამოს სარეპეტიციოდ ეკლესიაში მივიდნენ, იქ არავინ არ დახვედრიათ, მხოლოდ რამდენიმე ადამიანი მოსულიყო (მათ შორის ორი მოხუცი იკემოტუბეს — ჩიკასოს ტომისა) ქალაქის განაპირა უბნებიდან და გარეთ ჩრდილში დამდგარიყვნენ კარიბჭის სიახლოვეს. ცრემლებმა იწვიმეს ისევ. რეპეტიცია კი ჩაატარა ელენმა, მაგრამ მერე, მამიდას შინ რომ მიჰყვებოდა, ისტერიკამდე აღარაფერი აკლდა, ხოლო მეორე დღეს გაუთავებელ ქვითინად იქცა მისი მწუხარება. ვილაცამ ისიც კი თქვა, ქორწილი გადავდოთო, ვინ იყო ამისი მთქმელი, არ ვიცი, იქნებ სულაც სატპენი.

მაგრამ ამ აზრის უარყოფელი კი ცნობილია ჩემთვის. თითქოსდა მამიდას ახლა დაუჭინებია, სატპენიც უნდა დაეხატოს გულზე ქალოქს და ქორწილიც. საშინაო ტანისამოსში, შალმობურულმა დაიკავა სია და მოწვეულთა სახლები დაიარა, კოულდფილდის ერთი ზანგთაგანი დაყვებოდა (თუთუ უმისამსახურე ჰყავდა ამ კაცს და ქალები იყვნენ ორნივე) მცველდას და ქალებს პირქუში, ანჩხლი და შეურაცხოფილი დედაკაცის მძვინვარებამ გამოიტაცა იგი ფოთლისამებრ; დიან ჩვენთანაც მოვიდა, თუმცა შენი ბაბუა იმ ქორწილს როგორ გამოტოვებდა, მამაშენი კი უთუოდ მივიდოდა, მამიდას ეჭვიც არ შეპარვია ამაში, მამამ ხომ სატპენი ციხიდან გამოაშვებინა, თუმცა ამ ქალს, როგორც ჩანს, მაშინ სალად აზროვნების უნარი წართმეოდა. მამაჩემი და შენი ბებია სწორედ მაშინ დაქორწინებულ იყვნენ, დედაჩემი ჯეფერსონში ჯერ კიდევ არც არაფერი იყო მისთვის, მამა კი შეახსენებდა ხოლმე ხუმრობით ამ შემთხვევის გამო — თუ როგორ შემოეჭრა სახლში სრულიად უცნობი შეშლილი დედაკაცი, ქორწილზე კი არ დაუბატიებია, ერთი კი მოაძახა, ნუ მოხვალ და ვაი შენი ბრალიო, და გარეთ გავარდა. დედაჩემი პირველად ვერც კი მიხვდა, რა ქორწილი იყო, ხოდა, მამა რომ მოვიდა სახლში, ისტერიკა სჭირდა დედას და ოცი წლის მერეც ვერ თქვა ვერაფერი ამ ამბის შესახებ. სასაცილო ამაში არც არაფერი იყო მისთვის, მამა კი შეახსენებდა ხოლმე ხუმრობით ამ შემთხვევას, მაგრამ ოცი წლის შემდეგაც ამ ხუმრობაზე, ვხედავდი მე, ხელს ზეალმართავდა (შესაძლოა სათითურით ერთ თითზე), თითქოს თავისი თავის დაცვა უნდოდა და სახეზე ის გამომეტყველება დაეტყობოდა, ელენის მამიდას რომ ჰქონდა ალბათ მაშინ წასვლისას.

მთელი ქალაქი დაიარა მამიდას იმ დილით. დიდი ხანი არ მოუწდა ამას და არც არავინ არ გამოუტოვებია; ღამის დადგომისას ყოველი წვრილმანი ამ ამბისა ცნობილი გახდა აქ და ქალაქგარეთაც უკვე იცოდნენ ამის შესახებ, მეეტლეთა ეზოშიც და მეჯოგეთა დუქანშიც გაიგეს ყველაფერი, სწორედ იქიდან მოვიდნენ სტუმრები, მამიდაზე მეტი, რალა თქმა უნდა, არც ელენმა იცოდა რამე და შემდგომ მოვლენებს ვერ განსჭვრეტდა, გინდაც ნათელმხილველი ყოფილიყო და ცხადლივ ენახა რეპეტიცია იმ ამბებისა, მერე რომ მოხდა, შეურაცხოფას მომაყენებენო, ამას როგორ იფიქრებდა მამიდა, ვერც კი წარმოიდგენდა, თუ მის იმ დღევანდელ განზრახვასა და ნაბიჯს სხვა რამე შედეგი მოჰყვებოდა და არა ის, რისი გულისთვისაც მცირე ხნით შელახა არამარტო კოულდფილდების ღირსება, არამედ თავისი ქალური მოკრძალება. მგონია, სატპენი ეტყოდა ამას, მაგრამ კი იცოდა, მამიდა მას არაფერს არ დაუჯერებდა. იქნებ არც კი უცდია, ერთადერთი რისი გაკეთებაც შეძლო, ეს იყო, რომ კაცი გაგზავნა სატპენის ასეულში და თავისი ეჭვისი თუ შვიდი ზანგი გამოიხმო, იმათ ენდობოდა, მხოლოდ ესენი იყვნენ ამ კაცისთვის სანდონი, ხელში ანთებული კვარი დააკავებინა და კარიბჭესთან დააყენა, როდესაც ეტლებიდან მექორწილენი გადმოვიდნენ. ხოდა, შეწყდა კიდევაც ცრემლების ფრქვევა, რაკილა მთელი გზა ეკლესიის წინ ეტლებითა და ორთვალეებით იყო გაჭედილი, თუმცა სატპენმა და შესაძლოა ბ-ნმა კოულდფილდმაც შენიშნეს, იმის მაგივრად, რომ კარიბჭესთან მდგარიყვნენ და ცარიელნი ყოფილიყვნენ, ქუჩის მეორე მხარეს შეჩერებულ იყვნენ მომსვლელელებითურთ და ახლა მთელი სავალი ეკლესიის კარიბჭის წინ დამგვანებოდა არენას, რომელიც ზანგებს გადაენათებინათ ზეამართული, კვამლადენილი ჩირადდნებით; მართოლვარე ნათელი ეფინებოდა ორ რიგად ჩამწკრივებულ სახეებს, რომელ-

თა შორის უნდა ჩამოევლოთ მექორწილებს და ეკლესიაში შესულიყვნენ. ჯერ კიდევ არ ისმოდა სტვენა და ქილიკი; ცხადია, არც ელენსა და არც მამი-  
დამისს ცუდს არ ეუბნებოდა გული.



ცოტა ხნით ანება თავი ელენმა ქვითინსა და ცრემლებს მტკიცედ დაჭირებულად შევიდა. ჯერ კიდევ ცარიელი იყო ეკლესია, შენი ბაბუა და ბებია იყვნენ იქ და კიდევ ექვსიოდე, ვინც კოულდფილდებს ვერ უღალატებდა ან იქნებ სურდათ ახლოს ყოფილიყვნენ და არ გამოჩენოდნენ რაიმე, ეტლში მჭლომარენი რომ მოელოდნენ, და ასევე სატპენიც. ჯგრისწერის დროსაც და დასასრულსაც სუფევდა იქ სიტარიელე, ელენიც გახლდათ. ამაყი ან პატივმოყვარე მაინც, ეს კი ზანდაზან სწევს ხოლმე სიამაყისა და მხნეობის მაგივრობას; და ამასთან, ჯერ კიდევ ისეთი არაფერი არ მომხდარიყო. ჯერ კიდევ წყნარად იყო ბრბო, შეიძლება ეკლესიის ერიდებოდათ ან, რაკილა ანგლოსაქსები იყვნენ. ვერ გაეთავისებინათ მსხვერპლისთვის განკუთვნილი კაბებისა და ქვების მისტიკური მნიშვნელობა. დედოფალი ეკლესიიდან გამოვიდა და დაუფიქრებლად შეერია იმათ. სიამაყის გრძნობამ დაუშალა იქნებ და არ აქვითინებულა ხალხში. სწრაფად წამოვიდა, ეტლისკენ გამოეშურა, სადაც განმარტობა და ტირილი შეეძლებოდა: ყვირილი იყო პირველი გამათრახილებელი ნიშანი — „კარგად უყურე! ქალს არ მოახვედრო!“ და მერე რაღაცამ ჩაუქროლა, ტალახის გუნდამ თუ სიბინძურემ, ან იქნებ ჩირაღდნები აბრღვიალდნენ უცებ. მიტრიალდა და რას ხედავს, ჩირაღდანი აუშვერია ერთ ზანგთაგანს და ბრბოს უნდა ჩაუხტეს. და ამ დროს სატპენმა რაღაც გასძახა, რაც ოლქის მცხოვრებთა უმეტესობის აზრით ცივილიზებულ ენაზე არ იყო ნათქვამი. აი, რა დაინახა ქალმა, ხოლო სხვებმა კი ქუჩაში ჩამწკრივებული ეტლებიდან ასეთი სურათი იხილეს — პატარძალმა იმ კაცს შეაფარა თავი, რომელმაც უკან დაიყენა ქალი და დადგა ისე, არც შეტოკებულა, მაშინაც კი, როცა მეორე ნასროლმა (დამასახიჩრებელს არაფერს არ ისროდნენ, ტალახის გუნდა იყო და დამპალი ბოსტნეული) ქუდი გადაუგდო, მესამე კი პირდაპირ მკერდზე მოხვდა; გაუნძრევლად იდგა, თითქოსდა გაუღიმიოდა კიდევაც, იმის კბილებს გაუელვებია წვერ-ულვაშში, ერთადერთი სიტყვა წარმოუთქვამს და ისე შეუჩერებია თავისი ველური ზანგები (ბრბოში დამბაჩები იქნებოდათ ალბათ, დანები კი — უსათუოდ, ჩაუხტებოდა ამათ ზანგი და იმწუთასვე გაათავებდნენ), წინ წამოწეულა პირდია სახეები, გადმოკარკლულ თვალებს ჩირაღდნის ალი აურეკლავს, მექორწილეთა გარშემო წრე დაურტყამს ხალხს, კვარების კვამლშერთული ნათელი თრთის, ცვლის და შლის ყოველივეს. საკუთარი სხეულით რომ გადაეფარა ორ ქალს, კაცმა უკან ეტლისკენ დაიხია, მეორე სიტყვით ასე უბრძანა ზანგებს, მომყევითო, მაგრამ იმათ მეტი აღარ უსვრიათ, როგორც ჩანს, ჩაიარა ანაზღვეული მძვინვარების პირველმა ტალღამ, თუმცა სხვა იარაღი კიდევ ჰქონდათ ხელში მომარჯვებული. ასე გასრულდა ეს ამბავი, რომელმაც მწვერვალს ორი თვის წინ მიაღწია, როცა სიფხიზლის კომიტეტმა სატპენი ბ-ნი კოულდფილდის ჭიმკრამდე მოაცილა. ხოლო ის ბრბო—ვაჭრები, მეჭოგეები, მეღუქნეები ისევ იქ გაბრუნდნენ, საიდანაც ვირთხებივით გამომჩვრალიყვნენ ამ შემთხვევის გამო; გაიფანტნენ, მიიმალნენ იმ არემიდამოში—იმათი სახეები ელენსაც კი აღარ ახსოვდა. სალამოხანს თუ ნახავდით ამ ხალხს, როცა ვაბშობდნენ და სვამდნენ იმ ფუნდუკებში, რომლებიც ოცი, ორმოცდაათი, ასი მილითაც იყო დაცილებული და მდებარეობდა უსახელო გზათა გასწვრივ, მერე კი ვეღარც გაიგებდით მათ ასავალ-დასავალს; მათ შორის

ისინიც იყვნენ, ვინც დროგებითა და ორთვალებით მოდიოდნენ რომელიმე გასართობთა საცქერლად — სატპენის ასეულის სტუმრები გახლდნენ ესენი, მონადირენი (მამაკაცები) მის გარეულ ფრინველებზე, ზედმეტად ყურადღებას უარს რომ არ იტყოდნენ, არც იმ სანახაობას მოაკლდებოდნენ. მათგან რომ იმართებოდა ორი ზანგის მონაწილეობით, მოჩხუბარი მამლებივით ერთმანეთს აჭიდებდა იმათ სატპენი და ზოგჯერ თავადაც გადიოდა რინგზე. განჭარდა ყოველივე ეს, ოლონდ მეხსიერებიდან კი — არა. სატპენს არც არასდროს დავიწყებია ის ღამე, ელენს კი, ვფიქრობ, შეიძლება აღარც გახსენებია ცრემლებით ჩამორეცხილი ეს ამბავი. დიახ, იგი ისევე ტიროდა: მართლაცდა კოკისპირულწვიმიანი გამოდგა ეს ქორწილი.

მისს როუზა რომ მიეტოვებინა იმ კაცს, ვფიქრობ, მაშინ ეს ქალი აღარაფერს მოგვითხრობდაო ამის შესახებ, თქვა კვენტინმა.

პრო. 64 წელს ასე უთქვამს ბ-ნ კომპსონს. კოულდფილდის სიკვდილის შემდეგ მისს როუზა სატპენის ასეულში, ჯუდიოთან გადავიდა საცხოვრებლად. მაშინ ოცისა იქნებოდა, ოთხი წლით უმცროსი იყო დისშვილზე, დამორჩილებია მომაკვდავი დის აჯა-ვედრებას, თავისი განწირული ოჯახის გადარჩენა უნდოდა, როგორც ჩანს, სატპენთან დაქორწინებით, ამ კაცსაც ხომ ასე სურდა. 1845 წელს დაბადებულა ის მისს როუზა, დაი მისი უკვე შვიდი წლის გათხოვილი იყო და უკვე დედა გახლდათ ორი ბაღლისა, მისს როუზას მშობლები შუახნისანი იყვნენ (დედა ასე ორმოცი წლისა ყოფილა და მუცელს გადაყოლია, რაც სამარადისოდ დაუმახსოვრა მამას მისს როუზამ) იმ დროს — უნდა ვიგულისხმოთ, მისს როუზა მშობლების თვალთ უყურებდა სიძეს — ოჯახს სიმშვიდე და მყუდროება სჭირდებოდა და არ ელოდებოდა ან იქნებ სულაც არ უნდოდა კიდევ ბავშვი. მაგრამ გოგო დაიბადა, დედა შეიწირა და ამას რა დაავიწყებდა. ბავშვის ძიძა გამხდარა სწორედ ის შინაბერა მამიდა, რომელიც ცდილობდა ძალით შეეყვარებინა ქალაქისათვის მისი უფროსი დის საქმრო, ქორწილზეც ხალხის ძალათი მოყვანა მოისურვა; კარჩაკეტილი იზრდებოდა გოგონა თავისი ქალური სამყაროთი გარშემოზღუდული და ასე ფიქრობდა, მართალია, დედის სიცოცხლე ვიმსხვერპლე, მაგრამ ამისი ერთადერთი გამართლება ჩემი არსებობაა, ასევე, მამისთვის ცოცხალი და მოარული სამღურავი ვარ და უფრო მეტიც, ჩემი არსებობა სრულიად და ყოველმხრივ ბრალს სდებსო მამაკაცთა მთელი მოდგმის პირველსაწყისს (სწორედ ამ პირველსაწყისის გამო დარჩენილიყო ქალწულად მისი მამიდა ოცდათხუთმეტი წლის ასაკშიც). ხოდა, თავისი საცოცხლის პირველი თექვსმეტი წელიწადი ამ გოგოს სევდისმომგვრელ პატარა, ვიწრო სახლში გაუტარებია თავის მამასთან ერთად და იმთავითვე შესძულებია იგი, არც კი იცოდა, ისე; ჩუმი და უცნაური იყო ეს კაცი, თითქოს მხოლოდ საკუთარი სინდისი ჰყავდა ამხანაგად და მეგობრად და იმაზე ზრუნავდა, რომ პატიოსანი კაცის საბელი ჰქონოდა თანამოქალაქეთა შორის; მოგვიანებით კი სხვენში გამოიკეტება და შიმშილით თავს მოიკლავს, რათა თავი აარიდოს და არ იხილოს მშობლიურ მიწაზე მომხდურთა არმიის შემოჭრა; მამიდაც იყო იქ, ქალი, რომელსაც ათი წლის შემდეგაც ვერ მოეჩვენებინა მარცხი ელენის ქორწილზე, გადავიდებოდა მთელ ქალაქსა და კაცობრიობას, ცოცხალ არსებათაგან ყო-

ველს — ძმას, ძმისშვილებს, სიძეს და, ვითარცა გველი ტყავის შეცვლის  
 ეამს, ყველა სულიერს ებრძოდა ბრმა, შეუცნობელი მძვინვარებით. მამიდა  
 ასე ეუბნებოდა მისს როუზას, შენი დაი, როგორც ქალი, არა მარტო ოჯახში  
 და გვარში დაკარგა, ცოცხლებშიაც აღარ სწერია, როცა ლურჯწვერას სასახ-  
 ლის მსგავს შენობაში შედგა ფეხი და იქცა იმ ნიღბად, უიმედობის სიკვდილად  
 გატანჯული, მორჩილად სულ უკან რომ იმზირება სამუდამოდ დაკარგული  
 სამყაროსკენ; სახლში გამოუმწყვდევია, სასაცილოდ აუგდია და ტიკინასავით  
 ათამაშებს ის კაცი, ვინც ჯერ კიდევ მისს როუზას დაბადებამდე გრიგალივით  
 შემოიჭრა მის და მისი ოჯახის ცხოვრებაში, მოიტანა მარადიული და დიდი  
 ნგრევა და წავიდა მერე. დაუნდობელი ქალური ნაცვალგება, კაეშნისმომგ-  
 ვრკელი სამარისებური გარემო პურიტანული სიწმინდისა — აი სად იზრდებოდა  
 მისს როუზა, ყმაწვილქალობა არც არასდროს განუცდია სულმუდამ ბებრულ,  
 დაჩაჩანაკებულ გარემოში მყოფს. კასანდრესავით იცოდა დაკეტილ კართან  
 ჩასაფრება და ყურისგდება, მოშავბნელებულ დერეფნებში იმალებოდა, სადაც  
 ყოველივე გაემსჭვალა დამთრგუნველ, პრესვიტერიანული წინათგრძნობის  
 ბურუსს და ასე ელოდებოდა თავის სიყმაწვილესა და ბავშვობას, რომელიც  
 განგებამ უწყალოდ და მუხანათურად წარსტაცა და აღავსო ზიზღის გრძნო-  
 ბით ყოველივე იმის მიმართ, რასაც შეეძლო ამ სახლის კედლებში შემოეღწია  
 ენმე მამაკაცის, განსაკუთრებით კი მამის მეშვეობით — თითქოსდა ასე აკვან-  
 შივე ჩაეგონებინა მისთვის მამიდას.

და იქნებ მამის სიკვდილმა და ამის შედეგად გამოწვეულმა აუცილებ-  
 ლობამ აიძულა ეს ობოლი და უპოვარი ქალი დახმარება, თავშესაფარი და  
 ლუკმა-პური ეთხოვა თავისი უახლოესი ნათესავებისთვის; მისი დისშვილი  
 გამოდგა ეს ნათესავი, რომლის თავი მას შეავედრეს, და იქნებ ამაში ხედავ-  
 და ღვთის ნებას, რაკი გაუჩნდა შესაძლებლობა აღესრულებინა თავისი მო-  
 მაკვდავი დის ანდერძი. და იქნებ მას ახლა თავი შურისძიების ია-  
 რალად წარმოედგინა: მართალია, ის არ იყო საკმაოდ ძლიერი იარაღი და პირ-  
 დაპირ ვერ შეეჭიდებოდა იმ კაცს, მაგრამ კი იქნებოდა მისთვის მარად დაუ-  
 ვიწყარი რაღაც ჩუმი სიმბოლო — საქორწილო სარეცელის სამსხ-  
 ვერბლო ქვაზე მჯდომარე უსისხლხორცო ქალი. ხოდა, ნნ წლამდე, ვიდრე ის  
 კაცი ვირჯინიიდან არ დაბრუნდა და არ ნახა იგი ჯუღითთან და კლიტისთან  
 ერთად... (ღიახ, კლიტიც მისი ქალიშვილი იყო: კლიტემნესტრა, თავად შეურ-  
 ქმევია ეს სახელი იმისთვის. ყველას ასე არქმევდა — საკუთარსაც და იმ ვე-  
 ლური ზანგების შთამომავლებსაც, როდესაც ისინი ადგილობრივ მცხოვრებ-  
 ლებთან გაითქვიფნენ). მისს როუზას არ უთქვამს შენთვის, რომ იმ დღეს  
 ფურგონში მყოფ ზანგთაგან ორი ქალიც იყო?

არა, ბატონოო, უპასუხა კვენტინმა.

ღიახ, ორნი იყვნენ და არც შემთხვევით თუ დაუდევრობით მოუყვანია  
 ისინი აქ. ყველაფერი გაუთვალისწინებია, რაღა თქმა უნდა, გაცილებით შორს  
 იხედებოდა იგი. იმ ორ წელიწადზე უფრო შორს, როცა მან სახლი აიშენა  
 და კეთილი ზრახვანი წარმოუჩინა თავის მეზობლებს, რომლებმაც მერე უფ-  
 ლება მისცეს და მისი ველური ზანგები საკუთარ, აწ უკვე მოთვინიერებუ-  
 ლებთან შეაჯვარებინეს — მართალია, სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ ის  
 ზანგები და აქ დამზღვდურები, მაგრამ რამდენიმე კვირა ან სულაც რამდენიმე  
 დღე გასტანდა ეს გასაჭირი. კარგად აუწონ-დაწონია და ისე მოუყვანია ის ორი  
 ქალი: შესაძლოა ისეთი გულისყურითა და დაკვირვებით შეარჩია ისინი, რომ

გორც სხვა საქონელი — ცხენები, სახედრები და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომლებიც მერე იყიდა. თითქმის მთელი ზუთი წელიწადი ასე გაატარა ამ კაცმა, ვიდრე ვინმე აქაურ თეთრ ქალს გამოელაპარაკებოდა და იცნობდა იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც ჯერ კიდევ ვერ გვეჩვენებდა ვერაფერს — იმხანად ვერაფერს შესთავაზებდა სანაცვლოდ. დიახ. კლიტი დაარქვა ამ გოგოს, ასე არქმევდა ყველა იმათ, ვინც მანამდე — კლიტის, ჰენრისა და ჯულითის გაჩენამდე ჰყავდა, თამამად, დამცინავად ღიმილით, და ბედის ირონია თუ იყო, რომ ასე კარგად იხარა მისავე დათესილმა და სახელებშერქმეულმა გველეშაპის კბილებმა. სულმუდამ ასე ვიყავი დარწმუნებული, კლიტისთვის კასანდრეს შერქმევა უნდოდა მას, განგებას მისთვის დრამატული ნიჭი მიემადლებინა და არა მარტო შვა, სახელიც უბოძა თავისი განადგურების უზენაესი წინასწარმეტყველისა, და თუკი შეეშალა რამე, ეს შეცდომა ბუნებრივი იყო იმ კაცისთვის, ვისაც თითქმის დამოუკიდებლად ესწავლა წერა-კითხვა... 1866 წელს შინ რომ დაბრუნდა, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ასიოდეჯერ თუ ეყოლებოდა ნანახი იგი მისს როუზას. და როცა კი ხედავდა, თვალწინ ისე წარმოუდგებოდა, როგორც ოდესღაც ბაღმა დაინახა, ანუ როგორც კაციჭამია დევი, მერე ეს სურათი დროდადრო მეორდებოდა და ამ შემთხვევებს ვერც ითვლიდა და ვერც იხსენებდა მსგავსად იმ ბერძნული ტრაგედიის ნიღბისა, რომელიც არა მარტო სცენიდან სცენაზე — მსახიობიდან მსახიობზეც გადადის და იმის მიღმა მიმდინარეობა ამბებისა და მოვლენებისა მოკლებულია ქრონოლოგიასა და თანამიმდევრობას. მართლაცდა, ეს ქალი ვერ გეტყობდათ, როდის და რა გარკვეულ შემთხვევაში ჰყავდა ნანახი ის კაცი და მიზეზი ამისა ის იყო, რომ ძილშიაც და ღვიძილშიაც მეტი არც არაფრის დანახვა უსწავლებია მისთვის მამიდას. უმხიარულო, უსიხარულო და თითქმის ოფიციალური იყო ეს სტუმრობა, როდესაც ეს გოგო და მამიდამისი სატბენის ასეულს ეწვეოდნენ მთელი ღლით, და მამიდა მას დისშვილებთან სათამაშოდ გაუშვებდა ან სტუმრების გასართობად პიანინოზე დაკვრას მოსთხოვდა; სასადილო მაგიდასთანაც ვერ ხედავდა იგი იმ კაცს, მამიდა ისე შეარჩევდა წვევის დროს, როცა ის კაცი სახლში არ იმყოფებოდა, და რომც ყოფილიყო, მისს როუზა შეეცდებოდა იმას არც შეხვედროდა. წელიწადში ოთხგზის იყო თუ ზუთგზის, ბავშვებთან ერთად მოდიოდა ელენი, და მამიდამისი (მეტად გულძრო ქალი, ვინც ბ-ნ კოულდფილდზე ორჯერ უფრო მეტად იმსახურებდა მამაკაცის სახელს და ჭეშმარიტად მისს როუზასთვის მხოლოდ დედის კი არა, მამის მაგივრობასაც სწევდა) მაშინაც ამ სტუმრობას საბრძოლოდ გამზადებულთა შეთქმულების კუშტ გარემოში ახვევდა და ირაზმებოდა თავისი ორი მტრის წინააღმდეგ, იმათაგან ერთს — ბ-ნ კოულდფილდს — მიუხედავად იმისა, შეეძლო თუ არა თავის დაცვა, უკვე კარგა ხანია მოეხსნა თავისი საგუშაგოები, ზარბაზნები მოეშალა და თავი შეეფარებინა თავისი პასიური სათნოების მიუვალ ციხე-სიმაგრეში; მეორეს — სატბენს — რომელსაც, როგორც ჩანს, შეეძლო შებრძოლებოდა და დაემარცხებინა კიდევაც ისინი, გულშიაც არ გაუვლია, საბრძოლოდ გამზადებული მოწინააღმდეგე ვყოფილვარო. ზოდა, სადილზეც კი არ მოდიოდა სახლში. სიმამრისა ერიდებოდა ალბათ, რა დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთთან ამ ორ მამრს, ვერც ვერასდროს მიაკვლევენ ამას მამიდა, ელენი და მისს როუზა; მხოლოდ ერთ კაცს ეტყვის მერე სატბენი ამ საიდუმლოს, ოღონდ ჯერ სიტყვას ჩამოართმევს, სანამ ბ-ნი კოულდფილდი ცოცხალია, არავინ გაიგოსო ეს ამბავი, ასე უფრთხილდებოდა

ის ბ-ნი კოულდფილდის — ზნედაცული. სპეტაკი კაცის სახელს: სწორედ ამ მიზეზის გამო არავისთვის გაუმხელია ეს საიდუმლო ბ-ნ კოულდფილდსაც, ასე უთქვამს შენს ბაბუას. ან იქნებ სულაც მიზეზი ის იყო, სატბენს დატბენობდა თუ სურდა, უკვე ყველაფერი მიეღო სიმამრისგან და უფრო მეტად ცობა აღარ ჰყოფნიდა პირისპირ შეყროდა ბ-ნ კოულდფილდს და თავაზიანობის, ზრდილობის გულისთვის წელიწადში ოთხჯერ მაინც მიჯდომოდა თავისი ოჯახის საზეიმო სუფრას. ან იქნებ მიზეზი სულაც ის იყო, თავად სატბენმა რომ თქვა და მამიდამ კი არ დაიჯერა; ყოველდღე იგი არც დადის ქალაქში და როცა კი წავა, ურჩევნია დრო გაატაროს (ბარში დაუწყია ახლა სიარული) იმ მამაკაცებთან, რომლებიც ყოველი შუადღით პოლსტონ-ჰაუზში იყრიან თავს.

სწორედ ასეთი იყო სახე, მისს როუზა რომ ხედავდა იშვიათად იმ კაცის საკუთარი სასადილო მაგიდის მეორე მხარეს, სახე მოწინააღმდეგისა, რომელმაც არც კი იცოდა ამბავი თავისი საბრძოლო მზადყოფნისა. ათი წლისა იყო იმხანად ის გოგო, და როცა მამიდამ დაივიწყა მოვალეობა (მამისეული სახლის მოვლა ახლა მამიდამისის ნაცვლად მისს როუზას უხდებოდა; ფანჯრიდან გადაძვრა ერთ ღამეს მამიდა და გადაიკარგა), აღარავინ დარჩენილიყო იქ, ვინც ამ სამგლოვიარო დღეებში მოსთხოვდა, მიდი და დისშვილებს ეთამაშეო, და უფრო მეტიც, იქაურობას აღარ ეკარებოდა, რათა არ ესუნთქა იმავე ჰაერით, სატბენი რომ სუნთქავდა და სადაც, თუმცა არ იმყოფებოდა იქ ეს კაცი, მაინც იგრძნობოდა, ჩასაფრებული რომ იყო და მთელი გულისყურით უთვალთვალებდა ამ გოგოს დამცინავად, ზარზეიმით. სატბენის ასეულს ახლა მხოლოდ წელიწადში ერთხელ ესტუმრებოდა, საკვირაო ტანისამოსში გამოწყობილი მამასთან ერთად თორმეტ მილს გაივლიდა ძველი, თუმცა მაინც მკვიდრი და გამძლე დროვით, რომელშიაც ისეთივე გამძლე მომცრო ცხენები შეებათ, და მთელი დღე რჩებოდნენ იქ. თავად ბ-ნი კოულდფილდი მოითხოვდა ახლა, უნდა ვეწვიოთო: მამიდა რომ იყო, ერთხელაც არ წაჰყოლია მათ, ახლა კი შეიძლება მოვალეობის გრძნობა აიძულებდა და სწორედ ეს უთქვამს მიზეზად, რასაც მამიდაც კი დაიჯერებდა, შეიძლება იმიტომ, რომ ეს მართალი არ იყო, სიმართლეს კი ნამდვილად მისს როუზაც შეხედავდა ეჭვით; ანუ ბ-ნ კოულდფილდს თავის შვილიშვილებთან ყოფნა უნდოდა, რაკილა დღითი დღე სულ უფრო შფოთავდა, ვაითუ მამამ გოგოს იქნებ არა და ბიჭს მაინც უამბოსო იმ ჩვენი ძველი საქმის შესახებ; ბ-ნი კოულდფილდი არ იყო დარწმუნებული, ჩემი სიძე იმ ამბავს სამუდამოდ ჩაიმარხავსო გულში. მამიდა კი იყო გადაკარგული, მაგრამ რაღაც მანქანებით, თითქოს ამ ქალს ასე უანდერძებია, ყოველ გამგზავრებაზე ისევ განახლდებოდა ხოლმე ადრინდელი სასტიკი შეტევა, თუმცა ახლა ეს შეტევა უფრო გააფთრებული ჩანდა იმ მტრის წინააღმდეგ, რომელმაც არც კი იცოდა ამ თავს მოხვეული ომის შესახებ. და რაკი ახლა მამიდა გადაკარგული იყო, ელენი გამოაკლდა ამ სამთა კავშირს, თუმცა მისს როუზა ცდილობდა, თავადაც არ უწყოდა ისე, ორთა მარაქა შეექმნა. სულ მარტოდ დარჩენილს, იმ კაცის პირდაპირ სასადილო მაგიდასთან მჯდომარეს ელენის მხარდაჭერაც კი აღარ ჰქონდა ახლა (მეტამორფოზა მოსვლოდა იმხანად ელენს და სრულიად გამოცვლილს შეედგა ფეხი თავისი ცხოვრების შემდეგ ხუთწლეულში); ხოდა, იჯდა მაგიდასთან, პირდაპირ შესცქეროდა თავის მტერს, რომელმაც არც კი იცოდა, რომ ის მასპინძელი და სიძე კი არა, დაზავების მონაწილეთაგან ერთ-ერთი გახლდათ. სატბენს ორჯერაც კი არ

გაუხედავს ამ პატარა გაჩინებული გოგოსკენ, რომელიც გაზრდილი კი, თავის სავარძელში მჯდარი, ვერ მიწვდებოდა ფეხებით იატაკს; თუმცა ის კაცი თავის ოჯახსა და შვილებსაც ასეთივე ყურადღებით ეკიდებოდა: ასევე ელენსაც, ვინც, მართალია, დასავით ძვალწვრილი იყო, მაგრამ მასთან უმჯობესად უნდა ეკიდებოდა (ვინ იცის, გაჭირვება რომ არ გადაეტანა ამ ქალს მაშინ, როცა კაციც ვერ შოულობდა თავის სამყოფ ლუკმაპურს, და უზრუნველად ეცხოვრა სიცოცხლის ბოლომდე, მართლაც იქნებოდა ჩასუქებული თუ არა, საამოდ ნაკვთებისრული, ჭლაროსანი ქალი, ჯერ კიდევ თვალმახარა, მკრთალი ვარდისფერი რომ შერჩენოდა ნახევრად-დამჭკნარ ლოყებზე, ხოლო ბეჭდიანი, პატარა ფუნთულა თითებით შემკული ფაფუკი ხელები საკმლის წყნარ მოლოდინში მაგიდაზე, ჰევილენდური სერვიზის სიახლოვეს, ბროლის ქალის ქვეშ დაეწყო); მამის ყურადღებას მოკლებული იყო ჯუღითიც, ამ გოგოს სიმაღლეში უკვე ელენისთვის გაესწრო, და ჰენრიც, რომელიც თექვსმეტისა გამხდარიყო და არც ისეთი მაღალი ჩანდა. თოთხმეტი წლის ჯუღითს მართლაც მაღალი ეთქმოდა და ასე ეტყობოდა, მამასაც გაუსწორდებოდა სიმაღლით; სუფრასთან იშვიათად თუ დაილაპარაკებდა მისს როუზა, რომელსაც ნაკვერჩხლებივით ანთებული თვალები თითქოს რბილ ცომში (თუ შეიძლება ასე ვთქვათ) ჩაჭდებოდა, რალაც უცნაური თავისფერი თმა კი, რომელსაც ზოგჯერ თუ მოხვედრია მზის სხივები, ფაქიზად გადაევარცხნა; ჯუღითს დედის თმა გამოჰყოლოდა, მამის—თვალები, ჰენრის კი შავი-მოწითურო თმა ჰქონდა—ერთდროულად დედისა და მამის თმის მსგავსი, თვალები — თაფლისფერი; ამ კაცისთვის შეუმჩნეველი რჩებოდა მისს როუზას გაჩინებული სხეულიც, გასაოცარი და პარადაროული სულ უკანასკნელ წუთს ეთხოვა ვიდაცასთვის სამასკარადო სამოსელი და ასე გამოწყობილი წასულიყო იქ, სადაც გული არ მიუწევდა — ხოდა, ასეთი იყო ეს ქალი, ვისაც თავისი ნებით არჩევანი გაუკეთებია და გამოუქვტავს საკუთარი თავი, ვისაც ვერა და ვერ უსწავლია გულდამშვიდებული ან თუნდაც თავის ბედს შერიგებული სუნთქვა და ჯერ კიდევ ტანჯვა-ვაებით სწავლობს ცხოვრებას, თავისი ქალური სისხლისა და ხორცის ხვანჯებში ვაბმული თავის დაღწევას იმით ლამობს, რომ მოწაფე გოგოსავით ლექსებს თბზავს აწ უკვე გარდაცვლილ ადამიანებზე. მისი სახე, ყველაზე უფრო პაოცებული და ღრმად ჩაფიქრებული მისჩერებოდა, თითქოს მას მართლაც და ეუბნებოდა გული იმას, რაც ნელ-ნელა მონანაობს, მოჰყვება მოვლენებს (ანუ დროებას); და ეს გულისთქმა მას მოუპოვებია თუ გამოუზრდია დაკეტილ კარებზე მიყურადებით, თუმცა არ ესმოდა, რასაც იქ ლაპარაკობდნენ; შეუჭირველიცა და გულისხმიერიც შექმნილიყო ერთდროულად, წართმეოდა აღქმისა და გარჩევის უნარი; მიდარაჯებულსა და მიყურადებულს მომავალი უბედურების ციებცხელებიანი მოლოდინი დაუფლებოდა, და არცთუ უსაფუძვლო იყო ეს გულისთქმა, სიმართლესაც შეეფერებოდა ზოგჯერ მისი წინასწარხედვა, და იმ მომავალი კატასტროფის სურათში იმისი ბავშვობისდროინდელი კაციჭამია დევი, როგორც ჩანს, იმდენად წარიხოცება და გაქრება, რომ მერე იმ კაცის ცოლობაზეც არ იტყვის უარს.

შეიძლება მაშინ უკანასკნელად ნახა ის კაცი ამ გოგომ, რადგან თავი დაანებეს იქ სიარულს. ბ-ნმა კოულდფილდმა დაანება თავი, გარკვეული დღე ამ სტუმრობისათვის არც არასდროს ჰქონდა დაწესებული. დილას ადგებოდა



ხოლმე და საუზმეზე ჩამოდიოდა თავის სქელ შავ სერთუკში გამოწყობილი, ამ ჩასაცმელში ჯვარი დაიწერა მან და ელენის გათხოვებამდე ორმოცდათორმეტჯერ იცვამდა წელიწადში, ხოლო მამიდას გადაკარგვის შემდეგ ეცვამოცდაცამეტჯერ. დაბოლოს, ერთ დღეს სხვენზე აძვრა, კარი შეიჭრნენ და აქცედა, ჩაქუჩი გადმოისროლა სარკმლიდან და კიდევაც მოკვდა იქ. ხოდა, წასვლას რომ გადაწყვეტდნენ, საუზმის მერე მისს როუზა გავიდოდა და დაბრუნდებოდა შავი ან ყავისფერი აბრეშუმის ამაზრზენი კაბით, რომელიც მამიდამ კარგა ხანია შეურჩია და კვირადღეს და სხვა საზეიმო შემთხვევაში თუ ჩაიცვამდა ხოლმე, მერე კი მთლად დაეძინა. მამა რომ მიხვდა, ჩემი დაი აღარ დაბრუნდებოა, ნება დართო შეიღს მისი ტანისამოსის ჩაცმისა, სახლში რომ დარჩა გაქცევის ღამეს. მერე ისინი ეტლში სხდებოდნენ და მიემგზავრებოდნენ, სადილი აღარ სჭირდებოდა იმ დღეს და ბ-ნი კოულდფილდი თავის ორ ზანგის ქალს ხელფასიდან იმისი მომზადების საფასურს გამოუქვითავდა (ასე ამბობდნენ ქალაქში), და რაკი იმათ გუშინდელი საჭმლის ნარჩენი უნდა შეეჭამათ, საზღაურსაც მოსთხოვდა. მერე კი მთელი წელიწადი აღარ წასულან იქ. როგორც ჩანს, ბ-ნი კოულდფილდი საუზმეზე აღარ გამოსულა თავის შავ სერთუკში გამოწყობილი და იმიტომ; დღეები გადიოდა, აღარ იცვამდა ის კაცი ამ სერთუკს და მორჩა, იქნებ ფიქრობდა, რაკილა შეილიშვილები მომესწრნენ, ჩემი მოვალეობა მოხდილი მაქვსო. მართლაცდა ჰენრი ოქსფორდს, შტატის უნივერსიტეტში წასულიყო, ჯუდიტი კიდევ უფრო შორს — ბავშვობა დაეგდო, ქალობაში გადასულიყო და უფრო მიუწვდომელი გამხდარიყო ბაბუასთვის, ვისაც სიცოცხლეში ცოტას თუ ხედავდა და შესაძლოა ნაკლებადაც ედარდებოდა; ხოდა, ახლა იმ ასაკში იყო ჯუდიტი, როცა თითქოსდა მინაში ჩანან გოგონები, ხმასაც ვეღარ მიაწვდნთ იმათ, როცა კი შეაბიჯებენ (სწორედ ასეთი იყო ეს ქაჯანაც, ვისაც უყვარდა სირბილი და ძრომიალი, ცხენის-ჭენება და ჭიდაობა) მარგალიტისამებრ უჩრდილო ბრწყინვალებაში და თავდაც გადასდით ბრკიალი; უცხო, ზეგარდმოულ შეუცნობელ ნისლოვანედში მილივლივებენ უხორცონი და სათნონი; მიჰყვებიან დინებას და არ ეძებენ რამეს მოლოდონის ბურუსში დანთქმულნი, მოშვებულნი — ძალითა და ნათლით მოსილნი მიიწევენ, ვიდრე თავისთავად იმათი გენები არ გარდაისახება და არ წარმოაჩენს იმათ ზურგს, მხრებს, მკერდს, გვერდებს, თეძოებს.

ახლა კი ის პერიოდი დაწყებულიყო, სრული მარცხით რომ დასრულდა და რომელმაც ისე გამოცვალა მისს როუზა, რომ დათანხმდა ცოლად გაყოლოდა იმ კაცს, ვინც კაციჭამია დევი ეგონა ბავშვობიდანვე. ხასიათი კი არ შეცვლია მისს როუზას, არც საქციელი, ჩარლზ ბონი რომც არ მომკვდარიყო, როგორც ჩანს, ის მაინც გადავიდოდა სატბენის ასეულში საცხოვრებლად ადრე თუ გვიან მამის სიკვდილის შემდეგ, და რაკი ასე გადაწყვიტა, იქნებ ყოფილიყო აქ სიცოცხლის ბოლომდე. მაგრამ ბონს რომ ეცოცხლა და ის და ჯუდიტი დაქორწინებულიყვნენ, ჰენრიც რომ სადღაც არ გადაკარგულიყო, მაშინ მოვიდოდა აქ, როცა მოისურვებდა, და თავისი განსვენებული დის ოჯახში იცხოვრებდა როგორც დეიდა, და მართლაც ხომ ასე იყო, მისი ხასიათი კი არ შეცვლილა, მიუხედავად იმისა, რომ ექვსი თუ შვიდი წელიწადი ნამდვილად არ ენახა ეს კაცი, ხოლო ოთხი წელიწადი მამისთვის ჩუმად აჰქონდა საჭმელი სხვენზე, როდესაც იგი ემალებოდა კონფედერატების სამხედრო პოლიციას. სწორედ ამ დროს ეს გოგო ქებათა-ქებას ასხამდა ლექსებით იმ ხალხს, ვისაც მამა გამოქცევდა, და რომ დაეჭირათ, გაუსამართლებლად დახვ-

რეტდნენ ან ჩამოახრჩობდნენ, რომელთა შორის მისი ბაღლობის დროინდელი კაციჟამია დევიც იქნებოდა. (ლის საკუთარი ხელით დაუჭილდობია მამაკობისთვის და ასე ღირსეულად დაბრუნებულიყო სახლში). სახე, რა სახეც კონდა მისს როუზას, როცა იქ გაემგზავრა, სადაც უნდა გაეტყუებინათ თვეები დარჩენილი დღეები, იყო იგივე სახე, სასადილო მაგიდის მეორე მხარეს მჯდომარეს რომ გასცქეროდა და რომელზეც ეს კაცი ვერ იტყოდა, თუ როდის, სად ან რამდენჯერ ჰყავდა ნანახი, ხოლო მიზეზი ამისა ის კი არ იყო, რომ არ ძალუძდა მისი დავიწყება, არმედ ის, რომ შესაძლოა მიტრიალებულიყო და ათი წუთის შემდეგ ვერც აღეწერა ეს სახე, თუმცა ახლა ბავშვი კი არა, ქალი მოსჩერებოდა პირქუშად და ცივად.

თუმცა რამდენიმე წელიწადი კიდევ აღარ შეხვდებოდა იგი სატპენს, თავის დასა და დისშვილს კი ახლა უფრო ხშირად ხედავდა. ელენი ახლა უფრო მოახლოებოდა იმ ამბავს, რისთვისაც მამიდას შეეძლო ღალატი დაერქმია, თითქოსდა არა მართო შეგუებოდა და აეტანა თავისი ყოფა და ქორწინება, კიდევაც ამყობდა ამით ნამდვილად; ვარდისებრ გადაიფურჩქნა, დედაკაცის ჩვეულებრივი ზაფხულის ხანა დადგომოდა, როდესაც თანდათან იფურჩქნება ქალი და თავისი მშვენების მწვერვალს მიტანებული ექვსი თუ რვა წელიწადი გრაციოზულად ჰქნება მერე, მაგრამ ელენს ეს ხანი ბედმა სამი თუ ოთხი წლით შემოუსაზღვრა, იქნებ იმის სანაცვლოდ, რაც უნდა მომხდარიყო, ან იქნებ გასასტუმრებლად იმ ვალისა, რომლის თამასუქებზეც მას — ბედის, ბუნების მეუღლეს ხელი მოეწერა. სადაცაა ორმოცი წლისა გახდებოდა, ხორცსავსე იყო, ერთი ნაოჭიც კი არ ჰქონდა სახეზე. თითქოსდა წლების მანძილზე, მამიდას გადაკარგვამდე, ამ ქალის გამოწრობილ ხორცს წარეხოცა მისი სახიდან ამ სამყაროსეული სულის მიმძლავრების ყოველგვარი ნიშანი, იმის ჩონჩხსა და გარსში ჩაქდებული. ამ ქალის იერი თითქმის დედოფლისა შექმნილიყო, იგი და ჯუღითი ახლა დიდებული ეტლით მიემგზავრებოდნენ ქალაქს სტუმრად იმ ქალებთან, რომელთაგან ზოგიერთი უკვე ბებია გამხდარიყო, სწორედ იმათი მოყვანა უნდოდა ძალით ქორწილზე მამიდას ამ ოციოდე წლის წინათ, საქონლის სიმწირის მიუხედავად საყიდლებზეც რჩებოდნენ; თითქოსდა ამ ქალს საბოლოოდ უკუეგდო არა მართო პურიტანული მემკვიდრეობა, რეალობაც; ჩრდილებად გადაექცია თავისი დაუდეგარი ქმარი და გამოუცნობი შვილები; დაბოლოს, სუფთა ილუზიების სამყაროში გაბიზნული და თავშეფარებული, დადიოდა და მოძრაობდა, ვითარცა დიასახლისი დიდი მამულისა და უბედნიერესი შვილების დედა. საყიდლებს რომ მორჩებოდა (ოციოდე დუქანი იყო ახლა ჯეფერსონში), ეტლიდან ჩამოუსვლელად, თავაზიანი და თავდაჯერებული, სისულელეებს ლაქლაქებდა, საკუთარი თავისთვის მოხეტიალე პერცოგინიას როლი შეეთხზა და უმიწაწყლო ურჩ გლეხებს ხელში აჩეჩებდა ბუტაფორიულ სუპებსა და წამლებს, არადა, მხნეობა რომ გამოეჩინა და მწუხარებისთვის გაეძლო, შეიძლებოდა ნამდვილად დედოფალი გამხდარიყო და ბუხართან მჯდომარეს მედიდურად ემართა ოჯახი, იმის მაგივრად, რომ უკანასკნელ წუთებში ჯერ კიდევ ბავშვი — თავისი დაი მოეხმო და ეთხოვა, შენ უნდა დაიცვა ჩემი შვილებიო.

კვირაში ორჯერ და ხანდახან სამჯერაც ორივენი ქალაქსა და მამისეულ სახლსაც ესტუმრებოდნენ; ერთი გახლდათ რეალობის გრძნობას მოკლებული, მოსულელო, ენად გაკრეფილი თავშენახული ქალი, რომელსაც უკვე ექვსი წელიწადი აღარაფერი ესმოდა ამ ქვეყნისა, რომელმაც მამის ოჯახი ცრემლ-

ჩამომდინარმა დატოვა და სტიქსის მჭვუნვარე მხარის მსგავს ჩრდი-  
ლებით მოცულ არემიდამოში შვა ორი ბავშვი და მერე, ვითარცა ქაობის  
პეპელა, სტომაქით შეუჭირვებელი, ტანჯვა-ვაებისა და გამოცდილების სიმძი-  
მისაგან განთავისუფლებული ცის ტატნობზე დამდგარი შხის ბრწყინებულ სი-  
ცარიელეში ზეაჭრილიყო; და კიდევ ჯუდიითი — სიზმარულ ~~ზმანებში~~ დან-  
თქმული გოგო, ვის ყოფასაც ცხოვრება აღარც ეთქმოდა და ყურს დამსგავ-  
სებოდა სრულიად განდევილი და შეუვალი. მთლად არარაღებულნი იყო  
იმათთვის ახლა მისს როუზა, როგორც ბავშვი, აწ დაქარგული მამიდის შეუ-  
ნელებელი და მომნელებელი ზრუნვისა და ყურადღების საგანი და მსხვერპლი,  
როგორც ქალი, ვისთვისაც სახლის მეურვეობა დაევალებინათ და, რაღა თქმა  
უნდა, როგორც ამ ბავშვების ნამდვილი დეიდა. და ძნელი იყო იმის თქმა,  
ორიდან რომელი, დაი თუ დისშვილი იყო არარეალური მისს როუზასთვის —  
უფროსი, ვინც სინამდვილეს გამოქცეოდა და თოჯინებით დასახლებულ სა-  
ამურ მხარეს შეფარებოდა, თუ გოგო, ვინც მძინარეს ჰგავდა, ვისი ყოფაც  
სრულიად დამგვანებოდა ფიზიკურ არსებობას იმ ნაყოფისას, რომელიც ჯერ  
კიდევ არ დაბადებულყო და ვინც ელენივით უფრო მეტად დაცილებოდა  
რეალობას; კვირაში ორჯერ, ზოგჯერ სამჯერადაც მიდიოდნენ ბაბუასთან, ხო-  
ლო ერთ ზაფხულს, მაშინ ჯუდიითი ჩვიდმეტი წლისა გამბდარიყო, გზად შე-  
ჩერებულან მემფისში მიმავალნი, სადაც ამ გოგოსთვის რაღაც-რაღაცები  
უნდა ეყიდათ სამზითვოდ.

ზაფხულს მოხდა ეს ამბავი, ჰენრი უკვე უნივერსიტეტში სწავლობდა  
ერთი წელიწადი და საშობაოდ ჩარლზ ბონი ჰყავდა ჩამოყვანილი. ხოდა, ახ-  
ლა საზაფხულო არდადეგებზე დაეპატიებინა იგი ერთი ან ორი კვირით,  
ვიდრე ბონი ცხენით მდინარისაკენ არ აუყვებოდა და მერე იქიდან გემით მინ,  
ნიუ-ორლეანს არ გასწევდა; იმ ზაფხულს სატპენი საქმეზე იყო წასული, ასე  
უთქვამს ელენს, რომელიც, თქმა არ უნდა, ვერც ჩახვდებოდა — სწორედ ასე  
ცხოვრობდა იმხანად იგი — რომ არც კი იცოდა, სად იმყოფებოდა მისი ქმა-  
რი, და ვერც ის ეგრძნო, რომ არც აღარდებდა ეს ამბავი. შენს ბაბუას და იქ-  
ნებ კლიტის გარდა ვერავინ გაიგო, რომ სატპენი ნიუ-ორლეანს წასულიყო.  
ხოდა, შედიოდნენ ამ სევდისმომგვრელ, ბნელ, ვიწრო, პატარა საბლში, სა-  
დაც გაპარვიდან ოთხი წლის შემდეგაც თითქოს მამიდა ისევ იდგა კარის სა-  
ხელურს ჩაჭიდებული, სადაც ელენი მთელი ათი თუ თხუთმეტი წუთი ქადა-  
გად ეცემოდა და მერე წავიდოდა და თან წაიყვანდა თავის სიზმარულ, გულ-  
გრილ და ჩუმ ქალიშვილს; ხოლო მისს როუზა, ვინც, მართალია, ამ გოგოს  
დეიდა იყო, მაგრამ ასაკის მიხედვით მისი დობა უფრო შეეფერებოდა,  
ელენს ყურადღებას აღარ აქცევდა, ბუნდი, მოწყენილი თვალებით მის შეუ-  
ვალ გოგოს უკან მისდევდა, კეთილი გულით გადაჰქონდა ჯუდიითზე თავისი  
ბედკრული და გაცუდებული სიყმაწვილის განუხორციელებელი ოცნებები  
და იმედები, და შესთავაზა ის ერთადერთი საბოძვარი (ამის შესახებ თავშე-  
საქცევად და კისკისით არაერთგზის მოუყოლია ელენს), რაც მას გააჩნდა,  
ანუ, სახლის მოვლას, მენიუს შედგენასა და თეთრეულის დათვლას გასწავლიო.  
მაგრამ პასუხად უაზრო, უძირო თვალებით გამოხედეს და ესლა გაიგონა:  
„რაო? რა ბრძანე?“ გაოცებულმა ელენმა კი გადაიკისკისა. ხოდა, გაქრა კი-  
დეც ეს ყველაფერი — ეტლი, ფუთები, ელენის აბდაუბდა საუბარი, სიზმა-  
რული ხილვებით მოცული დისშვილი. შემდეგ რომ მოვიდნენ ქალაქსა და

ეტლი ბ-ნ კოულდფილდის სახლთან გააჩერეს, ერთი ზანგის გოგო გამოვიდა იქიდან და თქვა, შინ არ არისო მისს როუზა.

იმ ზაფხულს ერთხელ კიდევ შეხვედრია მისს როუზას ჰენრი. შარშანდელ ზაფხულს მერე არ ენახა იგი, თუმცა საშობაოდ კი იყო ჩამოსული ჩარლზ ბონთან — თავის უნივერსიტეტელ მეგობართან ერთად, კი ჰქონდა გაგონილი არდადეგების დროს სატპენის ასეულში გამართული მეჭლისებნისა და საღამოების შესახებ, მაგრამ აღარც ის და აღარც მისი მამა იქ არ მოსულან. და როდესაც ჰენრი ბონთან ერთად შობის შემდეგ სასწავლებლად ბრუნდებოდა, გზად დეიდის სანახავად შეუვლია, მაგრამ ის ქალი მართლაც არ ყოფილა სახლში. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, შემდგომ ზაფხულს უნახავს ჰენრი მისს როუზას ქალაქში — საყიდლებზე გასულიყო ეს ქალი, ქუჩაში შენს ბებიას ელაპარაკებოდა, როცა ცხენით ჩამოიარა მან, დეიდა კი არ დაუნახავს, მამის ნაჩუქარ ახალ ლაფშა ცხენზე იჯდა, სერთუცი ეცვა და შლაპა ეხურა, დაკაცებულიყო; შენი ბებია ამბობდა, მამასავით მაღალი კი იყო და ლაფშას იმასავით მედიდურად მოქცეოდა ზურგზე, მაგრამ სატპენივით ძვალმსხვილი არ იყო და თუმცა მისი ძვლები გაუძლებდა ამ მედიდურობას, მაგრამ მამამისის გულზვაობას კი ვერ შეძლებდაო ჯერაც. რადგან სატპენსაც მიუძღოდა ამაში წვლილი. ბევრ რამეში გარყვნა მან ელენი. უდიდესი მიწისმფლობელი და ბამბის მწარმოებელი შექმნილიყო ახლა იგი ამ არემიდადმოში, კარგად მოეხერხებინა ეს ყველაფერი, სწორედ ისევე აიშენა სახლი ერთი ფიქრითა და დაუოკებელი ძალისხმევით მომართულმა, როცა სრულიად არ უწევდა ანგარიშს იმას, როგორ შეხვდებოდნენ ქალაქში მის საქმეებს, იმას, რაც შეეძლოთ დაენახათ და იმასაც, რის დანახვაც არ შეეძლოთ, უნდა წარმოედგინათ მხოლოდ. ამ კაცის თანამოქალაქეთაგან ზოგი ამასაც კი ფიქრობდა, ერთი ჯადოქარი ზანგი ჰყავს გადამალულიო; ზოგი კი ამბობდა, თავისი ნამდვილი ძირითადი საქმიანობის დასაფარავად სჭირდებოდა პლანტაციას; ზოგს ასე გაეგონა, რაღაც მზაკვრობით პატიოსან ხალხს აჯობა და ბაზარზე უფრო ძვირად გაყიდაო თავისი ბამბა; ზოგი კი დარწმუნებული იყო, აქ ჩამოყვანილმა მისმა ველურმა ზანგებმა რაღაც ჯადო მოიშველიეს და თავის აქაურ თანამოძმეებთან შედარებით ერთ აკრ მიწაზე უფრო მეტი ბამბა მოიყვანესო. ქალაქში არ უყვარდათ ეს კაცი (თავს არც იკლავდა, როგორც ჩანს, ამის გულისთვის), მაგრამ შიში კი ჰქონდათ იმისი, და ეს ამბავი თუ არ სიამოვნებდა, ართობდა მაინც. თუმცა მიღებით კი მიიღეს, რადგან ცხადი გახდა, ძალიან ბევრი ფული ჩაეგდო ახლა ხელში და ამ კაცის უარყოფა ან აშკარად მიმძლავრება უკვე აღარ შეიძლებოდა. თავისი საწადელი აისრულა — კარგი პლანტაცია გააშენა (ზედამხედველიც კი ჰყავდა ერთი, ვაჟი იმ შერიფისა, რომელმაც დაწინდვის დღეს სასიამაოროს სახლის კართან დააპატიმრა) თავისი ქორწინებიდან ათი წლის განმავლობაში, და ახლა თამაშობდა კიდევაც თავის როლს — როლს მზვაობარი, შეუჭირვებელი და დარდიმანდი კაცისას, და ამ შეუჭირვებლობამ და დარდიმანდობამ მოასუქა, მცირეოდნავ გულზვიადი გახადა. დიახ, მან გარყვნა ელენი არა მარტო იმით, რომ თავისკენ მიიმხრო, თუმცა ამ ქალივით ისიც ვერ მიმხვდარიყო ამას — მათი გაფურჩქვნა ნაძალადევი ყვავილობა იყო, და ვიდრე ეს კაცი მაყურებლის წინაშე თავის როლს თამაშობდა სცენაზე, ამის მიღმა ბედისწერა, განგება, შურისგება, ბედის დაცინვა თუ რეჟისორი — რაც გინდა, ის უწოდე ამას — უკვე შედგომოდა სხვა სურათის გაწყობას და კიდევაც შემოჰქონდა სხვა ყალბი დეკორაციები ამისთვის. „მოდისო, აი...“

თქვა შენმა ბებია. მაგრამ მისს როუზამ უკვე დაინახა ჰენრი, გვერდით ედგა შენს ბებიას, ვისაც ძლივსლა სწვდებოდა მხრებამდე ეს გაჩინკული გოგო. მაშინდას რომ დაეტოვებინა სახლში, იმ კაბათაგან ერთ-ერთი თავის ზომაზე დაემოკლებინა და ჩაეცვა, თუმცა კერვა და ასევე სახლის მოვლა მისთვის არ უსწავლებიათ, მაგრამ კი ითავა ოჯახის გაძლოლა და ჯუდიტსაც უთხრა, შენც უნდა ისწავლოო ეს საქმე, მერე რა, რომ თავად არც საქმლის ვაჭრებზე უსწავლია ვინმესგან და არც სხვა რამე გარდა კარზე მიყურადებისა, იდგა ასე თავშალმოხვეული და თხუთმეტისა კი არა, ორმოცდაათი წლისა გეგონებოდათ, უმზერდა თავისი დის ვაჟს და ამბობდა, ჰაი... წვერს იპარსავსო უკვე.

შემდეგ ელენსაც კი აღარ ნახულობდა. უფრო სწორად, ელენი აღარ დადიოდა იმათთან სახლში, შეეწყვიტა თავისი ყოველკვირეული მგზავრობა და დუქნების ჩამოვლა, როცა ეტლში მჯდომარე ვაჭრებსა და მოსამსახურე ბიჭებს გამოუხმობდა და უბრძანებდა, გამოიტანეთ და მაჩვენეთო: ხოდა, იმათაც გამოჰქონდათ ჩასაცმელები, ზიზილპიპილები და ცუდმადები, თუმცა კარგად იცოდნენ, რომ ყიდვით არც არაფერს იყიდდა, ხელს შეავლებდა, აურდაურევდა ყველაფერს და უკანვე დაუბრუნებდა, და ამ დროს ლაპარაკობდა გაუთავებლივ, გულზვიადად კი არა, არც ცხვირაბზეკილი, თავაზიანად და ბავშვურადაც კი, სარგებლობდა რა ამ კაცების, ვაჭრების, მომსახურე ბიჭების მოთმინებით, ზრდილობითა და აშკარა უმწეობით; მერე წავიდოდა სახლში და აქაც ატეხავდა უსაგნო და უაზრო ხმაურს, შეუძლებელ და ჰკუამიუტანებელ რჩევას იძლეოდა მისს როუზას, მამისა და სახლის გამო, მისს როუზას ტანსაცმლის, ავეჯის განლაგების, საქმლის მომზადებისა და იმის შესახებაც, თუ რომელ საათზე უნდა დასხდნენ საუზმედ, სადილად თუ ვახშმად. დროჟამი კი მოწეულიყო უკვე (1860 წელი იყო, ბ-ნი კოულდფილდიც ვერ უარყოფდა ომის გარდუვალობას); სატპენის ოჯახის ბედ-იღბალიც ეს ოცი წელიწადი ჩუმი წყაროებით ნასაზრდოებ ჩუმ ველზე განრთხმულ ტბას დამსგავსებოდა, შეუმჩნევლად რომ მალლდება და მალლდება, ხოლო მზის სხივებით შეფერილ მის ზედაპირზე უშფოთველად ტივტივებს ამ ოჯახის ოთხი წევრი, და იგრძნეს კიდევაც პირველი მიწისქვეშა ბიძგები, იხილეს მცირე რამ ნაპრალობით გამომდინარე წყალი — მაცნე დედამიწის რღვევისა, და ეს მშვიდობიანი მცურავები უეცრად ერთმანეთს მიუტრიალდნენ; ოღონდ თავზარი კი არ დაცემიათ და არც განგაში აუტეხიათ, მხოლოდ ყური ცქვიტეს ქუშ-ქუშმად ჩამომზირალი ცის მნახველებმა, მაგრამ არც ერთს არ გადაუბიჯებია იმ ზღვარისთვის, როდესაც კაცი გახედავს მის შავსვიანობის თანამოზიარეთ და გულში გაივლებს ახლა სხვას რაღა უნდა ვუშველო, სჯობს საკუთარი თავის გადარჩენაზე ვიფიქრო, და ვერც მიმხვდარა, რომ სადაცაა გადააბიჯებს ამ ზღვარს.

ხოდა, იმათაგან აღარავის აღარ ნახულობდა მისს როუზა, არც არასდროს არ უნახავს მას ჩარლზ ბონი, ჰენრის მეგობარი, ნიუ-ორლეანელი ჩარლზ ბონი (და ვერც ნახავს ცოცხალს), ვინც არა მარტო რამდენიმე წლით უფროსი გახლდათ ჰენრიზე, საერთოდაც ცოტა ასაკგადაცილებული იყო უნივერსიტეტისათვის და არც შეეფერებოდა იმ ადგილს, სადაც სწავლობდა — მისიპიპის განაპირა, მივარდნილ მხარეს მდებარე პატარა ახალ უნივერსიტეტში, სამი ასეული მილით რომ იყო დაცილებული ბრწყინვალე, თითქმის უცხო სამყაროსეულ მის მშობლიურ ქალაქს, ბრწყინვალე, ელეგანტური ყმაწვილი კაცი, თავისი წლოვანებისათვის შეუფერებელი თავდაჯერებულო-

ბით რომ გამოირჩეოდა, ტანად საზომიერი, როგორც ჩანს, მდიდარიც, რომლის უკან მშობლების კი არა, კანონიერი მეურვის ჩრდილი იგრძნობოდა — ვინც იმხანად მისისიპის მიყრუებულ მხარეში ფენიქსად ჩანდა, ბავშვობის უქონელად, ქალისაგან უშობელად, დროის უმორჩილოდ და ვინც ისე აღრგავა პირისაგან მიწისა, მისი არც ძვალი და არც მტვერი დარჩენილა — უზადო მანერების ყმაწვილი, გულამაყი, წარმოსადეგი, ვისთვისაც მხედველობით არარაობა იყო სატპენის მედიდურობა, ჰენრი კი — ერთი სოფლელი ბიჭი და მეტი არაფერი. მისს როუზას იგი მხოლოდ წარმოდგენილი ჰყავდა ფიქრში, ოღონდ ელენის მონათხრობის მიხედვით კი არა; ზაფხულის პეპელასავით სრული სიმშვიდე დაუფლებოდა ელენს და ახლა უფრო მომატებოდა სიტუაფე და სიკობტავე, ნებაყოფლობით რომ უთმობდა თავის ნორჩ სისხლსა და ზორცს, მემკვიდრეს თავისი სქესისას, ზოგჯერ ხომ ისე ხდება, რომ საბედნიერო დღეებში ქალიშვილის ქორწილზე პატარძლად წარმოგვიჩენს თავს მისი დედა. ვინმე უცხოს რომ მოესმინა ელენის საუბარი, ასე იფიქრებდა, ჯვრისწერა უკვე მომხდარაო, თუმცა შემდგომი მოვლენების მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, ახალგაზრდებსა და მათ მშობლებს სიტყვაც არ ჰქონდათ დაძრული ამის შესახებ. ელენს ერთხელაც არ უხსენებია, ჯუდიტს და ბონს ერთმანეთი უყვართო. არც გადმოუკრავს ამის თაობაზე. სიყვარულს რაღა ხსენება უნდოდა, აწ უკვე გარდასული ხანის ამბავს. სწორედ ისევე, როგორც პირველი შვილიშვილის გაჩენის დღიდან ბებიას სიქალწულეს ვინღა იხსენებს. ბონს შესახებ ეს ქალი ისე ლაპარაკობდა, თითქოს მისი სახით სამი უსულო საგანი ან იქნებ სულაც ერთი წარმომდგარიყო. რაც მისთვის და მისი ოჯახისათვის სამგზის სანდომ-საამური უნდა ყოფილიყო: სამოსელი, ჯუდიტს რომ შეეძლო ჩაეცვა მეჯლისზე ან ცხენზე მჯდომარეს; ავეჯის ნაწილი, უფრო სრულად რომ გაუწყობდა სახლს და გაუუმჯობესებდა პირობებს, დაბოლოს მენტორი, ვინც სამაგალითო იქნებოდა ჰენრისთვის და გამოუსწორებდა სოფლურ ქცევას, მეტყველებასა და ჩაცმა-დახურვას, თითქოსდა დრო გაეცურებინა ამ ქალს. თითქოსდა წარსულში არც თავლობის თვე ყოფილა, არც არაფერი ცვლილება; მარად დაუმქცნარი, უსიცოცხლო, სიცარიელეში გამოკეტილი ნახატიდან ხუთი (ამყამად) სახე იმზირებოდა, რომელთაგან ყოველს არსებობის მწვერვალისთვის მიუტანებია და ფიქრებაშლილი გარინდებულა, განიცდის თავისი დიდი ხნის წინანდელ სიცოცხლესა და გარდაცვალებას, როდესაც ყოველივე, სიმხიარულე და სევდა-ვარამიც წარხოცილა და დანთქმულა ის სარბიელიც, რომელზეც მიმოდინდნენ, იფარებდნენ ნიღბებს, იცინოდნენ და ტიროდნენ. მისს როუზა ელენის მონათხრობს ყურს არ უგდებდა. პირველივე სიტყვას გაიგონებდა თუ არა, თვალწინ დაუდგებოდა მთელი სურათი, იქნებ მარტო ამ სახელითაც: ჩარლზ ბონი; თექვსმეტი წლიდანვე შინაბერა, ბრჭყვილა, ნათელმოსილი ილუზიებით გარემოცული, თითქოს თავის სიცოცხლეში პირველად შემოსულიყო ნაირფეროვანი ელნათურების შუქით განათებულ კაბარეში, სადაც მოზიმზიმე სინათლის ბრდღვიალში მირიადი მტვრის ბუსუსი დალივლივებს და მერე უცებ, წამის დაყოვნების შემდეგ, ფიცხლივ იწყებენ ტრიალს. ჯუდიტის ამბავი არ შეშურებია. თავიც კი არ შებრალებია, როცა ენად გაკრეფილ თავის დას ელენს შესცქეროდა და ტანთ ეცვა საშინაო კაბათაგან ერთ-ერთი, სახელდახელოდ გადაკეთებული (ელენის ნაჩუქარი ზოგჯერ ძველი იყო, უფრო ხშირად კი ახალი, მაგრამ სულ ყოველთვის აბრეშუმისა, რაღა

თქმა უნდა), მამიდას რომ დაეტოვებინა, როცა ცხენითა და სახედრით მოვაჭრეს-  
თან ერთად გაიქცა, ალბათ იმ იმედით ან იმ მტკიცე რწმენით, რომ არც არას-  
დროს ეტარებინა რაიმე მსგავსი. შეიძლება ეს იყო მისი როუზასთვის სასო-  
წარკვეთილების თანამდევი სიმშვიდე ან შვება, თავისი იმედების საბოლოო  
და სრული უარყოფის შედეგად მოგვრილი და ახლა ამ იმედების საბოლოოდ  
ჯუღითი სადაცაა ჯადოსნურ ზღაპრებს წარმოუჩენდა: მართლაც და ჯადოსნუ-  
რი ზღაპარით უამბო ეს ამბავი მოგვიანებით ელენმა შენს ბებიას, ოღონდ  
ეს ჯადოსნური ზღაპარი შეითხზა ქალთა ფეშენებელური კლუბისთვის და აქ  
გათამაშდა კიდევაც. მაგრამ მისი როუზამ ყოველივე ეს ჭეშმარიტებად, სარ-  
წმუნოდ და სამართლიანადაც მიიღო: ხოდა, ასეც უთქვამს, რაზედაც ელენს  
კვლავ (ბავშვური ხუმრობა იყო. ასე დასძინა მან) გაკვირვების  
სიცილ-კისკისით უპასუხნია. „ჩვენ კი ვართ იმ ბიჭის ღირსნი“, წამოცდენია  
მისი როუზას. „რაო? იმ ბიჭის ღირსნი? — ასე განუცხადებია ელენს, მგონია,  
ისევ გადაუკისკისებია, — რაღა თქმა უნდა, კი ვართ იმ ბიჭის ღირსნი —  
თუკი ასე გინდა თქვა. იმედი მაქვს, მიხვდები, რომ კოულდფილდები არავის  
დაუდებენ ტოლს და ჩვენთან დანათესაება ყველასათვის სასახელოა“.

რასაკვირველია, ამაზე ველარაფრი უპასუხნია, ანუ, როგორც უთქვამს  
ელენს, მისი როუზას არც უცდია პასუხის გაცემა. მხოლოდ გამოუცილებია  
ელენი და შემდეგ შეუდგა ჯუღითისთვის მეორე საჩუქრის მომზადებას, მე-  
ტის გაკეთება მას არც შეეძლო. ორ რაღაცას ჰფლობდა ახლა, მამიდამისს  
დაეტოვებინა მისთვის მემკვიდრეობად ეს მეორეც: სახლის მოვლა და კა-  
ბების გადაკეთება — ორივე ეს კარგად დაუსწავლია მას მერე, რაც მამიდა  
ფანჯრიდან გადაძვრა და გაიპარა, თუმცა ამ მეორე საჩუქარმა მოგვიანებით  
შეისხა ხორცი (როგორც იტყვიან, გამოხმაურება გვიან ჰპოვავ), რაკილა მა-  
მიდის გადაკარგვის უამს ჯერ კიდევ პატარა იყო და ამ გადაგდებულ სამო-  
სელს, თუნდაც რომ დაემოკლებინა, მაინც ვერ ჩაიცვამდა. ჩუმად დაუწყია  
თურმე ჯუღითისთვის სამზითვო კაბების შეკერვა. საკაბე ნაჭერი მამის დუქ-  
ნიდან წამოუღია. სხვაგან სადღა იშოვნინდა. შენს ბებიას უთქვამს ჩემთვის,  
რომ იმხანად მისი როუზას ფულის დათვლა არც კი შეეძლო, თეორიულად კი  
იცოდა მონეტების მნიშვნელობა, მაგრამ, როგორც ჩანს, ხელთ არც არას-  
დროს ჰქონდა ნაღდი ფული და რას დაითვლიდაო. კვირის გარკვეულ  
დღეებში კალათით ხელში ჩავიდოდა ქალაქს და ბ-ნ კოულდფილდის მითითე-  
ბისამებრ გარკვეულ დუქნებს დაივლიდა რაღაც-რაღაცების საყიდლად, მაგრამ  
ამ დროს რაიმე მონეტასა ან ასიგნაციას არ ახსენებდა არც სიტყვით და არც  
საქმით. მერე კი, ერთი დღის შემდეგ ბ-ნი კოულდფილდი გამოჰყვებოდა  
იმის ნაკვალევს — ქალაქზე ან კედლებსა და დახლებზე ნაჩხაპნ ანგარიშებს  
და გადაიხდიდა. მისი როუზას მამასთან უნახავს საკაბე ნაჭერი, თუმცა მის  
დუქანში ნაყარნუყარი საქონელია მოიპოვებოდა და შემოსავალი ისეთი  
მწირი იყო, რომ თავადაც და მის ქალიშვილსაც, როგორც ჩანს, საჭმელშიაც  
არ ჰყოფნიდათ, საქონელი კი არც მატულობდა და არც მრავალფეროვანი  
ხდებოდა. და სწორედ აქ მოვიდა მისი როუზა საშოვნელად იმ ნაჭრისა, რომ-  
ლითაც გოგოსთვის უნდა შეეკერა ინტიმური ჩასაცმელები, თუმცა მისივე სა-  
კუთარი საქორწილო მორთულობა შეიქნა ესენი მერე, და შეგიძლია ისიც წარ-  
მოიდგინო, თუ რას შეეკერავდა იგი, რას დაამსგავსებდა, როდესაც ისე მორჩა  
საქმეს, არავინ არ დახმარებია. არც არავინ იცის, როგორ წამოუღია მამამი-  
სის დუქნიდან ის ნაჭერი, ამ კაცს იმისთვის არაფერი არ მიუცია, თავის შვი-

ლიშვილ გოგოს უთუოდ არ მოაკლებდა ჩაცმა-დახურვას ეს კაცი, თუკი შიშ-ველ-ტიტველს, შემოგლეჯილი ტანსაცმლითა ან სიცივისაგან აკანკალებულს დაინახავდა, მაგრამ საქორწილოდ უნდა გამოვაწყოო, ამისთვის თავს არ შეიწყუბებდა. ხოდა, მე ვფიქრობ, მოუპარავს სულაც. სწორედ ასე იყო. ცხვირწინ ააცლიდა მამამისს (ისეთი პატარა გახლდათ ის დეჟანი, რომ თავად ემსახურებოდა და სადაც არ უნდა მჯდარიყო, ყველაფერს ხედავდა) — უსიყვრელილო სითამამით, ქურდბაცაცა ქალებს რომ ახასიათებთ, ან სულაც, მე ვფიქრობ, სასოწარკვეთილებამდე მისულს უბრალოდ ხრიკი უხმარია და სულ ადვილად გაუცურებია მამა.

ხოდა, მერე აღარც კი უნახავს ელენი. როგორც ჩანს, ელენს უცვვე ალესრულუბინა თავისი დანიშნულება, გაუსრულებია ნათელმოსილი, უსაგნო შუადღე და მიმწუხრი პეპლის სიცოცხლისა და გამქრალა, თუ ჯეფერსონიდან არა, თავისი დის თვალსაწიერიდან მაინც; და იგი აწ მხოლოდ ერთხელ ნახავს მომაკვდავს, ჩაბნელებულ ოთახში მწოლარეს: მსახვრალ ბედისწერას უკვე გამოეღო ხელი და შეემუსრა შავი საძირკველი ამ სახლისა და ორი დედაბოძიც გამოუცლია — ქმარი და ვაჟიშვილი, ერთი სამკვდრო-სასიცოცხლო ომში წავიდა, მეორე კი გადაიკარგა, წარიხოცა მუხსიერებიდან. სადღაც გაქრა და მორჩა. მისს როუზას ყური მოუკრავს ამ ამბისთვის მაშინ, როცა მთელი დღეები (და ღამეები, იმის მოლოდინში, როდის დაიძინებდა მამა) ჰქონდა გასწორებული და თუმცა კი იყო უმეცარი ამ საქმისა, მაინც კერავდა თავისი დისშვილის სამზითვო სამოსელს და არა მარტო მამას, იმ ორ ზანგის ქალსაც უმაღავდა, ვაითუ გამოქვანო ბ-ნ კოულდფილდთან; მაქმანებს ქსოვდა დაბალულ ძაფებისა და დარღვეულ ზონართაგან და იმით აწყობდა სამოსელს იმ დროს, როცა ლინკოლნის არჩევისა და სამტერის შემუსვრის ამბავი გაიგო, მაგრამ გულთან არ მიუტანია ეს ცნობა, მისი ქვეყნის სამწუხარო და სამგლოვიარო ზარი ჩაიკარგა იმ სამოსელზე მოთმინებითა და ოკრობოკროდ გამოყვანილ ნაკერებს შორის, თუმცა კაცთაგან არავის გულისთვის არ მოუხდებდა მისი ჩაცმა და განდა, იმათთაგან რომელიმეს ცოცხალსაც ველარ ნახავს ვერავის. ჰენრი სადღაც გაქრა და მორჩა; ქალაქს გაუგია და გაუგია მისს როუზასაც — შობის წინა არდადეგებზე კვლავ ჩამოსულან ორნივე, ჰენრი და ბონი, წარმოსადეგი და მდიდარი ნიუ-ორლეანელი, ამ ყმაწვილკაცის მის ქალიშვილთან დაწინდვის ამბავი დედას მთელ ქალაქში მოუფენია ამ ექვსი თვის განმავლობაში. ხოდა, კვლავ ჩამოვიდნენ და ქალაქში ყველა ელოდებოდა საზეიმო დღის გამოცხადებას, და უცებ რაღაც მოხდა. არავინ იცის, რა მოხდა, მგონია, ჰენრი და ბონი წაიკიდნენ ჯუღითთან თუ სამივე ყმაწვილს მშობლებთან მოუვიდა ჩხუბი. მაგრამ ასე იყო თუ ისე, დადგა შობა და ჰენრი და ბონი წავიდნენ. ელენიც არ გამოჩენილა მას მერე (როგორც ჩანს, შესულა ჩაბნელებულ ოთახში, სადაც დარჩენილა კიდევაც ორი წელიწადი სიკვდილამდე) და რაკი სატპენს და ჯუღითს სახეზე არც არაფერი დასტყობიათ და არც საქმითა და საქციელით გამოუმჟღავნებიათ რამე, ზანგების მონათხრობი მოუსმენიათ მხოლოდ — შობის წინა ღამეს ჩხუბი მოსვლიათ ბონსა და ჰენრის ან ბონსა და სატპენს კი არა, ვაჟიშვილსა და მამას, და ჰენრის სრულიად უარუყვია მამა და ასე განუცხადებია, არც შემკვიდრეობა მსურს და არც სახლი, სადაც გავჩენილვარო; უთქვამს ეს, შემსხდარან ის და ბონი ცხენებზე და წასულან იმავე ღამეს; დედას გული დაშანთვია — თუმცა ქალაქი კი მიმხვდარა, ჩაშლილ ქორწილს კი არ გაუმწარებია ეს ქალი, გონება დააკარგვინა



მის ცხოვრებაში რეალობის შემოჭრამ; ასე შეიბრალებენ ცხოველს და ვიდრე ყველს გამოსჭრიან, ყუით დაჰკრავენ ნაჯახს და გააბრუებენ.

ხოდა, აი რა გაუგია თურმე მისს როუზას. არავინ იცის, რა უფექტია მაშინ. ქალაქს ასე სჯეროდა, ჰენრის ახალგაზრდული სიფიცხით მოსვლით ეს ამბავი, თან ისაც სატპენი გახლავთო, დრო გაჰკურნავსო ყველაფერს, თქმა არ უნდა, სატპენისა და ჯუდიითის ერთმანეთისადმი და ქალაქისა და მისი უკიდურეს ბულებას გარკვეულწილად განუმტკიცებია ეს აზრი. ხშირად ჩამოდიოდნენ ისინი ქალაქს ეტლით და ასე ჩანდა, თითქოს მათ შორის არც არაფერი მომხდარა; მართლაცდა, ბონსა და მამამისს ჩხუბი რომ მოსვლოდათ, მაშინ ასე არ იქნებოდა და, როგორც ჩანს, არც ჰენრისა და მამას მოსვლიათ უსიამოვნება, რადგან ქალაქმა იცოდა, ჰენრისა და ჯუდიითის სიახლოვე უფრო მჭიდრო იყო და ამას ჩვეულებრივ დაძმურ სიყვარულს ვერ დაარქმევდით; გასაოცარი ჩანდა ეს სიახლოვე: რაღაც მგზნებარე და სასტიკი მეტოქეობა გვარდიული ნაწილის ორ მეზობლს შორის, რომლებიც ერთად ჰამენ და სვამენ, სძინავთ ერთ საბანქვეშ, სიცოცხლე ორივეს ერთნაირად შეუგდია სასწორზე და ერთმანეთის გულისთვის სიკვდილსაც არ გაექცევიან, ოღონდ ამ თავგანწირვის მიზანი ერთმანეთის დაცვა კი არა, ნაწილის შეუმუსრავი ზაზის შენარჩუნებაა. მისს როუზამ ესლა იცოდა. იმაზე მეტს ვერც გაიგებდა, რაც ქალაქს სცოდნია, რადგან ვინც კი იცოდა ეს ამბავი (სატპენმა და ჯუდიითმა და არა ელენმა, რომელსაც, ჯერ ერთი, არც არავინ ეტყოდა რამეს და კიდევაც რომ ეთქვათ, მაინც დაავიწყდებოდა, ვერც შეიგნებდა ელენი-ფარვანა, ვისაც გაუფრთხილებლად გამოაცალეს მზის სხივებით აელვარებული ჰაერი და დარჩენილი დღეები გაატარებინეს ჩაბნელებულ ოთახში, სადაც მწოლარეს ფუნთულა ხელები საბნის პირზე დაეწყო და იმის ზემოდან მომზირალ თვალებში ტანჯვა-ვაება კი არა, ყოვლისუცოდნელობა წარმოჩენილიყო), აღარაფერს ეტყოდა იმაზე მეტს, რასაც ამბობდნენ ქალაქში და სხვაგანაც. შეიძლება მისს როუზა კი მივიდა, შეიძლება კიდევ ერთხელ ეწვია ამ სახლს და მეტი აღარ. ბ-ნ კოულდფილდისთვის ასე უთქვამს, ისეთი არაფერი მომხდარაო იქ, და, როგორც ჩანს, თავადაც სჯეროდა ეს ამბავი, რაკი ჯუდიითისთვის საქორწილო სამოსლის კერვა გაეგრძელებინა.

ჯერ კიდევ არ მოემთავრებინა ეს საქმე, როდესაც მისისიპის შტატი გამოიყო და კონფედერატების ფორმიანი ხალხი პირველად გამოჩნდა ჯეფერსონში, სადაც პოლკოვნიკმა სარტორისმა და სატპენმა პოლკი შეადგინეს; 1861 წელს გზას დაადგა ეს პოლკი, პოლკოვნიკ სარტორისის ხელმარჯვნივ სატპენი მიდიოდა, მეთაურის მოადგილე გახლდათ, შავრა ულაყზე ამხედრებულიყო, სახელი უოლტერ სკოტის მიხედვით დაერქმიათ ამ ოთხფეხისათვის, პოლკის დროშა მოფრიალებდა იმათ ზემოთ, მისი და სარტორისის მითითებისამებრ შეეკერათ იგი სარტორისის ქალებს აბრეშუმის კაბებისაგან. ტანად სატპენი ახლა უფრო სრული შექმნილიყო, არა ისეთი, პირველად რომ შემოჭირითდა ჯეფერსონში 1833 წელს, და არც ისეთი, როდესაც იმან და ელენმა ჯვარი დაიწერეს. ზორცსავესე კაცი არ ეთქმოდა, თუმცა ორმოცდათხუთმეტს კი იყო მიტანებული. სიმსუქნე და ღიპი მოგვიანებით, უცებ დაეტყო იმ წელიწადს, როდესაც რაღაც მოხდა და მისი და მისს როუზას ქორწილი ჩაიშალა. მაშინ ამ ქალმა მისი კერა დატოვა, დაბრუნდა ქალაქს და მას მერესულ მარტოდ ცხოვრობდა მამისეულ სახლში, აღარც დალაპარაკებია მას, მხოლოდ ერთხელ მიმართა რისხვით, როცა გაიგო, მომკვდარაო იგი. სიმსუქნე



ლურსმნები, ჩაიკეტა და კარი დაჭედა, ჩაქუჩი კი სარკმლიდან გადმოისროლა. მზდელი არ ყოფილა ის კაცი. შეურყეველი ზნეობის კაცი გახლდათ, ახალ ადგილას რომ დასახლდა, მცირეოდენი საქონელი ჩამოიტანა თან და მთელი თავისი შემოსავლით მშვიდად და გაუჭირვებლად ინახავდა ხუთსულადან ოჯახს. თუმცა ამას უპატიოსნო ვაჭრობით თუ მოახერხებდა, რადგან ვერაფერს გახედებოდა თავის ღირსებაზე მიუმძლავრებლად და პატიოსანი ვაჭრობის ნიშნებს ბაბუას უთქვამს, იმხანად ისეთ მხარეში, მისისიპი რომ იყო, იმას ვერც ვხედავდით ლოდ ჩალის ქუდებით, ცხენის მოსართავეებითა და დამარილებული ხორციით დაიწყებდა ვაჭრობას, საკუთარი ოჯახი გამოამწყვდევდა ვითარცა კლემენტინით დაავადებულს საგიყეთშიო. მაგრამ მზდელი არ ყოფილა ის კაცი, თუმცა კი სისხლისღვრა და კაცისკვლა ისე არ აწუხებდა, ამბობდა შენი ბაბუა, როგორც ის ამბავი, რა ამოდ და სულ ტყუილუბრალოდ ნიავდება და ფუჭდებათ ამდენი სიმდიდრე.

მისს როუზას არსებობა ახლა საკუთარი და მამის სიცოცხლის შენარჩუნება იყო, ვიდრე დუქანს არ გაძარცვავდნენ, ჯერ კიდევ ჰქონდათ სურსათი. ბინდის დადგომისას ეს გოგო კალათით ხელში შეიპარებოდა იქ და იმდენი სანოვაგე მოჰქონდა, ერთი და ორი დღე რომ ჰყოფნიდათ, მაგრამ ის დუქანი ჯერ კიდევ გატეხვამდე რამდენიმე ხანი აღარ მარავდებოდა და უკვე მნიშვნელოვანწილად დაცარიელებულიყო; მისს როუზას არც არასდროს უსწავლია რამე სასარგებო საქმე, რადგან ასე ჩაეგონებინა მისთვის მამიდას, ნაზი არსება ხარ და თავიც უნდა დაიფასოო. ხოდა, მისი გაკეთებული საქმელი დღითი დღე სულ უფრო და უფრო უარესდებოდა, სულ უფრო და უფრო მწირი ხდებოდა, ღამით ააწვდიდა ხოლმე საკვებს მამას ჭის ოწინარის მეშვეობით, სხვენის სარკმელზე რომ იყო მიბმული. სამი წელიწადი ჩუმ-ჩუმად, ღამღამობით აჭმევდა კაცს, ვინც ეზიზღებოდა; ძლივსლა ეყოფოდა ერთ ადამიანს ეს საზრდო. იქნებ ჯერ კიდევ თავადაც არ უწყოდა ამ ზიზღის ამბავი და იქნებ ვერც ვერასდროს გაიგებდა ამას, ახლაც კი არ ეცოდინებოდა არაფერი; მაგრამ სამხრეთელი ჯარისკაცებისადმი მიძღვნილი სახობო ლექსი ათასი და კიდევ უფრო მეტი ექნებოდა იმ ჩანთაში, რომელიც შენმა ბაბუამ ნახა 1885 წელს, იმათაგან პირველს კი სწორედ თარიღად ჰქონდა ის პირველი წელი, როდესაც მამამისი ნებაყოფლობით ჩაიკეტა დილეგში, მაშინ, ღამის ორ საათზე დაუწერია თურმე ეს ლექსი მისს როუზას.

მერე კი მოკვდა ის კაცი. ერთ დილას აღარ გამოჩენილა კალათის ასაწევად მისი ხელი. ჯერ კიდევ ჩანდა მის კარზე ძველი ლურსმნები და მეზობლები მიეშველნენ მისს როუზას, ნაჯახით შეამტვრიეს სხვენი და იპოვეს ის, ვინც იმას შეესწრო, თუ როგორ მოუსპეს არსებობის ერთადერთი წყარო მისი მშობლიური კუთხის დამცველებმა, თუმცა კი მან უარყო ისინიც და მათი საქმენიც; სამი დღის ხელუხლებელი საქმელი ეწყო ლეიბის გვერდით, თითქოსდა ამ სამი დღის მანძილზე გონებაში ყოველგვარი ანგარიში გაესწორებინა ამ ქვეყანასთან, ყოველივე შეეჯამებინა და დაემტკიცებინა, და აწუკვე მკვდარი, აუმღვრეველი, უდრეკელი და მარად გამკიცხავი მზერა მიეპყრო მის თანამედროვე, აზრმოკლებულ, უკანონო და უსამართლო სამყაროსათვის. ახლა მისს როუზა არა მარტო ობოლი, ღარიბ-ღატაკიც შეიქნა. გამოცარიელებული შენობა ვირთხებმაც კი მიატოვეს, სახურავი და კედლებიღა დარჩა იმ დუქნიდან და იმ კაცის მოყვინებული სახელი, რომლის გაგონებაც აღარ სურდათ მეზობლებს, ქალაქსა და მეზობლ ქვეყანას; ის

ორი ზანგის გოგოც არ შერჩენოდათ. როგორც კი მისი საკუთრება გახდნენ (კი არ უყილია, სესხში მიუციათ), ამ კაცმა იმწამსვე გაანთავისუფლა ისინი, დაუწერა განთავისუფლების ქალაღი, რომლის წაკითხვა იმათ არ შეეძლოთ, ყოველკვირული ჯამაგირი დაუნიშნა, მაგრამ კი არ აძლევდა. მანა ზანგების საბაზრო ფასების მიხედვით უქვითავდა, ამის სამაგიეროდ ჯეფერსონის ზანგთაგან ერთ-ერთი პირველი ისინი გაიქცნენ და იანკების ჯარს გაჰყვნენ. მოკვდა ის კაცი და არ დარჩა არც ქონება და არც ფული. მათ უნდა, მისი ერთადერთი სიამოვნება სპარტანული ქონება კი არ იყო, ჯერ კიდევ ადრე, თავისი სიძის გამოჩენამდე რომ მოექუჩებინა; და არც ფული, მთავარი ის გახლდათ, რომ ჰფლობდა სულიერი კმაყოფილების ყულაბას, საიდანაც, ასე სჯეროდა მას, როდისმე შეიძლება საკუთარი თავგანწირვისა და ვაჟკაცობის საფასურად გადაეხადა: თქმა არ უნდა, სატპენტან საქმის დაჭერამ მას მხოლოდ ფული არ დააკარგვინა, არამედ ქონებაც, მისი ვაჟკაცობისა და თავგანწირვის სიმბოლო, რაც უნარჩუნებდა სულიერ გადახდისუნარიანობას და რაც, მისი რწმენით, მტკიცე და შეუვალი იყო. არადა, ისე კი მოხდა, თითქოსდა უმნიშვნელო შეცდომამ თარიღის დასმასა და ხელმოწერაში ერთი და იგივე ანგარიში ორგზის გაანაღდებინა.

ასე რომ, მისს როუზა ობოლიც დარჩა და ლარიბ-ლატაკიც, მის ახლობელთაგან შერჩა ჯუღითი და მამიდა, რომლის ამბავი ორი წლის წინათ გაიგეს. თურმე იანკების წინახაზი გადაექრა, ილინოისში მიდიოდა, იქ უნდა შეჩერებულიყო სადმე, როკ-აილენდის ციხის სიახლოვეს, სადაც მისი ქმარი იმყოფებოდა. ამ კაცს თავი გამოეჩინა და კონფედერატების ცხენოსანთა ნაწილებს სამარქაფო ცხენებითა და სახედრებით ამარაგებდა, ხოდა, ერთხელაც იყო და დაიჭირეს. ახლა ორი წლის მკვდარი იყო ელენი — პეპელა, ფარვანა, ქარაშოტმა რომ აიტაცა და კედელს გააკრა, ის კი ფრთხილებს უღონოდ, სიცოცხლეს კი არ ეპოტინება ძალუმად, ძალუმ ტკივილს კი არ განიცდის, რაკილა მეტად მსუბუქია, რომ რამე დაიშავოს, აღარც ის ახსოვს კარგად, როგორი ნათელი იდგა ამ სიცარიელეში ქარიშხლის ამოვარდნამდე, მხოლოდ გაოგნებული და თავგზააბნეულია — უბრალო, უმდგრადო გარსი თითქმის არც კი შეცვლია იმ ღუბჭირ წელიწადს, ნახევრად რომ შიმშილობდა, როდესაც სატპენტის ყველა ზანგი გაიქცა და გაჰყვა იანკების ჯარს; ტყუილად ჩამოიყვანა მან ზანგები და აქაურთა სისხლში იმათი სისხლის შერევას ამაოდ შეეცადა, თავისი გაიტანა ჩამოყვანილთა სიველურემ; სწორედ ასეთი მოთმინებით უნდოდა მას თავისი ულაცის სისხლი გაეუმჯობესებინა, თავისი სისხლიც ამდაგვარი მიზნისთვის სჭირდებოდა. და წარმატებაც ერთნაირი ჰქონდა: თითქოს მხოლოდ მის იქ ყოფნას შეეძლო შეენარჩუნებინა ამ სახლში ადამიანთა სიცოცხლე; თითქოს სახლებს მართლაცდა აქვთ რაღაც გრძნობიერება, მეობა და ხასიათი, და ამას სუნთქვა კი არ ანიჭებს იმ ხალხისა, ვინც აქ ცხოვრობდა და ცხოვრობს კიდევაც, არამედ ფიცარი და აგური ანუ რაღაც, ამ ფიცრითა და აგურით წარმოქმნილი, რაც მიანიჭეს იმ ადამიანმა თუ ადამიანებმა, რომლებმაც ეს შენობა ჩაიფიქრეს და ააშენეს; მტკიცედ და შეუპოვრად მიელტვოდა ეს სახლი უკაცურობასა და სიცარიელეს; გამუდმებით ეწინააღმდეგებოდა თავის მცხოვრებლებს და ველერაფერს გახდებოდნენ ვინმე უწყალო და ძალგულოვანი კაცის დაუხმარებლად. ელენს, რა თქმა უნდა, მცირეოდნავ დაეტყო სიგამხდრე, მაგრამ ამაშიაც დასაღუპად განწირულ პეპელას დამსგავსებოდა: ფრთები და ტანი რომ დაუპატრავდება, ხოლო

ფერადოვანი ნახატები სხეულის ამ ნაწილებისა მცირდება, ისე რომ, ნაოჭები სრულიად არ დარჩება; ხოდა, ახლა ბალიშზე მოჩანდა თითქმის გოგოსავით გადატყეცილი სახე (მისს როუზამ ახლად შეამჩნია, რომ ელენი, როგორც ჩანს, კარგა ხანია იღებავდა თმას), თითქმის ისევ ისეთივე ფუნთულა ბელები (ახლა უბეჭდებოდ) დაეწყო საბნის პირზე, დაბნეულობა და არტორდნა გამოსტვიოდა მის შავ თვალეში და ამცნობდა იქ მყოფთ, იმდენიღა უნდა ეცოცხლა, რომ სიკვდილის მომლოდინეს ეთქვა თავისი ჩვიდმეტი წლის დისტვის, ჩემი ერთი ბავშვი მაინც დაიცავიო (ჰენრი აღარსად ჩანდა, თავისი სურვილით უარი ეთქვა მემკვიდრეობაზე, ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო და არ გაესრულებინა თავისი ოჯახის საბედისწერო დრამა — და ამ ამბავს როგორც თქვა შენმა ბაბუამ, ელენი აღარ მოსწრებია, იმიტომ კი არა, რომ ქარის კვეთებას გაენადგურებინა და გაეცამტვერებინა ამაოდ მოფრთხილუ, ჯერ კიდევ ცოცხალი ფარვანა, უფრო ეს იყო, ძალა აღარ შესწევდა შეეგრძნო რამე, ქარი ან თუნდაც გრიგალი). ცხადია, მისს როუზა საცხოვრებლად ჯუდიითან უნდა გადასულიყო, ისიცაა ცხადი, რომ ეს ჩვეულებრივი ამბავი უნდა ყოფილიყო მისთვის, სამხრეთელი ქალბატონისთვის. დაძახება მას არ სჭირდებოდა. ის ხომ სამხრეთელი ქალი იყო. კაბიკი არ ებადა და არც ჰქონდა მომავლის იმედი, ისიც იცოდა, რომ ყველამ იცოდა, თავადაც კარგად რომ უწყოდა ეს ამბავი. ხოდა, შემოგეჭრება ასეთი ქალი საკუთარი ღამის ქოთნით და სამი ზანდუკით ბინაში, სადაც თქვენი მეუღლის ხელით ნაქარგ ზეწრებს შლის და არა მარტო მბრძანებლობას დაიწყებს ყველა მსახურზე, რომლებმაც იციან, შაურსაც ვერ მიიღებენ იმისგან, თეთრი ხალხისამებრ კარგად იციან, რომ ვერასდროს გამორჩებიან რამეს; სამხარეულოში შევა, მხარეულს გამოაძეგებს იქიდან და გათავდა, მორჩა გემრიელი საჭმელები. მაგრამ ესეც არ კმარა მისთვის, სულისა და ხორცის დასაბურებლად კიდევ უფრო მეტი სჭირდება: ვამპირისამებრ სისხლი უნდა გამოსწოვოს ყველას და ყველაფერს, მაგრამ ამ დროს მოუთმენლობა და სიმსუნაგე არ ეტყობა სახეზე, მშვიდი განცხრომით მყოფი ყვავილის ბრწყინვალეებით მოცული საზრდოობს იმ ძველი სისხლით — თავადაც რომ უჩქედს ძარღვებში — იმ ძველი სისხლით, უცნობი ზღვები და კონტინენტები რომ გადმოვლო და ბრძოლა გაუმართა უღრანში ჩაჩუმქრულ ბედისწერას.

სწორედ ამას მოელოდნენ იმისგან. მაგრამ ამო იყო ეს მოლოდინი. ჯუდიითს ჯერ კიდევ ჰქონდა ცოტაოდენი გამოსადეგი მიწა; კლიტიც უნდა გვახსოვდეს, მისი დამხმარე და მეგობარი, და კიდევ უოშ ჯონსი, საკუთარი შრომით რომ აჭმევდა მას, როგორც აჭმევდა სიკვდილის სარეცელზე გაკრულ ელენს; მაგრამ მისს როუზა მაშინვე არ გადასულა იქ. შესაძლოა არც არასდროს გადასულიყო, თუმცა ელენმა კი სთხოვა, ჯუდიითი უნდა დაიცვაო, მაგრამ იქნებ გრძნობდა, რომ ამ გოგოს ჯერ კიდევ არ სჭირდებოდა მისი დაცვა; გადადებული სიყვარული ხომ სიცოცხლის წყურვილს გაულვივებდა, აღჭურვავდა ხანგრძლივი მოთმინებით, ასე რომ, თავად ეს სიყვარული, თუნდაც გადადებული, შეუნარჩუნებდა და კიდევაც შეუნარჩუნა ბონი, ვიდრე მამაკაცთა აწ უღონოქმნილი სიშლეგე არ გაიღია და იგი დაბრუნდა იქიდან, სადაც იყო და თან ჩამოიყვანა ჰენრი — ჰენრი, მსხვერპლი იმავე სიშლეგისა და ხელმოცარულობის. მისს როუზა ხანდახან ნახულობდა ჯუდიითს, და მაშინ იქნებ ეს გოგო ეუბნებოდა მას, სატპენის ასეულში გადმოდიო საცხოვრებლად, მაგრამ, მგონია, სწორედ ეს იყო მიზეზი მისი შინ დარჩენისა, თუმცა

არც კი იცოდა ბონისა და ჰენრის სადმოყოფობის ამბავი და, როგორც ჩანს, ჯუღითიც ვერ მიხვდა, რამე რომ ეთქვა ამის შესახებ, რადგან ჯუღითმა იცოდა. იქნებ სულმუდამ იცოდა კიდევაც; იქნებ ელენმაც კი იცოდა, ან იქნებ ჯუღითს არც არაფერი უთქვამს დედისთვის. იქნებ ელენმა სიკვდილამდეც კი ვერ გაიგო, რომ ჰენრი და ბონი რიგითი ჯარისკაცები იყვნენ იმ ასეულში, რომელიც იმათმა უნივერსიტეტელმა ამხანაგებმა ჩამოაყალიბეს მამხოლოდ ოთხი წლის შემდეგ შეიტყო მისს როუზამ პირველად, რომ მისი დისწული ცოცხალი იყო, ეს მოხდა იმ დღეს, როდესაც სატპენის ერთადერთ დარჩენილ სახედარზე მჯდარი უომ ჯონსი მისი სახლის წინ გაჩერდა და გარეთ გამოუხმო. კი ჰყავდა ადრე ნანახი იგი ამ ქალს, მაგრამ ვერ იცნო — ხმელ-ხმელი, ძყვალტყავა, ციებისაგან გაყვითლებული სახე ისეთი ჰქონდა, რომ ოცდახუთი წლისაც გეგონებოდათ, ოცდაათისაც, ორმოცისაც და სამოცისაც. ჭიშკრის წინ მდგარ უუნაგრო სახედარზე იჯდა და ყვიროდა, ჰეი, ჰეიო, ვიდრე ის ქალი კართან არ მივიდა; მერე კი დაუწია ხმას, თუმცა არც ისე, და ჰკითხა: „თქვენა ბრძანდებით როუზა კოულდფილდი?“

4

ჯერ კიდევ არ ჩამოხნელებულიყო და კვენტინიც ელოდებოდა, ჯერ კიდევ არც ისე იყო ჩამოხნელებული მისს როუზა კოულდფილდისთვის და ასე თუ ისე მოასწრებდა თორმეტი მილის გავლას იქით და თორმეტი მილისა აქეთ. კვენტინმა ეს იცოდა. თითქოსდა ხედავდა მას, თავის პატარა, კაეშნით მოცული სახლის შეუვალ სიმარტოვეში, ერთ ბნელ უჰაერო ოთახში მჯდომარეს. სინათლე არ აენტო ამ ქალს, რაკილა ამ სახლიდან უნდა გასულიყო მალე, და შესაძლრა მას, სულიერ მემკვიდრეს იმ ადამიანებისას, ვისაც ოდესღაც უთქვამს ამ ქალისთვის, სინათლესა და ჰაერის რხევას სიცხე შემოაქვსო, ჩაუგონებია მისთვის, რომ ელექტროდენის ღირებულება კილოვატსაათებზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ იმაზე, თუ რა ინერცია აქვს ჩამრთველს გადატრიალებისას, სწორედ ამას აჩვენებსო მრიცხველი. თავზე ახლა მას ახურავს აქატისფერი არშიით გაწყობილი შავი შლაპა; კვენტინმა ესეც იცოდა, შალმოხურული ზის სევდისმომგვრელ, მელნისფერ ბინდბუნდში; ხელჩანთაში ჩაუწყვია ყველა გასაღები, ხელჩანთა ან უკავია, ან მუხლებზე უდევს, არ დავიწყებია საკუქნაოს სამზარეულო კარადის და ყველაფრის დაკეტვა სახლში, სადაც უნდა დაბრუნდეს ხუთი, ექვსი საათის შემდეგ; ესეც გაიფიქრა, ქოლგაც ექნებაო ხელში, ზოდა, ზის და ფიქრობს, ახლა სულ ერთია ჩემთვის, გინდა მზე იყოს და გინდა წვიმაო; და თუმცა აქამდე კვენტინსა და მას ერთმანეთისთვის ასიოდე სიტყვაც არ ექნებოდათ ნათქვამი, ამ ბიჭმა იცოდა, რომ იქნებ ეს ორმოცდასამი წლის ქალი ღამით, შებინდებისას არასდროს არ გამოსულა, მხოლოდ კვირისა და ოთხშაბათის ქადაგებაზე მიდიოდა ზოლმე. დიან, ხელში უთუოდ დაიკავებს ქოლგას. კვენტინი შეუვლის და ისიც უჩინრად გამოიტანს ამ ქოლგას, გამოიჭრება გარეთ; სულის შემხუთველი, უცვარო საღამოა, ბინდდება და მაინც არ კლებულობს სიცხე, აივნის ირგვლივ ნაზად დაციმციმებენ ციციანათულები, სწორედ აქ იჯდა კვენტინი, როდესაც ბ-ნმა კომპსონმა ბარათი გამოუტანა, ოთახის კარი გამოიხურა და გზად ჩამრთველი

გაატკაცუნა. აქ ვერ გაარჩევ, სახლში უნდა წაიკითხოო, უთხრა ბ-ნმა კომპ-სონმა.

— იქნებ აქაც კარგად გავარჩიო, — მიუგო კვენტინმა.

— კარგი. — თქვა ბ-ნმა კომპსონმა, — იქნებ დღის სინათლეს, ამაზე



რომ არაფერი ვთქვათ, — მან ხელი გაიქნია მთელი ზაფხულის განმარტობისაგან დასვრილი ერთადერთი ნათურისაკენ, სუფთაც რომ ცოტას გაანათებდა, — იქნებ დღის სინათლეს მეტისმეტი იყოს იმათთვის. დიახ, იმათთვის-მეთქი: იმ დრო-ჟამის, მკვდარი დროების ხალხისთვის; იმათთვის, ვინც ჩვენსავით იყვნენ მსხვერპლნი, ოღონდ ისინი სხვა, უფრო უბრალო, მაგრამ უფრო მნიშვნელოვან გარემოებათა მსხვერპლნი იყვნენ, პეროიკული შარავანდით მოსილნი; ამათებაში ჩანთქმული კაცუნები კი არა, მარტივნი და ნათელნი გახლდნენ, ვისაც შეეძლოთ ერთხელ სიყვარული, ერთხელ სიკვდილი, ტიკინები კი არ გეგონოს, ნაწილ-ნაწილ რომ არიან ჩაყრილნი ტომარაში, ამოასხამენ იმათ იქიდან, უთავბოლოდ ააწყობენ და ათამაშებენ, ათასჯერ შეიქნებიან მსხვერპლი და შეკვლელები, ათასჯერ შეიყრებიან და დაცილდებიან ისინი ერთმანეთს. შეიძლება შენ მართალი ხარ. შეიძლება იმათ არც კი სჭირდებოთ ამაზე უფრო მეტი სინათლე. — მაგრამ მაშინვე არ მიუცია კვენტინისთვის წერილი.

დაჯდა, კვენტინიც ჩამოჯდა, სიგარა აიღო ვერანდის მოაჯირიდან, ისევ ავიდა კვამლი, გლიცინიას ნაირფეროვანი სურნელება ისევ მოეახლა კვენტინის სახეს. ბ-ნმა კომპსონმა ვერანდის მოაჯირს ფეხები შეაწყო, წერილი ისევ ეკავა ხელში და ხელი მისი ზანგისას მოგავდა ტილოს შარვლის ფერის წყალობით.

— იმიტომ, რომ მას ბონი უყვარდა. კანონიერი მემკვიდრეობა და ქონება უარყო ჰენრიმ მისი გულისთვის, იმ კაცის გულისთვის, ვინც ჰა და ჰა, ვერ იტყოდით, არამზადა იყო, მაგრამ ორცოლიანობა კი მოსურვებოდა, და ოთხი წლის შემდეგ ჯუღითმა მკვდარს უპოვა სხვა ქალისა და ბავშვის ფოტოსურათი. ხოდა, მან (ჰენრიმ) უთხრა მამას, ტყუილიაო ეგ, თუმცა კი უნდა მიმხვდარიყო, რომ მამამისს არ შეეძლო ეთქვა და არც იტყოდა ამას უსაფუძვლოდ და უსაბუთოდ. სწორედ ასე მოხდა და ჰენრიმ საკუთარი ხელით მოიკვეთა თავი, კი უნდა სცოდნოდა, რომ მართალი იყო მამის ნათქვამი ქალისა და ბავშვის შესახებ. თავისი თავისთვის უნდა ეთქვა მას, უნდა ეთქვა მაშინ, როდესაც უკანასკნელად გაიკეტა ბიბლიოთეკის კარი იმ შობის წინა ღამეს, და სულ უნდა ემეორებინა, როცა ის და ბონი იმ მოქუფრულ შობა დილას გვერდიგვერდ ცხენებს მიაჭენებდნენ და მიდიოდნენ იმ სახლიდან, სადაც იგი დაიბადა და რომელსაც მხოლოდ ერთხელ ნახავს ამის შემდეგ, სწორედ მაშინ, როდესაც დაღვრის ამ კაცის სისხლს, ვინც ახლა გვერდზე მიჰყვება, სწორედ მაშინ უნდა ეთქვა თავისთვის: მე მინდა მჭეროდეს, მინდა, მინდა მჭეროდეს. თუნდაც რომ სიმართლე იყოს, თუნდაც რომ სიმართლე იყოს მამის ნათქვამი, მიუხედავად ამისა ძალა არ შემწევს, ამ სიმართლეს მე ვერ გავიგებ, მინდა მჭეროდეს. რისი იმედი ჰქონდა, სიმართლის გარდა კიდევ რას იპოვნიდა ნიუ-ორლეანს? მაგრამ რადაა, რომ გატანჯულ კაცს თავისი სხეულის საღსალამათი ნაწილების დარდი არა აქვს და მისტირის იმ ფეხსა და ხელს, რომელიც უნდა მოკვეთონ? იმიტომ, რომ მას ბონი უყვარდა. წარმოდგენილი მაქვს, იმ შობის წინა საღამოს ის და სატპენი როგორ დგანან ბიბლიოთეკაში, მამა და შვილი, ჰეჰა-ჰუხილისა და მისი ექოს მსგავსი

ვრგვინვა-გრიალი გაისმის, თითქოსდა ერთი მეორეში დანთქმულა ეს ორივე ხმა; მტკიცება-უარყოფის ჭიდილი გამართულიყო და წამიერი და საბოლოო არჩევანი მომხდარიყო მამასა და მეგობარს შორის, არჩევანი (ჰენრის ასე სჯეროდა) ერთი მხრივ ღირსებასა და სიყვარულს და, მეორე მხრით, სისხლსა და სარგებელს შორის, თუმცა კი იმ წუთას, ტყუილს ამბობო, ბრალი რომ დასდო, იცოდა, თავად არ იყო მართალი. სწორედ ეს ~~მეორე მხრით~~ განსაცდელი მთელი ოთხი წელიწადი. იმ შობის წინა ღამესაც უნდა ~~სცოდნოდა~~ მას, რომ ყოველივე ამას იყო, მით უმეტეს, როდესაც საკუთარი თვალით ნახა ნიუ-ორლეანს ყველაფერი. იმხანად, როგორც ჩანს, ისე კარგად გაიცნო ბონი, რომ უნდა მიმხვდარიყო, აქამდე თუ არ შეცვლილა ეს კაცი, მერე რაღას შეიცვლებოდა; და მაინც იგი (ჰენრი) ვერ ეტყოდა თავის მეგობარს, **შენმა სიყვარულმა მაქნევინა ეს, შენც ჩემი სიყვარულით გააკეთეო ეს.** მას არ შეეძლო ამისი თქმა, ყური მიგდე, ამ კაცს, ამ ყმაწვილს, ვინც მხოლოდ ოცისა გამხდარიყო და ვისაც ყოველ ~~ფე~~ უარყო, რაც კი რამ ებადა ცხოვრებაში, დაეგდო თავისი ბედობალი თავისი ერთადერთი მეგობრის გულისათვის, და მაშინაც კი, როდესაც ღამე ცხენით შინიდან გარბოდა, მან იცოდა, მამამისი რომ არ ტყუოდა და განწირულია, კაცისკვლა დაბედებია. მას უნდა სცოდნოდა ეს ამბავი ზუსტად ისევე, როგორც ის, რომ ამოდ ჰქონდა რაღაც იმედი; ამის გამოთქმა არც კი შეეძლო; რა იმედი და სიზმარი ამცნობდა, ბონი ან გარემოებანი შეიცვალაო, რა ისეთი სიზმარი უნდა ყოფილიყო ან რა იმედი, როცა ერთ დილას, გამოდვიძების ხანს მიხვდებოდა, სიზმარი იყოო და მეტი არაფერი. სწორედ ასევე მოელანდება ციებცხელებიან ბოდვაში დაქრილ-დასახიჩრებულ კაცს — მრთელი მაქვს აგრე ძვირფასი ხელი ან ფეხი; სხეულის ჯანსაღი კიდურები მტკივაო მხოლოდ.

სწორედ ეს იყო ჰენრის განსაცდელი; სამივენი ასეთ გასაჭირში ჩააგდო ჰენრიმ, ჯუდიითიც კი. თუ რა მოხდა ბიბლიოთეკაში იმ ღამეს, ამ გოგომ არ იცოდა. მე ვფიქრობ, ეჭვიც არ აუღია, ვიდრე ოთხი წლის შემდეგ, შუადღით კვლავ არ ნახა ისინი, როდესაც ბონი სახლში შემოასვენეს და იმისი ჩასაცმლის ჭიბეში ფოტოსურათი იპოვა, რაზედაც არც მისი და არც მისი ბავშვის სახე არ იყო გამოსახული; იმ შობა დილას რომ გაიღვიძა, ისინი უკვე წასული იყვნენ და წერილი, ბარათი დაეტოვებინათ. ჰენრის დაეწერა, რაღა თქმა უნდა, იგი ბონს არ დააწერინებდა დაზავების, განსაცდელის მაუწყებელ სიტყვებს, და ჯუდიოს მოუხდა ამისი ატანა. მას შეეძლო იმავე წამს ურჩობა გაეწია, არ დამორჩილებოდა მამას, ისევე როგორც ჰენრიმ უარყო ამ კაცის ბრალდება. ჰენრის კი დაუჯერა და ისიც არა იმიტომ, რომ ეს ბიჭი ნათესავი, ძმა იყო მისი, არამედ რაღაც განსაკუთრებული დამოკიდებულება შეინიშნებოდა მათ შორის — ერთი სულის მქონე ორსხეულიანი არსების მსგავსი, და ორივე თითქმის ერთდროულად აცდუნა იმ კაცმა, ვინც ჯუდიოს იმხანად არც კი ჰყავდა ნანახი. ამ გოგომ და ჰენრიმ, ორივემ იცოდა, რომ თავად ჯუდიოთი გაუძლებს ამ ცდუნებას და ადროვებს მას (ჰენრის), ურთიერთშეთანხმებით მოხდეს ეს ამბავი, მაგრამ დაუზუსტებელ და დაუდგენელ დრომდე. ის კი იცოდა კარგად ორივემ, დრო დადგება და ეს გოგო ასევე წყნარად გადააბიჯებს ამ თავისი ნაზი სქესისათვის დამახასიათებელ ტრადიციულ მოთმინებას, ზავს დაარღვევს და ვითარცა მტერს დაუდგება მას, ისე რომ არ მოითხოვს და არც მოისურვებს ბონის იქ ყოფნასა და შემწეობას და, კიდევ რომ იყოს, არ გაიკარებს; ჯერ ჰენრის მამაკაცივით შეებრძოლება, მერე კი თავად



იზამსო; ისიც იცოდა, რომ ორივე, ჰენრი და ჯუდიტიც აცდუნა საბოლოოდ, და რახან ასეა, არც იმისი შიში უნდა ჰქონოდა, როცა მინდა, მაშინ ვერ შევირთავო ჯუდითს, ბრმა ინსტიქტის იმედით არ იყო, არც ბედისა სჯეროდა, დიდ მოგებას დადარაჯებული მოთამაშის ხელის გაწაფულობასა და წერვებსაც არ იყო მინდობილი, ამ კაცს დაუფლებოდა გარკვეული, ოდინდელი და მტკიცე პესიმიზმი, რაკილა ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ მისი მამაკაცები გადაჩვეულან აბდაუბდა და ბრტყელ-ბრტყელ ლაპარაკს იმ ხალხისას (დიახ, სატპენს, ჰენრისა და კოულდფილდებს ვგულისხმობ), რომლებსაც ვერა და ვერ დაუგდიათ ბარბაროსობა და ორი ათასი წელიწადი ზარზეიმით ცდილობენ ლათინური კულტურისა და ინტელექტის უღლის დაძლევას, თუმცა არც არასდროს ელოდათ ამის საფრთხე.

მას ხომ უყვარდა ჯუდიტი. კი შეეძლო დაემატებინა, თავისებურადო, რადგან როგორც იმის სასიამაოროს გაეგო, პირველად არ უხდებოდა ამ როლის გათამაშება, პირველად არ მიუცია ფიცი და პირობა, ისე რომ, თავისებურად შეეძლო განსხვავება დაენახა კიდევაც (კათოლიკე თუ რალაც მსგავსი ამისა კი გახლდათ) ამ თეთრ ქალსა და იმ სხვას შორის. შენ ახლა წერილს ნახავ და ის ბარათი არ იყო პირველი, იმ კაცს რომ გამოუგზავნია ამ გოგოსთვის, მაგრამ პირველი და უკანასკნელი კი იყო, სხვისთვის რომ უჩვენებია მას — სწორედ ასე სცოდნია შენს ბაბუას მაშინ, და ჩვენც გვჯერა, რაკილა ის ახლა უკვე მკვდარია; სწორედ ერთადერთი იყო ის წერილი, რომელიც მას შეუნახავს თუ, რალა თქმა უნდა, მისს როუზას და კლიტის მისი სიკვდილის შემდეგ სხვა წერილები არ გაუნადგურებიათ; თუმცა ეს ბარათი იმიტომ კი არ გადაარჩია, რომ ჯუდითს შეუნახავს, არამედ ბონის დაღუპვის შემდეგ საკუთარი ხელით გადაუცია იგი შენი ბებიასათვის, შეიძლება სწორედ იმ დღეს მომხდარა ეს ამბავი, როდესაც მან მოსპო ამ ბიჭის მიერ გამოგზავნილი სხვა დანარჩენი წერილები (რალა თქმა უნდა, თუ ვიგულისხმებთ, რომ მან თავად განადგურა ისინი), რადგან ბონის ტანისამოსის ჯიბეში იპოვა ფერადკანიანი ქალისა და პატარა ბიჭის სურათი. ის კაცი ხომ იმისი პირველი და უკანასკნელი სიყვარული იყო. ეს გოგო, როგორც ჩანს, სწორედ ჰენრის თვალეზით უყურებდა იმ კაცს. და ძნელია იმის თქმა, იმათათგან რომელს უფრო დიდებული ეჩვენებოდა იგი, დას, ვისაც, თუნდაც გაუცნობიერებლად, იმედი ჰქონდა, რომ დაისაკუთრებდა, როგორც ქალი, თუ ძმას, რომელმაც იცოდა, სქესს მათთვის დაუძლეველი ზღუდე შეექმნა. ეს იყო ის კაცი, ვინც პირველად ჰენრიმ შესაძლოა მაშინ ნახა, როდესაც უნივერსიტეტის ხეივანში მიდიოდა იმ ორი ცხენიდან ერთ-ერთზე ამხედრებული, მისი საკუთრება რომ იყო, ანდა მაშინ, როდესაც ფრანგული ყაიდის მსუბუქ ლაბადასა და ქუდში გამოწყობილი უნივერსიტეტის ეზო გადმოიარა ფეხით, ანდა მაშინ, როდესაც შესაძლოა (მინდა რომ ასე ყოფილიყო) წარუდგინეს ჭრელატრულ, თითქმის ქალს რომ შეეფერებოდა, ისეთ ხალათში გამოწყობილ, მზით განათებულ ფანჯარასთან მჯდომარე სანდომიანი სახის, ოლონდ კატისებრი მიხრამოხრის კაცს, ვინც ძალზე ასაკოვანი ჩანდა იქაურ ახალგაზრდებთან შედარებით, ვისაც ცხოვრებისეული გამოცდილება აძლევდა ძალზე ასაკოვანი კაცის იერს, ვისაც ყოველივე მოჰყირჭებოდა და კიდევაც ეტყობოდა ეს, რადგან გასაკეთებელი უკვე გაეკეთებინა, ამ სოფლის სიამეთაგან არაფერი დაეკლო და დავიწყებაც მოესწრო მათი. ხოდა, არა მარტო ჰენრი, ამ ახალი პროვინციული უნივერსიტეტის ყველა უფროსკურსელიც შურიანი თვალით შესცქე-

როდა მას, შურიანობის საფუძველი ხომ შეიძლება ის იყოს, ვინც მხოლოდ შემთხვევისდა კვალად თუა შენზე უკეთესი, შენ კი გჯერა, ერთხელ მეც გამოლიმებს ბედი და მეც კარვად ვიქნებიო; არა, შური აქ არაფერ უნდა მისწავს სასოწარკვეთილება უნდა ვახსენოთ აქ — მწარე, თავზარდამცემი უიმედობით აღსავსე სასოწარკვეთილება ახალგაზრდა კაცისა, ვინც შეურაცხყოფს და გაიწევს კიდევაც იმაზე, ამ სასოწარკვეთილების წყარო რომ არის; ანდა ჰენრის რომ გადახდა თავს, ის განსაკუთრებული შემთხვევა გავიხსენოთ, როდესაც შეურაცხყოფისა და ძალადობის საგანი ის ხდება, ვინც ცილს დასწამებს იმ სათაყვანებელ ადამიანს; ამას ადასტურებს ის გარემოება, გააფთრებულმა ჰენრიმ რომ უარყო მამა და თავისი კანონიერი უფლებები, როცა სატპენი წინაღუდგა ქორწინებას. დიახ, მას უყვარდა ბონი, რომელმაც ნამდვილად ისე აცდუნა იგი, როგორც ჯუდიტი; ჰენრი ერთი სოფლელი ბიჭი იყო, აქ დაბადებული და გაზრდილი, ვინც, ხუთ თუ ექვს დაბალკურსელებთან ერთად, პლანტატორთა შვილები იყვნენ ისინიც, ბონმა დაიახლოვა და რომლებიც მას ბაძავდნენ (შეძლებისდაგვარად) ჩაცმა-დახურვასა და მიხრა-მოხრაში, ცხოვრების ყაიდაში და უმზერდნენ ბონს, ვითარცა გმირს „ათასი და ერთი ლამის“ საყმაწვილო ზღაპრებიდან, ვინც რაღაც თილისმას თუ ჯადოსნურ ქვას ჰფლობდა და სიბრძნე, ძალა და სიმდიდრე კი არ მოეპოვებინა, არამედ ნიჭი და საშუალება გადაშვებულყო მრავალფეროვან სიამეთა მორევში. და ისიცაა სათქმელი, რომ იმათ წინ დარდიმანდულად მჯდომარეს ეცვა ხოლმე უცხოური და თითქმის ქალური ჩასაცმელი, სიბარიტული იდუმალებით მოცულ სახეზე გულასუყევა გამოხატვოდა და გარშემომყოფთ უღვივებდა გოცების, საწყალობელი უიმედობისა და სასოწარკვეთილების გრძნობას. ჰენრი კი ერთი სოფლელი, გულუბრყვილო ბიჭი იყო, წამიერ გააფთრებას უფრო შეძლებდა, ვიდრე დაფიქრებას და გონიერების მოხმობას, იმასაც გრძნობდა, თავი რომ უსაშველად მოჰქონდა თავისი დის სიქალწულით, მაგრამ ისიც ახსოვდა, რომ სიქალწულის ღირსება და არსებობა იმის დაკარგვასთანაა წილნაყარი, და აწ მისი უქონლობა წარსულში მის არსებობას მოწმობს. შეიძლება კიდევაც ვთქვათ, იქნებ სწორედ ეს არის სისხლის აღრევა, ნამდვილი და დასრულებული: ძმამ იცის, რომ დის უმწიკვლობა უნდა შეიმუხროს, რათა აწ მისი უქონლობა წარსულში მის არსებობას მოწმობდეს, და რახან ასეა, სიქალწულეს წაართმევს სიძის, იმ კაცის მეშვეობით, თავად რომ იქნებოდა, მეტამორფოზა რომ განეცადა და საყვარლად, ქმრად, იმ ადამიანად გადაქცეულიყო, ვისაც აირჩევდა და ვისი საშუალებითაც წარიტაცებდა საკუთარ ნამუსს დაი, საყვარელი, საპატარძლო რომ გამხდარიყო. იქნებ სწორედ ეს ჩაბუდებოდა ჰენრის გონებაში თუ არა, სულში მაინც. ფიქრით კი არც არასდროს იფიქრებდა ამას. გულში გავლება და ქმნა ერთი იყოს მისთვის. ერთგულებაც იცოდა და გატანაც; ამაყიც იყო და ეჭვიანიც; თავდავიწყებით შეიყვარებდა და შეეძლო მოეკლა კიდევაც. სწორედ ასე, მე ვფიქრობ, უყვარდა ბონი, კაცი, რომელსაც ოთხი წლის ვადა-მისცა, ოთხი წელი ჰქონდა იმას, რათა უარი ეთქვა და გაცილებოდა ცოლს; თუმცა კი იცოდა, ეს ოთხი წელიწადი ამაოდ ელოდებოდა და იმედოვნებდა.

დიახ, ბონმა კი არა, ჰენრიმ აცდუნა ჯუდიტი. საოცრად უშფოთველი ურთიერთობა ჰქონდათ ბონსა და ჯუდიტს — დაწინდვა (თუკი საერთოდ იყო ეს დაწინდვა) მთელი წელიწადი გაგრძელდა და მხოლოდ ორჯერ ეწვია არდადეგებზე მათ, როგორც ქალიშვილის ძმის სტუმარი. მაშინ ბონიც ცხენით

სეირნობდა და ნადირობდა ჰენრიისთან ერთად, ანდა ისე იქცეოდა/ ვითარცა  
 ლამაზი, ნაზი და იღუმალეებით მოცული შინ ნაზარდი ყვავილი. უისტორიო,  
 წარმოშობის ნაცვლად მხოლოდ ქალაქის სახელი რომ ჰქონდა, <sup>რომელიც</sup> გარშემო  
 პეპლის მსგავსად ნებივრად დაფრთხილებდა დიაცის უქნასკნელ შემოდგო-  
 მას მიტანებული ელენი; ხოდა, ასე დაეუფლნენ მას, ცოცხალ კაცს. დღე  
 დღეს მისდევდა და ამოსუნთქვის საშუალებასაც აღარ აძლევდნენ, წამიც არ  
 რჩებოდა ჯუდიითისთვის. მას და ჯუდიოს ვერც კი წარმოიდგენ ერთად მყოფთ.  
 ხოლო თუკი სცდი, ასეთ სურათს იხილავ, ცალ-ცალკე არიან ეს ორნი სადღაც  
 ბაღში, ზაფხულია, ვნებააუშლელნი და გულდამშვიდებულნი, თითქოსდა  
 უხორცონი დასეირნობენ; დანავრდობს ორი გულდამშვიდებული აჩრდი-  
 ლი და წყნარად, აუმღვრევლად გაჰყურებს იმათ ზემოთ და უკან მდგარ ურ-  
 ჩობის, აკრძალვისა და უარყოფის მოქუფრულ მეხიან ღრუბელს, რომლის  
 წიად ჩანან სალი კლდესავით პირმოლესილი სატპენი და მგზნებარე, ცოფ-  
 მორეული და თვალეზანთებული ჰენრი, ვინც ერთხელაც არ ყოფილა მემ-  
 ფისს, ვისაც სახლიდან ფეხიც არ გაუდგამს იმ სექტემბრის დადგომამდე,  
 როდესაც სოფლურად ჩაცმული ცხენზე შესვეს, მეჯინიზე ზანგი გააყოლეს  
 და უნივერსიტეტში გაგზავნეს სასწავლებლად; ექვსნი თუ შვიდნი იყვნენ  
 ისინი, თანატოლნი და ჩამომავლობაც ერთნაირი ჰქონდათ, მათი მარჩენალი  
 მონა-ზანგებოსაგან იმით განსხვავდებოდნენ, რომ ჰამდნენ, იცვამდნენ უკეთე-  
 სად და ყოველდღიური საქმიანობა სხვანაირი ჰქონდათ, მაგრამ ოფლს კი  
 ისინიც ღვრიდნენ და ესენიც, ისინი დღენიადაგ მიწას ჩაჰყურებდნენ, ამათ კი,  
 რაკილა მიწასთან არა ესაქმებოდათ რა, მწირი და უბრალო სპარტანული გა-  
 სართობებით გაჰყავდათ დრო, აკეთებდნენ იმას, რაზეც მიუწვდებოდათ ხელი:  
 თავგადადებით ნადირობდნენ და დაჯირითობდნენ; დროსტარება ერთნაირი  
 იცოდნენ: ერთნი თამაშობდნენ ქანგიან დანებსა და ბრინჯაოს ღინჭილებზე,  
 თამბაქოსა და ფოლაქებზე, ძველმანებზე, რაც ხელთა ჰქონდათ, რისთვისაც  
 შორს წასვლა არ უხდებოდათ; მეორენი — ფულსა და ცხენებზე, თოფებსა და  
 საათებზე იმავე მიზეზით. საღამოებსაც ერთნაირს მართავდნენ. მუსიკაც ერ-  
 თი ჰქონდათ და დასაკრავებიც — ნაჩორკნი ვიოლინოები და გიტარები, ესენი გა-  
 მოწყობილნი იყვნენ აბრეშუმის ჩასაცმელებში, სანთლებით გაჩირალდნებულ  
 დიდ სახლებში შამპანურს სვამდნენ; იმათ კი ჯვალთ ეცვათ, ნაძვის ტოტებით  
 განათებულ კვამლიან მიწურებში პირს ისველებდნენ ბადაგით შეტკობილი  
 წყლით; ჯუდიოთი ჰენრიმ აცდუნა, რადგან ბონს იმხანად ნანახიც არ ჰყავდა ეს  
 გოგო. როგორც ჩანს, მას არც მოუტყევეია ყურადღება ჰენრის ბლუკუნისათვის,  
 როდესაც ეს ბიჭი უამბობდა თავის მოკლე ხნის შთამომავლობაზე, და ალბათ  
 არც დაიმახსოვრებდა, დაი რომ ჰყავდა ჰენრის; ძალზე მობერებული ჩანდა  
 ეს ზარმაცი კაცი და მეგობრობას არ დაიწყებდა იმ ყმაწვილებთან და ბავშვებ-  
 თან, ვისთანაც მას ცხოვრება უხდებოდა, რაღაც მიზეზი რომ არ ყოფილიყო.  
 და რახან ასე იყო, უნდა დაეთმინა, საფუძვლიანი, პირადი მიზეზი უნდა  
 ჰქონოდა ამისთვის, რასაც ამ თავის ახალ ნაცნობებს ვერ გაუმხელდა; სწო-  
 რედ ეს სიზარმაცე გამოამყდავანა მან ბოლოს, როცა თითქმის უგულისყუროდ  
 შეხვდა თავისი დაწინდვის გამო ატეხილ აყალმაყალს, თუმცა — რამდენადაც  
 ჯეფერსონში იცოდნენ — დაწინდვის ცერემონიალი აღარც მომხდარა, თავად  
 ბონი არც ამტკიცებდა და არც უარყოფდა ამ ამბავს, სულაც განზე გამდგა-  
 რიყო და თავიც არ შეუწუხებია, თითქოსდა არც თვითონ იყო შუაში და არც  
 მის მეგობართაგან ვინმე, ვინც იქ იმყოფებოდა. ისე ჩანდა, თითქოს მას კი

არ უთხრეს უარი, არამედ ვილაც სხვას, უცხოს, ვისაც სულაც არ დაარღვევდა არაფერი; მათ შორის არც რამე სიყვარული უნდა ყოფილიყო, როგორც ჩანს, რალაც საეჭვოდ მოქცევია ჯუდიტს, არც კი უცდია მისი ცდუნება მარტოსად და მერვეც არ დაუჩემებია ქორწინება, თანაც, გესმის, — ამ ქაცოს უნივერსიტეტში უკვე კარგა ხანია მუსუსის სახელი ჰქონდა გავარდნილი, რისი დამამტკიცებელი საბუთი გაცილებით გვიან აღმოაჩინა სატპენმა. ბოდა, არც დაწინდვა ყოფილა და არც სიყვარული: მას და ჯუდიტს ორ წელიწადში მხოლოდ სამჯერ ეყოლებოდათ ერთმანეთი ნანახი, სულ ჩვიდმეტი დღე უნდა ვიანგარიშოთ, აქედან გარკვეულ დროს ელენს მოანდომებდა, და ისე დაცილებულან, არც კი დამშვიდობებიან ერთმანეთს. და მაინც ოთხი წლის შემდეგ პენრი ბონს მოკლავს და ასე ჩაშლის ქორწილს. სწორედ ამიტომ მას კი არა, პენრის უცდუნებია ჯუდიტი, ეს გოგო და ამასთან ერთად საკუთარი თავიც უცდუნებია იმ მანძილიდან, ოქსფორდსა და სატპენის ასეულს შორის რომ არის, სწორედ ეს მანძილი იყო ამ გოგოსა და იმ ქაცოს შორისაც, ვინც ჯერ კიდევ არ ჰყავდა ნანახი და უცდუნებია რალაც ტელეპათიის მეშვეობით, ამისდა კვალად ბავშვობის ხანაშივე განუჭვრეტიათ მათ ერთმანეთის საქციელი მსგავსად იმ ორი ჩიტისა, ერთსა და იმავე წამს რომ აფრინდებიან ტოტიდან; და ეს არ არის ის ურთიერთკავშირი, რომელიც, ხალხში გავრცელებული მცდარი აზრის მიხედვით, ტყუპებს შორის არსებობს, შეიძლება ეს ის არის, რასაც შეამჩნევთ იმ ორ ადამიანს, რომლებიც სქესის, ასაკის, ჩამომავლობის, რასისა და ენის მიუხედავად დაბადებისთანავე უკაცრიელ კუნძულზე გადასვს — ეს კუნძული სატპენის ასეული გახლდათ; მამა იყო მათი მარტოსულობის მიზეზი; ამ ქაცთან კი არა მარტო მთელ ქალაქს, მისი შვილების დედის ოჯახსაც მხოლოდ ზავი დაედო, მაგრამ არც დაახლოვებიან და არც დაწათესავეებიან.

ხედავ? აი ისინიც — გოგო, სადღაც გადაკარგულში გაზრდილი გოგო, ვინც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე თორმეტი დღე, დღეში კი საშუალოდ ერთი საათით ნახულობს მამაკაცს, სულ წელიწადნახევარი გაგრძელებულა ეს ამბავი, და მაინც ისე ძლიერ უნდა მასზე გათხოვება, რომ ძმა მისი უკანასკნელ ღონეს, მკვლელობას მიმართავს, იქნება კაცისკვლა არც დაგვეჩქმია ამისთვის, ქორწინების ჩაშლის ხერხი და საშუალება იყო მხოლოდ და ეს მოხდა იმ ოთხი წელიწადის შემდეგ, რომლის განმავლობაშიაც გოგომ არც კი იცოდა კარგად, ცოცხალი იყო ბონი თუ არა; მამამისს მხოლოდ ერთხელ ჰყავდა ნანახი ეს კაცი და მაინც გაიარა ექვსასი მილი, რათა მისი ამბები გაეგო და ცხადლივ დარწმუნებულიყო იმაში, რასაც უკვე, როგორც ჩანს, თავისი გუმანით მიმხვდარიყო, რათა ბოლოს და ბოლოს ენახა ისეთი რამე, ქორწილის ჩასაშლელად რომ გამოადგებოდა; ამ გოგოს ძმა, ვისთვისაც დის, ქალიშვილის პატიოსნება და ბედნიერება, თუ მათ გასაოცარ და უჩვეულო ურთიერთდამოკიდებულებას გავიხსენებთ, უფრო ძვირფასი გამხდარა, ვიდრე მამისთვის, და მაინც ხელს უწყობს ამ ქორწინებას და ამის გულისთვის უარყოფს მამას, თავის სისხლსა და ხორცს, ოჯახს; ოთხი წელი თან დაჰყვება და ემსახურება უარყოფილ სასიძოს და მერე კლავს კიდევ, როგორც ჩანს, იმავე მიზეზის გამო, რისი გულისთვისაც ოთხი წლის წინ ოჯახი მიატოვა; და კიდევ ამ გოგოს შეყვარებული, ვინაც თავისი ნება-სურვილის გარეშე ცხადლივ აიძულეს დაწინდულიყო, რასაც იგი არ მიელტვოდა და არც გაუბოდა, ვინც გულცივად და ირონიული ღიმილით შეხვდება თავის

გაძევებას და მიუხედავად თავისი გულგრილობისა იმ ქორწილისთვის აინთება  
 ოთხი წლის მერე, და მისი ძმა, ადრე რომ ესწრაფოდა ამ ქვრივს, ახლა  
 სასიძოს მოკლავს, რათა წინაღუდგეს მის განზრახვას. დიახ, თუ გავითვალის-  
 წინებთ იმას, რომ ხალხში გამოუსვლელი ჰენრისთვის, თბილისში დასწრებით მის  
 მრავალჭირგამოვლილ მამას, ვისთვისაც ერთი მერვედი ზანგის სისხლის მქონე  
 საყვარელისა და ერთი მეთექვსმეტედი ზანგის სისხლის მქონე ვაჟიშვილის  
 არსებობა (თუნდაც ასეთი მორგანიკული ქორწინება ისევე ჩვეულებრივი  
 ამბავი იყოს მდიდარი, მაღალი საზოგადოების ნიუ-ორლეანელი ყმაწვილ-  
 კაცის ცხოვრებაში, როგორც საცეკვაო ფეხსაცმელი) საკმარისი მიზეზი გა-  
 მოდგა; თუმცა კი ასეთი მეტისმეტი ზნედაცულობა იშვიათი ამბავი გახლდათ  
 იმ მოჩვენებითი ღირსებით აღჭურვილი ხალხისთვის, ჩვენი წინაპრები, სამ-  
 ხრეთში დაბადებულნი, 1860-61 წლებისათვის თვრამეტ წელს მიტანებული  
 ქალ-ვაჟნი რომ იყვნენ. ეს დიახაც წარმოუდგენელი ამბავია და ვერც ვერა-  
 ფერს აგვიხსნის. ან იქნებ სულაც ასე იყოს: ისინი არაფერს არ გვიხსნიან და  
 ჩვენც არ უნდა ვიცოდეთ არაფერი. სულ რამდენიმე ძველმა, ზეპირმა გადმო-  
 ცემამ მოაღწია ჩვენამდე; ძველი ზანდუკებიდან, ყუთებიდან, მუყაოს კოლო-  
 ფებიდან ამოგვაქვს უმისამართო და ხელმოუწერელი წერილები, რომელშიაც  
 ქალები და მამაკაცები, ერთ დროს რომ ცხოვრობდნენ და სუნთქავდნენ, აწ  
 მხოლოდ ინიცილებითა და მეტსახელებით არიან წარმოდგენილნი, და აწ ექო-  
 იმათი ვნებებისა ისე გაისმის, ვითარცა სანსკრიტი ან ჩოკტოს ტომის ინდი-  
 ელების მეტყველება; ბუნდად ჩანს ის ხალხი, რომელთა სისხლსა და  
 ხორცში თავად ჩვენ ვთვლემდით მოლოდინის გრძნობით გათანგულები, რო-  
 მელნიც ბნელ დროთა წიაღში ჩანთქმულნი გმირული სახისა გამხდარან, საქ-  
 მენი მათი განუჭვრეტელი და აუხსნელი დროის სიღრმეში განასახიერებენ  
 გულუბრყვილო ვნებებსა და გულუბრყვილო მგზნებარებას — დიახ, იმათ-  
 თაგან ყველას, ჯუდიოს, ბონს, ჰენრის, სატპენს. ისინი აქ არიან, და მაინც  
 რალაციით ნაკლოვანია ეს სურათი; ისინი მოგვაგონებენ რალაც ქიმიურ ფორ-  
 მულას, წერილებთან ერთად ფრთხილად რომ ამოუღიათ გადავიწყებული ზან-  
 დუკიდან: ქალაღი ძველია და ფერგადასული, იფშვნება, ნაწერიც ფერგადა-  
 სულია, თითქმის შეუძლებელია რამის გარჩევა, ღრმა მნიშვნელობით და  
 აზრით სავსე, ნაცნობია მასში ჩაჭდეული გრძნობებიც და ჩვენ სათანადო პრო-  
 პორციებით ვაერთებთ ერთმანეთთან, მაგრამ ამაოდ დავშვებით; თავიდან ვკით-  
 ხულობთ, დაძაბულად, ყურადღებითა და გამოწვლილვით, და ვრწმუნდებით,  
 არც არაფერი დაგვეწყობია და არც რამე შეცდომა მოგვესვლია; კვლავ და  
 კვლავ ვაერთებთ და კვლავაც არაფერი ხდება: ჩვენ წინაშე მხოლოდ სიტყ-  
 ვები, სიმბოლოები, ფორმებია, ბუნდი, იდუმალებით მოცულნი და გულგ-  
 რილნი, ამათ უკან კი ცხადლივ ჩანს შემზარავი და სისხლიანი ბედითი საქ-  
 მენი კაცთა.

ბონი და ჰენრი უნივერსიტეტიდან ჩამოვიდნენ თავის პირველ საშობაო  
 არდადეგებზე, პირველად ნახეს იგი ჯუდიოთმა, ელენმა და სატპენმა — ჯუ-  
 დითი შეხვდა კაცს, თვალწინ რომ ეყოლება თორმეტი დღე და აღარ დაივიწყ-  
 ყებს მას ოთხი წელიწადი (ერთხელაც არ მოუწერია ამ ხნის მანძილზე ამ გო-  
 გოსთვის. ჰენრი არ ანებებდა ამას; გამოცდას გადიოდა და იმიტომ, გესმის),  
 ხოდა, ბარათს რომ მიიღებს მისგან — ჩვენ დიდხანს გვიხდებაო ლოდინი,  
 ის და კლიტი იმწუთსავე შეუდგებიან საქორწინო კაბისა და პირბადის შე-  
 კერვას ნაჭრებ-ნაკუწებისაგან; ელენისთვის ეს კაცი იყო გამორჩეული, რა-

ლაც გასაოცარი ხელოვნების ნაწარმოები, ვისთანაც ბავშვური ალტერინგობითა და გატაცებით ლამობს საკუთარი ოჯახის დამშვენებას, ხოლო სატპენმა დღი-ნახა თუ არა ეს კაცი — დაწინდვა იმხანად მისი ცოლის წარმოდგენაში უკლებ-ბოდა მხოლოდ — ასე გაიფიქრა, დაფარული რაღაც საფრთხეში უკლებსა სწავ-ზეობას (აწინდელსა და მერმინდელსაც), ჩემს აწ უკვე დაგვირგვინებულ ამდენ წვალებასა და პატივმოყვარე ზრახვებსო, და ისე ცხადლივ ჩანდა ეს საფრთხე, რომ მის დასამტკიცებლად ექვსასი მილის მანძილზე გაემგზავრა, გაემგზავრა ის კაცი, ვისაც შეეძლო დუელში გამოეწვია და კიდევაც მოეკლა ვინმე, თუკი მისი სიძულვილის ან შიშის საფუძველი გახდებოდა, და ათ მილსაც არ გაივ-ლიდა სამხილებელი საბუთის მოსაპოვებლად. ხედავ? შეიძლება ისიც კი გა-იფიქრო, რომ უბრალო შემთხვევის ბრალი იყო სატპენის ნიუ-ორლუანს გამ-გზავრება, ანდა აზრმოკლებული გამოვლინება ბედითი ბედისა, რომელმაც იმ მხარის ან სულაც იმ ქვეყნის ოჯახთაგან სწორედ სატპენები აერჩია მსგავსად იმისა, პატარა ბიჭი რომ მრავალთაგან, და რატომ, თავადაც არ იცის, ჭიანჭვე-ლების ერთ-ერთ ბუდეს აარჩევს და მდულარე წყალს გადაასხამს. ბონი და პენრი ორი კვირა გაჩერდნენ სატპენის ასეულში და უკან, უნივერსიტეტში გაბრუნდნენ, მისს როუზას ნახვა მოინდომეს, მაგრამ ის სახლში არ დახვედ-რიათ; მთელი ეს მანგრძლივი საზაფხულო არდადეგები გაატარეს ერთმანეთთან საუბარსა, ცხენზე ჯირითსა და კითხვაში (ბონი სამართლის წიგნებს კითხუ-ლობდა, ასე უნდა გაეღია აქ დრო, მეტი რა უნდა ეკეთებინა — გარდა იმისა, რაც მას უნივერსიტეტში დარჩენას აიძულებდა — ხოდა, იქექებოდა კიდევაც ბლექსტოუნისა და კოუკის\* დაობებულ წიგნებში, სწორედ ეს საქმიანობა კარ-გად შეეფერებოდა მის სიზანტესა და სიზარმაცეს; სტუდენტთა რაოდენობა აქ ჯერ კიდევ ორნიშნა რიცხვით აღინიშნებოდა, სამართალს კი ექვსნი სწავ-ლობდნენ პენრისა და მის გარდა — დიახ, ამაშიც აცთუნა მან პენრი; შუა-სემესტრში გადავიდა პენრი სამართლის სპეციალობაზე), ამასთან პენრი მაი-მუნივით ბაძავდა მას ჩაცმა-დახურვაში, მეტყველებაში, კიდევაც ჰგავდა ამ კაცის კარიკატურას. ბონს თუმცა უკვე ნანახი ჰყავდა ჯუდიითი, მაინც ისევ ისეთივე კატისებური მანერების მქონე მცონარა დარჩენილიყო, ვისთვისაც პენრის თვისი დის რჩეულის როლი მიეჩეჩებინა, როგორც მიაჩეჩეს საშემოდ-გომო არდადეგებზე პენრიმ და მისმა ამხანაგებმა ბონს ლოთარიოს როლი; ელენი და ჯუდიითი ახლა კვირაში ორჯერ და სამჯერაც ჩამოდიოდნენ ქალაქს საყიდლებზე და ერთხელ მემფისში ეტლით მიმავალნი გზად მისს როუზას სანახავად შეჩერდნენ. იმათ წინ ფურგონი მიდიოდა ბარგით, კოფოზე, მე-ურმის ჯვრდით, იჯდა მეორე ზანგი; ყოველი ექვსი მილის გავლის შემდეგ ჩერდებოდნენ, ცეცხლს ანთებდნენ და აგურებს აცხელებდნენ, რათა ელენსა და ჯუდიითს ფეხები გაეთბოთ; ყიდულობდნენ მზითევს, ემზადებოდნენ იმ ქორწილისათვის, თუმცა კი დაწინდვა ელენის წარმოსახვაშილა არსებობდა; ამ დროს სატპენი, ვისაც ბონი ერთხელ ჰყავდა ნანახი, ნიუ-ორლუანს იმყოფე-ბოდა მისი ამბავის გასაგებად, მაშინ ბონი მეორედ ჩამოსულიყო იმათ-თან სტუმრად; ვინ იცის, რას ფიქრობდა სატპენი, რა დღესა და წუთს ელოდა, რათა ნიუ-ორლუანში წასულიყო და ის გაეგო, რაც უკვე იცოდა? არავინ იყო, ვისთვისაც შეეძლო გული გადაეშალა, გაეზიარებინა თავისი ექვი და შიში. არავის არ ენდობოდა, არც კაცს, არც ქალს, კაცთაგან და ქალთაგან

\* შუა საუკუნეების ცნობილი ინგლისელი იურისტები.

არავის არ უყვარდა იგი, ელენს სიყვარული არ შეეძლო, ჯუდიტი კი მეტი-  
მეტად ჰგავდა მამას; ქალიშვილს კი გადაარჩენდა, მაგრამ ვაჟი რომ შეეც-  
დინა ბონს, ეს იმთავითვე შენიშნა. მართალია, დიდი წარმტყუბუქ-მტყუბოვებია,  
მაგრამ მარტოსული იყო იმ ზიზლისა და უნდობლობის გამოტანხანხანქამ კაცის  
ხვედრი რომ არის, ვინც თავის წარმატებას თავისივე ძლიერებას უნდა უმაღ-  
ლოდეს და არა ბედის წყალობას.

შემდეგ კი იენისი დადგა, სასწავლო წელიწადი დამთავრდა და ჰენრი  
და ბონი სატპენის ასეულში დაბრუნდნენ. ბონი იქ ერთ თუ ორ დღეს დაჰყოფ-  
და, მერე ცხენით მდინარისკენ წავიდოდა, რათა გემით წასულიყო შინ, ნიუ-  
ორლეანს, სადაც უკვე სატპენი გამგზავრებულიყო. ხოდა, სულ ორი დღე დაჰ-  
ყო იქ, და ახლა უფრო უნდა მოეხერხებინა ჯუდიტისთვის თავის გულისნა-  
დების გაზიარება და იქნებ შეყვარებაც. ეს იყო მისთვის ერთადერთი და  
უკანასკნელი შემთხვევა, თუმცა კი, რალა თქმა უნდა, ამის შესახებ არც მან  
და არც ჯუდიტმა არაფერი იცოდნენ, უკვე ორი კვირა იყო გასული, რაც  
სატპენი შინ არ იმყოფებოდა და უთუოდ გაიგებდა შერეული სისხლის ქა-  
ლისა და ბავშვის ამბავს. ხოდა, ასე დარჩათ პირველად და უკანასკნელად  
ბონსა და ჯუდიტს ბურთი და მოედანი. წარმოდგენილი მაქვს, როგორ უწყობ-  
და ხელს ელენი ამ რომანს, ერთი სული ჰქონდა, რათა ჯუდიტი და ბონი პა-  
ემანზე შეეხვედრებინა და პირობა დაედებინა. თავმოდრეკილი სულმოუთქ-  
მელად ყველგან დაჰყვებოდა, ისინი კი ამაოდ ცდილობდნენ თავის დაღწევას,  
ჯუდიტი გაგულისებული ჩანდა, თუმცა სიმშვიდე არ დაეკარგა, ბონს კი ირო-  
ნიული ღიმილი და ზიზლნარევი გაოცება დასტყობოდა, რაც სულ ჩვეულებ-  
რივი გამოვლინება უნდა ყოფილიყო მისი შეუვალი და ბუნდი ხასიათისა. დიახ,  
ბუნდისა-მეთქი, რალაც მითიურისა და რალაც მოჩვენებითის, თავად იმათ რომ  
შეუთხზავთ და შეექმნათ, რასაც სატპენთა სისხლი და ხორცი ესაძირკვლე-  
ბოდა, როგორც ადამიანი კი თითქოს ამქვეყნად არც არსებობდა.

მაგრამ გვამი მართლა ნახა მისი მისს როუზამ, ჯუდიტმა რომ დაკრძალა  
საგვარეულო საძვლეში, დედის გვერდით. და კიდევ: გამოუცხადებელი და  
არც არასდროს თქმული დაწინდვა, აგრე სიცოცხლისუნარიანი რომ გამოდგა,  
მოწმობს იმას, ერთმანეთი უყვარდათ იმათ. ასე რომ არ ყოფილიყო, იმ ორი  
დღის სასიყვარულო ამბავი უმაღლ განქარდებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ ასე  
ცხადლივ დამტკბარი და დიდი იმედის მომცემი ჩანდა. შემდეგ ბონი მდი-  
ნარისკენ წავიდა და გემზე დაჯდა. და კიდევ აი, რა: ჰენრი რომ წაჰყოლოდა  
მას იმ ზაფხულს და ერთი წელიწადი არ დაეცადა, იქნებ იმ სიკვდილით არ  
მომკვდარიყო, როგორითაც მოკვდა; ჰენრი რომ მაშინ ნიუ-ორლეანს წასუ-  
ლიყო და ქალისა და ბავშვის ამბავი გაეგო, ვინემ ჯერ კიდევ გვიან არ იყო,  
ზუსტად მამასავით შეხვდებოდა ამ ამბავს, ეჭვიანი ძმისაგან ასე იყო მოსა-  
ლოდნელი, რადგან, ვინ იცის, იმ ქალისა და ბავშვის არსებობის, ანუ შესაძ-  
ლო ორცოლიანობის ამბავი კი არ გახლდათ მთავარი, რისთვისაც ჰენრის  
ტყუილი დაერქმია, არამედ ის, რომ მამამ უთხრა ეს ამბავი მას, რომ მამამ  
დაასწრო, ვინც ბუნებრივი მტერია ხოლმე ვაჟიშვილისა და სასიძოსი, რომ-  
ლის მოკავშირე მუდამ დედაა; ხოლო ქორწინების მერე მამა სიძის მოკავ-  
შირე ხდება, ხოლო სიდედრი — დაუძინებელი მტერი. მაგრამ ჰენრი მაშინ  
იქ არ წასულა. მდინარემდე მიჰყვა ბონს და მერე უკან წამოვიდა; მალე სატ-  
პენიც დაბრუნდა სახლში, სად იყო და რა მიზნით, შემდგომ შობამდე ამას  
ვერავინ გაიგებს; ხოდა, იმ ზაფხულმაც გაიარა, უკანასკნელმა ზაფხულმა,

როდესაც ჰენრიმ, თავად არც კი უწყოდა ისე, ხელი შეუწყო ბონი ჯუდიტს დაახლოებოდა, ბონი ვერც მოახერხებდა ამას უკეთ, არც შეიწყუბებდა დიდად თავს ეს მცონარა ფატალისტი; ჯუდიტი ხედავდა ყველაფერს ყოველსა და ყველა ლი სიმშვიდით, აუმღვრევლად, ერთი წლის წინ ის ჯერ კიდევ გლოვობდა ბუნდი, უსაგნო და სიზმარეული ოცნებით ატანილი, ახლა კი ქალად ქცეულიყო, შეყვარებულ, თავშეკავებულ ქალად. სწორედ იმხანად დაიწყო მოსვლა წერილებმა, ჰენრი სუყველას კითხულობდა, არც ეჭვიანობდა, საბოლოოდ გარდაქმნილიყო, სრული თავდავიწყებით გარდასახულიყო იმად, ვინც მისი დის სატრფო უნდა გამხდარიყო. სატპენს კი ერთი სიტყვითაც არ გადმოუკრავს, რა გაიგო ნიუ-ორლეანში, მხოლოდ ელოდებოდა ისე, ჰენრისა და ჯუდიტს ეჭვიც არ აუღიათ; იქნებ იმედოვნებდა, ბონი გაიგებდა — არადა, უთუოდ გაიგებდა — რომ სატპენმა იცოდა მისი საიდუმლო და იგი (ბონი) დარწმუნდებოდა, წავაგეო ეს თამაში, და შემდეგ წელიწადს უნივერსიტეტში აღარც კი დაბრუნდებოდა. ის და ჰენრი იქ კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, წერილები ამჯერად ორივესაგან, ჰენრისა და ბონისაგან ყოველ კვირას მოჰქონდა ჰენრის მეჭინბეს; სატპენი კი ელოდებოდა მაინც, ახლა მართლაცდა ვერაფერ იტყოდა, რას. იმას ვინ იფიქრებდა, შობის დადგომას და უბედურებას ელოდაო — კაცი, ვინც, ასე ამბობდნენ, არამცთუ გაეჭყეოდა, ხანდახან თავადაც იქმნიდა საწამებელს, მაგრამ ამჯერად ელოდებოდა და კიდევ გაუმართლდა ლოდინი. შობადღეები დადგა, ჰენრი და ბონი კვლავ ჩამოვიდნენ სატპენის ასეულში და იმდენი ჰქნა ელენმა, რომ დაწინდვის შესახებ მთელ ქალაქში ხმა დაიბნა; 1860 წლის 24 დეკემბერი იყო, ზანგის ბიჭებს ხელში მოემარჯვებინათ ბაგისა და ფითრის ტოტები და დიდი სახლების უკანა ეზოებში მიმალულიყვნენ, შობა უნდა მიელოცათ თეთრი ხალხისთვის; მდიდარი ქალაქელი კაცი იყო ჩამოსული ჯუდიტის გულისთვის, სატპენს კი ჯერ არაფერი ეთქვა, ეჭვიც კი არ აუღია არავის, იქნებ მხოლოდ ჰენრი გრძნობდა რალაცას, ხოდა, იმ ღამით კიდევაც დატრიალებულა უბედურება; ელენი კი თავისი არარეალური და უშფოთველი ცხოვრების მწვერვალზე იყო მოქცეული, თუმცაღა მეორე დღეს, განთიადის ხანს ლაწალუწით ძირს დაენარცხება და გაოცებული, გაოგნებული შთავარდება გამოკეტილ ოთახში, სადაც მოკვდება ორი წლის შემდეგ; — შობის წინადღეს ყველაფერი დაინგრევა, და არც არავის ეცოდინება ოდესმე, რატომ მოხდა ან რა მოხდა ჰენრისა და მამას შორის, მხოლოდ ზანგები ივლიან ქოხიდან ქოხში და ჩურჩულით ამცნობენ ერთმანეთს, ჰენრი და ბონი ცხენებზე შემსხდარან და ღამითვე წასულან, ჰენრის უარუყვია სახლი და მემკვიდრეობაცო.

ნიუ-ორლეანს გაეშურნენ ისინი. ნათელი და სუსხიანი შობის დილას მდინარესთან ჩავიდნენ და გემზე დასხდნენ. ჰენრი წინ მიდიოდა და ასეც იქნება მანამდე, ვიდრე უკანასკნელად და პირველად, მათი ნაცნობობის მთელი ხნის მანძილზე, ჰენრი უკან არ გაჰყვება წინ წასულ ბონს. ჰენრის წასავლელი არაფერი სჭირდა. თავისი ნებით გახდა მათხოვარი, თუმცა კი შეეძლო თავის ბაბუასთან მისულიყო. არა, წასასვლელი არაფერი სჭირდა მას. ბონი მის გვერდით მიდიოდა ცხენით და ცდილობდა გაეგო, რა მოხდა. ბონმა, რალა თქმა უნდა, იცოდა, რას შეიტყობდა სატპენი ნიუ-ორლეანში, მაგრამ მას უნდოდა გაეგო, სახელდობრ რა და სახელდობრ რამდენი უთხრა სატპენმა ჰენრის, ჰენრი კი არაფერს ეუბნებოდა. რასაკვირველია, ჰენრი თავის ახალ ლაფშაზე იჯდა და იქნებ გრძნობდა კიდევ, რომ იმასაც დაკარგავს და მთელ



თავის სიცოცხლეს, მემკვიდრეობასაც მსხვერპლად მიიტანს. წელსამართულად მჭდომარე მიაჭენებდა ცხენს, სამუდამოდ შემოსწყრომდა სახლს, მშობლიურ კუთხეს. თავის ბავშვობასა და სიყმაწვილეს, და ეს უკვე უფრო უფრო თავისი მეგობრის გულისთვის, ვისთანაც, მიუხედავად იმისა, რომ მისი რომელიც მან გაიღო სიყვარულისა და თანაღმობისათვის, მაინც ვერ იქნებოდა ბოლომდე გულწრფელი, რადგან იცოდა, სატპენმა სიმართლე უთხრა მას, სწორედ იმ წუთას მიხვდა ამას, როდესაც მამას მიაძახა, ტყუილს ამბობო. ხოდა, ახლა ვეღარ გაებედა ეთქვა ბონისთვის, შენც უარყავიო ეს ამბავი, ვერ გაებედა, გესმის, სიღარიბის, მემკვიდრეობის დაკარგვის არ შეშინებია, ბონის სიცრუეს კი ვერ გაუძლებდა. და მაინც წავიდა ნიუ-ორლეანს. სწორედ იქ გაემგზავრა, ეს იყო ერთადერთი ადგილი, სადაც ნახავდა დამაჯერებელ საბუთს იმ სიტყვებისას, მამამ რომ უთხრა და მან კი სიცრუე შეარქვა. სწორედ ამ მიზნით ჩამოვიდა იგი აქ, იმიტომ ჩამოვიდა, რათა ენახა ეს საბუთი. ბონი კი მიდიოდა მის გვერდით და ცდილობდა გაეგო, რა უთხრა სატპენმა მას — ბონი, ვინც წელიწადნახევარი ხედავდა, როგორ ბაძავდა ჰენრი მას ჩაცმასა და ლაპარაკში. ვინც წელიწადნახევარი ცხადლივ ხედავდა, რომ თავი და სული გაეწირა მისთვის ქალს კი არა, ყმაწვილკაცს, სწორედ ყმაწვილკაცს და მამრს რომ შეუძლია, ისე, სხვას კი — არავის; ვინც უკვე წელიწადი იქნებოდა, რაც ხედავდა, დაიც მოენუსხა იმ ჯადოს, ძმა რომ მონუსხა უკვე, და ისე, რომ მაცდუნებელს არა უღონია რა, თავიც კი არ შეუწუხებია, თითქოსდა ძმა ყოფილიყო დის მომნუსხველი, თავად მას ეცდუნებინა იგი ბონის სხეულში გადასულსა და გარდასახულს. მაგრამ აი ოთხი წლის შემდეგ გამოგზავნილი ბარათი, ქალაქი კაროლინაში გაძარცული სახლიდან წამოვლეთ, მელნად ეხმარათ იანკების შემუსრული საწყობებიდან ნაალაფარი ლუმელის ლაქი, ოთხი წელიწადი არაფერი არ მიუღია ჯუდითს, მხოლოდ ჰენრი ამცნობდა ხანდახან, ის (ბონი) ცოცხალიაო. ჰენრიმ იცოდა თუ არა იმ, სხვა ქალის შესახებ, ვინ იცის, მაგრამ ახლა კი უთუოდ გაიგებდა ამ ამბავს. ბონიც მიხვდა ამას. წარმოდგენილი მაქვს, მიდიან ისინი ცხენებით, ჰენრი ჯერ კიდევ რისხვითაა წამონთებული, მეგობრის გულისთვის ახლახან ბრძოლა გადაიტანა. ბონი კი უფრო ბრძენია, ცხოვრებისეული გამოცდილებაც მეტი აქვს და ცოტათიც უფროსია მასზე, ხოდა, ლამობს დასტყუოს ჰენრის, რა მოხდა, სატპენმა რა თქვა. რადგან ჰენრიმ უკვე იცოდა. და მე არა მგონია, რომ ბონს უნდოდა ჰენრი გვერდით ჰყოლოდა, ვითარცა მოკავშირე რაღაც გასაჭირში, სამომავლოდ. როგორც ჩანს, ბონი არა მართო თავისებურად იყო შეყვარებული ჯუდითზე, ჰენრი უყვარდა და, მგონია, ეს გრძნობა მართლაც უფრო ღრმა უნდა ყოფილიყო, ვინემ მხოლოდ თავისებური, იქნება რაღაც ფატალურად უყვარდა ჰენრი, ძმა უფრო, ვიდრე დაი, იქნებ ძმის აჩრდილი უყვარდა დაში, ვითარცა სიყვარულის გამოვლინების საშუალება — იქნებ ამ ჩვენს გონდამჭდარ დონ-ჟუანს ისე ჰქონდა გადატრიალებული ტვინი, რომ უკვე იმისი სიყვარული ესწავლა, ვისთვისაც თავადვე მოეკლა გული, შეიძლება ჰენრისა და ჯუდითის კი არა, შეიძლება მათი არსებობის, მათი ყოფის სიყვარული იყო. რადგან, ვინ იცის, რა მშვიდობიანი სურათი დაინახა მან ამ პროვინციული მხარის ერთფეროვნებაში, რა შვება იგრძნო და როგორ მოითქვა სული კლდეში გამოჭრილ უბრალო წყაროსთან ამ დასიცხულმა მოგზაურმა, ვისაც, ჯერ კიდევ ყმაწვილს, ძალზე შორს გამოუწევია სამოგზაუროდ. წარმოდგენილი მაქვს, გულს როგორ გადაუშლიდა ბონი ჰენრის. წარ-

მოდგენილი მაქვს ნიუ-ორლეანს მყოფი ჰენრიც, ვინც ერთხელაც არ ჩასულა მემფისში, ვისთვისაც მთელი ეს სამყარო სხვა პლანტატორთა ხასიათში სტუმრობით შემოფარგლულიყო. მათი სახლები კი ძალზე ჰგავდა მისას; აქაც ისევე მდოვრედ მიედინებოდა ცხოვრება — ნადირობა და მძღვლების ჩხუბი, თავ-პირის მტვრევით ჰენება ოკრობოკრო გზებზე სწრაფად სწრაფად და ჭიშის, მაგრამ ჯერ კიდევ ჭირითს შეუჩვეველ ცხენებზე, რომლებიც იქნებ ნახევარი საათია, რაც ორთვალადან ან სულაც ერთლიდან გამოხსნეს; სოფლის მოედანზე ცეკვა ქალიშვილებთან, რომლებიც ერთმანეთს მეტად დამსგავსებიათ; მუსიკაც ზუსტად ისეთივეა, როგორც სახლში, შამპანურიც იგივე, უმაღლესი ხარისხისა, რაღა თქმა უნდა, მაგრამ ცირკის მასხარასავით გამოწყობილი ხეპრე მსახურის მიერ მორთმეული (სტუმრებიც იმათ ჰგავდნენ, თითქოს სუფთა ვისკი ყოფილიყოს, ისე გადაჰკრავდნენ ამ სასმელს, სადღეგრძელოები კი მოქარგული და ბრიყვეული იცოდნენ) და კიდევ ჩვეულებრივი ლიმონათი. წარმოდგენილი მაქვს, ეს პურიტანელი ბიჭი, ანგლოსაქსების ჩამომავალი, მათი მძვინვარე და მედიდური ხასიათის მქონე და, ამავე დროს, მორცხვიც თავისი გულუბრყვილობისა და გამოუცდელიობის გამო, როგორ მოხვდა უცხო და პარადოქსებით აღსავსე ქალაქში, სადაც ერთად შენივთებულა ბედითი ბედისწერა და რაღაც სინაზე, ქალურობა და ფოლადის სიმტკიცე; ეს პირქუში, უმხიარულო სოფლელი ბიჭი, სალი კლდესავით მკაცრი ქვეყნიდან, სადაც სახლებიც კი, რომ არაფერი ეთქვათ ჩაცმულობასა და საქციელზე, შურიანი და სისხლისმსმელი იელოვას მსგავსად შეუქმნიათ. უცებ ეს ბიჭი თავს ამოყოფს იმ ქვეყანაში, რომელთა მცხოვრებლებს აუშენებიათ თავიანთი სახლების, თავიანთი მორთულ-მოკაზმულობისა და გრძნობების შესაღარი ყოვლისშემძლე და ყოვლის მესაძირკვე იერარქიული კიბე მშვენიერი წმინდანებითა და კობტა ანგელოზებით. წარმოდგენილი მაქვს, როგორ შეუძღვა ბონი ამ ვაი-უბედურებაში; რა ოსტატურად, რა მოხერხებით შეამზადა ჰენრის პურიტანული გონი, ისე, როგორც კლდოვან, ყამირ მიწას გადაბნავენ, მოამზადებენ ნიადაგს და დაელოდებიან კარგ მოსავალს. მართალი თუ ვინდა, ქორწინების ცერემონიალი, როგორც არ უნდა ყოფილიყო, მაინც დაუშანთავდა გულს ჰენრის, და ბონმა ეს იცოდა. მისი საყვარელი და, მით უმეტეს, ბავშვი, თუნდაც ზანგი საყვარელი ბავშვითურთ აქ არაფერ შუაში იქნებოდა; ჰენრისა და ჯუღითს ხომ თავადაც ჰყავდათ ზანგი ნახევარდაი და კიდევაც იზრდებოდნენ მის გვერდით; არა, იმ ქალს, თუნდაც ზანგის ქალს რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ისეთ გარემოში გაზრდილ ყმაწვილკაცისთვის, სადაც სუსტი სქესის წარმომადგენლები სამ ჯგუფად იყვნენ დაყოფილები, და ეს დაყოფა (ორი მაინც) მოგვაგონებს იმ უფსკრულს, რომლის გადავლა ერთხელდა თუ შეიძლება, და ისიც მხოლოდ ერთი მიმართულებით — ქალბატონები და ქალები, გოგონები და ქალწულნი, რომლებზეც დღეს თუ ხვალ ჯენტლმენებს დაქორწინება შეუძლიათ; სიძვის დიაცნი, რომლებსაც ისინი კვირადღეს აკითხავენ ხოლმე ქალაქში; მონა-ქალები, გოგონები, რომელთა წყალობით პირველი ჯგუფი არსებობს ამქვეყნად და, თქმა არ უნდა, გარკვეულწილად მხოლოდ მათი მეშვეობით შეუწარმუნებიათ თავიანთი ქალწულობა — არა, ამ გარემოებას არ შეუძრავს ჰენრი, ჯანმავარი ყმაწვილი, ვისი სისხლი გაუფიცებია უბრალო გასართობებს, ჭირითსა და ნადირობას; ასე გაჰყავდათ დრო იმას და იმის მსგავსთ, თავიანთი წრის ყმაწვილქალები იმათთვის აკრძალული და მიუწვდომელი ხილი იყო, სხვა ქალები ასევე მიუწვდომელი

იყვნენ უფულობისა და სიშორის გამო, დარჩენოდათ მხოლოდ მონა გოგონები და მოახლეები, რომლებიც ოჯახის თეთრ დიასახლისთა მეცადინეობით შეჩვეულიყვნენ სიფაქიზესა და სისუფთავეს, და კიდევ მინდვრად მომუშავე ოფლით გახვითქული ქალები; ხოდა, მიდის ახალგაზრდა კაცი იქ, მოუხმობს ზედამხედველს და უბრძანებს, მიდი და გამომიგზავნეო იუნონს, რომელიცაა, ან ქლორა. შემდეგ ცხენს ქალაში შეიყვანს, ჩამოქვეითდება ბძმ ლქქსსდვსა, არა, საქმე შეუღლების ცერემონიალია, ცერემონიალია აქ თავი და თავი, გინდ ზანგის ქალთან შეუღლება და ამისი ცერემონიალიო — ასე ფიქრობდა ბონი. და წარმოდგენილი მაქვს, როგორ და რა გზით დაატყვევა მან ჰენრის უეშმაკო. შეურყვნელი პროვინციული გული, ნელ-ნელა და თანდათან შეიტყუა ამ ეგზოტიკური გარემოს ზეგავლენის ქვეშ და ასე ნელინელ შეუქმნა თავისთვის ესოდენ სასურველი სურათი, რომელსაც ვერ შეელევა ვერასდროს. მე ვხედავ, იმ კაცის მეშვეობით ჰენრი როგორ თანდათან ინთქმება ტკბილი ცხოვრების მღვრიე მორევში, ყოველგვარი შესაეღის გარეშე; გაუფრთხილებლად დაანახვა ჯერ შედეგი, შემდეგ კი მიზეზი და თანდათანობით საჩინო მხარელა წარმოუჩინა მისი — უცნაური რაღაც შენობა, ქალური ზიზილ-პიპილებით მორთული და ამიტომაც მეტიმეტად ცოდვილიანი და ვნებათა ღელვის მომგვრელი ჰენრისთვის; ვეებერთელა და სულ ადვილად მოპოვებული ქონება, რომლის ღირებულება გემის ტრიუმის მიხედვით იზომება და არა იმით, თუ რამდენი ოფლი უღვრია ხალხს ბამბის მინდვრებში; ბრწყინვა-ლაპლაპი გააქვს ეტლთა მირიად ბორბალს, ქალები სხედან შიგ მედიდურად ყელმოღერებულნი, მიქრიან ვითარცა დიდებული პორტრეტები, გვერდით ჰყავთ მამაკაცები, ცოტა უკეთესი პერანგები რომ აცვიათ, ცოტა უფრო მეტად რომ უბრწყინავთ ბრილიანტები, ცოტა უფრო მორთულ-მოკაზმული სამოსელი რომ აქვთ, ქუდეები ცოტა უფრო გამომწვევად რომ ახურავთ და ცოტათი უფრო მეტადაც რომ იბლინძებიან, ვიდრე იქ, ჰენრის მშობლიურ კუთხეში; ხოდა, ის კაცი, მისი მენტორი, ვისი გულისთვისაც მან თავისი სისხლი და ხორცი უარყო, უფრო მეტიც, დაკარგა ლუკმაპური, სახლი, ჩასაცმელ-დასახურავი, ვისთვისაც ცდილობდა მაიმუნივით მიებაძა ჩაცმულობასა, მიბრამოხრასა და ლაპარაკში, გადაეღო მისი შეხედულებები ქალებზე, პატიოსნებასა და ღირსებაზე, სწორედ ეს კაცი კატასავით გულცივად და ანგარიშიანი თვალით აკვირდება მას, აკვირდება და როდესაც მთელი სურათი ცხადლივ წარმოუდგება და გაითავისებს კიდევაც, ასე ეტყვის ჰენრის, ეს ჯერ კიდევ არაფერია, ეს დასაწყისი, საფუძველია მხოლოდ, ყოველი მოიხვეჭავსო ამას. ჰენრი კი პასუხობს — შენ ფიქრობ, რომ ეს კიდევ არაფერია? რომ არის ამაზე მთავარი, უმთავრესი, უმნიშვნელოვანესი? ბონი მიუგებს, დიახ. ეს მხოლოდ საძირკველია. ყველას შეუძლია ამის მოხვეჭა, და ასე მუნჯურად, უსიტყვოდ მიმდინარეობს ეს საუბარი და ყოველივე ეს აღინუსხება მეხსიერებაში, მერე კი შეუცვლელად აღდგება, გამომზეურდება მთელი სურათი, შემდეგ უკანა მხარე იშლება მისი და გასუფთავებული გამოჩნდება ეს ტილო, ახლისთვის გამზადებული და დამყოლი, პურიტანული მოთმინებით აღჭურვილი ყოველივე იმის მიმართ, რაც გრძნობას ეხება, ლოგიკურობასა და ფაქტს არ დაგიდევთ, იმ კაცს წარმოსახავს უფრო, ვინც სულშებუთული იბრძვის და წარმოთქვამს მე მინდა მჭეროდესი მინდა! მინდა-მეთქი! გინდ სიმართლე იყოს და გინდ არა, მე მინდა მჭეროდესი მერე კი დაელოდება შემდეგ სურათს, რომელსაც უმზადებს კიდევაც მენტორი, მაცდუნებელი მისი; ხოდა, ეს შემდეგი,



მომდევნო სურათი რომ ცხადი გახდება და გამოიკვეთება. მენ-  
 შეიძლება ამჯერად სიტყვებითაც, და შესცქერის იმის აღზრდას  
 სახეს და იცის, რომ ამ ყმაწვილ პურიტანს შეიძლება არ მოეწონოს  
 სასოება დაკარგოს და გაოცდეს, მაგრამ სიტყვასაც არ დაიწყებს  
 მისი არმოწონება და გაოცება სასოების წარკვეთად არ ჩაუთვალონ, და ბონი  
 ასე იტყვის, არც ეს არისო მთავარი, ჰენრი უბასუხებს, შენ გგონია, ყოვე-  
 ლივეზე უფრო მნიშვნელოვანია ეს, სხვა აღარაფერიო იმასთან შედარებით?  
 რადგან ახლა იგი (ბონი) დინჯად, თითქმისღა საიდუმლოდ ეტყვის, თავად  
 დაუხატავს თავისთვის აგრე სასურველ სურათს: წარმოდგენილი მაქვს, რო-  
 გორ შვრება ამას, გულცივად, გამოწვლილვით, ვითარცა ქირურგი, მაღიმილ  
 უსვამს იდუმალებით მოცულ ხაზებს, ტილომ ხომ ჯერ კიდევ არ იცის, რო-  
 გორი იქნება საბოლოოდ, პირველი ხაზებია ეს ჯერ კიდევ და ველარაფერ-  
 წაშლის, ორთვალა და საჯდომი ცხენი ჩერდება დაეტილ სამონასტრო კი-  
 კრის მსგავს ალაყაფის კართან, მცირეოდნავ ხრიოვი და მცირეოდნავ უკა-  
 ცური ჩანს ეს უბანი, ბონი იმისი პატრონის სახელს ახსენებს, უნდა ჩააგო-  
 ნოს, ვითარცა ორი მაღალი წრის კაცი, ვითომ ისე საუბრობენ ისინი, და დარ-  
 წმუნებულა, ჰენრიც მიხვდება იმას, რაც ბონმა იცის, ორიოდვე სიტყვით  
 გაუგებს ბონს, ჰენრი კი, ეს ყმაწვილი პურიტანი, აუშდვრეველი რჩება, ვაი-  
 თუ გაოცება და უვიცობა შემატყონო — მზიანი დილის ნისლში თვლემს  
 წინა მხარე დარაბებშიხურული, გამოცარიელებული მენობისა; ფარულ, გა-  
 საკვირველ და შეუცნობელ სიამეთ ამცნობს მას თავაზიანი, იდუმალებით მო-  
 ცული ხმა. ჰენრი ვერ იგებს იმას, რასაც ხედავს, თითქოსდა ჭრება ეს სქელი  
 და მკვრივი ზღუდე, ყოვლის განსმჯელ და განმკითხავ ინტელექტს, გონებას  
 რაღაც მიუწვდომელი რამ რომ წარმოუჩინა, რაც პირდაპირ ხვდება მიზანში  
 და წამოშლის ოდინდელ ბრმა და ქვეშეცნეულ იმედებს, მამრის ბუნებას რომ  
 ესაძირკვლება, ყველა ყმაწვილკაცის სულში რომ ბუდობს, და ბაზარში გა-  
 მოტანილი ყვავილების მსგავსი სახეთა მწკრივი გამოჩნდება, გამოვლენება მო-  
 ნობის უმაღლესი აპოთეოზისა, ორი რასის შედეგად რომ ადამიანის გარკვე-  
 ული ჯიში შექმნა, ვაჭართათვის ასე სასურველი, ორივე მხრიდან შეჭირვებულ  
 ტრაგიულ სახეთა ყვავილნარი — დედაბრები, პირქუში დუენიები ერთი  
 მხრივ, ვაცებს დამგვანებული (იმ წუთას) გამოპრანქული მტაცებლებივით  
 დადარაჯებული ყმაწვილკაცები მეორე მხრივ, ყოველივე ამის ჰენრი წამითდა  
 პკიდებს თვალს, წამითლა იხილავს და მაშინვე მოაცილებენ ამ სურათს, მენ-  
 ტორის თავაზიანი, საამური, იდუმალებით მოცული ხმა ესმის ისევ, ვითომცდა  
 სულ ჩვეულებრივ, კარგად ცნობილ ამბავს ამცნობენ ერთმანეთს მაღალი  
 საზოგადოების ადამიანები, ყოველივე გაუთვალისწინებია იმას, იმედი აქვს  
 რომ ამ პურიტანი პროვინციელისათვის თავზარდამცემი იქნება ვაოცებისა და  
 უვიცობის გამომყდავნება, იგი უკეთ იცნობს ჰენრის, ვიდრე ჰენრი მას, ჰენ-  
 რიც არაფერს იმჩნევს, თრგუნავს ძრწოლას და მწუხარების პირველ ამოძა-  
 ხილს მე მინდა მჭეროდეს! მინდა მინდა-მეთქი! დიახ, მეყსეულად ჩნდება და  
 ჭრება სურათი მანამ, ვინემ ჰენრი რასმე ჩახვდებოდეს, თუმცა ახლა უკვე  
 შენელებულა ჩვენება ამ სურათებისა, ახლა უკვე დადგა ის წუთი, რისთვის-  
 საც ასე უზრუნია ბონს — გადაულახავი ზღუდე აღმართულა ჰენრის წინ  
 ალაყაფის კარიტურთ, ფიქრიანი, აუშდვრეველი სოფლელი ბიჭი უცდის, უმ-  
 ზერს, ჯერ კიდევ არ ეკითხება, რატომო? რის გულისთვისო? მაქმანის მსგავ-  
 სად დაწნული მავთულისაგან კი არა, დიდრონი ძელები'აგან გაუკეთებიათ ის

ალაყაფის კარი; მიუახლოვდნენ ისინი, ბონმა იქვე, პატარა ჭიშკარზე დააკაკუნა, შევგვრემანი კაცი გამოტყვრა იქიდან, საფრანგეთის რევოლუციის დროინდელი გრავიურის გმირს მოგავიწყებდათ, შეშფოთებული, გაოგნებული კი ჩანდა, თითქოსდა პირველად დაინახაო დღის სინათლე, და ისეთი ფრანგულით დაელაპარაკება ბონს, რომ ჰენრი ვერაფერს ვერ გაიგებს. ბონმა წამოანათებს კბილებს და ფრანგულადვე უპასუხებს: „ამასთან? ამას ამჟამად ვერ გაიგებ? ჩემი სტუმარია იგი; კი ამოვარჩევინებდი იარაღს, მაგრამ ნაჯახებით ბრძოლა მე არ მინდა. არა, არა, ოღონდაც ეს არა. კლიტე მხოლოდ, კლიტე მხოლოდ“. და ახლა მის წინ კი არა, მის უკან იკეტება ალაყაფის კარი, ვეებერთელა ზღუდეს დაუფარავს, დაუმაღლავს ქალაქი და ხმაური მისი, ოლეანდრეს, ჟასმინის, ლანტანისა და მიმოზის ტევრს გარშემოუბურავს მცირეოდენი შიშველი მიწა, ნიჟარების ნამსხვრევებით რომაა მოკირწყლული, სუფთად გამოხვეტილია, მხოლოდ ახლახან გამოჩენილი ყავისფერი ლაქები ვერ მოუცილებიათ, და ისევ ის ხმა — ჭკუას რომ არიგებს, ოღონდ ახლა გვერდზე მიმდგარა და ასე უთვალთვალებს სახეკუშტ პროვინციელს, საუბრობს ლაღად და ტკბილად, თითქოსდა ხუმრობსო: „ჩვეულებრივ ასე ხდება, ზურგით დადგები, მარჯვენაში დამბაჩას მოიმარჯვებ, მარცხენათი იმის საწვიმრის კალთას ჩაეჭიდები. მერე ნიშანზე წამოხვალ და როდესაც იგრძნობ, დაიჭიმაო ის საწვიმარი, მიტრიალდები და გაისვრი. თუმცა კი ხანდახან ისინი, ვისაც სისხლი უდუღს ძარღვებში, ანუ გლეხური სისხლისანი დანებსა და ერთ საწვიმარს ამჯობინებენ. პირისპირ დადგებიან იმ ერთ საწვიმარში გახვეულები და ორივეს ერთმანეთის მაჯა უკავიათ მარცხენა ხელში. მაგრამ მე არასდროს მიცდია ასე...“ ლაღად, გაღიმებული წარმოთქვამს ამას, და ასე მოელის შეკითხვას იმ სოფლელი ბიჭისაგან, რომელმაც უკვე იცის პასუხი, თუმცა ჯერ კიდევ არ უკითხავს მისთვის, რატომ... რის გულისთვის უნდა შეებრძოლონ ერთმანეთს?

დიახ, ჰენრიმ უკვე იცის, ანუ ასე ჰგონია, რომ იცის; და უფრო მეტიც, იქნებ სულაც უმნიშვნელოდ მიიჩნიოს ეს ამბავი, თუმცა კი ასე არ უნდა იყოს; საბოლოო დარტყმა, მიახლოება და რაღაც — მსგავსი ქირურგიული ჭრილობისა, რასაც ველარ გრძნობს ნარკოზისაგან გაბრუებული პაციენტი, და არც კი იცის, რომ ეს პირველი განასერი ჯერ კიდევ დასაწყისია მხოლოდ. ქორწინების ცერემონიალი ხომ ჯერ კიდევ წინ არის. ბონმა იცოდა, რომ სწორედ ეს იქნებოდა ჰენრისთვის ცეცხლის გადაყრა თავზე. ჰოი, რა ცბიერი იყო ეს კაცი, ვისიც, ეს ერთი კვირა იყო, რაც ჰენრი მიხვდა ამას, სულ უფრო და უფრო ნაკლებად ესმოდა. ამ უცხოელმა, ქვეყნად რომ ყველაფერი გადაივიწყა, გულდაგულ, თითქმის რიტუალური სამზადისი დაიწყო სადარბაზოდ წასასვლელად. თითქმის ქალივით არჩევდა შესაფერის ახალ სამოსელს, ჰენრისთვის რომ შეუკვეთა და, აიძულა კიდევაც მისგან საჩუქრად აეღო ამ შემთხვევის გამო. ხოდა, მთელი ეს შთაბეჭდილება, რომელიც უნდა გასჩენოდა ჰენრის ამ სტუმრობის ხანს, ჯერ კიდევ მაშინ შეიქმნა, სანამ სახლიდან წამოვიდოდნენ და სანამ ჰენრი იმ ქალს ნახავდა; და ჰენრი, ეს ჩვენი სოფლელი ბიჭი, საბოლოოდ დაბნეული, უკვე გრძნობდა ფეხქვეშ შეუმჩნეველ ნაკადს, რომელსაც იქით გაეტაცა იგი, სადაც უნდა უარეყო საკუთარი თავი, ნება და ფიქრები ან თავისი მეგობარი მოეკვეთა, ვისი გულისთვისაც მიატოვა სახლი, ოჯახი და ყველაფერი; დაბნეულსა და (ამ წუთს) უმწეოს კი უნდოდა ერწმუნა, მაგრამ ეჭვობდა, შევძლებო კი ამას, მის მეგობარს კი, მენტორს უკვე

ხელი ჩაეკიდა მისთვის და შეჰყავდა საოცრად უსიციოებლო ალაყაფის კარში, რომლის მსგავსი ადრეც ჰქონდა ნანახი ჰენრის; ცხენი ან ორთვალა იდგა ხოლმე იქ, სადაც ამ პურიტანი პროვინციელის თვალში მთელი მორალური თავდაყირა დამდგარა, პატიოსნება ჩანავლებულა და გაშიშვლებულა და წამოხილებულა ურცხვთვალეობა გრძნობიერება, და ეს ჩვენი უბრალო, უქვეყნო-უგზურუნელი ბუნების სოფლელი ბიჭი, ვისთვისაც ქალები ქალბატონებისა და მამაკაცებისა, ან მონა ქალები იყვნენ, აპოთეოზში დაინახავს ორ განწირულ რასას, რომელთა წილ წარმოუდგება მეუფება მისი საკუთარი მსხვერპლისა — მაგნოლიის მსგავსი ქალის ტრაგიკული სახე, მარადიულ მონანიებას, მარადიულ ქალურობას რომ გამოხატავს; ბაღს, ბიჭს კი თუმცა მაქმანებსა და აბრეშუმებში სძინავს, მაგრამ სულითა და ხორციით თავის შემქმნელს ეკუთვნის, ვისაც შეუძლია ხბოსავით, ლეკვივით ან ბატკანივით გაყიდოს (თუკი მოისურვებს); მენტორი კი კვლავ მოთამაშესავით უთვალთვალავს და ფიქრობს **მოვიგე თუ წავაგეო?** და ახლა, როცა ისინი იქიდან წამოვიდნენ და ბონის ბინაზე დაბრუნდნენ, სიტყვაც ველარ დაედრა, ეშმაკობის თავიც აღარ ჰქონდა, აღარც ენდობოდა მის პურიტანულ ხასიათს, რომლის გამოხატულება იყო არგოცება და უსასოობა. და ახლა მისივე ცდუნებული ყმაწვილკაცის სიყვარულის (რალა დარჩენოდა) იმედიღა უნდა ჰქონოდა; და ვერც შეეკითხებოდა. აბა რას იტყვიო ამაზე? მეტი რალა უნდა ექნა, უნდა დალოდებოდა, და ვინ იცის, რას მოიმოქმედებდა კაცი, ვინც ჰკუთით კი არა, რალაც ინსტინქტებით ცხოვრობდა, ხოდა, იქნებ ჰენრის ეთქვა: „ის ხომ კახპა, ქვეყნის ნათრევი ქალია“. ბონს კი იქნებ ნაზადაც ეპასუხა: — „არ არის კახპა. მასე ნუ ამბობ. იმათთაგან რომელიმეს ნურასოდეს ნუ უწოდებ ასე აქ, ნიუ-ორლეანში, თორემ შეიძლება ათასმა კაცმა სისხლით გაზღვევიოს ეგ შენი სიტყვები“. და შესაძლოა კვლავ ნაზად, შესაძლოა ამჯერად საწყალობლადაც, ადამიანის უსამართლობის, სისულელისა და ტანჯვის ნახვით გულდამძიმებულმა ამ ჰკვიანმა კაცმა საწყალობლად გამოსცრას კბილებიდან: „არ არიან კახპები. არ არიან კახპები და ეს ჩვენი, ათასი კაცის წყალობაა. ჩვენ — ამ ათასმა თეთრმა მამაკაცმა შევქმენით ისინი, ჩავბერეთ სული და მივანიჭეთ არსებობა; ჩვენვე შევქმენით კანონი და დავადგინეთ, რომ ერთმა მერვედმა გარკვეულმა სისხლმა უნდა გადააჭარბოს სხვა სისხლის შვიდ მერვედს. მე ვალიარებ ამას. მაგრამ სწორედ ეს თეთრივე რასა ხომ შექმნიდა იმათგან მონებს, მშრომელებს, მზარეულებს და იქნებ სულაც მიწის მუშებსაც. მართლაც ასე მოხდებოდა, ის ათასი კაცი რომ არ ყოფილიყო, ვინც, შენ შეიძლება ასეც კი თქვა, უწესო და უპატიოსნოა. ჩვენ არ შეგვიძლია, იქნებ არც კი გვინდა ყველა იმათთაგანის გადარჩენა, იქნებ ათასიდან მხოლოდ ერთი გადავარჩინოთ. მაგრამ ის ერთიც საქმეა. მამაზეციერს ყოველი ბელურა ჩიტიც ჰყავს აღნუსხული, მაგრამ მამაზეციერს ჩვენ რას გავუტოლდებით, გესმის, იქნებ ჩვენ არც გვინდა მამაზეციერობა, რადგან ყოველ მამაკაცს იმ ბელურა ჩიტთაგან მხოლოდ ერთი სჭირდება. და ვინ იცის, მამაზეციერს რომ ჩამოეხედა იმის მსგავს დაწესებულებაში, სადაც ჩვენ ამ საღამოს ვიყავით, ჩვენი აწ უკვე მოხუცებული უფალი მამაზეციერობას არც ერთს დაგვანებებდა. თუმცა ჩვენი უფალი ხომ თავადაც ყოფილა ყმაწვილკაცი, კი, უთუოდ იქნებოდა, და ალბათ ვინმეს იმასავით დიდხანს რომ ეცოცხლა და ენახა ეს გარყვნილების მღვრიე და უკიდევანო მორევი, ისიც, მსგავსად ჩვენი უფლისა, ბოლოს და ბოლოს მოისურვებდა, თუმცა ასეთს მილიონში ერთს თუ ნახავთ, წესიერებისა და პატიოსნების მეუფებას

ნორმალური ადამიანის ინსტიქტებზე, რასაც თქვენ, ანგლოსაქსები, ბორციელ ნდომას უწოდებთ ნიადაგ და რასაც მიხედობით კიდევ სხვაგვარადაა პირველყოფილ გამოქვაბულებში, ხოდა, იმის ლალატს, რისთვისაც თქვენ სიკეთე დაგარქმევიათ, ღვთისსაწინააღმდეგო ახსნა-განმარტებისა და პატიების ბურუსში ახვევთ, ხოლო ღვთით ცხებულ სიკეთესთან მიბრუნებისა და აღმშენებლობისა და ახალი იქაურობის გადართობის თვითგანქიქებისა და თვითგვემის მაცნე გოდებით, თუმცა კი არც ერთითა და არც მეორით — უარყოფით ან თვითდამცირებით — ვეღარ მიიპყრობთ უფლის ყურადღებას და, თუკი ამას გაიმეორებთ ორჯერ ან სამჯერ, გასართობსაც ვერ იხილავთ ვერაფერს, და რაკილა ახლა მამაზეციერი მოხუცი კაცია, იქნებ სულაც არ უნდა მოძებნოს ხორციელი ნდომის, თქვენ ხომ ამას ასე უწოდებთ, დაკმაყოფილების გზები, იქნებ უფალი ჩვენი არც კი მოგვთხოვს იმ ბელურა ჩიტთაგან ერთ-ერთის გადარჩენას ან თუნდაც იმის დახსნას, ვისაც სულის საცხონებლად მივეშველებით ხოლმე მართლაცდა ჩვენ გამოვიხსნით იმ ერთს, რათა იგი ვილაც ფულის გარეწარს არ მიჰყიდონ, და თუ მიჰყიდიათ, თეთრი სიძვის დიაცივით ერთი ლამით კი არა, სულითა და ხორციით მთელი სიცოცხლის მანძილზე იმას არგუნებენ, ვინც სრულიად განუკითხავად რასაც უნდა იმას გააკეთებინებს, და პირუტყვის, ძროხის, ფაშატი ცხენის ბელი უფრო სანატრელი იქნება მისთვის, მერე კი გააგდებს ან გაყიდის, ან სულაც მოკლავს, როდესაც ყავლი გაუვა ან მისი შენახვის ხარჯი ბაზრისას გადააქარბებს, დიახ, ის ბელურა ჩიტია, ვინც არ არის ღვთის მადლით მოსილი, თუმცა კი მამაკაცების, თეთრი მამაკაცების შექმნილია და მამაზეციერი ამას წინ არ აღდგომია, უფალს მარცვალი გადმოუგდია, რომლისგანაც აღმოცენდა ყვავილი იგი — თეთრმა სისხლმა მას მიანიჭა ფორმა და ფერი, რასაც თეთრი მამაკაცები ქალურ მშვენიერებას, იმ ქალური სრულყოფილებისა და ზეობის პირველსაწყისს ეძახიან, ცხელი ეკვატორის მიწაში რომ იყო ჩაჩუმქრული ჯერ კიდევ მაშინ, სანამ ჩვენი თეთრი წინაპრები ხიდან დაბლა ჩამოვიდნენ, ბანჯგელი გაცვივდებოდათ და თოვლისფერნი გახდებოდნენ; ხოდა, ამ პირველსაწყისს უნარი აქვს მოგვაგოს უნით უთქმელი ოდინდელი, გასაოცარი ხორციელი სიამენი (და ეს ყველაფერი, მეტი რა უნდა იყოს კიდევ), რასაც მისი მალალი ზნეობის თეთრი დები გაურბიან, თავზარდაცემულებს ამისათვის უზნეობა დაურქმევიათ; ხსენებული პირველსაწყისი, რომლის მეშვეობითაც მისი თეთრი დები მატერიალური კეთილდღეობის მოხვეჭას ცდილობენ იმის მსგავსად, ვინც ათასად იჭრება და დუქანში დგამს დახლს ან სასწორს, ან სეიფს, ან კიდევ სხვა რამეს და თავის წილსაც მოითხოვს საზღაურად, ხოდა, ის ქალური პირველსაწყისი დედოფლის ძალმოსილებითა და ბრძნული განცხრობით წამოწოლილა მზის სხივებქვეშ, აბრეშუმით მოფენილ ტახტზე, არა, კახპები არ არიან, კურტიზანი ქალებიც არ გვგონოთ ეს არსებანი, ვისაც ბავშვობიდანვე არჩევენ და უფრო დაჰკანკალებენ თავს, ვინემ რომელიმე თეთრ ქალიშვილს ან მონაზონს, ან სუფთა სისხლის ფაშატს, ფიანდაზად ეფინებიან დღედაღამ, მშობელი დედაც ვერ გაუკეთებს მეტს, ფულის გულისთვის, რაღა თქმა უნდა, ფულის გულისთვის, თუმცა გასამრჯელოს შემოთავაზება, აღება ან არაღება გარკვეული წესით ხდება, თეთრ გოგონებს ასე არ ყიდულობენ, თეთრ გოგონებთან შედარებით უფრო ძვირფასია ეს საქონელი, ეს ქალები მოწოდებულნი და გამოწვრთნილნი არიან იმისათვის, რათა აღასრულონ დიაცის ერთადერთი დანიშნულება და მიზანი — მოგვაგონ სიყვარული, მშვენიერება,

სიამენი; კაცთაგან ვერავინ ვერ ნახავს, ვიდრე მეჯლისზე არ გამოიყვანენ ვასასყიდად და ვინმე მამაკაცი არ აარჩევს, ვინც, სურვილი და გულიანება აქ არაფერ შუაში არ არის, ვალდებულია შეუქმნას მას ისეთი გარემო, სადაც იბრწყინებს და სიამოვნებას მოგანიჭებს; ვისაც ჩვეულებრივ ამ სამოთხეში ყოფნა შეიძლება საკუთარი სისხლის ან სულაც სიცოცხლის ფასად დაუჯდეს. არა, კახპები არ არიან-მეთქი, და იმ ქალთაგან რომელიმე კაცმა რომ გაანთავისუფლოს, ანდა თავად მოკვდეს, ვიდრე პირში სული უდგას, იმისი ერთგული იქნება. და შენ სად ნახავ კახპას ან თუნდაც წესიერ ქალს, ვისაც აგრე რიგად მიენდობი?" ხოლო ჰენრიმ: „მაგრამ შენ ხომ იმაზე დაქორწინდი. შენ ხომ იმაზე დაქორწინდი-მეთქი“. ბონი კი — ახლა უფრო სწრაფად, მკვეთრად მოუჭრის, და ხმა მისი ჯერ კიდევ ისევეა ნაზი და მომთმინე, თუმცა რკინა-ფოლადის ქლრიალსაც გამოსცემს, რადგან ამ მოთამაშეს ჯერ კიდევ არ გაუმხელია თავისი უკანასკნელი და გამარჯვების მომტანი საბუთი: „აჰა, შენ ქორწინებას გულისხმობ, ვიცი, ვიცი, რაც არის. რაღაც ადათი და წესი, ბავშვის თამაშით აზრმოკლებული, რასაც შემთხვევისდა კვალად მიმართავს ის, ვინც მახეში გაებმება; ხოდა, გადამღრძვალ ბებრუხანა, სადღაც მიწისქვეშეთში მოკალათებული, ანთებული თმის შუქზე რაღაცას ჩურჩულებს იმ ენაზე, რომელიც არ ესმის ამ გოგოს და იქნებ თავად მასაც. ან რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამას ამ გოგოსთვის, ან თუნდაც მისი მომავალი მემკვიდრეობისთვისაც, ამ წილადობილაში ჩვენი მონაწილეობა მისთვის საბუთი და მტკიცებაა, რასაც უშუალოდ ვერ ამცნობს ეს ცერემონიალი; ამ დროს არ იქმნება რამე ახალი კანონები, არ უქმდება ძველები — სტუდენტი ბიჭბუჭების ღამის იღუმალი თავყრილობის მსგავსად მთლად აზრმოკლებულია ეს რიტუალი, რომელსაც თან ახლავს იგივე დავიწყებული და არქაული სიმბოლოები. შენ კი ამას ჯვრისწერას ეძახი, და ეს მაშინ, როდესაც თავლობისთვის პირველ ღამესა და მოულოდნელ შეხვედრას ქუჩის მეძავთან ერთი და იმავე აღმაფრენის ნიშანი სცხია, ისეთივე (დროებითი) ცალკე ოთახი, სამოსელსაც ისევე იხდიან და ისევე შეუღლებიან ერთ ლოგინში მწოლარენი, ხომ კი? და ამასაც რატომ არ უნდა დავარქვათ ქორწინება“. ჰენრიმ კი: „ჰოი, მეც ვიცი. მეც ვიცი-მეთქი. ორს ორზე ამრავლებ და მეუბნები, ხუთიაო, და მართლაცაა ხუთი. მაგრამ ქორწინება მაინც ქორწინებაა. ვთქვათ და მე ვიტყვი, ამა და ამ კაცის მიმართ რაღაც ვალდებულებას ვგრძნობ-მეთქი, იმას კი ჩემი ენა არ ესმის და ამ ვალდებულებას იმის ენაზე აღნუსხავენ, და მეც დავეთანხმები ამას, ხოდა, იმიტომ ხომ ვეღარ უარვყოფ ამ ვალდებულებას, რომ რაღაც შემთხვევისა გამო არ ვიცი ის ენა, რომელზეც მან თავისი ნდობა გამომიცხადა? არა, უფრო მეტად, უფრო მეტადაც უნდა მივენდო“. და აქ თავისი ზეობის მწვერვალს მიტანებულ ბონს ხმა უფრო ნაზი გაუხდება: „ზანგები არიან ის ქალი და ის ბავშვი. ნუთუ დაგავიწყდა? შენ, ჰენრი სატპენს, სატპენის ასეულიდან, მისისიპიდან? და შენ მელაპარაკები ჯვრისწერასა და ქორწინებაზე?“ ჰენრის კი — სასოწარკვეთილების, მწარე არდამარცხების ყვირილი აღმოხდება: „დიახ, მე ვიცი, ვიცი-მეთქი. ნულარაფერს იტყვი. მართალი, მართალი არა ხარ-მეთქი, და აქ უკვე შენც ველერაფერს ვერ შეძლებ. შენც-მეთქი“.

მორჩა და გათავდა. სწორედ ასეც უნდა ყოფილიყო. ის ამბავი, ოთხი წლის შემდეგ, იმ შუადღით რომ მოხდა, მეორე დღესვე უნდა მომხდარიყო, და ეს ოთხწლიანი ლოდინი წყლის ნაყვა იყო და მეტი არაფერი; საბოლოო



სურათი ამ დრამისა აღრევე უნდა გათამაშებულიყო, მაგრამ ომი დაიწყო, ერთმა სულელურმა და სისხლიანმა შეცდომამ შეერთებულ შტატებს ველარ აღასრულებინა თავისი მაღალი (და მიუწვდომელი) დანიშნულება. იქნებ ამას ამ ოჯახის ბედისწერამაც შეუწყო ხელი; წერილმან ამბებში დანთქმული ბედისწერა ხომ მოკლებულია მიზეზსა და შედეგს შორის არსებულ ურთიერთკავშირების ტრიალს სწორედ ამას ეძახიან, როცა ადამიანია მისი იბრძოლის საგანი. ასე იყო თუ ისე, ოთხი წელიწადი ელოდებოდა ჰენრი და სამნივე ამის გამო დანთქმულიყვნენ არცოდნის შფოთსავსე მღვრიე მორევში; ის კი ელოდებოდა, იმედი ჰქონდა, რომ ბონი თავს დაანებებდა ამ ქალს და განქორწინდებოდა, თუმცა კი თავად მის (ჰენრის) თვალში უმნიშვნელო ჩანდა ეს ქორწინება, მაგრამ ის ქალი და ის ბავშვი ნახა თუ არა, იმ წუთას მიხვდა, ბონი იმათ არ მიატოვებდა. ესეც უნდა ვთქვათ, გამოხდა ხანი და ჰენრი შეეგუა ამ ცერემონიალს, რომელიც, მისი აზრით, სულაც არ ნიშნავდა ქორწინებას, ხოდა, ორი ცერემონიალი კი არ აღარდებდა ახლა, უფრო ორ ქალს შეეჩქვიფებინა ეს ყმაწვილი კაცი; მთავარი ის კი არ იყო, რომ ბონს ორცოლიანობა მოსურვებოდა, მისი (ჰენრის) დაი მის ჰარამხანაში მეორე უნდა გამხდარიყო და სწორედ ეს უკლავდა გულს. ასე იყო თუ ისე, ოთხი წელიწადი ელოდებოდა და იმედოვნებდა. იმ გაზაფხულს ისინი ჩრდილოეთში, მისისიპს დაბრუნდნენ. ბულ-რანის ბრძოლა დამთავრებულიყო და უნივერსიტეტულ სტუდენტებს რაზმი ჩამოეყალიბებინათ. ჰენრი და ბონი იმათ შეუერთდნენ. იქნებ ჰენრიმ ჯუდიტს მოსწერა, აქა და აქ ვართ გაჩერებულნი და ამას და ამას ვაპირებთო. ერთად ჩაწერილიყვნენ ისინი, გესმის, ჰენრი ბონს უთვალთვალებდა და ბონიც არ უშლიდა ამ თვალთვალს. ეს იყო ცდუნება და განსაცდელი: ერთს ვერ გაებედა და ვერ მოეცილებინა თვალი მეორესთვის, იმიტომ კი არა, რომ სწუხდა, ვაითუ ბონმა ჯუდიტი შეირთოსო, და ველარ დაუშლიდა ამას, მთავარი ის იყო, შეირთავდა ბონი ჯუდიტს და მას (ჰენრის) მთელი სიცოცხლე ის აზრი გააწვალებდა, მოტყუებული ვარ და მიხარია, დამარცხებამდე ფარსმლის დაყრა კიდევაც მსიამოვნებსო ლაჩარს; იმ მეორესაც იგივე ჰქონდა მიზეზად, ჰენრის გარეშე ჯუდიტს რას აქნევდა და არც არასდროს შეპარვია ეჭვი, რომ ძმისა და მამის მიუხედავად, როცა უნდოდა, მაშინ შეირთავდა ჯუდიტს, რადგან, ხომ გითხარი, ჯუდიტი არ იყო მისი სიყვარულის საგანი და არც ჰენრის ჰქონდა ამ გოგოს დარდი. ჯუდიტი ხომ გარსი იყო უხორცო, ცარიელი საწყაული, რომლის მეშვეობითაც იმათთაგან თვითეული ცდილობდა თავი მოეტყუებინა და წარმოდგენა შეენარჩუნებინა არა საკუთარი თავის და არც თავისი მეგობრის შესახებ, არამედ სურდა შეუცვლელი დარჩენოდა ის აზრი, ერთს რომ ჰქონდა მეორეზე — კაცსაც და ყმაწვილსაც, ცდუნებულსა და მაცდუნებელსაც, ისინი კი კარგად იცნობდნენ ერთმანეთს, ისიც, ვინც მცდუნებელი გახლდათ და ისიც, ვინც ცდუნებული შეიქნა, ურთიერთს ემსხვერპლნენ, გამარჯვებული საკუთარმა ძლიერებამ მოინელა, საკუთარი უღონობა ესაძირკვლებოდა დამარცხებულის გამარჯვებას ჯერ კიდევ მაშინ, სანამ სახელითა შემოიჭრებოდა იმათ ცხოვრებაში. ჯუდიტი, და ვინ იცის? ომი იყო და, ვინ იცის, იქნებ თავად ბედისწერა და მისი მსხვერპლნი ფიქრობდნენ და იმედოვნებდნენ, რომ ომი მოაგვარებდა ყველაფერს და ორ შეურიგებელ მოწინააღმდეგეთაგან ერთ-ერთს გაანთავისუფლებდა, პირველად ხომ არ არის, რომ სიყმაწვილე ნგრევასა და განადგურებაში ხედავს განგების ხელს, რომ-

ლის ერთადერთი მიზანი იმ პირადული პრობლემების გადაჭრაა, თუკი რომ არ ძალუძს.

ხოლო ჭუდითი კი? რით შეიძლება აიხსნას მისი საქციელი? ფა-ტალიზმით იმ თორმეტ დღეში ბონი რას შესძლებდა ამ განგაღობაში, მით უმეტეს, რომ იგი არც ცდილა მის ცდუნებას, ისიც კი არ გადაუკრავს მისთვის, მამას ნუ დაუჭერებო. არა, სხვა არ ვიცი და ეს გოგო ფატალიზტი არ ყოფილა, სატპენი გახლდათ და დაუფლებოდა სატპენტა უწყალო კანონს, თუკი ძალა გერჩის, ჰქმენ ის, რაც გინდა, ამ ორ ბავშვთაგან მხოლოდ ჰენრი იყო კოულდფილდი და კიდევაც აღჭურვილიყო კოულდფილდების აბდა-უბდა ზნეობით და თავისებურად ესმოდა სიკეთე და ბოროტება; იმ ღამეს, როდესაც ჰენრი გულარეული ქვითინებდა, ეს გოგო სხვენზე ამძვრალიყო და გულცივად და გაფაციცებით დასცქეროდა ნახევრად გაშიშვლებული სატ-პენის ბრძოლას თავის ნახევრად გაშიშვლებულ ზანგთან. სწორედ ასე შეხე-დავდა სატპენი თავად ჰენრისა და მისი წონის ზანგის ბიჭის ორთაბრძოლას. ჭუდითმა ხომ არ იცოდა, მიზეზი რა იყო, რად უწყევდა წინააღმდეგობას მამა მის ქორწინებას. ჰენრი არაფერს არ ეტყოდა, ხოლო თავად არც შეეკითხე-ბოდა მამას. და რომც სცოდნოდა, მაინც არ შეიცვლიდა თავის აზრს ეს გოგო. ისიც სატპენივით მოიქცეოდა, თუკი ვინმე გაბედავდა და ამ კაცს წინ გადაე-ლობებოდა; ჭუდითი მაინც არ გაუშვებდა ხელიდან ბონს. დარწმუნებული ვარ, თუ დასჭირდებოდა, შეეძლო კიდევაც მოეკლა ის, სხვა ქალი. მაგრამ ნამდ-ვილად ისე არ იზამდა, რომ ჯერ გაერკვია ყველაფერი და მერე გადაეწყვიტა დავა თავის სურვილსა და ზნეობრივ მოთხოვნილებას შორის. და მაინც ელო-დებოდა. ოთხი წელიწადი ელოდებოდა და ამ ხნის მანძილზე ბონს არაფერი შეუტყობინებია მისთვის, მხოლოდ ჰენრი თუ ამცნობდა, რომ იგი (ბონი) ცოცხალია. ეს იყო გამოცდა და ცდუნება და სამივე სწორედ ამ გზას დადგო-მოდა; არა მგონია, ჰენრისა და ბონს ერთმანეთისთვის რამე სიტყვა ჰქონო-დათ მიცემული. და მით უმეტეს ჭუდითს, მან ხომ არ იცოდა, რა მოხდა და რატომ... ალბათ შეგიმჩნევია ხშირად, როდესაც ვცდილობთ იმ მიზეზის რე-კონსტრუირებას, ადამიანის ნაქმნარს რომ ესაძირკვლება, გაცეხებული ვხვდე-ბით, რომ ძირისძირი ამისა ოდინდელი სიკეთეა, არა? ქურდი ანგარების კი არა, სიყვარულის გულისთვის იპარავს, ჰვენა გრძნობით მოცული კი არ ჰკლავს მკვლელი თავის მსხვერპლს, არამედ ეცოდება და იმიტომ. არა? სული-თა და გულით მიენდო ჭუდითი თავისი სიყვარულის საგანს, სულითა და გუ-ლით შეიყვარა იგი, ვინც მიანიჭა სიცოცხლე და სიამაყე, ჰეშმარტი სიამაყე-მეთქი და არა ის ყალბი და მსწრაფლწარმავალი გრძნობა, დაცივნითა და ზიზღით რომ არის აღსავსე ყოველივე იმის მიმართ, რასაც იმწუთასვე ვერ გაითავისებს და წყენასა და ტანჯვა-ვაებაში მოიპოვებს შვებას, არა-მედ ის ჰეშმარტი სიამაყე იქნება მისი მწე და მშველელი, დაუმცირებლად რომ ეტყვის თავის თავს — მე მიყვარს, მე სხვა აღარაფერი აღარ მინდა; რა-დაც მოხდა იმასა და მამას შორის; და თუ მამაჩემი მართალია, ვედარასოდეს ვედარ ვნახავ მას, თუ სტყუის, მაშინ ჩამოვა ან ჩემს წასაყვანად გამოგზავნის ვინმეს; ბედნიერება მინდა, თუ არა და ტანჯვა-ვაებასაც გავუძლებ როგორმე. ხოდა, ელოდებოდა კიდევაც; და არც აღარაფერსაც ცდილობდა მეტს; ისევ ისე იყო მამასთანაც; ერთად რომ გენახათ ისინი, იფიქრებდით, თითქოსდა ბონი არც არსებობდა ამქვეყნად — ორი ისეთივე აუმღერეველი და შეუ-ვალი სახე, ეტლში ერთად მჯდომარეთ შეხვდებოდით ქალაქში მას მერე რამ-

დენიმე თვის მანძილზე, როდესაც ელენი ლოგინად ჩავარდა. ეს მოხდა შობასა და იმ დღეს შორის, როცა თავისი და სარტორისის შექმნილ პოლქს ვაჟყვა სატპენი. არც არაფერს ამბობდნენ. ერთმანეთთან სიტყვაც არ დაუძრავთ, გესმის, სატპენს არ უთქვამს, რა იცოდა ბონის შესახებ, ვინაიდან არც უხსენებია ბონისა და ჰენრის სადმყოფოს ამბავი. სათქმელი არც ჰქონდათ. მეტად ჰგავდნენ ერთმანეთს. სწორედ ასე მოუვა ზოგჯერ ორ ადამიანს, რომლებმაც ერთმანეთისა ყველაფერი იციან ან ისე ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, რომ საკომუნიკაციო მეტყველების უნარი და ძალი სრულიად აქვთ გადაგვარებული, რაკი აღარც სჭირდებათ ეს უნარი, სმენისა და გონების მოუშველებლად გებულობენ და სიტყვების ნამდვილი მნიშვნელობა იმათთვის გაუგებარი რჩება საბოლოოდ. ასე რომ, ამ გოგოს არ უთქვამს მამისთვის, სად იმყოფებოდნენ ჰენრი და ბონი და იმან ვერც ვერაფერი გაიგო, ვიდრე უნივერსიტეტის რაზმი არ წავიდა, რადგან ბონი და ჰენრი ჯერ ჩაწერილან იმ რაზმში, მერე კი სადღაც გადამალულან. ისინი ჯერ დაყოვნებულან, ისინი ჯერ ოქსფორდს უნდა დაყოვნებულიყვნენ იმდენი ხანი, რომ რაზმში ჩაწერა მოესწროთ და მერე წასულიყვნენ, რაკილა ოქსფორდსა და ჯეფერსონში არ იცოდნენ, რაზმის წევრები თუ იყვნენ ისინი იმხანად, ხოდა, სხვანაირად თითქმის შეუძლებელი იქნებოდა ამ ამბის დამალვა, რადგან ახლა ხალხი — მამები, დედები, დები, სხვა ახლობლები და გულისწორნი ამ ახალგაზრდა კაცებისა — ჯეფერსონზე უფრო შორი ადგილებიდანაც ჩამოდიოდა ოქსფორდს ოჯახიანად, სანოვაგით, ქვეშაგებითა და მსახურებით და ოქსფორდელთა სახლებში ბინავდებოდნენ, თავინათი გამოწეპილი ვაყებისა და ძმების მარშებსა და კონტრმარშებს უმზერდნენ, სუყველა გამოსულიყო აქ. მდიდარი და ღარიბი, არისტოკრატი და ბოგანო ერთნაირად მოეხიბლა ამ სანახაობას, მართლაცდა, რა ამაღელვებელია მრავალთათვის ეს სურათი, ამასთან შედარებით არარაობაა თუნდაც უამრავი სამსხვერპლო ქალწულის მსვლელობა რომელიმე წარმართულ კერპთან, რომელიც პრიაპესთან; ხოდა, მონუსხულნი შესცქეროდნენ ბრძოლის ველზე ზარზე-იმით მიმავალ ტანწერწეტ ყმაწვილკაცებს, რომელთაც თავზე სპილენძისა და პლუმაჟების ნაირფეროვანი ბრწყინვა გადასდიოდათ, საღამო ხანს კი მუსიკის ჰანგები იღვრებოდა, ბრდღვიანებდა სანთლები, ვიოლინოსა და სამკუთხებს უკრავდნენ, მაღალი სარკმლების ფარდებში აპრილის თვის ღამისეული ნიავი ფრთხილდებდა, შარიშური გაჰქონდა ქალების კრინოლინებსა და ჯარისკაცთა ნაცრისფერ მუნდირებს, ოფიცრების ოქროს არშიით შემოვლებულ ჩასაცმელებს, და თუ ეს არ იყო ჯენტლმენტა შესაფერისი ომი, იმათი საკადრისი ხომ გახლდათ არმია, სადაც რიგითი და პოლკოვნიკი ერთმანეთს სახელებით მიმართავდნენ იმ ფერმერების მსგავსად კი არა, სახნავად გამოსულნი რომ ისვენებენ მინდორზე, და არც იმათ მსგავსად, ვინც ყველისა და ფართლის ყუთებს, საურმე საცხის კასრებს შორის დამდგარან, არამედ როგორც მამაკაცები, რომლებიც ერთმანეთს ესაუბრებიან ქალების საამურ და პუდრმოფრქვეულ მხრებს ზემოდან ან შინ დაყენებული ღვინითა თუ ჩამოტანილი შამპანურით ჭიქები შეუვსიათ და სადღეგრძელოებს ამბობენ — მუსიკა, ყოველდამ უკანასკნელი ვალსი და მიდის ასე დღეები საომრად გასვლის მოლოდინში — ოდინდელი ვაჟკაცური ბრწყინვალეობა ბნელ ღამეში, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის სრული მარცხი, ჯერ კიდევ ბნელით მოცული გარემოა, წარუვალი სურნელებაა ყმაწვილკაცის უკანასკნელი გაზაფხულისა; ჯუდითის, რო-



მანტიკოსი ჰენრის, ფატალისტი ბონის დაუსწრებლად ხდება დასაძლავ ჩამალულნი ერთმანეთს რომ უთვალთვალებენ; აბრილი და ივნისის განთიადი უტურფეს ყვავილებს მოერთო და ასეულ სარკმელში შიშობ-რილიყო ბუკის ხმა, მიახლებოდა იმ სარკმლებს, სადაც გადმოვიდა დასაძლავ ურევებულ ასეულ ქალწულს უზრუნველად ეძინა და ბალიშებს გადაფენოდა ყორნისფერი, წაბლისფერი თუ ოქროსფერი კულულები, მაგრამ ჯუღითი არ იყო მათ შორის: ცხენზე ამხედრებული, ახალთახალ ნაცრისფერ ფორმად გამოწყობილ ხუთ რაზმელს მთელი შტატი გადმოეცლო მსახურებითა და საფურავე ფურგონით, აბრეშუმის ნაჭრებისაგან ასხმულ, ჯერ კიდევ შეუკერავ დროშას, რაზმის ალამს მოაფრიალებდნენ, სახლიდან სახლში დაჰქონდათ და თვითთელი მეომრის გულისსწორი საკუთარი ხელით ზედ რადაცას აქარგავდა. ჰენრი და ბონი არ იყვნენ იმათ შორის, რაკილა სულ ბოლოს შეუერთდნენ ისინი რაზმს. როგორც ჩანს, უეცრად გამოვიდნენ სამალავიდან, ბუჩქნარიდან თუ ხეივნიდან შეუმჩნევლად გამოსხლტნენ და ჩადგნენ მწყობრად მიმავალ რაზმში; ორნი იყვნენ, ერთი ყმაწვილი და ერთი მამაკაცი, ყმაწვილი, ვისაც უკვე ორგზის დაეკარგა მემკვიდრეობა, ვინც ახლა იმ სანთლებსა და ვიოლინოებში უნდა ყოფილიყო და უნდა გამოეცირებინათ პირზე კოცნითა და მღუღარე ცრემლებით, სხვებთან ერთად იმასაც უნდა გამოეტარებინა მთელ შტატში შეუკერავი დროშა; და მამაკაცი, ვინც მეტად შეუფერებელი ჩანდა ასაკითაც და ცხოვრებისეული გამოცდილებითაც, ვინც თავისი ფიქრებითა და ინტელექტითაც სულიერ ობლობისათვის იყო განწირული და მისი ბედისწერა მისივე ხორციელი და ზნეობრივი მიდრეკილებების შუა გზაზე გახირულიყო, და რაკილა უნივერსიტეტის ბოლო კურსის სტუდენტი და, ამასთან ერთად, ასაკოვანიც გახლდათ, იურიდიული განათლებაც უნდა მიეღო დამატებით, სულ ექვსნი იყვნენ ასეთები; და ამავე მიზეზთა გამო ამ ომში სხვებისაგან იმითაც გამოირჩეოდა, რომ ჩინი უფრო მაღალი ჰქონდა, ჯერ კიდევ მაშინ მიანიჭეს ლეიტენანტობა, სანამ რაზმი ბრძოლაში ჩაებმებოდა, თუმცა, მგონია, ეს არც კი სურდა მას; დარწმუნებულიც ვარ, ცდილობდა თავი დაეძვრონა, უარობდა, მაგრამ ასე მოხდა და სწორედ ამ გარემოებათა კვალობაზე კიდევ ერთხელ იგრძნო სულიერი ობლობა, რამაც მოინელა კიდევაც საბოლოოდ; ხოდა, ორნი იყვნენ ისინი, ოფიცერი და ჯარისკაცი, თუმცა ახლაც ერთი სდარაჯობდა მეორეს და ორივე ელოდებოდა, რას, თავადაც არ უწყუდნენ, ალბათ ბედისწერას, განგების ხელს თუ რომელიღაც მოსამართლის ან მსაჯულის გარდუვალ განაჩენს, ვინც მათ შორის მტყუანსა და მართალს გაარჩევდა, ვინაიდან ბუნდ დასკვნას, შემარიგებელ სიტყვას არ დასჯერდებოდნენ ისინი — ოფიცერი, ლეიტენანტი, საექვო უპირატესობა რომ მოუპოვებია და შეუძლია ბრძანოს, ესა და ეს გააკეთოთო, თავის ხელქვეითთა ზურგში კი მხოლოდ ზოგჯერ მოექცეს; და ის ჯარისკაცი, რომელმაც გამოიყვანა მხარში დაჭრილი ეს ოფიცერი, მაშინ მათმა პოლკმა იანკების შემოტევას ველარ გაუძლო და პიტსბურგ-ლენდინგთან უკან დაიხია, გადაარჩინა იმატომ, რათა კიდევ ორი წელიწადი ეთვალთვალა მისთვის, მერე კი ჯუღითს მოსწერა, ცოცხლები ვართო, ეს იყო და ეს.

ჯუღითი კი მარტოდ იყო ახლა: იქნებ მარტოდ იყო იმ შობის შემდეგ ის ერთი, ორი, სამი და ბოლოს ის ოთხი წელიწადიც, სატპენი ხომ სარტორისის პოლკს გაჰყვა, ზანგები კი, ის ველურები, რომელთა ხელითაც მან სატპენის ასეული ააშენა, ჯეფერსონში გამვლელ იანკების ჯარის პირველივე ნაწილს შე-

უერთდნენ. თუმცა სულ მარტო იყო, ამას ვერ ვიტყვით, იმ ჩაბნელებულ  
 ოთახში ხომ ლოგინად ჩავარდნილი ელენი იმყოფებოდა, ყოველდღიური  
 მზრუნველობა რომ სჭირდებოდა და ბავშვიც უმეცარი, გაოცებული უდრ-  
 ტვინველად ელოდებოდა სიკვდილს; ხოლო მას (ჯუდიტს) და კლიტოპატრას  
 ბოსტნის მსგავსი გაეკეთებინათ და ამითღა ედგათ სული; უილიამ ფოლკენარი  
 იმათთან, მდინარის პირას, შეთევვებულ, მიღრინკულ ქობმახში  
 ცხოვრობდა, სატპენს დაედგა ეს ქობი მაშინ, როდესაც პირველი ქალი —  
 ელენი — შევიდა მის სახლში. უკვე რამდენი ხანია ირმებსა და დათვებზე  
 მონადირე აღარავინ რჩებოდა იქ, და სატპენმა ნება დართო უოშს ეცხოვრა  
 ამ ქობში ქალიშვილითა და პატარა შვილიშვილით, ბოსტანში მუშაობდნენ  
 ისინი დღენიდაც, ხანდახან ელენისთვისა და ჯუდიტისთვის თევზი და ნანადი-  
 რევი მოჰქონდა უოშს, შემდეგ კი მხოლოდ ჯუდიტისთვის, მაგრამ სახლში  
 იმათთან ახლაც არ შემოდიოდა, როდესაც სატპენი წასული იყო. სატპენის  
 დროს სამზარეულოს უკან ვაზის ტალავარს არ გამოსცილდებოდა, აქ კვირა-  
 დღეობით იგი და სატპენი არაყს სვამდნენ დიდი დაწნული ბოთლიდან და  
 ზედ წყაროს წყალს აყოლებდნენ, უოშს თავად რომ მოჰქონდა თითქმის ერთი  
 მილის მანძილიდან. სატპენი საკასრე ფიცრებისაგან გაწყობილ ჰამაკში იწვა  
 და რალაც-რალაცებს ჰყვებოდა, უოში კი ბოძს მიყრდნობილი ჩაცუცქებუ-  
 ლიყო და უსმენდა ხითხით-ხორხოციტ. ჯუდიტი მარტოობას გრძნობდა და,  
 მით უმეტეს, უსაქმურად იყო, ამას ვერ იტყოდით. სახე ისევ ისეთივე აუმ-  
 ღვრეველი და წყნარი ჰქონდა, ოღონდ ახლა მცირეოდნავ ფერი წასვლოდა და  
 შესთხვლებოდა, როდესაც ის და მამამისი ეტლით მოვიდნენ ქალაქში, ერთი  
 კვირა გასულიყო მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, მისი საქმრო და ძმა ღამით  
 სახლიდან წავიდნენ და გადაიკარგნენ. ქალაქში ახლა გადაკეთებული კაბით  
 ჩამოდიოდა, ყველა სამზარეულო ქალი ასეთს იცვამდა იმხანად, ეტლში ისხ-  
 დნენ ისევ, ოღონდ ახლა გუთნიდან გამოშვებული სახედარი თავად შეებათ  
 შიგ, სულ მალე ის სახედარი ისევ მინდვრად უნდა გაეყვანათ, მეეტლე კი  
 სადღა იყო, ვინც ამ სახედარს შეაბამდა და მერე გამოხსნიდა, ჯუდიტიც  
 (ტრადიციისამებრ ფუფუნებაში გაზრდილი ქალიშვილი) შეუერთდა სხვა  
 ქალებს — ჯეფერსონში უკვე დაჭრილები იყვნენ სახელდახელოდ შექმნილ  
 ჰოსპიტალში — რომლებიც ჰბანდნენ და აცმევდნენ გასვრილ-აყროლებულ  
 უცხო მამაკაცების გვამებს, ხოლო დასახიჩრებულებს უვლიდნენ, ნაძენძს  
 აკეთებდნენ ფარდებისაგან, ზეწრებისაგან და სუფრებისაგან, იმ სახლებიდან  
 რომ მოჰქონდათ, სადაც დაბადებულყვნენ; და ამ ქალთაგან არავის არ უკით-  
 ხავს ჯუდიტისთვის ძმისა და საქმროს შესახებ, როგორც ჩანს, ნამდვილად რა-  
 ლაც უნდა სცოდნოდათ, რადგან სულ თავიანთ ძმებს, ვაჟიშვილებსა და  
 ქმრებს ახსენებდნენ ცრემლშეუშრობელნი და გატანჯულნი. ჰენრისა და ბონის  
 მსგავსად ჯუდიტიც ელოდებოდა, მაგრამ რას, თავადაც არ იცოდა და ჰენრისა  
 და ბონისაგან განსხვავებით არც ის იცოდა რისთვის, შემდეგ მოკვდა ელენი,  
 ის მივიწყებული ზაფხულის პეპელა, ვინც უკვე ორი წელიწადი ცოცხლებში  
 აღარც ეწერა — ჩრდილი განუჭვრეტელი და უწონადო, ვინც ფერს შეიცვლი-  
 და მხოლოდ, არც აღარაფერი დარჩებოდა მისგან დასაკრძალავი, მცირეოდენი  
 ხორციც არ შერჩენოდა სხეულზე და იმიტომ, მხოლოდ გალეული ნაკვთები  
 მისი და მოგონებები ალუფხულიყო ერთმანეთში; ჩუმი შუადღით გადაიტანეს  
 ფიჭვნარში უზაროდ და უკატაფალკოდ, და იქცა იგი მტვრად — ნათლით მო-  
 სილი პარადოქსი ათასფუნტიანი მარმარილოს მონუმენტის ქვეშ მოქცეული;

სატპენმა (აწ უკვე პოლკოვნიკმა სატპენმა, რადგან პოლკის ლეიტენანტის ყოველწლიურ არჩევნებზე სარტორისთ გადაუყენებიათ, ერთი წელი გასულიყო მას შემდეგ) ეს ძველი პოლკის საფურაჟე ფურგონით ჩამოიტანა ჩარლსტონიდან, სამხრეთ კაროლინის შტატში რომ არის, და ნახი ბაღებში ჩაქალჩმავებულ ალაგას ჩადგა, სადაც, ჯუღითის სიტყვით, ელენის სამარე იყო გამოხდა ხანი და ამ გოგოს ბაბუაც მიიცვალა შიმშილისაგან ლურსმნებით აჭედელ სხვენზე, და ჯუღითმა, როგორც ჩანს, მისს როუზა სატპენის ასეულში მიიწვია საცხოვრებლად. მისს როუზამ იუარა, ალბათ ისიც იმ წერილს ელოდებოდა, იმ ოთხი წლის მანძილზე პირველად რომ მოიწერა ბონმა, ვისაც ჯუღითი დედის საფლავის გვერდით დაკრძალავს ერთი კვირის შემდეგ, თავად ჩამოიტანა ეს წერილი ორთვალათი, რომელშიაც სახედარი იყო შებებული, კლიტის და მას უსწავლიათ იმხანად სახედრის დაჭერა და შებმა; და ეს წერილი შენი ბებიასთვის მიუცია, სწორედ ასე მოსურვებია ამ გოგოს (ჯუღითს), ვინც ახლა არც არავისთან არ დადიოდა, მეგობარიც არავინ ჰყავდა ახლა და, რალა თქმა უნდა, ვერც იტყოდა, რატომ მაინცდამაინც შენს ბებიას გადასცა ეს წერილი, ასევე, შენი ბებიაც ვერ იტყოდა რამეს ამის შესახებ; ახლა ეს გოგო გამხდარი კი არა, სულაც ჩხირივით გადაქცეულყო და მართლაც სატპენტა ძვალი და აღნაგობა დასტყობოდა, რაკილა ხორცი შეჭკნობოდა კოულდფილდებისა; იმის სახეზე უკვე რა ხანია გადასულიყო სიყმაწვილის იერი და სრულიად აუზღვრეველი, სრულიად მშვიდი ჩანდა. მგლოვიარეაო, ვერ იტყოდით, კაეშანსაც ვერ შეატყობდით, და შენმა ბებიამ ასე უთხრა მას: „მე? თქვენ გინდათ, მე შევინახო ეს წერილი?“

„დიახ, — მიუგო ჯუღითმა, — შეგიძლიათ კიდევაც დახიოთ. როგორც თქვენ გნებავდეთ. წაიკითხეთ, თუ გნებავთ. გნებავთ, ნუ წაიკითხავთ. რადგან ადამიანს მცირეოდნავლა რჩება რამე ნაკვალევი. გაჩნდები ამქვეყნად და სულ ცდილობ რალაცას, თუმცა რად, თავადაც არ იცი და მაინც ცდილობ. სხვებთან ერთად იბადები ერთსა და იმავე ადგილას, ერთსა და იმავე ქამს და უკვე ყველასთან შეკრული ხარ რალაც ხვანჯებით, ხოდა, გაიქნევე ხელსა და ფეხს და აღმოჩნდება, რომ იმავე ძაფით იმ სხვებთან, იმათ ხელ-ფეხთან ხართ გადანაკვეული. ყოველი ცდილობს თავისი ქნას და კი არ იცის, რას შვრება, იმასლა ხედავს, რომ ერთი მეორეში აიბურდა ის ძაფები, თითქოსდა ხუთი თუ ექვსი ადამიანი ცდილობს ნოხის მოქსოვას ერთსა და იმავე დაზგაზე და იმათ-თავან თვითეულს სურს საკუთარი ზარნიში ჩააქსოვოს შიგ, თუმცა ამ ამბავს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თორემ ვისაც ეს დაზგა შეუქმნია, შეეძლო ცოტა უკეთაც მოეწყო იგი. და მაინც კი აქვს რალაც მნიშვნელობა, ვინაიდან ხომ მაინც ცდილობ, ანუ უნდა ცდილობდე რალაცას, მერე კი უცებ აღმოჩნდება, რომ გათავებულა ყველაფერი და ლოდელა დარჩენილა ნაკაწრითურთ შენგან, თუკი ვინმეს უზრუნია და შენს მოსაგონებლად ის ნაკაწრიანი მარმარილო დაუდგამს; და ხანი რომ გამოხდება, თავისას იზამს წვიმა და მზე და ვეღარავინ გაიხსენებს შენს სახელს, და არც არავინ შეეცდება იმ ნაკაწრის ამოკითხვას, და არც ამას აქვს მნიშვნელობა. ხოდა, თუკი შეგიძლია მიხვიდე ვინმესთან, სჯობს სულ უცხო იყოს ის, და მისცე რალაც, თუნდაც ქალილის ნაგლეჯი, სულერთია რა, რასაც არც წაიკითხავს და არც შეინახავს, არც თავს შეიწუხებს, რომ გადაადგოს ან გაანადგუროს, ეს მაინც იქნება რალაც ის, რაც მომხდარა და იმიტომლა გახსოვს, რომ ერთი ხელიდან გადავიდა მეორეში, ერთი თავიდან — მეორეში და ბოლოს, თუნდაც ეს იყოს რალაც ნა-

კაწრი, რაღაც ხიშანი იმისა, რაც იყო და ამიტომ შეიძლება ერთ დღეში მოკვდეს. ხალხი ეყო იტყვიო, არისო, რადგან არც არასდროს არ ყოფილა, რაკის არ შეიძლება მოკვდეს ან დაიღუპოს...“ და შენმა ბეზიარმა შეხედა მის უძლიერეველ წყნარ და სთულიად მშვიდ სახეს და შეკვიპდა.

— ხუ! ხუ! ხუ! რაძი ამას იფიქრეთ თქვენს...“ — მან მზერა მისკენ მიხედა იმავე წუთას, რაც გაძწარებულა, წყნარი ჩანდა კელავ:

— მუ? არა, არ ვიხამ ვილაკამ ხომ უნდა იზრუნოს კლიტიზე და სულ მალე მამიძეც, აბლში რომ მოვა, ქამა ხომ უნდა; დიდხანს აღარ გასტანს ეს, რაკისა უკვე ერთმანეთს სროლა დაუწყებს. არა, არა-მეთქი, სიყვარულის გულისთვის ქალი არ იხამს ამას, მგონია, ამას კაციც არ იხამს, აბლა მაინც, რადგან აბლა არ იქნება იქ წასვლა, თუკი არის ის სადმე, აღარ დაეტევინებ იქ და იმიტომ: როგორც თეატრში, ოპერაში, სადაც თავდავიწყებას, ვართობას უძებნა, როგორც ლოგინში, სადაც სხვა დაგხვდება ჩაწოლილი, შენ კი გინდა მშვე დად დაწვე და დაიძინო, დაიძინო...

ბ-ნი კომპსონი შეიშმუშნა კვენტინი წამოიწია, წერილი გამოართვა და იმ მწერებისაგან დასვრილ ნათურასთან მიიტანა. ფრთხილად გახსნა, თითქოსდა ეს ოთხკუთხედი დაეცაო, გატკიცინებული ფურცელი ქალაქი კი არ იყო, არმედ შეურყეველი-ფიროფლი შეუცვლელი ფორმისა და შინაარსის; ბ-ნი კომპსონი ისე ესაუბრებოდა მას და კვენტინი ყურს არ უგდებდა, ისე ესმოდა მისი სიტყვები: „შენ აბლა იცი, თუ რატომ ვამბობდი, იმ კაცს ის გოგო უყვარდა-მეთქი, რადგან სხვა წერილებიც ბევრი იყო, თავისებურად დახვეწილი, მაღალფაღოვანი, არაგულწრფელი და უგულო, ორმოც მილზე აგზავნიდა ხოლმე ოქსფორდიდან იმ პირველი შობის მერე — მოცლილი კაცის დახვეწილი ქათინაურებით შემკულ ნაწერს (და, რაღა თქმა უნდა, თავად იმისთვისაც არმოკლებულს) დებულობდა ეს სოფლელი გოგო; ხოდა, ერთი მხრივ ეს სოფლელი გოგო, ყოვლისმომცველი, სრულიად შეუცნობელი, აუმღვრეველი მოთმინებითა და ქალური ნათელმზილველობის ნიშნით ცხებული და, მეორე მხრივ, მოცლილი კობტაპრუწა კაცი, თავგასული პატარა ბიჭვიტ სულ საეშმაკოდ რომ უჭირავს თვალი; და აი ამ გოგოს მოსდის მისი ნაწერი, კითხულობს და ვერაფერს გებულობს ამ დახვეწილ მოქარგულ სიტყვებსა და სხარტულ თქმებში, და არ ინახავს, ისე გადააგდებს, შემდეგის ჩამოსვლას აღარც უცდის, მაგრამ ეს წერილი კი შეუნახავს, რომელიც ოთხი წელიწადის გასვლის მერე მოუვიდა მოულოდნელად. იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა მისთვის ეს ბარათი, უცბოს შიაბარა და უთხრა, გინდა წაიკითხე და გინდა ხუ წაიკითხაერა, ძბოლოდ იმიტომ, რომ ის ნაკაწრი, ის წარუვალი ნიშანი დარჩენილიყო სუფთა დაფაზე დავიწყებისა, რომლის წიაღ, ამ გოგოს სიტყვით, „დავინთქმებით ჩვენ სუყველანი...“ ძლივსლა ესმოდა კვენტინს მამის საუბარი, რადგან უკირკიტებდა მქრქალ, აბლაბუდასებრ წვრილ ხელნაწერს, რომელიც ოდესღაც არსებული კაცის ხელით დაწერილი კი არ გეგონებოდათ, თითქოსდა რაღაც ჩრდილი დასცემოდა ზედ და იქამდე განქარდებოდა, კიდრე დახედავდით, კითხვის ხანს კი შეიძლება სულაც განლეულიყო და გამქრალიყო; მას ხომ მიცვალებულის ხმა ესმოდა, ვინც იმ ოთხის წლის მერე და ორმოცდაათი წლის მერეც ნახად, ცბიერად და მარადიული სევდით მოცული წარმოთქვამდა უთაროლო და ხელმოუწერელ პასაჟებს:

მგონი მიხვდებით და ჩვენთაგან არავისთვის არ უნდა იყოს შეურაცხმ-

ყოფელი, რომ, ჩემი აზრით, თქვენ მოგმართავთ დამარცხებული, სულაც მკვდარი ადამიანი. მართლაცდა, ფილოსოფოსი რომ ვიყო, იმ წერილის მიხედვით, თქვენს ხელთ რომაა, ჩვენი დროებისა და მომავლის შესახებ ფრიად გასაოცარ და სრულ დასკვნას გამოვიტანდი; საფოსტო ქაღალდის ეს ფურცელი, ხედავთ თქვენც, საუკეთესოა და აქვს სამოცდაათი წლის წინანდელი ფრანგული ჭვირნიშანი. ჩვენ ასეთი ქაღალდების დასტა გადავარჩინეთ (ანუ, თუ გნებავთ, წამოვიღეთ დარბევისას) გაძარცვული არისტოკრატის მოხრებულ სრახანლში; ბარათი ეს დაწერილია ჩინებული საღუმელე ლაქით, თორმეტი თვეც არ იქნება, რაც იგი ახალი ინგლისის ფაბრიკაში დაუმზადებიათ. დიახ, საღუმელე ლაქი-მეთქი, ჩვენი ნადავლი რომაა, თუმცა ეს სულ სხვა ამბავია. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ჭგუფი ერთმანეთს მსგავსი საფრთხობელებისა, მშივრები ვიყავით-მეთქი, მე არ ვეტყვი ქალს, გინდ მაღალი წრისა იყოს იგი და გინდ — მდაბიო, იმას, ვინც მეისონ-დიქსონის ხაზის იქით იმყოფება ამ დიდებულ 1866 წელს, რადგან სრულიად ზედმეტი იქნებოდა ეს სიტყვა; ასევე არ ვიტყვადი, ჩვენ ვსუნთქავთ-მეთქი. არც იმას ვიტყვი, ტანსაცმელ-შემოგლეჯილნი ან ფეხშიშველებიც ვიყავით-მეთქი, იმდენი ხანი მოგვიხდა ასე ყოფნა, კი შეიძლება შევჩვეულიყავით, ოღონდ, მადლობა ღმერთს (ამ გარემოებამ კვლავ დამიბრუნა რწმენა თუმცა ადამიანის ბუნებისა არა, მაგრამ ადამიანებისა კი), ვიცი, შეუძლებელია საბოლოოდ შეეჩვიოთ გაჭირვებას და წვალებას, მხოლოდ ჩვენი სული ეჩვევა მას, ტლანქა, ყოვლის და მათ შორის ლეშის მჭამელი სული; თავად კი სხეული ჩვენი, მადლობა ღმერთს, არც არასდროს დაივიწყებს ოდინდელ სინაზეს საპნის ქაფისას, სუფთა თეთრეულსა და რაღაცას კიდევ, რაც არის ფეხსა და მიწას შორის და რაც ჩვენს ფეხს მხეცის თათისაგან განასხვავებს. ხოდა, უბრალოდ თუ ვიტყვით, ამუნიცია გვჭირდებოდა. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა გეგმები გვქონდა თავში ჩვენ, საფრთხობელებს, ჩვენისთანა სასოწარკვეთილი საფრთხობელები თუ მოიგონებენ ისეთ გეგმებს, რომლებიც არამცთუ უნდა შეგვესრულებინა, უსათუოდაც უნდა განხორციელებულიყო. მიზეზი ამისა ის იყო, რომ დამარცხების შემთხვევაში გინდ ქაცი და გინდ ღმერთი მიწაზეც და მიწისქვეშეთშიაც ვერ იპოვის რამე ადგილს სულის მოსათქმელად, განსასვენებლად სამარესაც ვერ ნახავს თავისთვის; ხოდა, ჩვენ (ეს საფრთხობელები) დიდი მონდომებით, რომ არა ვთქვათ, ხმაურით, შევუდევით ამ საქმეს; და შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ჩვენი დავლა და ჭილდო ანუ ათი ვებერთელა, დაუცველი სამარკიტანტო ფურგონი, ხაიდანაც ის საფრთხობელები დადებულ ყუთებს ისვრიან ერთიმეორის მიყოლებით, თვითოეულზე ტრაფარეტით ორჯერ რომაა გამოყვანილი შ და შ, ჩვენთვის კი უკვე ოთხი წელიწადი ეს ორი ასო გამარჯვებულთა ნაალაფრების, პურისა და თევზეულის სიმბოლოა, ვითარცა შუბლი ანთებული, ეკლის გვირგვინის ელვარებით გაცისკროვნებული; ის საფრთხობელები ქვებით, ხიშტებითა და შიშველი ხელებითაც დაიწყებენ იმის მტვრევას და ბოლოს რომ დახსნიან, იპოვიან — რას? საღუმელე ლაქს. საუკეთესო საღუმელე ლაქის გალონებსა და გალონებს, ერთი წელიც არ იყო გასული, რაც დაუმზადებიათ და, თქმა არ უნდა, გენერალ შერმანს დაადვენეს, რათა იმას რომელიღაც ნაგვიანევი ბრძანება შეესრულებინა და ვიდრე სახლს ცეცხლს მისცემდა, ამ ლაქით გაეკრიალებინა იქაური ლუმელი. რამდენი ვიცინეთ. დიახ, ვიცინეთ-მეთქი, რაკი ამ ოთხი წლის მანძილზე ამასლა მივხვდი, რომ ხიცვილი მხოლოდ ცარიელ სტომაქზე შეიძლება, მშიერ-მწყურვალსა



და შეშინებულსდა შეგიძლია რაღაც კვინტესენცია ჰპოვო სიტყვით, სწორედ ასევე ჰპოვებს ცარიელი სტომაქი კვინტესენციას ალკოჰოლის მეშვეობით. მაგრამ საღუმელე ლაქი ხომ გვაქვს, მაინც ბევრზე ბევრად უფრო აუარება და ამდენი არ დასჭირდება იმის თქმას, რის თქმასაც შეგაძრებოდა ჩემსგან თქვენ ნახავთ. და თუმცა ფილოსოფოსი არა ვარ, შემძლია ვიწინასწარმეტყულო და გავაკეთო ქვემოთ მოყვანილი დასკვნები:

მეტად დიდხანს მოგვიხდა ლოდინი. დიდხანს მოგვიხდა-მეთქი ლოდინი, რომ გეუბნებით, თქვენი წყენინება არ მინდა, გესმით. და ამას რომ ვამბობ, ლოდინი მხოლოდ მე მიხდება-მეთქი, რაღაც არ მინდა თქვენი წყენინება, არც მინდა დავსძინო, დამიცადეთ-მეთქი. რადგან მე არ ვიცი, როდემდე უნდა მიცადოთ. რადგან ეს ერთია, რაც იქნა, ახლა ეს აღარაა, რაკილა მოკვდა და მოკვდა 1861 წელს, და ამიტომ ის, რაც არის... (მორჩა, ისევ ატეხეს სროლა, თუმცა კი ამ ამბის გადმოცემა ისევ შედგება, როგორც იმისი თქმა, ჩვენ ვსუნთქავთ ან ამუნიცია გვჭირდებაო. რადგან ხანდახან ასე მგონია, არც არასდროს გაჩერდებიან-მეთქი. არც გაჩერდებიან, რაღაც თქმა უნდა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ არც ყოფილა რამე სროლა, მე მგონია, მას მერე, როდესაც პირველად დასცხეს ამ ოთხი წლის წინ, დაიგრილა ერთი და მერე გაჩერდა, ზარბაზნის ლულა წამოიშარტა მონუსხულივით და გაირინდა ზარბაზნის ლულისვე პირისპირ, შემადრწუნებელი გაოცება დაეუფლა აქ ყოველივეს; და არც აღარასოდეს განმეორებულა ეს გრიალი. აწ შემადრწუნებელი უღრიალი გაისმის ძირს დავარდნილი თოფისა, ხელიდან რომ გაუვარდება ქანცგაწყვეტილ ყარაულს ან იქნებ ეს ძალაგამოცლილი სხეულის ვარდნის ხმაა, იქაურობას რომ მოიცავს, სადაც პირველად დაიგრიალეს იმ ზარბაზნებმა და სადაც უნდა დარჩეს კიდევაც სამარადისოდ, რადგან იმ ცისქვეშეთში აღარსადაა ამისთვის სხვა ადგილი. ხოდა, ეს განთიადია უკვე, კვლავ ინათა და მეც აღარაფერს აღარ გეტყვით. რას არ მეთყვითო? თქვენ იკითხავთ. ჩემს ფიქრებსა და მოგონებებს, მაგალითად... ალბათ შეამჩნიეთ, მე არ ვამბობ, იმედებს-მეთქი... და ისევ უნდა გავხდე სივრცისა და დროის უქონელი, უჭკუო და გონით გადასული თანამგზავრი ჩემი სხეულისა, რომელიც ამ ოთხი წლის მერეც რაღაც სევდითა და წარუვალი მოთმინებით, ღირსი რომაა უდიდესი აღფრთოვანებისა, დაინთქმება გონის წამლებ და გამოგნებელ მოგონებებში და თვალწინ დაუდგება ის ოდინდელი მშვიდობა და სიკეთე, თუმცა არც კი ვიცი, მათი სურნელება ან ხმები თუ კიდევ მახსოვს. ხოდა, აი ამ სხეულს არად უღირს, ჯერ კიდევ აქვს თუ არა მკლავი და ფეხი, და თუ აქვს, შეიძლება წააგლიჯონ, თითქოსდა ვიდაცამ ჩახურჩულა და პირობა მისცა, დაარწმუნა, უკვდავი ხარო. მაგრამ კმარა) მე არ ვიცი, როდემდე უნდა მიცადოთ. რადგან ის, რაც არის, რაღაც სხვაა, რაც არც არასდროს ყოფილა მაშინ. და რახან ქალაქის ფურცელს, თქვენს ხელთ რომაა ახლა, სცხიში ის ყოველივე საუკეთესო, რაც კი დარჩა აწ უკვე მკვდარ სამხრეთს და თქვენ მიერ ამოკითხული ეს სიტყვები დაწერილია საუკეთესო (თვითეულ ყუთს ასე აწერია, საუკეთესო) მასალით, გამარჯვებულ ჩრდილოეთში რომ მოიპოვება და რომელმაც, მოხწონს თუ არა, უნდა გაუძლოს, მე მჯერა, რომ თქვენ და მე, რა საოცარიც არ უნდა იყოს, იმათ შორის ვართ, ვინც განწირულია ცოცხალი დარჩეს.

— მორჩა და გათავდა, — თქვა ბ-ნმა კომპსონმა, — მიიღო ეს წერილი ამ გოგომ და კლიტისთან ერთად გადაწვიტა ნაგლეჯ-ნაფლეეთებისაგან საქორ-

წინა კაბისა და პირბადის შეკერვა, ეს ნაგლეჯ-ნაკუწები შესახვევებად უნდა ეხმარათ, მაგრამ რატომღაც აღარ იხმარეს. ჯუღითმა არ იცოდა, როდის დაბრუნდებოდა ბონი, რადგან თავად ამ კაცმა არ იცოდა ეს ამბავი. და იქნებ ასეც უთხრა ჰენრის, და ვიდრე გამოგზავნიდა, ის წერილი აჩვენა მსუქან ქუჩის ბიჭი ისევ უთვალთვალეობდა და ელოდებოდა და ბოლოს იმან ბუნებრივად მე უკვე კარგა ხანია ველოდებით, ჰენრიმ კი მიუგო, მაშ შენ არ უარყოფ. აღარ უარყოფო? იმან კი ასე უპასუხა, ვერ უარყოფ. და ეს ოთხი წელიწადი ბედს მივანდე ეს ამბავი, იმას უნდა უარყო ჩემ მაგივრად, მაგრამ როგორც ჩანს, მე განწირული ვარ, უნდა ვიცოცხლო, ის ქალიცა და მეც განწირულები ვართ, უნდა ვიცოცხლოთ — საცხადო უარი და ულტიმატუმიც ბანაკში გამოითქვა, ცეცხლის პირას, ის ულტიმატუმი ჭიშკართან ითქვა, როდესაც ორივენი ერთად ცხენებით იმ სახლს მიახლოვებოდნენ, როგორც ჩანს, ერთმა მიუგო მშვიდად და პირდაპირ, იქნებ სულაც წინააღმდეგობის გაუწევლად, ბოლომდე ფატალისტად დარჩენილმა; მეორე კი ეუბნებოდა უწყალოდ და დაუნდობლად, წარუვალი ჭმუნვითა და სასოწარკვეთილებით მოცული... (კვენტინი თითქოსდა ცხადლივ ხედავდა, ერთმანეთის პირისპირ დგანან ის ორნი ჭიშკართან. სწორედ ეს-ეს არის გამოვლეს ის ჭიშკარი, მათ წინ კი მოუვლელი ბალი გადაჭიმულა, ველური ბალახი მოსდებია იჭაურობას, რაღაც სიზმარეული ღრუბელი ჩამოსწოლია, მივარდნილი გამხდარა ეს არემიდამო, შესაზარელიც, ვითარცა წვერგაუპარსავი სახე ნარკოზიდან ახლადგამოსული კაცისა, იქით, ბალის სიღრმეში ვეებერთელა სახლია, სადაც ქალიშვილი ელოდებათ გადამალული, ნაგლეჯ-ნაკუწებისაგან შეკერილ საქორწილო სამოსელში გამოწყობილი, სახლი ეს კი, გადარჩენილი მტრის ხელსა და საყოველთაო ნგრევას, მაინც ჰგავდა ქარიშხლის ხანს უკაცურ ნაპირზე გამოგდებულ დავიწყებულ ნიჟარას, ჩონჩხილა იყო ეს შენობა, საიდანაც ნელინელ გამოიტანეს ავეჯი და ნოხები, თეთრეული და ვერცხლეულობა, ხომ უნდა მიშველებოდნენ დაჩეხილ, ტკივილით გაწამებულ მომაკვდავთ, რომლებმაც სიკვდილის ქამსაც, ეს რამდენიმე თვეა უკვე იცოდნენ, რომ ამოდ დაღვარეს სისხლი. ზოდა, ერთმანეთს შეჰყურებენ ისინი ქანცგაწყვეტილ ცხენებზე მჭდომარენი, პირისპირ დამდგარა ორი ყმაწვილი კაცი, რომელთაც ჯერ კიდევ არ მოუჭამიათ ეს ქვეყანა და მზის ცქერით არ გამძლარან, მაგრამ ახლა კი ორივე მობერებულა, ბებრის თვალებით იმზირებიან, ორივენი თმააბურძგნილნი, სახედარეჯილნი და გარუჯულნი, თითქოსდა ვიღაცას უხეშად და სახულდახელოდ ჩამოესხა ბრინჯაოსაგან, ეცვათ დასვრილ-დაგლეჯილი და შემპალი ფოთლებით გახუნებული სამხედრო ტანსაცმელი, ერთი ოფიცრისა იყო, ფერგადასული არშით შემოვლებული, მეორე რიგითისა, დამბაჩა უნაგირზე დაედო, ჯერ არც რა ამოელო მიზანში მის ლულას, ხმადაბლა ისმის სიტყვები ამ სვეტისა და ამ ტოტის ჩრდილს ნულარ გადახვალ, ჩარლზ; და უნდა გადავიდე, ჰენრი) — და მერე უუნაგრო სახედრით მისულა მისს როუზას ჭიშკართან უოშ ჯონსი, წყნარი და მზიანი იყო ქუჩა, და დაუძახა, როუზი კოულდფილდი თქვენა ბრძანდებით? კარგი იქნება თუ წამოხვალთ. ჰენრის უსროლია იმ წყვეული ფრანგის კაცისთვის და ჩაუძაღლებიაო.

(გაგრძელება იქნება)



თარგმანა მურმან ჯაბუკურიამ

არსით არავინ,  
ჯოხს დავეყრდნობი და ტყეში  
მივალ.

ბნელია კარავი.  
ვუმზერ შემოგარენს და გული  
მტკივა.

მთის ძირას წყაროა,  
ბალახზე გადადის კამკამა ჩქერი,  
ჩუმი საღამოა.  
მე ვიბან ფეხებს და მშორდება  
მტვერი...

ღვინო გადავწურე.  
საქმე მოვითავე და ვზივარ უქმად,

ქათამი გავწირე,  
მე და ჩემს მეზობელს გვექნება  
ლუკმა.

ლამეა. ხშირდება  
ბნელი და გრილია ჰაერი ღამის,  
ცეცხლი დაინთება  
და არ დაგვჭირდება სინათლე  
კვარის.

და მოდის ხარება,  
და ვწუხვარ, რომ ღამე არაა  
გრძელი,

ღრო მიექანება,  
და აი, ცისკარმა გაჰფანტა ბნელი!

### ჩიტი, რომელიც მოფრინდა უკან

1.

იხეტიალა ბევრი,  
უკან მოფრინდა ჩიტი...  
ტყის მოენატრა ტვერი,  
და სანახები მშვიდი.

შორს დაფრინავდა იგი,  
მოუსვენარი ფრთებით,  
ღრენდა ღრუბლების იქით,  
თვალს იხარებდა მთებით.

მაგრამ გრიგალი შეხვდა,  
მზერა აევსო ნისლით,  
და ენატრება ეხლა  
მყუდრო სავანე თვისი.

ჩიტს ჩიტი შეხვდა კიდევ,  
ჰანგი გაცვალეს ტკბილი,  
და დაიფარეს მშვიდად,  
ტყის საამური ჩრდილი!



მტვერი კი მჩატეა და გაიფანტება  
საითაც წაიღებს ქარი,  
ხორცი რომ მასხია, დადნება იგი და  
გაჰქრება, ვით წვიმის წყალი.



დავიბადებით და ძმები ვართ ყველანი,  
ბედია საერთო ჩვენი,  
ან რა ბედენაა, თუ ნათესავებად  
არ ვითქმით უბრალო ენით.

მცირე ხნით მოვსულვართ, ღვინოს მივეძალოთ,  
და გული დავიტკბოთ ლხინით,  
ხშირად მოვიწვიოთ სტუმრად ერთმანეთი,  
და ასე გავლიოთ დღენი...

არ დაგვიბრუნდება ჟამი ყვავილობის,  
რაც იყო, წავა და მორჩა;  
დღე ერთხელ თენდება, მზე ერთხელ ამოდის,  
და ერთხელ გვიწევს აქ მოსვლა.

დროს ნულა დავკარგავთ, ერთურთს შევეშველოთ,  
და მივცეთ ერთმანეთს მხარი,  
მზე არი, მთვარეა, ტრიალებს სოფელი,  
და მოცდის არა აქვს თავი!

●  
ლამდება ნელი-ნელ და მანათობელი  
შკრთალდება და მთებში ჩადის,  
მთვარე კი ამოდის და აღმოსავლეთით  
თავისას დაიჭერს ადგილს.

ათი ათასი ლი განათებულია,  
ათი ათასი ლი ბრწყინავს,  
ციმციმებს ვარსკვლავი, ვრცელია თავანი,  
და სოფელს დასცქერის მძინარს...

უეცრად ატყდება ქარი და შრიალით  
დაუვლის ეზოს და სახლაკს,  
თავი სასთუმალზე მიდევს და ფიქრებში  
დანთქმული ვყურყუტებ ახლა.

●  
იცვლება ჰავა და იცვლება ტაროსი,  
ბუნებამ შემახო ფრთები,

და, რაკი არ შძინავს, მისი ხასიათი ვიცი  
ვიცი და ყველაფერს ვხვდები.

მწყურია ბაასი, სიტყვა რომ გავცვალო,  
რათა, მოვიცილო დარდი,  
შევივსე ჯამი და კვლავ გაჩნდა ჩემს გვერდით  
მარადისობის ერთგული ლანდი...

მიდიან დღენი... და... მიდიან მთვარენი, —  
ქრებიან ფიქრები სხმული...  
ვერასგზით მოვთოკე და ვერ მოვიმხარი,  
ის, რაც მე მწყუროდა გულით.

ის, რაც მე მწყუროდა გულით.  
მეწვია წუხილი მწველი,  
და უნდა ვეწამო დილამდე ჩვეულად,  
სიმშვიდეს აღარსით ველი

ხუნდება ფერები და არ შეგვიძლია  
იმითი რომ დავტკბეთ დიდხანს,  
მოვა ტკნობის ჟამი და ვინ გადაწიოს  
ის, თუნდაც სულ ერთი დღითაც!

ოდესდაც ლოტოსი რომ იყო ნათელი,  
და შექს გამოსცემდა მბრწყინავს.  
ყუთია ახლა და სოფლელი ინახავს  
იმ ყუთში ათასგვარ წვრილმანს..

ქირხლი მოედება მინდორში ბალახებს,  
ლელიანს დაფარავს თრთვილი,  
სულ კი არ გაქრება ოღონდაც უკვალოდ,  
ის ისევ დაჩნდება დილით.

მზე არი, მთვარეა, და წრეზე მიდიან,  
წავლენ და წამოვლენ კვლავაც,  
ჩვენ წავალთ და უკან არ მოვალთ აროდეს,  
ჩვენი მზე თუ ჩავა-ჩავა.

მე ხშირად ვიგონებ გარდასულ დროებას,  
მიხმობს ის წარსული მუდამ,  
ეს ვამახსენდება და მეთანაღრება  
გული და გსაუბრობ დიდხანს.



„ქველი და რაინდი წინ გაიფურცება  
და უმხერს ოთხი ზღვის კიდესს...  
მე ერთი მწყურია, და დედა ბუნებას,  
ვთხოვ, დიდხანს მაკოცხლოს კიდევ!“



შვილების მოვესწრო ქვეყნად დიაცებას,  
და ერთად მოვგროვდეთ ყველა,  
მყავდეს შვილთა-შვილი ძრავალი, უშქარი,  
და ჯამი დიოდეს ნელა.

გვერდით დოქი გედვას და ციტრა-ბშიანი,  
ყალამი მეჭიროს ბელში,  
ნანდახან ავივსო ჯამი და გადავკრა  
შედრულმა ბუნების ეშხით.

ვიგემო ხარება დღესდღის სიამე,  
და სხვათაც ვაგემო ლხინი,  
დავწვე ადრიანად და გულმზიარული  
ვდგებოდე გვიანი დილით...

ან რა მესაქმება მე სხვათა ცხოვრების,  
რას ვაქნევ ოცნებას სხვისას,  
ცეცხლი და ყინული რომ ებრძვის ერთმანეთს,  
რომელი მიაღწევს მიზანს?

ყველა გათავდება, ყველა დამშვიდდება,  
ყველას მიიბარებს მიწა,  
და ვისაც ძალიან სწყურია დიდება,  
მოიმკის ოთხად ოთხ ფიცარს!

ვიგონებ წარსულს და ვაკვირდები,  
და ვარ ჭაბუკი ძალ-ლონით სივსე,  
ბედნიერებას არვინ მპირდება,  
თუმცა ოცნება ყელამდე მავსებს.

ფიქრები მახლავს მე მზიარული,  
ვებოტინებით ოთხი ზღვის კიდესს,  
და ყველგანაა ჩემი მამული,  
და ფრთა რომ მომცა, გავყვები ჩიტებს.



მაგრამ გავიდა ჟამი მდინარი,  
 ბევრი ვიხილე აქ მზე და მთვარე,  
 ოცნების ჩემის დაშრა მდინარე,  
 და დამეკარგა რაც გულში ვმალე.

არც სიხარული უკვე არ მოდის,  
 გაჰქრა სიამე; ხალისი გაჰქრა,  
 დავიკრეფ ხელებს და საღამოთი  
 გაჩუმებული გავცქერი სახლაკს.

ღონეც მეღევა ასე ღლითი-ღღე,  
 მუხლი არ მომდევს, არ მიჭრის თვალი,  
 რაც იყო ქვეყნად და მოვიკითხე,  
 არაა არსით იმისი კვალიც...

ყურეში მიღვას ნავი პაწია,  
 მაგრამ ირბევა და მიხმობს მარად;  
 მისთვისაც დგომა თუ ხისაწყლება,  
 მე რა ვქნა, კაცი არა უარ განა?

მაგრამ წინ მოკლე დამრჩა სავალი,  
 რა იცის იმან ფეხს რატომ ვითრევე,  
 როგორ ვიპოვო გამოსავალი,  
 ან სად ვიპოვო ნაპირი კიდევ?

ცხოვრობდა ხალხი წარსულ ხანაში,—  
 ებრალებოდით ბალახის ჩრდილიც,  
 მე რასაც ვფიქრობ ამ ქვეყანაში,  
 სხვამ ვერ უპოვოს ძვალი და რბილი!

პატარა ვიყავი, და როცა უფროსი  
 დინჯად მარიგებდა შკუას,  
 ყურს არ ვათხოვებდი, და ამ საწუთროში  
 ვერ ვცნობდი მართალს და მტყუანს.

უკვე საუკუნის გადის ნახევარი,  
 რაც ვცხოვრობ და დარდი მაბლავს,  
 შკუას სხვას ვარიგებ და ყურის მთხოვარი  
 აღარც მე არა მყავს ახლა.

იმ დღეებს ვიგონებ, როდესაც ყმაწვილი  
 ვბრწყინავდი, ვით დილის ცვარი,



რაც იყო გაჰქრა და არაა ნამდვილი,  
და გულში მიჩნდება ბზარი.

წინ მიდის, წინ მიდის, ტიალი ჟამი და  
ჩქარდება დინება მისი,  
რაც ერთხელ იყო და რაც ერთხელ წავიდა  
აქ არ მობრუნდება ისევ.

გავფანტავ ყველაფერს, რაც კი მახადია,  
ხარებას რომ მივცე თავი,  
ჟამს ავედევნები, თუმცე ჟამი სწრაფია,  
და მარად ჭრელი და ავი.

არაფერს დავტოვებ, გავფანტავ ქონებას,  
არც შეილებს ვუტოვებ სარჩოს,  
თუ აქ არ დავხარჯავ რაც მომეპოვება,  
მითხარი, იქ როგორ ვხარჯო?



მზე არი, მთვარეა  
მარადი ცელაა და შფოთია;  
გარს ოთხი მხარეა,  
და ქვეყნად დროებაც ოთხია.

ქარებმა დაზაფრეს,  
ხეების შიშველი ტოტები,  
და სცემენ დაფდაფებს,  
ცვივიან, ცვივიან ფოთლები...

ო, ნორჩი სხეული,  
რაც ჟამმა დახრა და დაღალა,  
კულუღი ხვეული —  
ასე რომ შემოსა ჭაღარამ.

ფიქრი გიორდება —  
ჩინი გიმოკლდება მზირველი,  
გზები ვიწროვდება, —  
ივია ჩვენი გამწირველი.

ფუნდუკი მგონია  
სახლი მშობლიური, — გუმანით,  
სავალი შორია,  
და ვარ წასასვლელი სტუმარი.



ავღვები, გავეყვები,  
 ვზა საით წამიყვანს, ნეტავი?  
 მთა მოჩანს სამხრეთით, —  
 იქ მელის სავანე ნეტარი...



ზენა-თესვა მერჩია სამსახურს,  
 და გულში მრჩებოდა მარადის ხინჯი,  
 მიყვარდა თუთების მოვლა,  
 და მინდვრის ჭანჭრობაში მოსული ბრინჯი.

უქმად არ ვიყავი აროდეს,  
 არ მეზარებოდა განძრევა ხელის,  
 ვიცოდი სითბო და სიცვიც ფასი,  
 და მეც დავწოლილვარ მშიერი ყელით.

იმდენი რა მსურდა განა,  
 რომ ვერ დაიტევდა ეს ჩემი კუჭი?  
 ვინც სტომაქს ალორებს თვისას,  
 ფიქრებიც მგონია იმისი ფუჭი!

თუნდაც რომ ციოდეს ძლიერ,  
 მე მუდამ დამიცავს უბრალო ტილო,  
 ზაფხულის ხეატი რომ მოვა,  
 მეც შევეფარები ულრანის გრილოს.

რა არის, რაცა მაქვს ქვეყნად, —  
 და ისიც არა მაქვს საკმარი ჩემთვის,  
 ხანდახან მწუხარე მეწვევა ფიქრი,  
 სოფლის სამღურავი თუმცა არ მეტყმის.

მას იმკის ამქვეყნად ყველა,  
 რაც უნდა და რასაც ეძებს და ელტვის,  
 მე სწორი დავაგდე გზები  
 და ვერ ვუმეგობრე სინათლეს კეთილს.

წუწუნი არ შველის, ვიცი,  
 თავიც რომ ვიტკიო ამაზე დიდად,  
 და ჯამში თუ ვისხამ ღვინოს,  
 ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ლხინი მინდა!

შორსა ვარ შინიდან,  
და კვლავ სამსახურის ვადგივარ საქმეს,  
გაიყო გული და  
მუდამყამს ჩასცქერის სხვადასხვა სარკვეს.



ცრემლს ველარ ვიკავებ, —  
და აღმოსავლეთით მიცურავს ნავი,  
თან ეს მიხარია,  
და ქამის მდევარი მგონია თავი.

მზე მაინც ჩავიდა,  
და ცაზე კვლავ დასხდა მათ და სინი,  
და უკუნ ღამეშიც  
გრძელდება ვარსკვლავთა ბრწყინვა და ღვინი.

აქ კი მოწყენაა,  
აქ ცა და ტატნობი ერთმანეთს ერთვის,  
სახლი მაგონდება,  
და ვხედავ ფიქრებში, ისე ვით წერტილს.

შინ მივეშურები,  
სამხრეთი მეძახის ჩვეულად ისევ,  
მაგრამ ვზა გრძელია  
და გული იმედით აწ ველარ მიცემს.

ხიდი... საგუშაგო...  
რამდენი გავლიე და გავლევ რამდენს...  
და ლექსი რომ არა,  
ვერც ამბის მიმტანსაც ვიპოვი სადმე!..



პერიკული  
ბიზლინისი

ინგლისურიდან თარგმნა ლია ჯაყელმა

## ქრისტიანა ჯორჯინა როსატი

### ზევით

ასე კლდოვანი გზა აღის მხოლოდ?  
 — ასე ბოლომდე.  
 როდის ექნება მგზავრობას ბოლო?  
 — ივლი მთელი დღე.  
 იქ თავშესაფარს იპოვის კაცი?  
 — ვისთვისაც ღამე დაიწყო, — ყველა.  
 — რომ ვერ შევნიშნო ბნელში და  
 ივცდე?  
 — გვარდს ვერ აუვლი, ამაოდ ღელავ

— ნეტავ, იმ სახლში ვინმე თუ  
 სახლობს?..  
 — ყველა, შენამდე ვინც კი წასულა.  
 — დაგტყავუნო თუ დავიძახო?  
 — ქვრები ღია დაგზვდება სულაც.  
 — თუ მოვისვენებ იქ დამაშვრალი?  
 — ჰო, იქ მიიღებ ტანჯვის საზღაურს.  
 — ნეტავ, ლოგინი უკვე მზად არი?  
 — ელის მოგზაურს.

## უ. ბლექი

### ზეზლილი სიმღერა


ღამე დილასთან ცილობს,  
 სივრცე დაუპყრიათ ქარებს...  
 მოდი, დამხედე, ძილო,  
 წარიღე ფიქრები მწარე.  
 მაგრამ ეპარება დილა  
 უკვე აღმოსავლეთს ფრთხილად,  
 ღრუბლებს უფერადებს კალთებს  
 და ცაზე კოცონებს ანთებს.  
 მაინც პირქუში ფარავს,  
 ვიდრე სხივშეპარულ ტატნობს,  
 აღვუვლენ ტკივილს და ვარამს  
 და არგათენებას ვნატრობ...  
 ღამეს გააყრუებს ფიქრთა გააფთრება,  
 დილაც დააბრმავოს ღამის,

უფრორე აგიყებს ცივთა ქართა რემას  
 შეშლილი სტუმარი ღამის...  
 ღრუბელს ვუერთდება  
 უშავესი ფრთებით,  
 ვკივი, დემონივით ვზვობ,  
 ღამესთან ვიშვები,  
 ღამესთანვე ვკვდება,  
 ჭერ არ ამოხვიდე, მზეო!  
 ზურგს ვაქცევ იმ მხარეს,  
 ვითომდა ნუგეშად  
 დილა მაცდურად რომ ანთებს,  
 რადგან ღამენათევ  
 ტვინში მიტრიალებს  
 მზე გავარვარებულ შანთებს.

ველური უკავილის სიმღერა

ვჭვრეტდი გაზაფხულზე  
ფოთოლთა, ღეროთა,  
როს მესმა, ველური  
ყვავილი მღეროდა:

„მიწაში მეძინა —  
ბნელში, სიჩუმეში,

ვშიშობდი, ვტკბებოდი  
ლოდინით ნუგეშის... 

ნათელს მივაშუტრებ —  
იმედით, ხალისით, —  
დაცინვით შემომხვდა  
სხივები აისის“.

სიმღერა

რარიგ მართობდა ჭრელი ზაფხული  
და მინდორ-მინდორ ფრენა-ფარფატი,  
ვიდრე მესროდა ისარს ამური  
და მის იღუმალ ბაღებს ვნახავდი,  
სად ფუფუნება და ოქრო მნათი  
გულისწამლები დღევით მოსჩანდა...  
თავს მევლებოდა მეუფე მათი,  
თმაში მახნევდა ვარდთა, შროშანთა...

თავად ფებოსმა მათხოვა ჩანგი,  
თავდავიწყებით გული ილხენდა,  
შემომეპარა მოხიბლულს ბანგი  
და აბრეშუმის ბადემ მიხელთა...  
ახლაც მამღერებს — ოქროსფრთებიანს  
ოქროს გალია მართობდეს ვითომ,  
მაცდურს სიანცე შემოჰგზნებია  
და თავს მიჯნურის ტყვეობით ირთობს.

ქურდს ვთხოვე, ატამი მოეპარა —  
ქურდმა ამარიდა თვალი,  
ქალს ვთხოვე: „მოდი და გამახარე“ —  
იწყინა, ატირდა ქალი.

ქალს ლამაზს ერთი გადახედა,  
ერთი გაულიმა მხოლოდ.

მოვიდა ანგელოზი, არც რა უთქვამს,  
ქურდს თვალი ჩაუკრა, ხოლო

ქალმა ცრემლები უკუჰყარა,  
ქურდი გაისარჯა სხარტად.  
ასე დაეუფლა ანგელოზი  
ორთავეს — ქალსა და ატამს.

შროშანი

ვარდი მკაცრობს და — ეკლით,  
ცხვარი ცხარობს და — რქებით,  
თეთრი შროშანი ერთი, მხოლოდ  
სიყვარულს ელტვის,  
არც რა სჭირდება ნეტარს მშვენიერების  
მეტი.

ო, დამანებეთ, დამანებეთ, ვაებას ჩემსას,  
ვიქნები, ვიდრე ამ სიმწარეს ბოლომდე  
შევსვამ,



ქართული  
წიგნების  
კავშირი

ვიდრე სხეულში ჩამოწვევა სიჩუმე სრული  
და სულ-ხორციდან გადავრჩები მხოლოდ  
სული.

ამ ტყის უღრანში გზას დაკარგავს თუკი  
მოყვასი

და ცივი ღამე შეეხება შეშლილ ლოყაზე,  
ბინდბუნდს გააპობს ჩემი ჩრდილი მის  
დასანახად

და მღუმარებას ჩემეული ბგერა დალაზვრავს.

## სტიქანე კრაინი

### მრისხანე ღმერთი

განრისხებული ღმერთი  
ერთ კაცს ზედ შესდგომოდა,  
გრგვინავდა და გამეტებით  
მუშტებს უშენდა.  
კაცი მიწაზე გორავდა და  
არემარეს ზარით ავსებდა.  
ხალხი მოვარდა.  
რა იხილეს ღმერთის ფეხებთან

ცოფიანივით მბორგავი კაცი  
როგორ ყვიროდა და დარტყმების  
მოგერიებას  
როგორ ლამობდა, ყვირილი მორთეს:  
„აჰ, რა უზნეთა ეს კაცი!“  
და —  
„აჰ, რაოდენ დიდია ღმერთი!“

### ბრძენი ლექტორი

ბრძენი ლექციას კითხულობდა,  
ბრძნულად მსჯელობდა.  
მან მოწაფეებს ორ საგანზე მიუთითა:  
„ეს ეშმაკია, ხოლო ეს — მე ვარ“.  
თქვა და შებრუნდა.  
ერთმა მოწაფემ, ყველაზე ცელქმა,

იმ ორ საგანს ადგილები შეუცვალა.  
შემობრუნდა და განაგრძო ბრძენმა:  
„მაშასადამე, ეს ეშმაკია,  
ხოლო ეს — მე ვარ...“  
მოწაფეები კმაყოფილი იყვნენ ოინით,  
ბრძენი კი... ისევ ბრძენი იყო.

### შიში კაცისა

ერთს მკვლელთან შეხვედრის შიში ჰქონდა,  
მეორეს — მსხვერპლთან შეხვედრისა.  
რომელი იყო უფრო გონიერი?



თარგმნა ბიჭი ნიჭარაძემ

●

განა ნელა, მისხალ-მისხალ,  
შუქი უცებ გადიდდა  
და ბნელ-ნათლის ბრძოლას სისხლად.  
განთიადი გადინდა.

### უკუბა

ალვის ხეებმა წყაროსთან  
ჩამოირბინეს კორდიდან.  
თვითონ ცასავით ნათელნი  
ცას მიელტვიან ოდიდგან.

გულუხვად გაგვიმასპინძლდა  
მცელავებს მასთან მისულებს.

ჩვენ წყალთან ერთად სახეზე  
ალვების ჩრდილიც ვისხურეთ.

□



თარგმანი დოქტორი ქავთარაძე

იალმარ ერიკ ფრედრიკ სედერბერგი (1869—1941) შვედური მწერლობის ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენელია. მან შექმნა არაერთი თავისებური, ორიგინალური და ნოვატორული ნაწარმოები.

სედერბერგი — როგორც ფსიქოლოგი და სტილის ოსტატი — განსაკუთრებული ძალით გამოჩნდა რომანში „ექიმი გლასი“ (1905 წ.). რომელშიც მწერალს სააშკარაოზე გამოაქვს შვედი საზოგადოების, კერძოდ, სამღვდლოების ნამდვილი სახე და ამავე დროს გადმოგვცემს სასიყვარულო — ფსიქოლოგიურ ამბებს. რომანის მთავარი გმირის, ექიმი გლასის ყოველდღიური დაკვირვების არც ისე ფართოა, რომ მკითხველისთვის ნათელი ხდება: ავად არიან არა მარტო მისი პაციენტები, არამედ მთელი საზოგადოება შეუპყრია უკუჩვენებელ სენს.

12 ივნისი

სეთ ზაფხულს ჯერ არ მოვსწრებივარ. მაისის შუა რიცხვებიდანვე ჯოჯობითურად ცხელა. მთელი დღის განმავლობაში ქუჩები და მოედნები მტვრის სქელ ბურუსშია გახვეული.

სალამოყამს თუ მოითქვამ სულს. ახლახან სასეირნოდ ვიყავი, რაც თითქმის ჩვეულებად გადაქცევა სალამობით, ავადმყოფების მონახულების შემდეგ. ზაფხულობით ისინი არც ისე ბევრი მყავს. აღმოსავლეთიდან მონახერი გრილი ნიავი მტვრის ბურუსს დასავლეთისაკენ ერეკება და ცის კაბადონზე რუხ-წითელ მარმაშას ტოვებს. აღარ ისმის ქუჩის ხმაური, იშვიათად მეეტლე თუ ჩაივლის „ან ტრამვაი ჩაიხრიგინებს. დავებეტები ჩემთვის ქუჩებში, ხანდახან შემხვედრ ნაცნობს თუ გამოველაპარაკები. მაგრამ საკითხავია, რატომ უნდა გადავეყარო ასე ხშირად პასტორ გრეგორიუსს? ამ კაცის დანახვაზე მაგონდება ერთი ამბავი, თითქოს შობენჰაუერს რომ შეემთხვა. ერთხელ თურმე, ნაღვლიანი ფილოსოფოსი ჩვეულებისამებრ მარტო იჯდა კაფეს კუთხეში. უცებ გაიღო კარი და შემოვიდა ფრიად არასასიამოვნო გარეგნობის კაცი. შობენჰაუერმა ერთხანს შიშითა და ზიზღით ათვალიერა იგი, შემდეგ ადგა და ჯობი ჩასცხო თავში, მხოლოდ და მხოლოდ მისი გარეგნობის გამო.

ვწუხვარ, რომ შობენჰაუერი არა ვარ. გუსტავ ვაზის ხიდზე როგორც კი დაუინახე ჩემკენ მომავალი პასტორი, მაშინვე შევბრუნდი, ხელებით მოაჭირს დავეყრდენი და ვითომ გარემოს თვალიერებით გავერთე. აგერ, „კურთხევის კუნძულის“ რუხი სახლები, მოლივლივე წყალზე ზიგზაგებად არეკლილი ძველისძველი აბანოების ქამთასვლისაგან შექმული ხის გუმბათები, ბებერი, უზარმაზარი წნორების მიწამდე დაშვებული, ზოგან ჭქერში ჩამალული ტოტები. იმედი მქონდა, პასტორი შორიდან ვერ შემამჩნევდა, ზურგიდან კი



ვერ მიცნობდა. დამავიწყდა კიდევ მისი არსებობა, რომ უეცრად იგი ჩემ გვერდით დავინახე. ჩემსავით ხელებით დაყრდნობოდა მოაჯირს და თავი გვერდზე გადაეხარა — სწორედ ისე, როგორც ამ ოცი წლის წინათ, წინდა იაკობის ეკლესიაში, აწ გარდაცვლილი დედის გვერდით ჩვეულებისამებრ, რომ ეიჭეტი და პირველად დავინახე მისი საზიზღარი ფიზიონომეა, კრემულა შხამიანი სოკოსავით ამოიზარდა კათედრაზე და თავისი „მეფე“ ჩვენი დასძახა, იგივე ცხიმიანი, უსიცოცხლო კანი, იგივე ჭუჭყიანი, მოყვითალო ფერის, თუმცა უკვე ქალარაშერეული ბაკენბარდები და იგივე აუტანელი გამოხედვა. სად გაექცევი, ახლა მისი მკურნალი ექიმი ვარ, ისევე როგორც სხვების, და ისიც მოდის ხოლმე ჩემთან თავისი სატყვიარით. „აჰ, ეს თქვენა ხართ, ბატონო პასტორო, როგორ ბრძანდებით?“ „ცუდად, ძალიან ცუდად, გული მაწუხებს, მაქოშინებს, ღამლამობით ზოგჯერ მგონია, სადაც არის გაჩერდება“. „ძალიან კარგი, — გავიფიქრე. — კიდევაც დამბრჩეალხარ, ბებერო არამზადა, აღარ შემიძლია შენი ატანა, სხვათა შორის, შენ ახალგაზრდა, ღამაში ცოლი გყავს, ალბათ სიცოცხლეს უმწარებ და თუ მოკვდები, იგი გათხოვდება, მონახავს შენზე უკეთესს“. ხმამაღლა კი ვუთხარი: „თუ ასეა, კარგი იქნება, ჩემთან შემოიაროთ, გავიგოთ, რა გჭირთ“. მაგრამ მან მაინც მოასწრო და გამიზიარა, არაბუნებრივი სიცხეაო, რიკსდაგის დიდი შენობის აგება ასეთ პატარა კუნძულზე უაზრობააო, ჩემი მეუღლეც, სხვათა შორის, ვერ არის კარგადო...

ბოლოს იგი წავიდა, მე კი გზა განვაგრძე ძველი ქალაქისაკენ. ავედი „ტაძრის გორაზე“ და შუკებში ვიხეტიალე. სახლებს შორის, ვიწრო გასასვლელებში ხვატიანი ბინდი ჩამოწოლილიყო და კედლებზე ისეთი უცნაური ჩრდილები დავინახე, დაბლა, ჩვენს კვარტალებში რომ არასოდეს შემიმჩნევია.

...ფრუ გრეგორიუსი. უცნაური ვიზიტი მომიწყო მან ამ დღეებში. მიღებაზე იყო ჩემთან; კარგად დავინახე, რომელ საათზე მოვიდა — ზუსტად მიღების დაწყების დროს, მაგრამ ყველაზე ბოლოს შემოვიდა. იგი გაწითლდა, ენა დაება და, როგორც იქნა, ამოილულლულა, ყელი მტკივაო, თუმცა ახლა უკეთა ვარო, „ჯობს ხვალ შემოვიარო, — მითხრა ბოლოს. — ახლა დრო არა მაქვს...“

მას შემდეგ აღარ გამოჩენილა.

შუკების ლაბირინთიდან ზედ „ხომალდის მისადგომთან“ გამოვედი. „ხომალდის კუნძულს“ ზემოთ, ლურჯ ცაზე, ლიმონისფერ-ყვითელი მთვარე ანათებდა. პასტორთან შეხვედრამ განწყობილება გამიფუჭა. ხომ არსებობენ ქვეყნად ასეთი ადამიანები! ჭიჭა არ დაიცლება კაბარეში, ერთი უძველესი შეკითხვა რომ არ გაიხსენონ: რომ შეგეძლოს კედელში დატანებულ ღილაკზე თითის დაჭერით ან უბრალოდ აზროვნების დაძაბვით ჩინელი მანდირინი მოკლა და მისი სიმდიდრე ხელში ჩაიგდო, გააკეთებდი თუ არა ამასო? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არასოდეს მიცდია, შეიძლება იმიტომ, რომ სიღარიბის სიმწარე არ განმიცდია, მაგრამ ის კი ვიცი, რომ შემეძლოს ღილაკზე თითის დაჭერით პასტორ გრეგორიუსის მოკვლა, წუთით არ დავფიქრებოდი.

უკან რომ ვბრუნდებოდი მკრთალ, არაბუნებრივ ბინდში, მეჩვენებოდა, რომ ცხელოდა ისე, როგორც შუადღის ხვატის დროს. ხელმწიფის კუნძულზე, ფაბრიკების მიღებს იქით თავმოყრილი მტვრის მოწითალო ღრუბლები ახლა ჩაშავებულიყვნენ და მიყუჩებულ ბრძოლის ველს მოგაგონებდათ. დიდი ნაბი-

ჯებით ვეშვებოდი წმინდა კლარას ეკლესიისაკენ. ქუდი ხელში მეჭირა. რადგან შუბლი მთლად სველი მქონდა. ეკლესიის გალავანში აქოჩრილმა ჩაიბნა მუხებმაც კი ვერ მაგრძნობინეს სიგრილე. მიუხედავად სიცხისა, აქ თითქმის ყველა სკამი წყვილებს დაეკავებინა; ეხვეოდნენ, კოცნიდნენ ერთმანეთს. მთვრალი თვალებით აცილებდნენ გამვლელთ.

ბიზანტიური

• • •

ღია ფანჯარასთან ვზივარ და ვწერ ყველაფერ ამას — ვისთვის? არც არავისთვის, თითქმის არც ჩემთვის, რადგან დღეს არასოდეს ვკითხულობ იმას, რაც დავწერე გუშინ, და მით უმეტეს, არ წავიკითხავ ხვალ. ვწერ იმიტომ, რომ ხელი რაღაცით დაკავებული მქონდეს, აზრი თავისთავად მოდის. ვწერ, რომ მოვკლა უძილო ღამე. რატომ არ მეძინება? მე ხომ არავითარი დანაშაული არ ჩამიდენია.

• • •

ფანჯრის იქით, სასაფლაოს მუხებს ზევით, დიდებული ლურჯი ღამეა. ამ დროს ქალაქში ისეთი სიწყნარეა, რომ მუხების ქვეშ შეყვარებულთა ოხვრა და ჩურჩულიც კი მესმის, ხან კი სიჩუმეს მრავლისმთქმელი კისკისი არღვევს, და ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს ამ წუთში ჩემზე მიუსაფარი და მარტოდ-მარტო მთელ დუნიაზე კაცი არ იყოს. მე მედიცინის ლიცენტიანტი გახლავართ, ტიუკო გაბრიელ გლასი, რომელიც ყველას ეხმარება, მაგრამ საკუთარ თავზე ნაკლებად ფიქრობს; კაცი, რომელიც ამქვეყნად ცხოვრების 33 წლის მანძილზე ქალს ახლო არ გაკარებია.

14 ივნისი

ეს რა პროფესიაა! როგორ მოხდა, რომ ცხოვრებისათვის აუცილებელი ფულის შოვნის უამრავი საშუალებიდან ჩემთვის ყველაზე შეუფერებელი ავირჩიე? ეჭიმი — ეს ყოველთვის ორში ერთია: კაცობრიობის მეგობარი, ან პატივმოყვარე, ოდესღაც ერთიც ვიყავი და მეორეც.

დღეს ჩემთან ერთი საცოდავი, სუსტი არსება მოვიდა, ტიროდა და შველას მთხოვდა. ვიცნობ ამ ქალს. იგი ცოლია წვრილი ჩინოვნიკისა, რომელსაც წელიწადში არა უმეტეს ოთხი ათასის შემოსავალი აქვს და ჰყავს სამი შვილი, ბავშვები პირველივე სამ წელიწადს შეეძინათ. შემდეგი ხუთი-ექვსი წელი ქალი ბედმა შეიბრალა. ნელ-ნელა გამოკეთდა, დაუბრუნდა ჯანმრთელობა, ძალა, ახალგაზრდობა. ოჯახი ოჯახს დაემსგავსა და როცა საბოლოოდ დაწყნარდა, მუხით დაეცა ახალი უბედურება.

ქალს ცრემლები ახრჩობდა.

მე, რასაკვირველია, დაზეპირებული ფორმულით ვუპასუხე. ისევე როგორც ყველა მსგავს შემთხვევაში ვიქცევი ხოლმე: გავახსენე ეჭიმის მოვალეობა, ჩემი პატივისცემა ადამიანის სიცოცხლისა და ჩანასახისადმიც.

ჩემს სიტყვას არ გადავედი, ბოლოს და ბოლოს წასვლის მეტი აღარაფერი დარჩენოდა და ისიც წავიდა დაბნეული, უსუსური, დარცხვენილი. გუნებაში გავიფიქრე, რომ ეს მეთვრამეტე შემთხვევაა ჩემს პრაქტიკაში. არადა, სულაც არა ვარ ვინეკოლოგი.

პირველი შემთხვევა სამუდამოდ დამამახსოვრდა. ეს იყო ოცი წლის ყმაწვილი ქალი, მალალი, მუქთმიანი, ოდნავ ვულგარული სახის ღამაზმანი.

შევხედე თუ არა, ლუთერის მოძღვრება გამახსენდა: ქალს ისევე უჭირს უმა-  
მაკაცოდ ცხოვრება, როგორც საკუთარი ცხვირის კბენაო. ეს ჩანს მართალი, ბი-  
ურგერული სისხლი მთელ დედამიწას დაიპყრობდა ლუთერის დროს. მამა-  
მისი შეძლებული ვაჭარი გახლდათ. მათი ოჯახის მკურნალები იყვნენ და ამიტომ  
მოვიდა იგი ჩემთან. აღელვებული იყო, თავგზადაკარგულად მსგავსად არც მაინც-  
დამაინც დარცხვნილი.

„მიხსენით, — მემუდარებოდა იგი, — მიხსენით“. მე ვუთხარი, რომ ჩემი  
ვალია ets, მაგრამ, როგორც ჩანს, ამით ბევრი ვერაფერი გავაგებინე.  
მერე ავუხსენი, ასეთ შემთხვევაში კანონთან ხუმრობა არ შეიძლება-მეთქი.  
„კანონთან?“ იგი გაოცებული მომაჩერდა. ვურჩიე განდობოდა დედას, დედა  
მოელაპარაკება მამას და ყველაფერი კეთილად დამთავრდება-მეთქი. „ო, რას  
ბრძანებთ, ჩემს საქმროს გროში არ გააჩნია და მამა როგორ დამთანხმდება“.  
ისინი დაწინდულნი არ იყვნენ. მან წარმოთქვა „საქმრო“ მხოლოდ იმიტომ,  
რომ ვერ შესძლო ამ შემთხვევაში უფრო შესაფერი სიტყვის „საყვარლის“  
ხსენება. ეს სიტყვა რომანებს უხდება, მაგრამ სათქმელად უხერხულია. „გა-  
დამარჩინეთ, ნუთუ ასეთი უგულო ხართ? თავს არ ვიცოცხლებ!“

მოთმინებას ვკარგავდი. დიახ, სულაც არ შემცოდებია. ფულით ხომ ყვე-  
ლაფერი მშვენივრად მოგვარდებოდა. ეს კია, სიამაყე დაზარალდებოდა. იგი  
სლუკუნებდა, წამდაუწუმ ცხვირს იწმენდდა, არეულ-დარეულად ლაპარაკობ-  
და. ბოლოს ისტერიკა მოუვიდა. იატაკზე დაეცა და აფართხალდა.

საბოლოოდ ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც ვვარაუდობდი: ხებრე  
და უხეშმა მამიკომ ერთი-ორი სილა შემოჰკრა ქალიშვილს; შემდეგ სასწრა-  
ფოდ ჯვარი დასწერა და ახალგაზრდა ცოლ-ქმარი საქორწინო მოგზაურობაში  
გაუშვა.

ამნაირი ქალიშვილები საერთოდ არ მეცოდებიან, დღეს კი, ამ ნაზი და  
ფერმკრთალი არსების დანახვისას გული შემეკუმშა. რამდენი დამამცირებელი  
განცდა მოაქვს ერთ მცირე სიამოვნებას.

ადამიანის სიცოცხლის პატივისცემა — რას ნიშნავს ჩემ მიერ ნათქვამი  
ეს სიტყვები, თუ არა სულმდაბლურ პირფერობას. ვისაც ფიქრის უნარი გა-  
აჩნია, სხვანაირად ვერც წარმოიდგენს. ამქვეყნად ხომ უამრავი ადამიანი ცხოვ-  
რობს. უხილავ, უცნობ ადამიანთა სიცოცხლეს ვინ თვლის ანგარიშში, ახირე-  
ბული ფილანტროპების გარდა. ამას პრაქტიკა გვიჩვენებს, მთავრობა და პარ-  
ლამენტი ხომ პრაქტიკით ამტკიცებს ყველაფერს.

ეს მოვალეობა — რა შესანიშნავი შირმაა, უფლებას რომ გვაძლევს, არ  
გავაკეთოთ ის, რაც გასაკეთებელია!

მაგრამ ხომ არ შეიძლება სასწოროზე დადო ყველაფერი — მდგომარეო-  
ბა, რეპუტაცია, მომავალი, მხოლოდ იმიტომ, რომ განსაცდელისაგან იხსნა  
შენთვის სრულიად უცხო ადამიანები. ვერავითარ შემთხვევაში მათ ვერ ენ-  
დობი. ნაცნობ ქალს რომ იგივე შეემთხვეს, მაშინვე უჩურობს, როგორ  
უშველოს საქმეს და ასე უბრალოდ შეიძლება საქვეყნოდ ცნობილი გახდეთ.  
ყველაფერს ჯობს, მოვალეობა მოიშველიო, თუნდაც იგი ათასფრად აჭრელე-  
ბულ კულისებს ჰგავდეს პოტიომკინის სოფლის მსგავსად. ვშიშობ, ისე ხში-  
რად ვიყენებ მოვალეობის ჩემეულ ფორმულას, ვაითუ ბოლოს და ბოლოს  
თვითონვე ვირწმუნო იგი. პოტიომკინი თავის დედოფალს ატყუებდა მხო-  
ლოდ, საკუთარი თავის მოტყუება კი უფრო დიდი ცოდვია.

\* \* \*



მდგომარეობა, რეპუტაცია, მომავალი. ყოველ წუთს მზად ვარ ეს ჩემი-  
ხურა ჩემს ნავსადგურში შემოსულ საქმით დატვირთულ პირველსავე გემს  
გავატანო, დიახ! მხოლოდ ნამდვილი საქმით დატვირთულ გემს.

15 ივნისი

კვლავ ღია სარკმელთან ვზივარ. კვლავ ლურჯი ღამეა და მესმის მუხებქვეშ  
ატეხილი შრიალი და ჩურჩული.

გუშინ, სეირნობისას, ერთ ცოლ-ქმარს შევხვდი. ქალი მაშინვე ვიცანი.  
თითქმის გუშინ იყო, ერთად რომ ვცეკვავდით ხოლმე მეჯლისებზე. მახსოვს,  
მასთან ყოველი შეხვედრა უძილო ღამით. მასაჩუქრებდა, თუმცა თვითონ  
ამის შესახებ არაფერი იცოდა. მაშინ იგი უმწიკვლო გოგონა იყო — ხორცშეს-  
ხმული ოცნება, ოცნება მამაკაცისა ქალზე.

ახლა იგი მტკიცე ნაბიჯით, ხელკავით მიჰყვებოდა გვერდით კანონიერ მე-  
ულღეს. ეცვა უფრო მდიდრულად, ვიდრე წინათ. თუმცა უგემოვნოდ, ბურ-  
ეუაზიულად. გამოხედვა ოდნავ დაღლილი ჰქონდა, მაგრამ ქმრიანი ქალის  
ისეთი თავმომწონეობა ეხატა სახეზე, გეგონებოდათ, ვერცხლის სინით მოჰ-  
ქონდა საკუთარი სხეული.

არა, ეს ჩემთვის გაუგებარია. რატომაა ასე, რატომ ხდება ყოველთვის  
მხოლოდ ასე? რატომაა, რომ სიყვარული ეშმაკობის გზით შეძენილი ოქრო-  
სავით მეორე დღესვე იქცევა ტუჩყად, ან ამჟავებულ სალაფავად. განა სიყ-  
ვარულის წყურვილიდან არ წარმოიქმნა ჩვენი კულტურის ის ტოტი მთლია-  
ნად, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს შიმშილის მოკვლასთან, ან  
მტრის მოგერიებასთან? სხვა წყარო არ იცის სიმშვენიერის ჩვენმა გრძნობამ.  
ხელოვნება, პოეზია და მუსიკა ხომ მისით სულდგმულობს. უშნო, საცოდავი,  
მაგრამ მოღური ნასატი, რაფაელის მადონა თუ სტეინლენის<sup>1</sup> პარიზელი მუ-  
შა ქალები, „სიკვდილის ანგელოზი“,<sup>2</sup> თუ სიმღერათა სიმღერა **Buch der Lieder**<sup>3</sup>  
ან ვენის ვალსი, თუნდაც ჩემი ღარიბული სახლის თაბაშირის რომელიმე ორ-  
ნამენტი, რომელიმე ფიგურა შპალერზე, აი, იმ ფაიფურის ღარნაკის ფორმა,  
თუ ჩემი პალსტუხის მოხატულობა, ყველაფერი, კარგია თუ ცუდი, რასაც  
შეუძლია მორთოს და გაალამაზოს, ყველაფერი ამ წყაროსაგან იღებს სათავეს,  
თუმცა ყოველთვის როდი ხერხდება თვალყური ადევნო ამას. ეს ათასჯერ დამ-  
ტკიცებულა, ჩემი გამონაგონი ან უძილობის ნაყოფი არ გეგონოთ.

მაგრამ ამ დაუშრეტელი წყაროს სახელწოდება არის არა სიყვარული, არა-  
მედ ოცნება სიყვარულზე.

ყველაფერი კი, რაც დაკავშირებულია ოცნებების ახდომასთან თუ წყურ-  
ვილის მოკვლასთან — ჩვენი ფარული ინსტინქტების წინაშე უხამსობად იქ-  
ცევა ხოლმე. ამის დასაბუთება შეუძლებელია, მაგრამ ამას ვგრძნობ და, ცხა-  
დია, ასევე გრძნობს ყველა. თავისი ნაცნობების სასიყვარულო ამბებზე ხალ-  
ხი ყოველთვის ლაპარაკობს, როგორც დამამცირებელ, თანაც თავშესაქცევ ამ-

<sup>1</sup> სტეინლენი თეოფილ-ალექსანდრე (1859—1923) — ბასრი სოციალური მიმართულების მხატვარი, პლაკატებისა და კარიკატურების ოსტატი.

<sup>2</sup> შვედი მწერლის არქი ეპისკოპოს იოჰან ულუმე ვალინის (1799—1839) ლექსი, რომელიც საფუძვლად დაედო სასულიერო საგალობელს.

<sup>3</sup> ჰაინრიხ ჰაინეს „სიმღერების წიგნი“.

ბავზე და ხშირად არც მათივე საკუთარი წარმოადგენს გამოჩენისს. შედეგი კი... საზიზღრობაა ფეხმძიმე ქალი, ახლად დაბადებული ბავშვი უარესი. თვით სიკვდილის სარეცელი უფრო მიმზიდველია, ვიდრე მშობიარობის პროცესი — ესაა შესაზარი კაკოფონია — ყვირილი, სიბინძურე, უსიკვდილო...

სქესობრივ აქტზე აღარც ვლაპარაკობ. არ დამაინტერესებს კიდევ ბავშვმა, ეს ამბავი პირველად რომ გავიგე ერთი მეგობრისაგან. ჩვენ დიდი წაბლის ხის ძირას ვიდექით სკოლის ეზოში და იგი მიხსნიდა, „როგორ კეთდება ეს“. არ დავიჯერე; მაშინ მან ბიჭებს მოუხმო და ერთხმად დამცინეს უვიცობისათვის. ბრაზმორეული გავეცალე მათ. მაშ დედა და მამაც ასევე აკეთებენ? და მეც, როცა გავიზრდები, იგივე უნდა გავაკეთო?

მე მუდამ მიუღონდა გარყვნილი ბიჭები, კედლებსა და მესერებზე უწმაწურ სიტყვებს რომ აჩხაპნიან; იმ წუთში კი ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ზაფხულის ცაზე თვით მალაღმა ღმერთმა მოთითხნა რაღაც უხამსობა და პირველად, მგონი, მაშინ შემეპარა ეჭვი ღმერთის არსებობაში.

იმ დღიდან გაოცებისაგან ველარ განვიკურნე. სიცოცხლის გაგრძელება ან სიყვარულის სურვილის დაკმაყოფილება რატომ უნდა ხორციელდებოდეს იმ ორგანოს საშუალებით, დღეში რამდენჯერმე რომ გამოიყენება სიბინძურის გამოსაყოფად? რატომ არ შექმნა ბუნებამ სხვა ისეთი საშუალება, როცა უმალლესი ვნებათაღელვა ღირსებასა და სილამაზესთან იქნებოდა შეხამებული? რომ სასიყვარულო აქტის განხორციელება შესაძლებელი ყოფილიყო ყველგან, ყველას თვალწინ და არა სიბნელეში, მალულად. თუნდაც ეკლესიაში, საქორწინო ცერემონიალის დროს, ვარდების ტევრში, ცეკვებისა და სიმღერების თანხლებით?

არ მახსოვს, რამდენი ვიარე წინ და უკან ოთახებში.

უკვე ინათა, ეკლესიის ფლუგერი გაბრწყინდა, გულისწამლებად აყივტივდნენ მშიერი ბელურები.

საოცარია, მზის ამოსვლის წინ ჰაერი რატომ გვგვრის ხოლმე ესოდენი სიახლის თრთოლვას.

18 ივნისი

დღეს შედარებით გრილა და მთელი თვის მანძილზე პირველად გავისეირნე ცხენით.

რა დილაა! წუხელ ადრე დავწვიქი და მთელ ღამეს მკვდარივით მეძინა. სიზმრებს ყოველთვის ვხედავ. მაგრამ წუხანდელი სიზმრები ყველაზე მსუბუქი და ნათელი იყო. გავიღვიძე თუ არა, დიანა შევეკაზმე და ჰაგა-პარკისაკენ გავაქროლე. მოვინახულე პავილიონი და საზაფხულო კაფე. ჰაერი გამჭვირვალე და სუფთა იყო, აბლაბუდებსა და ცვარ-ნამს დაეფარა ყოველი ბუჩქი. დიანამ აიწვიტა და ჭენებით მიმაქროლებდა ახლად გაღვიძებულ, მხნეობადაბრუნებულ მიწაზე. ერთ პატარა ტრაქტირთან, სადაც წინათაც ვყოფილვარ, ჩამოვქვეითდი და სულმოუთქმელად გამოვცალე ბოთლი ლუდი. ხელი ვტაცე თაფლისფერთვალემა გოგონას, ერთი-ორჯერ დავაბზრიალე, დავუკოცნე ქერა კულულები და — მშვიდობით, ტურფავ, მაპატიე.

ერთ სიმღერაშია ასე.

19 ივნისი

მამ ასე, ფრუ გრეგორიუს, აი, თურმე რა საქმე გაქვთ ჩემთან. ცოტა უც-

ნაური, ცხადია. ამჯერად იგი გვიან მოვიდა. მიღების დრო დამთავრებული იყო და პაციენტებიდან მხოლოდ იგი დარჩენილიყო.

შემოვიდა გაფითრებული, მომესალმა და შუა ოთახში გაჩერდა. სკამი შევთავაზე, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა.

— მაშინ ტყუილი ვითხარით, — ძლივს ამოიღულულულა მისი ხელი და წავიდა. — სრულიად ჯანმრთელი ვარ. სულ სხვა რაღაც მინდოდა მეტყვა მაშინ, მაგრამ შემეშინდა.

გარეთ, ქვაფენილზე, ლუდის კასრს მიაჩინებდნენ. ავდექი, ფანჯარა დაეხურე და უეცრად ჩამომდგარ სიჩუმეში გავიგონე, როგორ თქვა წყნარად და მტკიცედ, თუმცა ხმის ოდნავ კანკალზე ეტყობოდა, ძლივს იმაგრებდა ცრემლებს.

— საშინელი ზიზლი გამიჩნდა ქმრის მიმართ.

ზურგშექცეული ვიდექი კაფელის ლუმელთან. ნიშნად იმისა, რომ ვუსმენდი, თავი დავხარე.

— არა როგორც ადამიანის მიმართ, — განაგრძობდა იგი. — ჩემ მიმართ იგი ყოველთვის კეთილი იყო, არასოდეს ცუდი სიტყვა არ უთქვამს. მაგრამ ძალზე არასასიამოვნო გახდა ჩემთვის.

სული მოითქვა და განაგრძო:

— არ ვიცი, როგორ ვითხრათ, თქვენთან უჩვეულო თხოვნა მაქვს. შესაძლოა საძაგლობად მოგეჩვენოთ. მე ხომ არ ვიცი, ასეთ ამბებზე რა აზრისა ხართ. მაგრამ თქვენში არის ისეთი რამ, რაც მაიძულებს გენდოთ; სხვა არავინ მეგულება დღესდღეობით, რომ შეეძლოს ამ მდგომარეობაში ჩავარდნის დამეხმაროს, იქნებ ჩემს ქმარს მოელაპარაკოთ? იქნებ უთხრათ, რომ ქალური ავადმყოფობით ვარ დაავადებული და აუცილებელია თავი შეიკავოს ცოლქმრული უფლებისაგან, თუნდაც დროებით?

ცოლქმრული უფლება. უფლება. შუბლი მოვისრისე. გონება მიბნელებდა, როცა ასეთი აზრით გამოყენებულ ამ სიტყვას ვისმენ. ღმერთო დიდებულო, აქაც ვერ ავცდით უფლებებსა და მოვალეობებს. წუთით არ დავფიქრებულვარ, რომ უნდა დავხმარებოდი, თუკი შემეძლო. მაგრამ უცბად ვერ ვუპასუხე, უფრო სწორად არ მინდოდა მისთვის ლაპარაკი შემეწყვეტინებინა. არ დავმალავ, რომ იმ წუთში მისდამი ჩემს თანაგრძნობაში უბრალო ცნობისმოყვარეობაც ერია.

— მაპატიეთ, ფრუ გრეგორიუს, — ვუთხარი მე. — დიდი ხანია გათხოვილი ხართ?

— ექვსი წელია.

— და ის, რასაც თქვენ ცოლქმრულ უფლებას ეძახით, ადრეც ისევე არასასიამოვნო იყო, როგორც დღეს?

იგი ოდნავ გაწითლდა.

— დიახ, ყოველთვის არასასიამოვნო იყო ჩემთვის, — მითხრა მან. — მაგრამ ბოლო ხანებში პირდაპირ აუტანელი შეიქნა. მეტის ატანა აღარ შემეძლია, არ ვიცი, რა დამემართება, ასე რომ ვაგრძელებ.

— მაგრამ, — შევნიშნე მე. — პასტორი ხომ საკმაოდ ხანში შესულია. მიკვირს, როგორ შეუძლია ამ ხნის მამაკაცს ამდენი უსიამოვნების მოყენება. კაცმა რომ თქვას, რამდენი წლის იქნება?

— მგონი, ორმოცდათექვსმეტის თუ ორმოცდაჩვიდმეტის. იგი თავის ასაკზე უფრო ხნეირად გამოიყურება.

— მითხარით, ფრუ გრეგორიუს, არ გიცდიათ აგეხნათ მისთვის, რა შემაწუხებელიცაა ეს ამბავი თქვენთვის, არ გითხოვიათ შებრალება?

— ერთხელ ვთხოვე, მაგრამ დარიგება დამიწყო. მითხრა, დიდია განგების ძალა, იქნებ ღმერთს სურს შვილები გამოგვიგზავნოს, და დიდი ცოდვა იქნება შევწყვიტოთ ის, რის გარეშეც ჩვენი შვილები ვერ გაჩნდებოდნენ. შეიძლება იგი მართალიც იყოს, მაგრამ რა ვქნა, რომ არ შემიძლია.

ღიმილი ვერ შევიკავე. ერთი ამ ბებერ გაიძვერას დამიხედეთ!

ქალმა ჩემი ღიმილი შეამჩნია და ალბათ თავისებურად გაიგო. ერთხანს გაჩუმდა, თითქოს ჩაფიქრდა. მერე ისევ ალაპარაკდა, წყნარად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, სიწითლემ დაფარა მისი სახე.

— არა, თქვენ მთელი სიმართლე უნდა გაიგოთ, — თქვა მან. — რა თქმა უნდა, თქვენ უკვე მიხვდით ყველაფერს. რადგან მე ვთხოვთ იცრუოთ ჩემი გულისათვის, თქვენც უფლება გაქვთ გულახდილობა მომთხოვოთ. რაც გინდათ ის იფიქრეთ. მე არა ვარ ერთგული ცოლი, სხვას ვეკუთვნი. აი, რატომ მიჭირს აგრერიგად.

როცა ლაპარაკობდა, ცდილობდა ჩემთვის არ შემოეხედა. მე კი, მე ახლალა შევხედე პირდაპირ. ახლალა დავინახე, რომ ჩემ წინ იდგა ქალი, ვისი გულიც სავსე იყო სურვილებითა და მწუხარებით, ნაზი ყვავილი, სიყვარულის მათრობელა სურნელის მფრქვეველი და თვითონვე შეცბუნებული ამ სურნელის ესოდენი ყოვლისშემძლეობით.

ვიგრძენი, როგორ გავფითრდი.

ბოლოს მან თავი ასწია და ჩვენ ერთმანეთს თვალი გავუხსწორეთ. არ ვიცი, რა დაინახა ჩემს თვალებში, ანაზღად მუხლები მოეკეცა და ქვითინით დაეშვა სკამზე. ან ქარაფშუტად ჩამთვალა, ანდა ეგონა, გულგრილი დავრჩი მისი აღსარებისადმი და უსაფუძვლოდ მენდო უცხო მამაკაცს?

ახლო მივედი, ხელი მოვკიდე და წყნარად ვუთხარი:

— კმარა, კმარა, ნუ ტირით. უსათუოდ დაგეხმარებით, სიტყვას გაძლევთ.

— გმადლობთ, გმადლობთ...

მან ხელზე მაკოცა, ცრემლებით დამინამა. ერთხელაც ამოიქვითინა და ნაწვიმარი მდელოსავით კრიალა თვალები შემომანათა.

როგორ არ გამღიმებოდა.

— ბოლო სიტყვები შეგეძლოთ არ, გეთქვათ, — შევნიშნე მე. — არა იმიტომ, რომ თქვენ ნდობას ბოროტად გამოვიყენებ, ამ მხრივ საფრთხე არ გელით, უბრალოდ, ასეთი ამბები ყოველთვის, უკანასკნელ შესაძლებლობამდე საიდუმლოდ უნდა შეინახოთ. უამისოდაც მზად ვიყავი დაგეხმარებოდით შეძლებისდაგვარად.

იგი შემედავა.

— მინდოდა მეთქვა, მინდოდა გავნდობოდი ადამიანს, რომელსაც აგრერიგად ვაფასებ, რომლის წინაშე მოწინებით ვხრი თავს. ჩემთვის საჭირო იყო, მას ყველაფერი გაეგო ჩემ შესახებ, რათა არ შევზიზღებოდი.

ამას მთელი ამბავი მოაყოლა. დაახლოებით ერთი წლის წინათ პასტორი შეუძლოდ იყო და მის სანახავად ვიყავი. საუბრისას მეძაობაზეც ჩამოვაგდეთ თურმე სიტყვა. მას ზეპირად ახსოვდა მაშინდელი ჩემი სიტყვები და ახლა გამიმეორა რაღაც პრიმიტიული და ბანალური: „ეს საბრალო გოგონებიც ხომ ადამიანები არიან, მათაც ხომ სჭირდებათ ადამიანური მოპყრობაო“ და

სხვა და სხვა. ეს საუბარს მისთვის რაღაც ახალი იყო. მას შემდეგ განმსჭვალა ჩემდამი უღნიდესი მოკრძალებით და ამიტომაც გაბედა გამნდობოდა.

აღნიშნული შემთხვევა აღარც მახსოვდა... მართლაც რომ ქეშმარიტებაა: კაცმა არ იცის, შალ დაკარგავ და სად იპოვი.

შევპირდი, დღესვე მოველაპარაკები პასტორს-მეთქი დაბგავს... და ხელთათმანები დარჩა, მალე ისევ მობრუნდა, თავის ნივთებს ხელი დაავლო და გაიქცა. ნეტა გენახათ, რა გაბრწყინებული იყო, იმ ბავშვს ჰგავდა, სანატრელი სათამაშო რომ გამოუგზავნეს და მომავალი სიამოვნების მოლოდინში თავგზა აბნევია.

\* \* \*

მათ სადილის შემდეგ ვეწვიე. როგორც შევთანხმდით, მან ადრე შეამზადა ქმარი. პასტორს tete-a-tete ვესაუბრე. ისედაც უსიცოცხლო სახე უფრო ჩაუშავდა.

— დიახ, დიახ, — ამოიხვნეშა მან, — ცოლმა უკვე მითხრა ყველაფერი. ვერ აგიწერთ, როგორ მეცოდება საბრალო. როგორ ვოცნებობდით, როგორი იმედი გვქონდა, რომ ოდესმე ბავშვი გვეყოლებოდა. ახლა, ეს ცალ-ცალკე საწოლი ოთახებო. არა, არა. სასტიკი წინააღმდეგი ვარ. ხომ იცით, ასეთი რამ მიუღებელია ჩვენს წრეში, დაიწყება მითქმა-მოთქმა, თანაც მე ხომ თითქმის მოხუცი ვარ.

მან სუსტად დაახველა.

— ეჭვი არ მეპარება, — ვუთხარი, — რომ მეუღლის ჯანმრთელობა თქვენთვის ყველაფერზე მალლა დგას. არ შეშინდეთ, იმედი მაქვს, მალე სრულიად გამოჯანმრთელდება.

— მე ვლოცულობ ამისათვის, — მითხრა. — მაინც როგორ ფიქრობთ, რამდენი დრო დაჭირდება?

— ჯერჯერობით ძნელია თქმა, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის ნახევარი წელი უსათუოდ თავი უნდა შეიკავოთ. მერე კი ვნახოთ...

სახეზე რამდენიმე ჭუჭყიანი — ყავისფერი ლაქა უფრო ჩაუშავდა და თვალებიც დაებრიცა.

\* \* \*

იგი ერთხელ უკვე იყო ცოლიანი. რა სამწუხაროა, რომ შირველი ცოლი გარდაეცვალა! კაბინეტში მისი გადიდებული ფოტოსურათი უკიდია: ხმელ-ხმელი, კეთილსახოვანი ქალი, რაღაცით ჩამოჰგავს კატარინა ფონ ბორას, ლუთერის მეუღლეს.

ეს ქალი ნამდვილად მისი შესაფერისი იყო. რა სამწუხაროა, რომ გარდაიცვალა.

21 ივნისი

ვინაა ნეტავ ის ბედნიერი? გუშინწინდელი დღიდან ამ კითხვამ მოსვენება დამიკარგა.

და აი, დღეს, სრულიად მოულოდნელად წავაწყდი პასუხს: კლას რეკე-შორიდან ვიცნობ ამ ქაბუკს.

დიახ, კლას რეკე პასტორი გრეგორიუსი არ გეგონოთ.

მათ ახლახან შევხვდი, სეირნობისას. დავებეტებოდი თბილ, ბინდიან ჭუ-



ჩემში და ფრუ გრეგორიუსზე ვფიქრობდი. მასზე ხშირად ვფიქრობ შევუხ-  
ვიე სადღაც უკაცრიელ შუკაში და ვხედავ მოდიან — რომელიღაც სადარბა-  
ზოდან გამოვიდნენ. სასწრაფოდ ამოვიღე ცხვირსახოცი და ცხვირის წმენდას  
შევუდექი, რომ სახე დამეფარა, მაგრამ სულ ტყუილად. კაცს კრწათ ვერაფერ ახ-  
სოვს ჩემი სახე, ქალმა კი ვერ შემამჩნია მთვრალი იყო ბედნიერებისაგან.

22 ივნისი

ვზივარ და გუშინდელ ნაწერს უკვე მერამდენედ ვკითხულობ. მაშ ასე,  
ამობილო, მაჭანკლობა დაიწყე?

სისულელეა. მე ეს ქალი ნამდვილი საშინელებისაგან ვიხსენი, რადგან  
ვგრძნობდი, აუცილებელი იყო ამის გაკეთება.

როგორ გამოიყენებს ამ დახმარებას — უკვე მისი საქმეა.

23 ივნისი

ივანობის წინა ღამე! ნათელო, ლურჯო ღამე! ბავშვობიდან ასეთი მახ-  
სოვხატ — მსუბუქი, გამჭვირვალე და მომხიბლავი. დღეს კი რატომ ხარ ესო-  
დენ ჩახუთული და შემამფოთებელი?

ფანჯარასთან ვზივარ და განვლილ ცხოვრებაზე ვფიქრობ, ვეძებ მიზეზს,  
რატომ წავიდა იგი სხვებისაგან განსხვავებული გზით.

მოდით, განვსაჯოთ.

ახლახან, სასაფლაოზე გამოვლისას ისეთი რამ ვნახე, რომლის აღწერაც  
პრესაში მქადაგებელ მორალის დამცველთა აზრით შეუძლებელია. უეჭველია  
ძალა, რომელიც ადამიანებს აქეზებს ისეთი რამ ჩაიდინონ, რაც სასაფლაოზე  
მოსულთა სამართლიან აღშფოთებას იწვევს, უდიდესი და ყოვლისშემძლეა.  
ქარაფშუტა ადამიანებს იგი ათასგვარი სიგიჟისაკენ უბიძგებს, წესიერებისა და  
კეთილგონიერებისაგან კი გაჭირვებასა და მსხვერპლს მოითხოვს. იგივე ძალა  
აიძულებს ქალებს არაფრად ჩააგდონ კდემამოსილების ის გრძნობა, აღზრდის  
შედევად რომ უვითარდებათ გოგონებს თაობიდან თაობამდე, საშინელ ფიზი-  
კურ ტანჯვას განიცდიან და ხშირად დაუფიქრებლად გადაეშვებიან ხოლმე  
უსირცხვილობისა და უბედურების მორევში.

როგორ მოხდა, რომ შე არ შემხებია ეს ძალა?

ჩემმა გრძნობებმა მოგვიანებით გაიღვიძეს. თითქმის მაშინ, როცა ჩემი  
ნებისყოფა უკვე მამაკაცის ნებისყოფა იყო. ბავშვობაში საკმაოდ პატივმოყ-  
ვარე გახლდით, ადრე მივეჩვიე თვითშეზღუდვას და კარგად ვარჩევდი ფარულ  
სურვილს დროებითი, წუთიერი აღტყინებისაგან. პირველის ხმას ვუსმენდი,  
მეორეს ყურშიც არ ვუშვებდი. შემდგომში შევნიშნე, რომ ეს თვისება საკმაოდ  
იშვიათია, უფრო იშვიათი, ვიდრე ნიჭი და გენიოსობა, და ამის გამო ხანდახან  
ვფიქრობ, რომ ჩემგან არსებითად არაჩვეულებრივი, მნიშვნელოვანი პიროვ-  
ნება უნდა გამოსულიყო. კლასში ასაკით ყველაზე პატარა ყველაფერში პირ-  
ველი ვიყავი და თხუთმეტი წლისა უკვე სტუდენტი გახლდით, ხოლო ოცდა-  
სამი წლისა — მედიცინის ლიცენციანტი. მაგრამ აქ გავიყინე — აღარც სამეც-  
ნიერო მუშაობა, აღარც სადოქტორო დისერტაცია. ფულის მხრივ ხელს სია-  
მოვნებით გამიმართავდნენ, მაგრამ დავიღალე, არავითარი სურვილი აღარ  
მქონდა ცოდნის ჯალრმავეებისა, მინდოდა თვითონ მეშოვა პურის ფული. ყმაწ-  
ვილური გაუმადლარი პატივმოყვარეობა გაჯერდა და ჩაკვდა ჩემში. საოცარია,

მისი ადგილი ერთხელაც არ დაიჭირა მამაკაცურმა პატივმოყვარეობამ. ალბათ იმიტომ, რომ სწორედ მაშინ დავიწყე ფიქრი, ადრე კი ამისთვის არ მეცალა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემი ინსტიქტები თვლემდნენ, მრუდვად იმისა, რომ მათ შეეძლოთ გაეღვიძებინათ ჩემში ისეთივე ინსტიქტები/და სურვილები, როგორც მომწიფებულ გოგონებს აქვთ. მაგრამ არა ისეთი ძლიერი და მყვირალა, როგორც სხვა ახალგაზრდა მამაკაცები. ისინი და თუ ხანდახან მგზნებარე ოცნებებში წასულს ლამეები არ მეძინა, ფიქრიც კი არ შემეძლო იმ ქალებზე. ვისთანაც ჩემი ამხანაგები დადიოდნენ და ქუჩაში ხშირად მითითებდნენ ხოლმე.

ეს ალბათ გამოწვეული იყო იმითაც, რომ მუდამ დამოუკიდებელ ცხოვრებას ვეწეოდი. ჩემი ფანტაზია არასოდეს არ ემთხვეოდა ჩემი ნაცნობებისას, მე ხომ ბავშვობიდან ჩემს წრეში ყოველთვის ყველაზე პატარა ვიყავი. ამიტომ როცა საუბარი ამ თემას ეხებოდა, არაფერი გამეგებოდა და არც ვუსმენდი. ასე დავრჩი „უმწიკვლო“. ჩემთვის უცხო იყო სიყმაწვილის ცოდვანი. რელიგიური რწმენა არ გამაჩნდა, რომ შევეკავებინე, მე თვითონვე ვთხზავდი ლამაზ, საუცხოო ზმანებებს სიყვარულზე და დარწმუნებული ვიყავი, ოდესმე ამიხდებოდა. არ მსურდა მამაკაცური უფლება ხარახურაზე გამეყიდა, ლაფში ამომეგლო სტუდენტის პატიოსნება.

სიყვარულის ზმანება! ერთხელ მომეჩვენა, რომ სულ ახლოს იყო ჩემთან ივანობის საუცხოო, მკრთალო ლამევი! შენ მუდამ აღვიძებ ჩემში იმ შორეულ, ერთადერთ მოგონებას ჩემი ცხოვრებისას, რომელსაც მაშინაც კი ვერ გააქრობს ვერავითარი ძალა, როცა სხვა ყველაფერი ფერფლსა და მტვერში ჩაიძირება. თუმცა შემთხვევა არც ისე მნიშვნელოვანი იყო ივანობას სტუმრად ჩავედი ბიძასთან. შეიყარა ახალგაზრდობა, ვმღეროდით, ვცეკვავდით. იქ იყო ერთი ყმაწვილი ქალი, რომელსაც ადრეც შევხვედრივარ მათ ოჯახში სტუმრობის დროს და დიდი ყურადღება არ მიმიქცევია. მაგრამ ახლა, დავინახე თუ არა, ჩემი ერთ-ერთი მეგობრის ნათქვამი გამახსენდა: ზედავ იმ გოგონას, მთელი საღამო შენთვის თვალი არ მოუშორებიაო და თუმცა ამ ნათქვამისა დიდად არ მჭეროდა, გოგონას მიმართ უწინდელზე უფრო ყურადღებიანი გავხდი და შევნიშნე, რომ ისიც ხშირად მითვალთვალებდა. სილამაზით მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა, მაგრამ საკმაოდ მომხიბლავი იყო. თეთრი, გამჭვირვალე კოფტიდან გულის წარმტაცი ქალწულებრივი მკერდი უჩანდა. მე მასთან ერთად ვცეკვავდი გვირგვინებით შემკული მაისის ჭოკის გარშემო. შუალამისას ყველანი ბორცვისაკენ გავემართეთ სადღესასწაულო კოცონის დასანთებად. იქ უნდა შევხვედროდით მზის ამოსვლას. გზა ამოლტილი ფიქვების ტყეში გადიოდა. წყვილ-წყვილად მივდიოდით, მე მასთან ერთად, და როცა ლამის ბინდში იგი ფიქვის გამოშვერილ ფესვს წამოედო, ხელი შევაშველე. ნეტარებით ამავსო მისმა ნაზმა, თბილმა ხელმა. მაგრამ ჩავბლუჯე იგი და ბორცვზე ასვლამდე არ გამიშვია. თუმცა მალე სწორ გზაზე გავედით. რაზე ვსაუბრობდით? არ ვიცი, არც ერთი სიტყვა არ შემორჩა მეხსიერებას. მახსოვს მხოლოდ ელექტროდენივით მივლიდა სხეულში მისი ხმა. მისი ყოველი სიტყვა სავსე იყო უხილავი მორჩილების თრთოლვით, თითქოს მთელი თავისი სიცოცხლე ოცნებობდა იმ დღეზე, როცა ჩემთან ერთად გაივლიდა ტყის ამ ბილიკზე. ბორცვის წვერს რომ მივალწიეთ, თანამგზავრები უკვე იქ დაგვხვდნენ. კოცონი გაეჩაღებინათ და ჩვენც წყვილ-წყვილად შემოვეუსხედით გარშემო. მალე სხვა ბორცვებზეც ავარდა ალი. უჩვეულოდ ლამაზი იყო გარემო. უზარმაზარი, ნათელი,

ლურჯი სამყარო ლივლივებდა ჩვენს თავზე. ქვემოდან კი ყურეების, სრუტეების და განიერი ფიორდის ცივი ბრწყინვალეობა იტაცებდა თავს. კვლავ მისი ხელი მეჭირა ხელში. მახსოვს, ნაზად ვეფერებოდი და მალულადაც ვეჭვებოდი, როგორ ელვარებდა მისი ვანი გამჭვირვალე, ფერმიხდილი ღამის ფონზე. იგი სუნთქავდა მშვიდად, თანაბრად, და თუმცა არ ტიროდა, თუკნებამ ცხემლით ჰქონდა სავსე. ვისხედით წყნარად და თვითონაც არ ვიცნობდით ერთი ძველებური სიმღერა.

ცეცხლის ალი მოელვარე ფრთებს შლის  
გვირგვინს იდგამს, მალლა-მალლა იწევს.  
შევალ ცეცხლში, ავცეკვდები ალში,  
რაკი ჩემი გულისსწორი მიწვევს!

დიდხანს ვისხედით ასე. გავიგონე, როგორ თქვა ერთმა ამხანაგმა: ნახეთ, რა ღრუბლიანია აღმოსავლეთი, ვერ ვნახავთ მზის ამოსვლასთ. ზოგ-ზოგები წამოიშალნენ და შინისაკენ გასწიეს, ჩვენ კი კვლავ ვისხედით და ბოლოს მარტონიც დავრჩით. დიდხანს, დიდხანს თვალმოუშორებლად შევცქეროდით ერთმანეთს, მერე ხელებით დავიჭირე მისი თავი და ტუჩებში უმწიკვლოდ ვაკოცე. ამ დროს მას ვილაკამ დაუძახა, იგი ანაზდად შეკრთა, ხელიდან გამისხლტა და სირბილით დაეშვა ქვემოთ, ტყისაკენ. რომ დავეწიე, იგი უკვე სხვებთან ერთად მიდიოდა. მაგრამ მალულად მაინც მოვახერხე ხელის ხელზე მოჭერა და მანაც ასევე მიპასუხა. მდელიოზე, ჭოკის გარშემო, წელიწადში ამ ერთადერთი ღამის ჩვეულების თანახმად ერთმანეთს ცვლიდნენ მოცეკვავე ბატონები და სოფლის გლეხკაცობა. მე კვლავ გავიწვიე იგი საცეკვაოდ. შმაგი და წარმტაცი იყო ჩვენი ცეკვა. გათენდა, მაგრამ ღამის მომხიბვლელობა მაინც იგრძნობოდა, მიწა ტოკავდა ჩვენს ფეხქვეშ, აღმა-დაღმა დაჰქროდნენ წყვილები, ირწეოდა და ბრუნავდა ირგვლივ ყველაფერი. ბოლოს, როგორც იქნა, გამოვეარდით მოცეკვავეთა წრიდან, ერთმანეთს თვალს ვერ ვუსწორებდით და მდუმარედ გავემართეთ იასამნის ბუჩქებისაკენ. იქ ისევ ვაკოცე მას. მაგრამ ამჯერად სულ სხვაგვარად. მან გვერდზე გადახრილი თავი მკლავზე ჩამომადო, თვალები დახუჭა და რომ დავეკონე, მისი ბაგე ცოცხალ არსებასავით ათრთოლდა ჩემს ტუჩებში. და როცა მკერდზე შევახე ხელი, ვიგრძენი, როგორ ჩამოაცურა მკლავი, ალბათ ჩემი ხელის მოსაშორებლად, მაგრამ პირიქით, უფრო მეტად მიეზიდა მკერდზე. ვხედავდი, როგორ გაუნათდა სახე, ნელ-ნელა ცეცხლივით მოედო სიწითლე და თვალი გაახილა, მაგრამ უმალვე დახუჭა და ზანტად მოვწყდით ერთმანეთს. მერე დიდხანს ვიდექით ერთად ლოყით ლოყაზე მიკრულები და გაშტერებული გავცქეროდით ღრუბლებში მოჭიატე ამომავალ მზეს.

მეტად აღარასოდეს მინახავს იგი. ათი წელი გავიდა მას შემდეგ. ზუსტად ათი წელი და დღესაც ადგილს ვერ ვპოულობ, როცა მასზე ვფიქრობ.

ჩვენ მაშინ არ შევთანხმებულვართ სად შევხვდებოდით. მისი მშობლები ჩვენთან ახლო ცხოვრობდნენ და ეჭვი არ შეგვპარვია, რომ კვლავ ვნახავდით ერთმანეთს ხვალ, ზეგ, ყოველდღე, მთელი სიცოცხლე. მაგრამ მეორე დღეს წვიმდა. დღე მისი ნახვა ვერ მოვახერხე, სალამოს კი ქალაქში უნდა წავსულიყავი. რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთში წავიკითხე, რომ ბანაობისას დაიბრჩო მეგობართან ერთად.

<sup>1</sup> თარგმნა თ. ჯანგულაშვილმა.

ღიახ... დღეს ზუსტად ათი წელი სრულდება.

პირველ ხანებში ძალზე გამიჭირდა, მაგრამ ალბათ მართლაც ძლიერი ბუნების ადამიანი ვარ. ჩვეულებისამებრ განვაგრძე მეცადინეობა და შემოდგომაზე გამოცდები ჩავაბარე. ამასთან ერთად უზომოდ განვიცდიდი თამ-ღამობით განუწყვეტლივ მელანდებოდა მისი სახე. ვხედავდი, შლენდერის წყალმცენარეებით დაფარული თეთრი გვამი როგორ ირწეოდა წყალში სწრაფ-ქვევით, ზევით-ქვევით. ვხედავდი ფართოდ გახელებულ თვალებს და ღია ბაგეს, ბაგეს, რომელსაც მე ვკოცნიდი. მერე ნავეებით მოდიოდა ბარჯებით შეიარაღებული ხალხი. ბარჯის კაუჭი უხეშად ერჭობოდა მის ნაზ, ქალწულებრივ მკერდს, მე რომ ვეფერებოდი არც თუ ისე დიდი ხნის წინათ.

საკმაო დრო დამჭირდა, რათა კვლავ შემეგრძნო მამაკაცური ძალა და შემემჩნია, რომ სხვა ქალებიც არსებობდნენ ამქვეყნად, ამასთან ერთად სიმტკიცე მომემატა. რაც გინდათ თქვით და რაკი ერთხელ შემეხზო დიადი გრძნობის ნაპერწკალი, ყალბი სიყვარულით ტკბობას ახლა უფრო ნაკლებად ვაფასებდი ვიდრე ოდესმე. რა ვუყოთ, თუ სხვები ჩემებრ კეთილსინდისიერნი არ არიან, ეს მათი საქმეა; ჩემთვის კი ეს ძალზე მნიშვნელოვანი იყო. დიდი გულბრყვილოა, ვინც ფიქრობს, თითქოს მამაკაცს არ შეეძლოს წუთიერი ვნების დამორჩილება. ახ, მარტინ ლუთერ, მარტინ ლუთერ, პასტორ გრეგორიუსის ღრმად პატივცემულო მოძღვარო, რაოდენ მრუში აზრები უნდა გქონოდა, რომ ამდენი სისულელე გელაქლაქა ამ თემაზე. მაგრამ შენს დღევანდელ თაყვანისმცემლებთან შედარებით იმდენად გულახდილი იყავი, რომ ყველაფერი გებატიება.

წელი წელს მისდევდა და ცხოვრება ჩემგან შორიახლო მიედინებოდა. ვხვდებოდი ქალებს, სურვილს რომ აღმიძრავდნენ ანაზღად, მაგრამ რატომღაც ისინი ვერასოდეს ვერ მამჩნევდნენ. თითქოს მათთვის არც ვარსებობდი. მაშინ მიკვირდა, რად ხდებოდა ასე, ახლა კი ვხვდები. მხოლოდ შეყვარებულ ქალში, მის მიმოხვრაში, კანის ელფერსა და მთლიანად მის არსებაში იმალება სწორედ ის მომხიბვლელიობა, რომელიც მე გრძნობას მიღვიძებს. სწორედ ისინი, ის ქალები აღანთებდნენ ჩემში სურვილს. მაგრამ, რამდენადაც მათი სიყვარული უკვე სხვას ეკუთვნოდა, ბუნებრივია, მე ველარ მამჩნევდნენ. სამაგიეროდ სხვები მამჩნევდნენ და ხშირადაც. მე ხომ საკმაოდ ახალგაზრდას უკვე ექიმის დიპლომი და მრავლის აღმთქმელი კერძო პრაქტიკა მქონდა. ამის წყალობით საკმაოდ კარგ სასიძოდ ვითვლებოდი და გამომდინარე აქედან, ძიების ობიექტიც გავხდი. სულ ტყუილად.

ღიახ, წელი წელს მისდევს და ცხოვრება ჩემგან შორიახლო მიედინება. მე ჩემს საქმეს ვაკეთებ. რა ჯურის ხალხი არ მოდის ჩემთან თავიანთი სატკივარით; მეც შეძლებისდაგვარად ვმკურნალობ მათ. ზოგი კვდება, ზოგი იკურნება. უმრავლესობა ისევ ისე რჩება, როგორც ჩემთან მოსვლამდე იყო. არავითარი სასწაულის ჩადენა არ ძალმიძს. ზოგიერთნი, ვისი დახმარებაც არ შემიძლია, გამოცდილ ექიმბაშებთან მიდიან და იკურნებიან. მაგრამ, ვფიქრობ, მაინც კეთილსინდისიერ და ყურადღებიან ექიმად მთვლიან. დარწმუნებული ვარ, სულ მალე გადავიქცევი ტიპიურ შინა ექიმად, ცხოვრებისაგან დაბრძენებულ მკურნალად, შეხედვისთანავე რომ იმსახურებს ავადმყოფების ნდობას. ხალხნო, რომ იცოდეთ, რა ცუდად მძინავს ღამღამობით, ასე ბრმად აღარ მენდობოდით.

ივანობის ნათელი, ლურჯო ღამევე, რაოდენ მსუბუქი, გამჭვირვალე და დამამშვიდებელი იყავი წინათ; რად მიშფოთებ ახლა სულსა და გულს?



გუშინ, სტრიომენის სანაპიროზე სეირნობისას, გრანდ-სტრეტის მხარეს ჩავიარე. ტროტუარზე, ზედ წყლის პირას მაგიდას მარტოდმარტო უჯდა კლას რეკე და ვისკის სვამდა. ის იყო გვერდით უნდა ჩამევლო, რომ შევჩერდი, უკან გამოვბრუნდი და დაკვირვების მიზნით შორიახლო მაგიდას მივუჭექი. იგი ვერ მხედავდა, თუ არ უნდოდა დავენახე. შეყვარებულმა უთუოდ უამბო ჩემთან ვიზიტისა და ამ ვიზიტის შედეგის შესახებ. რასაკვირველია, ამ უკანასკნელის გამო კლას რეკე კმაყოფილი იქნება ჩემი, მაგრამ ცხადია, არასასიამოვნოა შეგრძნება იმისა, რომ შენს ინტიმურ საიდუმლოს იზიარებს მესამე. იგი უძრავად იჯდა, თვალს არ აშორებდა წყალს და გრძელსა და წვრილ სიგარას ეწეოდა.

გაზეთის გამყიდველ ბიჭუნას, გვერდით რომ ჩამიარა, გაზეთი „აფტონ-ბლადეტი“ გამოვართვი. გაშლილი გაზეთი მოხერხებულად ავიფარე და კლას რეკე მალულად შევათვალე. თავში იგივე აზრი დამებადა, რაც ამ რამდენიმე წლის წინათ, კლას რეკე რომ პირველად ვნახე: „რატომ მე არ გამომყვასეთი სახე? ამორჩევა რომ შეიძლებოდეს, ზუსტად ასეთ გარეგნობას ავირჩევდი-მეთქი“. იმ დროს ძალიან განვიცდიდი ჩემს უშნო გარეგნობას, დღეს უკვე სულ ერთია ჩემთვის.

იშვიათად შევხვედრივარ ასეთ ლამაზ მამაკაცს: ცივი ღია-ნაცრისფერი, ლამაზი ჭრილის მეოცნებე თვალები, ისარივით სწორი, საფეთქლებამდე გაფრენილი წარბები, მარმარილოსებრი შუბლი, შავი ხშირი თმა. იდეალური სილამაზის პირი, მუქი, გარუჯული კანი. ერთი სიტყვით, მხოლოდ ცხვირი არ შეესაბამებოდა ამ შესანიშნავ ანსამბლს, თუმცა ამით ჰარმონია სრულიად არ ირღვეოდა.

შინაგანად რას წარმოადგენს ეს კაცი? ამის შესახებ ბევრს ვერაფერს ვიტყვი. ვიცი, მხოლოდ რომ ითვლება კარიერის მაძიებლად. მას უფრო ხშირად ვხედავდი დეპარტამენტის ხელმძღვანელთა შორის, ვიდრე ტოლ-ამხანაგებში.

რა არ ვიფიქრე სკამზე გაუნძრევლად მჯდარი ერთ წერტილს მიშტერებული რეკეს ჭვრეტაში. სიგარა თითქმის ჩაქრა. მაგიდაზე ხელუხლებლად იდგა ვისკიანი ჭიქა. წარმოვიდგინე ის ცხოვრება, რომელსაც იგი ეწეოდა და ჩემსას შევადარე. არა ერთხელ მითქვამს ჩემი თავისთვის: ვნება — აი ყველაზე საუცხოო რამ ამქვეყნად, ერთადერთი, რასაც შეუძლია გაალამაზოს ჩვენი საცოდავი არსებობა. მაგრამ წუთიერი ვნების დაკმაყოფილება, როგორც ჩანს, ღირს, თუ განვსჯით იმ წარჩინებულ პირთა შეხედულებების მიხედვით, რომლებიც უარს არ ამბობენ ასეთ სიამოვნებაზე და რომელთა მიმართ იოტისოდენა შურიც არ გამაჩნია. სამაგიეროდ, გულის სიღრმეში მტკივნეულად განვიცდი რეკეს მსგავს მამაკაცებთან შეხვედრას. ის დილემა, მე რომ ახალგაზრდობიდანვე სიცოცხლე მომიწამლა და დღესაც მძიმე ტვირთად მაწევს, მისთვის, და მასთან ერთად მრავალი სხვა მამაკაცისთვისაც თავისთავად გადაიჭრა. მაგრამ პრობლემათა საყოველთაოდ მიღებული გადაწყვეტა ზიზღს იწვევს, არა თუ შურს, თორემ მეც აქამდე რალაცას ვიღონებდი. მას ქალის სიყვარული პირდაპირ ხელებში უვარდება, როგორც განუყრელი, ბუნებრივი უფ-

ლება. იგი არასოდეს არ მდგარა არჩევანის წინ: შიმშილი თუ აყროლებული ხორცი. არც არასოდეს დაიწყებს თავის მტვრევას. მას უბრალოდ დრო არ ჰყოფნის რეფლექსისთვის, რომელსაც ძალუძს ეჭვის წვეთით მის ტიქაში დვინის მოწამვლა. იგი ბედსვიანი, იღბლიანა კაცია და მე მშურს მისი.

თრთოლვით გავიხსენე ჰელგა გრეგორიუსთან შეხვედრა ფრეიფრედელ შუკაში, მისი დაბინდული, ბედნიერებისაგან მთვრალი თვალებიდან ჩაქვნილი იდეალურად უხდებიან ერთმანეთს, ბუნებრივი შერჩევაა... გრეგორიუსი... რისი გულისთვის უნდა ათრიოს ქალმა მთელი სიცოცხლე ამ გვარის, ამ ცოლქმრობის სიმძიმე? რა უაზრობაა.

დაბინდდა. ჩამავალი მზის ალისფერი ანარეკლი სასახლის გამურულ ფასადს დაეცა. ქუჩაში ხალხი მიმოდიოდა. მესმოდა შორიახლო ჩავლილი ხალხის საუბარი: მკლე იანკების უაზრო აბდაუბდა; დაბალი, ჩასუქებული ვაჭარი ებრაელებისთვის დამახასიათებელი დუდღუნნი. ხან ერთი, ხან მეორე ქუდის მოხდით ან, უბრალოდ, თავის დაქნევით მესალმებოდა და მეც ასევე ვპასუხობდი. მეზობელ მაგიდას ჩემი ძველი ნაცნობები მარტინ ბარკი და მარქელი შემოუსხდნენ, მათთან ერთად იყო ერთი კაცი, რომელიც ადრე კი მინახავს, მაგრამ გვარი არ მახსოვს. შესაძლოა არც არასოდეს მინახავს. მელოტი იყო. რეკე მარქელს მიესალმა და მალე წასასვლელად წამოდგა. ჩემს მაგიდასთან ჩავლისას სახეზე გაოცება გამოეხატა და საკმაოდ მოკრძალებით, მაგრამ ცივად მომესალმა. ჰმ, უნივერსიტეტში ჩვენ შენობით მივმართავდით ერთმანეთს.

რეკეს ათიოდე ნაბიჯიც არ გაეგლო, რომ მეზობელ მაგიდასთან მსხდომი სამეული მასზე ალაპარაკდა. გავიგონე, როგორ უთხრა მელოტმა მარქელს:

— შენ ხომ იცნობ რეკეს, ამბობენ შორს წავაო, ეტყობა, პატივმოყვარეა.

მარქელი: ჰმ, პატივმოყვარე... პატივმოყვარეს მასთან ახლო მეგობრობის გამო თუ ვუწოდებდი, საერთოდ კი, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ დაწინაურება უნდა. პატივმოყვარეობა იშვიათი თვისებაა. ჩვენ უბრალოდ, მივეჩვიეთ პატივმოყვარე ვუწოდოთ ყველას, ვისაც სახელმწიფო მრჩევლობაზე უჭირავს თვალი. სახელმწიფო მრჩევლობა კი რა არის? ფული — საშუალო ვაჭრის შემოსავალზე არც თუ ბევრად მეტი, ძალაუფლება — ძლივს სამყოფი, რომ მფარველობა გაუწიო ნათესავებს, აღარ ვლაპარაკობ იმაზე, გაიტან თუ არა საკუთარ იდეებს, თუკი საერთოდ გაგაჩნია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე პირადად უარს ვიტყვოდი სახელმწიფო მრჩევლობაზე, ჩემს მდგომარეობას ყველაფერი ჯობს, — მაგრამ რა შუაშია აქ პატივმოყვარეობა? საერთო არაფერი აქვს. იმ ხანებში, მე რომ პატივმოყვარე გახდით, შევიმუშავე საკმაოდ ორიგინალური გეგმა — როგორ უნდა დავიპყრო მთელი მსოფლიო, რათა შემდეგ სამართლიანობის ფარგლებში ყველაფერი ხელახლა გადავაკეთო და, ბოლოს, როცა ჩემი გეგმის თანახმად ქვეყანაზე თავმომაბეზრებელი კეთილდღეობა გაბატონდებოდა, მონეტებით გავივსებდი ჯიბეებს, წავიდოდი რომელიმე დედაქალაქში, დავჯდებოდი კაფეში, აბსენტის წრუპვას მოვყვებოდი და თავს იმის წარმოდგენით შევიქცევდი, თუ რა უწესრიგობა დამყარდებოდა უჩემოდ. მაგრამ, ასეა თუ ისე, მიყვარს კლას რეკე, ძმებო. მიყვარს იმისთვის, რომ ლამაზია, რომ გააჩნია განსაცვიფრებელი ნიჭი განცხრომით მიეცეს ამქვეყნიურ ცხოვრებას.

ეკ, მარქელ, მარქელ! თავდაჭერებული ხარ, როგორც ყოველთვის. ამ-

ჟამად იგი პოლიტიკის განყოფილებას განაგებს ერთ-ერთ სოლიდურ გაზეთში. შიგადაშიგ საკმაოდ სერიოზულ სტატიებსაც წერს. სადილობამდე მუდამყამს გაუპარსავი და დაუვარცხნელი, ფრიად ელეგანტურია სალამოს და მახვილ-სიტყვიერების დენტით დატენილი მისი გონება ქუჩებში ფარნების ანთების-თანავე იწყებს აფეთქებას. მის გვერდით იჯდა მზერაგაფანტული ბირკი, რომელიც სიცხის მიუხედავად მაკინტოშში გახვეულიყო.

მარქელი ჩემსკენ შემობრუნდა და თავაზიანად შემეხშიანა, ხომ არ ისურვებდი გამოუსწორებელი ალკოჰოლისტების ჯგუფთან შეერთებასო. მადლობა გადავუხადე. მაგრამ უარი ვუთხარი იმ საბაბით, რომ უკვე შინ ვაპირებდი წასვლას. ასეც იყო, თუმც, მართალი გითხრათ, სულაც არ მინდოდა ჩემს უკაცრიელ თავშესაფარში დაბრუნება, ამიტომ ერთხანს კიდევ დავრჩი და ქალაქის სალამოს სიჩუმეში სტრიომენის საამოდ აუღერებული მუსიკით ვტკბებოდი. მონანავე წყალზე მწკრივად მოჩანდა სასახლის ბნელით მოცული ფანჯრების ანარეკლი — სტრიომენი ამ წუთში სრულიადაც არ ამართლებდა თავის სახელწოდებას, ვერსად ვხედავდი ჩქეროებს, ტყის ტბასავით წყნარი იყო მისი ზედაპირი — შევცქეროდი ცისფერ ვარსკვლავს „როზენ ბაღზე“ რომ ციალებდა და ვუსმენდი საუბარს მეზობელ მაგიდასთან. ისინი ლაპარაკობდნენ ქალებზე და სიყვარულზე; არჩევდნენ საკითხს, რა იყო ქალთან ბედნიერი ინტიმური კავშირის უპირველესი პირობა.

მელოტი: უნდა იყოს შავგვრემანი, გამხდარი და ტემპერამენტიანი. ასაკით არა უმეტეს თექვსმეტი წლისა.

მარქელი, მეოცნებედ: უნდა იყოს მსუქანი და მადის აღმძვრელი.

ბირკი: უნდა ვუყვარდე.

2 ივლისი

არა, ეს უკვე მეტისმეტია. დღეს, დაახლოებით ათ საათზე იგი კვლავ მოვიდა. ფერდაკარგული, ცოცხალმკვდარს ჰგავდა, გაფართოებული თვალებით გაშტერებული შემომყურებდა.

— რა იყო, — უნებურად აღმომხდა, — რა მოხდა, შეგემთხვათ რამე? მან ყრუდ მიპასუხა:

— წუხელ მან ძალა იხმარა. ეს ხომ იგივე გაუპატიურებაა.

მოწყვეტით ჩავჯექი სავარძელში ჩემს საწერ მაგიდასთან, ხელებმა ანგარიშმიუცემლად მოძებნეს საწერკალამი და ქალაღი, თითქოს რეცეპტის გამოწერას ვაპირებდი. იგი ტახტის კიდეზე ჩამოჯდა.

— საბრალო, — ჩავილაპარაკე ჩემთვის. აზრი ვერ მომეკრიბა რაიმეს სათქმელად.

— უბედურ დღეზე გავჩენილვარ. — თქვა მან.

ცოტა ხანს ვდუმდით, მერე ქალმა მიამბო, რაც მოხდა. პასტორმა თურმე შეუღამისას გააღვიძა, ტიროდა და არწმუნებდა, რომ არაფრით არ ძალუძს დაიძინოს. ემუდარებოდა, ეხსნა მისი სული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ღმერთმა იცის, რა საშინელებას ჩავიდნო. ეს ჩვენი ვალია, ვალი კი ჯანმრთელობაზე მაღლა დგას, ღმერთი ჩვენთანაა და სულერთია, მაინც განიკურნებო.

შეძრწუნებული ვუსმენდი.

— მაშ იგი თვალთმაქცია? — ვკითხე.

— არ ვიცი. ალბათ არა. უბრალოდ, მიჩვეულია, ღმერთი ყველაფერში თავის სასარგებლოდ გამოიყენოს.

ისინი ყველანი ერთნაირები არიან, ბევრს ვიცნობ მათგან და მძულს ყველანი. მაგრამ თვალთმაქცობას მაინც ვერ დავწამებ... არა. არა, პირიქით, დარწმუნებული ვარ, იგი მუდამ გულწრფელად თვლიდა თავის რწმენას ჭეშმარიტებად, უმალ მზადაა ის დაიჭეროს, რომ ყოველი კაცი, რომელიც რწმენას უარყოფს, თვალთმაქცი და უკეთურია.

ქალი წყნარად ლაპარაკობდა, ხმა ოდნავ უთრთოდა. აქამდე <sup>მეტი ვინმე</sup> მქონია, თუ ამ ნაზ ქმნილებას ფიქრის უნარი გააჩნდა, თუ ამ ახალგაზრდა ქალს შეეძლო ასე საღად, მიუკერძოებლად ემსჯელა ისეთ კაცზე, როგორიც გრეგორიუსია. თუმცა ვგრძნობ, ღრმა სიძულვილს განიცდის მის მიმართ. დიახ, ზიზღი და სიძულვილი გამოსჭვიოდა მის მთრთოლვარე ხმაში, ყოველი სიტყვის ინტონაციაში; გადმომეცემოდა მე და მით უფრო მეტად მსუსხავდა, რაც მისი თხრობა დასასრულს უახლოვდებოდა: იგი ბევრს ეცადა გასხლტომოდა, გაქცეულიყო სახლიდან, მაგრამ უშედეგოდ. ქმარმა მაგრად ჩაბლუჯა იგი. ძალით აჯობა, ვეღარ შეძლო თავის დაღწევა.

ვიგრძენი, როგორ მომედო ცეცხლი; საფეთქლებზე თითქოს ჩაქუჩებს მირტყამდნენ. უეცრად შინაგანი ხმა გავიგონე; ეს ხმა იმდენად მკაფიო იყო, რომ შევშინდი, ხმამაღლა ხომ არ დავიწყე-მეთქი ფიქრი. ეს იყო კბილებს შორის გამოცრილი ხმა: მიფრთხილდი, მღვდელო! მე შევპირდი ამ ნაზ ქმნილებას, ამ ხავერდის ფურცლოვან ყვავილს, რომ დავიცავ შენგან. მიფრთხილდი, შენი სიცოცხლე ჩემს ხელშია, მე მინდა და შემიძლია კიდევ უფრო ადრე დაგიმკვიდრო იმქვეყნიური სასუფეველი, ვიდრე ამას შენ მოისურვებ. მიფრთხილდი, შენ მე არ მიცნობ, ჩემი სინდისი შენსას არ ჰგავს. მე ადამიანთა იმ ჯიშს ვეკუთვნი, რომელზედაც შენ წარმოდგენაც არა გაქვს!

როგორ ამოიცნო ჩემი იღუმალის ფიქრები? სახტად დავრჩი, როცა მოულოდნელად თქვა:

— მზად ვარ მოგკლა ეს ადამიანი.

— ძვირფასო ფრუ გრეგორიუს, — ღიმილით შევნიშნე, — რასაკვირველია, ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვებია, მაგრამ მაინც არ ღირს მათი წამოსროლა.

კინალამ წამომცდა: მით უმეტეს არ ღირს მათი წამოსროლა-მეთქი.

— კი მაგრამ, — სულმოუთქმელად განვაგრძე, რათა საჩქაროდ შემიცვალა საუბრის თემა — როგორ მოხდა, რომ პასტორ გრეგორიუსს გაყევით ცოლად? მშობლების სურვილი იყო, თუ კონფირმანტკის უბიწო გატაცება?

მას შეცვიებულებით გააკანკალა.

— არა, არაფერი მაგის მსგავსი, — თქვა მან, — ეს საკმაოდ უცნაური, განსაკუთრებული ხასიათის ამბავია, თქვენ ვერ მიხვდებით; რა თქმა უნდა, არც ერთი წუთით არ მყვარებია იგი. არც ჩვეულებრივი კონფირმანტკული სიყვარული მქონია სულიერი მოძღვარის მიმართ — არავითარი. მაგრამ შევეცდები ყოველივე მოგიყვებ და აგიხსნათ.

იგი ღრმად შეიწია ტახტის კუთხისაკენ, პატარა ბავშვივით მოიკუნტა და სადღაც სიცარიელეში თვალგაშტერებულმა დაიწყო თხრობა.

— უზომოდ ბედნიერი ვიყავი ბავშვობაში და მერეც, ქალიშვილობის ადრეულ გაზაფხულზე. საუცხოო ზღაპრად ჩამრჩა მეხსიერებაში ის დრო. ყველას ვუყვარდი, მეც ყველა მიყვარდა და მხოლოდ კარგს ვფიქრობდი. მერე დაიწყო ეს მომწიფების ხანა... დასაწყისში არაფერი არ შეცვლილა, ძველებურად ბედნიერი ვიყავ, შეიძლება ითქვას, კიდევ უფრო ბედნიერი, ვიდრე



წინათ, სანამ 20 წელი არ შემისრულდა. ახალგაზრდა გოგონას გრძნობათა თავისებური სამყარო გააჩნია, რომელიც ბედნიერებას უორკეცებს მას — შეიძლება ეს ისე ვერ აგიხსნათ როგორც საქირთა, მე ჩემებურად ვმსჯელობ — სისხლი მიჩქროლავდა, ყველაფერი მღეროდა ჩემში, მე თვითონაც ვმღეროდი — სახლში საქმიანობისას, ქუჩაში სეირნობისას. სულ შეყვარებული ვიყავი. საკმაოდ ღვთისმოსავ ოჯახში გავიზარდე, მაგრამ კოცნა-შაინც ვერ შევიძინე დიდ ცოდვად არ მიმაჩნდა. როცა რომელიმე შეყვარებული ყმაწვილი მკოცნიდა, წინააღმდეგობას არ ვუწევდი. რასაკვირველია, ვიცოდი, რომ არსებობს რაღაც სხვა, რასაც უნდა გავფრთხილებოდი და რისი დაკარგვაც დიდ ცოდვად ითვლებოდა, მაგრამ ეს იმდენად ბუნდოვნად და შორეულად მეჩვენებოდა, რომ სრულიად არ მიტაცებდა. ისიც არ მესმოდა, საერთოდ ვინმეს თუ ხიბლავდა ეს ამბავი, ვფიქრობდი, რომ ეს აუცილებელი იყო მაშინ, როცა ქმარი გყავდა და გინდოდა ბავშვებიც გყოლოდა. მაგრამ ოცი წლისა რომ გავხდი, გატაცებით შემეყვარდა ერთი ლამაზი, კეთილი და ძლიერი ახალგაზრდა. ასეთი იყო იგი მაშინ, და ასეთივეა ახლაც. შემდგომში იგი ჩემს მეგობარზე დაქორწინდა... უბედნიერესი ქალია... მე ის ვაჟი ზაფხულში გავიცანი სოფელში. ნეტარებაში გადიოდა დღეები. ერთხელ ტყეში შორს წავედი, იქ შეცდენა მომინდომა და ლამის მიაღწია საწადელს. აჰ, ნეტავ არ გავქცეულიყავი და მომხდარიყო მოსახდენი. სულ სხვაგვარად აეწყობოდა ჩემი ცხოვრება. მე მისი ცოლი გავხდებოდი, მეყოლებოდა ბავშვები... ყოველ შემთხვევაში, გრეგორიუსს აღარ გადავეყრებოდი. ნამდვილი ოჯახი მექნებოდა, ჩემი ოჯახი, ლალატის გზასაც აღარ დავადგებოდი... მაგრამ სირცხვილისა და შიშისაგან თავგზადაქარგული გამოვსხლტი მისი მკლავებიდან და თავქუდმოგლეჯილი გავიქეცი.

დაიწყო მტანჯველი დღეები. იგი ყვავილებს მიგზავნიდა და წერილს წერილზე მწერდა, რომ მეპატიებინა. მაგრამ, არამზადად მიმაჩნდა და აღარ მინდოდა მისი ნახვა. ყვავილებს ფანჯრიდან ვყრიდი და ერთხელაც არ ვუპასუხე წერილზე, თუმცა დღედაღამ მასზე ვფიქრობდი. სხვა რაღაც მაცოთუნებელი სურვილიც შემეჩნდა. ვიგრძენი, თითქოს შევიცვალე, სულ სხვა გავხდი, მეჩვენებოდა, რომ ამას ჩემს გარდა სხვებიც ამჩნევდნენ. ენით ვერ აღვწერ, როგორ ვიტანჯებოდი. შემოდგომაზე, ქალაქში რომ დავბრუნდი, ერთ საღამოს სასეირნოდ გავედი. გზაჯვარედინებზე ქარი წიწინებდა და განუწყვეტლივ ცრიდა. მეც არ ვიცი, როგორ აღმოვჩნდი მის სახლთან. განათებულ ფანჯარაში დავინახე იგი, წიგნს კითხულობდა. ისე ძლიერად ვიგრძენი მისადმი ლტოლვა, სადარბაზოში შევარდი, მაგრამ კიბეს შუამდევ რომ მივალწიე, გონს მოვედი და უკან გამოვბრუნდი.

იმ დღეებში რომ მისი წერილი მიმეღო, ვუპასუხებდი. ამაოდ ველოდი, მას უკვე მობეზრებული ჰქონდა ხვეწნა-მუღარა. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ შევხვდით ერთმანეთს, მაგრამ იმ დროისათვის ბევრი რამ შეცვლილიყო ცხოვრებაში.

მე თქვენ უკვე გითხარით, რომ საკმაოდ რელიგიური აღზრდა მივიღე. ამიტომ ცხოვრების იმ მძიმე დღეებში რელიგიაში ვეძებდი შევებას. გადაწყვიტე მოწყალების და გავმხდარიყავი, მაგრამ ჯანმრთელობამ ხელი შემეშალა. მთელი დღეები ვიჭექი სახლში, ვსაქმიანობდი, ვოცნებობდი, ხანდახან ძლიერი სევდა შემეპყრობდა ხოლმე და ღმერთს ვევედრებოდი, განვეკურნე ამ უსაშველო დარდისაგან. ვგრძნობდი, ამ მდგომარეობას დიდხანს ვერ გავუ-

ძლებდი, რაღაც უნდა მომხდარიყო. და აი, ერთ მშვენიერ დღეს მამაჩემისაგან ვიგებ, რომ პასტორი გრეგორიუსი ჩემს ხელს თხოულობს. გაცემისას ვაგ-ხევდი. იგი ხშირად იყო ჩვენსას, დედა მოწიწებით ეპყრობოდა. მამას კი, ვგონებ, ეშინოდა კიდევ მისი; ჩემთან დამოკიდებულებაში იგი არასოდეს არ ცდილა სატყვით ან თუნდაც ქცევით ეგრძნობინებინა თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩემს ოთახში გავიქეცი და ავქვითინდი. ჩემთვის მუდამ უცხო, არასწავლობიანი იყო, და ვგონებ ამიტომ უფრო დავთანხმდი. ძალა არავის დაუტანებია; უბრა-ლოდ, მე თვითონ დავასკვენი, რომ ასეთი იყო ჩემი ბედი. მწამდა, რომ ღმერ-თის ნება უმეტეს შემთხვევაში ჩვენს სურვილებს ეწინააღმდეგებოდა. და მან თავისებურად ისმინა ჩემი ვედრება. მეჩვენებოდა, რომ შესანიშნავად მივხვ-დი მის სურვილს. მეგონა, ამ ადამიანის გვერდით დარდი გამიქრებოდა და ვნება ჩამიქრებოდა. როგორც ადამიანი, იგი არ იყო ცუდი, ამაში ეჭვი არ მე-პარებოდა. იგი ხომ მღვდელმსახური გახლდათ.

მაგრამ მოხდა კი პირიქით. მან ვერ გააქრო ჩემი ოცნებები, შებილწა კი. სამაგიეროდ რწმენა მოკლა ჩემში. ეს არის ერთადერთი, რასაც მას ვუ-მადლი, და რის გამოც სრულიად არ მწყდება გული. ახლა, როცა რწმენაზე ვფიქრობ, სრულ უაზრობად მეჩვენება. გამოდის, რომ ყოველივე რასაც ვეს-წრაფვით, რაზეც ტკბილია ფიქრი, ცოდვად ითვლება; მამაკაცთან სიახლოვე, როცა იგი სასურველია — ცოდვაა, სამაგიეროდ თუ გძულს მამაკაცი, თუ მას-თან სიახლოვე შენთვის ტანჯვაა და წამება — ეს არაა ცოდვა. მითხარით ექიმო, განა ეს საოცარი არ არის?

რომ ლაპარაკობდა, სახეზე აღმური ასდიოდა. სათვალის ზემოდან გადავ-ხედე და თავი დავუქნიე.

— დიახ, მართლაც რომ საოცარია.

— თუნდაც აი, როგორ ფიქრობთ, ახლანდელი ჩემი სიყვარული, ცოდვაა განა? მართო სახარულს როდი გვანიჭებს, შიშიც ბევრი ახლავს, მაგრამ ცოდვაა განა? თუ ის ცოდვაა, მაშინ ცოდვილი ყოფილა ჩემში ყველაფერი, რადგან მასზე წმინდა და ჰვირფასი არაფერი გამაჩნია. თქვენ აღბათ გიკვირთ, ამდენს რომ ვლაყბობ, თითქოს თქვენს მეტი ვერავინ ვნახე სალაპარაკოდ. მაგრამ იცით, ჩვენ რომ ერთმანეთს ვხვდებით, ყოველთვის ისე ცოტა დრო გვაქვს, თითქმის არ ვლაპარაკობთ, — იგი უეცრად წამოჭარხლდა, — იგი არასოდეს არ ლაპარაკობს იმაზე, რაც მე მაწუხებს.

მდუმარედ ვიჯექი ხელებზე თავდაყრდნობილი და ნახევრად თვალმოჭუ-ტული შევცქეროდი მას — აი, მიყუყულა ჩემი ტახტის კუთხეში, ვარდის-ფერი, ფაფუკი თმის ნათელ შარავანდედში გახვეული, ქალი სასურველი. „აჰ, ნეტა მე და შენ არ გვყოფნიდეს დრო სასაუბროდ, ახლა როგორც კი ხმას ამოიღებს, ავდგები და ტუჩებში ვაკოცებ“. — გავიფიქრე ანაზღაოდ, მაგრამ თითქოს ჯიბრზე, იგი ჩუმად იჯდა. მისაღების კარი ნახევრად ღია იყო და დე-რეფანში ჩემი ეკონომი ქალის ნაბიჯების ხმა გავიგონე.


დუმილი დავარღვიე:

— მითხარით, ფრუ გრეგორიუს, განქორწინებაზეც არასდროს გიფიქ-რიათ? თქვენს ქმარზე დამოკიდებული, თუ არ ვცდები, დიდად არ უნდა იყოთ — მამამ გარკვეული ქონება დაგიტოვათ, როგორც დედისერთა ქალს, გარდა ამისა, დედა ცოცხალი გყავთ და საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობს.

— ეჰ, ექიმო, თქვენ მას არ იცნობთ. განქორწინება — მოძღვართან? რა უნდა მოხდეს, რა უნდა ჩავიდინო ისეთი, რომ იგი დამთანხმდეს. იგი არჩევს

ათიათასჯერ „შემინდოს“, წუმპედან ამომათრიოს და მიხსნას... მას შეუძლია ჩემთვის პარაკლისიც გადაიხადოს არა, ჩანს, უბედური ვარ.

ავდექი.

— კარგი, რას მიბრძანებთ გავაკეთო? რა შემიძლია,  გამოსვალს ვერ ვხედავ.

— მან დაბნეულად გადააქნია თავი.

— არ ვიცი. მე თვითონაც არ ვიცი. მგონი, დღეს იგი თქვენთან უნდა მოვიდეს, გუშინ გულს უჩიოდა. ხომ არ მოელაპარაკებოდით ერთხელ კიდევ? მხოლოდ ღმერთმა დამიფაროს, რომ მან შეიტყოს ჩემი თქვენთან ყოფნის ამბავი.

— კარგი, მოესინჯავ.

იგი წავიდა.

დასამშვიდებლად სამედიცინო ჟურნალი ავიღე და შევეცადე წამეკითხა. არაფერი გამომივიდა. თვალწინ მედგა იგი, ცხადად ვხედავდი ტახტის კუთხეში მიყუჟულს. თითქოს კვლავ მესმოდა მისი ხმა და განმეორებით მოვისმინე მთელი ამბავი. ვინაა დამნაშავე? ის ახალგაზრდა, ერთ ზაფხულს ტყეში შეცდენა რომ მოუწოდოდა? ეჰ, მამაკაცს სხვა რა შეუძლია ქალთან ურთიერთობაში, გარდა იმისა, რომ შეაცდნოს იგი, ტყეში იქნება ეს, თუ საქორწინო სარეცელზე და შემდეგ მასთან ერთად ზიდოს შედეგის სიმძიმე? მაშ ვინაა დამნაშავე — პასტორი? მან კი რა ჩაიდინა ისეთი? უამრავ სხვა მამაკაცთა მსგავსად მოისურვა ქალი, ამასთან მოისურვა წესიერად, მართებულად, და მანაც ანგარიშმიუცემლად, დაუფიქრებლად უპასუხა თანხმობით, უბრალოდ, მწუხარებისა და იმ წარმოუდგენლად აბდაუბდა ცნებების გამო, თავი რომ ჰქონდა გამოტენილი და რაც მისი ალზრდის შედეგი გახლდათ. არც სულ მთლად ფხიზელი გონებით დათანხმდა იგი ამ ქორწინებაზე, უფრო სიზმარში, ვიდრე ცხადად. დაუჯერებელ ამბებს ხომ ვნახულობთ ხოლმე სიზმარში, მაგრამ სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება იგი და რომ გავიღვიძებთ, 'მიშით ან სიცილით ვიხსენებთ ნანახს. მას კი მოულოდნელად აუხდა ეს დაუჯერებელი სიზმარი. მაგრამ, სად იყვნენ მშობლები, მათ უდაოდ ესმოდათ ამ ქორწინების არსი და მაინც სიხარულით, და ალბათ კმაყოფილებითაც დათანხმდნენ, ნეტავ ახლა თუ გამოფხიზლდნენ? ან თვითონ პასტორი: ნუთუ ოდნავადაც არ გრძნობს რა უხამსობაა, რაოდენ ეწინააღმდეგება ბუნებას, რასაც ის ჩადის?

ადრე არასოდეს მომსვლია აზრად, რომ მორალი იგივე კარუსელია. კაცმა რომ თქვას, ეს ადრეც ვიცოდი, მაგრამ რატომღაც მეგონა, რომ კარუსელის ბრუნვის ხანგრძლივობა იზომება საუკუნეებით, ან ეპოქებით — ახლა კი იგი ჩემთვის წუთებითა და წამებით იზომებოდა. თვალები მიჭრელდებოდა და ამ ჯოჯოხეთური ორომტრიალიდან თავის დასაღწევად როგორც მაშველ რგოლს, ისე ჩავეჭიდე ცოტა ხნის წინ კბილებში გამოცრილ აზრს: ფრთხილად, პასტორო!

ასეც მოხდა. პასტორი მიღებაზე მოვიდა. გული სიხარულით ამიძგერდა, როცა კარი გავაღე და მისაღებში იგი დავინახე, მის წინ მხოლოდ ერთი ხნიერი ქალი იდგა, განმეორებით გამომაწერინა რეცეპტი და წავიდა. ახლა მისი რიგი იყო. სერთუკის ბოლოები გაშალა და აუჩქარებლად დაეშვა ტახტის იმავე ადგილზე, სადაც სულ რამდენიმე საათის წინ საცოდავად მოკუნტული იჯდა მისი ცოლი.

ჩვეულებისამებრ წვრილმანებზე გამიბა ლაყბობა. ამჯერად საუბრის

თემა იყო წმინდა ზიარება. გულის შესახებ ვაკვრით შემომჩივლა, ორიოდ სიტყვით და ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს საგანგებოდ მხოლოდ იმისთვის მოვიდა, შეეტყო, როგორი იყო ჩემი, როგორც ექიმის აზრით წმინდა ზიარების ჰიგიენურობის შესახებ, რამდენადაც ბოლო დროს თითქმის ყველა გაზეთში ამ საკითხის გარშემო დავობდნენ. მართალი რომ ვთქვა, პაექრობის შედეგებით არ დავინტერესებულვარ, ბევრიც არაფერი ვამჩნევოდა. ათასში ერთხელ თუ ჩავიკითხავდი თვალში მოხვედრილ სტატიას და პასტორმა გამარკვია შექმნილ ვითარებაში. რა ზომების მიღება შეიძლება წმინდა ზიარების დროს ავადმყოფობის გადაღების თავიდან აცილების მიზნით? ასე ისმებოდა საკითხი. პასტორი ღრმად იყო შეწუხებული იმით, რომ ეს საკითხი საერთოდ დაისვა, მაგრამ რაკი დაისვა, უნდა გადაწყდეს კიდევო. გამოსავალი კი რამდენიმე იყო. უწინარეს ყოვლისა საჭიროა ყველა ეკლესიამ ნაცვლად საერთო თასისა შეიძინოს გარკვეული რაოდენობის მცირე ზომის ტურქელი, რომელსაც მნათე საკურთხეველთანვე გარეცხავდა, მაგრამ ეს საკმაოდ ძვირი დაჯდება. სოფლის პატარა სამრევლოს გაუჭირდება ამდენი ვერცხლის ტურქლის ყიდვა.

ამაზე მე შევნიშნე, რომ ჩვენს დროში, როცა ასე განუხრელად იზრდება ინტერესი რელიგიისადმი და როდესაც ასეთი დიდი რაოდენობით მზადდება ვერცხლის თასები ველორბოლებისათვის, მით უფრო მეტად საჭიროა გამოიწილოს საშუალება ასეთივე თასების რელიგიური მიზნით შეძენისათვის-მეთქი. პასტორმა სხვა გამოსავალიც მონახა, რომ ვთქვათ, ყველა მომსვლელს თვითონ მოეტანა საკუთარი თასი ან თუნდაც უბრალო ტიქა. მაგრამ როგორი სურათი იქნებოდა, თუ ერთი მხატვრულად გაფორმებული ვერცხლის თასით მოვიდოდა, მეორე კი სრულიად უბრალო ტიქით? ჩემის აზრით, სურათი საკმაოდ მხატვრული გამოვიდოდა, მაგრამ ხმა არ ამომიღია და ველოდი, რას იტყოდა კიდევ. ვიღაც თავისუფლად მოაზროვნე მოძღვარმა შემოგვთავაზა იესო მაცხოვრის სისხლი კაფსულებით დავლიოთო, — განაგრძო პასტორმა. ვიფიქრე. ხომ არ მეჩვენება-მეთქი „კაფსულებით, როგორც სასაქმებელი ზეთი?“ — „დიახ, დიახ კაფსულებით“. და ბოლოს, ვინმე სასახლის კარის მჭადაგებელმა გამოიგონა სრულიად განსაკუთრებული კონსტრუქციის ტიქა, მიიღო მასზე პატენტი და ჩამოაყალიბა სააქციო საზოგადოება — პასტორმა ეს ტურქელი გარკვევით ამიწერა, მე ვფიქრობ, იგი ბევრად ჩამოგავს შავი მაგიის დოქტორთა ტიქა-ლამბაქებს; რაც შეეხება თვითონ პასტორს, იგი თავს შორს იჭერს ყველა მჩხმახავისა და თავისუფლად მოაზროვნისაგან, რადგან ყველა ეს სიახლე მას რაღაც საექვოდ მიაჩნია, მაგრამ ბაცილებიც ხომ საკმაოდ საექვო რამაა, რა უნდა ვქნათ?

ბაცილები — ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა, როგორც კი მის მიერ წარმოთქმული ეს სიტყვა გავიგონე. ინტონაცია ძალზე ნაცნობი იყო და უცერად გამახსენდა, რომ ერთხელ ჩვენ უკვე გვქონდა ბაცილებზე საუბარი. მივხვდი, რომ იგი იტანჯებოდა ეგრეთ წოდებული ბაცილომანიის დაავადებით. მის თვალში ბაცილები იმდენად იყო საიდუმლოებით მოცული, რამდენადაც ისინი არ ემორჩილებოდნენ არც რელიგიას, რომელსაც თითქმის ცხრამეტი საუკუნე უსრულდებოდა და განუყოფელი იყო მისგან, და არც ცხოვრების ჩვეულებრივ წესებს. ალბათ იმიტომ, რომ ბაცილები სულ ახლახან გამოჩნდნენ და ამ სიბერეში, როცა მისი სიცოცხლის დღეები დათვლილია, სეტყვა-სავით აცვივა საბრალოს თავზე.

ვერ ვიტყვი, ვირს უფრო ჩამოგავს იგი, თუ მელას.

ზურგი შევაქციე და კარადაში ხელსაწყოები გადავქექე. თან ვთხოვე, სერთუკი და ქილეტი გაეხადი. რაც შეეხება წმინდა ზიარების პიტიურობის პრობლემას, გადავწყვიტე უპირატესობა კაფსულებისათვის მიმინიჭებინა.

— უნდა გამოგიტყდეთ — ვუთხარი, — რომ პირველდღეობის დღეებში, თუმცა მაინც და მაინც დიდი ღვთისმოსაობით ვერ დავსრულე, განა წმინდა ზიარების არსი ღვინოში, პურში ან საეკლესიო ვერცხლის ჭურჭელში მდგომარეობს? აქ მთავარია რწმენა, ჭეშმარიტი რწმენა კი არამც და არამც არ არის დამოკიდებული ისეთ გარეგნულ აქსესუარებზე, როგორცაა ვერცხლის თასები ან ქელატინის კაფსულები...

ამ სიტყვებით მკერდზე სტეთოსკოპი მივაღე, ვანიშნე გაჩუმებულიყო და გულისცემას მოვუსმინე. განსაკუთრებული ვერაფერი შევნიშნე, გარდა უმნიშვნელო არითმიისა, რაც ესოდენ დამახასიათებელია ასაკოვანი კაცისთვის, მით უმეტეს, თუ იგი მიჩვეულია სადილობისას კარგად გამოძღეს და შემდეგ ერთ-ორ საათს წაიძინოს. ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება დაარტყას კიდევაც, ყველაფერი ხდება, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ წინასწარ რაიმე რეალურ საფრთხეზე ვილაპარაკოთ.

ცხადია ასე იყო, მაგრამ მე სხვა რამე მქონდა ჩაფიქრებული და დათმობას არც ვაპირებდი. სტეთოსკოპი ერთი ადგილიდან მეორეზე გადამქონდა და ვუსმენდი უფრო მეტხანს, ვიდრე საჭირო იყო. ვგრძნობდი, როგორ უჭირდა ჩემად ჯდომა, მას ხომ სიგიჟემდე უყვარს ლაუბობა, ამ საქმის უდიდესი ნიჭიც მქონდა და არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ სწორედ ამ ნიჭის წყალობით გახდა მქადაგებელი. ვგრძნობდი, გასინჯვის ეშინოდა, ათასჯერ ერჩია, კვლავ ბაცილებზე ელაპარაკა, რათა შემდეგ უდროობა მოემიზებებინა და მშვიდობიანად წასულიყო. ნურას უკაცრავად. ვსინჯავდი და ვღუმედი. და რაც დრო გადიოდა, მით უფრო ძალუმად უძგერდა გული.

— რაიმე სერიოზულია? — ვედარ მოითმინა ბოლოს.

მაშინვე არ ვუპასუხე. ავდექი, ოთახში გავიარ-გამოვიარე. გონებაში ერთ პატარა, არც თუ ისე ბრძნულ გეგმას ვამუშავებდი, მაგრამ რადგან ინტრიგებში საკმაოდ გამოუცდელი გახლდით, ვმერყეობდი. ვმერყეობდი იმიტომაც, რომ ჩემი გეგმა მთლიანად მის უვიცობასა და სიტუტუტეს ემყარებოდა — იქნებ შევცდი მის შეფასებაში. რომ მიმიხვდეს?

სიარული შევწყვიტე. ძალა მოვიკრიბე და თვალი თვალში გავუყარე. მიწისფერ, დონდლო-მსუქან პირისახეზე სახედრის კეთილშობილები აღბეჭდვოდა. სამწუხაროდ, სათვალე ფარდებჩამოშვებულ ფანჯარას ირეკლავდა და მისი გამოხედვა ვერ დავიჭირე. მაინც გადავწყვიტე, რისკი გამეწია. ბოლოს და ბოლოს, სულაც არ არის საინტერესო სახედარია იგი, თუ მელა. რაც უნდა იყოს, ადამიანი მელაზე ჭკვიანია. იმ დასკვნამდე მივედი, რომ შეიძლებოდა მისი გაბრიყვება: მისი შეკითხვის შემდეგ ჩემმა ღრმავაროვანმა ბოლთისცემამ და დუმეილმა საჭირო გავლენა მოახდინა და დამყოლი გახდა იგი.

— უცნაურია, — ჩავილაპარაკე ბოლოს და კვლავ მივუახლოვდი სტეთოსკოპით. — მაპატიეთ, ერთბედაც უნდა შეგაწუხოთ. ვნახოთ, ხომ არ შევცდი. — დიახ, — ვადირსე როგორც აქნა, — თუ განვსჯით იმით, რასაც დღეს ვისმენ, ჩანს გული თქვენ საფუძვლიანად გაწუხებთ. მაგრამ საეჭვოა, ეს მისი ჩვეულებრივი მდგომარეობა იყოს. უნდა ვიფიქროთ, დღეს რაღაც განსაკუთრებული მიზეზებია!

იგი შეეცადა სახეზე კითხვის ნიშანი გამოეხატა, მაგრამ უხეიროდ გამოუვიდა. მაშინვე შევნიშნე, როგორ აფორიაქდა მისი ბინძური სინდისი. მოემზადა რალაც ეკითხა, ალბათ, უნდოდა გაეგო რა მქონდა მხედველობაში, პირიც გააღო, მაგრამ ჩაახველა მხოლოდ. ალბათ, ამჯობინა დაზუსტების გარეშე გასულიყო იოლად. სამაგიეროდ მე მსურდა წერტილი დამეჩვენებინა.

— მოდით გულახდილად ვილაპარაკოთ, პასტორო გრეგორიქს, — მითხრობდა მე. მას შეაყრყოლა. — თქვენ, რასაკვირველია, გახსოვთ ჩვენი ამასწინანდელი საუბარი თქვენი მეუღლის ჯანმრთელობის შესახებ. არ მინდა უზრდელობაში ჩამომართვათ, ამიტომ არ გეკითხებით, როგორ ასრულებთ მაშინდელ ჩვენ მოლაპარაკებას. მინდა მხოლოდ შევნიშნო, მაშინვე რომ მცოდნოდა თქვენი გულის მდგომარეობა, შემეძლო მეტი დასაბუთება მიმეცა ჩემი რჩევისათვის. თქვენი მეუღლე თავისი ჯანმრთელობით აგებს პასუხს, თქვენ კი, შეიძლება ითქვას — სიცოცხლით.

იმ წუთში რომ მისთვის შეგეხებათ, გული აგერეოდათ. სახე ნაცვლად ამისა, რომ გაფითრებოდა ან გაწითლებოდა, მომწვანო-მოიისფერო გაუხდა. სანახაობა იმდენად შემადრწუნებელი იყო, რომ უნებურად შევბრუნდი და ღია ფანჯარასთან მივედი, რომ გულშემოყრილს სუფთა ჰაერი ჩამეყლაპა, მაგრამ გარეთაც ზსეთივე დახუთული იყო ჰაერი, როგორც ოთახში.

მე განვაგრძე:

— რეცეპტი ერთადერთი შემიძლია შემოგთავაზოთ: ცოლთან დროებით უნდა შეწყვიტოთ ყოველგვარი ინტიმური დამოკიდებულება. როგორც მახსოვს, თქვენ ეს მაინც და მაინც არ გეპიტნავენათ, მაგრამ სხვა გზა არ არის. საქმე იმაშია, რომ ამ შემთხვევაში საშიშია არა მარტო ფიზიკური სიახლოვე. გირჩევთ საერთოდ აარიდოთ თავი ყოველგვარ აღმგზნებად ფაქტორებს. დიახ, დიახ, ვიცი რაც უნდა მითხრათ, რომ თქვენ ხანშიშესული ბრძანდებით და ამავე დროს მღვდელი, მაგრამ მე როგორც ექიმს, უფლება მაქვს გულახდილად ვილაპარაკო პაციენტთან და გთხოვთ, უტაქტობად ნუ ჩამითვლით, თუ თავს ნებას მივცემ და გეტყვით, რომ ახალგაზრდა ქალთან მუდმივი კავშირი, განსაკუთრებით ღამით, ისევე მოქმედებს მღვდელზე, როგორც ყველა სხვა მამაკაცზე. რაც შეეხება ასაკს — კაცმა რომ თქვას, რამდენისა ხართ? — ორმოცდათექვსმეტი. — ეს კრიტიკული ასაკია. ამ ასაკში სურვილი ისეთივე რჩება, როგორც ადრე იყო, სამაგიეროდ, სურვილის დაკმაყოფილება მნიშვნელოვან კვალს ტოვებს. რასაკვირველია ამ ცხოვრების დანახვა უამრავი მხრიდან შეიძლება და ყველა სულიერის უფლებაა მასში ის დაინახოს, რაც მისთვის უფრო სასურველია. თქვენს ნაცვლად რომ ვინმე ღრმად მოხუცებულ ბონვივანთან მქონდეს საქმე, სრულიად არ გამიკვირდება მისგან ასეთი პასუხი მივიღო: იმაზე მეტი სისულელე რა უნდა იყოს, ცხოვრებაში უარი ვთქვა ყველაზე მთავარზე მხოლოდ იმიტომ, რომ სიცოცხლე როგორმე გავიხანგრძლივოთ. მაგრამ, მე კარგად ვიცი, მსგავსი მსჯელობა ეწინააღმდეგება თქვენს მსოფლმხედველობას. ამ შემთხვევაში ჩემი, როგორც ექიმის ვალია, განგიმართოთ და გაგაფრთხილოთ — ესაა ყველაფერი, რის გაკეთებაც შემიძლია და ეჭვიც არ მეპარება, სრულიად საკმარისია ჩემი მხრიდან. ვერ წარმომიდგენია, თქვენ მოგწონდეთ ისეთი სიკვდილი, როგორითაც მოკვდა ფრედერიკ პირველი. ღმერთმა აცხონოს მისი სული, ანდა ავიღოთ საფრანგეთის პრეზიდენტის ფელიქს ფორის გარდაცვალების ამასწინანდელი შემთხვევა...

ვცდილობდი, საუბრის დროს მისთვის არ შემეხება. ლაპარაკს რომ მოვ-

„შაბლი?“ — რითაც მაგრძნობინა, რომ მისი მეხსიერება ბევრად ჯობდა ზოგიერთი პროფესორისას. ღვინოების დიდი მოყვარული არ გახლავართ, და იყავნ სახელი შენი... და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, რომელ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან...”

საწერ მაგიდას მივუჭექე, ცოტაოდენი დიგიტალისი და რეცეპტს რომ ვაწოდებდი, დავუმატე:

— გარდა ამისა, თქვენთვის არც ისე სასარგებლოა ამ ჯოჯობეთურ სიტხეში ქალაქში ყოფნა. გირჩევთ გაემგზავროთ წყლებზე: პორლაში ან რონებიუში. მაგრამ, უთუოდ მარტო, მეუღლის გარეშე.

5 ივლისი

ზაფხულის კვირა დღეა. მტვერი და ბუდი ტრიალებს ყველგან, მდაბიო ხალხი კი ვერა და ვერ დამშვიდებულა, მოუსვენრობს.

ოთხი საათისთვის ორთქლის პატარა კატერით ზოოლოგიურში გავემგზავრე სადილის საჭმელად, რადგან ჩემი ეკონომი ქალი დასაფლავებაზე წავიდა და შინ სადილი არ მქონდა. გარდაცვლილი მისი არც ნათესავი გახლდათ, არც მეგობარი, მაგრამ, მოგეხსენებათ, დასაფლავებაზე მოხვედრა მისი წრის ქალისთვის დიდი გართობაა და უარის სათქმელად ძალა არ მეყო.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ მეც ვიყავი დაპატიუებული ერთ-ერთი ჩემი ნაცნობის აგარაკზე, შხერებში, მაგრამ არ წავედი. არასოდეს არ მქონია განსაკუთრებული მისწრაფება ნაცნობებისა, აგარაკებისა და მით უმეტეს შხერებისადმი. ყველაფერი ძუნწადაა აქ: ბორცვები, წყალი, ფლატეები და მცენარეულობა. უსიცოცხლო და ღარიბია ლანდშაფტი: ცივი, ნაცრისფერი და ამასთან ერთად არც იმდენად ღარიბი, რომ უდაბნოს სიდიადე გაგრძნობინოთ. როცა ვინმე ჩემთან შხერების სილამაზის ქებას მოჰყვება, ყოველთვის ეჭვი მეპარება მის გულწრფელობაში. ერთს მხედველობაში აქვს სუფთა ჰაერი და ზღვაში ბანაობით განცდილი სიამოვნება, მეორეს საკუთარი იახტა, მესამეს ქორჭილები და ეს ყველაფერი „ბუნების სიმშვენიერედ“ წარმოუდგენიათ. ამას წინათ ერთ ქალიშვილთან ვსაუბრობდი ამ საკითხზე. იგი ალტაცებული იყო შხერებით. მაგრამ, საუბრის დროს გამოიჩინა, რომ იგი გულისხმობდა მხოლოდ მზის ჩასვლას და ალბათ კიდევ იმ სტუდენტს, რომელიც თან ახლდა. მას მხედველობიდან გამოორჩა, რომ მზე ყველგან ერთნაირად ჩადის და რომ სტუდენტს შეუძლია სადაც უნდა იქ წავიდეს. არა მგონია, ვინმემ ბუნების სილამაზისადმი გულგრილობა დამწამოს და მაინც თუკი სადმე წავალ, წავალ უფრო შორს, ვეტერნის ტბაზე, სკონეში ან ზღვისკენ. სამწუხაროდ, ამისთვის თითქმის არ მცალია. შორიახლო კი, სტოკჰოლმიდან 3-4 მილის დაშორებით, არსად შევხვედრივარ ლანდშაფტს, რომელიც შეედრებოდა თვით სტოკჰოლმს, მის ზოოლოგიურს, ჰაგა-პარკს, გრანდ ოტელის წინ სტრიომენის სანაპიროს. ამიტომაც მთელ წელიწადს ქალაქში დავებეტები და მით უფრო ხალისიანად, რადგან როგორც ყველა მარტობელა დამკვირვებელი, დაუოკებელ მოთხოვნებს განვიცდი, ჩემს გარშემო ვხედავდე ხალხს, უცხო ადამიანებს, მისალმება და გამოლაპარაკება რომ არ მჭირდება.

რესტორანში მისვლისთანავე მაგიდა დავიკავე შემინულ კედელთან. ოფიციანტმა აჩქარებით მომაჩეჩა მენიუ, თავაზიანად დააფარა სუფთა ხელსახოცი შემწვარი ხორცის ნარჩენებს, ჩემს მისვლამდე მაგიდის მესვეურებს რომ დარჩენოდათ, მკვირცხლად მომაწოდა ღვინოების ბარათი და დაუმატა:

რჩი, დავინახე, თვალეზზე ხელები აეფარებინა და ტუჩებს აცმაცუნებდა. უფრო მივხვდი, ვიდრე გავიგონე: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმინდმაგრამ როცა სახლში არ ვსადილობ, თითქმის ყოველთვის შაბლის ვუკვებთავე მას ახალბედას ვერ დაარქმევთ თავის საქმეში, უფროსი ოფიციალის უფრო რთულ მოვალეობას ასრულებდა „ჰამბურგის ბირჟაში“ „რიუდბერგის“ და ზედმიწევნით კარგად იცნობს თავის კლიენტებს. წლების განმავლობაში იქცა იმ ადგილების განუყოფელ ნაწილად, სადაც, ასე ვთქვათ, საქმლის არომატი ტრიალებს და ბოთლებს საცობები ძვრება. გამახარა მასთან შეხვედრამ. შევატყვე, ისიც კმაყოფილი დარჩა.

ვიდრე ოფიციალი რაიმეს მომიტანდა, დარბაზს თვალი მოვაველე. მეზობელ მაგიდასთან სიმპათიური ახალგაზრდა ვაჟი იჯდა, მისგან სიგარებს ვყიდულობ ხოლმე. აქ ეშხიან, ცოცხალთვალეზა გამყიდველ გოგონასთან ერთად მოსულიყო. ცოტა მოშორებით მსახიობის ოჯახი შემოსხდომოდა სუფრას. კუთხეში კი, ერთი მარტოხელა მოხუცი ძმურად უყოფდა თავის ულუფას მასავით ბებერ, გადარძუებულ ძალს.

შაბლი მომიტანეს. ვიჯექი ჩემთვის და ღვინით სავსე ბოკალში მოლიცლიცე მზის ათინათის ცქერით ვტკბებოდი, რომ უეცრად ყურში ქალის ნაცნობი ხმა ჩამესმა. თავი ავწიე, ეს იყო მთელი ოჯახი: მამა, დედა და ოთხი თუ ხუთი წლის ბიჭი, შესანიშნავი ბავშვი, მაგრამ უგემოვნოდ გამოპრანჭული მაქმანის საყელოიან ცისფერი ხავერდის კოფთაში. „აი აქ დავსხდეთ, არა აქ, აქ მზეა, აქედან არაფერი არ ჩანს — სად არის მეტრდოტელი? — მბრძანებლობდა ქალი და მისი ხმა სულ უფრო ნაცნობი მეჩვენებოდა.

უცბად გამახსენდა — ეს სწორედ ის ქალი იყო, ოდესღაც ჩემთან ბავშვის მოსაცილებლად რომ მოვიდა და ჩემს უარზე ისტერიკა დაემართა. ესე იგი, როგორც ჩანს, იგი მაინც გაპყოლია თავის სანატრელ ნოქარს და ბავშვიც გასჩენია. ახლა მიბრძანეთ, სწორედ მოვიქეცი თუ არა? მაშინდელი სკანდალი წარსულს ჩაბარდა, დღეს კი დედის გულს უსაზღვროდ ახარებს მაქმანის საყელოიან ხავერდის კოფთაში გამოწკეპილი ეს პატარა ბიჭუნა.

თუმცა, საკითხავია, ეს ნამდვილად ის ბავშვია? შეუძლებელია. ბიჭი ოთხიოდე წლისა თუ იქნება, ბევრი-ბევრი ხუთისა, იმ ამბებიდან კი სულ მცირე შვიდმა, რვა წელმა მაინც განვლო. მაშინ ის-ის იყო პრაქტიკას ვიწყებდი. მაშ, რა შეიძლებოდა პირველ ბავშვს მოსვლოდა? ალბათ მარცხი შეემთხვა. მერედა, რა, არც ესაა დიდი უბედურება, როგორც ჩანს, საქმე მაინც გამოსწორებულა.

კარგად რომ დავაკვირდი, მართალი გითხრათ, ოჯახის წევრები დიდად არ მომეწონა. დედა ახალგაზრდა და ჯერ კიდევ ძალიან ლამაზია, თუმცა შესამჩნევად დასრულებულა, გადაბადრულა. ეტყობა დილ-დილაობით საკონდიტროებში სუნსული უყვარს. მიირთმევს პორტერს ნამცხვრებით და ნაცნობ-მეგობრებში ჭორაობს. მამა — ტიპიური დონ-ჟუანია ნოქართაგან — მისი ქცევა და გარეგნობა აშკარად მეტყველებს, რომ გაქანებული მუსუსია. მაგრამ ყველაზე გულის ამრევი მათი საზიზღარი მანერებია, რითაც ოფიციალს წინასწარ ტუქსავენ მოსალოდნელი სიზანტისათვის. ერთი სიტყვით, მეტიჩრები არიან.

მომეყო ღვინის ყლუპმა მოზღვავებული შთაბეჭდილებები ნაწილობრივ გამიფანტა. ღია ფანჯრიდან ზენიტს გადაცილებული მზის სხივებით გაცის-როვნებული უსაზღვროდ უხვი, თბილი და წყნარი ლანდშაფტი მოჩანდა.



ლურჯი ცა და ამწვანებული ხმელეთი არხში ირეკლებოდა. ზოლიან მაისურებიან-  
მა მენიჩბებმა უხმაუროდ შეაცურეს ნავები ხიდის ქვეშ და თვალს მიეფარ-  
ნენ, ხიდზე ველოსიპედისტებმა გადაიარეს და შარავნებზე დაიფარნენ, მოზ-  
რდილი ხეების ქვეშ, ბალახზე, ჭგუფ-ჭგუფად ისხდნენ ამ შესანიშნავი დღის  
სილამაზით დამტკბარი ადამიანები. ჩემი მაგიდის თავზე კი უჩვეულოდ პეპე-  
ლა დაფარფატებდა.

ბუნების სიმშვენიერით რომ ვტკბებოდი, გამახსენდა ჩემი ერთი ძველის-  
ძველი ოცნება, რომელსაც დღესაც კვლავინდებურად მინდა ფრთები შევასხა.  
მაქვს ცოტაოდენი დანახოვი, საიმედო სახელმწიფო ქალაქდებით, ათი ათასი,  
თუ რაღაც ამაზე მეტი. ხუთ-ექვს წელიწადში იმდენი მექნება, რომ შემეძლე-  
ბა, ბუნების წიაღში სახლი ავიშენო. მაგრამ სად? ცხადია, ზღვის პირას, თანაც  
უსათუოდ გაშლილ ადგილზე, რომ შხერები და გორაკები ახლომახლო არ იყოს.  
მსურს ღია იყოს პორიზონტი და ვუსმინო ზღვას. ზღვა იყოს ჩემი სახლიდან  
დასავლეთით, რათა ვუცქირო მზის ჩასვლას ზღვაში.

და კიდევ ერთი, ზღვაზე არანაკლები მნიშვნელობის რამ: რაც შეიძლება  
მეტი სიმწვანე უნდა იყოს, დიდი მოშრიალე ხეებით. არავითარი ნაძვები და  
ფიჭვები. ფიჭვებს კიდევ არა უშავს, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ისინი მალა-  
ლი, ამოლტილნი და ძლიერებია, მაგრამ ცის ფონზე ნაძვების წიწვიანი კონ-  
ტურები კი საშინელებაა. მით უმეტეს, რომ წვიმიან ამინდში ნაძვნარი სევდი-  
ან სასოწარკვეთილებაში მაგდებს. არა, არა, მე იდლიურ ლანდშაფტზე ვოც-  
ნებობ, არკადიის პეიზაჟზე, განიერი, დამრეცი სანაპიროთი და ჭგუფ-ჭგუფად  
დარგული ხშირფოთლებიანი დიდი ხეებით, მწვანე კარვად რომ გადამეგე-  
ბოდნენ თავზე.

სამწუხაროდ, სანაპირო ჩვენთან ასეთი არაა. იგი პირველყოფილია და  
მწირი. ზღვის ხშირი შტორმებისაგან ხეები დაბალი, მოკაკვული და დაბრე-  
ცილია. ისეთ სანაპიროს, მე რომ ოცნებაში წარმომიდგენია, ვერასოდეს ვერ  
ვნახავ.

სახლის აშენებაც ხომ მთელი ამბავია. ჯერ ერთი, ორი წელი მაინც  
გავა, ვიდრე მოთავდება, ამასობაში შეიძლება მოკვდე კიდევაც. მერე კიდევ  
ორი-სამი წელია საჭირო, რომ ყველაფერი წესრიგში მოიყვანო, და თხუთმეტი  
წელი — რომ მოაწყო ისე, როგორც საჭიროა. დიასახლისის გარეშე კი, აბა  
რას გავაკეთებ. არადა, ამასაც ახლავს თავისი უსიამოვნებანი. იმის გაფიქრებაც  
კი მზარავს, რომ შეიძლება ვილაცამ მძინარეს შემზღდოს. მომზიბლავია მძი-  
ნარე ბავშვი, ახალგაზრდა ქალი, მაგრამ მძინარე მამაკაცზე რა მოგახსენოთ.  
თუმცა ამბობენ, საუცხოო სანახავია ბანაკის კოცონთან თავქვეშ ზურგჩანთა  
ამოდებული მძინარე მეზრძოლიო. ადვილი შესაძლებელია: დღის განმავ-  
ლობაში ქანცგაწყვეტილს ტკბილი ძილი ექნება. შემოძლია წარმოვიდგინო  
ძილის დროს ყოველგვარ აზრს მოკლებული ჩემი საკუთარი სახე. საზარელი  
შესახედავი ვიქნები, მით უმეტეს სხვებისთვის.

ეჰ, ალბათ არ არსებობს არც ერთი მშვენიერი ოცნება, ბოლოს და ბო-  
ლოს უკვალოდ რომ არ გამქრალიყოს.

ხშირად ვეკითხები თავს: როგორ ლანდშაფტს ვამჯობინებდი, ცხოვრებაში  
რომ არ წამეკითხა არც ერთი წიგნი და არ მენახა არც ერთი სურათი. ადვი-  
ლი შესაძლებელია, მაშინ აზრადაც არ მომსვლოდა არჩევანი გამეკეთებინა; სი-  
ამოვნებით დავკმაყოფილდებოდი ბორცვებითა და გორაკებით დაფარული  
შხერებით. ალბათ, ჩემს ყოველგვარ წარმოსახვასა და ოცნებას ბუნებაზე სა-

ფუძვლად უდევს წიგნებში ამოკითხული ფაქიზსიტყვიერებითა და სახვითი ხელოვნებით მიღებული შთაბეჭდილებანი. ეს მათ ჩამინერგეს ძველი თეოლოგიური რენციელების აყვავებული მღელღობის, პომეროსისეული ზღვის ტალღებს უჩვეულო სინარნარისა და ბიოკლინის „წმინდა ჭალაზე“ გამოსახული მოდრეკილი ლოცვისადმი უდიდესი ლტოლვა.

ეპ, რას დაინახავდნენ ჩემი საბრალო თვალები ამ დუნიაზე ასობით და ათასობით იმ მოღვაწეთა და დამრიგებელთა დახმარების გარეშე, რომლებსაც შეუძლიათ უბრალო მოკვდავთა მაგივრად დაინახონ, იაზროვნონ და რაიმე შექმნან. რა ხშირად მიფიქრია ჭაბუკობისას: ოღონდაც შემაძლებინა ვეზიარო ასეთ დიდებას: სულ რომ ვიღებ და ვიღებ, რა იქნება ერთხელაც მეც შევქმნა და გავცე რაიმე-მეთქი. რა მომაბეზრებელია უნაყოფო სულით მარტოობაში ცხოვრების თრევა. ვფიქრობ, ყველაფერს გავაკეთებდი, ოღონდ კი მეგრძნო რომ მეც კაცი ვარ, რაღაცას წარმოვადგენ და ღირსი ვარ მოვიპოვო საკუთარი თავისადმი პატივისცემა. საბედნიეროდ, ადამიანების უმრავლესობას ამ მხრივ პრეტენზიები არა აქვთ. ეს მე ვარ გამონაკლისი და ბევრი ტანჯვაც გამოვიღია ამის გამო, თუმცა უკვე წარსულს ჩაბარდა ყოველივე. პოეტი ჩემგან სულ ერთია არ გამოვიდოდა. ვერასოდეს ვერ შევძლებ დავინახო ის, რაც არ დაუნახავთ და არ შეუქმნიათ ჩემამდე. ვიცნობ ზოგ-ზოგებს პოეტებიდან და მხატვრებიდან. ჩემი აზრით, უცნაური ხალხია. სურვილით მათ არაფერი არ სურთ და თუ ოდესმე მოისურვებენ, სრულიად საწინააღმდეგოდ იქცევიან. თვალები, ყურები და ხელები — აი, რანი არიან ისინი. მაგრამ მაინც მშურს მათი. არამც და არამც არ გავცვლიდი საკუთარ მეს მათ მირაყებზე, მაგრამ უცილობლად დიდი განძია, გქონდეს ასეთი თვალი და ასეთი ყური. ყოველთვის, როცა რომელიმე მათგანს ვხედავ უსასრულობაში თვალგაშტერებულს, გარანდებულს, ჩემთვის ვფიქრობ ხოლმე: ვინ იცის, იქნებ ამ წუთებში იგი ისეთ რამეს ხედავს, რისი დანახვაც მანამდე ვერავინ შეძლო, ახლა კი მისი წყალობით ათასობით ადამიანი დაინახავს, მათ შორის მეც-მეთქი. ახალგაზრდების შემოქმედებას ჭერჭერობით ვერაფერს ვუგებ, მაგრამ მჯერა, წინასწარ ვგრძნობ, საკმარისია ერთ მშვენიერ დღეს რომელიმე მათგანი აღიარებული და ცნობილი გახდეს, მაშინვე აღვიქვა და აღტაცებაში მოვიდუე. ეს იგივეა, რაც ახალი ტანსაცმლის, ახალი ავეჯისა და, საერთოდ, ყოველგვარი სიახლის შეგრძნება. მხოლოდ დრომოჭმულებს, ობმოკიდებულებს და მერყევ ადამიანებს შეუძლიათ არ აყვნენ ცთუნებას. თვითონ შემოქმედნი? ვითომ სწორია, რომ ამბობენ, თითქოს ისინი თავიანთი დროის კანონმდებლები არიანო? ღმერთმა იცის. მათი შემყურე ვერაფრით ვერ ვიტყვოდი ამას. უფრო მგონია, რომ ისინი საკრავებია, რომლებზედაც თვითონ დრო-ქაში უკრავს, ეოლოსის ქნარებია, ქარი რომ მღერის მათში. მე თვითონ რაღას წარმოვადგენ? თითქმის არაფერს, რადგან საკუთარი თვალები არ გამაჩნია. მაგიდაზე აი იმ არყიან ჭიქას და ბოლოკსაც კი ვერ ვხედავ საკუთარი თვალებით. მე მათ სტრინდბერგის თვალებით ვჭკრეტ და ვიგონებ, როგორ სვამდა ახალგაზრდობაში მეგობრებთან ერთად. არხში ნავებით მოცურავე ზოლიან მაისურებიან მენიჩბეებს თვალს რომ ვაყოლებდი, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მათთან ერთად მოპასანის აჩრდილსაც გაევლოს.

<sup>1</sup> „წმინდა ჭალა“ — შვეიცარიელი მხატვარ-სიმბოლისტის არნოლდ ბიოკლინის სურათი (1827—1901)

აი, ამ წუთშიც კი, ღია ფანჯარასთან რომ ვზივარ და ვწერ სანთლის მოკიაფე შუქზე, რადგან ნავთის ნათურას ზიზლით ხელს ვერ ვკიდებ, ჩემს ეკონომს კი ქელეხის შემდეგ ისე ტკბილად სძინავს, მებრალება რომ გავადვიდო, — სწორედ ამ წუთში, ფანჯრიდან მონაბერი ნიავი რომ სანთლის სანთლებს და მასთან ერთად მწვანე შპალერზე დაცემული ჩემი ჩრდილიც კახკალებს და ხორცის შესხმას ცდილობს, მე მახსენდება ანდერსენი და მისი ზღაპარი ჩრდილზე; მეჩვენება, რომ სწორედ ის ჩრდილი ვარ, ადამიანად გადაქცევას რომ ცდილობდა.

ნ ივლისი, დილა

უნდა ჩავიწერო სიზმარი, წუხელ ღამით რომ დამესიზმრა.

ვითომ პასტორ გრეგორიუსის საწოლთან ვიდექი. იგი ავად იყო. ტანს ზემოთ შიშველს გულს ვუსინჯავდი. საწოლი მის სამუშაო კაბინეტში იდგა. კუთხეში, ფისგარმონიაზე ვილაც უკრავდა. არ ჰგავდა ქორალს არც რომელიმე გარკვეულ მელოდიას, უფრო თითქოს წყვეტილი ფუგები იყო, აღმავალი და დაღმავალი პასაჟები. კარი ღია იყო, რაც ძალზე მაწუხებდა, მაგრამ ვერაფრით ძალა ვერ მოვიკრიბე, დამეხურა.

— რაიმე სერიოზულია? — მკითხა პასტორმა.

— არა, სერიოზული არაფერია, — ვუთხარი. — მაგრამ მაინც საშიშია. ამით მინდოდა მეტქვა, რომ საშიში იყო ჩემთვის პირადად. სიზმარში კი მეჩვენებოდა, რომ ნათქვამი ზუსტი და ღრმაშინაარსიანი გამომივიდა.

— მაგრამ, ყოველი შემთხვევისათვის, — დავუმატე, — ხომ შეიძლება გავგზავნოთ ვინმე აფთიაქში წმინდა ზიარების კაფსულებისათვის.

— ოპერაციას გამიკეთებენ? — მკითხა პასტორმა.

თავი დავუქნიე

— შესაძლოა დაგჭირდეთ. თქვენი გული არაფრად აღარ ვარგა, საკმაოდ ბებერია. უნდა მოგაშოროთ. ოპერაცია იოლია, საკმარისია ჩვეულებრივი გასაკვეთი დანა. — მე, როგორც ექიმს, ეს ამბავი ელემენტარულად წარმომედგინა და გასაკვეთი დანაც სწორედ ხელთა მქონდა.

— სახეს ცხვირსაბოცით დაგიფარავთ.

პასტორი ხმამაღლა ოხრავდა ცხვირსაბოცის ქვეშ. მე კი, ნაცვლად იმისა, რომ ოპერაცია შეკეთებინა, აჩქარებით ვაჭერდი თითოს კედელში დატანებულ დილზე.

ცხვირსაბოცი ავაცალე. იგი მკვდარი იყო. ხელი ხელზე შევახე, ყინულივით ცივი ჰქონდა. საათს დავხედე.

— იგი მოკვდა თითქმის ორი საათის წინ, — ვთქვი ხმამაღლა.

ფრუ გრეგორიუსმა თავი მიანება ფისგარმონიაზე დაკვრას, ადგა და მომიახლოვდა. მისი გამოხედვა ნაღვლიანი მომეჩვენა. მან მუჭი ფერის ყვავილების უშველებელი თაიგული გამომიწოდა და მხოლოდ მაშინ შევნიშნე, რომ დედიშობილა იყო და ორაზროვნად იღიმებოდა.

ხელები გავიწოდე რომ მოვხვეოდე, მაგრამ გამისხლტა და იმავე წუთში კლას რეკე გამოჩნდა ღია კარში.

— ექიმო გლას, — თქვა მან, — როგორც მაგიდის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, მე თქვენ გაპატიმრებთ!

— ძალიან დაგაგვიანდა, — ვუპასუხე — ნუთუ ვერ ხედავ?

და ფანჯარაზე მივუთითე. ორივე ფანჯრიდან წითელი არილი შემოიჭრა

ოთახში და დღესავით გაანათა იგი. მეზობელ ოთახში ქალის ხმა კვნესოდა და ჩიოდა: სამყარო იწვის, სამყარო იწვის!

გამელვინა.

დილის მზე პირდაპირ ფანჯარას მოსდგმოდა. გუშინ საღამოს ერთი დღი ბრუნდი, ფარდების ჩამოშვება დამავიწყდა.



საოცარია. ამ ბოლო ხანებში საერთოდ დამავიწყდა მახინჯი პასტორი და მისი ლამაზი ცოლი. აღარ მინდოდა მათზე მეფიქრა.

გარდა ამისა, პასტორი ხომ პორლაში გაემგზავრა.

\* \* \*

დღიურში ყველაფერს არ ვწერ ჩემი აზრებიდან.

იშვიათად ვწერ ახლად დაბადებულ აზრს. ველოდები, განმეორდება თუ არა იგი კვლავ.

7 ივლისი

წვიმს. ეზივარ და ათასგვარ არასასიამოვნო ამბავზე ვფიქრობ. რისთვის კუთხარი უარი იმ შემოდგომაზე ჰანს ფალენს, ხუთასი კრონი რომ მთხოვა. მართალია, ახლო არ ვიცნობდი, მაგრამ სანანებლად დამრჩა. ერთი კვირის შემდეგ მან ყელი გამოიჭრა.

ანდა, რად არ ვისწავლე გიმნაზიაში ბერძნული ენა? ეს აზრი ისე მაწუხებს, რომ ავადმყოფობამდე მივყავარ. მთელი ოთხი წელი ბერძნულს გვასწავლიდნენ. ალბათ, რაკი მამამ ინგლისურის ნაცვლად ბერძნული მომახვია თავს, გადავწყვიტე, არც ერთი მესწავლა და არც მეორე! ასეთი ყვეურობა გავიწილა? ყველაფერი მშვენივრად ავითვისე, მათ შორის ლოგიკაც. ბერძნულისა კი, მიუხედავად იმისა, რომ ოთხი წელი გვასწავლიდნენ, დღეს არაფერი გამეგება.

მასწავლებელი აქ უდავოდ არაფერ შუაშია, შემდგომში იგი სახელმწიფო მრჩეველი გახდა.

კარგი იქნებოდა მომეძებნა სკოლის სახელმძღვანელოები, მენახა, შემიძლია თუ არა რაიმე ვისწავლო, იქნებ ჯერ კიდევ არაა გვიან.

\* \* \*

საინტერესოა, რა განცდა გეუფლება, როცა დანაშაული გაწევს მხრებზე.

\* \* \*

საინტერესოა, სადელი როდის ექნება მზად ქრისტიანს...

\* \* \*

ქარი სველ მუხებს აშრიანებს სასაფლაოზე და წვიმა ჩხრიალით მოედინება სადინარ მილში. ვიღაც მაწანწალა, ჯიბეში ბოთლი რომ ჩაუჩრია, ეკლესიის სახურავქვეშ შეყუჟულა, კონტრაფორსის კუთხეში დგას იგი, ზურგით ეკლესიის აგურის კედელს მიყრდნობილი და მშვიდი, გულუბრყვილო სახით გასცქერის მორიალე ღრუბლებს. ბელმანის<sup>1</sup> საფლავზე ორი უბადრუკი ხიდან წვიმა წურწურით ჩამოდის. სასაფლაოს მოპირდაპირე მხარეს გარკვეული დანიშნუ-

<sup>1</sup> ბელმანი კარლ მიქაელი (1740—1795) — შვედი პოეტი.

ლების სახლი მიყუყულა. ნახევრად შიშველმა „ტურფამ“ ფანჯარაზე ფარდა ჩამოუშვა.

საფლავებს შორის ტალახში ფრთხილად მიიკვლევს გზას მამა-წინამძღვარი, ხელში ქოლგით, ფეხზე კალოშები ჩაუცვამს, აი, მან პეტროსევილი შეალო და საცავში შევიდა.

A propos, რატომ შედის მღვდელი ეკლესიაში ყოველთვის უკანა კარიდან?

9 ივლისი

წვიმს და წვიმს გადაუღებლად. ასეთი დღეები ფარულად სულს მიწამლავენ.

ახლახან, ვიზიტიდან შინ დაბრუნებისას, გზაჯვარედინზე ძალდატანებით მივესალმე ერთ ნაცნობს, რომელთან შეხვედრა დიდად არ მეპიტნავება. ერთხელ მან სასტაკი შეურაცხყოფა მომაყენა, მოხერხებულად, ისეთ ვითარებაში, რომ ვერავითარ შესაძლებლობას ვერ ვხედავ, სამაგიერო გადავუხადო.

ამგვარი ამბები არ არის სასიამოვნო. ცუდად მოქმედებს ჯანმრთელობაზე.

\* \* \*

ვზივარ ბიუროსთან, ვიქექები ყუთებში და ვარჩევ ძველ ქაღალდებსა და სხვადასხვა ხარახურას. ხელში მხვდება ბატარა, გაყვითლებული ამონაჭერი გაზეთიდან.

არსებობს თუ არა იმქვეყნიური ცხოვრება? ღვთისმსახურების დოქტორი კრემერი. ფასი 50 ერე.

ჯონ ბენიანის<sup>2</sup> გულახდილობანი. იმქვეყნიური ცხოვრების, სამოთხის ნეტარებისა და ჯოჯოხეთის საშინელებათა სურათები. ფასი 75 ერე.

თვითდახმარება.

ს. სმაილსი. უსწორესი გზა წარჩინებისა და სიმდიდრისაკენ. ფასი 3 კრონი და 50 ერე. ოქროსვარაყიანი ელეგანტურ ტილოს გარეკანში. 4 კრონი და 25 ერე.

რის გამო შევიწინაზე ეს ძველი განცხადება? მახსოვს, იგი ამოვჭერი 14 წლისამ, სწორედ იმ წელიწადს, მამა რომ გაკოტრდა. სახარჯო ფულიდან ცოტ-ცოტას ვინახავდი და როგორც იქნა ვიყიდე ბატონ სმაილსის წიგნი, თუმცა ოქროს ვარაყის გარეშე. წავიკითხე თუ არა, მაშინვე ბუკინისტს მივუტანე: ენით აუწერელი სისულელეები ეწერა შიგ.

განცხადება კი შემომჩრა. მისი ფასიც მეტია.

აი, კიდევ ძველი ფოტოსურათი: ჩვენი სახლი ქალაქგარეთ, სადაც რამდენიმე წელი ვცხოვრობდით. კარ-მიდამოს დედის საპატივცემულოდ „მარიებუ“ ერქვა.

სურათი გაყვითლდა და გაიცრიცა, თითქოს ნისლში მოჩანს თეთრი სახლი და მის უკან ნაძვების ტყე.

სწორედ ასე გამოიყურებოდა იგი წვიმიან ამინდში.

დიდი სიამოვნებით ვერ ვიგონებ იქ გატარებულ დღეებს. ზაფხულობით ხშირად მხვდებოდა მამაჩემისაგან. მართლაც აუტანელი ბიჭი გახლდით, როცა სკოლაში არ დავდიოდით, ან არ ვმეცადინეობდით.

<sup>2</sup> ჯონ ბენიანი (1628—1688) — ინგლისელი მწერალი და რელიგიური მქადაგებელი.

ერთხელ დაუმსახურებლად გამწკებლეს. ეს ამბავი ჩემი ბავშვობის ფრიად სასიამოვნო მოგონებებში ირიცხება. სხეული მტკიოდა, სამაგიეროდ, სულიერად შესანიშნავად ვგრძნობდი თავს. მერე ზღვაზე ჩავედი, ტალღები ნაპირს ეხეთქებოდა და ქაფის შხეფები პირდაპირ სახეში მცემდა. ეს მოგონებები დროს განმიცდია თუ არა კეთილშობილური გრძნობების ესტუმრებად მოზღვავება, როგორც მაშინ. ვაპატიე მამას. იგი ფიცხი კაცი იყო, საქმეებშიც საკმაოდ გააწვალეს.

უფრო მიჭირდა პატიება, როცა დამსახურებულად მწკებლავდა (დღემდე არ მიპატიებია მისთვის ბოლომდე) როგორც მაგალითად მაშინ, როცა მიუხედავად არაერთგზის გაფრთხილებიდან, მაინც მოვიკვნიტე ფრჩხილები, როგორც მცემამ! მერე დიდხანს დავეხეტებოდი თავსხმა წვიმაში ჩვენს უბადრუკ ნაძვნარში, ვტიროდი და ვილანძლებოდი.

არასოდეს მინახავს მამაჩემი დამშვიდებული. მას ძალზე იშვიათად უხაროდა რაიმე და რამდენადაც თვითონ ასეთი იყო, ვერც სხვის სიხარულს იტანდა. მაგრამ დღესასწაულები უყვარდა. იგი ეკუთვნოდა პირქუშ მოქეიფეთა რიცხვს. მდიდარი იყო და სიღარიბეში კი ამოხდა სული. არ ვიცი, გამოიჩინებოდა თუ არა უმწიკვლო პატიოსნებით, იგი ხომ საკმაოდ დიდ საქმეებს ატრიალებდა. მახსოვს, ერთხელ, ჯერ კიდევ ბავშვი, რა გაოცებული დავრჩი, როცა მეგობართან საქმიან საუბარში მის მიერ ხუმრობით წამოსროლილი შენიშვნა გავიგონე: „დიახ, ჩემო ძვირფასო, არც ისე იოლია პატიოსნად დარჩენა, როცა ამდენს ვხვეტავთ მე და შენ...“ მაგრამ, მას, მკაცრსა და ურყევს, საფსებით მტკიცე წარმოდგენა ჰქონდა მოვალეობაზე, როცა საუბარი სხვებს ეხებოდა. ასეა, შენი თავისთვის თითქმის ყოველთვის პოულობ ხოლმე გასამართლებელ გარემოებას.

მაგრამ ყველაზე დიდი საშინელება ის იყო, რომ უსაზღვრო ფიზიკურ ზიზღს ვგრძნობდი მისადმი. როგორ ვიტანჯებოდი, როცა ჯერ კიდევ ბავშვი, იძულებული ვიყავი მეზანავე მასთან ერთად. იგი ცურვას მასწავლიდა. შიშით ვუსხლტებოდი ხელებიდან; ამ დროს ყოველთვის მეგონა, რომ ვიხრჩობოდი და მაინც სიკვდილი ნაკლებად საშინელი მეჩვენებოდა, ვიდრე მის შიშველ სხეულთან მიკარება. იგი უთუოდ ვერაფერს ხვდებოდა და არც შეეძლო ცოდნოდა, ეს ნამდვილი ფიზიკური ზიზღი როგორ ამწვავებდა ჩემს ტანჯვას გაწკებლვისას. დიდი ხნის განმავლობაში ჩემთვის უდიდეს სატანჯველს წარმოადგენდა მგზავრობისას, ან სხვა რაიმე შემთხვევების დროს მასთან ერთად ერთ ოთახში ძილი.

მაგრამ მამაჩემი მაინც მიყვარდა. მიყვარდა იმიტომ, რომ უსაზღვროდ ამაყობდა ჩემი წარმატებებით. და კიდევ იმიტომ, რომ მუდამ პეწენიკად დადიოდა. ერთი პერიოდი იგი მძულდა იმისათვის, რომ დედას ცუდად ექცეოდა, მაგრამ შემდგომში, დედა რომ ავად გახდა და გარდაიცვალა, ვგრძნობდი, დარდობდა უფრო მეტად, ვიდრე მე, თხუთმეტი წლის ლეკვი და სიძულვილიც გამიქრა.

ახლა აღარც ერთია ამქვეყნად და აღარც მეორე. ყველა, ვისი ნახვაც მიხაროდა ჩემი ბავშვობის სახლში, ხელიდან გამომეცალა. თუმცა, შეიძლება ყველა არა, მაგრამ ვინც ყველაზე ძვირფასი იყო ჩემთვის, ჩემს გვერდით აღარაა. ძმა ერნსტი, საკმაოდ ძლიერი, დიდსულოვანი და სულელიც კი, სკოლაში ჩემი იმედი და დამცველი ყოველგვარი ოინების დროს — აღარა

მყავს. იგი ავსტრალიაში გაემგზავრა და კაცმა არ იცის, ცოცხალია თუ მკვდარი, ან ჩემი მომხიბლავი ბიძაშვილი აღისა. მახსოვს, როგორ იდგა ხოლმე როიალთან, გაფითრებული, სიმივით დაჭიმული, და თვალეზმობნილი მღეროდა ისეთი მთრთოლვარე, მწველი ხმით, რომ მე, ჯერ ისევე ვსტუმროვდი, შემინული ვერანდის კუთხეში მიყუყუღულს, ტანში ჟრუანტელი მივლიდა. მას შემდეგ ისე არავის უმღერია. რა დაემართა მას? ერთ მიყრუებულ ქალაქში მასწავლებელზე დაქორწინდა და სიდუხჭირეში ჩაიგდო თავი. წვალების მეტი არაფერი უნახავს, დაავადმყოფდა, დაბერდა. ყელში ბურთივით მომაწვა ქვითინი გასულ შობას, დედამისთან რომ ვნახე. ვერც ის მოერია გრძნობებს და ორივემ ვიტირეთ... ან მისი დაიკო ანა, წითელლოყება გოგონა, ისეთივე გატაცებით რომ ცეკვავდა, როგორც აღისა მღეროდა. ანა გაექცა თავის მტარვალ ქმარს, გაჰყვა სხვას და იმ სხვამ შემდეგში თვითონ მიატოვა იგი. ახლა თურმე ჩიკაგოში საკუთარ სხეულს ყიდის და იმით ცხოვრობს. აღისას და ანას მამა, ლამაზი, სიცოცხლისმოყვარული, ჩემთვის ფრიად ძვირფასი ბიძია ულრიკი — ამბობენ, რომ მე ძალიან ვგავარ მას — მამაჩემის გაკოტრების მსხვერპლი გახდა და მასავით სიღარიბეში გარდაიცვალა... არა, რომელმა ჭირმა გადამიგდო ასე ყველა ერთად, ვინ საფლავში, ვინ სატანჯველსა და სიღარიბეში, უკლებლივ ყველა, ის მეგობრებიც კი, დღესასწაულის დღეებში ჩვენ სახლში რომ იყრიდნენ თავს.

ღმერთმა იცის. ყველა კი შემომეცალა და...

„მარიებუს“ ახლა „სოფიელუნდი“ შეარქვეს ალბათ.

10 ივლისი

საწერ მაგიდასთან ვზივარ.

გადავწყვიტე ჩემს საიდუმლო ყუთში ჩავიხედო.

მშვენივრად ვიცი შიგ რაც არი: მხოლოდ ერთი პატარა, მრგვალი კოლოფია, სადაც აბები ყრია. არ მინდა აფთიაქში შევიწახო, ღმერთმა დამიფაროს, წამლებში ამერიოს. ეს აბები მე თვითონ დავამზადე რამდენიმე წლის წინ. მათში კალიუმის ციანიდი ურევია. არ გეგონოთ, იმ დროს თვითმკვლელობაზე ვფიქრობდი: უბრალოდ, საჭიროდ ჩავთვალე, რადგან მწამს, ჭკვიანი ადამიანი ყოველთვის მზადყოფნაში უნდა იყოს.

კაცმა რომ ჭიქა ღვინოში გახსნილი სულ ერთი ციციქნა კალიუმის ციანიდი ჩაყლაპოს, ჭიქის დადგმასაც ვერ მოასწრებს, მაშინვე სულს განუტეებს და ყველა მიხვდება, რომ თვითმკვლელობა მოხდა. ეს ყოველთვის არაა სასურველი. ჩემი აბის მიღებისას კი ასე არ ხდება. ვიდრე გაიხსნება და იმოქმედებს, შეიძლება მშვიდად დადგა ჭიქა მაგიდაზე, მოხერხებულად დაჯდეს ცეცხლთან, სიგარა გააბოლო და გაზეთი „აფტონბლადეტიც“ გადაათვალიეროს. თავი უეცრად მკერდზე დაგივარდება და ტანი გვერდზე გადაქანდება. ექიმი ტვინში სისხლის ჩაქცევის დიაგნოზს დასვამს. თუ გაკვეთენ, უსათუოდ აღმოაჩენენ შხამს, მაგრამ რამდენადაც თვითმკვლელობაში ეჭვის შესატანი ფაქტები სახეზე არ იქნება, გაკვეთას არ აწარმოებენ. აბა როგორ შეიძლება თვითმკვლელობაში ეჭვის შეტანა, როცა ადამიანის გულის ძვერა წყდება მაშინ. როცა არხეინად აბოლებს სიგარას და გაზეთს კითხულობს?

ასეა თუ ისე, უთუოდ გამშვიდებს იმის შეგრძნება, რომ გაქვს ეს პატარა, კომისებური ბურთულები; მათში დიდი ძალაა — ძალა თავისთავად ავი და საძულველი, დაუძინებელი მტერი ადამიანისა და ყოველგვარი სულდგმულისა.

იგი სამოქმედოდ გამოგვყავს მხოლოდ მაშინ, როცა ცუდ ვითარებაში ერთად-ერთ და სასურველ მხსნელად გვევლინება.

მაინც, რა მქონდა მხედველობაში, როცა ამ აბებს ვინახავდი? თვითმკვლელობა უიღბლო სიყვარულის ნიადაგზე? — არა. ასეთი რამ მსმინებდა მხოლოდ რაღაც არ მომივა. სიღარიბის შემთხვევაში უფრო შეიძლება... მეფიქრა. სიღარიბე საშინელებაა. ყველა გარეგან უბედურებათა შორის ყველაზე დიდ შემოქმედებას ადამიანის ფსიქიკაზე სიღარიბე ახდენს. მაგრამ სიღარიბე შორსაა ჩემგან. თავს ბედნიერად ვთვლი. სოციოლოგია ჩემნაირებს შეძლებულთა წრეს მიაკუთვნებს. მეორე, რამაც შეიძლება თვითმკვლელობა მაფიქრებინოს, ავადმყოფობაა; ხანგრძლივი, განუკურნებელი ავადმყოფობა. რამდენი რამ მინახავს... კიბო, მჭამელა, სიბრმავე, დამბლა... რამდენი უბედური ვიცი, ვისთვისაც შემეძლო დაუფიქრებლად მეწილადებინა ჩემი აბები თუკი პირადი სარგებლობის მომტანი ზოგიერთი მოსაზრებანი და პოლიციისადმი პატივისცემა არ ჩაახშობდა ჩემში, ისევე როგორც ყველა სხვა კეთილმოსურნე ადამიანში, მათდამი თანაგრძნობას. ნაცვლად ამისა სამსახურებრივი მოვალეობის კარნახით რამდენი ადამიანის უვარგისი, განუკურნებელი სხეული „დამიკონსერვებია“ და ამასთან ერთად ურცხვად ჰონორარიც ამიღია.

რას იზამ, ასეთი წესია. ყოველთვის სასურველია მიღებულ წესებს დაემორჩილო. და მით უმეტეს, თუ ესა თუ ის ფაქტი პირადად ჩვენთვის ღრმად შემაწუხებელი არაა, სწორიცაა ასე მოიქცე. რაში მჭირდება წამებულად ვიქცე იმ იდეისათვის, რომელიც ადრე თუ გვიან მაინც ცივილიზებული კაცობრიობის საკუთრება გახდება, თუმცა დღესდღეობით დანაშაულადაა აღიარებული?

უსათუოდ დადგება დღე, როცა სიკვდილის უფლება აღიარებული იქნება იმაზე უფრო მნიშვნელოვან, ხელშეუვალ ადამიანურ უფლებად, ვიდრე საარჩევნო ყუთში ბიულეტენის ჩაშვებაა. და როდესაც დადგება ეს დრო, მაშინ ყველა განუკურნებელ ავადმყოფს — ასევე ყველა „დამნაშავეს“ — საშუალება ექნება თავის დასახსნელად ეჭიმს მიმართოს.

ათენელებმა მკურნალის ხელით საწამლავი მიართვეს სოკრატეს, რაკი დაასკვნეს, რომ მისი სიცოცხლე საფრთხეს უქმნიდა სახელმწიფოს. განა სწორად არ მოიქცნენ? ჩვენ დროში ასეთი განაჩენის გამომტანს პირუტყვივით წააგდებინებენ თავს ეშაფოტზე.



ლამე მშვიდობისა, ბოროტო ძალავ. იძინე მშვიდად შენს მრგვალ ყუთში, იძინე, სანამ არ დამჭირდები. სანამ დრო არ დამდგარა, ჩემი სურვილით არ გაგაღვიძებ. დღეს წვიმს, მაგრამ, იქნებ ხვალ გამოიდაროს. და იმ დღეს, როდესაც თვით მზეც მომეჩვენება ავზნიანი და მიმჭრალი, მხოლოდ მაშინ გაგაღვიძებ, რათა მე დავიძინო.

11 ივლისი

საწერ მაგიდასთან ვზივარ ამ ნისლიან დღეს. ერთ პატარა უჯრაში ახლახანს წავაწყდი ქალაქის ფურცელს, რომელზეც წარსულში რამდენიმე სიტყვა დამიწერია. ხელწერა საკმაოდ შეცვლილი მაქვს. ბუნებრივია, იგი ყველა ადამიანს ეცვლება განუწყვეტლივ, ყოველწლიურად, თავისდა შეუუმჩნევლად, მაგრამ ისევე გარდუვალად და გარკვევით, როგორც ეცვლება სახე, ტანადობა, მანერები, სული.



აი რა წერია იქ:

„არაფერი ისე არ ამცირებს და აკნინებს ადამიანს, როგორც შეგნება იმისა, რომ იგი არავის უყვარს“.

როდის დავწერე ეს? ჩემი საკუთარი აზრია, თუ წავკითხულვარ ამოდებული ციტატა?

არ მახსოვს.

\* \* \*

პატივმოყვარე ხალხის მესმის. საკმარისია ოპერაში მოვისმინო საკორონაციო მარშის პირველივე ბგერები მეიერბერის „წინასწარმეტყველიდან“, რომ მაშინვე მეუფლება მგზნებარე, თუმც სწრაფწარმავალი სურვილი ადამიანებზე ბატონობისა, მინდა მეფედ მაკურთხონ რომელიმე ძველებურ ტაძარში.

მაგრამ დიდება სასურველია მხოლოდ სიცოცხლეში, სიკვდილის მერე თუ დაგივიწყებენ, დიდი არაფერია. არ მესმის მათი, ვინც უკვდავებისაკენ მიიღტვის. არასრულყოფილი და თანაც უსამართლოა კაცობრიობის მახსოვრობა, რამეთუ ყველაზე თავგანწირული, დიდებით მოსილი ჩვენი წინაპრებიც კი გულგრილად დაგვივიწყებია ვინ გამოიგონა ეტლი? ფულტონმა გამოიგონა ბორბლიანი გემი, მაგრამ ვინ გამოიგონა ეტლი? ვინ გამოიგონა ბორბალი? არავინ იცის, სამაგიეროდ, ისტორიამ შემოგვინახა მეფე ქსერქსის ლეიბმეეტლის — პატირამფის, ოტანის ძის სახელი. იგი მართავდა დიდი მეფის ეტლს. იმ არამზადამ კი, დიანას ტაძარი რომ გადაწვა ეფესში, რათა შთამომავლობისათვის თავისი სახელი დაეტოვებინა, ვერ მიაღწია მიზანს თუ რა? ახლა იგი ბროკჰაუზის ენციკლოპედიაშია მოხსენიებული.

\* \* \*

ო, როგორ გვინდა, რომ ვილატას ვუყვარდეთ. ან პატივს გვცემდნენ მაინც; თუნდ ეშინოდეთ ჩვენი, გვაგინებდნენ, ვეზიზღებოდეთ. გვინდა ადამიანებში გავალვიძოთ რაიმე გრძნობა, სულ ერთია, როგორი იქნება იგი. თრთის, კანკალებს სული ცარიელი და ვინმესთან ურთიერთობის წყურვილი კლავს.

13 ივლისი

უფერულია ჩემი დღეები, შავია წუთები. არ ვეკუთვნი ბედნიერთა რიცხვს. მიუხედავად ამისა, არავისში არ გავცვლიდი საკუთარ თავს. იმის გაფიქრებაც კი მზარავს, რომ შეიძლებოდა ჩემი რომელიმე ნაცნობთაგანი ვყოფილიყავი. არა, არავითარი სურვილი არა მაქვს, ვინმე სხვა ვიყო.

ახალგაზრდობაში ძალიან განვიცდიდი ჩემს უშნო გარეგნობას, თავი სიმახინჯედ წარმომედგინა და გახლებული ვოცნებობდი, ცოტაოდენი სილამაზე მქონოდა. ახლა ვიცი, რომ ბევრად არ განვსხვავდები უმრავლესობისაგან, მაგრამ ეს აზრი ვერ მამშვიდებს.

არ მომწონს ჩემი თავი არც გარეგნულად, არც შინაგანად, მაგრამ მაინც არ მინდა ვინმე სხვა ვიყო.

14 ივლისი

გმადლობ, მზეო, რამეთუ მადლიან სხივებს გვფენ და თვით საფლავებსაც წვდები ხეებს შორის.

დიახ, სულ ცოტა ხნის წინ მზე იყო, ახლა კი ბნელა. სალამოს სეირნობიდან დავბრუნდი. ქალაქი ვარდის წყალში დაბანილს ჰგავდა, სამხრეთის ბორცვების თავზე მსუბუქი ვარდისფერი ნისლი გაწოლილიყო.

გრანდ-ოტელის წინ ვიჯექი და ლიმონათს ვწრუპავდი. ფრეკენ მერტენ-სმა ჩამიარა. წამოვდექი და თავი დავუკარი. ჩემდა გასაოცრად იგი შეჩერდა, ხელი გამომიწოდა და რაღაც მითხრა, ვგონებ დედის ავადმყოფობისა და მესანიშნავი საღამოს შესახებ. ლაპარაკისას ოდნავ წამოწითლდა, ალბათ მიხვდა, რაოდენ უჩვეულო იყო მისი საქციელი და შეიძლებოდა სხვაგვარად მსმელნი.

მაგრამ გულშიც არ გამივლია მსგავსი რამ. არაერთხელ ვცრფილვარ სხვა-მინებთან მისი თავაზიანი, ალერსიანი და ძალდაუტანებელი ურთიერთობის მოწმე, რაც მუდამ კეთილად განმაწყობდა მისადმი.

და მაინც — როგორ იყო გაბადრული! შეყვარებული ხომ არაა?

მისი ოჯახი მათ რიცხვს მიეკუთვნება — და ისინი არც ისე ცოტაა — ვინც დიდი ზარალი განიცადა მამაჩემის გაკოტრებისას. უკანასკნელ წლებში პოლკოვნიკის მოხუცებული მეუღლე საკმაოდ მოტყდა და ხშირად მიბარებს ხოლმე. პონორარზე უარს ვამბობ; მათ, რასაკვირველია იციან, რა მიზეზითაც.

ცხენით სეირნობა მასაც ძალიან უყვარს. ამ ბოლო დროს რამდენიმეჯერ შევხვდი დილით. აი, გუშინაც, ჭენებით ჩამიქროლა გვერდით, „დილა მშვიდობისა“ შემომძახა და საკმაოდ წინ გამისწრო. მერე დავინახე, მოსახვევთან ცხენი უეცრად შეაჩერა, ნაბიჯზე გადაიყვანა და კარგა ხანს იარა სადავე მიშვებულმა, როგორც სიზმარში... მე ხომ სულ თანაბარი სვლით დამყავდა ცხენი. ასე რომ, სულ მოკლე დროში ჩვენ სამჯერ-ოთხჯერ წამოვეწიეთ ერთმანეთს.

\* \* \*

მას ლამაზს ვერ უწოდებ, მაგრამ არის მასში რაღაც ისეთი, რაც პასუხობს ჩემს უწინდელ, ფარულ ოცნებას ქალზე, ოცნებას, რომელიც დღესაც ისეთივე ძალით ცოცხლობს ჩემში. ასეთი რამის აბსნა შეუძლებელია. ერთხელ, — მას შემდეგ სამი წელი მაინც გავიდა, — დიდი წვალებით მოვახერხე მოვხვედრილიყავი ერთ ოჯახში, სადაც იგი ხშირი სტუმარი იყო, მხოლოდ იმიტომ, რომ მას შევხვედროდი. იგი მართალია მოვიდა, მაგრამ იმჯერად ძლივს შემნიშნა და ორი სიტყვაც არ გვითქვამს ერთიმეორისათვის.

ახლა კი: თუმცა იგი სრულიად არ შეცვლილა, იგივეა, რაც უწინ იყო. მაგრამ მე რა მემართება? ჩემს თავს ველარა ვცნობ.

17 ივლისი

ხანდახან მგონია, რომ ცხოვრება აუტანლად საზიზღარ ფიზიონომიას გვიჩვენებს ხოლმე.

ახლახან ღამის გამოძახებიდან დავბრუნდი. ტელეფონმა რომ დარეკა, ვიწექი: მითხრეს გვარი, მისამართი და ორიოდ სიტყვით ამიხსნეს საქმის ვითარება: სოვდაგარს უეცრად მძიმედ ავად გაუხდა ბავშვი, ეტყობა ხუნავით. ჭუჩაში სწრაფად მივაბიჯებდი ერთ-ერთ შესახვევში აღნიშნულ მისამართზე მდებარე სახლის მეოთხე სართულზე ავედი და კარზე გამოკრული გვარი წავიკითხე. იგი ძალიან ნაცნობი მომეჩვენა, მაგრამ ვერაფრით ვერ მოვიგონე, საიდან მახსოვდა. კარი საღამურ კოფთასა და ქვედა კაბაში გამოწყობილმა ქალმა გამიღო. ვიცანი. ეს ის გახლდათ, ჩემი ავად მოსაგონარი ძველი ნაცნობი ქალი, რესტორანში რომ შემხვდა, ალბათ მის მშვენიერ ნაშიერს დაემართა-მეთქი რამე, გავიფიქრე, ვიწრო სასადილოსა და ულაზათო თაროედის კიდებზე შემომდგარი სამზარეულოს გამურული ნათურით განათებული სასტუმრო

ოთახის გავლით შემოყვანეს საწოლში, რომელიც უთუოდ მთელ ოჯახს ემსახურებოდა. ოჯახის უფროსი იქ ვერ ვნახე. სახლში არ იყო. „უფროსე ბიჭი გაგვიხდა ავად“, — განმიმარტა დედიკომ და საწოლთან მიმიყვანა. ვერ გინილე მშვენიერი ბავშვი. ეს გახლდათ რაღაც საშინელება. უშველებელი, მაიმუნის ყბები, მიტყლეტილი ცხვირი, ბოროტი, არაფრის გამომხატველი მკვლელები. ერთი სიტყვით იდიოტი, ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა.

აი, თურმე როგორი ყოფილა ის პირველი ბავშვი. აი, თურმე ვის ატარებდა მაშინ მკერდქვეშ და როგორი ყოფილა სიცოცხლის ის თესლი, რომლის მოშორებასაც დაჩოქილი მევედრებოდა იგი. მე კი, მოვალეობის გრძნობით შებოჭილი, ვერ დავეხმარე. ცხოვრებავე, არ მესმის შენი!

და აი, სიკვდილი ბოლოს და ბოლოს მზადაა შეიბრალოს ბავშვი, მშობლები და წაიყვანოს იგი ამ ქვეყნიდან, სადაც არც უნდა მოვლენილიყო. ვითომ არ უშვებენ! რას ბრძანებთ, ერთი სული აქვთ, როდის დააღწევენ მისგან თავს, სხვანაირად წარმოუდგენელიცაა, მაგრამ სულის სიღრმეში საბრალო მშვიშრები ჩემგან, ექიმისაგან ითხოვენ შველას, რათა განვდევნო კეთილი და გულმოდრინი სიკვდილი გადაგვარებული სიცოცხლის შესანარჩუნებლად. და მეც, მათსავეთ საბრალო მშვიშარა, ვასრულებ „ჩემს მოვალეობას“ — ვასრულებ ისევე, როგორც შევასრულე ადრე.

მაგრამ ყველა ეს აზრი თავში მომივიდა უფრო მოგვიანებით, და არა მაშინ, როცა ნახევრად მძინარე ავადმყოფის საწოლთან ვიდექი უცხო ოთახში. მე ვაკეთებდი ჩემს საქმეს და არაფერზე არ ვფიქრობდი — დავრჩი მანამ, სანამ საჭირო ვიყავი. გავაკეთე ყველაფერი, რაც უნდა გამეკეთებინა და წავედი. შემოსასვლელში შევხვდი ოჯახის უფროსს, რომელიც ის-ის იყო ცოტა ნასვამი დაბრუნდა სახლში.

ბავშვი მაიმუნი ალბათ კარგა ხანს იცოცხლებს.

საზიზღარი, მხეცისმაგვარი სახე აქაც არ მშორდება, ჩემს ოთახში. მიცქერის ბოროტი, გამოშტერებული თვალებით და ამ თვალებში ვკითხულობ ამქვეყნად მისი გაჩენის ამბავს.

მას თან დაჰყვა იგივე თვალები, რა თვალებითაც სამყარო უცქეროდა დედამისს მასზე ორსულობისას. იგივე სამყარომ აიძულა მისგანვე შექმნილი და მისი გაბრყვებული დედაც, ასეთივე თვალებით ეხილათ სამყარო.

აი ნაყოფიც — უცქირეთ, დატკბით ამ ბრწყინვალეებით!

ხეპრე მამიკო, დედიკო, შეწუხებულნი მხოლოდ იმით, რას იტყვიან ნათესავები და ნაცნობები, შინამოსამსახურე, ქვეშ-ქვეშად რომ უყურებს მას (დედიკოს) და სულის სიღრმეში ძალზე კმაყოფილია, რომ აი, „კარგი ბატონები“ არაფრით არ არიან მათზე, უბრალო მოკვდავებზე უკეთესნი, სახეგაქვავებული ბიცოლები და ბიძები, აღშფოთებულნი, რომ შელახულია მათი იდიოტური მორალი, მოძღვარი, აჩქარებით რომ ყლაპავდა სიტყვებს უბადრუკ ქორწილზე, ცოტაოდენ შემცბარი და არცთუ უსაფუძვლოდ, რამეთუ ღმერთის სახელით მას უნდა მოეწოდებინა ქალ-ვაჟისათვის, განეხორციელებინათ ის, რაც ფაქტიურად უკვე განხორციელებული იყო — აი, ყველა ისინი, ვინც თავიანთი წვლილი შეიტანეს, ცოტად თუ ბევრად მონაწილეობა მიიღეს მომხდარ ამბავში. საჭირო იყო ექიმი და ექიმიც მე ვიყავი.

ხომ შემეძლო დავხმარებოდი მას მაშინ, როცა სასოწარკვეთილი და შეწუხებული ფეხებში მივარდებოდა, აქ, ამ ოთახში. უარის სათქმელად მოვიშველიე მოვალეობა, რისიც თვითონ არ მჯეროდა.

მაგრამ საიდან უნდა მცოდნოდა, ამას როგორ წარმოვიდგენდი...

არადა, მე ხომ მხოლოდ იმ შემთხვევაში ვმოქმედებდი სრული რწმენით. თუ არ მჯეროდა „მოვალეობისა“ — არ მჯეროდა როგორც უდავო უმაღლესი კანონისა, რა სახითაც იგი წარმოგვიდგება, და მაინც, ჩემთვის სრულიად ნათელი იყო, რომ იმ მომენტში ყველაზე ჭკვიანური და გონივრული მოქმედება და გამეკეთებინა სწორედ ის, რაც საერთო გაგებით მოვალეობის სურვილს შეესაბამებოდა. მეც ყოველგვარი მერყეობის გარეშე ასე მოვიქეცი.

ცხოვრებავ, არ მესმის შენი.

\* \* \*

„ბავშვი რომ მახინჯი დაიბადება, სჯობს დაახრჩო“.

(სენეკა)

\* \* \*

პრინცესა ევგენიას თავშესაფარში თითოეული იდიოტი ბავშვის რჩენა ყოველწლიურად ჯდება იმაზე მეტი, რასაც ახალგაზრდა ჯანმრთელი მუშაკი გასამრჯელოდ ღებულობს წლის განმავლობაში.

24 ივლისი

ისევ დაიწყო აფრიკული სიცხეები. შუადღის შემდეგ ქალაქის თავზე ბოლქვებად გროვდება ოქროსფერი მტვერი. შებინდებისას თუ იგრძნობ სიგრილეს და შვებას.

თითქმის ყოველ საღამოს ერთ-ორ საათს გრანდ ოტელის წინ ვატარებ, მივუჭდები მაგიდას და ლერწმის ღეროთი ლიმონათს ვწრუბავ. საგანგებოდ შევარჩევ ხოლმე იმ დროს, როცა ზიგზაგებით, სტრიომენის დინებას აყოლილი, ერთიმეორის მიყოლებით ინთება ფარნები. ეს ჩემთვის ყველაზე საყვარელი დროა. უფრო ხშირად მარტო ვზივარ ხოლმე, დღეს კი ბირკი და მარქელი არიან ჩემთან ერთად.

— მადლობა ღმერთს, — თქვა მარქელმა, — როგორც იქნა ისევ დაიწყეს ფარნების ანთება. თორემ ამ მოთეთრო სიბნელეში თავი დაკარგული მგონია. მომბეზრდა უშუქოდ ხეტიალი. მშვენივრად მესმის, რომ ეს კეთდება ეკონომიის თვალსაზრისით, როგორც გამონაკლისი; მიზეზი სავსებით საბატოა, მაგრამ მაინც სხვაგვარი, უხამსი გემო დაჰკრავს, თითქოს განზრახ ვექვემდებარებით ტურისტულ გემოვნებას. „შუადღის მზის ქვეყანა“, — ფუ, ეშმაკს.

— ეს მართალია, — თქვა ბირკმა, — ჯანდაბას, დაე ნუ აანთებენ ივანობის წინა ორ-სამ ღამეს, როცა მართლა თითქმის დღეა. სოფელში თეთრი ღამეები საოცრად ღამაზია, აქ კი პირიქით, თითქოს არცაა საჭირო. განათების გარეშე ქალაქი რაღა ქალაქია. არასოდეს ისე საამოდ არ მომჩვენებია ჩემი ქალაქელობა, როგორც შემოდგომის იმ ავდრიან საღამოებში, სოფლიდან რომ ვბრუნდებოდი ხოლმე და სანაპიროს გასწვრივ მოციმციმე ნათურებს მოვკრავდი თვალს. სოფლელები ახლა სახლებში სხედან, ან ტალახს ზელენ სიბნელეში-მეთქი, ვფიქრობდი. მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, — დაუმატა მან, — სოფელში სულ სხვაგვარია ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა. აქ ფარნების შუქზე ვარსკვლავებს ძალა ეკარგებათ, რაც მეტად სამწუხაროა.

— ვარსკვლავები გზას ვერ გაგვინათებენ ღამის სიბნელეში ხეტიალის დროს, — თქვა მარქელმა, — ძალიან მწყინს, როცა გამახსენდება, რა ზომამდე

დაკარგეს მათ ყოველგვარი პრაქტიკული მნიშვნელობა. ადრე ისინი ადამიანთა სიცოცხლეს განაგებდნენ და რომელიმე, თუნდაც სულ უბრალო კალენდარში რომ ჩავიხედოთ, დღემდე თითქმის არაფერი შეცვლილა. მხელად თუ მოიძებნება ტრადიციის ესოდენ ხანგრძლივი არსებობის უფრო საოცარი მაგალითი. აბა დაფიქრდით: ხალხში ყველაზე პოპულარული მწიგნობრის სახელია ათასგვარი ცნობებით ისეთ საგნებზე, რომლებთანაც დღეს — ამჟამინათვე — საქმე აღარა გვაქვს. თუ ზოდიაქოს ყველა ეს ნიშანი უკანასკნელი ორასი წლის მანძილზე გასაგები იყო თვით ყველაზე მდაბიო სოფლელისთვისაც კი, გულმოდგინედ რომ სწავლობდა მას, რამეთუ სჯეროდა, რომ მისი კეთილდღეობა ამაზე იყო დამოკიდებული, დღეს განათლებულთა უმრავლესობისათვის სრულიად გაუგებარია. მეცნიერებათა აკადემიას რომ ცოტაოდენი იუმორის გრძნობა გააჩნდეს, თავის შესაქცევად კალენდარში ალაღბებდნენ შეუცვლიდადგილებს კიბორჩხალს, ლომსა და ქალწულს, მაინც ვერაფერს ვერაფერს გაიგებდა. დაკარგა მნიშვნელობა ვარსკვლავიანმა ცამ, დეკორაციის როლს ასრულებს მხოლოდ — მან მოსვა გროგი და განაგრძო: — არა, სადაა ვარსკვლავების ძველებური პოპულარობა. რამდენადაც გვჯეროდა, რომ ჩვენი ბედი მათზეა დამოკიდებული, გვეშინოდა მათი, მაგრამ ამავე დროს გვიყვარდა და ვალმერთებდით, პატარა ბავშვებივით გვიხაროდა ვარსკვლავებით მოჭედული ცის დანახვა, გვეგონა, სადამოობით თვით მაღალი ღმერთი ანთებდა ჩვენთვის პატარ-პატარა სანთლებს, და თითოეულს მტკიცედ გვჯეროდა, რომ ისინი სწორედ ჩვენ გვიკრავდნენ თვალს. ახლა, როცა უფრო მეტი ვიცით მათზე ვიდრე წინათ, ისინი გადაიქცნენ მტანჯველ, უცერემონიო, მუდმივ მოგონებად ჩვენს არარაობაზე. ვთქვათ, მიდიხარ ღამით დედოფლის ქუჩაზე, თავში ამალღებული, უჩვეულო, შეიძლება ითქვას, უმნიშვნელოვანესი აზრები გიტრიალებს, ისეთი აზრები, როგორიც მანამდე, შენი ფიქრით არც ერთ სულიერს არ მოსვლია თავში და მიუხედავად იმისა, თუ შენს არსებაში მთვლემარე მრავალწლიანი გამოცდილება ანაზღად ჩაგჩურჩულებს, რომ ხვალ უეჭველად დაგავიწყდება ეს აზრები, ან მათში ველარ დაინახავ უჩვეულოს და უმნიშვნელოვანესსო, — სულ ერთია, მომენტის მომხიბვლელობა ამით არ შენელებს. მაგრამ უნებურად ხეშოთ თუ აიხედავ და ორ საკვამლე მილს შორის თავისთვის მოკიაფე ვარსკვლავს დაინახავ, მაშინვე მიხვდები, რომ კაპიკია შენი აზრების ფასი და ჯობს შეწყვიტო მათზე ფიქრი. ან ვთქვათ, მთვრალი მიდიხარ, ჩასცქერი წყალსადენ თხრილს და ფიქრობ, რას ჰგავს ასე გალოთება, არ ჯობია უფრო ღირსეულად გამოიყენო ეს დრო? მაგრამ თითქოს რაღაც შეგაჩერებს. — ასე დამემართა მე პირადად, ამასწინათ — და ყურადღებით აკვირდები თხრილში მოციმციმე ერთი ციცქნა წერტილს. მალე ხვდები, რომ ეს ვარსკვლავის ანარეკლია — ჩემი შემთხვევის დროს ეს იყო დენები გედის თანავარსკვლავედიდან — და მაშინვე ნათელი ხდება შენთვის, რაოდენ სასაცილო და არაარსებითია პრობლემა, შენ რომ გაწუხებხ.

— იცი რა, — შევნიშნე მე, — ეს ნიშნავს ლოთობა განჭვრიტო მარადისობის თვალსაზრისიდან. მაგრამ ფხიზელ მდგომარეობაში ეს თვალსაზრისი არც თუ განსაკუთრებულად დამახასიათებელია ჩვენთვის, ყოველ შემთხვევაში, ყოველდღიურ გამოსაყენებლად იგი უვარგისია. ერთხელაც რომ მოეპრიანოს იმ შენს დენებს და კარგად დააკვირდეს თავის თავს *sub specie aeternitatis*<sup>1</sup>,

<sup>1</sup> მარადისობის ნიშნით, მარადისობის თვალსაზრისით (ლათ.).

ადვილი შესაძლებელია იმდენად უმნიშვნელოდ ჩათვალოს თავი, რომ დაასკვნას, აღარ ღირს ჯაფად კვლავაც ვანათოო. თუმცა იგი უხსოვარი დროიდან ჰკიდია ერთი და იმავე ადგილას და თავისი ბრწყინვალეობით უხილავ პლანეტებზე აირეკლება ოკეანეებში. შეიძლება, მათთვის იგი მზეც იყოს. ჩვენ კი წყალსადენ არხში ვხედავთ მას პატარა, ბნელ დედამიწაზე მარტოობით, მეგობარო! მე მინდა ვთქვა საერთოდ და ყველაფერზე, და არა მარტო წყალსადენ არხზე.

— მარტელი, — ჩაერია ბირკი. — გადაჭარბებით შეაფასებს თავის გონებრივ შესაძლებლობებს, თუ იფიქრებს, რომ შეუძლია დაინახოს თუნდაც სულ მცირე განსხვავება გროგებს შორის მარადისობის თვალსაზრისიდან. მაგრამ ამის ძალა მას არ შესწევს. მახსოვს, სადღაც წამიკითხავს, რომ ეს თვალსაზრისი ჩვენი გამჩენის გამონაკლისი პრივილეგიაა. შეიძლება მან ამ მიზეზით შეწყვიტა არსებობა. რეცეპტი უსათუოდ მისთვისაც სასიკვდილო გამოდგა.

მარტელი დუმდა იჯდა სერიოზული და მოწყენილი. ყოველ შემთხვევაში, დიდი წითელზოლებიანი ტილოს ჩარდახის ქვეშ ბინდბუნდში თეთრად მოკიფე მისი სახე ასეთი მომეჩვენა. და როდესაც ჩამქრალი სიგარის მოსაკიდებლად ასანთი გაჰკრა, განცვიფრებული დავრჩი, როგორ დაბერებულა იგი. უნებურად გავიფიქრე, ორმოცდაათ წელსაც ვერ მიაღწევს-მეთქი, ორმოცს კი უკვე ნამდვილად გადააბიჯა.

უეცრად ბირკმა, რომელიც ისე იჯდა, რომ კარგად ხედავდა მოპირდაპირე ტროტუარს, თქვა:

— ნახეთ, ფრუ გრეგორიუსი მოდის, იმ ბილწი პასტორის მეუღლე. ღმერთმა იცის, როგორ ჩაიგდო ხელში ასეთი ქალი. მათ რომ ვუცქერი, უნებურად პირს ვიბრუნებ ხოლმე, რადგან ვგრძნობ, ამ ქალისადმი თავაზიანობა მოითხოვს ამას.

— პასტორიც მასთანაა? — ვკითხე.

— არა, მარტოა.

ჰო, რასაკვირველია. პასტორი ხომ ჯერაც არ დაბრუნებულა პორლადან.

— ჩემის აზრით, იგი ზედგამოჭრილი ქერათმიანი დალილაა, — თქვა ბირკმა.

მარტელი: იმედი უნდა ვიქონიოთ, მას სწორად ესმის რაში გამოიხატება მისი მოწოდება ცხოვრებაში და გვარიან რქებს ადგამს თავის ნაზორეველს<sup>1</sup>.

ბირკი: არა მგონია. იგი ალბათ ღვთისმორწმუნეა, სხვანაირად ეს ქორწინება არც მოხდებოდა.

მარტელი: ჩემი სულელური აზრით კი, პირიქით, წარმოუდგენლად ის მიმაჩნია, როგორ უნდა შეენარჩუნებინა ღვთისმორწმუნეობა ამ მშვენიერ ქალს პასტორ გრეგორიუსთან შეუღლების შემდეგ. სიტყვამ მოიტანა და დამიჯერეთ, იგი არაფრით არ იქნება მაღამ დე მენტენონზე<sup>2</sup> უფრო ღვთისმორწმუნე. ჰემ-მარიტი რწმენა ფასდაუდებელი თანაშემწეა ყოველგვარ ცხოვრებისეულ გარემოებაში და ჯერაც არავისთვის შეუშლია ხელი.

<sup>1</sup> ნაზორეველები — ძველ იუდეველებთან განდობილთა განსაკუთრებული კასტა, ნაზორეობის აღთქმა ითვლებოდა ღმერთის განუყოფელი სამსახურის აღთქმად.

<sup>2</sup> მენტენონ ფრანკუაზა დ'ობინიე (1635—1719) — ლუდოვიკო XIV ფავორიტი ქალი, რომელიც გადამეტებული ღვთისმორწმუნებით გამოირჩეოდა.

ლაყბობა შეწყდა, როცა მან ახლო ჩავიარა. იგი მიდიოდა მუზეუმისა და ხომალდის კუნძულის მიმართულებით. ეცვა სადა მუქი ფერის კაბა. მიდიოდა არც ნელა, არც ჩქარა და არ იყურებოდა არც მარჯვნივ, არც მარცხნივ.

ეს მისი სიარულის მანერაა... რომ მოახლოვდა, უნებურად თვალები დაეხუჭე. ასე ბედის შესახვედრად მიდიან ხოლმე. თავი მარჯვნივ მარცხნივ და ოქროსფერი თმის ბულულს ქვეშ ქათქათა კისერი მოუჩანდა. იღიმებოდა? არ ვიცი. მაგრამ რატომღაც ამასწინანდელი სიზმარი გამახსენდა. ის ღიმილი, მაშინ რომ მას სახეზე ეხატა, ცხადში არასოდეს მენახა და არც ვისურვებდი, დამენახა ოდესმე.

თვალი რომ გავახილე, იმავე გზით მიმავალი კლას რეკე დავინახე. მან თავი დაუკრა ბირკსა და მარქელს, შესაძლოა მეც, ვერაფერს ვიტყვი. მარქელმა ანიშნა, შემოგვიერთდი მაგიდასთანო, მაგრამ მან ისე ჩაიარა, თითქოს ვერც შეამჩნია მიპატიჟება. იგი ქალის კვალს მიჰყვებოდა. თითქოს ვილაციის ძლიერი ხელი უხილავი ძაფით მათ ორივეს ერთი მიმართულებით ეზიდებოდა. და მე ვკითხე საკუთარ თავს: სად მიიყვანს მათ ეს გზა? ეჰ, ნეტა მე რა მესაქმება! ამ გზას ჩემი დახმარების გარეშეც გაივლიდა იგი. მე უბრალოდ ცოტაოდენი ნაგავი ავხვეტე მის ფეხქვეშ. არც თუ იოლი იქნება ეს გზა, სხვანაირად შეუძლებელიცაა. ცხოვრება ნაკლებად ანებივრებს მათ, ვისაც უყვარს. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყველა გზა ხომ წყველიადში იქარგება და ყველანი ბოლოს განურჩევლად იქ მოვხვდებით.

— რეკე ამ ბოლო დროს მოუხელთებელი გახდა, — თქვა მარქელმა. — დარწმუნებული ვარ ამ ყალთაბანდს რაღაც განუზრახავს. ამბობენ, ვილაც მზითვიან დედისერთა ქალიშვილს ეარშიყებოთ. მაშ როგორ, ვალები აქვს, როგორც ტახტის შთამომავალს, მევახშეების ხელშია ჩავარდნილი.

— შენ საიდან იცი? — უნებურად ჩავიბუზღუნე მე.

— არსაიდანაც არ ვიცი, — თვალის დაუხამხამებლად მომიგო მან. — ჩემთვის ყველაფერი ისედაც გასაგებია. სულმდაბლებს ჩვეულებად აქვთ ადამიანი მისი საქმეების მდგომარეობით განსაჯონ. მე კი პირიქით, ადამიანის მიხედვით ვსაზღვრავ მისი საქმეების მდგომარეობას. ეს უფრო ლოგიკურია და გარდა ამისა, რეკეს კარგად ვიცნობ.

— მარქელ, ნუღარ დაღევ ვისკის, — უთხრა ბირკმა.

მარქელმა კიღევ დაისხა თავისთვის და დაუსხა ბირკსაც, რომელსაც სივრცისთვის გაეშტერებინა თვალი და ისეთი სახე ჰქონდა, ვითომ ვერაფერი შეამჩნია. გროგისთვის ხელიც არ მიხლია და მარქელი წყრომითა და განგაშით სავსე მზერით ზომავდა ჩემს ტიქას.

ბირკი უეცრად მომიბრუნდა.

— მითხარი, გეთაყვა, — მთხოვა მან, — ისწრაფვი თუ არა ბედნიერებისაკენ?

— ვფიქრობ, რომ კი. მე ვგულისხმობ მხოლოდ და მხოლოდ ყოველივე იმას ერთად აღებულს, რასაც ადამიანი თავისათვის სასურველად ჩათვლის, ესე იგი, ღირსად მისწრაფებისა. ამგვარად, გამოდის, რომ ჩვენ ყველანი ბედნიერებისაკენ ვისწრაფვით.

ბირკი: დიახ, რა თქმა უნდა, ასე გამოდის. შენმა პასუხმა ერთხელ კიღევ მომაგონა, რომ ყოველგვარი ფილოსოფია მარტოოდენ ენობრივი ორაზროვნებით იკვებება. ბედნიერების შავ პურს დღეს პირის ჩასატკბარუნებელ სასუსნავს უპირისპირებენ: სად სულის გადარჩენას, სად „საკუთარ შემოქმედე-

ბას“ და ამ დროს ირწმუნებიან, რომ სულაც არ მიილტვიან ბედნიერებისაკენ. სწორედ შესაშურია, სიტყვებით თავის მოტყუების ნიჭი გქონდეს, ჩვენ ხომ დაუცხრომელი სურვილი გვაქვს საკუთარ თავს და საკუთარ მისწრაფებებს იდეალური თვალთ შევხედოთ. და უზენაესი ბედნიერებაც საბოლოოდ სწორედ იმაშია, გვჯეროდეს ილუზიისა, თითქოს არც კი მივისწრაფვით ბედნიერებისაკენ.

მარქელი: ადამიანი ისწრაფვის არა ბედნიერებისაკენ, არამედ განცხრომისაკენ. „დასაშვებია, — ამბობდნენ კირენაიკები<sup>1</sup>, — რომ არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც არ ეძებენ განცხრომას, მაგრამ მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ მათ მახინჯი წარმოდგენა და უკულმართი აზრები აქვთ“.

— როცა ფილოსოფოსები ამბობენ, — განაგრძობდა იგი, — რომ ადამიანი ისწრაფვის ბედნიერებისაკენ, ან „სულის გადარჩენისაკენ“, ანდა „საკუთარი შემოქმედებისაკენ“, მათ მხედველობაში ჰყავთ მარტოოდენ საკუთარი თავი, ან, ყოველ შემთხვევაში, გარკვეული განათლების მქონე მოზრდილი ადამიანები. პერ ხალსტრიომი ერთ-ერთ თავის ნოველაში მოგვითხრობს, ჯერ კიდევ ბავშვი როგორ ლოცულობდა ყოველ საღამოს: „ბურთი მოდის, მოგორავს, გვიახლოვდება, ღმერთი ამ ბურთს მას აჩუქებს, ვინც ეყვარება“. მან ალბათ იმ უმწიკვლო ასაკში არც კი იცოდა სიტყვა „ბედნიერების“ მნიშვნელობა და ამიტომაც მისთვის უცნობ და გაუგებარ სიტყვას იგი შეუგნებლად ცვლიდა უფრო ნაცნობი და ჩვეული სიტყვით. მაგრამ ჩვენი სხეულის უჯრედებმა უმწიკვლო ბავშვზე არც თუ ბევრად უკეთესად იციან რა არის „ბედნიერება“, „სულის გადარჩენა“, ან „საკუთარი შემოქმედება“. და სწორედ ესენი კი მართავენ ჩვენს მისწრაფებებს. ყველაფერი ამ ქვეყნად, რაც ორგანულ ცხოვრებად გვევლინება, გაურბის ტანჯვას და ეძებს განცხრომას. ფილოსოფოსებს მხედველობაში აქვთ მარტოოდენ საკუთარი მისწრაფებანი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ — წარმოსახვითი მისწრაფებანი. მაგრამ ჩვენი არსების ქვეცნობიერი ნაწილი ათასჯერ უფრო ყოვლისმომცველი და ძლიერია და საბოლოო სიტყვაც ყოველთვის მას ეკუთვნის.

ბირკი: ყველაფერი, რაც შენ ახლა ილაპარაკე, კიდევ ერთხელ მარწმუნებს, რომ მე მართალი ვარ, რომ აუცილებელია თავიდან ბოლომდე გადავაკეთოთ ადამიანური მეტყველება, რათა ცოტად თუ ბევრად აზრიანად ვიმსჯელოთ ფილოსოფიურ თემებზე.

მარქელი: ეშმაკმა წაგიღოს, გქონდეს შენთვის შენი ბედნიერება, მე კი განცხრომა მიბოძე. თქვენ გაგიმარჯოთ! ვთქვათ, მივიღე შენი სიტყვები: ეს იგივეა, ვალიარო ჭეშმარიტება, რომ ყველანი ბედნიერებისაკენ ისწრაფვიან. მაგრამ, ხომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც სრულიად არ არიან განწყობილი ბედნიერებისათვის და ამას ისინი გრძნობენ მტანჯველი და უცილობელი სიცხადით. ასეთი ხალხი ბედნიერებისაკენ კი არ ისწრაფვის, არამედ ცდილობს, რაც შეიძლება მართებული სახე მისცეს თავის უბედურებას.

და უეცრად მან სრულიად მოულოდნელად დაუმატა:

— აი მაგალითად, ასეთ ხალხს მიეკუთვნება გლასი.

ისე შევცბუნდი, პასუხის გაცემაც ვერ მოვახერხე. უკანასკნელ წამამდე, ვიდრე ჩემს სახელს წარმოთქვამდა, ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ სა-

<sup>1</sup> კირენული სკოლა (კირენაიკები) — ძველბერძნული ფილოსოფიური სკოლა, რომელიც ქადაგებდა პედონიზმსა და სკეპტიციზმს.



კუთარ თავს გულისხმობდა. ახლაც დარწმუნებული ვარ ამაში, მე, უბრალოდ, შენიღბვის მიზნით მიმატმასნა. ჩამოწვა მძიმე სიჩუმე. მე სხივებს ციმციმს ვადევნებდი თვალს სტრიომენში. „როზენბადის“ თავზე მთვარემ შემოჯარული ღრუბლები გაარღვია და ბუნდების ძველებური სახლების კოლონებს ვერცხლისფერი გადაადგარა. უფრო შორს, მელარნის ტბის სიღრმეში მისი მით ცურავდა დანარჩენებს ჩამორჩენილი, მეწამულ-იისფერი ღრუბელი.

25 ივლისი.

ჰელგა გრეგორიუსი; წინანდებურად თვალწინ მიდგას იგი. ისეთი, სიზმარში რომ ვნახე ერთხელ: შიშველი, მუქი ყვავილების თაიგულს რომ მაწოდებდა. შეიძლება ყვავილები წითელიც იყო, ოღონდ მუქი წითელი, სიბნელეში წითელი ხომ მუქად გვეჩვენება ხოლმე.

მას შემდეგ გამუდმებით, ყოველი დაძინების წინ ვნატრობ, კვლავ ვნახო იგი სიზმარში.

მაგრამ ის ორაზროვანი ღიმილი ნელ-ნელა წაიშალა ჩემს მახსოვრობაში და ალბათ ამიტომ, მეტად აღარ მინახვს იგი.

\* \* \*

პასტორი მაინც დაბრუნდებოდეს მალე. მაშინ ჰელგა უსათუოდ მოვა ჩემთან. როგორ მინდა მისი ნახვა, მისი ხმის გაგონება. ჩემს გვერდით მინდა იყოს.

26 ივლისი

პასტორი: მისი სახეც თან დამყვება — ზუსტად ისეთი, როგორიც ჩემთან ბოლო შეხვედრისას ჰქონდა, სქესობრივ კავშირზე რომ ვსაუბრობდით. როგორ აგიწეროთ მისი გამომეტყველება? ასეთი სახე აქვს კაცს, რომელიც ყნოსავს რაიმე სიღამპლეშეპარულს და სულის სიღრმეში საუცხოოდ ეჩვენება მისი სუნი.

2 აგვისტო

მთვარის ნათელი. ყველა ფანჯარა ყურთამდე მაქვს გახსნილი. კაბინეტში ლამპა მინთია. იგი ბიუროზე დავდგი, რომ დავიცვა ლამის ნიავისაგან, ფარდებს რომ იალქანივით ბერავს. ოთახებში ბოლთას ვცემ, დროდადრო ბიუროსთან ვჩერდები და ერთ-ორ სიტყვას ვწერ. დარბაზში დიდხანს ვიდევქი ფანჯარასთან და ყურს ვუგდებდი შუალამის იღუმალ ხმებს. მაგრამ ბებერი მუხების ქვეშ ამჯერად გაუგებარი სიწყნარეა. ეულად სკამზე მჯდომი ქალის ფიგურა შევნიშნე მხოლოდ, კარგა ხანია იქ ზის და ანათებს მთვარე.

\* \* \*

სადილად შინ რომ დავბრუნდი, საწერ მაგიდაზე წიგნი ვნახე. რომ გავშალე, იქიდან სადარბაზო ბარათი გადმოვარდა: ევა მერტენსი.

უცბად გამახსენდა, რომ ბოლო დღეებში იგი ბევრს მიამბობდა ამ წიგნის თაობაზე. მე აზრი გამოვთქვი, რასაკვირველია არასერიოზულად, კარგი იქნება, ეს წიგნი წამაკითხა-მეთქი. ეს ისე ვთქვი, თავაზიანობისათვის, რათა მას

საწყენად არ დარჩენოდა ჩემი გულგრილობა მისთვის საინტერესო წიგნის მიმართ. მერე ეს საუბარი სულაც გადამავიწყდა



მას კი თურმე ახსოვდა.

შეუძლებელია ვიფიქრო, რომ იგი გულგრილი არ არის მეტყველებს თან, აშკარად ემჩნევა, რომ შეყვარებულია. და თუ სხვაზეა შეყვარებული, არა ჩემზე, როგორღა შეუძლია ესოდენ ყურადღებიანი იყოს ჩემს მიმართაც?

მას ნათელი, გულწრფელი თვალები, ხშირი წაბლისფერი თმა და ცოტა არასწორი ცხვირი აქვს. ბაგე — ბაგე არ მახსოვს, თუმცა, დიახ, ძალიან წითელი და ცოტა მოდილო, ზუსტად მაინც არ მახსოვს. ზუსტად შეიძლება გახსოვდეს ბაგე, რომლისთვისაც გიკოცნია, ან სურვილი გქონია გეკოცნა არსებობს ქვეყნად ერთადერთი ბაგე, რომელსაც ნამდვილად ვიცნობ.

ვზივარ და ვათვლიერებ პატარა, უბრალო, ნატიფ სადარბაზო ბარათს, მასზე მკრთალი შრიფტით დაბეჭდილ სახელს და გვარს. მაგრამ მე სახელსა და გვარზე მეტს ვხედავ იქ. არსებობს ასეთი შრიფტი, საიდუმლო ნაბეჭდი, რომელიც ხილული ხდება მხოლოდ ძლიერი სითბოს ზემოქმედებით. არ ვიცი, ვასხივებ თუ არა სითბოს, მაგრამ დაუბრკოლებლად ვკითხულობ საიდუმლო ნაწერს: „მაკოცე, გახდი ჩემი ქმარი, მაჩუქე ბავშვები, ნება მომეცი მიყვარდე. მე ისე მწყურია სიყვარული“.

„არც ისე ცოტანი არიან ახალგაზრდა გოგონები, მამაკაცის ხელი რომ არ შეხებიან ჯერაც. არას არვიან მართოდ ძილი, კარგი ქმრები სჭირდებათ მათ“.

დაახლოებით ამას ამბობდა ზარატუსტრა. ქეშმარიტი ზარატუსტრა, ძველისძველი და არა ახლანდელი.

და მე „კარგი ქმარი“ ვარ? შეეძლებ ვიყო მისთვის კარგი ქმარი?

საინტერესოა, როგორი წარმოდგენა აქვს ჩემზე. წესიერად ხომ არც კი მიცნობს. მის ქარაფშუტა ტვინში, ახლობლებზე რამდენიმე ნაზი და ალერსიანი აზრი რომ უკიაფობს მხოლოდ და კიდევ რაღაც უმნიშვნელო სისულელები, გამოისახა გარეგნობა, რომელსაც ალბათ რაღაც საერთო აქვს ჩემთან, მაგრამ მე კი არა ვარ. და ამ გარეგნობაში იგი სიამოვნებას პოულობს — ღმერთმა იცის, რატომ. ალბათ იმიტომ, რომ უცოლო გახლავართ. აბა ერთი ახლო გამიცნოს, ახლოდან დამინახოს და წაიკითხოს, რას ვწერ აქ ღამლამობით, როგორ შეშინდება? ახლო არ გამეკარება ვფიქრობ, ნაპრალი ჩვენ სულებს შორის ძალიან დიდია. სხვათა შორის, მაინტერესებს გავიგო: იქნებ ცოლქმრობისათვის ჯობდეს კიდევაც, როცა ნაპრალი ესოდენ დიდია: პატარა რომ იყოს, ავყვებოდი ცდუნებას და შევეცდებოდი, ამომეგვსო იგი, ეს კი კეთილად არ დამთავრდებოდა! არ არსებობს ქვეყნად ისეთი ქალი, რომელსაც შემეძლია სრულიად გადავუშალო გული, დავენახო ისეთი, როგორიც სინამდვილეში ვარ! მერედა დასაშვებია იცხოვრო ქალთან გვერდიგვერდ და არასოდეს მიაკარო იგი ქეშმარიტ „მე“-ს. წმიდათაწმიდას, და შენს ნაცვლად სხვა შეაჩეჩო ჩასახუტებლად — დასაშვებია განა?

ეჰ, რატომაც არა. განა სინამდვილეში ეგრე არ ხდება? რა ვიცით ჩვენ ერთმანეთის შესახებ?

მაგრამ მე ეული ვარ. მთვარის ნათელი ესაღბუნება ჩემს სულს და მენატრება ქალი. მგონი მზად ვარ მივევარდე ფანჯარას და მოვიხმო ჩემთან იგი, ამდენ ხანს რომ მართოდმართო ზის სკამზე და ტყუილად ელოდება იმ ვილა-

ცას. მე პორტვეინი მაქვს, არაყი და ლუდი, გემრიელი საქმეები და გაქათმა-  
თებული ლოგინი. მისთვის ეს ყველაფერი ხომ სამოთხე იქნება.

ერეკნული  
ზიზღიერი



ვზივარ და ვფიქრობ, რა თქვა მაშინ მარქელმა ჩემზე და ბედნიერებაზე,  
ღმერთმა ხომ იცის, მზად ვარ დავქორწინდე და მის ჯიბრზე ბედნიერებისა-  
გან ისე გავიბადრო, როგორც წითლად შებრაწული საშობაო გოჭი.

3 აგვისტო

ისევ და ისევ მთვარე.

რამდენჯერ მინახავს იგი. სულ პირველად მთვარე აღრეულ ბავშვობაში  
ფანჯარაში დავინახე. ზამთრის ღამეებში იგი უძრავად ეკიდა დათოვლილი სა-  
ხურავის თავზე. ერთხელ დედა ხმამაღლა გვიკითხავდა ბავშვებს ვიქტორ რიუდ-  
ბერგის „ოჯახის ანგელოზს“ და რიუდბერგისეულ მთვარეში მაშინვე შევიცანი  
ჩემი ძველი ნაცნობი. მაგრამ იგი მაშინ ჯერ კიდევ არ ფლობდა იმ თვისებებს,  
მოგვიანებით რომ შეიძინა. მაშინ იგი არ იყო უწყინარი და სენტიმენტალური,  
ცივი და საშიში. უბრალოდ დიდი და ბრწყინვალე გახლდათ. იგი ეკუთვნოდა  
ფანჯარას, ფანჯარა კი ოთახს. იგი ჩვენთან ერთად ცხოვრობდა ჩვენს სახლში.

მოგვიანებით, როცა ჩემი მუსიკალური ნიჭი შეამჩნიეს, ფორტეპიანოზე  
დაკვრა შემასწავლეს და ნელ-ნელა შოპენამდე მივედი, დავინახე სრულიად  
ახალი, განსხვავებული მთვარე. მახსოვს ერთი ღამე, — მაშინ ალბათ თორმეტი  
წლისა ვიყავი — ვერაფრით ვერ დავიძინე, რადგან მთვარე ანათებდა და  
თავში შოპენის მეთორმეტე ნოქტიურნი მიტრიალებდა. ეს მოხდა აგარაკზე,  
სადაც ჩვენ ის იყო გადავედით საცხოვრებლად. ფანჯრებზე ჯერ კიდევ არ  
ეკიდა ფარდები. მთვარის შუქი ოთახში განიერ თეთრ ნაკადად იღვრებოდა და  
ზედ ევლებოდა ჩემს საწოლს. მაშინ საწოლზე წამოვჯექი და სიმღერა დავიწ-  
ყე. ამ ჯადოსნურმა, უსიტყვო სიმღერამ ვულკანივით ამოხეთქა ჩემი სხეუ-  
ლიდან და მთვარის სხივებში ჩაიხლართა. ღამის სიჩუმესთან შერწყმული  
ეს ორი საოცრება თითქოს უდიდეს, ნეტარ, მწველ ბედნიერებას მპირდებოდა  
და მეც ვმღეროდი თავდავიწყებული, ვიდრე მამაჩემი არ შემოვიდა და არ მი-  
თხრა, ახლავე დაწეკი და დაიძინეო.

ეს გახლდათ შოპენის მთვარე. ასეთივე იყო მთრთოლვარე, წყალზე მო-  
ნანავე მთვარე აგვისტოს იმ საღამოებში, ალისა რომ მღეროდა. მე მიყვარდა  
ალისა.

მახსოვს კიდევ უფსალის უნივერსიტეტისეული მთვარე. არასოდეს მინა-  
ხავს უფრო ცივი და გულგრილი მთვარე. უფსალში სტოკჰოლმისაგან ბევრად  
განსხვავებული კლიმატია, ჰაერი უფრო მშრალი და გამჭვირვალეა. ერთხელ,  
ზამთრის ღამეს წლოვანებით ჩემზე უფროს მეგობართან ერთად თოვლიან ქუ-  
ჩებში დავეხეტებოდით. თეთრ თოვლზე რუხი სახლების შავი ჩრდილები ისახე-  
ბოდა ჩვენ ვფილოსოფოსობდით. ჩვიდმეტი წლისას უკვე თითქმის აღარ მწამ-  
და ღმერთი, მაგრამ ამასთანავე დაბეჭითებით ვამბობდი უარს დარვინიზმზე.  
იგი უაზრობად, სისულელედ და უხამსობად მეჩვენებოდა. ჩვენ სადღაც ჩაბნე-  
ლებული თალის ქვეშ შევედით, ავიარეთ რამდენიმე საფეხური და პირდაპირ  
ტაძრის კედელთან აღმოვჩნდით. ხარაჩოებით გარშემორტყმული, იგი ისტო-  
რიამდელი ეპოქის რომელიღაც გიგანტური ცხოველის ჩონჩხს მოგვაგონებდა.

ჩემმა მეგობარმა სიტყვა ჩამოაგდო ცხოველებთან ჩვენს ნათესაურ კავშირზე. არ შევდავებივარ, ჩემთვის კი ვფიქრობდი: არა ხარ სწორი, მაგრამ რა უნდა გიყო: ჯერ იმდენი არ წამიკითხავს და მიფიქრია, რომ საწინააღმდეგო გიფიქრა. მაგრამ დამაცადე, დამაცადე თუნდაც ერთი წელი და ამავე ადგილზე, ამავე მთვარის შუქზე დაგიმტკიცებ, რომ არ იყავი სწორი და სისტემატყუარა ხავდი. ის, რასაც შენ ამბობ, არაა მართალი, არ შეიძლება მართალი იყოს და თუ ეს მართალია, გამოვდივარ თამაშიდან, ასეთ სამყაროში რაღა შესაქმებამეთქი. მეგობარი უფრო და უფრო უმატებდა ლაქლაქს და ხელში ათამაშებდა გერმანულ წიგნს, საიდანაც მას თავისი არგუმენტები მოჰყავდა. მოულოდნელად იგი შედგა, — მთვარის შუქი პირდაპირ სახეში სცემდა, — წიგნი გადახსნა იმ ადგილზე, სადაც ტექსტთან ერთად ილუსტრაციებიც იყო და გამომიწოდა. მთვარე ისე ნათელი იყო, რომ ჩანდა არა მარტო სურათები, მათ ქვეშ მინაწერებიც კი. სურათებზე გამოსახული იყო ერთმანეთისაგან ოდნავ განსხვავებული სამი თავის ქალა, — ორანგუტანის, ავსტრალიელი ზანგისა და ემანუელ კანტის. ზიზღით მოვისროლე წიგნი. ჩემი მეგობარი გაბრაზდა და მუშტებით დამეძგერა. კარგა ხანს ვუბაგუნეთ ერთმანეთს გაბღვრილებული, გულგრილი მთვარის შუქზე; იგი ჩემზე ძლიერი იყო, ფეხქვეშ მომიგდო, ზედ დამაჯდა და ყმაწვილური ძველი ჩვეულებისამებრ კარგად „დამბანა“ თოვლით.

გავიდა ერთი, ორი, მრავალი წელი, მაგრამ ვერაფრით ვერ შევძელი დამერწმუნებინა იგი, რომ მართალი ვიყავი. ბოლოს დავასკვენი, რომ უმჯობესი იყო ყველაფერი ძველებურად დარჩენილიყო. და თუმცა მაინც ვერ მივხვდი, რით იყო გამართლებული ჩემი არსებობა ამქვეყნად, თამაშიდან მაინც არ გამოვსულვარ.

და მას შემდეგ ბევრი, ბევრი მთვარე ვნახე კიდევ. ტბის თავზე არყის ხეებს შორის მოკიაფე, მშვიდი და სენტიმენტალური... ზღვის ტალღებზე მოცურავე... შემოდგომის დაფლეთილ ღრუბლებს შორის გასრიალებული... მთვარე სიყვარულისა, ბალიდან გრეტჰენის სარკმელში რომ იჭყიტებოდა და ჯულიეტას აივანს ანათებდა... ერთი ასაკოვანი ქალიშვილი, რომელსაც ძალიან უნდოდა გათხოვება, მიამბობდა, როგორ ცხარედ ატირდა ერთხელ, ტყეში მთვარით განათებული საყარაულო ქოხი რომ დაინახა... მთვარე გარყვნილი და ვნებიანიაო, ამბობს ერთი პოეტი. მეორე მთვარეს ეთიკურ-რელიგიური რწმენით უყურებს და მთვარის სხივებს ადარებს ძაფებს, რომლისგანაც ჩვენთვის ძვირფასი განსვენებულნი გზააბნეული სულის დასაჭერად ბადეს ქსოვენ... ყმაწვილისთვის მთვარე — კეთილი მომავლის დაპირებაა, მოხუცისთვის კი — ნიშანი იმისა, რომ დანაპირები არ შესრულდა, გახსენება ყველა იმ აუხდენელისა, რაც გაქრა, გაცამტვერდა.

სინამდვილეში კი რა არის მთვარის შუქი?

მზის სხივის ანარეკლი, დასუსტებული და სახეშეცვლილი.



აი ამ მთვარეს კი, სამრეკლოს უკან რომ მიმალულა, საცოდავი ფიზიონომია აქვს. მეჩვენება, თითქოს მისი ნაკვთები რაღაც შეუცნობელი ტანჯვით დამახინჯებულა, გადარეცხილა და დანაწევრებულა. საბრალო, რად ატუზულხარ მანდ? სიყალბისთვის მოგისაჯეს? ეს შენ გააყალბე მზის სხივები?

ცხადია, დანაშაული მძიმეა, მაგრამ ვის შეუძლია თავი გამართოს, რომ არასოდეს ჩაიდენს დანაშაულს?



...საწოლზე წამოვჯექი და ღამის ნათურა ჩავრთე. ცივ უბნებში მცურავდი, თმა შებლზე მიმწებებოდა. რა დამესიზმრა ასეთი?

იგივე ამბავი. თითქოს პასტორი მოვკალი. თითქოს საჭირო იყო მომკვლარიყო, რადგან ცოცხალსვე უკვე აყროლებული გვამის სუნი ასდიოდა და მე როგორც ექიმი, ვალდებული ვიყავი ეს გამეკეთებინა... რადგან ჩემს პრაქტიკაში ასეთი შემთხვევა პირველად მოხდა, ეს საძნელო და არასასიამოვნო ამბად მეჩვენებოდა, და რომ ესოდენ სერიოზულ საქმეში ჩემს თავზე არ ამელო პასუხისმგებლობა, ძალიან მინდოდა რომელიმე ჩემი კოლეგისაგან კონსულტაცია მიმელო. შორეულ, ნახევრად ჩაბნელებულ კუთხეში შიშველი ფრუ გრეგორიუსი იდგა და პატარა შავი ვუაღით ცდილობდა სხეულის დაფარვას. როდესაც ქალმა სიტყვა „ქოლეგა“ გაიგონა, თვალებში ისეთი შიში და ტანჯვა ჩაუდგა, მაშინვე მივხვდი, სასწრაფოდ თუ არ ვიმოქმედებდი, საქმე ცუდად წაუვიდოდა, — რატომ წაუვიდოდა ცუდად, ეს კი არ ვიცოდი, — ვიცოდი მხოლოდ, რომ ეს ისე უნდა გამეკეთებინა, არავის არასოდეს არაფერი შეეტყო. გავაკეთე. ავდექი და გავაკეთე. როგორ მოხდა ეს? არ მახსოვს. მახსოვს მხოლოდ, რომ ცხვირზე ხელი მოვიჭირე, შევბრუნდი და ჩემთვის ვთქვი: ესეც ასე, მორჩა, სიმყრალე აღარ იქნება-მეთქი. ის იყო ფრუ გრეგორიუსისთვის უნდა ამეხსნა, ეს საკმაოდ იშვიათი, საინტერესო შემთხვევაა. ადამიანების უმრავლესობა სიკვდილის შემდეგ ყროლდება და მაშინ მათ მარხავენ, მაგრამ თუ სიცოცხლეშივე აყროლდა ვინმე, იგი უნდა მოკვდეს, თანამედროვე მეცნიერებამ სხვა საშუალება არ იცის-მეთქი... მაგრამ ფრუ გრეგორიუსი ველარ დავინახე, იგი გამქრალიყო. ჩემ გარშემო ყველაფერი გაქრა, ბუნდოვანი გახდა. ირგვლივ მხოლოდ სიცარიელე იყო... ბოლოს სიბნელე გაფერმკრთალდა, ფერფლისფერ — რუხ ბინდში გადავიდა... მე კი უკვე საბოლოოდ გამოფხიზლებული ვიჯექი საწოლში და საკუთარ ხმას ვუსმენდი...

ავდექი, ტანზე რაღაც წამოვიხურე და ყველა ოთახში ავანთე შუქი. არ მახსოვს, რამდენ ხანს ვიარე წინ და უკან. ბოლოს დარბაზში სარკის წინ შევჩერდი და დიდხანს ვუყურე ჩემს უფერულ, უაზრო გამოსახულებას, თითქოს უცხო იყო იგი ჩემთვის. უეცრად ისეთი დიდი სურვილი გამიჩნდა გამეტეხა ეს ძველებური, ჩემი ბავშვობისა და თითქმის მთელი სიცოცხლის, და კიდევ ჩემს გაჩენამდე ბევრზე ბევრი ამბის მომსწრე სარკე, რომ შეშინებულმა უკან დავიხიე და გაღებულ ფანჯარასთან დავდექი. წვიმდა. მთვარე აღარ ჩანდა. წვიმის შხეფები სახეზე მხვდებოდა და ეს დიდ სიამოვნებას მგვრიდა.

„ვინც სიზმარს აჰყვება, საქმეს ჩამორჩება...“ მშვენივრად მახსოვხარ ძველებური ბრძნული ანდაზავ. სიზმარში ნანახი ბევრი ამბავი თავის სამტვრევად არ ღირს. ეს ხომ ხშირად სრულიად შემთხვევით განცდილის, ან იმ უმნიშვნელო ამბის ნაფლეთები და ნაწყვეტებია, რომელთა ფიქსირება ჩვენმა გონებამ არ ჩათვალა საჭიროდ, მაგრამ განაგრძობს სიცოცხლეს თავისი მოჩვენებითი, განკერძოებული სიცოცხლით ჩვენი ტვინის უჯრედებში. მაგრამ არსებობს სხვაგვარი სიზმრებიც. მახსოვს ბავშვობაში მთელი დღე ვიწვალე გეომეტრიული ამოცანის ამოხსნაზე და ისე დავწექი დასაძინებლად, ვერაფერი მოვუხერხე. ძილში ტვინმა განაგრძო მუშაობა და ამ ამოცანის შედე-

გი დამესიზმრა. ეს ამოცანის ზუსტი პასუხი აღმოჩნდა. ზოგიერთი სიზმარი, წყლის ზედაპირზე ფსკერიდან ამომავალ ბუშტულებს ჰგავს. რამდენ სიზმარში საკუთარ თავზე გამიგია რაიმე ამბავი. რამდენჯერ სიზმარს ჩემთვის გამოუ-აშკარავებია ის სურვილები, რომლებიც არც მინდოდა მქონოდა, არც ვინებანი, რომელთა ცნობაც არ მინდოდა დღის სინათლეზე. ამ სურვილებსა და სურვილებს შემდეგ კარგად ვწონიდი და ვამოწმებდი მზის სინათლეზე, მაგრამ რაკილა ისინი შუქს ვერ უძლებდნენ, მათ ისევ უკან, სიბნელეში ვაბრუნებდი, სადაც მათი ჭეშმარიტი ადგილი იყო. სიზმრებში მაინც ხშირად გაიელვებდნენ ხოლმე, თუმცა მაშინვე ვცნობდი და გესლიანი ღიმილით ვხვდებოდი მათ. ამიტომ ბოლოს და ბოლოს ისინი აღარ ცდილობდნენ დღის სინათლეზე ცხადად გამოჩენას.

მაგრამ, ახლა ეს სულ სხვა რამეა. და მინდა ვიცოდე, მაინც რა არის. მინდა ავწონ-დავწონო და შევამოწმო. ასეთი ბუნება მაქვს. ვერაფერს ვერ ვიტან ნახევრად აუხსნელს, შეუცნობელს, ბოლომდე გაურკვეველს, როცა ჩემს უფლებებშია სააშკარაოზე გამოვიტანო და ყოველმხრივ განვიხილო ეს შეუცნობელი.

მაშ ასე. მოდით განვსაჯოთ.

ქალმა თხოვნით მომმართა და მეც დახმარება აღვუთქვი. სახელდობრ როგორი უნდა ყოფილიყო შემდგომში ეს დახმარება, არც მე და არც ის ქალი ამაზე მაშინ არ ვფიქრობდით. მისი თხოვნის შესრულება იოლი და უბრალო იყო. ეს ჩემგან არც წვალეზას ითხოვდა, არც შეშფოთებას, უფრო გამართო თითქოს: მშვენიერ ქალს აღმოვუჩინე საკმაოდ დელიკატური დახმარება, თანაც ბოროტად გავამასხრე ღვთის ბილწი მსახური და ამ ეპიზოდმა აღისფერ ანარეკლად გაიელვა მოწყენილობის ბუნდოვან წყვილიაღში. ქალისთვის ხომ ეს ბედნიერების, თვით სიცოცხლის საკითხი იყო, ყოველ შემთხვევაში იგი ასე ფიქრობდა და შესძლო მეც დავერწმუნებინე. კარგი, მე შევპირდი დახმარებას და შევუსრულე კიდევაც, რაც მაშინ იყო საჭირო.

მაგრამ დროთა განმავლობაში ყოველივე ამან სხვაგვარი სახე მიიღო და ამჯერად, ვიდრე გავაგრძელებდე, უსათუოდ უნდა ჩავწვდე მის ნამდვილ დედაარსს.

ღიახ! შევპირდი დახმარებას, მაგრამ არ მიყვარს სანახევროდ საქმის გაკეთება. ახლა ვიცი, თუმცა ადრეც ვიცოდი: ერთადერთი რეალური დახმარება მისი განთავისუფლებაა.

ორ სამ დღეში პასტორი დაბრუნდება და ყველაფერი თავიდან დაიწყება. საკმარისად გავიცანი ეს კაცი. მაგრამ პრობლემა განა მართო ეს არის; ფრუგრეგორიუსმა ალბათ თავადაც შეიგნო, რომ რაღაც არ უნდა დაუჭდეს, საკუთარი ძალებით უნდა დააღწიოს თავი, თუნდაც დაინგრეს მისი ცხოვრება და განადგურდეს. არის კიდევ სხვა რამ; რაღაც ისეთი გრძნობა მაქვს, ამასთან საკმაოდ დამაჯერებელიც, რომ მალე ფეხმძიმედ შეიქმნება. ასეთი სიყვარულის დროს ამ ამბავს გვერდს ვერაფრით ვერ აუვლის. სულ ერთია, უნდა თუ არ უნდა. და მაშინ: ეს თუ მოხდება, — როცა ეს მოხდება, — რა იქნება მაშინ? . . . მაშინ პასტორი გზიდან უნდა ჩამოეცალოს, სამუდამოდ.

სხვათა შორის, ეს თუ მოხდა, გამორიცხული არაა იგი ჩემთან მოვიდეს და იგივე ხასიათის „დახმარება“ მთხოვოს. რაც მანამდე არაერთხელ მრავალ სხვა ქალს უთხოვია. რას ვიზამ, ალბათ დავყვები მის ნებასურვილს, რადგან

ვერ წარმომიდგენია წინააღმდეგობა გავუწიო. მაგრამ მერე კი კბარა, გამოვ-  
დივარ თამაშიდან.

მაგრამ ვგრძნობ, ვგრძნობ და ვიცი, რომ არაფერი ამის მსგავსი არ მოხ-  
დება. იგი არ ჩამოგავს სხვებს. არასოდეს არ მთხოვს ამგვარი დახმარებას.

ამიტომ პასტორი გზიდან უნდა ჩამოეცალოს. *შეიძლება*

თავიც რომ ვიმტვრიო, სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ. პასტორი გონს მო-  
ვიყვანო? განუშარტო, რომ აღარა აქვს უფლება სიცოცხლე გაუმწაროს ამ  
ქალს, რომ ვალდებულია თავისუფლება მისცეს მას? სისულელეა. იგი ცოლია  
მისი. ყველაფერი ადასტურებს ამ კაცის უფლებებს: საზოგადოება, ღმერთი,  
საკუთარი სინდისი. სიყვარული მისთვის რასაკვირველია, იგივეა, რაც ლუ-  
თერისთვის იყო: ბუნებრივი მოთხოვნილება, რომლის დაკმაყოფილება ღმერ-  
თისაგან ერთხელ და სამუდამოდ ნებადართული აქვს ერთ განსაზღვრულ ქალ-  
თან. სიცივე და მტრობა ცოლის მხრიდან მას არასოდეს, ერთი წამითაც კი  
არ აიძულებს დაეჭვდეს თავის „უფლებებში“. სხვათა შორის, ალბათ ჰგონია,  
რომ ცოლიც იმ გარკვეულ მომენტში იმასვე განიცდის, რასაც თვითონ, მაგ-  
რამ განა შეეფერება ქრისტიანს, თანაც მღვდლის ცოლს ამაში გამოუტყდეს,  
თუნდაც საკუთარ თავს? პასტორსაც არ უნდა ამ საქმიანობას სიამოვნება და-  
არქვას, ურჩევნია უწოდოს — „ვალდებულება“, „ღვთის ნება“... არა, ასეთი  
გზიდან უნდა ჩამოეცალოს, უნდა ჩამოეცალოს!

როგორ დაიწყო ეს: მე ვეძებდი საქმეს, ვნატრობდი გამომჩენოდა. ეგებ  
ესაა ჩემი საქმე? საქმე, რომელიც უსათუოდ უნდა გაკეთდეს და რის აუ-  
ცილებლობას ვხედავ მხოლოდ მე და არც ერთი სულიერი ჩემს გარდა ამ საქმეს  
თავის თავზე არ აიღებს?

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს საქმე ერთი შეხედვით ცოტა უცნაურია,  
მაგრამ ეს არც მის „საწინააღმდეგოდ“ ლაპარაკობს, არც მის „სასარგებ-  
ლოდ“. ნამოქმედარის „დიდებულება“, „სილამაზე“ — საზოგადოებაზე მისი  
ზემოქმედების ანარეკლია მხოლოდ. რადგან ჩემი თავმდაბლური განსჯით გან-  
ზრახული მაქვს ამ შემთხვევაში თავი შორს დავიჭირო ყოველივე იმისაგან,  
რასაც საზოგადოება ჰქვია, ეს მოსაზრება ანგარიშის გასაწევი არაა. მე თვი-  
თონ ვარ ჩემი საზოგადოება. მინდა ჩემი საქმე უკუღმა მხრიდან დავინახო,  
გავიგო, როგორ გამოიყურება შიგნიდან.

უწინარეს და უპიროველეს ყოვლისა: გამოდის, რომ ნამდვილად სერიო-  
ზულად მინდა პასტორის მოკვლა.

რას ნიშნავს „მინდა“? ადამიანის სურვილი ხომ ჩამოყალიბებული არაა,  
იგი ათასობით ურთიერთსაწინააღმდეგო იმპულსების სინთეზია. სინთეზი ფიქ-  
ციაა, სურვილიც ფიქციაა. მაგრამ ჩვენ გვჭირდება ფიქციები, და არ არსებობს  
ფიქცია უფრო აუცილებელი, ვიდრე სურვილი, მაშ ასე: გინდა თუ არა?

მინდა და არც მინდა.

მესმის ორი საწინააღმდეგო ხმა. იძულებული ვხდები დაკითხვა მოვუწ-  
ყო მათ: რატომ ამბობს ერთი „მინდას“, მეორე კი „არ მინდას“.

დავიწყოთ შენიდან. შენ ამბობ „მინდა“. რატომ გინდა? მიპასუხე!

— მე მოქმედება მინდა. სიცოცხლე მოქმედებაა. რაიმე რომ მალეღვებს,  
მინდა ჩავერიო. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყოველთვის ვერევი საქმეში, რო-  
დესაც ვხედავ, რომ ვთქვათ, ბუზი ებმება ობობას ქსელში. არა, ობობებისა და  
ბუზების სამყარო ჩემთვის გარესამყაროა, გარდა ამისა არ მიყვარს გადაჭარ-  
ბება და არც ბუზები მიყვარს. მაგრამ თუ ობობას ქსელში ოქროსფრთიან

პაწაწინა მწერს დავინახავ, უსათუოდ დავწყვიტავ ქსელს და თუ სკვირობა, ობობას მოვკლავ, რადგან არ მჯერა, თითქოს ობობების მოკვლა არ შეიძლებოდეს. მივდივარ ტყეში, მესმის, ვიდაც ყვირის. შველას ითხოვს; მივეცევი მას და ვხედავ მამაკაცს, რომელიც ქალის შეცდენას ლამობს. ბუნებრივად იმე ყოველ ღონეს ვხმარობ, ვიხსნა ქალი და თუ აუცილებელია, ვწყლავ მას. კანონი არ მაძლევს ამის უფლებას. კანონი უფლებას მაძლევს მოვკლა სხვა, მხოლოდ აუცილებელი თავდაცვის შემთხვევაში, აუცილებელ თავდაცვაში კი კანონი გულისხმობს მხოლოდ საკუთარი სიცოცხლის დაცვას და ისიც უკიდურეს შემთხვევაში. კანონი ნებას არ მაძლევს მოვკლა ვინმე მამის, შვილის, ან საუკეთესო მეგობრის გადასარჩენად, თუნდაც შეყვარებულის დასაცავად ძალადობის ან დაშინებისაგან. მოკლედ რომ ვთქვათ, კანონი სასაცილოა და არც ერთი წესიერი ადამიანი არ იხელმძღვანელებს კანონით თავის მოქმედებაში.

— კი მაგრამ, დაუწერელი კანონი? მორალი?

— ჩემო ძვირფასო, მეგობარო, ეს შენც მშვენივრად იცი, რომ მორალი დენადობის მდგომარეობაში იმყოფება. მან შესამჩნევი ცვლილებები განიცადა ღროის იმ წამიერად გაელვებულ მონაკვეთშიც კი, რაც მე და შენ ამქვეყნად გვიცხოვრია. მორალი — ესაა საქვეყნოდ ცნობილი ცარცის ხაზი ქათმის გარშემო: იგი ბოჭავს მას, ვისაც მისი სჯერა. მორალი — ესაა ზოგიერთების წარმოდგენა „სისწორეზე“ ცხოვრებაში, მაგრამ აქ ხომ ჩემზეა ლაპარაკი! უარს ვერ ვიტყვი, რომ ხშირ, შესაძლოა უმრავლეს შემთხვევაში და სწორედ უფრო გავრცელებულ შემთხვევებში ჩემი წარმოდგენა „სისწორეზე“ ემთხვევა სხვების წარმოდგენებს, „მორალს“; უფრო ხშირ შემთხვევაში კი ჩემს საკუთარ აზრსა და მორალს შორის განსხვავება არ მიმაჩნია იმ რისკის ფასად, რომელიც შესაძლოა გამოიწვიოს მისაგნ გადახრამ და ამიტომაც ვემორჩილები მას. ამგვარად, ჩემთვის მორალი — სრულიად შეგნებულად — იგივეა, რაც პრაქტიკულად ყველასთვის და თითოეულისთვის, თუმცა, არც თუ ყველასა აქვს ეს შეგნებული: არა როგორც რაიმე უცილობელი, უმაღლესი კანონი, არამედ ყოველდღიურ სახმარად ხელსაყრელი *modus vivendi*<sup>1</sup> იმ გაუთავებელ ომში, რომელსაც ერთმანეთს შორის აწარმოებს სამყარო და ინდივიდუუმში. ვიცი და ვაღიარებ, რომ არსებული მორალი, ისევე როგორც ბურჟუაზიული კანონი, თავის საერთო, მთავარ თვისებებში ასახავს იმ უფლებრივ ცნებებს, რომლებიც წარმოადგენენ თაობიდან თაობაზე გადასულ, თანდათანობით მზარდი, სახეცვალებადი გამოცდილების ნაყოფს, რომელიც აუცილებელი პირობაა კაცობრიობის არსებობისათვის. ვიცი, რომ საერთოდ და მთლიანად ეს კანონები დაცული უნდა იქნეს, სხვაგვარად ჭეშმარიტად შეუძლებელი იქნება დედამიწაზე იმ ადამიანების ცხოვრება, რომელთა არსებობა წარმოუდგენელია საზოგადოებრივი ორგანიზმის გარეშე და რომლებიც გამოზრდილნი არიან მისი სხვადასხვაგვარი საკვებით: ბიბლიოთეკებითა და მუზეუმებით, პოლიციითა და წყალგაყვანილობით, ქუჩის განათებით, ყარაულთა შეცვლის ცერემონილით, ქადაგებებით, კლასიკური ბალეტით და სხვა ამგვარით. მაგრამ ამასთან ერთად ჩემთვის ცნობილია, რომ ხალხი, რომელიც ცოტად თუ ბევრად აზროვნებს, ამ კანონებთან არასოდეს არ არის პედანტურ დამოკიდებულებაში. მორალი საოჯახო ნივთია და არა ღმერთი. იგი

<sup>1</sup> ცხოვრების წესი, პირობათა ერთობლიობა, რომელიც ორი მხარის დროებით დამოკიდებულებას განსაზღვრავს.



უნდა გამოვჩვენოთ და არა გავაღძვროთ. თანაც უნდა გამოვიყენოთ ჭკუითა და ოდნავ მარტივ მოვაყაროთ. თუ ანგარიშს გაუწევ იმ ჭკვეუნი ზნე-ჩვეულებებს, სადაც მოხვდი — ჭკვიანურია. მაგრამ ეს არ უნდა გაკეთო მთელი რწმენით. მე მოგზაური ვარ ამქვეყნად; ვაკვირდები ხალხს, ჭკვეუნი ზნე-ჩვეულებებს და ისეთს ვადმოვიღებ ხოლმე, რომელიც გამომაღგება სწავლით. მთელი ხომ „mores“-ისაგან წარმოდგება, ეს კი ნიშნავს ზნე-ჩვეულებას. იგი მთლიანად და სავსებით დაფუძნებულია ზნე-ჩვეულებებზე. საყოველთაოდ მიღებულ წესებზე, სხვა ნიადაგი მას არა აქვს. ასე რომ, სულაც არაა აუცილებელი იმის ახსნა, რომ მკვლევლობით დანაშაულს ჩავიდენ. რაც საყოველთაოდ მიღებულ წესებს ეწინააღმდეგება. მორალს — შენ ხუმრობ!

— დიახ, ვალიარებ, რომ შეკითხვა ფორმალური იყო. მორალის ამბავში ჩვენ ერთმანეთს ვუგებთ. მაგრამ ამით შენ ჩემგან თავს ვერ დააღწევ და საწყისში სულ სხვა რამ მაინტერესებდა: მე არ მიკითხავს, როგორ ბედავ-მეთქი ამის გაკეთებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩვეულებისა და მორალის საწინააღმდეგოა. მე შეგეკითხე, რატომ გინდა-მეთქი ამის ჩადენა. შენ მაგალითად მოიყვანე ვიღაც მოძალადე, რომელსაც ტყეში ქალისთვის ნამუსი უნდოდა აეხადა. ეს რა შედარებაა! მდაბიო მოძალადე — და უმწიკვლო, პატივცემული მოხუცი ღვთისმსახური!

— დიახ, შედარება ცოტას მოიკოჭლებს. აქ ლაპარაკია ჩვენთვის უცნობ ქალსა და მამაკაცზე და მათ შორის ჩვენთვის ნაწილობრივ ნაცნობ დამოკიდებულებაზე. არ არსებობს არავითარი საფუძველი, რომ ეს უცნობი ქალი ღირსი იყოს მისი გულისათვის მამაკაცი მოკლან. ან სად არის საფუძველი იმისა, რომ უცნობი მამაკაცი, რომელიც დაბურულ ტყეში ახალგაზრდა ქალს შეხვდა და უეცრად მასში გაღვიძებულ პანს ვერ მოერია, ღირსი იყოს ამის ნიადაგზე სიკვდილისა. და ბოლოს, სად არის საფუძველი იმისა, რომ ჩვენს წინაშეა შემთხვევა, რომელიც სასწრაფო ჩარევას მოითხოვს! გოგონა ყვირის შიშისაგან, ტკივილისაგან, მაგრამ რომელ კანონში სწერია, მიყენებული ზარალი ყვირილით განიზომოს. არაა გამორიცხული, ეს ორი არსება კეთილ მეგობრებად დაშორდეს ერთმანეთს. სოფლებში მრავალი ქორწინების დასაბამი შეცდენა გამბდარა და სხვა ქორწინებებზე ნაკლებად გამძლე არ გამომდგარა. მოტაცება კი ერთ დროს ხომ ქორწინებისა და ჯვრისწერის ჩვეული ფორმა იყო. მაშასადამე, თუ ჩემ მიერ მოყვანილ მაგალითში ვკლავ მამაკაცს, რათა განსაცდელისაგან ვიხსნა ქალი — ეს იქნებოდა საქციელი, რომელსაც ჩემის აზრით, გაამართლებდა მორალისტთა უმრავლესობა, კანონის დამცველთა გამოკლებით, და თუ მას ფრანგი ან ამერიკელი ნაფიცი მსაჯულნი განიხილავდნენ, ხალხის აღტაცებული აპლოდისმენტების ქვეშ გაამართლებდნენ — აქ მე ვმოქმედებ იმპულსურად, დაუფიქრებლად და შესაძლოა ლაზათიან სისულელესაც ჩავდივარ. ჩვენ შემთხვევაში კი სხვა ამბავია. აქ საქმე ეხება ძალიანობის არა ერთ შემთხვევას, არამედ მრავალჯერ განმეორებულს, საფრთხეს, რომელიც თვით სიცოცხლეს ემუქრება. საქმე ეხება არა ჩვენთვის უცნობი ღირსების მქონე რომელიმე უცნობ მამაკაცს, არამედ ადამიანს, რომელსაც შესანიშნავად იცნობ. პასტორ გრეგორიუსს. და საქმე ეხება რეალურ დაბმარებას, არა რომელიმე უცნობი ქალის გადარჩენას, არამედ შენი ფარული შეყვარებულისა.

— არა, გაჩუმდი, კმარა, შეწყვიტე!..

— რომელი მამაკაცი მოითმენს, მის თვალწინ ნამუსს ხდიდნენ და ლაფში სვრიდნენ ქალს, რომელიც მას უყვარს?

— გაჩუმდი! ქალს სხვა უყვარს. ეს იმ სხვა კაცის საქმეა და არა ჩემი!

— შენ მშვენივრად იცი, რომ იგი გიყვარს. მაშასადამე, ეს შენი საქმეა.

— გაჩუმდი!.. მე ეჭიმი ვარ. შენ კი გინდა ჩუმად სიკვდილი შეგაჩუქო მოხუცებულ ადამიანს, რომელიც დახმარებისთვის მოვიდა ჩემთან!

— შენ ეჭიმი ხარ. ხომ ხშირად იმეორებდი: ეჭიმის მოვალეობა, ეჭიმის მოვალეობააო. აი ისიც შენს ხელთაა და ვფიქრობ, საკმაოდ ნათელიცაა. სწორედ ეჭიმის მოვალეობა გავალებს, დაეხმარო, ვისაც ეკუთვნის და სჭირდება დახმარება, დამპალი ქსოვილი, რომელიც ლუპავს ჯანსაღს, მოაშორო. მართალია, ამით დიდ ზიანს მოუტან საკუთარ თავს, მოგიწევს ენას კბილი დააჭირო, რათა საგიჟეში არ მოხვდე, მაგრამ...

როგორც ახლა მაგონდება, მონაბერმა ნიავმა უეცრად მოიტაცა ფარდა და სანთლის ალი მოედო ფარდის კიდეც, მაგრამ მაშინვე მუჭით მოვაშტვე ნამცეცა ცეცხლის ცისფერი ალი და ფანჯარა დავხურე. ეს ყველაფერი მექანიკურად გავაკეთე, შეიძლება ითქვას, შეუგნებლად. წვიმა უშხაბუნებდა შუშებზე. თანაბრად იწვოდა სანთლები. ერთ-ერთ მათგანზე მორუხო ფერის ღამის პეპელა იჭდა.

სანთლის უძრავი ალის ცქერაში აზროვნება დამეკარგა, ალბათ გავშტერდი, გამოვითიშე, ან წამთვლიმა კიდეც. მაგრამ უეცრად თითქოს ხელი მკრესო, შევკრთი და ყველაფერი გამახსენდა. რა უნდა გამერკვია და რა გადაწყვეტილება უნდა მიმედო, ვიდრე დასაძინებლად დავწვებოდი.

— მაშ ასე, ახლა შენ, შენ ამბობ, რომ „არ გინდა“ — რატომ არ გინდა?

— მეშინია. უპირველეს ყოვლისა მხილებისა და „დასჯის“ მეშინია. არ იფიქრო, არ ვაფასებდე შენს წინდახედულობას და ეშმაკობას, შენ შეგიძლია შესანიშნავად მოაწყო ყოველივე. ამას წყალი არ გაუვა, მაგრამ რისკი მაინც რისკად რჩება. შემთხვევითობა... ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

— ცხოვრებაში უნდა შეგეძლოს რისკის გაწევა. შენ საქმე გწყუროდა. დაგავიწყდა, რა ჩაწერე სწორედ ამ დღიურში სულ რამდენიმე კვარის წინ, როცა მე და შენ ეჭვადაც არ ვიცოდით, რა მოხდებოდა შემდეგ! მდგომარეობა, რეპუტაცია, მომავალი — ხომ მზად იყავი ეს ყველაფერი პირველსავე საქმით დატვირთული გემისთვის გაგეტანებია... დაგავიწყდა? გინდა გაჩვენო?

— არა. არ დამევიწყებია. მაგრამ ეს არ იყო მართალი. წავიტრაბახე. სულ სხვა გრძნობით ვუყურებ მოახლოებულ გემს ახლა, როგორ არ გესმის, რომ ასეთი სისულელე არც დამსიზმრებია? ვიტრაბახე! ვიცრუე! ახლა არავინ გვისმენს; შემიძლია გულახდილი ვიყო. ჩემი ცხოვრება ცარიელი და უბადრუკია, მასში ვერ ვხედავ ვერავითარ აზრს, მაგრამ მაინც ვერ ველევი. მიყვარს მზის გულზე ხეტიალი და ხალხში ტრიალი; სულაც არ მინდა რაიმეს ვმალავდე და შიშისაგან ვცახცახებდე. თავი დამანებე!

— თავი დაგანებო? არა ჩემო კარგო, თავის დანებება ასე ადვილად არ იქნება. შენ გინდა გულგრილად ვუცქირო, როგორ იბრჩობა, როგორ იგუდება ბინძურ გუბეში იგი, ვინც ასე მიყვარს და ვისი გადარჩენაც ხელის ერთი მოსმით შემიძლია? როგორ დავმშვიდდები, როგორ შემიძლია მშვიდად ვიცხოვრო, ვინებივრო მცხუნვარე მზის ქვეშ ამ მიღეთ ხალხში, თუ მას ზურგს შევაქცევ? რა დამამშვიდებს?

— მეშინია. არა იმდენად მხილებისა. მე ხომ სულ თანა მაქვს ჩემი აბები

და შემძლია თამაშიდან მაშინვე გამოვიდე, როგორც კი ვიგრძნობ რაიმე უკეთურის მოახლოებას. ჩემი თავისა მეშინია. ვიცნობ კი კარგად საკუთარ თავს? ვაითუ ისეთ საქმეში ვავება, რომელიც ისე დამაბნევს და შემბოხებს, თავი ვეღარ გამოვიხსნა. რასაც შენ ჩემგან ითხოვ, სულაც არ ეწინააღმდეგება ჩემს რწმენას; მსგავს საქციელს ყოველთვის მოვუწონებდი ყველანაირად, თუ ვიგულისხმებთ, რომ იგივე მეცოდინებოდა, რაც ახლა ვიცი. მაგრამ ეს ეწინააღმდეგება ჩემს მიდრეკილებებს, ჩვევებს, ინსტინქტებს, ყველაფერ იმას, რაც არსებითად შეადგენს საკუთარ „მეს“. არა ვარ ასე მოწყობილი. არიან ათასობით გამბედავი, ენერგიული ბიჭები, რომელთაც კაცის კვლა ჩირადაც არ უღირთ. რატომ არ შეიძლება ეს საქმე ერთ-ერთ მათგანს დავავალოთ? მეშინია, სინდისი შემაწუხებს. ასე ხდება, როცა საკუთარი ტყავიდან ძვრები. „არ გაძვრე საკუთარი ტყავიდან“, — ეს ნიშნავს, საზღვარი დაუდო შენს შესაძლებლობებს: არ მიინდა ტყავიდან გაეძვრე. ჩვენ ყოველ ცისმარე დღეს საოცრად იოლად, სიამოვნებითაც კი ჩავდივართ იმას, რაც ზოგჯერ ეწინააღმდეგება ჩვენს ყველაზე ჭეშმარიტ, ყველაზე ღრმა რწმენას, და ჩვენი სინდისი ამ დროს ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში. მაგრამ აბა ერთი სცადეთ და თქვენი ბუნების საწინააღმდეგოდ მოიქეციით; ნახავთ, როგორ აღრიალდება თქვენი სინდისი ეს იქნება კატების კონცერტი შენ ამბობ, რომ საქმეს ვნატრობდი? — ეს შეუძლებელია, არ არის მართალი, აქ რაღაც გაუგებრობაა. ვერ დავიჭერებ, რომ ჩემს არსებაში შეიძლებოდა ჩასახულიყო ასეთი უაზრო სურვილი, — მე მაყურებლად ვარ დაბადებული; მსურს მოხერხებულად ვიჭდე ლოჯიაში და ვუცქეროდე, როგორ ხოცავენ სცენაზე მსახიობები ერთმანეთს, მე კი იქ არავითარი საქმე არა მქონდეს, შორს მიინდა ვიყო ამ საქმისაგან, თავი დამანებე!

— არარაობა! არარაობა ხარ შენ!

— მეშინია. ეს რაღაცის ზეგავლენაა. რა საერთო მაქვს ამ ხალხთან და მათ ბინძურ საქმეებთან! პასტორი ისე მეზიზღება, რომ შიშით კი მიპყრობს... არ მსურს ჩემი ცხოვრება მისას დაუკავშირდეს. ან რა ვიცი მის შესახებ? რაც პასტორში მეზიზღება, ჯერ კიდევ არ არის თვითონ „იგი“, ეს მხოლოდ შთაბეჭდილებაა, რომელსაც ჩემზე ახდენს. დარწმუნებული ვარ ასობით და ათასობით ადამიანთან ექნებოდა მას ურთიერთობა, მაგრამ მათზე სულ სხვაგვარ შთაბეჭდილებას მოახდენდა. ანაბეჭდი, მან ჩემს სულს რომ დააჩნია, არ წაიშლება მისი გაქრობის შემთხვევაშიც კი, მით უმეტეს, თუ იგი ჩემი ხელისშეწყობით გაქრება. იგი ცოცხალიც იმაზე მეტად „დამეპატრონა“, ვიდრე მიინდოდა და ვინ იცის, სიკვდილის შემდეგ იქნებ მეტიც შეძლოს? ვიცნობთ ამ ფოკუსებს. წამიკითხავს რასკოლნიკოვზე, ტერეზა რაკენზე. მოჩვენებებისა არა მჭერა, მაგრამ რაზე ავითკივო აუტკივარი თავი? რაში მჭირდება ეს ყველაფერი? არ აჯობებს გავეცალო აქაურობას? მოვიარო ტყუები, ღრეები, მდინარეები, ვიხეტიალო მწვანე ხეივნებში, ჭიბეში მედოს პატარა, კოხტად შეკრული წიგნი და ჩავიძირო ამაღლებულ, კეთილშობილურ, კეთილ, მშვიდ აზრებში, რომლებიც სულაც არაა დასაძალი, პირიქით, საქება-რია. დამეხსენ, მომეცი ნება ხვალ გავემგზავრო...

— არარაობავე!

დილის რუხ რიყრაჟში ჭუჭყიანი ალით იწვოდნენ სანთლები. ზრთებ  
 დამწვარი პეპელა მაგიდაზე ფართხალებდა.  
 საწოლზე მივეგდე.



ვისეირნე ცხენით, ვიბანავე, ავადმყოფებიც მივიღე და გამოძახებითაც  
 ვიყავი ოჯახებში, როგორც ყოველთვის. დღეც იწურება. დავიღალე.

აგურის სამრეკლო გიზგიზებს ჩამავალი მზის სხივებში. ასეთ დროს დიდებ-  
 ბული ელფერი ადევს კრონის ხის კენწეროთა სიმწვანეს, ცის სილურჯე კი  
 საოცრად ღრმაა. შაბათი საღამოა. ღარიბთა ბავშვები „კლასობანას“ თამაშობ-  
 ნენ ქვიშიან ბილიკზე. ღია ფანჯარასთან პერანგისამარა ზის მამაკაცი და ფლე-  
 იტაზე უკრავს ინტერმეცოს მასკანის „სოფლის პატიოსნებიდან“. საოცარია,  
 რაოდენ ვადამდეგია მელოდია. სულ რაღაც ათი-თხუთმეტი წელი გავიდა მას  
 შემდეგ, რაც აი, ეს მელოდია გამოეყო ბგერათა ქაოსს და ღარიბ იტალიელ  
 მუსიკოსთან ამოყო თავი. მან გაანაყოფიერა მუსიკოსის სული, დასაბამი მის-  
 ცა ახალ მელოდიებს, ახალ რიტმებს და ამგვარად საქვეყნოდ ცნობილი გა-  
 ხადა იგი. აზიარა სიხარულითა და მწუხარებით სავსე ახალ ცხოვრებას, თავ-  
 ნად კი დაურთო სიმდიდრე, რათა შემდეგ მონტე-კარლოში გაეფლანგა იგი.  
 ეს მელოდია მას შემდეგ საკუთარი სიცოცხლით ცხოვრობს, ვრცელდება, სე-  
 ნივით ედება მთელ მსოფლიოს, ახარებს და ხანაც ალონებს ადამიანებს, ლაწ-  
 ვებს ვარდისფრად ღებავს და ცეცხლს ანთებს თვალებში. ერთისთვის ქცეულა  
 კერპად, მეორეში ზიზღს იწვევს და ხშირად სწორედ მათში, ვისაც ადრე იმორ-  
 ჩილებდა; იგი მომაბეზრებლად და შეუბრალებლად გაისმის უძილობით  
 გაწამებული კაცის ყურებში, აღიზიანებს საქმოსანს, დარდისაგან ძილი რომ არ  
 ეკარება, რადგან გასულ კვირაში გაყიდულ აქციებზე მოულოდნელად ფასი  
 აწეულა, აწვალებს და ტანჯავს მოაზროვნეს, საშუალებას არ აძლევს აზრი  
 მოიკრიბოს და ახალი კანონი ჩამოაყალიბოს, ან ვინმე იდიოტის ცარიელ  
 თავში სულაც შმაგ ცეკვად გაისმის. და როცა უკვე მისი „შემოქმედი“ სხვებ-  
 ზე მეტად გატანჯული და გაჯერებულია მისით, იგი ისევ და ისევ იმკის ხალ-  
 ხის აპლოდისმენტებს მსოფლიოს სამხიარულო დაწესებულებებში, აქ კი, აგერ,  
 ფანჯარაში, ის მამაკაცი გრძნობით უკრავს თავის ფლეიტაზე.

9 აგვისტო

გსურდეს — ეს ნიშნავს შეგეძლოს არჩევა. ო, რატომაა ასე ძნელი არ-  
 ჩევანი!

აირჩიო — ეს ნიშნავს შეგეძლოს უარის თქმა. ო, რატომაა ასე ძნელი  
 უარის თქმა!

პატარა უფლისწული სასეირნოდ უნდა წასულიყო; მას ჰკითხეს: ეტლით  
 ინებებთ სეირნობას თუ იახტითო. უფლისწულმა უპასუხა: მსურს ეტლითაც  
 ვისეირნო და იახტითაცო.

გვინდა ყველაფერი გვქონდეს. ყველაფერი ვიყოთ; გვინდა უმაღლესი  
 ბედნიერება და უდიდესი ტანჯვა, პათოსი მოქმედებისა და ქვრეტა სიმშვი-  
 დისა. უდაბნოს სიჩუმე და ფორუმების ხმაური. ერთსა და იმავე დროს გვინდა  
 ვიყოთ ერის ხმაც და მარტოსულის აზრიც, მელოდიაც და აკორდიც.  
 ერთსა და იმავე დროს! განა ეს შესაძლებელია!

„მე მსურს ეტლითაც ვისეირნო და იახტითაც“.

გამოშიგნულსა და ცარიელს ჰგავს უისრო საათი, თითქოს შიშველებულის სახეს გვაგონებს იგი. სწორედ ასეთი საათი მიღევს წინ. სიმართლე რომ ითქვას, ეს არც არის საათი. ძველებური ლამაზციფერბლატიანი კერძო მხოლოდ. სახლში რომ ვბრუნდებოდი ცხელი, ყვითელი ბინდებს — სუცნაური ბინდია, ასეთს წარმოვიდგენდი დღის მიწურულს მხოლოდ უდაბნოში — მეზობელ შესახვევში კუზიანი მესაათის სახელოსნოში შევიარე. ერთხელ ჩემი ჯიბის საათი შემიკეთა. ეს უცნაური, უისრო საათი რომ დავინახე, შევეკითხე, რა არის-მეთქი. კუზიანმა კეკლუცად გამიღიმა და მომაწრდა ეს ლამაზი, ძველებური ვერცხლის საათის ფილიგრანულად დამუშავებული კორპუსი. აუქციონზე შეესყიდა, მაგრამ მექანიზმი უვარგისი, დაზიანებული აღმოჩნდა და ახლა ახლის ჩასმას ვფიქრობო. ვიყიდე მისგან ეს საათი. მინდა მასში აბებიანი კოლოფი ჩავდო და ჟილეტის მარჯვენა ჯიბეში ვატარო, როგორც pendant<sup>1</sup> ჯიბის საათთან ერთად. ეს მხოლოდ და მხოლოდ ლერწმის კალამში ჩადებულ საწამლავის დემოსტენისეული იდეის ახალი ვარიანტია. მთლად ახალი არაფერია ამქვეყნად!

\* \* \*

ახლოვდება ღამე, აგერ უკვე ვარსკვლავი აკიაფდა ტანსრული წაბლის ხის ტოტებში. ვგრძნობ, ამაღამ მშვიდად დამეძინება, გონება მსუბუქი და ნათელი მაქვს, მაგრამ მიჭირს წაბლის ხესა და ვარსკვლავთან განშორება.

ღამე. როგორი ლამაზი სიტყვაა! ღამე უხნესიაო დღეზე, ასე ამბობდნენ ძველი ვალები. მათ სწამდათ, რომ მოკლე, წარმავალი დღე უკიდევანო ღამისაგან იშვა.

დიდებული, უკიდევანო ღამე.

სიმართლე რომ ითქვას, ეს მხოლოდ ფრაზაა... განა რას წარმოადგენს არსებითად ღამე, რას ვეძახით ღამეს? ესაა ჩვენი პლანეტის კონუსის ფორმის ჩრდილი, ჩრდილის პატარა, ვიწრო კონუსი სინათლის ოკეანეში. თვითონ სინათლის ოკეანე კი რაღას წარმოადგენს? კილიტი სამყაროში. სინათლის პაწაწინა რგოლი ნამცეცა ვარსკვლავის — მზის გარშემო.

ო, ეს რა უბედურება გვჭირს ასეთი — ყველაფერზე უნდა ვიკითხოთ, რას წარმოადგენს იგი? ეს რა უბედურებაა ასეთი, რომელმაც ჩვენ, ადამიანები, ასე დაგვაშორა ქვეწარმავალთა ძმურ ოჯახს, დედამიწის ზურგზე მოარულ, მბტუნავ, მცურავ და მფრინავ არსებებს, რათა შორიდან ცივი, უცხო თვალთ დაგვენახა ჩვენი სამყარო, ჩვენი ცხოვრება, და შეგვეგრძნო, როგორი არაბობაა, ერთი გროშიც რომ არაა მისი ფასი? სადამდე მიგვიყვანს, რით დამთავრდება ეს ყველაფერი? მახსენდება ქალის საწყალობელი გოდება, სიზმარში რომ მომესმა ადრე, და დღესაც ნათლად მესმის ბებრული, მტირალი ხმა: სამყარო იწვის, სამყარო იწვის!

არა, შენ სამყაროს უნდა შეხედო საკუთარი თვალსაზრისით და არა რაღაც მსოფლიო საეკლესიო წარმოსახვით; მორიდებულად გაზომე იგი შენი საკუთარი საზომით, შენი მდგომარეობის, შენს გარემოებათა შესაბამისად, ადამიანის — დედამიწის ბინადარის — გარემოებათა და მდგომარეობის შესაბამისად. მაშინ დედამიწა მეტად გაიზრდება შენს თვალში, ცხოვრებაც უფრო მნიშვნელოვანი გახდება და ღამეც — უკიდევანო და ღრმა.

<sup>1</sup> წყვილი საგანი (ფრანგ.).

12 აგვისტო

რა წარმტაცად ბრწყინავს ამ საღამოს მზე ეკლესიის ფლუგურზე მომ-  
წონს ეს ლამაზი, გონიერი მამალი, მუდამ ქარის მხარეს რომაა მიმართული. იგი  
მუდამ იმ მამალს მაგონებს, სამჯერ რომ იყივლა ჩვენთვის ცნობილ ვარს-  
მოებაში.

სასაფლაოს გასწვრივ თავისი უმცროსი კოლეგის ხელზე დაყრდნობილი  
დინჯად მისეირნობს ზაფხულის შესანიშნავი საღამოს სიმშვენიერით დამტკ-  
ბარი მამა-წინამძღვარი. ჩემი ფანჯარა ყურთამდე გახსნილია და ისეთი სიწ-  
ყნარეა რგვლივ, რომ მათი საუბრიდან ზოგიერთი სიტყვა ჩემამდე აღწევს.  
ისინი საუბრობენ პასტორ პრიმარიუსის მომავალ არჩევნებზე და გავიგონე, წი-  
ნამძღვარმა რომ გრეგორიუსის გვარი ახსენა. მან ეს გვარი წარმოსთქვა ყო-  
ველგვარი სიამოვნების გარეშე, უფრო მტრულადაც კი. გრეგორიუსი იმ  
ღვთისმსახურთა რიცხვს მიეკუთვნება, მდაბიოთა მხარდაჭერით რომ სარგებ-  
ლობენ მუდამ და ამით კოლეგებში უკმაყოფილებას იწვევენ. ინტონაციიდან  
ჩანდა, წინამძღვარმა ეს გვარი უბრალოდ, გაკვრით მოიხსენია, ეტყობა, სრუ-  
ლიად არ თვლიდა მას სერიოზულ პრეტენდენტად.

ჩემი აზრიც ასეთივეა. არა მგონია, მას რაიმეს იმედი ჰქონდეს. დიდადაც  
გამიკვირდება, იგი რომ პასტორ პრიმარიუსად აირჩიონ.

დღეს თორმეტი აგვისტოა; პორლაში იგი გაემგზავრა ოთხ თუ ხუთ ივ-  
ლისს და იქ უნდა დაჰყოს ექვსი კვირა. ესე იგი, მის დაბრუნებამდე ძალიან  
ცოტა დრო დარჩა, მალე გამოგვეცხადება მხნე, დასვენებული, ძალამომა-  
ტებული.

13 აგვისტო

როგორ მოხდება ეს, დიდიხანია განსაზღვრული მაქვს. ერთმა შემთხვე-  
ვამ, შეიძლება ითქვას, ყოველივე ჩემ სწსარგებლოდ გადაწყვიტა: კალიუმცია-  
ნიდიანი აბები, ოდესღაც მხოლოდ ჩემთვის რომ მოვიმზადე, ახლა ამ საქმეში  
მომემსახურებიან.

ერთი რამ ცხადია: არაფრით არ შეიძლება ეს აბები მან თავის სახლში  
გადაყლაპოს. ეს უნდა მოხდეს ჩემთან. ვერაფერი სასიამოვნო ამბავია, მაგ-  
რამ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ. მინდა ერთხელ და სამუდამოდ მოვრჩე ამ  
საქმეს. თუ ჩემი დანიშნულებით იგი აბს შინ მიიღებს და ამის შემდეგ სულ მა-  
ლე უფალს მიაბარებს სულს, პოლიცია ადვილად დაუკავშირებს ამ ორ ფაქტს  
ერთმანეთს. გარდა ამისა, ვისი გადარჩენაც განმიზრახავს, მასზეც შეიძლება  
ექვი აიღონ და საქმეში გარიონ, სიკვდილის კარამდე ლაფში ამოსვრილი ატა-  
რონ, უარეს შემთხვევაში კი, მკვლელობაშიც დაადანაშაულონ.

რასაკვირველია, საჭიროა ისე მოვაწყო საქმე, პოლიციის ყურადღება არ  
მივიქციო. არავინ არ უნდა იცოდეს, რომ პასტორმა რაიმე წამალი დალია: იგი  
მოკვდება სრულიად ბუნებრივი სიკვდილით — გული გაუსკდება. ფრუ გრე-  
გორიუსმაც არ უნდა აიღოს ექვი. მიღებაზე მყოფი პაციენტის უეცარი სიკ-  
ვდილი შეიძლება საბედისწერო გამოდგეს ჩემი რეპუტაციისათვის, თანაც ჩემს  
მეგობრებს საბაბი მიეცემათ უკბილო ხუმრობით ლაზათიანად შემამკონ, მაგ-  
რამ რა გაეწყობა, რაც არის — არის.

ერთ მშვენიერ დღეს იგი მოდის ჩემთან, მესაუბრება თავის ჯანმრთელო-  
ბაზე ან სხვა რაიმე სისულელეზე და მეკითხება, როგორაა საქმე, წყლების შემ-  
დეგ ჩემი ჯანმრთელობა გამოკეთდა თუ არაო. ჩვენ საუბარს ვერაფერს მოის-

მენს. დიდი, ცარიელი დარბაზი ყოფს კაბინეტს მისაღებისაგან. მე მოთმინებით ვუსმენ, მაგიდაზე თითებით ვაკაკუნებ და ვეუბნები, ნამდვილად გრძნობა უკეთესობა, თუმცა რალაც მაინც არის მეტი... ვიღებ აბებს და ვუხსნი, რომ ეს გულის ახალი საშუალებაა (სახელწოდება უთუოდ უნდა იქნებოდეს) და ვურჩევ, ახლავე ჩაყლაპოს. ვთავაზობ ჭიქა ღვინოს. სვამს თუ არა? დიას, როგორ არა... კარგი ღვინო უნდა შევფურჩიო, მაგალითად, ხერესი. წინასწარ ვხედავ რაც მოხდება: იგი ჯერ გემოს უსინჯავს ღვინოს, მერე ენაზე იღებს აბს და ბოლომდე სულმოუთქმელად სვამს. სათვალე ირეკლავს ფანჯარას და მისი გამობედვა არ ჩანს... მე ვბრუნდები, მივდივარ ფანჯარასთან და სასაფლაოს მხარეს ვიციჩრები, ვითომც აქ არაფერი, ვდგავარ და შუშაზე ვარაკუნებ... იგი რალაცას ამბობს, დავუშვათ, „ღვინო შესანიშნავია“, მაგრამ ფრანს ველარ ამთავრებს... მესმის ყრუ დაცემის ხმა... იგი იატაკზე წევს...

მაგრამ, ვთქვათ და არ მოისურვა აბის მიღება? აბა რას ვამბობ, სიამოვნებით კი არ ჩაყლაპავს? მას ძალიან უყვარს წამლები... მაგრამ მაინც თუ არ მიიღო? მაშინ ველარას გავაწყობ, შეუნდოს ღმერთმა, ნაჯახით ხომ არ ავჩეხავ.

...იგი იატაკზე წევს. მე ვმაღავ აბებიან კოლოფს, ბოთლს და ჭიქას. ვეძახი ქრისტიანს: პასტორი ცუდად გახდა, ეს წუთია გრძნობა დაკარგა, გაუვლის ალბათ... ვუსინჯავ პულსს, ვუსმენ გულისცემას.

— გული გაუსკდა, — ვამბობ ბოლოს. — მოკვდა.

ვურეკავ კოლეგას. მაგრამ — ვის? უნდა მოვიფიქრო. ის არ გამოდგება: შვიდი წლის უკან დაწერა დისერტაცია, რომელსაც ცოტა სკეპტიკურად გამოვეხმაურე ერთ-ერთ სამედიცინო ჟურნალში... ის საკმაოდ ჭკვიანია. ის ორი აქ არაა. აი ის კი, ის გამოდგება, ან კიდევ ის, ან უკიდურეს შემთხვევაში ის.

საკმაოდ გაფითრებული გამოვდივარ მისაღებში. ალბათ ყრუდ და ნელა ვიტყვი, რომ გაუთვალისწინებელ გარემოებათა გამო დღეს იძულებული ვარ შევწყვიტო მიღება.

მოდის კოლეგა: ვუხსნი საქმის ვითარებას, რომ პასტორი დიდი ხანია გულის მანკით იყო დაავადებული. იგი ამხანაგურად მითანაგრძნობს: ღმერთო, რა საშინელი უიღბლობაა, რომ სიკვდილი მაინც და მაინც მიღებაზე ეწვია, — და ჩემი თხოვნით წერს მოწმობას სიკვდილის შესახებ... არა, ღვინოს პასტორს არ შევთავაზებ, ერთიც ვნახოთ და ტანსაცმელზე დაიღვაროს, ან სუნით შეატყონ, რომ ღვინო დალია, წადი მერე და უხსენი, რაშია საქმე... ერთი ჭიქა წყალიც საკმარისია. სხვათა შორის, მე იმ აზრისა ვარ, რომ ღვინო მავნებელია.

მაგრამ თუ საქმე გაკვეთამდე მივა? მაშინ მე თვითონაც მომიწევს აბის მიღება. სუფთა ილუზია იქნება თუ ვიფიქრებ, რომ შეიძლება მსგავსი ხასიათის საქმე ურისკოდ გამოვიდეს. ეს მე თავიდანვე მშვენივრად ვიცოდი. ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ.

სინამდვილეში, შექმნილ სიტუაციაში მე თვითონ უნდა მოვითხოვო გაკვეთა. სხვები საექვოა შეეცადონ — თუმცა, რა თქმა უნდა, რა ვიცი... მე ვეუბნები კოლეგას, რომ ვფიქრობ მოვითხოვო გაკვეთა; იგი ალბათ მიპასუხებს, რომ აუცილებელი არაა, რამდენადაც სიკვდილის სურათი ნათელია, მაგრამ ფორმალობის დაცვის გულისთვის შეიძლება გაკეთდეს კიდევ.

ამ საკითხს მეტად აღარ ვუბრუნდები. დიას, ასეა თუ ისე, აქ უკვე გარღვევა მაქვს გეგმაში. საჭირო იქნება უფრო დეტალურად მოვიფიქრო.

სხვათა შორის შეუძლებელია, წინასწარ ყველა წერილმანის განსაზღვრა: რაღაც ხომ მაინც შეიცვლება შემთხვევის გამო, მაგრამ შთავიზების იმედით შეიძლება გვქონდეს.

სხვა საქმეა... დალაზეროს ეშმაკმა, რა იდიოტი ვარ! მარტო ჩემი თავი მაღარდებს. ვთქვით, საქმე გაკვეთამდე მივიდა. მე ვყლაპავ აბს, ამით თავს დავიძვრენ და გრეგორიუსს ვუამხანაგდები, მაგრამ ვისთან დაიწყებენ ამ იდუმალი დანაშაულის ამოხსნის ძიებას? ხალხი ხომ საოცრად ცნობისმოყვარეა. და რამდენადაც მიცვალებულები თან წავიღებთ ამ საიდუმლოს, ხომ არ შეეცდებიან პასუხი მოსთხოვონ რომელიმე ცოცხლად დარჩენილს, კერძოდ, მას? ატარებენ სასამართლოში, დაუწყებენ დაკითხვას, მოსვენებას არ მისცემენ. საყვარელი რომ ჰყავს, მაშინვე შეიტყობენ. გამომდინარე აქედან, უსათუოდ იტყვიან, რომ მას პასტორის სიკვდილი უნდოდა, უფრო მეტიც — სწყუროდა. ამას შესაძლოა თვითონაც არ უარყოფს. თვალები მიბნეულდება... მე, მე მოგაყენო ასეთი ტანჯვა, შენ, უნაზეს, ულამაზეს ყვავილს ამქვეყნად!

თავს ვიტყვ, მაგრამ ვერაფერი მომიფიქრებია.

თუმცა მოიცათ, მოიცათ, აი ეს მგონი კარგი აზრია. თუ შევატყობ, რომ გაკვეთა აუცილებელი ხდება, ვიდრე აბს მივიღებდე, წინასწარ ჰკუიდან შეშლილის როლს გავითამაშებ, ან კიდევ უკეთესი — სხვათა შორის, ერთი მეორეს ხელს არ შეუშლის: ვწერ წერილს — დევნის მანიით შეპყრობილის, რელიგიურად არამტკიცე პიროვნების მონაჩმაჰს დავტოვებ მაგიდაზე, სწორედ აი, ამ ოთახში, სადაც თავის მოკვლას დავაპირებ: ვითომ პასტორი რამდენიმე წელია მდევნის; მან სული მომიწამლა, ამიტომ მე მისი სხეული მოვწამლე, ემოქმედებდი თავდაცვის მიზნით. ets. შეიძლება კიდევ რამდენიმე ციტატა მოვიშველიო ბიბლიიდან, იქ ყოველთვის მოინახება რაიმე შესაფერი. ამგვარად, საქმე გამოაშკარავდება: მკვლელი შეშლილი იყო, ახსნა-განმარტება საკმარისია, არ არის საჭირო სხვა წყაროების ძებნა. მასაფლავებენ როგორც ქრისტიანს, ქრისტინა კი თავისი ფარული ეჭვების დადასტურებას მიიღებს და არა მარტო ფარული ეჭვებისას. მას ათასჯერ უთქვამს ჩემთვის, რომ ჩემს ჰკუაზე არა ვარ, მისცემს კიდევაც საჭირო ჩვენებას, თუკი მოსთხოვენ.

14 აგვისტო

კარგია გყავდეს მეგობარი, რომელსაც ენდობი, რომელსაც რჩევას ჰკითხავ. მე კი არა მყავს, კიდევაც რომ მყავდეს, ხომ აქვს საზღვარი მოთხოვნებს, რომლებიც შეგვიძლია მეგობრებს წავუყენოთ.

გულახდილად რომ ვთქვა, ყოველთვის მარტო ვიყავი. უამრავ ხალხში მუდამ თან მდევდა მარტოობა, როგორც ლოკოკინას თავის ნიჟარა. ზოგიერთისთვის მარტოობა თვისებაა და არა შემთხვევითი გარემოება. ალბათ უფრო მეტად გაღრმავდება ჩემი მარტოობა ამის შემდეგ, როგორც არ უნდა დამთავრდეს ეს ყველაფერი. კარგად თუ ცუდად, ჩემთვის „დასჯის“ უმაღლესი ზომა იქნება ერთადერთი: სამუდამო მარტოობა.

17 აგვისტო

სულელო! არარაობავ! რეგვენო! ო, რა საჭიროა ნეტავ ეს სიტყვები — ჩვენ უძლურნი ვართ ჩვენი ნერვებისა და კუჭის წინააღმდეგ.

მიღება დიდი ხანია დამიმთავრდა. ბოლო ავადმყოფი რომ წავიდა, ფანჯარასთან დავდექი და გავირინდე, არაფერზე არ ვფიქრობდი. ამ დროს და-



ვინახე გრეგორიუსი, რომელიც სასაფლაოს გადაკვეთით პირდაპირ ჩემი სა-  
დარბაზოსაკენ მოემართებოდა. თვალთ დამიბნელდა. არ ველოდი, არც ვი-  
ცოდი, რომ პორლადან უკვე დაბრუნდა. ვიგრძენი, როგორ დამეხვია თავბრუ,  
გული მერეოდა, ერთი სიტყვით, ზღვის ავადმყოფობის სიმპტომები განვი-  
ცადე. ერთადერთი აზრი მიტრიალებდა თავში: ახლა არა, ოღონდაც ახლა არა.  
სხვა დროს, ახლა არა. იგი უკვე კიბეზე ამოდის, აი კარებთანაა, რა ექნა... ჩქა-  
რა ქრისტიანასთან: თუ ვინმე მიკითხავს, უთხარით, რომ შინ არა ვარ... იმისდა  
მიხედვით, თუ როგორ მომაშტერდა ქრისტიანა პირდაღებული, დავასკვენი, რომ  
ძალზე უცნაურად გამოვიყურებოდი. შევევარდი საწოლ ოთახში, კარი მჭიდ-  
როდ მივიხურე და ძლივს მოვასწარი პირსაბანთან მისვლა: ამომალებინა.

ასე გამოდის, რომ არ ტყუოდა ის მშიშარა ხმა? არ ვვარგივარ!

მაშ როდის, თუ არა ახლა? ვისაც მოქმედება სურს, შემთხვევის გამო-  
ყენებაც უნდა შეეძლოს. რა ვიცი, სხვა დროს მომეცემა კი ასეთი შემთხვევა.  
არა, არ ვვარგივარ!

(გაგრძელება იქნება)



თარგმნა გივი სიმეიშვილმა

მიყვარს და ჩემ სიყვარულს  
არ აქვს მიჯნა, სამანი,  
თუმც მადლს, ღვთისგან ბოძებულს,  
თაყვანს არ სცემს არავინ.

თაყვანს არ სცემს? რას იზამ!  
დაე პირი არიდოს  
შემადგომის ბრმა წვიმას —  
ის ხომ მაინც ხალისობს!

ვის რად უნდა იმ მთაზე  
მდგარი ვერხვი ტანკობტა,  
ვინ გრძნობს იმის სინაზეს?  
არვინ? მერე რა მოხდა!

თბილისი ნისლში დანთქმული არი,  
მზემ გამოხედვა  
დააგვიანა.  
ხიდიდან არ ჩანს  
ღუღუნა მტკვარი...  
შორით ვილაცა მეძახის:  
— ანა!  
აქ ხომ ნაცნობნი  
მე არა მყვანან,  
მაშ ვინ ახსენა  
სახელი ჩემი?..

სიყვარულო, რით სჯობნი  
ბნელის გამკვეთ ჩირაღდანს,  
მგზავრს ხომ ბედზე მინდობილს,  
ნუგეშინის სხივად აქვს?

რითა სჯობნი სიმღერას,  
გადავსებულს ნალველით,  
შუალამით ტყისპირას  
რომ ღიღინებს ძახველი?

ვერც სიმღერა, ვერც ჯავრი,  
ძთელ სიცოცხლედ რომ მიღირს,  
რა ექნა, მაინც ვერ ჯაბნის  
შუალამის იმ ღიღინს!

სახლები მერცხლის  
ბუდეებს ჰგვანან,  
გამოზაფხულზე  
უცებ გაჩენილს.  
აქ, ძველ უბანში  
არღანი ტირის,  
ტირის და მოთქვამს,  
თან ყლაპავს ნისლებს,  
გულს მიცისკროვნებს  
იმედის სხივით  
და უწყინარი ტყუილით მივსებს.

ხუთფურცელა ყვავილი

როგორც ლექსის რითმას, ღამის მთევარს,  
 ისე ვეძებ ხუთფურცელა ყვავილს.  
 ვატრიალებ იასამნის მტევანს  
 და ვისუნთქავ დილის სუფთა ჰაერს.



იისფერი ქარაშოტი ატყდა,  
 აკვამლებს და აცახცახებს ბუჩქებს.  
 დასაველიდან ერეკება ავდარს  
 ღრუბლიანი, უღიმღამო, ყრუ დღე.

ო რამდენჯერ მოვიტყუე თავი,  
 ო რამდენჯერ თვალი მიზანს ასცდა!  
 ვერ ვპოულობ ხუთფურცელა ყვავილს —  
 ცივ ღრუბელში აფეთქებულ ვარსკვლავს!..

ჩემს წამებას ქვეყნის ხალხი უცქერს,  
 განაბული, ყველა ნატრობს ერთსა...  
 „აგერ, აგერ!“ — შევლადადე ბუჩქებს,  
 და ელვამაც გაანათა ზეცა.

თოვის ზამთარი

შუადღეა, ისე ბნელა, ღამპას ვანთებ.  
 იანვრის დღე, გარეთ თოვლი დევს.  
 ჩემ ხელს დასცქერს დაკვირვებით ქირომანტი,  
 დინჯად დასცქერს და კითხულობს ბედს.

ახლომხედველს, ძალზე შევნის ნაზი სახე,  
 მეუბნება, რა მიღელვებს გულს,  
 რომ ეს გული სიყვარულით არის სავსე,  
 ოღონდ კოცნა მძულს.

— რა ვიამბო ცხოვრების ხემ, ქირომანტო, —  
 რომ სახელი გამეთქმება შორს?  
 ეგებ ვითხრა, რომ დღეები მცირე აქვსო?  
 თუ ეს ხელიც დაუფარავს თოვლს,

ვით თბილისი, ცივი ზამთრით დაზაფრული,  
 თეთრ ფიფქებში დანთქმული რომ თრთის?  
 შემამცივნა, მალე მოვა გაზაფხული?  
 ხანგრძლივ მზერას ველარ ვუძლებ, თქვი!—

დღე მოკლეა, კითხვები კი ალბათ ბევრი,  
ხელის გულიც გამეყინა სულ...  
მზერას მესვრის, ხელს არაფრით არ მანებებს  
და კვლავ ჩემი გაჩუმება სურს.



მეც დავყევი, ვამჯობინე ღუმილი და  
გადანამჭრულ ეზოს ვავლებ თვალს.  
ჩემი ბედის გამოცნობა რაღად მინდა,  
ამ ბედნიერ ახალი წლის ჟამს.

ჩემი ხვედრი, ვიცი, მაინც არ ამცდება,  
მე კი მინდა ამ თოვლიან დღეს  
როგორც სარკმელს, მომაპყრობდნენ ალალ მზერას  
და არასდროს გამიშვებდნენ ხელს.

### მარგარიტა

მ. ზორდინას

სიყრმიდანვე ნაცნობი მესმის ხმა ხრინწიანი.  
მარგარიტა. შენ ხარ, მარგარიტა!  
მოხვედი და ცხოვრება ძველებურად წკრიალებს,  
უშენობას მე ხომ ველარ ვიტან!

ძველებურად გვმასპინძლობს ირას სამზარეულო,  
ისე როგორც თხუთმეტი წლის წინათ,  
თუმც ეგ ცეცხლოვანი თმა ისე აღარ მზეურობს,  
მაგ თვალებსაც დაჰკარგვიათ ბრწყინვა.

სწორედ აგრე ეცვლება არყის ხესაც ხალები...  
ღრო წავიდა და ფერებიც მიჰქრა.  
მარგარიტა, ძვირფასო, შეიმშრალე თვალები,  
დალიე და მეც შემივსე ტიქა.

ეს ირინამ მოგვიძღვნა, უმისობა არა ღირს,  
რომ საღამოს არ მოაკლდეს ცეცხლი.  
შენს ჩამოსვლას ელოდა ჩვენი ჭნავის არაყი.  
რაღას უცდი, დაასხი და შესვი!

სანამ დავარგდებოდა, კარგა ხანი იბორგა,  
ერთი სიტყვით, შენს ცხოვრებას ჰგავდა.  
მარგარიტა, მარგარიტა, ღმერთმა მოგცეს მშვიდობა,  
მომიყევი სალუხარდის ამბავს.

მოჰყევ, მიჟევეარტოსკში (რა ძალა აქეთ ამდენი!)  
ლოთებიც რომ არ თვრებიან ბევრ სმით.  
მომიყევი, ძვირფასო, როგორ განვლე ნარტებით  
ზღვისპირამდე სამას ერთი ვერსი.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ოკეანეს მიაღეკ. ჩვენ კი ფეხს არ ვიცვლიდი  
ერმთანეთს არ ვაშორებდით თვალებს.  
სამუდამოდ წახვედი, გულში დაგვრჩა სიცრვე...  
მარგარიტა, მოჰყევ, გენაცვალე.

გაეჭეცი თუ არა იმ ერთადერთ სიყვარულს,  
დაბრკოლება არაფრად რომ გიჩნდა?  
სიმფეროპოლს, ლენინგრადს, ნიჟნევარტოვსკს იყავი..  
საბოლოოდ რას ეწიე, მითხარ!

მარგარიტა იცინის, თან პაპიროსს აბოლებს  
და მოწკურავს ეშმაკურად ცალ თვალს:  
— გულში ცეცხლი გიზგიზებს, ღვივის როგორც აბედი,  
მაგრამ მაინც თან მაქვს...

სიყრმიდანვე ნაცნობი მესმის ხმა ხრინწიანი.  
მარგარიტა, შენ ხარ, მარგარიტა!  
მოხვედი და ცხოვრება ძველებურად წკრიალებს,  
უშენობას მე ხომ ვერ ავიტან!

გაღებული სარკმელი უკან ღამეს გასცერის  
და ოთახში იწვევს სიმარტოვეს...  
ხვალ მიდის მარგარიტა, მიდის უკანასკნელად,  
სამუდამოდ, სამუდამოდ მტოვებს.



სპარსულიდან

თარგმნა ალექსანდრე ელერდაშვილმა

1.

ეჰა შენ, სულო, სრულთაგან სრულო,  
ხარ სულთა სული და კიდევ რაღაც;  
ჰე, სასწაულთა დღესასწაულო,  
ხარ სასწაული და კიდევ რაღაც.  
ჰე, მწდეთა მწდე და ხარ მზეთა მზე შენ,  
მარადის ზეობ ზეთაგან ზე შენ,  
უსაზღვროეთში ხარ ზნეთა ზნე შენ,  
ხარ ზნესაზღვრული და კიდევ რაღაც.  
ეჰა შენ, მართალ გზათა მპყრობელს და  
ხილულ სანახთა წარმომშობელს და  
საწყისსა შინა თავად მყოფელს და  
თვით ხარ სასრული და კიდევ რაღაც.  
ეჰა შენ, უფლის სახეც და ხატო,  
ცის შარავანდო და ანდამატო,  
ყოვლთა შესაქმნელს შენ შეიქმ მარტო,  
ხარ ყოვლადსრული და კიდევ რაღაც.  
თავადვე ზრახავ ფარულ ზრახვას და  
ფარული არსის ძალგის ნახვა და  
ზრახულის სახეს შენში სახავ და  
თვით ხარ ზრახული და კიდევ რაღაც.  
შენ აქამანდებ ტრფობის თრიაქებს,  
ლეილ-მანჯუნს რო აფორიაქებს,  
ამ ბედისწერას თუ ზოგი აქებს,  
ზოგია კრული და კიდევ რაღაც.  
ჰე, შენ მფარველობ იღბლით დიადს და  
მასაც, ვინც ებრძვის თმენის წყვედიადს და  
ღრუბელთა მიღმა გცნობენ ზვიადს და  
ხარ ჯერართქმული და კიდევ რაღაც.  
ჰე, მოციქულთა სიამაყეც და,  
ეჰა, ვინც ბრძენთა სულეებს არყეც და



შენეულს ცხადი ზრუნვით აჰყევ და  
 კვლავ ხარ ფარული და კიდევ რაღაც.  
 ჰე, შეწყალების დასაბამო და  
 წყალობის ზღვართა ნაპირს ჰბანო და  
 ხან უსახლო ხარ სახლის ბანო და  
 ხან სახლში რგული და კიდევ რაღაც.  
 ჰე, შენი სახის მჭვრეტელი თვალი  
 თუ არის მხოლოდ მშვენიებით მთვრალი,  
 დაკარგოს იმან ცოდვებში კვალი,  
 დაკარგოს რჯული და კიდევ რაღაც.  
 შენში ვეძიე უძიროს ძირი  
 და მოვიძიე ფუძეთა მძივი,  
 მაგრამ სევდისგან დავკარგე ძილი,  
 დავკარგე რული და კიდევ რაღაც.  
 ნეტავ შენს ბაგეს ველტვი რისთვის აწ?  
 არღარა შემრჩა მე იმისთვის აწ,  
 მე უსხეულო სიცოცხლისთვისაც  
 ვარ შერისხული და კიდევ რაღაც...

2.

მოდო, უფალო, მოდო, უფალო,  
 ოდეს გარს ზრახვებს მოისევ, მოდო!  
 ნუ განმიზღუდავ თავისუფალო,  
 ნუ განმიზღუდავ, მო, ისევ, მოდო!  
 მო, ნახე ჩვენი დრტვინვა და შფოთი,  
 აქ მეტრფეს სატრფო არ სწყალობს „ჰოთი“,  
 მწყურვალნი სხედან მებრუ და ლოთი..  
 მოდო სიბრუვის მეუფევ, მოდო!  
 თავად ხარ ფეხი, თავად ხარ ხელი,  
 ხარ ყოველ არსთა არსობა მთელი,  
 შენ ბუღბული ხარ მთვრალი და ხელი,  
 მო, მრავალთაგან რჩეულო, მოდო.  
 თავად ხარ თვალი, თავად ხარ ყური,  
 შენ ნებიერნიც გიმზერენ შურით,  
 იოსებს მოეც შენ ხელი ძმური,  
 მო, მრავალთაგან რჩეულო, მოდო.  
 ვის ძალუძს მზერას ხუნდი აჰყაროს  
 და შეემზეროს სულთა სამყაროს?  
 მო, მოემზევე ამ ბნელს, ამ ხაროს,  
 მო, უგულოდ და უნიღბოდ მოდო!  
 დღის სინათლეთა სხივი შენა ხარ,  
 ჯავრში თმენა ხარ, ჭირში ლხენა ხარ,  
 წკვარამში მთვარის შუქთაფენა ხარ,  
 მო, გამკითხავო ღრუბელო, მოდო!  
 ეჰა, სიბრძნეო სხვა საბრძანისთა,  
 შენით ცხოვრება გადახალისდა,



გვედრი, ფაიქი იყავ ალხის და  
 წა, ხან იქ წადი, მო, ხან აქ მოდი!  
 ეპა, გულს შინა ნაქლენთო სისხლით,  
 ჩვენზედ ცარგვალი მოიქცა რისხვით,  
 ყურძენი გვიმწიფს ჩვენ მისხის მისხით,  
 მო, ჩაგვიწურე თალარში, მოდი!  
 ეპა, გამშორდი შმაგო არმურო,  
 გასწით სევდავ და ვნების აღმურო...  
 რად გსურს, ო, გონო, რომ მაღამურო?!  
 მოდი, სიფხიზლის სამყაროვ, მოდი.  
 ეპა, მო, სულო, გზებდაცვეთილო,  
 ეპა, მო, გულო, მთლად დაფლეთილო,  
 კარს თუ ვერ ჰპოვებ, ჩემო კეთილო,  
 მო, მომიმსხვრიე კედლები, მოდი.  
 ეპა, წყალობა ცოდვიანს მოე,  
 ეპა, მო, ფიქრებს მოესათნოე,  
 მო მომევილინე ისე ვით ნოე,  
 მო, მოავადის კურნებად მოდი.  
 ეპა, მთვარეო, გიელავს ბაკმა,  
 მო, მოაშორე მიჯნურებს ზაკვა,  
 ჰე, ჩვენთან ხლების საათმა დაპკრა,  
 მო, მიღეთელთა სიბრმავევ, მოდი.  
 შაბაშ შენ, რაიც იენე სულო,  
 შაბაშ შენც, სიტყვავე, ენიდან თქმულო,  
 ხამს ეს ღალადი მივასასრულო...  
 მო, უჩქამოდ და უსიტყვოდ მოდი!

8.

მე ისევ მოველ, მე ისევ მოველ,  
 მე ჩემი სატრფოს სახელად მოველ,  
 მომაპყარ მზერა, მომაპყარ მზერა,  
 შენი წყვდიადის ნათელად მოველ.  
 მე ლხენით მოველ, მე ლხენით მოველ,  
 გავთავისუფლდი და ფრენით მოველ,  
 ასჯერ ათასი გავიდა წელი,  
 სანამ ამ სიტვის სათქმელად მოველ.  
 ამ გზებით წავალ, ამ გზებით წავალ,  
 ვაებით ვიყავ, ვაებით წავალ,  
 შემიხლო უნდა, შემიხლო უნდა,  
 კეთილ საქმეთა სათქმელად მოველ.  
 მე ღვთაებრივი ვიყავ ფრინველი,  
 ახლა ხართ ჩემში კაცის მხილველი,  
 მიწიერ მახეს ვერ გავეჩეც და  
 ჩემივ ტყვეობის კანკელად მოველ.  
 არ ვარ მიწა, მტვერი და ბუქი,  
 მე ვარ სიწმინდის გამონაშუქი,



სადაფს ვავშორდი და წუთისოფლად  
 გულის ვნებათა აშშლელად მოველ,  
 ნუ მაცქერდები ვონების თვალით,  
 ხამს განიშსქვალო უცხო რამ ძალით  
 და იქ მიხილო, და იქ შემეცნო,  
 იქ ვონზე მყოფი აქ ხელად მოველ.  
 მე კაცად ვიშვი და არა მგამა  
 ის ოთხი დედა და შვიდი მამა,  
 მიღმიელ სხივად დავფარფატებდი  
 და ჰა, აწ თვალთა ამხელად მოველ.  
 დღეს ჩემი სატრფო იქ იარება,  
 იქ მიხმობს ფიქრთა გამზიარებლად,  
 მე კი იქაურ ზრახვებს დავეხსენ  
 და აქაურთა დამხსნელად მოველ.  
 ჰე, შ ა მ ს ე თ ა ბ რ ი ზ, თუნდ მასაპყარო,  
 შეგთხოვ, შენს მზერას არსად გამყარო!  
 გულით და სულით დაჭრილი ვარ და  
 არყოფნის ზღვართა წამშლელად მოველ.



4.

მზე ხარ, მთვარე ხარ თუ ასპიროზი?  
 რა სახით ჰგიე? — ვერ გამიგია.  
 უგონო მიჯნურს რას ემართლები,  
 რას ჩაეძიე? — ვერ გამიგია.  
 რა სრაში იყავ, რა გზით განქარდი,  
 რარიგ გარდაჰქმენ მადლად ლაქარდი?  
 რა ტრამალი ხარ და რა სასახლე,  
 რა ცა ანახლე? — ვერ გამიგია.  
 ხან სჩანხარ როგორც ცის იკანკლელი,  
 ხან მიღმიეთის გზად იკლაკნები,  
 ხან გარს ვით თურქებს ვარსკვლავებს ისევ...  
 მე რად მთმობ ისევ? — ვერ გამიგია.  
 ჩვენ შენმა სახემ ყველგან თან გვდია,  
 ხან ვარდი იყო, ხან იყო ია,  
 სულს შროშანებით გვირთავდი დია...  
 ახლა სად არი? — ვერ გამიგია.  
 ის ზღვა სად არი, რა ღრმეთსა შინა?  
 ის — ერთადერთი ბინადრის ბინა?  
 მის სანახავად სად ვინაპირო,  
 რა დავაპირო? — ვერ გამიგია.



ქველბერძნულიდან

თარგმნა თამარ კალატოზმა

ქველბერძნული სატრფიალო ანუ ეროტიკული ლირიკის უდიდესი შემოქმედია ანაკრეონტი, რომელიც დაიბადა მც. აზიის ქ. ტეოსში დაახლოებით 570 წელს ჩვ. წ. აღ-მდე. პოეტმა ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა და ამ ხნის განმავლობაში მას მრავალი გასაჭირი, წუთისოფლის მრავალი უკუღმართობა დაატყდა თავს, მაგრამ იგი მუდამ ახალგაზრდული შემართებითა და ექცნობი სულის სიძლიერით გამოირჩეოდა. ანაკრეონტი გარდაიცვალა დაახლოებით 485 წ. ჩვ. წ. აღ-მდე. ამბობენ, რომ ანაკრეონტი თვით სიკვდილსაც უმფოთველად შეეგება. ყურძნის მტევნით ხელში სამუდამოდ მიეძინა ვარდთა საგებელზე და ასე შეერია მისი სული აზრდილთა სიმყაროს ლავვარდოვან სივრცეებს. და სანამ ქვეყანაზე იარსებებს ახალგაზრდობა, სიყვარული და სილამაზე, ტეოსელი მგოსნის სახელიც განუყრელად იქნება მათთან დაკავშირებული.

ანაკრეონტის პოპულარობამ განსაზღვრა ის, რომ მის სამშობლოში და მის ფარგლებს გარეთაც შეიქმნა პოეტის მიმდევართა მთელი სკოლა. ანაკრეონტის სახელით ითხზებოდა უამრავი ლექსები. ძალზე დიდია ანაკრეონტისა და ფსევდო-ანაკრეონტულ ლექსებს შორის განსხვავება...

1.

ჰოი, ირმებზე მონადირეე, მუხლს ვიდრეე შენს წინ,  
ოქროსფერ თმებით შემკობილო ზევსის ასულო,  
ნადირთ მფარველო არტემიდე,  
მოდო, მოაპყარ მწყალობელი ეგ შენი მზერა  
სწორუპოვარი ვაჟკაცების მტკიცეზღუდოვან  
ქალაქს — მდებარეს ლეთეოსის მდინარებასთან,  
რამეთუ სწყყმსი  
შენ ხარ მორჩილ მოქალაქეთა.

2.

მსურს ძვირფასს ეროსს,  
ყვავილებით შემკულს, ვუმღერო,  
გვირგვინნი მრავალფეროვანნი ამშვენებს ვისაც,  
იგი ხომ ღმერთთა მბრძანებელი არის და თავად  
კაცთა მოდგმასაც მხოლოდ იგი ათვინიერებს...



3.

ო, კლეობულევ, მიყვარხარ ძლიერ...  
კლეობულესთვის გავგიჟდე ლამის,  
ო, კლეობულევ, შეგჭამე თვალით.

4.

პოსეიდონის დადგა თვე და  
დამძიმდა ძლიერ ღრუბლებში წყალი...  
და საშინელი ბობოქრობით ველურ ხმაურით,  
ქარიშხალს იგი დაბლა ჩამოჰყავს.

5.

მე ერთხელ ბურთი მეწამული ფერის მესროლა  
ოქროსთმიანმა  
ეროსმა და კვლავ სათამაშოდ,  
ჭრელსანდლებიან გოგონასთან ცეკვად გამიხმო.  
მაგრამ ქალწულმა  
ამ მდიდარი ლესბოსის შვილმა,  
ჩემს ჭალარა თმებს გადახედა დაცინვის თვალით  
და მერმე სხვისკენ მიტრიალდა და გაუღიმა.

6.

ყრმაო, შენა გაქვს გამოხედვა ნაზი ქალწულის...  
დაგეძებ, შენ კი დაგიხშვია ჩემდამი სმენა;  
თუმცა არ იცი,  
ვით მართავ ჩემს სულს...

7.

ო, მბრძანებელო, შენ, ყრმა ეროსი,  
ყორნისფერთვალა ნაზი ნიძფები  
და აფროდიტე ძოწითმოსილი  
თავს ირთობთ ერთად. გთხოვ გადმომხედო  
უმაღლესი მთის მწვერვალიდან მლაღადებელს და  
მავედრებელს მუხლმოყრით შენდა, მოწყალედ მექმენ,  
მომეველინე ჩემთა თვალთა წინ და აწ განცხრომით  
მოისმინე მუდარა ესე...  
გთხოვ, კლეობულეს სანუკვარი რჩევით მიმართო,  
აღმოუცენო სიყვარული ჩემდამი წრფელი,  
ო, დიონისევ, ყურად იღე ვედრება ჩემი.

8.

ათი თვე არის, რაც მოწყალე მეგისტე მხოლოდ  
თაფლივით მაჭარს ეწაფება თავშემკობილი  
ტირიფის რტოთა გვირგვინებით...



9.

მიცქერი რილით, ვით ძუძუთა პაწია ნუკრი,  
რომელიც ტყეში ჩამოშორდა ფურ-ირემს უცებ  
და თრთის მარტოკა.

10.

შუბლშემკობილთა ნიახურის ციცქნა გვირგვინით  
მო, ვიზეიმოთ დიდებული დღესასწაული  
დიონისესთვის...

11.

მწყურვალი ვარ, სურნელოვან ღვინით  
აზარფეშა მომაწოდე ყრმაო,  
შეურიე ათი წილი წყალი  
მარტოოდენ ხუთ ფიალა ღვინოს,  
მინდა შევსვა ასე მშვიდად, წნარად,  
მორიდებით ხოტბა ვუძღვნა ბახუსს.

12.

ვინადიმოთ, მაშ, ამივსე თასი.  
მე არ მიყვარს ღრეობა და ჩხუბი,  
რაც ჩვევად აქვთ ლოთობისას სკვითებს,  
(მე კი ქვეყნად რას არ დავივიწყებ)  
ოღონდ ამო სიმღერის დროს მასვი...

13.

ბ-კჟალარავდი...  
გამითეთრდა თმაც უკვე თავზე...  
და მომხიბლავი სიჭაბუკეც წავიდა, გაქრა,  
თითქმის დამცვივდა კბილები და  
სიცოცხლე ტკბილი  
არ დამრჩა ბევრი.

ამიტომაც ვქვითინებ მწარედ...  
მაშფოთებს ძლიერ ტარტაროსი... რადვანაც მღვიმე

საზარელია ჰადესისა... დაუსაბამო,  
საბედისწერო არის მისკენ მიმავალი გზაც...  
და იქ ვინც ეხრთელ ჩაეშვება, ცხადია იგი  
კვლავ ვერასოდეს ვერ იხილავს სინათლეს დღისას...



14.

მომიტანე ვაჟო, წყალი, ღვინო,  
ყვავილებიც მომიტანე ჩქარა,  
გვირგვინებით მსურს მოვიროთ თავი  
და ხელდახელ შევებრძოლო ეროსს.

15.

მიყვარს და თითქოს არც მიყვარს კიდევ,  
ხელი ვარ... თითქოს არცა ვარ ხელი.

16.

ვითა ზღვის ტალღა  
ძალიან ბევრს ნულარ იყბედებ  
სიცოცხლით სავსე და მზიარულ გასტროდორესთან,  
როცა უხვად სვამ; ეწაფები ღვინის ფიალას.

17.

არ მიყვარს კაცი ნადიმისას, როცა კრატერიც.  
ღვინოს სვამს, ცხარობს და ბრძოლებზე  
ცრემლისღვრით ყვება,  
ის მიყვარს, ვინაც მუზებსა და ლამაზ საჩუქარს  
აფროდიტესას გამახსენებს ამოდ მომლხენი...



გთხოვთ ალმანახ „საუნჯის“ ფურცლებზე ადგილი დაუთმოთ ჩემს შემდეგს განცხადებას.

1985 წლის „საუნჯის“ მე-4 ნომერში დაიბეჭდა ჩვენი რეცენზია ე. უბილაევას მიერ რუსულიდან თარგმნილი ილია ორბელიანის „მოთხრობის“ შესახებ, რომელიც გამოქვეყნებული იყო ალმანახის 1973 წლის №3-ში. ე. უბილაევამ ჩვენი შენიშვნების ნაწილი გაიზიარა. (იხ. „საუნჯე“ 1986, № 5). ამიტომ ჩემი ეს განცხადება არაა მთარგმნელის „პასუხის“ გარჩევა. აღარ ვედავებით ავტორს ილიას „მოთხრობის“ თუ „მოგონების“ (ამ ტერმინს თვითონ ხმარობს უწინწყლებოდ, იხ. ჟურნ. გვ. 276) ორიგინალობაზე. ტექსტის ნამდვილობაში გამოქვეყნებელიც დაეკავებულა (ორიგინალი არ იწერება ისეთი გაკრიალებული და ზუსტად გადაწერილი სახით, რომლის ფოტოახლი „ლიტ. გრუზიაშია“ დაბეჭდილი. ან ილია ორბელიანი ცნობილ ნაიბ შუა-იბის სახელს არაერთხელ დამახინჯებულად, „შუემზად“ მოიხსენიებდა?! ან ვინ გაუგზავნიდა ილიას მიერ ტყვეობისას გზადაგზა ჩაწერილი შთაბეჭდილებების შავს მ. ვორონცოვს. თავი უნდა ემტვრია მთავარმართებელს ორიგინალში სახწრაფოდ აღნიშნული დეტალების გასაშფრავად?). მოპასუხეს არ უნდა, გაერკვეს ტექსტულურ თავისებურებებში და თბილისში მცხოვრებ კალიგრაფის ერუდიციასა და კომპეტენტურობაში, რაც დალისტინის ტოპონიმიკისა და ონომასტიკონის საკითხებს ეხება. მაგ. კალიგრაფს სისტემატურად მოსდის იმდენად მძიმე, კუროზული და შინაარსობრივად უხეში შეცდომა, რომ ისინი ილია ორბელიანის კალმიდან შეუძლებელია გამოსულიყო. ვიმეორებთ, მთარგმნელი გვერდს უვლის საკითხს: ყოფილ მთავარმართებელს ონომასტიკონისა და ტოპონიმიკის მხრივ სწორ და უცთომელ, მაგრამ სწრაფად და უსწორმასწოროდ ნაწერ ორიგინალს გაუგზავნიდნენ? თბილისელი კალიგრაფი კი ცუდად კითხულობს ორიგინალს და ყველა მისი შეცდომა ასლში გადმოსულა, ამგვარ მთავარ და კუროზულ შეცდომებზე მთარგმნელი შეგნებულად სდუმს. მაგ. შეიძლება „ახტინცი“ ანუ აულ ახტის მცხოვრები ლემთარგმნელი შეგნებულად სდუმს. მაგ. შეიძლება „ახტინსკი“-ს სახით? ანდა ვინაა კალიგრაფის მიერ ორიგინალის სათანადო ადგილის საშინლად დამახინჯებული წაკითხვის შედეგად წარმოშობილი უცნობი პირი-გრაფი: „აშელტაშისთან (უ. ი. აშელტაშთან) დალუპული ვინმე გრაფი ივლიჩი?“ მოპასუხემ ამ კითხვასაც გვერდი აუარა. არანაკლებ კუროზულია კალიგრაფის მიერ ორიგინალში დილექტანტურად ამოკითხული ფრაზა «Мусоим призывал правоверных к намазу», რომელიც ქართულად ზუსტად არის თარგმნილი, მაგრამ „მუსეიმი“ — სახე-ლი არ არსებობს და ორიგინალში უეჭველად იქნებოდა „მუჰეძინი“, რასაც ყველა მთარგმნელი უბრალო გუმანიტაც მიხედვებოდა. „გალიჩინსკიე დელა“ თარგმნილია პირდაპირ (უ. ი. „იდალის ანგეზი“); ასევე — „გოგათლის დელეები“ — „გოგათლინის დელეებად“. ვინაა „ბუტაშუტა“-ს ეთი პირი არსებობდა?) ან როგორ უნდა გავიგოთ „ქემს ანუ ტარიკატი“ და მრავალი, მრავალი ამგვარი რამ. როგორც ვთქვით, მთარგმნელი ყველა ამ შეცდომის შესახებ სდუმს.

რედაქციას უმორჩილესად ვთხოვთ, ნება დაგვართოს ობიექტურად უარყოთ ე. უბილაევას ჩემდამი წამოყენებული ერთი ბრალდება: თითქოს შამილის ბიოგრაფის, მისი კარნახით ჩაწერილი ტაპირ ალ-ყარახელის „ქრონიკის“ ერთ-ერთი ძირითადი ვარიანტის შექმნა ჩვენს მიერ 1935 წელს აშელტაში ყოფნისას — „სარწმუნო“ არაა.

ა. გაწერილია გვარწმუნებს (?) რომ ის არის ტაპირ ალ-ყარახელის მიერ შედგენილი არაბული ქრონიკის... ერთ-ერთი ძირითადი ვარიანტის აღმოჩენი. ამ აღმოჩენის დასადასტურებლად ა. გაწერილია იმეორება აკად. გ. წერეთლის მიერ მისთვის ოდესღაც ნაჩუქარი წიგნის ავტოგრაფს (აზრი დასრულებული არაა: უ. ი. „ნაჩუქარ წიგნზე გაკეთებულ ავტოგრაფულ წარწერას“. ა. გ. ავტორის მიერ ნაჩუქარი წიგნის ავტოგრაფი არ შეიძლება სარწმუნო ოფიციალურ დოკუმენტად მივიჩნიოთ, მით უფრო ლიტერატურული ძეგლის „აღმოჩენის დასტურად“ (ე. გვ. 283).

აშკარა ფაქტების იგნორაციის გასაოცარი და უჩვეულო მაგალითი

აკი მოპასუხე არაერთხელ ეხება ჩვენს ნარკვევს „მთების ქვეყანაში“ (1935) და ნუთუ არ წაუკითხავს იქ მოტანილი ცნობა 1935 წლის 31 აგვისტოს აულ აშელტაში ჩვენს ჩასვლასთან დაკავშირებით:

„შეგზურს მოაკვს შამილის ბიოგრაფია. მას ჩვენს მიერ დავადებული პკონდა ხელნაწერე-ბის შესყიდვა აუღებში, ჩემი ხელნაწერი ცნობილია მეცნიერებაში“, და გვიანდელი შენიშვნა იქვე: Хроника... I-II (იხ. ჩვენი „ნოველები“, 1960, გვ. 158). ეს სიტყვები დაწერილია 1935 წელს, შენიშვნა კი 1941 წლის შემდეგ. თვითონ ნარკვევი 1960 წ. დაიბეჭდა). ხელნაწერი დი-დიხანია დავიბრუნეთ და იგი ჩვენს ხელთაა, რედაქციის 1960 წელს გამოცემული ჩვენი ნოვე-ლების წიგნთან ერთად კუდგენთ ამ ხელნაწერს და ვთხოვთ, დაადასტუროს ჩვენი სიტყვების სისწორე“.

დამატებით აღვნიშნავთ: წიგნში „ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი“, ვწერ-ლით (თბ. 1974, გვ. 175).

„1941 წელს დაიბეჭდა ორ წიგნად შამილის მდიენის ტაპირ ყარახელის განთქმული „ქრო-ნიკა“, ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლი დადესტნისა და კერძოდ შამილის ბრძოლების ისტორია-ზე. I ტომი შეიცავს რუსულ თარგმანს, მე-II — არაბულ ტექსტს. მსოფლიო არაბისტიკაში ეს გამოცემა კარგადაა ცნობილი. მას ერთ-ერთ ვარიანტად საფუძვლად უდევს ჩვენს მიერ 1935 წელს აულ აშოლტაში შექმნილი ხელნაწერი. „ქრონიკის“ მთარგმნელი ბარაბანოვი შესავალში ჩამოთვლის ხელნაწერებს და ჩვენს მიერ პოპოვებული ვარიანტის გამო აღნიშნავს:

«3) Фото-снимок с неполной рукописи, найденной в Тбилиси(?)... предоставленный мне в пользование акад. И. Ю. Крачковским. Дата написания неизвестна. Эта руко-пись названа мною «рукопись В» (Хроника Муххамеда Тахира ал-Карахи о дагестан-ских войнах в период Шамиля. Перевод с арабского А. М. Барабанова. Предисловие акад. И. Ю. Крачковского. «Труды института востоковедения», XXXV, М.-Л., 1941, с. 22).

იმავე მონოგრაფიებში აღვნიშნეთ:

„ყოველივე ამის გამო ჩვენ მოკლედ და ორჯერ ვწერდით გრ. ორბელიანის მხატვრული ნაწერების აკადემიური გამოცემის („საბჭ. მწერალი“, 1951, გვ. 226 და 1959 წ. გამოცემის გვ. 580) ბოლოს დართულ შენიშვნებში, ბიოგრაფიული წყაროების სიაში, ქრონიკის სრული სათაურის, მთარგმნელისა და რედაქტორის დასახელების შემდეგ:

„ტაპირ ყარახელის ქრონიკის ამ გამოცემის ერთ-ერთი ვარიანტი („ხელნაწერი ხ“), რომელიც თბილისიდან გადაეგზავნა ი. კრაჩკოვსკის, ჩვენ ვიპოვეთ აშოლტაში (დაღისტანს) 1935 წელს. ა-მოცემაში ეს ფაქტი აღნიშნული არაა“. (გვ. 580) (იქვე, გვ. 175).

„ქრონიკის“ ხელნაწერის ისტორიიდან ჩემთვის ცნობილია, რომ პირველად (?) ის უნახავს კავკასიისმცოდნე ადოლფ ბერეეს 1860 წელს ლენინბში, სადაც გენერალ ლაზარეეს მისთვის უჩუქნია არაბული ხელნაწერი სათაურით „დეკური ხმლების ელვარება შამილის ზოგიერთ ლაშ-ქრობებში“, დაწერილი „შამილთან დაახლოვებული პირის“ (აშკარაა — ტაპირ-ყარახელის, ა. გ.) მიერ. თბილისში დაბრუნებულ ად. ბერეეს ვადაუწყვეტია რუსულად ეთარგმნა იგი და ცალკე წიგნადაც დაებეჭდა (სამი თავის თარგმნა მოუსწრია კიდევ), მაგრამ იმ დღეებში თბილისში ჩა-მოსული ვიღაც პეტერბურგელი „ცნობილი მეცნიერი“, რომელსაც დროებითი სარგებლობისათვის ხელნაწერი გამოურთმევია ბერეესათვის. როცა ა. ბერეე მეორე წელს სტაბტოში ჩააულა, „ცნო-ბილი მეცნიერი“ ცოცხალი არ დახვედრია და ხელნაწერისათვისაც ვერ მიუგნია. სამი პეტარა თავი „ქრონიკისა“ კი ბერეემ 1968 წელს გამოაქვეყნა თბილისში (იხ. ად. Берже. Казы-Мулла. «Кавказ», 1868, № 10).

„ქრონიკის ხელნაწერი ცნობილი იყო კავკასიის მცოდნე ნ. დუბროვინისათვისაც. (იხ. Н. Дубровни. Из истории войны и владычества русских на Кавказе. «Военный сборник», 1890, II, стр. 16 и 26-27. 1986 წელს მისი ყალბი და საშინლად დამახინჯებული ვარიანტის თარგმანიც დაიბეჭდა რუსულად (იხ. Три Имама. «Сборник материалов для описания местности и племен Кавказа», вып. 45, Махачкала, 1926, с. 53—192) რედაქცია: გ. მალაჩიხან-ისა, და ახეთი, მსოფლიო მნიშვნელობის, დოკუმენტის სამიდან ერთ-ერთი ძირითადი (მე-2) ვარიანტის ნამდვილი აღმოჩენა უმნიშვნელო ფაქტადაა მიჩნეული. მე-ტიც, მოახსუხვს ხაეგვოდ შიანია ჩვენი დამხაბურება ამ სფეროში. მას არ აკმაყოფილებს ვ. წერეთლის შედგენილი არაბული „ქრესტომათიის“ „ავტოგრაფიული წარწერაც“.

ვფიქრობთ, ზემოთ მოტანილი ფაქტები და ოვით „ქრონიკის“ ვარიანტის ჩვენს ხელთ არ-

\* აქ გაწერელიამ „საუნჯეში“ წარმოადგინა არაბული ხელნაწერი (შამილის ბიოგრაფია) და 1960 წელს გამოცემული თავისი ნოველების წიგნი, სადაც წერია (გვ. 158), რომ მან ეს ხელნაწერი ნახა 1935 წელს (რედაქცია).

სებობა ზუსტად ადასტურებს ჩვენს მიერ 1935 წელს ტაპირ ყარაბელის ნაწარმოების აღმოჩენას.

როგორც მოგახსენეთ, მოპასუხის არც ერთ სხვა შენიშვნას ამჯერად არ ვუპასუხებთ სხვა რომ არა იყოს რა, ჩემი მოპასუხე ოდესღაც მგონი სხვა შეხედულების გახლდათ ჩვენს დამსახურებაზე მწერლობაში. და თუმცა იგი წინააღმდეგია ლიტერატურულ მიძღვნიან მწერლობაში მოტანისა (მაშინ ი. გრიშაშვილის „ბიბლიოგრაფიის“ რამდენიმე ტომის ქართულ ნაწილზე ვიხსენებ ნახევრებული სახითაც არ დაიბეჭდებოდა!) — ჩვენ აქ მაინც მოგვაქვს მისი ჩვენდამი მიძღვნა „განძეულის გუშაგისა“.

ჩვენს უხაყვარლეს მეგობარს,  
უბრწყინვალეს მწერალს, ლიტერატურისმცოდნეს,  
მკვლევარს, კომენტატორს და კარგ ქართველს  
ბაბაძე ბაწარელისა

გულითადი სიყვარულით და პატივისცემით  
ელიზბარ უზილავა.

17. III. 87.

1. II—82 წ.

გვერწმუნეთ, ჩვენი გაცხადების შინაარსიც მოპასუხისადმი ასევე გულითადობისა და პატივისცემის გრძნობითაა განმსჭვალული.

პატივისცემით.  
ბაბაძე ბაწარელია  
17. III. 87.







თარგმნა ეკა ხუციშვილმა

საუბარი თეატრზე

დრამატურგის, რეჟისორისა და აქტიორის ურთიერთობა თანამედროვე თეატრში. — XIX საუკუნის დრამატურგი. მისი მტრობა აქტიორებთან. მწერალი და ძველი აქტიორი. „მოდური შეკითხვა“ — რეჟისორზე. „გარდამავალი ეპოქის“ წინააღმდეგობანი. მისი შედეგი — ახალი აქტიორი. სევდის დამღუპველი სული თანამედროვე თეატრში. პასუხისმგებლობის, კრიტიკული უწყობისა და მოვალეობის გრძნობის უჭონლობა. აზრები თანამედროვე თეატრის მდგომარეობაზე. ერთადერთი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან. უფსკრული თანამედროვე მაცურებლის დიარბაზსა და სცენას შორის. ახლო მომავლის მაცურებელი. თეატრი — ხელოვნების სხეული. დიდი შემოქმედებებისა და ძლიერი ვნებების მომავლის თეატრი. რამდენიმე სიტყვა „სახალხო თეატრისა“ და „მელოდრამის“ თაობაზე.

1.

უპირველეს ყოვლისა თავს ვაღიარებულად ვთვლი განვხადვრო ჩემი ამოცანა. ჩემი თემა — ახლო მომავლის რუსული დრამატული თეატრი. არ მსურს შევუდგე საერთო მსჯელობას შორეული წარსულისა და კიდევ უფრო დაშორებული მომავლის თეატრზე. სულ ახლახანს ღარიბი რუსული ლიტერატურა ამ სფეროში მდიდრდება ძალზე ძვირფასი შენაძენით. მართალია, ჭერ კიდევ არ გვაქვს თეატრის ისტორია, თვით რუსული თეატრის ისტორიაც კი არ არის მიყვანილი ბოლომდე. პ. ო. შოროზოვის „ისტორია“ მთავრდება იმპერატორ ელისაბედ პეტრეს ასულის ტახტზე ასვლით. ე. ი. რუსული თეატრის პირველყოფილი დროით, XIX საუკუნის ისტორია არ დაწერილა, თუ არ ჩავთვლით ბოფერიანოვის შრომას, რომელიც, როგორც ჩანს, დასრულებული სახით ვერ იხილავს დღის სინათლეს, მონოგრაფიები და „ქრონიკები“ კი უჩვეულოდ უბადრუკი და ძალზე ნაკლებად ხარწმუნოა. სამაგიეროდ სწორედ უკანასკნელ წლებში, რუსი მწერლები, თუმცაღა არსსხვეციანისტები, დაინტერესდნენ თეატრით და ჩვენ უკვე ხელთ გვაქვს არაერთი მოკლე და შეკუმშული ხტატია, რომლებიც აშუქებენ თეორიის საკითხებსა და თეატრის ტექნიკასაც კი, რასაც კულტურის საერთო საკითხებთან ერთად განიხილავენ. მართალია,

ბევრ მათგანს თეორია უფრო უყვარს, ვიდრე პრაქტიკა და თავს ახვევენ თეატრს მისთვის არც თუ ისე მახლობლურ საქმეს, რამდენიმეს მაინც ნამდვილად უყვარს თეატრი და იცის მისი თავისებური ყოფა, მისი ჩვევები, რომლის მსგავსიც არსად მოიპოვება. აი, ამიტომაც უნდა ვუმაღლოდეთ ამ მწერლებს: გაიარა ძალზე ცოტა დრომ და თეატრის მოღვაწეებმა ბევრი რამ ისწავლეს მათგან, ზოგი რამ შეითვისეს და შეისისხლბორცეს კიდევ, თუმცა ზერეღედ, ნაწილობრივ, ხშირად კი — წარუმატებლადაც.

მე მგონი დროული იქნება ვთქვა ჭერ კიდევ ნაკლებად შესამჩნევ შემობრუნებაზეც, რომელიც მოხდა რუსულ თეატრალურ საქმეში ბოლო წლების განმავლობაში. ეს — ჭერ მხოლოდ დასაწყისია და, ალბათ, მაუწყებელი რომელიღაც დიდი საქმისა, რომელიც უნდა განხორციელდეს, მაგრამ ამ საქმისაკენ მიმავალი ყველა გზა მინიშნებულია ისტორიით, და მე მგონია, არ შეეცდები და არ ვიქნები ცრუ წინასწარმეტყველი, თუ შემოგთავაზებთ მოსაზრებებსა და დასკვნებს, რომლებიც აქედან გამოვიტანე.

განზრახული მაქვს გავაანალიზო ის ეგარეთ წოდებული „საფუძვლები“, რომლებსაც ემყარება თეატრი, გავაკრიტიკო თანამედროვე თეატრი, რომელიც როგორც ყველასათვის ცნო-

ბილია, ხულაც არ განიცდის საზღვიო დღეებს, რამდენადაც მაცდუნებელი მშვენიერება — ჩვენი დროის საუკეთესო თეატრის, მხატვრული თეატრის „ჩეხოვშინისა“, კომისარევესკაიას თეატრის ნაკლებად ნაყოფიერი ძიებანი ერთნახევარი ხელონის განმავლობაში, ხაიმპერატორო თეატრების სრული დაუძღვრება და პროვინციული წამოწყებების გაუთავებელი სიძველე და უაზრო უსაფუძვლობა — დღესასწაული ხულაც არ არის. მაგრამ თუ გარედან ასეა, შიგნით პირიქითაა და თანამედროვე თეატრალური საქმის გამაანალიზებელი შეიძლება მივიღეს უფრო მეტად სანუგეშო დასკვნებაშიც. ვიდრე გარეშე მეთვალყურე. ამის გამო არ მერყენება წედმეტად გამოვიკვლიო ხედიანი გზა, რომელზედაც გასცურა რუსული თეატრის ხომალდმა, და მივუთითო იმ გარემოებებზე, რომ თვით ისტორიის ხელმა უკვე შემოაბრუნა ხავე, და ხადაც შორს ციალებს შუქურის ძლივს შესამჩნევი, გაფანტული შუქი.

ჩემს ამოცანაში შედის დრამატურგის, აქტიორების, რეჟისორისა და მსახურების ურთიერთმიმართების გარკვევა, როგორია იგი, როგორი უნდა იყოს და როგორი შეუძლია გახდეს, უკეთ რომ ვთქვათ, როგორი იქნება იგი გარდაუვლად, ადრე თუ გვიან — ეს დამოკიდებულია თვით საქმის მონაწილეებზე, ყველა თანამედროვეზე, როგორ ურთიერთობაშიც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი თეატრთან. თუ თეატრის თანამედროვე მდგომარეობა კულავ გაგრძელდება — ეს იქნება მხოლოდ ნელი აგონია, „სულელური დაუსრულებლობა“, — კომპრომისების გრძელ რიგში დგომა, რომელიც შეუძლიათ ან ძალზე ფხიზელ ან ძალზე მთვრალ ადამიანებს, ე. ი. ცოცხალ მკვდრებს. ყველანაირ აგონიასთან, ყოველგვარ ნელ კვდომასთან ადვილია შეჩვევა, ამიტომაც კოდვას არ ჩავიდნით. წედმეტად თუ შევანჯღრევთ ადამიანს, რომელსაც გზაში ჩაეძინა და მზადაა ჩვეულებათა ორმოში ჩავარდეს. — მაშ ასე, ვუბრუნდები ჩემს თემას.

2.

უპირველეს ყოვლისა ვიხილავ რა ძველთაგანვე განსაზღვრულ ურთიერთობას თეატრსა და ლიტერატურას, მწერალსა და სცენას შორის, ვახდენ ღორდ ბაირონის მედიდური სიტყვების ციტირებას:

„თანამედროვე თეატრის მდგომარეობა, ისეთი არაა, რომ ამაყოფილებდეს პატივმოყვარეობას, მე კი, მით უმეტეს, მეტისმეტად კარგად ვიცი კულისებშიდა პირობები ხაიმისოდ, რომ სცენამ ოდესმე შეხებლოს ჩემი ცდუნება. ვერ წარმოვიდგენ, რომ ფიცხი ბუნების ადამი-

ანი თეატრის მსახურების სასამართლოს მიენდოს. დამცინავი შეიძლება, ლანძღვის მოყვარული კრიტიკოსი და უკმეზი გამომგონებელი პრესაში — ყველაფერი ეს საკმაოდ შორეული უბედურებაა და უცბად არ კბვდება თან ავტორს. მაგრამ გამგები თუ უმეცარი მსახურების ახმაურება ნაწარმოებზეც, რომელიც — კარგია თუ ცუდი — დიდგონებრივ დაძაბულობად დაუჭდა ავტორს — ძალზე საგრძნობი და უშუალო ტანჯვაა, გაძლიერებული მსახურებელთა კომპეტენტურობაში ეკვის მიტანით და საკუთარი გაუფრთხილებლობის შეგნებით მათი მოსამართლეებად არჩევის გამო.

მე შემედავებთან, რომ ბაირონი არ იყო კემმარინტი დრამატურგი და სწორედ იმ ტრაგედიას „მარინო ფალიერო, ვენეციის დოჯი“, რომლის წინასიტყვაობიდანაც მე ახლახანს მოვახდინე ციტირება, კემმარინტად შემთავონებულ რაგენულ ტრაგედიას არ მოჰყოლია წარმატება ინგლისურ სცენაზე, უფრო მეტიც, დაიდგა ავტორის სურვილის წინააღმდეგ. მაგრამ ბაირონი მაინც თითქოსდა სიმბოლოა XIX საუკუნის დრამატულ მწერალთა რომანტიული ხიამეისა, კედმალლობისა და სიმარტაფნობისა. მნიშვნელოვანია, რომ ბაირონის მიერ 1820 წელს დაწერილი სიტყვების განსაცვიფრებლად მსგავს სიტყვებს ჩვენ ვპოულობთ საუკუნის დახასრულის არანაკლებ დიდ მწერალთან. მენრიკ იბსენი, რომლის იდეების ხოლომდე ჩაწვდომა აქამდე ვერ შევძელით, გენია, რომელსაც შესწევდა უნარი პოდემიკური სიფიცხით გამოებატა თავისი სულის უმაღლესი და ყველაზე მდაბალი მოძრაობები განსაკუთრებულ დრამატულ ფორმებში, მწერალი, რომლისთვისაც სცენური გამომსახველობა უნდა ყოფილიყო, როგორც ჩანს, მისი ნაწარმოებების სისხლი და ხორცი, — უცბობობს თეატრს, და ამით მთელი ასწლურულის შემდეგ ხელს უწვდის ღორდ ბაირონს იმ არისტოკრატიული კედმალლობით, რომელიც ხანდახან იღვიძებდა მასში. ახალი დემოკრატიული ღორდის ამ აბუჩადაშვებები და წიწლიანი ხელით თვალწინ წარმოგვიდგება იბსენი როგორც ცოცხალი, ისეთი, როგორსაც აღწერდნენ მას მნახველი და თაყვანისმცემლები: „ახლახანს წვიმდა, აგვისტოს საღამო ნოტიო, ნაკრისფერი იყო, მიწა სველი... კომხაბების სველი საზურავეები სინესტისაგან ბრწყინავდა, ბილიკი ატალახებუდიყო... უცებ ჩასკვნილი ხნიერი ბატონი დავინახეთ, რომელიც ნელა, დარბაისლურად, ღრმად ჩაფიქრებული მოდიოდა გზაზე... ამ ვითარებაში იბსენის კოსტიუმის უზადობამ, დახვეწილობამ და გარეგნობამ უფრო მეტად მოახდინა შთახებუდილება. იგი გვაგონებდა საცოლის შესახვედრად მიმავალ მორთულ საქმროს.. შავი ხავერდის სავიწიტო ხერ-

თუკის ხაღილეში ორდენის ლენტით, თვალისმომჭრელად თეთრი და ახალი თეთრეული, კობტა ხაზით გამოწასკვული ზალსტუნი, შავი კასტორის ქუდი, მოწომილი მოძრაობები, თავდაპირველი მანერები და ხახის გამოშეტყველება — ყველაფერმა ანან მაიძულა გაშეხსენებინა მისი ლექსები, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ მას ეშინია ბრბოსი, არ ხურს გაისვაროს ტუტყუით, მაგრამ ხურს დაელოდოს მომავალს საქორწინო მორთულობით, რომელსაც ერთი ლაქაც არსად ექნება“ (პაულსენის მოგონებებიდან).

თეატრთან ურთიერთობაში იბსენი უკიდურესად დამოუკიდებელი იყო. მიუხედავად ამისა, 1881 წლიდან მოკიდებული, თითქმის სამშობლოდან გამგზავრებამდე, ე. ი. თორმეტ წელზე მეტი ხნის მანძილზე, უშუალოდ ახლო იდგას ცენსთან, ჯერ რევისორად უოფნის დროს ბერგენში, შემდეგ ქრისტიანიაში, სადაც დადგა შექსპირის, გოლბერგის, ელენშტიგერის, მაიბერგის, ბერნსონის და ბოლოს საკუთარი პიესები. ეტყობა, დრო ჰქონდა თეატრი დიდ ხომალდეზე აეყვანა. თუმცა, როცა მსახიობებს ეკითხებოდნენ, გასწავლათ თუ არა რაიმე იბსენსაო, ისინი ჩვეულებრივ პასუხობდნენ: „ის მხოლოდ გვიყურებდა, თქმით კი არაფერს გვეუბნებოდაო“. მსახიობი ქალი ვოლფი მას ახასიათებს, როგორც „მოკრძალებულ ადამიანს, რომელთანაც გულითად საუბარს არავინ მოისურვებდა. იგი გამუდმებით გრძელ ლაზადაში გახვეული დადიოდა და როდესაც ვინმე მიუახლოვდებოდა, ამ ლაზადაში ისე იმალებოდა, როგორც ღოკოკინა ნიერაში“, იგი უოველთვის კმაყოფილი იყო თამაშით, თუმცა, იმავე მსახიობი ქალის აღიარებით, საშუალოდ თამაშობდნენ. იყო უოველთვის დაღლილი და თავაზიანი, განსაკუთრებით ქალებთან, რომელთაც უოველთვის მიიჩნევდა საუკეთესოდ, გამოწაკლისის გარეშე. ზოგჯერ საკუთარ პიესაში კომიკური როლების შემსრულებელ ქალს ტრაგიკულ როლს აქლევდა, ასეთ დროს უოველგვარი პროტესტი მასში მხოლოდ ბრაზს იწვევდა.

ეს იყო ორმოცდაათიან წლებში. 1891 წელს კი გერმანელმა ლიტერატორმა კონრადმა ჩაწერა თავისი საუბარი იბსენთან: იბსენმა გულახდილად აღიარა, რომ თავისი შტოკმანის ურრება არ იწიდავდა, რომ არაფერი აქვს ხაწინააღმდეგო, თუ მის პიესებში რამეს გამოტოვებენ, ოღონდ ამის გამო დრამატული მოქმედება არ უნდა დაზარალებულიყო. რომ თეატრში იგი კმაყოფილდება ნამდვილი, ძლიერი შთაბეჭდილებით. „უნდა მივიღოთ თეატრის ხალხი ისეთი, როგორებიც არიან. ოდესმე ხომ მოეგებებიან ბონს“. და არაერთხელ უღიარებია იბსენს, რომ თეატრალური წარმოდგენები ტანჯავდა. რეპეტიციებს

არ ესწრებოდა, სპექტაკლებზე დადიოდა იშვიათად, ისიც თავაზიანობის გამო, თუქსდაც არასოდეს გაუვლია, რომ შეიძლება პიესა ისე არ იყოს ნათამაშევი, როგორც ხაწიროა. „შეუძლებელია, რომ ასეთმა აქტიურმა ყველად ითამაშონ. ისინი ხომ უფროსი საუკეთესოებად ითვლებიან აქ,“ — უთხრა ერთხელ იბსენმა მემუარისტს. მაგრამ ეს მსახიობები მას თვალთაც არ უნახავს.

აღბათ, არ უყვარდა იბსენს აქტიორები; შეიძლება სძულდა კიდევ ისინი. ამბობენ, რომ იცოდა და ახსოვდა სრულყოფილად თავისი გმირების თითოეული ნაკვთი და შეურაცხყოფდა ის, რომ ნორას სცენაზე არ ექნებოდა ისეთი ხედვები, როგორსაც ხედავდა ოცნებაში. მაგრამ ამაში არ არის მისი თეატრისადმი ზიზღის მთავარი მიზეზი. უპირველეს ყოვლისა იგი საუოველთაო-სახალხო მეომარია, რომლის იარაღიც განმგმირავი სიტყვა იყო, რომელიც საბრალლო თანამედროვეების ჩირქოვან, დაფუფქულ კანზე მსუსხავი მათრახივით მოჭმედებდა. არავის არ ჰქონდა ძალა, ეს სიტყვა დაეყვირა ისე ხმაშალლა, მთელი მსოფლიოს გახაგონად, როგორც უვიროდა თვით იბსენი; იგი იყო პირველი და უკანასკნელი, სხვა გონებას და პირს არ შეეძლო მომავალზე ეს სიტყვები წარმოეთქვა. ამიტომაც მისთვის სულ ერთი იყო, ვინ გაიმეორებდა მის შემდეგ ცოცხალი, მაგრამ მიმწუდარი ექოთი იმას, რაც დაწერილია მის წიგნებში მკვდარი, მაგრამ ცეცხლოვანი ასოებით. აღბათ საქმე დღემდე ასეა; იბსენი უფრო გახაგებია წიგნის ფურცლებიდან, ვიდრე სცენიდან. და ბოლოს, იბსენის წინ გადაიშალა ძველი თეატრის მკვდარი, თუმცა ჯერ ისევ მოყვავილი ჰყოლი.

8.

მე ვფიქრობ, რომ ლიტერატურის მტრობას თეატრის მიმართ, მწერლისას აქტიორის მიმართ თავისი ღრმა, რეალური მიზეზები აქვს, რომლებიც, როგორც ღრუბლები, გროვდებოდნენ ნელა, დიდხანს და ბოლოს მთელი მორიზონტი დაფარეს.

მწერალი განწირულია; იგი ხამყაროში მოვლინებულია იმისათვის, რათა გააშიშვლოს თავისი სული იმათ წინაშე, ვინც ხულიერად დაშვებულია. ხალხი წვეთწვეთობით აგროვებს ცხოვრებისეულ წვენს, რათა თავისი წრიდან წარმოშვას თუნდაც საშუალო რანგის მწერალი. და მწერალი ხდება ბრბოს ნადავლი. გაღატაკებული სულები ევედრებიან, ითხოვენ, მოითხოვენ და უკანვე იღებენ ამ ხაარსებო წვენს ასმაგად. ამ თხოვნა-მოთხოვნათა ფორმებს არ აქვს ხაზღვარი: გოგონა გიყურებს შესაბრალო-

ასი, ფართო თვალებით და გთხოვს: „შეიძლება რაღაც, რათა, ვით ხარკეში, დავინახო ჩემი თავი, რათა გავხდეთ უფრო ლამაზი, რათა ძვირფასმა ვაჟმა შემიყვაროს“: ობივაციული ამბობს: „მომიყვები რაღაც ჩემს უოფა-ცხოვრებაზე, რათა აღვივსო უკიდურესი სიბრაღულით, რათა ჩემი გახეშებული სული უბე ცრემლად გადმომდინდეს ჩემი ბეჩავე ცხოვრების, შეუბედავი და ბებერი ცოლისა და ხაყმაწვილო ხენით დაავადებული ბავშვების გამო“: საზოგადო მოღვაწე ამბობს: „შთამაგონე მართალი საქმის კეთება, თორემ დარჩები საზიზღარ მუქთაბორად და შენი ფუჭი შთაგონების არც ერთი წვეთი არ შეხვდება საზოგადოებას, რომელსაც უნდა უმადლოდეს საკუთარ უოფას“. მათხოვარიც უვირის. „უღრიადი მდიდრებს, რათა გააღონ ზანდუკები და გაგვიყონ ოქრო, თორემ მოვალთ და დავიწყებთ ძარცვა-გლეჯას, ხოცვა-ჟლეტას და პირველ რიგში შენ დაგბეჯავთ!“ და ბევრი სხვა ითხოვს და მოითხოვს მწერლისაგან იმას, რაც მათ სჭირდებათ, როგორც მკურნი და პური. და მწერალი ვალდებულია მისცეს მათ ეს, თუ ის მწერალია, ე. ი. თუ განწირულია საამისოდ. შეიძლება, მწერალი ვალდებულია მისცეს მათ თავისი სული, და ეს განსაკუთრებით რუს მწერალზე ითქმის. შეიძლება, ამიტომ იხოცებიან ასე ადრე, იღუპებიან ან თავიანთ დროს მოკაშენ ხოლმე სწორედ რუსი მწერლები, რადგან სიტყვა არსად ისე ცხოვრებისეული არ არის, როგორც რუსეთში და არსად ისე არ ხორციელდება ცხოვრებაში, ისე არ იქცევა პურად და ქვად, როგორც ჩვენთან. ამიტომაც რუს მწერლებს სხვებზე ნაკლები უფლება აქვთ ბედს უჩიოდნენ. ცუდია თუ კარგი, მათ უსმენენ, ხოლო, რომ გაუგონ, ნახევრად თვით მათზეა დამოკიდებული. იშვიათად ვხვდებით არისტოკრატიული ბუზღუნის, უველაფრით უკმაყოფილების, მოწყენილობის, აპათიის, უნდობლობის შემთხვევებს, მაგრამ მათ სხვა რამ ახრჩობთ. ვხვდებით უდიდეს ჩამორჩენილობასა და მოყირკეზულობას, რასაც თავის ტორებში მოუქცევია ხალხის ნაწილი, მაგრამ ეს სულაც არ არის მთელი ხალხი, მხოლოდ მისი მეათასედი ნაწილია. ამის თაობაზე ლაპარაკი შემდეგ გვიქნება.

ამრიგად, მწერალი განწირულია უკუღმა ამოაბრუნოს თავისი სული, გაუზიაროს თავისი გულითადი ფიქრი ბრბოს. ასე იყო იმთავითვე, ასეა ეს ახლაც და ასე იქნება უოველთვის, სანამ იარსებებენ მწერლები. მწერალი, შეიძლება უველაზე მეტად ადამიანია, ამიტომაც მას უხდება განსაკუთრებული წვალეებით, ხაშუდამოდ და სამწუხაროდ დახარჯონ თავისი ადამიანური „მე“, შეურისოს იგი სხვა მომთხოვნ და უმადურ „მე“-თა მახას.

ასეთია მწერალი. თუ ის გრძობს პასუხისმგებლობას, თავისი ზურგიით წიდავს ამბობებისა და ნუგეშის, ტანჯვისა და სიბრაღის სიტყვებს, მიწისა და ცის ზღაპრებსა და სინამდვილეს. გთხოვთ, გახსოვდეთ, შე მხოლოდ ვანზოგადებს სათქმელს და სქემას, რომელიც ადგენ, და ზუსტად ასევე უმადლოდს აქტიორის შესახებ, ოღონდ ზოგიერთ შტრიხს განვანოგადებ.

როგორია აქტიორის ძველი ტრადიციული ტიპი? რა ტვირთს წიდავს იგი თავისი მხრებით? არავითარს. მძიმე ქვა ეღო გულს, იყო დიდი პასუხისმგებლობა რუსული სცენის წინაშე, იხმოდა მხურვალე სიტყვები და ვხედავდით ტანჯვისათვის მზადყოფნას, მაგრამ ეს უველაფერი ქარმა წაიღო, დაიწყებას მიეცა და დარჩა მხოლოდ ცარიელი სიტყვები. იმ-იტომ, რომ ძველი თეატრი გაჩერდა, ამოიხუნთქა და მოკვდა; იმ-იტომ, რომ გაქუცული ხავერდი და ოქროს ფუნჯები მხოლოდ მოგონებებით გვალეულებენ, გვალეულებენ რომანტიკულად, პასიურად; იმ-იტომ, რომ რომანტიკული გულისცემა მთვრალ მკერდში, რომელშიც სტიქიური ძალები ივლიემდნენ, ღუდის ცარიელ კახრზე ბუტაფორულ დარტყმებად იქცა. ვისაც სურს სინანული, დაე ინანოს, უნაყოფო ნალველით უნანაოს თავს. მათ, ვინც მომავლისკენ იუფრება, არ ენანება წარსული. მართალია, დიადი გაკვეთილების მოწმენი ვიყავით, მაგრამ რუსული ანდაზა „სწავლა სიბერემდეო“ ისევე შეზიანურად უკბილო და გულისამრევია, როგორც ბევრი რუსული ანდაზა. დგება დრო, როცა საკიროა შევწყვიტოთ პასიურ მოწაფედ ყოფნა, სხვანაირად, ხალმრთო წერილის სიტყვით, „შევიკრავენ ხელებს და წავიყვანენ იქ, სადაც არა გხურს“.

თუ მწერალი უპირატესად აღმშენებელია (ის კი ვალდებულია, ადამიანი იყოს), მაშინ აქტიორი, როგორც შექმნა იგი ტრადიციამ, უპირატესად მხახიობია. შეიძლება იგი ძალიან ნიკიერია, მაგრამ ეს მხოლოდ აქლიერებს მის მხახიობობას. იგი უოველთვის წიდავს თავის თავში გმირობის ხელუბლებელ კუნჭულს, იბერება გმირობისაგან, ვერსად გაიქცევა ჩვივას, რომ სცენაზე — გმირი საუვარელი ან ბორტმოქმედი. ასეთადვე გვივლინება ცხოვრებაშიც.

სცენაზე იგი მაკბეტია ან რომეო ანდა იროდი. მაგრამ თანავედროვე ცხოვრებაში მას სულაც არ შეესაბამება ესოდენ კეთილშობილური ხასიათები. ვლადიმერ სოლოვიოვის სიტყვებით:

...многое уж невозможно ныне:  
Цари на небо больше не глядят,  
И пастыри не слушают в пустыне,  
Как Ангелы про Бога говорят.

და ამიტომაც სრულიად თანამიმდევრული იქნებოდა, გმირი, საუვარელი და ბორცტმოქმედი, გადაქცეულიყო ჩვეულებრივ ხულიგნად, და საკვირველია, თუ ეს არ ხდება. ეს იქნებოდა მხოლოდ „უველანაირი სიმართლის შესრულება“, — ცხოვრებაში მსახიობობის კანონების დაშვიდრება.

მაგრამ ცხოვრებაში ხვდა კანონებია, ვიდრე სცენაზე. და ამიტომაც, როცა გმირობა და ბორცტმოქმედება ცხოვრებაში გადაიტანება, შაშინ მათ ხვდა სახელებით მოიხსენიებენ. მაკბეტის გმირობა თანამედროვე ცხოვრებაში, უპირველეს ყოვლისა გაუნათლებლობა, სულიერი ცხოვრების სრული შეჩერება და, შესაძლოა, უხეში ძალაა, რომელიც უკეთეს შემთხვევაში უმოქმედოა, იმიტომ რომ ანგარებიანია. ამრიგად, შეიძლება აღმოჩნდეს, სამწუხაროდ, რომ ნიკიერი ღირი ან რომეო ცხოვრებაში არაფრით არ გამოჩნდეს, გარდა გაუნათლებლობის, ლოთობისა და შფოთვისა. მეტყვიან, კულისებს მიღმა საქმე არ უნდა გვქონდეს, თუკი ტალანტი ჩანსო. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ გახაოცარი ტალანტებისაგან არ დარჩა არაფერი, გარდა მშვენიერი მოგონებებისა და ჩვენს თვალწინ ამთავრებს თავის არსებობას თვით დიადი იტალიელი ტრაგიკოსების ის პლეადა, რომელიც ჩვენც შთაგვაგონებდა — რუსებს, ახლებიკი (ვთქვათ, ახალგაზრდა სალვინი და ცაკონი) დიადები აღარ არიან. ეს კანონწომიერი და არც თუ ისე სევდიანი ფაქტია. გარდაშავალ ეპოქებში არ შეიძლება იყოს დიადი ტალანტები, გარდაშავალი ეპოქები სწორედ იმით არიან მნიშვნელოვანნი, რომ სტიქია ლატაკდება, ხამაგიეროდ ისმის ადამიანური უროს შედერი დარტყმები. ეს ადამიანი მთლად გასისხლიანებული, ნაცემი, დაკრილი — მიემართება თავისი აღორძინებისაკენ მხოლოდ თავისთვის საცნაური, საშინელი, ტრაგიკული გზით.

ამრიგად, თანამიმდევრული ძველი მსახიობი, რომელმაც დაკარგა ადამიანური სახე და შესცვალა იგი მაკბეტის გარეგნობით, უხეში, უციცი, ტალანტდაკარგული მსახიობია, „ბებერი ჩაგლაგია, მიშავალი თავისი შექსპირის დასამხხვრევად“, დიადი კინის ბრიტანული კეთილშობილებისა და დიუმას რომანტიკული აღტაცების გარეშე. სამწუხაროა, მაგრამ ცხოვრება ჩქარობს და არ იცდის.

რა აკეთოს ასეთ მსახიობთან მწერალმა — განწირულმა, მან, ვისაც უოველ წუთს ემუქრება სახალხო რისხვა, სახალხო ლოცვა-კურთხე-

ვის მანია. აგვისტოს წვიმიან საღამოს გულწიზლიანი არისტოკრატიზმის ნიღაბს ამოფარებულმა „საქმრომ, საცოლის ხანახავად გამოსულმა“? ძველი მსახიობის ცარიელი გული მტრობს უოველგვარ სიხბლეს. აქტორები ნუ შექმნიან სულს მიღმა აღარაფერი! ~~მეტი~~ ~~მეტი~~ ~~მეტი~~ ბრინწიან მკერდში ქანსალი მუშტის ცემისა, შადაა პრინცი ჰამლეტი გადააქციოს სევდიან ღამაზე მამაკაცად, ხოლო ელიდა — მაზრის კლეოპატრად. და მწერალი ზიზლით აქცევს ზურგს ხელჩაქნეული, დაკარგავს თავისი სანუკვარი ფიქრების შესაფერისი სცენური განხორციელების უოველგვარ იმედს. იმ ადამიანს, ვისთვისაც უველლაზე ძვირფასია ადამიანის წოდება, ადამიანს — „პროფესიით“, ერთი სიტყვით — მწერალს, არ შეუძლია სულითა და გულით ხელი გაუწოდოს მსახიობს, მას, ვინც აშკარად დახარჯა თავისი ადამიანური ღირსება, ჩაიხაბლა თავის ოდესღაც ცოცხალ სულში სუსტი მომუნკულუხი, მკვდრადშობილი გმირობა. და უოველგვარი ორგულობა, სილაჩრე, კომპრომისი — მხოლოდ გადაადგილებს სასურველ კატახტროფას, იმ გარდაუვალ და სასიხარულო საათს, როცა მწერალი ყალბ ფერ-უმარილს ეტყვის საბოლოო „არას“ და მოშაკვდინებელი ზიზლით დადაღავს ცოცხალი ოცნების ცოცხალმკვდარ შემრყვენლებს.

4.

მე მგონია, ჩვენ იმ ეპოქაში ვცხოვრობთ, როცა მწერლის პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზიზლი საკუთარი ნაწარმოებების სცენური განხორციელებისადმი აპოგეამდეა მიხული. ჩემი სიტყვების დადახტურებას უველლაზე მეტად იმ ფაქტში ვპოულობ, რომ რემონსონის საკითხი თეატრისათვის საკირბოროტო, ხოლო მაყურებელთა საზოგადოებისათვის კი მოდურ საკითხად იქცა. რეეისორი ის უხილავი მოქმედი პირია, რომელიც ართმევს ავტორს პიესას, შემდეგ ავტორს თეატრის კულისებიდან უახლოესი გასახვლედილსაკენ უთითებს (ასეთი გასახვლედილები უველგან არის „ხანძრის შემთხვევაში“) და ამის შემდეგ განუმარტავს აქტიორებს პიესას ისე როგორც ეს მას ესმის, ასე რომ, ავტორი, რომელიც სპექტაკლზე თავისი ნაწარმოების ხანახავად გამოცხადდება, ხშირად ისე განცვიფრებულია, ერთი სიტყვის წარმოთქმაც კი არ შეუძლია. თუმცა ვფიქრობ, პიესის დამახინჯება ჩვეულებად იქცა და ეს მათ ავტორებს განსაკუთრებით აღარ აოცებთ. მე, რა თქმა უნდა, თეატრალური მოურიდელობის უხეში მაგალითი მოვიყვანე. მაგრამ წარმოვიდგინოთ უფრო ჩვეულებრივი მოვლენა: თანამედროვე დრამატურგი მოდის თეატრში, მაგრამ მას მეტწილად არ უყვარს დეკორაციები, რაკი თეა-

ტრალურ საქმეში სრულიად უფიცია და შეწინააღმდეგებლად იცქირება უკან, როგორც ცირკის იშვიათი სტუმარი, მისთვის უცნობ სურნელოვან ატმოსფეროში რომ შედის, სადაც ერთმანეთში არეულა მიწის, სიბინძურის, ფერ-უშარილისა და დეკორაციების სუნი. მის წინაშეა სრულიად უცნობი მსახიობების მთელი ფაუნა, დასახამიდანვე ფარულად საძულველი, ზემოთ მოხსენებული ტრადიციებით, სამაგიეროდ იგი ორჯერ მეტად საძულველია მათთვის — უცხო, კაბინეტური ადამიანი, რომლისთვისაც უცხოა უოველგვარი ბოჰემა, წრფელი, აქტიორული სულისათვის აშკარა სიძულვილით, დასაბბამი-დასაბბამი, იმიტომ, რომ უფროს უნდოდა ეთამაშა მაკბეტი და კლეოპატრა, პიესაში კი დღესდღეობით იშვიათად გვხვდება თუნდაც ერთი შორეული მსგავსება მაკბეტისა და კლეოპატრასი. და აი ავტორი დაბნეულია და გაიპარებოდა, შორიანლო რომ რეჟისორი არ ეგულვებოდეს. ჩვენს დროში რეჟისორი ხშირად მოწინავე და ნაკითხი ადამიანია, ამას გარდა ძალზე მცოდნეცაა თეატრალური საქმისა. რამდენ „საუბრებში“, „წაკითხვებშიც“ და ა. შ. არ უნდა მონაწილეობდეს თანამედროვე ავტორი, იგი თეატრში „მაჩანჩაღა“ იქნება, იმიტომ რომ ის აქ უფიცია, იმიტომ, რომ ლაპარაკობს აქტიორებთან მათთვის უცხო, განუცნობელ, მწიფობრულ დიალექტზე, იმიტომ რომ მას არ მქონდა არც სურვილი, არც უნარი თვითონ დაედგა პიესა სცენაზე, იმიტომ რომ ის უნებურად გარბის წინ, ლაპარაკობს იმის თაობაზე, რა უნდოდა გაეკეთებინა და არა იმაზე, რაც გაკეთდა და ამით საბოლოოდ თავგზას უბნევს აქტიორებს, კიდევ და კიდევ იშხედრებს მათ თავის წინააღმდეგ, ამასთან, შეიძლება ესმის კიდევ ეს უოველივე, მაგრამ ამის გამო მხოლოდ საბოლოოდ თუ იკარგება და იბნევა.

რეჟისორი კი აქტიორებთან თეატრალურ ენაზე ლაპარაკობს. მას კვირს უკრავს მხატვარი, რომელიც ბოლო ხანებში ზუსტად ასევე მივიდა თეატრთან, თავისდასახებლოდ არა მარტო არ მოიღრიალა თეატრალური ტექნიკით, არამედ შეიყვარა და გაიგო. და აი, წარმოსთქვამენ მხოლოდ მათთვის ნაცნობ სიტყვებს სოფიტის, ფარების, ცხურის თაობაზე და უგებენ ერთმანეთს უველაფერს პირველივე სიტყვებზე. ავტორი კი წის და ვერაფერს იგებს, როგორც გარეშე მგზავრი ზღვაში გახულ დიდ ხომალდზე, მთლიანად დამოკიდებულია კაპიტნის სურვილზე და გაშტერებული ათვალეირებს სასიგნალო დროშებს, უპურადღებოდ ისმენს საზღვაო ბრძანების სიტყვებს.

უოველთვის ასე იყო? ჩვენ პირუკუ მაგალითები ვიცით: ძველი ტრაგიკოსები, შუასაუკუნეების დრამატურგები — შექსპირი, მოლიერი თვითონ დგამენ თავიანთ დრამებს. რეჟისორის

განდიდება მოხდა სრულიად გახაგები, მაგრამ სრულიად უარყოფითი მიზეზით, ერთი, ავტორმა ხელი ჩაიქნია თეატრზე, შეწყვიტა ცდა თავისი იდეების იქ განხორციელებისა, გადაეჩნია თეატრალურ საქმეს, შეფარდა მსახიობმა დაკარგა ცოცხალი სული, იქცა უაღრესად თოქინად, რომელც მხოლოდ მამინაა სასტანი, როცა ოქროს ჯაჭვით უჭირავს მცოდნე და ფხიზელ ადამიანს. „რეჟისორის გულელები და იწუჯო განახლება, — ამბობს ანიჩკოვი თავის სტატიაში თეატრის თაობაზე, — და აი, დაწინაურდა რეჟისორი იმაზე მეტად, ვიდრე თვითონ უნდოდა. რეჟისორული აღროძინება თვითონვე სთვლის თავის თავს დროებითად, თეატრალურ მოწაფეობად, და მომავალში საუკეთესო თანამედროვე რეჟისორებთან ერთად უნდა ველოდოთ აქტიორთა თამაშის აღროძინებას“.

„რეჟისორი ახლა თეატრის თვითმპყრობელია, — ამბობს ა. ბელი: — იგი წარმოიშობა აქტიორებს, მაყურებლებსა და დრამატურგს შორის. იგი მყოფს მათ ერთმანეთისაგან, ასე ახდენს ავტორის უფლების უზურპაციას, ერევა შემოქმედებაში. იმიტომაც უნდა იყოს დრამატურგზე ბრძენი: არა მარტო იცოდეს დრამატურგის ფარული განცდები, არამედ ამ განცდების საჭირო ჩარჩოთი გარემოცვა. ამ ჩარჩოთი მიმყავს მას ავტორი მაყურებელთა დარბაზში. იმავდროულად იბრძვის აქტიორთან, რათა დადგმით გამოასწოროს ავტორის შეცდომები და ასწავლოს ახალი ცხოვრება მაყურებელთა დარბაზს, — ასეთია თანამედროვე რეჟისორის ამოცანა; და, რა თქმა უნდა, ეს ამოცანა შეუხრულებადია. აქ რეჟისორს ეკისრება — იყოს ბრბოს ქურუმი“.

და, ბოლოს, შე ვახდენ მესამე ავტორის ციტირებას, რომელიც, ჩემი აზრით, საბოლოოდ ააშკარავებს რეჟისორის ხაკითხს, მით უფრო, რომ ეს მიეიერპოლდის აზრია, რომელიც თვითონ ნიჭიერი რეჟისორია. თავის მანვილგონიერ სქემაში მიეიერპოლდი ანსხვავებს რეჟისორული შემოქმედების ორ მეთოდს: მისი აზრით, პირველი არასასურველია, რამდენადაც ხმობს არა მარტო აქტიორის, არამედ მაყურებლის შემოქმედებით თავისუფლებას, აძულვებს აქტიორს უველაფერში დაემორჩილოს რეჟისორს, მაყურებელს კი — აღიქვას უველაფერი რეჟისორული შემოქმედების შემდეგ: მეორე — ეს „პირდაპირი თეატრია“, ე. ი. ისეთი ურთიერთობა, რომლის დროსაც ავტორი, რეჟისორი და აქტიორი მაყურებელთან ურთიერთობაში ერთ სწორხაზზე არიან განლაგებული: ავტორი თავის ჩანაფიქრს გადასცემს რეჟისორს, ბოლო აქტიორი მას შემდეგ, რაც ამ ჩანაფიქრს რეჟისორის მეშვეობით აღიქვამს, მაყურებლის წინაშე თავის უფლად წარმოაჩენს თავის სულს. ეს უველაფერი ასეა, მაგრამ

უკვე ძალზე აშკარაა, რომ რეჟისორი იკავებს აქ ასეთ მნიშვნელოვან ადგილს იმიტომ, რომ ავტორი აქტიურულ საქმეში უვცდია, აქტიორი კი — ავტორისაში. ამასთან, პახუხოვს რა ჩემს საწინააღმდეგო აზრს შეიერშოლდი აკეთებს შენიშვნას: „ა. ბლოკს ეშინია, რომ ასეთი თეატრის აქტიორებს „შეუძლიათ თეატრის ხომალდის დაწვა“, მაგრამ, ჩემი შეხედულებით, „აზრთა სხვაობა“ და მარცხი აზრიანია მხოლოდ მაშინ, როცა „პირდაპირი“ გარდაიქცევა ტალღისებრად. შეიძლება საფრთხის აცოდებო, თუ რეჟისორმა სწორად გაანგებარა ავტორი, სწორად გადასცა იგი აქტიორს და ამ უკანასკნელმა კი სწორად გაუგო რეჟისორს რა ცოტა რამ ჰქვია! საქმეც ისაა, რომ ხშირად რეჟისორი, ჭკუის კლოფიც რომ იყოს, არასწორად განმარტავს ავტორს, მით უმეტეს არასწორად გადასცემს მას აქტიორს და აქტიორებსაც არასწორად ესმით რეჟისორისა!

ამრიგად, საკითხი რეჟისორის თაობაზე განსაკუთრებით მოდური საკითხია. მართალია, საქმეს აძნელებს ის, რომ ძველი პიესების დადგმისათვის საჭიროა თეატრალური ადამიანი, მაგრამ ამ შემთხვევებშიც შეიძლება ვიპოვოთ გამოსავალი, რათა თავიდან ავიცილოთ ხუღერთა და იმავე პირთან მუშაობა, რომელიც უცვლელად, ერთი და იგივე მეთოდებით ასწავლის აქტიორებს.

მუდმივი რეჟისორის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს კიდევ ერთი უცილობელი ფსიქოლოგიური კეშმარტება: ჩვეულება ამკვიდრებს გარყვნილების სულიკვეთებას ცხოვრების უველა ხფეროში და მასთან ერთად თეატრალურ ცხოვრებაში. ვისი შთამაგონებელიც უნდა იყოს, განსაკუთრებით კი თუ აქტიორის შთამაგონებელი იქნება, რომელსაც ბოჭემის კაპრიზული ფსიქოლოგია აქვს, რეჟისორი უნდა იყოს ახალი, დასთან შეუჩვეველი ადამიანი. მიეჩვევიან თუ არა, მისი მომხიბვლელობა მტვრად იქცევა. და რეჟისორი აუცილებლად გადაიქცევა მხანობთა დასის სულიერ თანამესუფრედ „მაშასადამე, მწერლის — მისი იდეების, მოთხოვნების და ოცნებების ფარულ ან აშკარა მტრად.

5.

ტალანტები გადაგვარდნენ. აღარავინ დარჩა ისეთი. ვინც მაყურებელთა დარბაზს გენიალური ვნებების გრგვინვით გააოცებდა, თვით ვნებაც ჩაქრა, უოველ შემთხვევაში, მორის მეტორლინკი ასე გვარწმუნებს. საჭირო გახდა ანსამბლი და, აი, რეჟისორის დახმარებით მხანობებს დაუწყეს საზომით არჩევა და თოქინების მსგავსად დაწყობა. მაგრამ ამასთან ერთად და-

იწყო გადახალისება თვით აქტიორთა შორის. თეატრისაგან დაშორებულთ აქვთ უფლება თქვან, რომ თეატრი ეცემა და სულს დაფავს ტალანტების უქონლობით; ჩვენ კი, ახლოს მდგომთ, არა გვაქვს ამის უფლება; პირიქით, დაფინებული დაკვირვება გვაძლევს მომავლის, თანაც ახლო მომავლის დიდ იმედს.

ძველი აქტიორი მანამდე ჰგავდა გმირს, სანამ ტალანტი ჰქონდა. უნიკო გმირი მყის გარდაიქმნა ლოთად. ახალმა აქტიორმა მოიშორა გაბერილი გმირობის ტრადიციები იმიტომ, რომ აღარ სცალია ამისათვის; მის წინაშე ჭერ კიდევ მოწაფეობის წლებში გამოჩნდა უფსკრული, თანამედროვე სულის წინააღმდეგობანი და მას თვალი აებლია. ჩვენთვის კეშმარტად თანამედროვე ადამიანს არ შეუძლია უუურადღებოდ დატოვოს ეს წინააღმდეგობანი. უნდა იჭდე მთელი ცხოვრება შენს კაბინეტში, ან მხახურობდრე დეპარტამენტში, ან უნდა ცხოვრობდრე XVII საუკუნის წარმოდგენებით, რათა თავიდან აიცილო ის წინააღმდეგობანი. და ეს წინააღმდეგობები, თუკი მათ უველაზე მიაბიტად აღვიქვამთ, არ შეიძლება არ იყოს მტანჭველი. რადგან აღწევენ ადამიანის გულს, ებებიან ცხოვრების უველაზე ინტიმურ მხარეს, რასაც უველს ვერ გაანდობს სხვას, და სწორედ ამით ადამიანს აიძულებენ არ იზრუნოს ნილაბზე, არ დაზოგოს მხოლოდ თავისი სიკეთე, მაგრამ უველაფერში, რაც კი მის ირგვლივაა, თავიანთი განხეტკილების ანაბეჭდი დაინახონ. და აი ახალი აქტიორი უკვე მასების გმირი კი არა, არამედ სხვებთან ერთად დატანჭული, „ინდივიდუალიზმის შემუსვრის“ ეპოქის ადამიანია, ის უნიკოა იმიტომ, რომ თვითონ ეპოქაა გამთიშველი, მტანჭველი, გარდამავალი. მაგრამ ის უკვე ფიქრშია წახული; მისი სული უკვე იხვეწება და სახეს იძენს; მას უკვე სტანჯავს ეჭვები თავისთავსა და გარშემომყოფებზე. დაეჭვება კი ხომ ცოდნის საიბედო დასაწყისია. ძველ მხანობს შეეძლო უოფილიყო შეუპოვარი უველაფერში, მაგრამ მისთვის ურყევად რჩებოდა სცენა და თავისი საკუთარი, გმირობით გაზვიადებული „მე“. ახალი აქტიორი შეიძლება იყოს გაუბედავი და თავის როლებში დაეჭვებული სცენაზე. მაგრამ მას უკვე შემართების ის იდუმალი პათოსი აქვს, რომელსაც შეუძლია ჩვენი ცხოვრება აქციოს გაუთავებელ დღესასწაულად, რაც აქამდე არასდროს არ გამართულა. ეს პათოსია განცდა, ცამდე ასული და იქიდან კვლავ ჩვენთან დაბრუნებული ვარდის მხურვალე ფურცლებად; ეს პათოსია მზდყოფნა იმისათვის, რომ დაიღუპო მუდამ, ოღონდ სიკვდილი იყოს მშვენიერი; მზადყოფნა შემოქმედებითი სიკვდილისათვის, რომელიც შინაგანი შუქით აციხკროვნებს ადამიანის ხანეს, აძლევს მას ზებუნებრივ ძალას დაბრკოლებების გადასალახავად, აახლებს ცივი

ნიადავით ძველ, დაშუალებულ სულს. ძველი განად-  
გურებული ფსიქოლოგიის ნარჩენებს მიღმა  
ყოველთვის ცინცხალი ადამიანური ხული გამო-  
კრთის.

ამგვარად, აქტიორი იძენს ახალი ადამიანის  
ნაკვთებს. მისთვის უკვე უცხო აღარ არის ტან-  
ჯვა და თანაგრძნობა, ის, რაც ხსნის ყალბ ნი-  
ღებს და წარმოაჩენს მიხადგომს სხვა ხულთან,  
და, უიბველია, ეს ახლოებს მას მწერალთან,  
უფრო ძლიერია ძველი მტრობა აქტიორისა და  
ძველი უპატივცემულობა ხულის არისტოკ-  
რატისა, მაგრამ უკვე არის რაღაც შესაძლებ-  
ლობა ერთმანეთისაკენ ხულის გაწვდისა და ერ-  
თად მუშაობის დაწყებისა.

6.

მე შევეცადე აღმეწერა ისტორიულად მომზად-  
ებული და ახლა გაბატონებული ურთიერთობა  
ავტორს, რეჟისორსა და აქტიორს შორის და  
თვალსაჩინოებისთვის, რასაკვირველია, ბევრ  
რამეს ხაზი გავუსვი და გავაწვიადე. ნამდვილად  
კი ეს ურთიერთობები მთლად ასეთი არ არის.  
უპირველეს ყოვლისა, დრამატურგი ხულაც არ  
ატარებს მკვეთრად გამოხატულ და უგულვებელ-  
მყოფელ გრიმასებს, მას არავითარი და თითქმის  
არავითარი საქმე აღარ აქვს პიესის დადგმასთან;  
დაწერა, — მორჩა, მისთვის საქმე დაშთავრებ-  
ულია. თავის მხრივ რეჟისორიც არ აუენებს  
განსაკუთრებული ავტონომიის პრეტენზიას, იგი  
მზადაა შეუშვას ავტორი კულისებში, შეიძლება  
იმიტომ, რომ არ ეშინია კონკურენციისა, შეიძ-  
ლება იმიტომაც, რომ არც მას აქვს ბევრი საქ-  
მე ნაწარმოების დადგმამდე არსებითად. და ბო-  
ლოს, არც აქტიორები გრძნობენ რაღაც განსა-  
კუთრებულ სიძულვილს ან სიყვარულს სცენის,  
ავტორის, რეჟისორისა და პიესის მიმართ. ისი-  
ნი ჯერ კიდევ საოცრად დაკავებულნი არიან სა-  
კუთარი თავით, საკუთარი განგაშითა და შიშით  
თავიანთი უსუსურობის გამო. თეატრალურ კუ-  
ლისებში ზოგჯერ მოწყენილობა და სულის  
კმუნვა უფრო მეტად ბატონობს, ვიდრე თვით  
მაყურებელთა დარბაზში. სიყვარული და სიძუ-  
ლვილი გადაგვარდნენ და საბედისწერო გარდა-  
უვალობით გადავიდნენ თავისი განვითარების  
შემდგომ სტადიაში, რომელსაც „ფებებზე არა-  
მკიდეა“ მქვია. ძალზე უსიამოვნო სურათია. წა-  
რმოვიდგინოთ სცენური წარმოდგენა თუნდაც  
პეტერბურგში.

ამ დროს, ჩვენ რასაკვირველია, წარმოვიდგინოთ  
ნაწარმოებს არც თუ ისე დახვეწილს, სცენურ-  
ობის თვალსაზრისით უდავოს, ერთი მხრივ  
არატენდენციურ წარმოდგენას, მეორე მხრივ არა  
საყოველღეობ ნაწარმოებს, მაგრამ მესამე  
მხრივ არც მთლიანად ფანტასტიკურს.

ჩვენ ავიღებთ, რა თქმა უნდა, მაღალ დრამას

ან მაღალ კომედიას, ე. ი. ისეთ ნაწარმოებს,  
რომელიც არის კემმარიტად მხატვრული კმნი-  
ლება და უღრმესი ტანჯვის ხაშუალებით უნდა  
გახწმინდოს აღმქმელის სული. დი. ნუ აქნება  
ეს ოსტროვსკის ძველი „კეპაქუნილი“ ან გო-  
გოლის „ქორწინება“. ვთქვათ, რაღაც ნაწარმოებია  
ან თარგმნილია უცხო ენისა და ნაწარმოებია  
დრამა, რომელშიც უდავოდ არის მოქმედება და  
მაშახადამე, შეიძლება სცენურად მისი ისე გან-  
ხორციელება, რომ იყოს მასში ძლიერი აღტკი-  
ნებები, მნიშვნელოვანი და ეფექტური მომენ-  
ტები, შწარდი პათოსი, და კვანძის ძლიერი და  
მარჯვე გახსნა. ვთქვათ, რეჟისორმა იშვიათი  
შემთხვევის წყალობით, მოწინებული სინატი-  
ფით და გულისხმიერებით აღიქვა ავტორის ჩა-  
ნაფიქრი, ან და, ავტორმა უცებ შეიყვარა თეა-  
ტრი, დეკორაციები, ბუტაფორიები, კულისების  
სუნი, ჩასწვდა ყველა გაუგებარ ტერმინს და  
საზრიანი ურმის აღტაცებით ფანტავს მათ მარ-  
ცხნივ თუ მარჯვნივ, თანაც ისე ფანტავს, რომ  
მიზანშიც ხვდება. ვთქვათ, აქტიორებმა დაივი-  
წყეს ინტრიგები და ისე აენტენენ პიესის თამა-  
შის წყურვილით, რომ მთავარი მოქმედი პირი  
ხალისით დასთანხმდა ითამაშოს მოახლის რო-  
ლი მეფის სასახლეში, მესამეხარისხოვან მსახი-  
ობს კი ყოველგვარი დავის გარეშე, გულწრფე-  
ლად მისცეს მწუხარე პრინციის როლი: ამასობა-  
ში კი მხატვარი კმნის მომხიბვლელ დეკორა-  
ციებს, კოსტიუმებსა და პოზებს. ერთი სიტყ-  
ვით, ყველაფერი ისე მიდის, როგორც ვინატ-  
რებდით, და სპექტაკლს, რომ იტყვიან, წუნს  
ვერ დასდებ; მთავარი გმირის შემსრულებელი  
მოახლის როლს ასრულებს საკირო თავმდაბლო-  
ბით, მწუხარე პრინციც თავის უაღიბშია. ავტო-  
რი გულში იკრავს რეჟისორს, რეჟისორი ავ-  
ტორს. ყველა ერთმანეთის მადლობელია სო-  
ლიდარობისათვის და აპლოდისმენტების ქუხი-  
ლში ზეიმის სამოცდარვა მონაწილე გამოდის,  
რათა მაყურებელს თავი დაუკრან თხუთმეტეო-  
დექერ. განა ყველაზე დიდი ყველაზე სასწაუ-  
ლმოქმედი მოწყენილობა ეს არ არის? სამოც-  
დამეცხრე მოქმედი პირი მოწყენილობაა, რომე-  
ლიც უხიტყვოდ დგას იქვე, უხეიროდ მოხატ-  
ულ კულისებთან, თვითკმაყოფილებით ანწო-  
რებს მას თავისი შემწარავი, გაძვალტყავებული  
ხელისგულით და არც კი ესალმება საზოგადო-  
ებას, იმიტომ, რომ ძალზე კარგად იცის, მისი  
რიგი ხვალ დილით დადგება, — როცა ზეიმის  
მონაწილენი და მაყურებელნი კარგად გამოიძი-  
ნებენ. შეიძლება დილაზე ადრე, შუალამისას,  
როდესაც ზეიმის ყველაზე შორსმჭვრეტელი  
მონაწილე, ფერმკრთალი ხახით, მზადაა „მივი-  
დეს კუთხეში, მუხლი მოიდრიკოს, და, თითქოს  
გაფურთხებას აპირებდეს, დვინის სუნით აყრო-  
ლებულ პირში დაშხაჩა იკრას,“ როგორც ლეო-  
ნიდ ანდრეევის „მოჩვენებებში“ აკეთებს ამას



ერთი მოქმედი პირი. ღმერთმა ქნას ეს მარტო-  
ოდენ მოწყენილობა იყო, ის ქანსადი მოწყენ-  
ილობა იყო, როცა ვინა მიაფურთხო უველა-  
ფერს, რაც აქამდე გზობლავდა, მოგწონდა, გი-  
ტაცებდა. მაგრამ თუ ნაღველი შემოგაწვებათ  
და შენს გვერდით წაიშდებიან ისე, როგორც  
მეარღნე მღერის ეზოში შემოდგომის უკანას-  
კნელ დღეებში, მაშინ შორსშეგვრეტელ ადამიანს  
ხეირი არ დაეყრება.

ის ნამდვილად დიადი, ნამდვილად მტანჯველი,  
ნამდვილად გარდამავალი ეპოქა, რომელშიც  
ჩვენ ვცხოვრობთ, გვართმევს ჩვენ უველა მომ-  
ხიბველობას და უველა გზაჯვარედინზე ჩაგ-  
ვსაფრებია რაღაც სქელი ბურუსი, რომელიდაც  
მოვლენათა შორეული მეწამული შუქი, რომელი-  
საც უველანი დაფინებით ველოდებით, რომლისაც  
გვეშინია, რომელიც გვაიშედებს. როგორც ჩანს  
დღემდე ჩვენი საბედისწერო დროის თრთოლვა  
უველაზე ნათლად იგივე ლეონიდ ანდრეევმა გა-  
მონათა.

„დიდებული, ძალზე მდიდრულად შორთულ  
დარბაზი, ქანდაკებები, ძველი და ახალი ოსტა-  
ტების სურათები, მოზაიკა, მარმარილო, ტრო-  
პიკული უვავილები... სიფრთხილის გამო არ ან-  
თია უველა ეს სანთელი და დარბაზი მკრთალა-  
დაა განათებული, უკანა კედელს ხულ მთლიანად  
იკავებს თითქმის იატაკამდე დაშვებული ფან-  
ჯრები, რომლის იქითაც ეფინება ხანძრის კაშ-  
კაში წითელი შუქი. როცა დარბაზში ბნელდება,  
იატაკზე ფანჯრებისაგან წვება ფართო მეწამუ-  
ლი ზოლები და ფანჯარასთან მდგარი ადამიანე-  
ბის გახწვრივ დგება გრძელი შავი ჩრდილები.  
უწესრიგოდ განლაგებული ავეჯით და იმით,  
რომ მასპინძლებს ძნელად თუ გამოარჩევ  
სტუმრებისაგან, მოცეკვავეთა მოძრაობებსა და  
ზოგიერთი წესის გადავიწყებაში  
იგრძნობა შიში და მოლოდინი. მუსიკა, რომელ-  
საც გუნდი ასრულებს, ხან ბმამაღლა და ომა-  
ხიანად უღერს, ხან უწესრიგოდ ჩუმდება და  
ერთი რომელიდაც ხაყვირი უაზროდ აქყვიტი-  
ნებს თავის ნოტს და იმწუთშივე, თითქოსდა ამ-  
ოიობრაო, შეშინებული დადუმდება.

შეკრებილთა მოძრაობები მოუსვენარია. სწრა-  
ფად იქმნება ჩგუფები და ასევე სწრაფადვე  
იფანტებიან, იმიტომ, რომ უველა ეძებს ახალს  
და დამამშვიდებელს; თითქმის არავინ არ ზის,  
ხშირად ფრთხილად მიდიან ფანჯარასთან და  
ათვლიერებენ ქუჩას, ხანდახან უაზროდ ცდი-  
ლობენ ჩამოაფარონ გამგვირვალე ფარდები.

და მთელი სურათის დროს სადღაც ახლოს რე-  
კავს ნაბათის ზარი, ისმის მშვიერი, გამომწვევი  
ბგერები და თითქოს განხაკუთრებით ძლიერი  
დარტყმის შემდეგ ნათელი ხდება დაფიონი და  
სტუმართა მოძრაობა — მოუსვენარი. ზარების  
რეკვა ხან ხშირდება და მაშინ მათში იგრძნობა  
იმედი, სიხარული, თითქმის ზეიმიც, ხან ნელ-

დება, შიშიდება, ნაღველიანდება, თითქოს მოხუც  
მნათეს ხელები და გული დაელოდებ.

ასევე განუწყვეტლივ ისმის სტუმრების ხრინ-  
წიანი ბუკის ხმა, ხან შორეული, ხან შემადრწუ-  
ნებლად ახლო, იგი წუთიერად აბზობს უველა  
დანარჩენ ცოცხალ და მკვდარ ხმებს და მაშინ  
თითქოსდა თავისით ქრება ბევრი სანთელი,  
უველაფერი უმოძრაოდ იყინება და კაშკაშა მე-  
წამული ფერის ფანჯრებიდან იატაკზე წვებიან  
დიდი შავი ჩრდილები.“ („მეფე შიმშილი,“ IV  
სურათის დასაწყისი.)

დიახ, ჩვენ „დიადი ამბობების“ წინ ვიმყო-  
ფებით, ჩვენ მოვლენათა დასაწყისთან ვდგავ-  
ართ და ის, რაც ვერ მოხერხდა ერთხელ, ორ-  
ჯერ, სამჯერ — განხორციელდება მეოთხედ  
ამაზე თვალის დახუჭვა მხოლოდ შორივ საქმე-  
ებზე გადასვლა იქნება. რამდენიც უნდა ვიცუ-  
კოთ, თუნდაც პატარა, თითქმის შეუმჩნეველი  
მოძრაობები გაგვთქვამენ. და „ავეჯიც უწესრი-  
გოდაა განლაგებული“, „მასპინძლებსაც ძნელად  
გამოარჩევ სტუმრებისაგან,“ „ზოგიერთი წესიც  
დავივიწყეთ“ — ნამდვილად დავივიწყეთ. ის,  
ვინც ახლანდელითაა კმაყოფილი, დე დამშვიდ-  
დეს, ეს ხომ ჭერ ოდნავ შესამჩნევია და ჭერ  
არც ისე ბევრი წესია დავიწყებული, ასე რომ,  
ჭერ კიდევ შეიძლება არ ვეცადოთ ჩვენი სალ-  
ონიდან გავუაროთ ხალხი, რომელთაც ეს  
პატარა წესები დავიწყებულიათ.

ამრიგად, ჩვენ ვცხოვრობთ გარდამავალ ეპო-  
ქაში, ვიმედოვნებ, ეს უველასათვის აზარაა,  
გზაჯვარედინებზე ჩაგვსაფრებია ნაღველი, მაგ-  
რამ, თუ გნებავთ, დაიქირავეთ კარგი მეიტლე  
და გაემგზავრეთ თამამად, ის ჭერ ვერ დაგვიწი-  
ვთ, და თქვენს ბანოვანებთან ერთად გადაუვ-  
ლით მას რეზინის სალტების ტუტყით. და რო-  
გორც მშვიერი გოშია, სწრაფად აპრიხავს კუდს,  
თუ ოქროსფერ შამპანურს მიახხურებთ. მაგრამ  
საკითხავია, ხომ არ მოგეწყინებთ თქვენ, რო-  
მელიდაც სხვა მიზეზის გამო? მაგალითად,  
ხომ არ მოგწყინდებთ თქვენი ბანოვანები, ან  
შამპანური, ან ეტლით ქროლვა? ღმერთმა  
ქნას, ყოველთვის ხომ ვერ ვიქნებით მხიარულ  
გუნებაზე, დროა ვინაღვლოთ — განა დრო არ  
არის? დარჩე მარტო, როგორც ტოკი თოვლიან  
მინდორზე, გავანიავოთ ხული, თავგზა აგვებნებს  
და არ ვიცოდეთ, საით წავიდეთ. — ნიშნავს  
გავხდეთ „სულით მდაბალნი.“ „ხომ უნდა  
ბქონდეს ადამიანს სადმე მისახველელი, — ამბო-  
ბდა დოსტოევსკი. აუცილებლად უნდა ბქონდეს.  
და აი, ალბათ, ესაა ერთადერთი გზა იმ ადამიანი-  
სათვის, რომელიც დარჩა მარტო, დაქარვა ხული  
და გალატაკდა. ეს არის გზა საქმისაკენ. იმას კი  
ვინც იგემა სიტკბო და შემდეგ ძველი ფიქრებ-  
ისა და საქმეების სიმწარე, ერთილა დარჩა,  
მხოლოდ ახალი საქმე.

ამ ახალი საქმისათვის რუსული ცხოვრების,

რუსული საზოგადოებრიობის, რუსული ხელოვნების ყველა სფეროში მდიდარი ნიადაგი არსებობს, ისეთი მადლიანი ნიადაგი არსებობს, როგორც არც ერთ ქვეყანაში არ არის, და რაკი ჩემი დღევანდელი თემაა — ახლო მომავლის დრამატული თეატრი, — ვილაპარაკებ იმ ახალ საქმეზე, რომელიც რეალურად მიმაჩნია და რუსული ხელოვნების ამ სფეროში უნდა განხორციელდეს.

7.

ყოველდღიურად ვხედავთ და გვესმის ზნეობრივი და გონებრივი დაცემის მრავალგვარი მაგალითი. ვკითხულობთ ეურნალ-გაზეთების კრიტიკოსების უსასრულო საჩივრებს ნებისმიერ სფეროში თანამედროვე მოვლენების სრული შეუთანხმებლობის თაობაზე, უფრო სუსტები შესაბრაღისად ბზუიან, მსგავსად ოზობას ქსელში ჩავარდნილი ბუზებისა, უფრო ძლიერები ზიზღით გამობენ თავიანთ თანამედროვეებს და მიუთითებენ უკეთეს მომავალზე, სასოწარკვეთილები საქვეყნოდ ინანიებენ იმის გამო, რომ თვითონ არიან დაავადებულნი წინააღმდეგობებით. რომელთაც საშველი არა აქვს, რომ მათ არ იციან, საერთოდაც შეუძლებელია თანამედროვე არეულ-დარუღობისას, რომ მათ დაჰქარგეს სიკეთისა და ბოროტების კრიტერიუმები.

არის უველაფერ ამაში უკიდევანო სიხარული, ისეთი დიდი სიხარულის მარილიანი ტალღა, რომელშიც ადვილად შესაძლებელია აჯუნებული გულის გაგუღვა. ვინმე მრისხანემ ბოლოს და ბოლოს გაუშვა თავისი მონები, მაგრამ მშვიდად კი არა, არამედ გაბოროტებულმა, ჩაუარა ისინი ღრმა მორევში და ზედაც ოქროს ქაჭვი მიაყოლა: „განთავისუფლდით, როგორც გინდოდეთ.“ და აი, ჩვენ მორევში ვართ, ხული შეგვიგუზბდა უშაერო ტალღაში და გვეჩვენება, თითქოს ჩვენს დაბლა არ არის ფსკერი. მაგრამ ჩვენ ხული შეგვიგუზბდა განთავისუფლების არნახული აღტაცებითაც, რადგან უველაფერში, რაც დარჩა ძველი მონობიდან, თითქოსდა თავმოყრილია ახლოდან ამ საშინელ, მაგრამ შორიდან უწყინარ მორევის წყალში. ღირს გავცურდეთ ნაპირამდე, ამოვალთ, შევიგრძნობთ ფეხქვეშ მიწას და დავინახავთ, რომ წყალი, რომელიც ბორკავდა სხეულს, არც ისე საშინელი, ჩვეულებრივი მდინარის ყურე უოფილა. თუ ძლიერები ვართ, გავცურავთ, თუ სუსტები — დავიბრჩობით. მაგრამ ჩვენს გვერდით, ვინც იბრძვის და თავისი ძალის იმედიც აქვს — ნათლად ვხედავ — არის სხვაც, გარკვევით ვხედავ, რომ ის ძლიერიც და იმედს ვამყარებ მანზე ისევე, როგორც ის იმედოვნებს ჩემით. ჩვენ ვწერთ ერთმანეთზე ურთიერთ იმედისაღიით. იქით კი კიდევ ბევრია და ისინიც გასცუ-

რავენ. შეუძლიათ — ესე იგი, ვალდებულნი არიან. მაგრამ ჩვენ უველანი ჯერ კიდევ გაუანტულები ვართ და ვერ შევხვდით ხასურველ ნაპირზე, ამიტომაც თვითოეული ჩვენგანი ცურავს და ებრძვის სტიქიას თავისებურად. ებრძვის არა სიცოცხლისათვის, არამედ უმეტესად თავისთვის, მაგრამ შორიდან შეიძლება უხეშად ვხედავთ ეს მხიარული ცურვა, გასვირნება ზღვაზე ბეჭლინის კენტავრებისა, ლამაზი ნაიადების მდინარეში ბანაობა.

ღიახ, ჩვენ შორის არ არის თანხმობა, არა მხოლოდ ცალკეულ ადამიანთა შორის, არამედ ყოველ ცალკეულ ხულშიც წარმოიშვა დაბრკოლებანი, რომლებიც ხაჭირთა გაანადგურო მთლიანობისა და ერთიანობის სახელით: ზღუდეებს ანადგურებს ჩვენი ძალები და ხშირად — ძალზე ხშირად — ჩვენ ვეუბნებით ადამიანს: „მიუვარხარ“, და უკვე ვლესავთ დანას მისთვის ზურგში ჩასაცემად, ჩვენ ვამბობთ: „მძულხარ“ და ამ წულში არაფერი ისე ძლიერ არ გვინდაროგორც ერთისა, მივვარდეთ მას და ძმურად ჩავიკრათ გულში. ჩვენ ვეუბნებით ქალს: „შენ მთელი ხამყარო ხარ ჩემთვის“, — თუმცა უკვე მოგვბეზრდა იგი და ძლიერ გვინდა, მთელი ხამყარო გაბრწყინდეს ჩვენთვის მისგან მოშორებით, რომ მისი მძიმე აჩრდილი გაქრეს ამ ხამყაროდან. მე ვიცი, და ვიცი არა ერთი, უველა ცხთეტიკური უახეულობა, ამ გაორებული განცდებისა, და მათში არის აღტაცება, რადგან ვერაფერი ამ ხამყაროში ვერ გადარჩება აღტაცების სულისშემხუთველი, ქვეა-კუზილის თხელი ნისლისაგან, რადგან სულს შეიძლება უველაფერი შეუყვარდეს. მაგრამ ესთეტიკა ცხოვრება არ არის და თუ პირველი გვირგვინს ადგამს მოლაღატე, ხაყვარლის გამანადგურებელს, მეორე უშოწყალოდ სჯის მას და ურტყამს ხედის მათრაზით, ართმევს მას ძალას, უშორკავს ხელებს და „იქ მიჰყავს, ხადაც არ უნდა“, — ნაპირიდან შორს, მდინარის ყურის სიდრმეში.

შეიძლება, მთელი ჩვენი ბრძოლა არის ბრძოლა ცხოვრების ერთიანობისათვის, ესთეტიკის ორქოფობის წინააღმდეგ. ეს — თითქოსდა ახალი განადგურება ესთეტიკისა, და ამ ბრძოლაში გვაწვადებს ახალი შეიძლება უველაზე ღრმა წინააღმდეგობა: ტანჯვა მშვენიერებაზე ცხოვრება ხომ მშვენიერებაა, ესთეტიკის „განადგურებისას“, ორქოფობის შემუხვრისას ხომ არ მოვკლავთ მშვენიერებასაც — ცხოვრებას, მთლიანობას, ძალას, ყოვლისშემძლეობას. არსებობს ან ხდება გრძნობების, აზრების, შთაგონების მოძრაობების, ვნებების, უძლურების, სასოწარკვეთილების გრიგალი: მაგრამ ხად არის სიკეთე და ხად ბოროტება? რას ვუთხრათ მკაფიო „ღიახ“? ვის შევძახობთ კატონსად „არა“?

მაგრამ საჭიროა დავუბრუნდეთ თემაზე. კრიტიკოსები მაშინ იქნებოდნენ მართლები, თანამედროვე გაბრწილებასა და საზოგადოებრივი და პირადი ძალების ამოღებით მღელვარებას რომ უჩივიან, ის თოვლი, ჩვენს გზებს რომ ბურავს, გაზაფხულის სურნელით რომ არ გვავსებდეს. ხანამ თოვლი დევს, არ ვიცით ხად წავიდეთ, ხად შევაფაროთ თავი. და აი ისეთი რამის მოწმენი ვხდებით, რაც დიდი ხანია აღარ გავვიგონია — მოწინავე გონება გაუთანაბრდა გონებას, რომელსაც არ შეუძლია თქვას პირდაპირ „დიახ“ ან „არა“, წინააღმდეგობამ და გაორებულიობამ უველა დაავადა. ჩვენ ვლამპარაკობთ უველაფერზე ასე უსიცოცხლოდ და უღიშლამოდ — მაგრამ რატომ? იმიტომ, რომ უველა ჩვენს წინ გადაშლილი პრობლემის ძირში დევს ერთი რაღაც გიგანტური წანამძღვარი, რომლის სახელია იტვი. ჩვენ გვიწვივებენ ჩვენი მსჯელობების გნოსეოლოგიურ დასაბუთებასთან. მე არ ვფიქრობ, ეს ჩვენთვის პური კერძმარტი იქნებოდა. შემეცნების თეორია შეიძლება აღმოჩნდეს უველაზე მძიმე ქვა იმისათვის, ვისაც დაავადებული აქვს გული, სისხლი და ნებისყოფა — დასწეულებული თანამედროვეობის მწუხარე აღტაცებით.

ჩვენ საშინლად ბევრს ვლამპარაკობთ თეატრის თაობაზე, ვერვით უველა წვრილმანში, კულისებს მიღმა საკითხები ხდება ძალზე მოდური. საზოგადოება მზადაა მოიხმინოს უველაზე კონკრეტული და უველაზე განუცნებელი სიტყვები წარსულის, აწმყოს და მომავლის თეატრის თაობაზე. მაგრამ, რაც უფრო ბევრს ვლამპარაკობთ ამაზე, რაც უფრო ღრმად ვიფიქრობთ ისტორიისა და ტექნიკის წვრილმანებში, უფრო უღიშობლად დგება ჩვენს წინაშე ძირითადი საკითხი. ამ საკითხს სიტყვებით ვერ ჩაახშობ. და აი, მე მინდოდა შევხვედროდი ადამიანს, რომელიც წრფელი გულით შემომხედდავდა თვლებში და მიპასუხებდა კითხვაზე: საჭიროა თუ არა თეატრი? მე ვიცი, ბევრი ამ კითხვას ჩახთვის ფუჭად, უხეშად, უტილიტარულად. არ გამოვრიცხავ ხელოვნების საკითხების უტილიტარულად დაუცნების საფრთხეს, მაგრამ, როგორც უკვე მომიხდა დამეწერა, ვთვლი ამ საკითხებს ღრმად თანამედროვედ და საჭირობოროტოდ. ასეთ საკითხს „ვერ გადააბიჭებ“; თუ კი ფორმულა „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ ისევ ცარიელია როგორც კუჭრუტანა, ხამაგიეროდ ფორმულა „ხელოვნება ცხოვრებისათვის“ მსუყეა და საწიზღარი როგორც მსუყე საკმელი, — ამიტომ უკეთესია დავრჩეთ უველგვარი ფორმულის გარეშე. მაგრამ ნუ უგულვებელყოფთ იმ ქვას, რომელზედაც უველა ჩვენთავანს ფეხის წამოკვრა გვიწერია.

ამრიგად, საჭიროა თუ არა თეატრი? ისევ, როგორც მე ვიცი, რომ გარგნულად უველს ან თითქმის უველა მიპასუხებს: „საჭიროა“, ასევე ვიცი, რომ უველა დამატებით თვის უველაზე იდუმალი, უხეშად და უტილიტარულად, რადგან ხად არის კრიტიკიუმი? დაათვალიერეთ პეტერბურგის ან მოსკოვის თეატრები, უველა, გამონაკლისის გარეშე.

„თეატრი არ გამოსულა თავისი დაბეჩავებული მდგომარეობიდან. მის თაობაზე ბევრს წერენ და ლამპარაკობენ, იხარჩება დიდი თანხები, მაგრამ, როგორც კულტურული ძალა, იგი კვლავ არარაობაა. თეატრი რჩება გართობის ადგილად. ეს გართობა ხდება ხანდახან ლამაზად, მოხდენილად, არც იდეური ელფერის უქონლობა იგრძნობა, ხშირად უხეშად ვულგარულად, მდაბლად, მაგრამ ურთიერთობა თეატრთან, როგორც მხოლოდ გართობასთან, ღუპავს მას. დრამატურგები იცნობენ „თავიანთ საზოგადოებას“, საზოგადოება მიეჩვია „თავის დრამატურგებს“, და სალამოები, მილიონი სალამოები მსოფლიოს ათასობით ძვირფას და უბრალო თეატრებში წარმოადგენენ დროის ისევე მოკვლას, როგორც ხანკოს თამაში“.

ეს არის ციტატა, ლუნაჩარსკის შესანიშნავი სტატიიდან სოციალისტური თეატრის თაობაზე. უურადსაღებია, რომ ეს სიტყვები თითქოსდა გამეორებაა ლენინის სიტყვებისა „ბამბურგის დრამატურგიიდან“: „...კარგადაა ცნობილი რასერიოზულად ეკიდებოდნენ ბერძნები და რომაელები თავიანთ თეატრს, განსაკუთრებით ტრაგედიას. წინააღმდეგ ამისა, რა გულგრილად და ცივად ეკიდება ჩვენი ხალხი თეატრს! საიდანაა ეს გულგრილობა, თუ ის არ აიხსნება იმ ფაქტით, რომ ბერძნული თეატრი აღავსებდა მყურებელს ისეთი ძლიერი და უჩვეულო გრძნობით, რომ ისინი ძლივსდა ახერხებდნენ დალოდებოდნენ წუთს, როცა კიდევ და კიდევ გამოსცდიდნენ მათ; ჩვენ კი ვიღებთ ჩვენი სცენისაგან იმდენად სუსტ შთაბეჭდილებას, რომ იშვიათად ვთვლით მათ დახარჭული ფულიისა და დროის ღირებულებად. ჩვენ თითქმის უველა და თითქმის უველთვის მივდივართ თეატრში ცნობისმოყვარეობის, მოღის, მოწყენილობის გამო, საზოგადოებაში უოფნის სურვილით, ხალხის დათვალიერებისა და თავის გამოჩენის სურვილით. მხოლოდ ცოტანი და ძალზე იშვიათად მიდიან თეატრში სხვა გულის წადილით“.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ XVIII საუკუნის თეატრის უდიდესი კრიტიკოსისა და ჩვენი საუკუნის დასაწყისის კრიტიკოსის აზრთა უკიდურეს დამთხვევას... თუ ჩვენ დავუკვირდებით იდევ ერთხელ და ვირწმუნებთ რიპარდ ვაგ-

ნერის ხიტყვებს. გახული საუკუნის რევოლუციის წლებში რომ წარმოთქვა, მაშინ სრულიად დაჯარგავთ ჩვენი დროის თეატრის რეალურ ღირებულების იმედს, რადგან „კეთილხინდისიერმა მხატვარმა, — ამბობს ვაგნერი, — პირველივე შეხედვისთანავე უნდა აღიაროს, რომ ქრისტიანობა არ იყო ხელოვნება და არანაირად არ შეეძლო მიეცა სიცოცხლე ჭეშმარიტად ცოცხალი ხელოვნებისათვის. „ხელოვნების ჭეშმარიტი არსი, რომელიც ჩვენ დროში ავსებს მთელ ცივილიზებულ სამყაროს — ინდუსტრიაა, მისი მორალური მიზანი — გამორჩენა, მისი ესთეტიკური საბაზი — მოწყენილთა გართობა. ჩვენი თანამედროვე საზოგადოების გულებიდან, მისი ხისხლძარღვოვანი ცენტრიდან ფართო გაქანების სპეკულაციით, იღებს ჩვენი ხელოვნება თავის საკვებ წვესს, იგი სესხულობს უსულო გრაციას შუახაუკუნეობრივი რაინდული პირობითობის უსიცოცხლო ნარჩენებიდან და ნებას რთავს დაეშვას ქრისტიანული ჭველმოქმედების სახით, რომელიც არ თაქილობს თვით ღატაკის ღუღლულს, და ართმევს ადამიანურ იერს ყველგან, სადაც კი ეხმება მისი წვენი მზამი.

იგი მკვიდრდება უპირატესად თეატრში ისევე, როგორც ბერძნების ხელოვნება თავისი განვითარების ამოგებაში; მასაც აქვს უფლება დაიკავოს თეატრი, რადგან ჩვენი ეპოქის საზოგადოებრივი ცხოვრების გამოხატულებას წარმოადგენს. ჩვენი თანამედროვე თეატრალური ხელოვნება განასახიერებს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების გაბატონებულ სულს. იგი თითქოსდა განასახიერებს ჩვენი ცივილიზაციის აყვავებას, მსგავსად იმისა, როგორც ბერძნული ტრაგედია გვიდასტურებდა ბერძნული ინტელექტის ამოგებას. მაგრამ ეს გაფურჩქვნა არის მოლოდ გაფურჩქვნა დამყაყებული, ფუჭი, უსულგულო, არაბუნებრივი საზოგადოებრივი წყობისა“.

ახლა შევადაროთ ეს აზრები თანამედროვეთა აზრებს თეატრის თაობაზე. დიდ ინტერესს შეიცავს სულ ახლახანს გამოსული „წიგნი ახალ თეატრზე“. (გამომცემლობა „ასკილი“) უპირველეს ყოვლისა ეს წიგნი კი არა, ჩვენი გონებრივი გათიშულობის უდიდესი მაჩვენებელია. ბევრი ავტორი ლაპარაკობს ერთმანეთისათვის სრულიად უცნობ ენაზე. მით უფრო ხაინტერესია: ეს თითქოსდა მთელი რიგი პასუხებია თეატრის თაობაზე შედგენილი ანკეტიხა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ წიგნის შედგენაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულმა ყველა ავტორმა არ მისცა ხტატიები, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია აღვადგინოთ მათი აზრები სხვა წყაროებით.

ამ აზრების დაწვრილებითი მიმოხილვა არ შეიძინ ჩემს ამოცანაში. ჩემი მიზანი უფრო

ისაა. — მივუთითო რაში ეთანხმებიან ერთმანეთს პასუხების ავტორები:

1. ავტორები შთაგონებით ლაპარაკობენ მხოლოდ შორეული წარსულისა და შუაუკუნეობრივ მავლის თეატრზე, თითქოსდა ახლო მომავალზე ხელი ჩაიქნიესო. როგორც კი შეეცდებიან, მოგვცენ ზუსტი რეცეპტი ან პრაქტიკული რჩევა, ხმა უწყდებათ, აზრები უფასურდება. აი, რატომ აგვაგზნებს ყველაზე უფრო მეტად ლუნაჩარსკის (ზემოთ ციტირებული სტატიის ავტორისა) და ვიაჩესლავ ივანოვის აზრები თეატრზე. ორივე მწერალი სწორედ რომ მცირე მნიშვნელობას ანიჭებენ თანამედროვეობას, მგზნებარედ წინასწარმეტყველებენ მომავალზე. პირველი, დიადი თეატრის გაფურჩქვნაზე მომავალ სოციალისტურ წყობილებაში, მეორე — საყოველთაო თეატრის გაფურჩქვნაზე მომავალ „ორგანულ ეპოქაში“. და ორივე ლაპარაკობს სხვადასხვა ენაზე.

2. თეატრის თაობაზე ანკეტას გამოეხმაურნენ კრიტიკოსები და პოეტები. ცნობილი დრამატურგები თვალშისაცემად არ ჩანან. თეატრის თაობაზე მოსაუბრებებს ყველაზე ხშირად არ უყვართ თეატრი, მისი კულისები, მისი სუნი, მისი სადღესასწაულო ცხოვრება, მახალის დაძლევის ის მძიმე სიხარული, რომელიც არხად იხე ძლიერად არ იჩენს თავს. როგორც თეატრალურ ხელოვნებაში.

მაშ ასე. ლაპარაკობენ წარსულ და მომავალ თეატრზე. თანამედროვე თეატრი ან რჩება უძრავად, ან მიეცემა ძიებებს, რომელთაც მცირე საყრდენი გააჩნიათ. მაშ რაღა, ე. ი. მისილი აქვს დარჩეს ასეთად მომავალში? საყრდენი ან ჰაობად გადაიქცა ანდა სულ გამოეცალა ფეხქვეშ. კრიტიკიუმები არ არის. გარკვეული „დიახ“ და „არა“ არავის შეუძლია გვითხრას. ე. ი. — სიკვდილი? ე. ი. — არ არის საჭირო თეატრი?

ჩვენ ვილაპარაკეთ ავტორის, აქტიორის, რეჟისორის თაობაზე. არაფერი გვითქვამს მხოლოდ-თეატრალურ მაყურებელზე, რომელიც შეადგენს თეატრის ურყვე საფუძველს. მას ახლა ან მონურად უწევენ ანგარიშს, ან სრულიად არაფრად აგდებენ. მაგრამ ასევე არ იქცევა ისიც? იღებს მონურად ერთს და განუყოფლად დახცინის მეორეს.

საკითხი თანამედროვე თეატრალური მაყურებლის თაობაზე არის, ჩემის აზრით, ის მაგიური გასაღები, რომლითაც იხსნება მოკადრებული კოლოფი, და იხსნება სულ უბრალოდ.

მე ვილაპარაკობ იმ ეფექტზე, რომელიც შეიძლება მოგვცეს საუკეთესო თეატრალურმა წარმოდგენამ ჩვენს დროში: „გარეგნული“ წარმა-

ტება, შეიძლება, იყოს, მაგრამ, რაც უფრო ნათელია ეს გარეგანი წარმატება, უფრო მეტია მონაცემი იმისა, რომ გაიღვიძა და წვრილი ხმით წაიძღვრა საბედისწერო ნაღველმა. ფუჭად დახარჭული შრომა ნიშანს გამოსცემს, და აი, როცა ხაზოგადობა შინაგანად გულგრილი რჩება ნებისმიერი თეატრალური წარმოდგენის შემდეგ, იქნება ეს იბსენი თუ შპაინსკი, მეტერლინკი თუ შექსპირი, უღმობელი ლოგიკით წამოიჭრება საკითხი ყოველგვარი თეატრის უმაქნისობის თაობაზე.

მე ყურადღებით ვუკვირდები ამ მაყურებელს. ცნობილია, როგორი გასაოცარი სხვაობაა პარტერსა და ქანდარაზე მსხდომთ შორის. პარტერში უფრო მეტად ლაპარაკობენ მსუყვე საქმელებზე, ნათესავეებზე და პოლიტიკაზე, მაღლა კი კაუტსკისა და სტუდენტურ საქმეებზე. არსად არ ლაპარაკობენ მხოლოდ ერთზე—პიესაზე, რომელიც სცენაზე მიდის. მახსოვს, დოლმატოვი თამაშობდა „მეფე ლეონს“; მე წილად მხვდა ბედნიერება ვყოფილიყავი წარმოდგენაზე, შეიძლება ერთადერთზე, როცა ის თამაშობდა და განუმეორებელი ტრაგიკული შთაგონებით. მაყურებელი წრდილობის გულისხათვის უკრავდა ტაშს. თამაშობს დუზე—ანტრაქტებზე მოწყენილობა, დასასრულს კი მაღლა მსხდომნი მირბიან რამპისაკენ, ადგამენ ერთმანეთს ფეხებს, უკრავენ ტაშს: ვის? რა თქმა უნდა, განთქმულ ელენორა დუზეს, რომელიც ეწვია პეტერბურგს. კომისარჟევსკაიას თეატრში მიმდინარეობს იბსენის მშენებელი სოლნესი, შეიძლება უდიადესი იბსენის დრამებიდან, — დრამა, რომელშიც მხოლოდ გენიისათვის მისაწვდომი დიალოგის იდუმალი თრთოლვა გაიძულეებს დაივიწყო უველაფერი, რაც გარშემოა. თეატრში მოწყენილობა სუფევს, მაგრამ დასასრულს მაღლა მსხდომნი კვლავ რამპისაკენ მირბიან, რომლის იქითაც მათთვის დგას არა ჰილდა, არამედ ვ. ფ. კომისარჟევსკაია, კოპულარული ახალგაზრდობას შორის.

ახვევ ხდება შექსპირთან, დუზესთან, იბსენთან. დავეშვათ დაბლა. მიმდინარეობს მეტერლინკის „პელეასი და მელისანდრა“. მეიერჰოლს დი აქრობს უველა ხანთელს. (ხერხი, რომელსაც მე სრულიად უარყოფითად ვეკიდები, ისევ როგორც უარყოფი მეტერლინკის ამ „ტრაგედიის“ დადგმას) მაყურებელი სრულ სიბნელეშია — ორისმის ცხვირის ცემინება, ხმაბლადი ხველა. თავში მოხდით გორბანოვის ანგდოტები. ერთი სიტყვით, არ მოსწონთ, და „განწყობა“ არ მოხდით, მაგრამ ტაშს მაინც უკრავენ და ამბობენ: „სტილიზაცია“. თეატრში მიდის ნევეშინის „მეორე ახალგაზრდობა“ — გულისამრევად ძველი პიესა და თამაშობენ მას საბრალო დაჩაჩანაკებული აქტიორები, რომლებიც კარგა ხანია სცენიდან წასულები უნდა იყვნენ. მა-

ყურებლები კი ახველებენ, ტაშს უკრავენ. და იძახიან: „სავინა“. კრასოვთან მიმდინარეობს „შავი უკრავები“ — სცენა საშუალოდ მოწყობილი, უველაფერს ნაცრისფერი დაბაკრავს, აქტიორები — არ არიან აქტიურები, არამედ — „ნათელი პიროვნებები“ — კუთხვებია დრამისა, უფრო მახსოვს მათი ფელეტონის სტილშია დაწერილი. მოწყენილობამ გამოაცოცხლა მაყურებელი და იგი თითოეული მონოლოგისათვის მადლობას აქლოღისმენტებით იხდის. როგორ, ბატონი პროტოპოპოვი თანამედროვეობის უდიდესი დრამატურგია? ვკვირდება იგი როგორც არსობის პური? ის ხომ საწრიანი მწერალია, მან შესძლო თვალი ჩაეკრა ობივატელისათვის — ძველი მოწყენილობის ლიბერალიზმით, ისეთი მყუდრო და მესჩანური მოწყენილობით, რომლისგანაც სულში ნეტარება და ამაღლევებლობა, უწყინარობა, უშიშრობა და უხალისობა ისადგურებს — მხოლოდ ის გინდა, რასაც „კბილი ვერ სწვდება“, როგორც ძველი მეკარე ამბობს შექსპირთან იმ საშინელ ლამეს, როდესაც კავდორის თენი უელს გამოსკრის მეფე დუნკანს.

მაშ ასე — პროტოპოპოვის „შავი უკრავები“ მაგრამ ასეთ შემთხვევაში დე დაიხუროს მთელი მსოფლიოს თეატრები, დე დაქედონ ახალი უკრავით უველა შესასვლელი და გამოსასვლელი და დე მხოლოდ გაზაფხულის ნიაფი ეალერსოს საცოდავად მოშრიალე ბალახს. რომელსაც ოდესღაც უმაღლეს ხელოვნების ტაძრების კარიბჭეებთან ამოუყრია. უნდა გავყაროთ ტაძრიდან მოვაკრენი, ისინი, ვინც აქ „გასართობად და საცინლად“ მოვიდა. მაგრამ „არავის, გარდა ვინმე რუხტანსაცმლიანისა“, რომელიც უკბილო საგაზეთო პაროდოების საგანი გამზდარა და ვის საბელსაც ნებისმიერი ლოთი ინტელიგენტის ბაგეები წარმოთქვამენ, — არავის, მის გარდა, რომელიც გაუნძრევლად იდგა მკრთალი შუქის მქრქალ სვეტში, არ უხვრია დარბაზში მძიმე, საბედისწერო და საშინელი სიტყვები: „გვიუხრეთ და მოგვიხმინეთ, აქ გასართობად და სასაცილოდ მოსულნო, თქვენ — სიკვდილისათვის განწირულნი ხართ.

შეიძლება ეს უკანახკნელი სიტყვები ვერავინ გაიგონა? ან თუ გაიგონა მაშ რატომღა არ დაიუვირა არავინ, არ გააპროტესტა, არ იტირა? არ გაიქცა თეატრიდან?

მე ვნახე წარმოდგენა „ადამიანის ცხოვრება“. სრული სიბნელის წყალობით შეიძლებოდა სცენაზე სიარული მოქმედ პირებთან ერთად, მეცქირა მაყურებლისათვის და ახლოდან მოგესმინა თავზარდამცემი და პროლოგის ჩემთვის მარად დასამახსოვრებელი სიტყვები. მთელი სცენა დაფარული იყო მაუდიით, თითქოს ჩანდა თვით თეატრის საწვიმო და მკაცრი ხახე.

აქ კიდევ ერთხელ ახლებურად გავიგე თეატრალური მოღვაწეობის მთელი მნიშვნელობა და ხილრმე. წარმოდგენის უამს თეატრი ჰგავს ხომალდს ძნელ ნაოსნობაში. თავი მოუყრიათ მსახიობებს. ყველა ჩურჩულით ლაპარაკობს, დადის მალვით. ხამანქანო განყოფილებაში უძრავად, თითქოს დაძაბულნი ქანობენ ურიცხვი ხერკეტები, რომლითაც აწესრიგებენ ხინათლესა და შუქს. სცენის დაბლა ღია ლუკიდან ისმის შორეული, ოდნავ გასაგონი გუგუნის — ეს თეატრალური დარბაზიდანაა. როცა ფარდა ეშვება, ეს გუგუნის ხდება მკაფიო და მრისხანე, როგორც მოზღვავეების ხმა. თითქოს ნელა ირყევა თეატრის მთელი შენობა, როგორც ხომალდი, რომლის ბორცხაც ტალღები ეხეთქება.

მაგრამ როცა უბრუნდება მაყურებელთა დარბაზს, მომხიბვლელობა ქრება და შენს წინ ხედავ ბრბოს კი არა, რომელიც ასე თუ ისე მნიშვნელოვანია, არამედ, უბრალოდ, ადამიანებს, რომელთაც ერთმანეთთან საერთო სრულიად არა აქვთ რა და მაშინ ნათელი ხდება, რომ ამ მაყურებელთან ვერაფერს ვახდები, მას აინტერესებს მხოლოდ საკუთარი საქმიენი, რომ იგი ერთი საათის შემდეგ ძილს მიხცემს თავს, საყოველთაოდ და საშინლად ერთნაირად, არა აქვს მნიშვნელობა სცენაზე იქნები შექსპირი თუ პროტოპოპოვი, დუზე თუ პროვინციელი მოყვარული.

არის გახართობი სურათი, რომელიც ასახავს ფრანგ მაყურებელს წარმოდგენაზე „ერნანი“ V. Hugo (1880 წ.). სცენაზე გაშოტილია მკვდარი დონა სოლი, პარტერში კი ენთუზიასტი წვერებში ებლაუჭება კლასიკური პოეზიის თაუვანისმცემს. ასეთი სცენები რომ სინამდვილეში იმართებოდეს, მგონია მაინც სასიხარულო იქნებოდა. მაგალითად, კანდარაზე მხხდომნი რომ წაშკიდებოდნენ პარტერს, რომ საზოგადოებას პიესით ან დადგმით აღშფოთებულს. ცუდია თუ კარგი, შესწევდეს უნარი დამძალი ვაშლები ეხროლოს აქტიორებს. მაგრამ ეს არ ხდება და აშკარად არც შეიძლება მოხდეს. არ შეიძლება თვით ისიც, რომ საზოგადოებამ შეწყვიტოს სიარული თეატრში, ერთსულლოვნად გამოუსცხადოს ბოიკოტი თეატრს ან პიესას. საზოგადოება ყოველთვის დადის ყველა თეატრში, თითქმის ყოველთვის ამხნევეს, იშვიათად და მოკრძალებულად უსტვენს და შეშინებს, შემდეგ კი — ძალზე სწრაფად ეჩვევა ყველაფერს, აღარ აღელვებს ის, რაც აღელვებდა სულის ხილრმიდან, იგი იყო ოთახის მოცლილი ფანტაზიების ნაყოფი.

ყველაფერი რასაც ვლაპარაკობ, ძალზე ნაცნობია. მაგრამ შედმეტად არ მიმაჩნია კვლავ გავიმეორო, რომ ჩვენი დროის ინტელიგენტური თეატრალური საზოგადოება შედგება თითქ-

მის მთლიანად „სასიკვდილოდ განწირულები-საგან“, რომ ჩვენ, მხატვრები, არასოდეს არ გავიწიარებთ მათ განსჯას ჩვენს ცოცხალ შთაგონებასა და შრომაზე. ჩვენთვის ის — *quantite negligeeable*, და მისი საქმე თვითონ მოგვემორდება მისდამი ჩვენი შეურაცხველობის — უბრა-ჩაგდების გამო, იმის გამოც  $|| \frac{1}{2} ||$  მის თვალწინ, საქმეში ჩაუხედავად ვაწყობთ მთელ რიგ ცდებს, რომელთაც შემფეროდით დარჩენილიყვენ „სტუდიის“ ფარგლებში, ასე რომ არ ვიყოთ აგდებული მაყურებელთა დარბაზის მიერ. ჩვენ ვაფრთხილებთ ამ საზოგადოებას, რომ ის თავისი თავის გართობისას არსებითად ერთობ შეუგნებელი მეცენატობით, მხარს უჭერს უმეტეს შემთხვევაში უსიცოცხლო კომერციულ წამოწყებებს, როგორებადაც იქცა ჩვენი თეატრები. ჩვენ ვაფრთხილებთ მას, რომ იგი ამიერიდან დაზღვეული არ არის არანაირი სცენური პროვოკაციებისაგან, რადგან მაყურებელთა დარბაზიდან ჩვენ ვერ ვიღებთ ვერაფერთარ პასუხს, ვერც დადებითს, ვერც უარყოფითს, უფლება გვაქვს უოველგვარი ცდისა და იმისა, რომ ნამდვილად არ ვიცოდეთ ჩვენს ძიებებში რა არის ცოცხალი და რა მკვდარი. ჩვენ უფლება გვაქვს ვისარგებლოთ ხილამაზისა და ხიმამხიჯის, სიკეთისა და ბოროტების მხოლოდ ჩვენი კრიტიკიუმებით, იმითომ, რომ ჩვენ უფლებას არ გვაძლევენ გავიგონოთ მათი აღელვებული და კეთილგანწყობილი ხმა, ვისთვისაც თეატრი ნამდვილად ძვირფასი და აუცილებელია, ვისაც შეუძლია „გვირგვინი დაადგას ხილამაზეს და დაამხოს უმხგავსოება“.

მას, ვისაც გართობა და მხოლოდ გართობა ესაპირება, — დე წავიდეს თეატრიდან, სადაც უნდა — გინდა კაფეშანტანში ან ოპერეტაში. მე ვფიქრობ, რომ უბრალო მოქალაქის მოვალეობა გვავალდებულებს, არ ავურიოთ ეს ორი, სრულიად განსხვავებული ხელობა. ვფიქრობ, მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნება იზრდება ჩვენ დროში. მაგალითად, ინგლისელმა საზოგადოებამ უკანასკნელ წლებში დაასაბუთა ყოველგვარი პატივისცემის ღირსებით, გეშმარებდად ევროპული სიცხადით, რომ თეატრი მას მეტად აღარ სჭირდება და, აი, თეატრი თავისით გადაიქცა საზოგადოებრივი გართობისა და სიცილის არენად. რუსეთი ირბევა ორ უკიდურესობას შორის, მისი თეატრი თითქოსდა მზადაა დაეცეს ინტელიგენციის ბრბოს გემოვნებაშიდო, მაგრამ ისტორიის უშუალო გრძნობა გვკარნახობს, რომ ჩვენ ვარჩევთ რუსული თეატრის ხხვა მისწრაფებას: დიდი ვნებების, ღრმა იდეათა ნაკადის, მაღალი დრამის ბრწყინვალე აუვაებას. ეს მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც თეატრალური ინტელიგენცია, რომელსაც არ სჭირდება თეატრი, შეიცვალნა ახლებურად აღშქმელი, მხნე სუ-

ლის, კატეგორიული და შკატრი „დიახ“ და „არახ“ მოქმედი ახალგაზრდა ინტელიგენციით.

ხელოვნების სხვა რომელიმე სახეობაზე მეტად მაინც, თეატრი იბნელს ფორმულის „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ მკრებელურ უშედეგობას. რადგან თეატრი თვით ხელოვნების სხეულია, ის მაღალი სფეროა, რომელშიც „სიტყვა სხეულად იქცევა“. აი რატომ არის, რომ თითქმის ყველა, მიმართულებათა განურჩევლად, ერთ აზრზე დგანან, რომ შემოქმედების უშაღღესი გამოვლინება არის დრამატული შემოქმედება. ამ სფეროში ისინი გამოიყვანებიან და უკვე მოახლოვდა დრო, როცა ვერ გაუძლებენ გამოცდას და, როგორც ოთახის ყვავილების დამპყნარი ფურცლები ისე გაიფანტებიან ჩვენი კრიტიკის მტკიცებანი „მოვლენათა სიკვდილის“ თაობაზე და წინააღმდეგობათა მღიერი ღვინით და ყალბი ფრთებით დამთვრალადამიანთა უძალე მტკიცებანი, რომლითაც აჯილდოებენ ამ ადამიანებს მათი მსუბუქი უსხეულობა. სწორედ თეატრში უხდება ხელოვნებას შეეჯახოს თვით ცხოვრებას, რომელიც უცვლელად მღერადია, მდიდარია და მრავალფეროვანია. რაც მეტს ლაპარაკობენ „მოვლენათა სიკვდილზე“, რაც უფრო დიდხანს გრძელდება საბედისწერო და საყოველთაო „აჯანყება“ სხეულის წინააღმდეგ, რომელიც აბასიათებს ჩვენს დროს, რაც უფრო დამღუპველია საბედისწერო დაღლილობა. ყალბი გაწამებულობა თანამედროვე საზოგადოების რამოდენიმე ჯგუფისა, მით უფრო წყრილით მღერიათ ნაკადულები, უფრო ხმაურიანად გუგუნებენ გაჯანჯვლები, უფრო მეტად ისმის ღამით მინდვრებში ზამთრის თოვლისაგან სწრაფად განთავისუფლებული, გზადაბნეული გმირის მოუსვენარი ბუკის ხმა. შეიძლება, როგორც წარსულ დღეებში, ფრთიან მუზარადში ჩამქდარი, მხარზე ფარგადაკიდებული გმირი შეაბიჯებს თეატრის სცენაზე, სადაც შეხვდება მხოლოდ საცოდავ და არარეალურ ქადოქრებს, ამ „მიწის ბუშტებს“ შექსპირის სიტყვებით თუ ვიტყვით, უსხეულოებს, არარსებულებს, უბილავს, როგორც ჰაერს. დე გაფანტოს ისინი გაჯანჯვლის ქარმა და ნუ ჩაავონებენ ისინი ახალ მკვლელობას და ვერაგობას ახალ გლამის თენს.

ჩვენ ვლაპარაკობთ დიდი ვნებებისა და განსაოცარი მოვლენების თეატრის სიანლოვეზე. მაგრამ შეაბიჯებს თუ არა ამ თეატრის სცენაზე გმირი, თანამედროვე თეატრალური საზოგადოება დატოვებს დარბაზს: მას უკვე აღარ ეცინება და ვერ ერთობა, მას არ სიამოვნებს მაღალფარდოვანი სიტყვები; იგი დაიღალა, სჭირდება სცენაზე მესხანური ცხოვრება ან ხასიათები, თუნდაც ყველაზე დახვეწილი. მაგ-

რამ საოცრად მიმგვანებული მის საკუთარ ცხოვრებას: პატარა სიკვდილუნებისყოფო სუსტი ადამიანები, განწილულნი პატარა სიკვდილათ, გაწამებულნი პატარა სიუვარულით, თუნდაც მორის მეტერლენის მოვლენებითი პერსონაჟები, მწერლისა და მოვლენათა ვისილიტერატურული ტალანტით მოგვინიშნა მთელი დიდი ეპოქა, მაგრამ, როგორც მე მერვენება, ორგანულად თეატრის მტერი, რომელმაც ხელყო მისთვის მიუწვდომელი სფერო მკრებელურად; იმ სიმაღლეებზე, სადაც ცოვა და საწინელებია, მას უნდა იაროს საავტომობილო ქურთუკით. თოვლიან მწვერვალებზე ხურს ააშენოს „მშვიდობისა და სილამაზის უცრემლო თეატრი un theatre de paix et de beaute sans larmes“.

მაგრამ ზვავი, რომელმაც ქვეშ მოიქცია თვით ირენა და რუბეკა, გააბრტყელებს მის მუხაოს სახლს, გაფანტავს ნაფოტებად მის მყუდრო ბურთუაზიულ ნაგებობას.

თქვენ მეუბნებით: განა თვითონვე არ შექმენით თბილი ატმოსფერო თეატრში? თქვენი დრამატურგები შემოვიდნენ ჩვენს ყოველდღიურობაში, გასცვალეს თოვლიანი მთები ჩვენს მშვიდობიან მინდვრებზე, გადაეჩვივნენ ჩვენში მაღალი გრძნობების გაღვიძებას, გაგულგრილდნენ თეატრალური მოქმედების მიმართ და ჩადრმავდნენ გამოუვალ ფსიქოლოგიაში; თქვენმა აქტიორებმა დაჰქარგეს ტემპერამენტი და იქცნენ უნიკო გრამაფონებად, დაჰქარგეს სცენის გრძნობა. და აი — ჩვენ აღარ გვჭირდება თქვენი თეატრი და არაფერს, გართობის გარდა, მისგან არ ვითხოვთ.

მე ვპასუხობ: თქვენი სიტყვები სიმართლეს შეიცავენ. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თქვენი საყვედური დრამატურგების მიმართ. აქტიორების თაობაზე კი შეგედავებით: ჩემთვის პრობლემაა — უკეთესი ხომ არ იქნება აქტიორი თუნდაც ხულ ცოტა ხნით გადაიქცეს საცოდავ გრამაფონად, ვიდრე მკრებელურად გარდაქმნას ყოველგვარი ლიტერატურული ნაწარმოები აქტიორულ საკუთრებად — გამოჭრას ლიბრეტო შექსპირის ტრაგედიებიდან, როგორც ამას სჩადიოდნენ ახლო წარსულის დიდი ტრაგიკოსები. შეამჩნევდით, რომ, რაც უფრო გენიალურია აქტიორი, მით უფრო ნაკლებ (და მის კვალდაკვალ) ყურადღებას აქცევს ნაწარმოებს, რომელსაც ის თამაშობს და თეატრალური დამახულოების უშაღღეს მომენტად ხშირად აღმოჩნდება ხოლმე უსიტყვო სცენა, რომელსაც ავტორი ვერ ხედავდა თვით შენიშვნებშიც. (მაგალითი—დუზე „ქალი ქაშელიებით“).

მაგრამ თუ თქვენს სიტყვებში დრამატურგისა და აქტიორის თაობაზე არის სიმართლე, კიდევ უფრო მეტი სიმართლეა იმ მტკიცებაზე, რომ თქვენ ვერ აიტანთ იმ დიდ მოქმედებას.



რომელიც ჩვენ გვხურს დაუინებოთ, და ვბე-  
დავ ფიქრს, ან მივალწევთ ან დავიღუპებით.  
რადგან დაღლილი და მძაღარი ადამიანებისათ-  
ვის, რომლებიც მოითხოვენ ან ჩვეულებრივ-  
ზე მეტს ან ძალზე დახვეწილს, და წინ აღრე-  
ულად იდგამენ საზოგადოებრივ, კლასობრივ,  
სახელმწიფოებრივი პირობების საფარს, უძლუ-  
რია ახალი მშვენიერებისა და ახალი მორალის  
გაზაფხულის ქარი, თუ თანამედროვე საზოგა-  
დობა მოწყენილია ან იშმუშნება იბსენის  
დრამების წარმოდგენისას, რომელიც, საკუთარი  
აღიარებით, ლაპარაკობდა, რომ არ უნდა, უარ-  
ყოფდა და არღვევდა, — მაშინ როგორი აფო-  
რიაქებით დატოვებდა ეს საზოგადობა თეტ-  
რალურ დარბაზს, როგორც კი გაიხმოდა  
მტკიცების სიტყვები — მტკიცე სიტყვები მო-  
ვალეობის სილამაზის თაობაზე, ცხოვრების ახ-  
ალ გზებზე?

თანამედროვე სცენაზე და კულისებს შიღმა  
გამეფდა მერხანური ცხოვრება, ეს იმიტომაა,  
რომ ვმუშაობთ სიცარიელეში, იმიტომ, რომ  
ჩვენ თვითონ ვართ ინიციატორები, შემსრულებ-  
ლები და მოსამართლენი. მაყურებელთა დარ-  
ბაზიდან არასოდეს უბერავს სცენაზე ლოცვა-  
კურთხევის ან წყევლა-კრულვის ჯანსაღი შაე-  
რი, და აი, პატარა მოვლენები დიდად გვიჩვი-  
ნება, როგორც ყოველთვის, როცა მარტოობა-  
ში ცხოვრობ: მორის მეტერლინკი ტრაგიკობად  
გვიჩვენება, ბატონი პოფმანსტალი — ანტიკუ-  
რი ტრაგედიის აღმდგენელად, ბატონი ვედეკინ-  
დი — ახალი მორალის მქადაგებლად. საშინ-  
ელია და სასიხარულო იმაზე ფიქრი, როგორ  
გადაფასდება ეს ყველაფერი, როგორც კი მი-  
ვიღებთ პასუხს ახალი ინტელიგენციისაგან, რო-  
მელიც შეავსებს მაყურებელთა დარბაზს. მე  
მინდოდა ბევრი მელაპარაკა იმ არც თუ ისე  
უნაყოფო თესლის მარცვლებზე, რომელიც უკ-  
ვე ჩაგდებულია მიწაში და იშმუშნება, მხედვე-  
ლობაში მაქვს სუსტად ამწვანებულნი ულორტე-  
ბი, რომლებიც ხუნების შეუპოვრობით და გა-  
ნუხრელობით მიიწვევენ შაერისა და სინათლი-  
საკენ. მინდოდა დამეწერა მთელი წიგნი მოახ-  
ლოებული ქარიშხლის მაცნეზე, რომელიც წარ-  
მოიშობა კექა-ქუხილის სიჩუმეში, თეატრის  
ყველა მოღვაწის დიდი ფიქრის შებორკილი  
თვლებით, ხანამ ჩვენ ვესწრაფვით სიღრმედ აღ-  
ვიქვით შაერში მქროლავი მერცხლების გულის-  
გამგმირავი გუვილი, სხვა სიღრმეც, ჩემი, კექა-  
ქუხილის მქუხარე ჩაფიქრება და როგორც  
გმირობის წინ ჩადენის წინ თვით თეატრის  
გულიც კი თრთის.

მე არ ვაპირებ ბევრ ლაპარაკს „სახალხო  
თეატრის“ თაობაზე მხოლოდ იმიტომ, რომ ამ  
სახელთან დაკავშირებულია უკვე ძალზე ბევრი  
გულგატეხილობა, სენტიმენტალობა, ყოველგვარ  
რი რუტინა, ამიტომაც ძალზე დიდი შიშით

ვხმარობ ტერმინს „მელოდრამა“. და თუცა  
იმ გზაზე, რომელიც გაიარა რუსულმა სახელ-  
ხო თეატრმა თავისი არსებობის არა უმცირეს  
ორმოცი წლის განმავლობაში, მე ვხედავ რეა-  
ლურ მაუწყებელს ახლო მომავლის თეატრისა,  
მელოდრამის განვითარებაში კი, რომელიც ახ-  
ლა პირზე აკერიათ ყველაზე უფრო მოწინა-  
აღმდეგე ხანაყის ადამიანებს — მოქმედებებისა  
და ვნებების ახალი თეატრის შესახვედრად გა-  
დადგმულ პირველ ნაბიჯს. მე მხოლოდ მოკ-  
ლედ ვახკვნი:

სახალხო თეატრის ისტორიამ უცილობლად  
გვიჩვენა, მეტი რომ არ ითქვას, შემდეგი:

1. მუშები და გლეხები ნამდვილად საპიროე-  
ბენ თეატრს, და ამ საქმეში ყოველგვარი შემ-  
თხვევითობის მიუხედავად, დაახაბუთეს, რომ  
ისინი თეატრისაგან ითხოვენ არა მარტო გარ-  
თობას, არამედ უფრო ამაღლებულ რამეს, ჩემი  
აზრით — მაღალ ხელოვნებას, როგორც ეს  
ნათლად ჩანს იმ ეფექტიდან, რაც ოსტროვსკის  
„კექა-ქუხილს“ ან გოგოლის „ქორწინების“  
დადგმას ჰქონდა.

2. სახალხო თეატრების ახალი მაყურებლები  
უცხოობენ ყოველგვარ ტენდენციებს, როგორც  
ეს ნათლად ჩანს, მაგ. გერმანელ მუშათა პრო-  
ტესტიდან ბრესლაუში ჩატარებულ მუშათა  
სოციალურ-დემოკრატიული პარტიის ყრილო-  
ბაზე: „სოციალისტ ბეჭეტრისტების მისწრა-  
ფებათა წინააღმდეგ ასაზრდოონ ისინი თავი-  
ანთი დაქანცულობის, გასაპირის, დამცირების  
და ა. შ. ასახვით. მუშებმა განაცხადეს, რომ  
კარგა ხანია უპირატესობას ანიჭებენ ბებერ  
შილერს“. (ციტირებას ვახდენ ლუნაჩარსკის  
სტატიის მიხედვით იმავე წიგნიდან „ახალი თეატ-  
რის გამო“) ვფიქრობ, რომ სწორედ რომანტი-  
კულ დრამაზე გავლით, რომელშიც მელოდრა-  
მატული ელემენტიც არის, მიდის ახალი გზა  
და ტევად დრამატული ფორმებისაკენ. მელო-  
დრამა სწორედ იმიტომ იწვევს ჩვენს ინტერესს,  
რომ მისი ფორმები ტევადია, რომ მის ფან-  
ტასტიკურ და საქმიან ატმოსფეროში შეიძლე-  
ბა უახლესი სახით აღმოცენდეს საძიებელი გმი-  
რობის ნაკვთები, ის დიდი საქმიანი ხანიათები,  
რომლებსაც თვალთახედვის სივიწროვისა და  
ნაწილობრივ ოთანის სიბნელის გამო ვერ პო-  
ულობს თანამედროვე ევროპული და ნაწილობ-  
რივ რუსული დრამატურგია გარემომცველ სი-  
ნამდვილეში. თხარეთ საფლავები, წამოაყენეთ  
ფებზე მიცვალებულები, სულ ერთია ისინი  
დაეცემიან, როგორც უმწეო თოჯინები, ოდნავ  
ინათებს თუ არა.

3. ხალხის მასები თეატრალური ხელოვნების  
სახიცოცხლო საპიროებას რომ განიცდიან და  
უარყოფენ ხელოვნებისათვის უცხო, აკვიატი-  
ბულ წარმოდგენებს, როგორც გამოცდილებამ  
გვიჩვენა, უყენებენ თეატრს სრულიად განსა-



კუთრებულ მოთხოვნებს. უველაზე ნაკლებს ნიშნავს მათთვის კულისები, უველაზე მეტს — წარმოდგენის შინაარსი. მეორეხარისხოვანია არა მხოლოდ ავტორის სახელი, არამედ აქტიორის თამაშის ხარისხიც. მათ შეუძლიათ დაკმაყოფილდნენ კარგი, მკაფიო კითხვით. აქტიორი მათთვის განუყოფლადაა დაკავშირებული იმ მოკმედ პირთან, რომელსაც ის ანსახიერებს. სრულიად არ ვახვევ თავს ვინმეს სახალხო თეატრის საქმეს და არ ვაშუქებ თანამედროვე მსახიობთა უფერულობას, მე მხოლოდ ჩემს მოვალეობად ვთვლი, აღვნიშნო, რომ თვით ჩვენს პირობებშიც კი, თანამედროვე თეატრის ბევრი მოღვაწისათვის მხოლოდ ერთი რეალური გამოსავალი არსებობს: ეს არის სახალხო თეატრი.

აუცილებლად ვთვლი აქვე დავსძინო: ვიშედოვნებ, რომ სწორედ ახალი თეატრი, ახალი მაყურებელთა დარბაზით, დიდი მოკმედლებით და ძლიერი ვნებებით შეძლებს ახლო მომავალში დაიპიროს პირველი ადგილი, ამასთან მე სრულიადაც არ უკუვაგდებ თანამედროვე თეატრალური ძიებების მრავალფეროვნების მნიშვნელობას. ოღონდ დაე ისინი „სტუდიის“, „ინტიმური თეატრების“ და ა. შ. სფეროში გადაიტანონ, რომელთაც უნდა მიეცეთ უველაზე ფართო განვითარების საშუალება, იმიტომ, რომ დიდი და წარმტაცი ბაღების გაშენებისას, არ შეიძლება არ გვექონდეს სათბურები, სადაც სუსტი ყლორტები მომაგრდებიან და მომავლის თესლი მომზადდება. თვით დრო ვვიჩვენებს, თუ რა უნდა გამოიტანონ ამ სათბურიდან დღის სინათლეზე, რა დაქვნება იქ, რა — სიციცხლისუნარიანია, ხოლო რა — მკვდრადშობილი.

სახალხო თეატრის მაყურებელთა ცოცხალი ურთიერთობა დაამსხვრევს ავტორის გულგრილობას: ამ მაყურებელთა ახალი მოთხოვნები, მოთხოვნები არსებითად, დამოუკიდებლად სახელისა და ლეგენდისაგან, რომელიც მკიდროდ შემოეწვნის ხოლმე ყოველგვარ სახელს, — გაიმარჯვებენ მწერლის ქედმაღლობასა და ამპარტავნობაზე. ფხიზელს და მკაცრი მაყურებელთა დარბაზი მოგვცემს კრიტერიუმს, თუმცა მას პირველ ხანებში მუდმივი შემოწმება დასჭირდება. ეს საზოგადოება და არავითარი სხვა აგრძობინებს აქტიორს თავისი საქმის რეალურობასა და სიციცხლისუნარიანობას, გამოახსნამს მას ნამდვილ ფრთებს. ის მოსთხოვს აქტიორებს იმას, რის მოცემაც მათ ახლა შეუძლიათ: არ დაჩრდილონ წვრილმანი გულგრილობისა და სულიერი სიცივის ერთიანი კედლით. როგორც კი ვიგრძნობთ, რომ ნიადაგი მზადაა თესლის გადვივებისათვის, მას მივცემთ მთელ ჩვენს ძალებს, მთელ ჩვენს ხულს, ჩვენს ნამდვილ პათოსს. ჩვენ ვიქნებით მასთან ვინც არ მოგვატყუებს და, ღმერთმა ჰქნას, მთელი გუ-


ლით შევიგრძნობთ, რომ „ვინც ჩვენთან არაა, ჩვენი წინააღმდეგია“. თეატრის მაყურებელთა დარბაზი უნდა იყოს თვით ბედის განსახიერება, რომელიც უმოწყალოდ სცემს წვრილ და გამჭირდავ მათრახს ყოველი უაღბლო ნაბიჯის გამო, სამაგიეროდ ლოცვებს და უხვად აჩილოებს ფხიზელი და თამაში ნაბიჯისათვის. მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენს რამპებს თვალს მოაცილებს, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენების მქონე მადლარი, გასართობად მოსული ხალხი, შევიგრძნობთ პასუხისმგებლობას, შესაძლებლობა გვექნება ვიხელმძღვანელოთ მოვალეობის შეგნებით. და მხოლოდ მაშინ, მხოლოდ რეალური ნიადაგზე წარმოიშობა ახალი თეატრი, ახალი რეპერტუარითა და ახალი აქტიორული ტალანტით.

უკვე თვით ცნება „სახალხო თეატრი“ შეიცავს ეპოქის გარდამავლობის გაგებას. ცნება ვარაუდობს „ხალხის“ ხერტოთ რაოდენობას, რომელიც არაფერში ეთანხმება „ინტელიგენციას“, მოწყვეტილია მისგან, არ შეუძლია ინტელიგენციასთან მისვლა ისევე, როგორც ის არასოდეს არ ინებებს „დავიდეს“ ხალხის დონემდე. ჩვენ ვიცით, რომ დღესაც კი ეს ცნება უკვე სანახევროდ მოძველდება, რომ „ინტელიგენციის“ კადრები შეუჩერებლივ ივსება ახალი ძალებით, რომლებიც დღეს თუ ხვალ აიმაღლებენ ხმას, წამოაყენებენ ახალ მოთხოვნებს, წამოიწყებენ ახალ სიმღერებს. ყოველი ჩვენგანი, ვინც ელოდება მათგან სიახლეს და სიძლიერეს, გამუდმებით მზად უნდა იყვნენ საზეიმოდ შესახვედრად. და ისინი, ვისაც ეშინია მათი, სძულს ისინი, იცავს ოჯახს, სიკეთით ხაფხე წანდუკებს და კარგ ნათესაურ ურთიერთობას, დე მზად იყვნენ დახალუპავად, რადგან „შეუცვლელია და გამოწოპილი მოვლენათა საბუდისწერო თრთოლვა“. და აი ჩვენი დღეების „სახალხო“ თეატრს აქვს უკვე უველა მონაცემი იმისათვის, რომ ხავხე იყოს არა მარტო „ბნელი“ ხალხით, არამედ ამ ხელუხლებელი სტიქიის ნათელი და შეგნებული ძალებით.

რუსული სახალხო თეატრის ისტორიამ, რომელიც უეჭველად შედის თავისი განვითარების ახალ ფაზაში, შემოგვინახა მშვენიერი მითი, რომელიც ისევე როგორც პლატონისეული მოგონებები, ამიერიდან წარმოსდგება ჩვენს თვალთა წინაშე. ეს ებება ისტორიის იმ უხსოვიარდროს, როცა „ბნელი“ საზოგადოება სცენის დაწვრთული ფიციარნაგიდან ხმაურით და მხიარულად ისმენდა ძველი მორალის კეთილშობილურ სიტყვებს, სახალხო გასართობების საზოგადოების ბაღებში. ის იყო კეთილშობილური გასართობი, რუსეთის თავზე კი იდგა სრულიად ნაადრევი და უველაზე ტკბილი გაზაფხული, და ჩრდილოეთის უფერული ცის ქვეშ, ნაცრისფერ ფიციარნაგებზე, იაფფასიანი დეკორაციებისა

და შეწითლებული დაისის ფონზე. ზორკლიან, გატიტვლებულ, კვირტებშებერილ ალვის ხეებს შორის, ლამაზმანი მსახიობი, ანთებული შეფთვალემა მეშხანი გულს უჩუყებდა და საოცრად ადაგწნებდა ხალხს, როცა გედევით გამოცურდებოდა სცენაზე და ჰყვებოდა კატერინას დაუვიწყარ სიწმირებს კანდელებზე, ტაძრის გუმბათის ნათელი მზის სვეტზე, კვიპაროსის სურნელებაზე, სამცხენაზე, ვოლგაზე: „ვეღარ ვხედავ, ვარია, წინანდებურად სამოთხის ხეებს. მთებს, თითქოს ვილაყა შეხვევა მხურვალედ და მივუავარ სადღაც, მეც მივდევი, მივყვები მას... ხანდახან ისე შემეხუთება სულში, რომ მინდა სადმე გავიქცე. ისეთ გუნებაზე დავდგები, — ჩემი ნება რომ იყოს, ვიცურავებდი ნავით ვოლგაზე სიმღერა-უიჟინით, ან სამცხენა ეტლით გავიქროდებდი ხელგადახვეული...“

ჩვენი სიწმირები ახლოა სინამდვილესთან. ჩიონი სიტყვები მზადაა განსახორციელებლად.

და ჩვენი გაზაფხული გვიანი გაზაფხულია და ცაყ საავდროდაა მოქუფრული.  ოსტრავსკის დიადი სიმბოლური დრამის მოქმედი პერის სიტყვები მართლდება, რადგან მოდის მწველი ვნებების სუნთქვა, ხული გვეხუფებენ სულში თუ ხვალ ჩვენი თეატრის კარებზე დაგვეყვებეს არა ეს თანამედროვე ინტელიგენციის მაძლარი გროვა, არამედ ახალი, ფხიზელი, მომთხოვნი, შემართული. ვიყოს მზად ამ სიკაბუკის შესახვედრად. იგი გადაწყვეტს ჩვენს წინააღმდეგობებს, იგი მოგვხსნის ტვირთს დაღლილი მხრებიდან, აღგვაფრთოვანებს ან დაგვლუპავს. და ჩვენ მუდამ გვემახსოვრება დიადი მშენებლის სოლნების გრძნეულებითა და ძრწოლით გამსკვალული წინასწარმეტყველური სიტყვები: სიკაბუკე — შურისძიება.

1908 წლის თებერვალ-მარტი

კატლინა

ფურცლავი მსოფლიო რევოლუციის ისტორიიდან

**რ**ომანდმა რევოლუციონერმა ლუციუს სერგიუს კატლინამ რომში იესო ქრისტეს დაბადებამდე სამოცი წლით ადრე შეიარაღებული აჯანყების დროშა აღმართა.

თანამედროვე მეცნიერები ფიქრობენ, თითქოსდა კატლინას მიერ გავლილი ცხოვრების წლები აქამომდე არ იყოს ქეროვნად შეფასებული. ვნახოთ მართებულია თუ არა მათი აზრი.

ყოველ შემთხვევაში სწავლულ ფილოლოგებზე მართალს ამბობენ. ფილოლოგებმა ნამდვილად ვერ შეძლეს კატლინას ცხოვრების ქეროვანი და ხამართლიანი შეფასება. რადგან ხელთ ჰქონდათ კატლინას მრისხანე მტრების — ისტორიკოს სალუსტიუსისა და ორატორ ციცერონის მიერ დაწერილი ნაშრომები. აღსა

ნიშნავია ის ფაქტიც, რომ ეს ნაშრომები უნიკიერეს ადამიანთა კალამს ეკუთვნის: ზოლო საკუთარი მოხაზრებანი და ფაქტების საკუთარი დაჯგუფება, როგორც ცნობილია. მხოლოდ ფილოლოგთა მცირე ნაწილისათვისაა ხელმისაწვდომი. სწორედ ამიტომ მოხდა, რომ ფილოლოგებმა კატლინას ცხოვრების გადაფასება მოინდომეს მაშინ, როცა მისი ცხოვრება უკვე კარგა ხნის გადაფასებული იყო, თუმცა არა მათ მიერ.

ვიდრე დავიწყებდე საუბარს კატლინაზე, მინდა მოკლედ მოგითხროთ მისი თანამედროვე რომის თაობაზე.

რომის ისტორიის ეს ეპოქა განუწყვეტელი ხაგარეო და სამოქალაქო ომებით გამოირჩევა. ამ ძველი რესპუბლიკის მიერ დაპყრობილი ქვეყნების რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრ-

დებოდა (რომე V საუკუნიდან არის რესპუბლიკა). უკვე III საუკუნიდან იმპერია იტალიის საზღვრებს დიდი მანძილით იყო გაცილებული. ამ დროისათვის რომის რესპუბლიკას უკვე დაპყრობილი ჰქონდა სიცილია, ცილიკიის ვალია, სარდინია, კორსიკა, ესპანეთი, ილირია, კართაგენის ოლქი, საბერძნეთი, მაკედონია. რომე ემზადებოდა აღმოსავლეთით სირიის, მცირე აზიის, იუდეას, ეგვიპტის, დასავლეთით ტრანსალპური ვალიის დასაპყრობად. ეს ყველაფერი რომმა რესპუბლიკური წყობის დაკარგვის ფასად მიიღო, რომელიც მონდა ქრისტეს დაბადებამდე ოცდაათი წლით ადრე ამის შემდეგ დიდი სახელმწიფო, რომელმაც მაინც განაგრძო წრდა და გაფართოება, ჩრდილში მოექცა და თანდათან გამოვიდა მსოფლიო არენიდან. „რომის იმპერიის დაცემა“, საუკუნეობით გრძელდებოდა, ნელა და განუხრელად, თუმცა კვლავ აგრძელებდა ნაირფეროვან და ორომტრიალით აღვსილ ცხოვრებას. მაგრამ დაცემის მანიშნებელმა თვალისმომკრელმა სხივმა სწორედ ამ დროს გაიჩნდა და „ადამიანთა ტრაგიკომედიის“ სვლა საუკუნით ადრე განსაზღვრა.

ესეო ქრისტე რომის იმპერიის დაღუპვამდე ათწლეულები საუკუნით ადრე იშვა. ქრისტეს შემდეგ რამდენიმე ათეული წლის გამოშვებით ტაციტუსს ბედმა არგუნა გამოეგლოვა ძველი სამყაროსა და დაუდაბნული ცივილიზაციის დაცემა და ხოტბა შეეხსა სარბიელზე ახლად გამოჩენილ ბარბაროსთა ძალისა და სიყრმისათვის. ქრისტეს დაბადებამდე რამდენიმე ათეული წლის წინათ კი საბრალო კატილინას წილად ხედა აღმდგარიყო ძველი სამყაროს წინააღმდეგ და ცდილიყო შიგნიდან აეფეთქებინა ვაბრწილა ცივილიზაცია.

ამგვარად, რომს, რესპუბლიკური თავისუფლების სახელმწიფოს და იმ დროისათვის ცნობილი მსოფლიოს თითქმის მთლიანად მპყრობელს, უკვე თვითონ აღარ შესწევდა ძალა, რომ ხაშყაროს საბოლოო ნატონობაზე და საკუთარ იმპერიალისტურ მადაზე უფლება განეცხადებინა. როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, ბრძოლას კი მაინც განაგრძობდა. ეს ომები წარმოსობდნენ დაუსრულებელ შინაგან სიძნელეებს სურსათ-სანოვაგით მომარაგების საქმეში, საფინანსო და სამხედრო დარგებში. მმართველობით ორგანოებს აღარ შესწევდათ ამ სიძნელეების დაძლევის უნარი. ხელისუფლებას დიქტატორები უდგნენ სათავეში. დატაკთა წრეებიდაიშეკრებოდა ქრისტეობის დაუძლეულნი იყვნენ გაუთავებელი ომებით, ითხოვდნენ დიდ თანხებს და უბოდიშოდ უარს ამბობდნენ ბრძოლაზე. ისე რომ საყოველთაო სამხედრო პეგარის წესის შესრულება შეუძლებელი გახდა. მხედართმთავრები ესწრაფოდნენ საკუთა-

რი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებას. მოქალაქეთა დიდი ნაწილი დატაკდებოდა. ორიოდე კაცის ხელში კი სამხედრო პარცვა-გლეჯით, სპეკულაციისა და მექრთამეობის მეოხებით უწარმაზარი კაპიტალე იყრიდა თავს ქალაქის პროლეტარიატის რიცხვი. განუზომელი სისწრაფით იწრდებოდა, რადგან შეფისნაცვალთა და ხაზინის ქურდების მიერ გაძარცვული და გაპარტახებული მიწების გაყოფა ვერ ხერხდებოდა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ დედაქალაქში წლების განმავლობაში მიმდინარეობდა ბურჟუაზიის ხოცვა-ჟლეტა, ხელისუფლებას კვლავ ოლიგარქები უდგნენ სათავეში, ე. ი. რამდენიმე პიროვნება, რომელთაც შეძლეს ხალხის მოხიბვლა პურის უფასო გაცემითა და მდიდრული სანახაობებით, მაგრამ ვერ შეძლეს კვების პროდუქტებისა და სასამართლოს სხდომების გაუმჯობესება, მექრთამეობის ამოძრკვა, მიწის სამართლიანი განაწილება, რომელსაც მდიდრები წინააღმდეგობრად უიღულობდნენ ანდა სულაც ართმევდნენ ღარიბ-დატაკ ხალხს.

ისტორიკოსი სალუსტიუსი, რომელიც იმ დროს ცხოვრობდა, ამის თაობაზე წერს:

„ოპტიმატებმა თავიანთ ღირსებას მედიდურება შეუნაცვლეს, ხალხმა კი თავისუფლება აღვირაბსნილობად აქცია. ყველა, ვისაც კი რაიმე შეეძლო, დატაცებასა და პარცვა-გლეჯვაზე გადავიდა. ყველა ორ პარტიად გაიყო და ორივენი უმოწყალოდ წეწდნენ მათ ხელში ჩავარდნილ სახელმწიფოს. ოლიგარქები უფრო ძლიერები იყვნენ, როგორც ერთი შეკრული პარტია, ხალხი კი უძალო გახლდათ, რადგან იგი ოლიგარქებით ერთსულოვანი არ იყო და მისი ძალა მასებში იკარგებოდა. ომისა და მშვიდობიანობის დროს სახელმწიფოს თვითნებურად მართავდა რამდენიმე ადამიანი, მათ ხელში იყო სალარო, პროვინციები, თანამდებობები, დიდება და ტრიუმფები. ხალხი იტანჯებოდა სიღარიბითა და ლეგიონებში მძიმე სამსახურით. მთავარსარდლები სამხედრო ნადავლს მხოლოდ რამდენიმე კაცს თუ უყოფდნენ. ამავე დროს მეომართა მშობლები და შვილები იდევნებოდნენ თავიანთი სამყოფელიდან, როცა, სამწუხაროდ, მათი მიწის ნაკვეთი ძლევა მოსილი მეზობლის მამულის გვერდით აღმოჩნდებოდა. როდესაც ოლიგარქების პარტიაში გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც არაკანონიერ ძლიერებასთან შედარებით უპირატესობას გეშმარიტ დიდებას ანიჭებდნენ, სწორედ მაშინ ქალაქი შეტორტმანდა და მოიცვა ქაოსმა, სამოქალაქო განხეთქილებაში.“

ამ ნიჭიერი და მაღალწნეობრივი აღწერის ავტორს თვითონაც საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა და საკმაოდ უსიამოვნო ხსოვნაც დატოვა ხალხში: მდიდარ მხარეს ქრთამებისა და ხარკის ხანით მთელი წვენი გამოხწუნა. ამ

ქრთამების რაოდენობა იმდენად განსაკუთრებული იყო, რომ უურადადღება მიაქციეს იმ დროსაც კი, როდესაც ასეთი ხაზით გამდიდრება ჩვეულებრივ და საყოველთაო საქმედ ითვლებოდა. სალუსტიუსი ხასამართლოს გადასცევს და ხვდა ვნა აღარ ჰქონდა — ცეზარს სთხოვა დახმარება. ცეზარმა უშუამდგომლა მოხამართლებთან თავის ერთგულ ქვეშევრდომს. სახამართლომაც გაამართლა ჩინოვნიკი. ადამიანებს ხომ არავითარი რესპუბლიკური უფლებები არ ათავისუფლებენ ვაფლენიან პიროვნებათა პატივისცემისაგან. სად დაიხარჯა სალუსტიუსის მიერ შიტაცებული ხალხის ფული? იგი ტიბურის მახლობლად ცეზარისათვის აგარაკის შექმნასა და რომში სალუსტიუსის აგარაკზე დიდებული ბაღების გაშენებას მოხმარდა.

სალუსტიუსმა სულის ხსნის საშუალებას, მონანიებას მიმართა. ყოვლისშემძლე მფარველის გარდაცვალების შემდეგ, რომლისგანაც სალუსტიუსი ბევრი რამით იყო დავალებული, საკუთარ ვილაში განმარტოვდა და აქ, ზემოაღნიშნული ბაღების ჩრდილში, ხელი მიჰყო ლიტერატურულ საქმიანობას. მიხი პირველი ნაშრომი „კატინა“ იყო. ამით ისტორიკოსმა მხოლოდ კალამი მოხინჯა მსუბუქ საქმეზე. ამხილა ყველას მიერ აღიარებული რევოლუციონერი და თაღლითი. შემდგომში სალუსტიუსის კალამმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და შემოგვინახა იუგურთანთან ომის ისტორიის ბრწყინვალე ფურცელი. ამ ნაშრომში ყველა პირადი წუენა გამჟღავნა. მართლაც რომ ძლიერად და ხელშესახებდაა აღწერილი ის სიბინძურე და დაავადებანი, რომელმაც შთანთქა გაბატონებული პარტია, ამას მოწმობს ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტი. მართალია, ყველა არ იზიარებს სალუსტიუსის სიმპატიებს ხარდალ მარიუსის მიმართ, მაგრამ საჭიროა გავითვალისწინოთ მდაბიო წრიდან გამოსული გულნაკლული ბიუროკრატის მდგომარეობა, რომ მივხვდეთ, — მას არ შეეძლო სხვაგვარად ფიქრი.

მარიუსი ომითა და ომისათვის შექმნილი ადამიანი იყო, ე. ი. აწრდაკარგული და მავნე არსება. ეს იყო სიმამაცით განთქმული, მკვებარა ადამიანი, ჯარისკაცებისა და ქალაქის ბრბოს სათაყვანებელი პიროვნება, პრინციპული, უფიცი, გამსჭვალული ყოველგვარი განათლებისადმი ღრმა სიძულვილით, სიძულვილით, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია განუვითარებელი ადამიანისათვის სალუსტიუსის მსგავსად, წარმოშობით მდაბიოთა წრიდან გამოსულმა, მარიუსმა უმაღლეს სამხედრო თანამდებობას პროტექციის გარეშე მიაღწია. ჯარისკაციდან და ცენტურიონიდან (უნტეროფიცერი) სწრაფად იქცა სარდლად. როგორ არ მიანიჭებდა

უპირატეობას ასეთ ადამიანს სალუსტიუსი, თვითონაც ხომ იბრძოდა ოდესღაც, მართალია, წარუმატებლად, მაგრამ წარმოშობით ხომ მარიუსისვით მდაბიოთა წრიდან იყო. არაფერს „სამხედრო ძვლები“ ჰქონდათ — თოივებს ეზიზღებოდა და მგმობდა მართლაც მსუბუქი მოწინააღმდეგის, სულას მტყუნებულ არისტოკრატებს“. სალუსტიუსმა არ დიშურა ფერები, რომ სულას ხაზით ეჩვენებინა არისტოკრატის დაცემის მთელი სიღრმე. ისტორიკოსმა ამ საქმეში წარმატებას იმითომ მიაღწია, რომ მასალა მართლაცდა მდიდარი იყო.

პირქუში, ძვალმხზვილი, მღუმარე და მკაცრი ჯარისკაცის — მარიუსის საპირისპიროდ, რომელიც არ იღებდა ქრთამს მაშინაც კი, როცა მას იღებდა ყველა ოფიცერი, დაბალი ჩინის ყველა მოხელე და ამით ზიანს აყენებდა ლაშქრის ისედაც დაცემულ დისციპლინას, — სულა თავისუფალი და ლაღი ადამიანი იყო. წარმოშობით ძალზე ცნობილი წრიდან გამოსულს, უუვარდა ფულის ფლანგვა, დიდება და მოღბენა. მოუქნელი და ხანშიშესული მარიუსი ყველგან დაათრევდა ვილაც ებრაელ მკითხავ მართას, რომლის სიტყვისაც ყოველთვის ბრმად სჯეროდა, რა საქმეც უნდა წამოეწყო. მოცეკვავე ქალების მოტრფიალე სულა გამოირჩეოდა მკვებრმეტყველებითა და საქმის სხარტი შესრულებით. ფლობდა დიდ დიპლომატიურ ნიქს; მან იოლად მოახერხა მარიუსის ნდობის მოპოვება. მოლაშქრებს ფულს დაუნანებლად აძლევდა სესხად, ამით მათი კეთილგანწყობაც დაიმხაზურა და მარიუსსაც ხელიდან გამოსტაცა გამარჯვება. მხოლოდ მოხერხებულობითა და სიმარჯვით შეძლო ის, რასაც ვერ ახერხებდა ცეცხლითა და მახვილით. ეშმაკურად გაახა მახეში და დაატყვევა მძარცველი და სისხლისმსმელი აფრიკის მეფე იუგურთა.

თუმცა კი ამ გამარჯვების ტრიუმფი მარიუსს ხვდა წილად, მან მაინც ვერ შეძლო სულასათვის ეპატიებინა ის, რაც მოხდა. მათ შორის ბრძოლა ძალზე გამწვავდა. ეს ბრძოლა, მარიუსს სიცოცხლის ფასად დაუჭდა, სულამ კი გამარჯვება იწეიმა. ბუნებრივია, სულასათვის ყველაფერ ამის პატიება არ შეეძლო არისტოკრატთა მიერ გაცრუებულ სალუსტიუსს, რომელიც გოდებს ამ შემთხვევის, ძველი რომაული მამაცობისა და ლაშქარში წესრიგის დაკარგვის გამო, გოდებს საერთოდ ყველაფერზე, რის გამოც ჩვეულებრივ წუხან ჩინოვნიკები, მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ ხელს ითბობდნენ სამართლებრივ მრწამსზე, მერე კი მტრულად განწყობილი პარტიის გამარჯვების გამო მოულოდნელად ყველაფრისაგან შორს აღმოჩნდნენ.

ადამიანი სუსტი არსებაა და ყველაფერი ეპატიება თავხედობის გარდა. ასე რომ სალუს-

ტიუხსაც, მგონი, შეიძლება უველაფერი ეპატონს: მექრთამეობაც, გარყვნილებაც და მლიქვნელობაც. აბატია კიდევ ერთმა ინგლისელმა „ისტორიკოსმა“ მისი „ტალანტის“ გამო. არ შეიძლება მხოლოდ ერთი რამის პატიება: წნეობრივი და პატრიოტული ტონისა, მას რომ ჰქონდა: „სირცხვილისა თუ წუენის გამო არ მსურს დახმარჯო სიტყვები იმის აღსაწერად, რასაც სულა აკეთებდა.“ თავს იკატუნებს სალუსტიუსი. სწორედ თავის მოკატუნება არ ეპატიება სალუსტიუსს, ნიჭიერ სტილისტსა და მექრთამებს.

თუ ძარცვა და მექრთამეობა თვით ხელისუფალთა შორისაც ასეთ წომამდე იყო გავრცელებული, ბუნებრივია, მათ წვრილფეხა თაღლითებიც არ ჩამორჩებოდნენ: სადაც ახერხებდნენ, იქ აუალიბებდნენ „მეკობრეებისა“ და მძარცველების ბანდებს. ეს საუკუნე საერთოდ გამოირჩეოდა, როგორც ფილოლოგებმა იციან თქმა, წნეობრივი დაცემითა და უველაზე საშინელი გარყვნილების წრდით.

პროფესიულ ენაზე გარყვნილებად მოიხსენიება უველაფერი: წვრილმანი მექრთამეობაც, ავბორცობაც, დიადი ოცნებებიცა და ვნებებიც, ხანდახან დანაშაულებამდე რომ მიჰყავთ ადამიანი. ეს დაღუპვა ჩირაღდნის აღად იფეთქებს დასაღუპად განწირულის თავზე. ამ ჩირაღდნის დაბინდული შუქი ანათებს მომავალ საუკუნეებს და შეუძლია ახლებურად შეაფასოს ის, ვინც დაჟინებული ოცნებებისა და დაუძლეველი ვნებების მსხვერპლი გახდა.

ახე იყო იმ დიად საუკუნეშიც: მან შექმნა მექრთამე სალუსტიუსიცა და პატროსანი კანონმცოდნე ციცერონიც. მაგრამ ორივე მათგანი განაწყო „სამშობლოს მოლაღატე“ კატალინას წინააღმდეგ საბრძოლველად; მაგრამ იგივე საუკუნემ წარმოშვა დედოფალთა დედოფალი კლეოპატრა და ბრძოლა აქციუშეს კონცხთან. სადაც რომაელმა ტრიუმვირმა ეგვიპტელი ქალის სიყვარულის გამო გასწირა დიადი სახელმწიფოს მთელი ფლოტი; საბოლოოდ ამ საუკუნემ წარმოქმნა გაკოტრებულ კანონთა უკმაყოფილებისა და მკვლელის კატალინას რევოლუციური სწრაფვაც.

2.

კატალინა წარმოშობით დიდგვაროვანი, მაგრამ გაკოტრებული ოჯახიდან იყო. კარგი აღნაგობა და დახვეწილი ნაკვთები ჰქონდა. მკვივრმეტყველი და განათლებული იყო. ასეთად წარმოგვიჩენს მას ისტორია.

რა განათლება ჰქონდა კატალინას არ ვიცით, მაგრამ ვიცით მისი თანამედროვე რომაელებისა და მასთან წარმოშობით გათანაბრებული ხალხის განათლება.

სახელმწიფო თანდათან სუსტდებოდა. რაც უფრო მეტ წარმატებებს აღწევდა ბრძოლებში, მით უფრო უჭირდა ცხოვრება ხალხს, უფრო სასტიკ ხასიათს იღებდა ბრძოლა არხებობისათვის, და ხალხმაც, რომელიც თავისი ბუნებით პრაქტიკოსია, მთელი ძალი და უნარი პრაქტიკული ცხოვრებისაკენ მიმართა. ამიტომ ბავშვების სწავლა-აღწრდაც მიმართული იყო იგივეზე. ეს სურათი კვლავ ძალზე ნაცნობია ჩვენთვის. საშუალო მონაცემის ადამიანს ხომ ასე წრდიან ევროპაში: ავარჯიშებენ ნებისყოფის გამომუშავებაში, რომ არ დაეცნენ სულით, მუდამ მხნედ იყონ, რათა მათგან კარგი საწარბაზნე ხორცი და მოქალაქე დადგეს.

ეს აღწრდა ადამიანს აშაადებს უველაფრისათვის, გარდა უველაზე მთავარისა და ერთადერთისა, უველაზე მეტად რომ სჭირდება ადამიანს. მისი შედეგი რომაელებს თვალწინ ჰქონდათ. ეს შედეგი ჩვენს თვალწინაცაა. უმეტესობას გონება უჩლუნგდება და მხეცდება, მცირე ნაწილი იფიტება, იღუპება, ჭკუიდან იშლება. რომი, როგორც ჩვენ, ვერ ხედავდა ამას. და თუ ვინმე ხედავდა, არ იცოდა, როგორ აერიდებინა თავიდან ეს საშინელი დაავადება, რომელიც საუკეთესო მაჩვენებელია ცივილიზაციის დაუძლეურებისა: გადაგვარების დაავადებანი. ამ უბეში სიტყვის უკან საკმაოდ შემადრწუნებელი შინაარსი იფარება.

კატალინამ სამსახური სულას ლაშქარში დაიწყო.

თუ მარიუსი ავსებდა ხალხის დანაკლისს, რომელიც სულ უფრო და უფრო საგრძნობი ხდებოდა, და თავის ლაშქარში უველაზე უკანასკნელ გარეწარსაც კი იღებდა, სულა ამ მხრივ უკიდურესობამდე მივიდა. მიზნად დაისახა ლაშქარში ხალხის მიტყუება. ელაქუცებოდა ჭარისკაცებს და უბდიდა ძალზე დიდ გასამრჩელოს. ლაშქარში სრულიად მოიშალა დისციპლინა. ჭარისკაცები ლაშქრობისას ლოთობდნენ და გარყვნილებას ეწეოდნენ. ეს ადამიანები, გადაჩვეულები მიწაზე მუშაობას, დიდ საფრთხეს წარმოადგენდნენ დედაქალაქისათვის. როგორც კი რომელიმე მდიდარს სენატში აუცილებლად დასჭირდებოდა ზედმეტი ხმა, ჭარისკაცების მოქრთამვას იწყებდა. საქიროებისთანავე ჭარისკაცები ქალაქს მოეფინებოდნენ, ღამეს ქუჩებში, ტაძრებთან ათევდნენ და თავიანთ კანდიდატს მხარს უჭერდნენ არა მარტო ხმის მიცემით, არამედ იარაღითაც. უკმაყოფილება, რომელიც თან სდევდა მათს უაწრო და უსაქმურ სამხედრო ცხოვრებას, იწრდებოდა. მოსალოდნელი იყო სამოქალაქო ომის დაწყება.

აი, ასეთ წრეში უხდებოდა ცხოვრება კატალინას, რომელიც უველასაგან გამოირჩეოდა სიმამაცით, ფიზიკური ძალითა და ამტანობით.

შეძლო აეტანა შიმშილი, სიცივე და სიციბე. კატინინას გარეგნობა, როგორც აღწერენ, ასეთად წარმოგვიდგება: გამოხედვა ველური და უსიამოვნო ჰქონდა. ხან ზანტი, ხან აჩქარებული სიარული იცოდა. კატინინას უკიდურესი ნაკლოვანებანი გააჩნდა. მოკლა საკუთარი ძმა, მეუღლე და ვაჟი. უკანასკნელი კი იმიტომ, რომ წინააღმდეგი იყო მამის კავშირისა მსუბუქი ყოფაქცევის ქალთან, ორესტილესთან; გარდა ამისა ამბობენ თითქოსდა, კატინინას კავშირი ჰქონდა ვესტალთან და საკუთარ ქალიშვილთან. და თუ უველაფერ ამის სამი მეოთხედი აუკიათა მიერ მოგონილი და გავრცელებული ქორებია, მაშინ ის დარჩენილი ერთი მეოთხედიც საქმარისია.

კატინინამ სახელმწიფოებრივ თანამდებობებზე ყოფნისას გამოამჟღავნა ანგარებისადმი მიდრეკილება; აფრიკის მართვის დროს ბრალი დასდეს მექრთამეობაში. მაშინ მას ციციერონი იცავდა, შემდგომში მისი უველაზე უბოროტესი მტერი. თუმცა ციციერონი აღიარებდა კატინინას მომხიბვლელობას და ამბობდა, რომ ის, ვინც ერთხელ მაინც დაამყარებს კატინინასთან ურთიერთობას, შემდგომ აღარ ძალუძს მისი მიტოვება და მთლიანად მის ზეგავლენაში ექცევაო.

კატინინა ადამიანს ნიბლავდა თავისი დიადი ჩანაფიქრებით, რომლებითაც იგი ბრწყინავდა გარშემომყოფ არმიის გარყვნილ დარდიმანდ ახალგაზრდობას შორის. მათთან ერთად ნადიმობდა, დაძრწოდა. ქუჩებში და ავაზაკთა ბუნაგებში, ფანტავდა ფულს. კატინინას მსგავსად ყელამდე ვალებში ჩაფლულ ამ ადამიანთა ჩადენილ დანაშაულებებს ვერ მოთელის კაციც. უველაზე საშინელი ქორი კი (მოგვიანებით პლუტარქეს მიერ გავრცელებული) ისაა, რომ მათ კატინინას ერთგულება შეჭვიცეს და დასამტკიცებლად ადამიანი შესწირეს მსხვერპლად. მერე კი უველან შეჭამა თითო ლუკმა ადამიანის ხორცი.

ასეთი საშინელი და მაცდუნებელი დიდების გამოისობით კატინინა რომელი არისტოკრატების რჩეული გახდა, განსაკუთრებით — ქალებისა. თუმცა როდესაც მან კონსულის თანამდებობის მოპოვება მოიწადინა, არ აირჩიეს, რადგან გამოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც ესმოდათ მთელი ის საფრთხე, სახელმწიფოს რომ ემუქრებოდა. გამოჩნდნენ ისეთებიც, რომელთაც ახსოვდათ, რაც კატინინამ აფრიკაში ჩაიდინა. აი მაშინ მოაწყო კატინინამ პირველი შეთქმულება, შეკრიბა თანამებრძოლები, ოთხასიოდე კაცი. შეთქმულებაში მონაწილეობდნენ არა მარტო ჩხუბისთავეები, სარწმუნო წყაროებით ცნობილია, რომ მას მიემხრო კევინი, ფრთხილი და შორსმჭვრეტე-

ლი ცეზარი. ბევრი მათგანი მიზნად ისახავდა საკუთარი ცხოვრების კეთილმოწყობასა და პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებას. სწორედ ასე უყურებდა შეთქმულებას კომპეტენი და მისი მთელი პარტია, რომელიც მაშინ რომისაგან განცალკავებით იბრძოდა. რომში მთავრი უწესრიგობა და ანარქია ხელსაუბრედი იყო კომპეტენისათვის.

მთელი რომი ელოდა, რომ შეთქმულება წინასწარ დათქმულ დღეს იფეთქებდა. ამ შემთხვევისათვის გამოიძახეს ლაშქარი, მაგრამ არსებითად გადამჭრელი ზომები არ მიუღიათ. არავინ ფიქრობდა კატინინას დაპატიმრებას. რომში შეფობდა ანარქია, რომელიც ჭერჭერობით რალაც განსაკუთრებულ ზომებს არ იღებდა, მმართველობითი ხელისუფლება კი სრულიად დასუსტებული იყო, თანამონაწილე არ თანაუგრძნობდა სენაკის წინააღმდეგ შეთქმულებას.

შეთქმულების მიზნებსა და მასში კატინინას მიერ ნათამაშევ როლზე შეცნირები დღესაც კამათობენ. უველა ეთანხმება იმ აზრს, რომ კატინინას გადაუხდელი ვალები ემართა და იმედოვნებდა, ამ შეთქმულებით გამოასწორებდა თავის ფინანსურ საქმეებს. მაგრამ იმდენად, რამდენადაც ფილოლოგებსაც მიაჩნიათ, რომ ეს განმარტობა არასაქმარისია, ისინი მსჯელობენ იმაზე, თუ რა მიზანი ამოძრავებდა კატინინას. ხელისუფლებას ეძიებდა, „მეორე ხელა“ სურდა გამხდარიყო თუ, „პროსკრიპციის“ განხორციელება უნდოდა (იმ დროს მიმართავდნენ ასეთ ხერხს — ანადგურებდნენ მოქალაქეთა ნაწილს, მათ მამულს სახელმწიფოებრივ საკუთრებად, ე. ი. პირად საკუთრებად გამოაცხადებდნენ). ზოგიერთები ვარაუდობენ, რომ კატინინა მხოლოდ ჩათრეული იყო ამ შეთქმულებაში, თუმცაღა იგი შეთქმულებაში ენერგიულად მონაწილეობდა. მაგრამ მხოლოდ ცეზარისა და კრახუსის იარაღს წარმოადგენდა. კატინინას ჭეშმარიტი მიზნები კი მთლად ნათელი არაა, რადგან ცნობები ამ პირველ შეთქმულებაზე ძუნწი და ერთმანეთის საწინააღმდეგოა.

იმის თაობაზე, თითქოს კატინინა კაცთმოყვარე იყო და ოცნებობდა საყოველთაო თანასწორობაზე, რა თქმა უნდა, ლაპარაკიც არ შეიძლება. კატინინა იყო რევოლუციონერი მთელი სულითა და გულით. იგი იყო შვილი მკაცრი პრაქტიკული ხალხისა; არავითარ განყენებულ თეორიას ან კაბინეტურ აზრებს არ შეეძლოთ მისი აღფრთოვანება. მაგრამ თუ მის გონებაში გამათანაბრებელი იდეების უქონლობა უდავოა, მაშინ ასევე უდავოა ისიც, რომ იგი წარმოქმნა სოციალურმა უთანაბრობამ, გამოყვება მისმა სულისშემბუთველმა ატმოსფერომ. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს,

რომ კათლინა თავის თანამედროვე საზოგადოების მანკიერ მხარეებს ამოთრახებდა; პირიქით; მან გააერთიანა უველა ეს ნაკლი საკუთარ პიროვნებაში და მიიყვანა იგი იგავ-მიუწვდენელ სიმანინჯემდე. ის უბედური იყო და ჰქონდა იმის პათივიც, რომ უოფილიყო იმ ადამიანთა რიცხვში, რომლებიც „მონათა შორის მონებად გრძნობდნენ თავს; „ბევრს შეუძლია ამის თაობაზე ლამაზად ლაპარაკი, მაგრამ თითქმის არავინ არ ეჭვობს იმას, თუ სულის რა უბრალო და საოცარი წყობა ბადებს ასეთ გრძნობას, როდესაც იგი აღწევს ჰემ-მარიტ ადამიანურ ძალას, როდესაც იგი მოიცავს ადამიანის მთელ არსებას. ოდნავ ეჭვს შეიტანდნენ თუ არა, მაშინვე ზიზღითა და სიძულვილით აქცევენ ზურგს ასეთ ადამიანებს.

განწირული რევოლუციონერის სულიერი წყობის უბრალოება და საშინელება მდგომარეობს იმაში, რომ მისგან, თითქოსდა, ამოგდებულია დიალექტიკური და გრძნობისმიერ წანამძღვართა გრძელი ჭაჭვი, რომლის გამოისობითაც გულისა და გონების დასკვნები წარმოგვიდგება ველურად, შემთხვევითად და უსაფუძვლოდ. ასეთი ადამიანი — შლეგი, მანიაკი და აკვიატებული აზრებითაა შეპყრობილი. მისი ცხოვრება ისე მიედინება, თითქოსდა სხვა მიზეზობრიობის, სივრცისა და დროის კანონებს ემორჩილებოდეს; ამის შემწეობით მთელი მისი ხორციელი და სულიერი შემადგენლობა სულ სხვანაირად გამოიყურება, ვიდრე „თანდათანობითების“. იგი სხვა დროსა და სხვა სივრცეს ეგუება.

ოდესღაც, ძველად, გარდაქმნის, „მეტამორფოზის“ მოვლენა ცნობილი იყო ადამიანებისათვის. იგი შემოდიოდა ცხოვრებაში, რომელიც ჯერ კიდევ წმიდა იყო, შებილწული არ იყო სახელმწიფოებრიობითა და მისით წარმოსობილი სხვა ზედნაშენებით; მაგრამ იმ დროს, ჩვენ რომელზეც ვლაპარაკობთ, მეტამორფოზა უკვე დიდი ხანია „ცხოვრებიდან გამოსულია“, მასზე „გაძნელდა ფიქრი“; იგი იქცა მეტაფორად. ლიტერატურის საკუთრებად; პოეტმა ოვიდიუსმა, მაგალითად, რომელიც კათლინას მომდევნო თაობის წარმომადგენელია, ცხადია იყოდა გარდაქმნის მდგომარეობა, სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა დაეწერა თხუთმეტი წიგნი „მეტამორფოზებისა“; მაგრამ ოვიდიუსის თანამედროვენი უკვე ცხოვრების ფსკერზე იყვნენ დაშვებულნი. ოვიდიუსის ნაწარმოებები მათთვის უკეთეს შემთხვევაში წარმოადგენდა ესთეტიკური გართობის საგანს, მშვენიერი სურათების წყებას, სადაც მათ იტაცებდათ სიუჟეტი, სტილი და სხვა მობეჭრებული ღირსებები, მაგ-

რამ სადაც ისინი ველარ სცნობდნენ საკუთარ თავებს.

რადგანაც ჩვენ უველანი ირავ პირობებში ვართ, რომელღები რომ იყვნენ, ანუ სახელმწიფოებრიობით დავსწებოვნიდით და ბუნების აღქმა გვეძნელდება, ამიტომაც არ შევუდგები რევოლუციონერის ტემპერამენტის ჩემბურ ახსნას. როგორ დამარწმუნებლადაც უნდა მეჩვენოს ეს განმარტება, არ შეიძლება იგი ცხოვრებისეულად მივიჩნიო. ამიტომაც არ მივმართავ მას და ვიყენებ სხვა საშუალებებს, შეიძლება უფრო ხელმისაწვდომსაც.

კათლინას შეთქმულების შემდეგ განვლილმა ოცმა საუკუნემ არ მისცა ფილოლოგებს ხელნაწერთა ხაქმარისი რაოდენობა, სამაგიეროდ ამ წლებმა მოგვცა დიდი შინაგანი გამოცდილება. უკვე შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ზოგ ადამიანს მატერიალურ და ანგარებიან მიზნებთან ერთად შეიძლება ჰქონდეს ძალზე ამაღლებული მიზნები, — რომლებსაც იოლად ვერ განსაზღვრავთ და ვერც ხელს შეაბებთ. ეს ჩვენ, რუსებს, მაგალითად, დოსტოვესკიმ გვასწავლა. ამგვარი ადამიანების ქცევა აისახება იმ მოქმედებებში, რომლებიც ნაკარნახევია თითოეული მათგანის ტემპერამენტით: ერთნი — არ გამოხატავენ თავიანთ თავს გამყვანებული მოქმედებებით, თავს უყრიან რა მთელ ძალებს შინაგანი მოქმედებისათვის; ახეთები არიან — მწერლები, მხატვრები; სხვებისთვის კი, პირიქით, აუცილებელია ბოხოქარი და ფიზიკური, გამყვანებული ქმედება. ასეთები არიან აქტიური რევოლუციონერები. ერთნიც და მეორენიც ერთნაირად არიან აღვსილნი სიბოხოქრით და ერთნაირად „თესავენ ქარს“, როგორც ნახევრადდაცინვით მიეჩვია მათ მოხსენებას „ძველი ხამყარო“, არა ის „წარმართი“ ძველი ხამყარო, სადაც მოქმედებდა და ცხოვრობდა კათლინა, არამედ ეს „ქრისტიანული“ ძველი ხამყარო, სადაც ვცხოვრობთ და ვმოქმედებთ ჩვენ.

გამოთქმა „ქარის თესვა“ გულისხმობს „ადამიანურ, მხოლოდ ადამიანურ“? მისწრაფებას დაარღვიოს ცხოვრებისეული წესრიგი. აი, რატომ ეკიდება ამ საქმიანობას აბუჩად, ირონიულად, ცივად, არამეგობრულად, ხოლო სხვა შემთხვევებში სიძულვილითა და მტრობით — მოქალაქეთა ის ნაწილი, რომელიც კმნადა წესრიგს. მაგრამ ფუჭია ფიქრი, თითქოს „ქარის თესვა“ მხოლოდ ადამიანური საქმიანობაა, ჩაგონებული მხოლოდ ადამიანური ნებით. ქარი ცალკეულ ადამიანთა ნებით არ ამოვარდება; ცალკეული ადამიანები გრძნობენ, და როგორღაც თითქოს კრებენ მას; ერთნი სუნთქავენ ამ ქარით, ცხოვრობენ და მოქმედებენ ამ სუნთქვით გულმოჭერებულნი, მეორენი ვარდებიან

ამ კარში, ზე ამყვებიან მას, ცხოვრობენ და მოქმედებენ კარით ატაცებულნი.

კატოლიკა შეეკუთვნებოდა ამ უკანასკნელთ. მის დროს დაბბერა იმ კარში, რომელიც გადაიწარდა ძველი წარმართული მსოფლიოს გამანადგურებელ კარიშხალში. იგი აიტაცა კარში, რომელმაც დაჭროლა ახალი სამუაროს მაცნეს იესო ქრისტეს დაბადებამდე.

მხოლოდ ასეთი წინამძღვრების არსებობისას შეიძლება გავერკვეთ კატოლიკას შეთქმულების ამქვეყნიურ ბნელ მიწნებში; უამისოდ ისინი სრულიად უინტერესო, უმნიშვნელო და გამოუსადეგარია; მათი გამოკვლევა ფილოლოგთა ისტორიულთ არქივის ჩხრეკვად იქცევა.

8.

კატოლიკას პირველი შეთქმულება ჩაიშალა. ამის მიზეზი შეთქმულთა შორის შეუთანხმებლობა იყო თუ გაუფრთხილებლობა, უცნობია. ეს საკითხი მეცნიერებისათვის იმდენად ბურუსით მოცულია, რამდენადაც ჩვენთვის ინტერეს მოკლებულია; ვიცით, რომ „მზის ქვეშ უველაფერს თავისი დრო აქვს, რომ ხორცს ისხავს მხოლოდ ის, რაც მომწიფებულია საამისოდ.

კატოლიკას არ მიუტოვებია თავისი ჩანაფიქრები: ერთი წლის შემდეგ კვლავ შეეცადა შეედწია კონსულობისათვის, აი აქ კი მოუხდა ციცერონთან შექახება, თუმცა აქამდეც ხანგამოშვებით ამათრახებდნენ ერთმანეთს. სანამ მოგიტხოვდეთ, თუ ვინ გამოვიდა ამ ბრძოლიდან გამარჯვებული, განვსაჯოთ როგორი ადამიანი იყო ციცერონი.

ციცერონი შეეკუთვნებოდა თავისი დროის უგანათლებულეს ადამიანთა რიცხვს. მდაბიო წარმოსობის კაბუკმა შეძლო მიედო ფრიად მრავალმხრივი განათლება და თავი კანონმცოდნეობას შესწირა, იგი იყო, როგორც ჩვენთან იტყოდნენ, „ცნობილი ნაფიცი მსაჯულის თანაშემწე“ (მუციოს სევეოლა); მაგრამ, სამხედრო სამსახური მალე მიატოვა და ინტელიგენტური ცხოვრება დაიწყო, რადგან ვარაუდობდა: „სამხედრო ცხოვრებას სამოქალაქო ჯობს, დაუნის გვირგვინს კი — მკვერმეტყველება“. რა თქმა უნდა, იგი არ იყო ის, ვინც ჩვენს დროში იხსენიება სიტყვით „პორაფენელი“, ამის გამო ვერ მოახერხა გაეკეთებინა ისეთი უწარმაწარი და ძალზე მოხერხებული ნახტომი „პორაფენცელობიდან“ „ობორონცელობამდე“. ან და უფრო შორს, როგორც ახლახანს ბევრმა რუსმა ინტელიგენტმა მოახერხა, არა, იგი უფრო თანამიმდევრულად მსჭელობდა; ვფიქრობ არა იმიტომ, რომ მთელი თავით მალდა იდგა ბევრ რუს ინტელიგენტზე; არა, ციცერონები ჩვენი დროის რუსეთშიც არიან; შეიძლება ეს აიხსნას იმითაც, რომ

რომში უკვე ოთხასი წელი ბატონობდა მმართველობის რესპუბლიკური წესი და რაც უფრო ბუნებრივად ვითარდებოდა რომის ინტელიგენცია, ისე არ იყო ნიადაგს მოწყვეტილი; იგი ჩვენი ინტელიგენციასავით არ იყო წელში გაწყვიტილი რაღაც ნახევრად არსებულ, უმნიშვნელო ბაზლუნგ, ბიუროკრატიულ-იდოლოტურთან მასშულ შეუწელებელ ბრძოლაში.

რაც უნდა უოფილიყო, ციცერონი მოქალაქედ დარჩა მაშინაც კი, როცა მეომრები იყვნენ მოლაში, რადგან რომის იმპერიალიზმი გაუმაძღარი იყო და თავისი ძალა ჩემს მიერ აღწერილი დროის შემდეგ კიდევ სამიოდე საუკუნეს გაპყვებოდა.

ბრწყინვალე იყო ციცერონის პირველი „დაცვა“. შეუპოვარი პატივმოყვარეობის მეოხებით დაამარცხა მეტყველების ნაკლოვანება და სხეულის მოუქნელობა, იმავე პატივმოყვარეობამ შეიძლება მოეპოვებინა ადვოკატის დიდება.

ამის შემდეგ ადმინისტრაციული ნიჭიც გამოამეღავნა. სურსათ-სანოვავის უზომო სიძვირის დროს სიცილიას მართავდა, საიდანაც პურს უგზავნიდნენ რომს, სწორედ აქ გამოჩნდა ციცერონის სიმტკიცე და კეთილსინდისიერება; მან შეძლო ისე შეევიწროებინა სიცილიელები, რომ არც სიცილიელები დახოცილიყვნენ შიმშილისაგან და არც რომაელები. ამასთან ერთად, ზომიერი შეძლების პატრონმა უარი თქვა ქრთამის აღებაზე, თანაც ისე, რომ ამის გამო სულელად არ მოსჩვენებოდა ხალხს, რაც არანაკლებ ხელოვნებას საჭიროებდა.

რომში დაბრუნებისთანავე, როგორც იტყვიან, ციცერონი ხაზოგადობაში გაერია, მოიგო კიდევ ერთი ბრწყინვალე პროცესი (ვერიუსი), გაიარა მთელი რიგი ადმინისტრაციული თანამდებობისა და საბოლოოდ კონსულის დირსებას მიაღწია, რომლის მიღებაშიც მას ერთნაირად შეუწყვეს ხელი დიდებულებმა და „ხალხმა“. როგორც ისტორია ამბობს, უმთავრესად, დიდებულებმა.

მანამდე ციცერონი ეკუთვნოდა ევრეთ წოდებულ „სახალხო პარტიას“; მაგრამ ოლიგარქების მხარდაკერამ მის შეხედულებებში ცვლილებები გამოიწვია და სენატის პარტიას შეუერთდა. როგორც ჩანს, ლიბერალური ადვოკატის მემარჯვენედ გადაქცევას ხელი შეუწყო სველაზე „ანგარიშგახაწევმა“ მიწეშებმა: რომის დაშლის გაძლიერებამ, სურსათ-სანოვავის დღითიდღე გაძვირებამ და, რაც მთავარია, კატოლიკას შეთქმულებამ, რომელიც სწორედ ამ დროს დაემთხვა. ხომ უნდა გადაერჩინა თავისი სამშობლო, ე. ი. უზომოდ გასიებული გახრწნის აშკარა ნიშნების მქონე რომის სახელმწიფოებრივი სხეული; საჭირო იყო იმ „დიადი კუთხურის“ გადარჩენა, რომელმაც შექმნა და კალაპ-



აც უნდა შეეკმინა ბევრა ფახეულობა, მაგრამ რომელსაც რამდენიმე ათეული წლის შემდეგ გამოეცხადა საბოლოო, საშუალო და მტკიცე განაჩენი იესო ქრისტეს პირუთვნელ სასამართლოზე.

ამგვარიდ, რომელმა დიდებულებმა, დაიწყეს რა ეოველგვარი უთანხმოება და ჩხუბი, შეკავშირდნენ აქამდე მათთვის უცნობი ციცერონის გარშემო და შეუდგნენ უზარმაზარ სამშობლოს დაცვას ადამიანთა პატარ-პატარა ჭკუფებისაგან, რომელიც მიმოფანტული იყო ქალაქის რამდენიმე სახლსა და პროვინციებში, მაგრამ რომელთა სათავეშიც იდგა ჭერ კიდევ ნაკლებად ცნობილი, მომზადებული და მახვილი გონების ადამიანი — კათლინა.

აი, აქ კი განოჩნდა ციცერონის ნამდვილი საქმოსნობა. მისი მოქნილობა და დიპლომატიური ნიჭი. ეს უველაფერი იქიდან დაიწყო, რომ მან, როგორც შემდგომში უველა საუკუნის იურისტმა, ხელი მოკიდა კათლინას დაცვას, მაშინ, როდესაც, მისივე საკუთარი სიტყვები რომ ვთქვათ, კათლინას „დამნაშავედ არცნობა ნიშნავდა იმას, რომ შუა დღისას ბნელა“, დაცვა ეხებოდა კათლინას მიერ აფრიკის პროვინციების მართვის დროს ჩადენილ შექრთამებას, რომლის მიზანიც ის იყო, გამართლების შემთხვევაში სენატის შემდგომი არჩევნებისას კათლინა ადვილად დამყოლი გამხდარიყო.

კათლინას დაცვა ციცერონმა შეძლო, მაგრამ მისდა გასაოცრად კათლინა არ დაწყენარებულა.

კათლინა ჭერ კიდევ ფიქრობდა, რომ წარმატება მის მხარეზე იყო, რომ სენატორთა უმეტესობა მას თანაუგრძნობდა; ამიტომაც მკვახედ უქასუბა ციცერონს: „არის ორი სხეული; ერთი მტლეა და მიკნავებული, მაგრამ თავი აბია, მეორე ღონიერი და დიდია, ოღონდ თავი აკლია; რას ვაკეთებთ ცუდს იმით, რომ ამ უკანასკნელს თავს ვადგავ?“.

ციცერონი მიუხვდა ქარაგმას; იგი ვკუთვნოდა სენატსა და ხალხს. არჩევნების დღეს ციცერონი აბჯრით შეიმოსა და მარსის ველზე გავიდა წარჩინებული ახალგაზრდების თანხლებით. თან განზრახ აჩენდა აბჯრის ნაწილს, რათა ამით მიეხვედრებინა, რა განსაცდელში იგდებდა თავს. „ხალხმა“ (ასე უწოდებდნენ კლუტარქე აქ შეკრებილ რომის საზოგადოებას) გამოხატა თავისი აღშფოთება და გარს შემოერტუა ციცერონს. კათლინა მეორედაც არ აირჩიეს კონსულად.

მაშინ კათლინამ შეკრიბა თავისი მომხრეები და როდები გაანაწილა: ერთ ნაწილს ქალაქისათვის 12 მხრიდან უნდა მიეცა ცეცხლი, მეორე ნაწილს ამოეთუთა სენატორები და იმდენი მოქალაქე, რამდენსაც შეძლებდა; შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილის სახლში იარაღისა და გოგირდის საწყობები მოაწყვებს; დაწესებულა

იქნა შორივეობა ქალაქის სხვადასხვა მხარეს; ხალხის ნაწილს წყალსადენთან მჭურჩინეს ადგილი, რათა დაეხოცათ უველანი, ვაზც წყლისთვის მოვიდოდა.

მაგრამ შეთქმულთა შორისაც აღმოჩნდნენ მახეზღარები, შეიძლება პროვინციორებიც. ვინმე დიდგვაროვან გარყვნილს კვიტ კურიუსს, ოდესდაც სენატიდან გაგდებულს ბიწიერი ქმედებისათვის, კავშირი ჰქონდა არისტოკრატ ქალ ფულვიასთან. ფულვიამ განიზრახა მისი მიტოვება (მოხეზრდა იგი, რადგან კურიუსს აღარ შეეძლო ძვარფანი საჩუქრების მართმევა); მოულოდნელად კურიუსი ქალს ოქროს მთებს შეპირდა: ქალმა იოლად გამოსტყუა შეთქმულების წვრილმანები, შემდეგ კი მთელ რომში ხმა გაავრცელა.

მეორე მხრივ, ციცერონს მეგობრებმა გადასცეს ანონიმური წერილები უცნობი ადამიანისაგან; ამ წერილებშიც აღწერილი იყო შეთქმულების წვრილმანები.

ციცერონმა მთელი ღამე გაატარა იმ მასალების შესწავლაში, რომლებიც მას ხელში ჩაუვარდა, ხოლო დილით მოიწვია სენატის სხდომა, სადაც წერილები ხმამაღლა წაიკითხა.

სენატი იმ შეგნებით იმსჯელებოდა, რომ სამშობლო საფრთხეში იმყოფება და ციცერონი დიქტატორად გამოაცხადეს. ციცერონი, გარშემორტყმული შეიარაღებული ჭკუფით, უოველდღე დადიოდა ქუჩებში. ის ადამიანები კი, რომლებსაც ევალეზოდათ მისი მოკვლა, ახლოსაც არ გააკარეს. იტალიის იმ ადგილებში, სადაც მწიფდებოდა შეთქმულება, გაგზავნეს დიდი უფლებამოსილებით აღჭურვილი საიმედო მოხელეები. კონსულ ანტონიუსს კი, რომელიც კათლინას ემხრობოდა, ციცერონმა საუკეთესო პროვინცია, მაკედონია მისცა და ამით საბოლოოდ მოინადირა მისი გული. კათლინას დამატირება ჭერ კიდევ შეუძლებელი იყო სამხილის უქონლობის გამო. მაშინ ციცერონმა გადაწყვიტა აერჩია სიტუვიერი მხილების გზა, რომლის შეუდარებელი ოსტატიც გახლდათ. მოაწყო სენატის სხდომა ტაძარში, (იუპიტერ სტატორი) და წარმოთქვა აქ თავისი ცნობილი სიტყვა კათლინას წინააღმდეგ.

სხდომაზე დამსწრე კათლინამ სიტუვით მიმართა სენატორებს. როგორც ჩანს, სწორედ აქ დამცირდა იგი. (სუსტია ადამიანი), ცდილობდა რა დაემტკიცებინა, რომ ჩამომავლობით არისტოკრატია, და მსგავსად წინაპრებისა, არაერთხელ გაუწევია სამხაზური ქვეყნისათვის, არ შეეძლო მშვიდად ეყურებინა სამშობლოს დაღუპვისათვის. ციცერონი კი — რომის მოქალაქეც არ იყო.

კათლინას წამდაუწუმ აწყვეტინებდნენ სიტუვას, არავის ხურდა მიხთვის მოესმინა, იმ მერ-

ბუნდ კი არავინ დამქდარა, რომელიც მან დაიკავა.

კათოლიკა აგრძელებდა ციცერონის ლანდვას. ტაძარში ჩოჩქოლი ატყდა. ვილაცამ კათოლიკას დამნაშავე და სამშობლოს მტერი უწოდა. ციცერონმა გადაჭრით უბრძანა კათოლიკას ქალაქიდან გასვლა: „ჩვენ უნდა გვეოფდნენ კედლები იმიტომ, რომ ჩემი თანამდებობის შესრულებისას მე მხოლოდ სიტყვას ვიყენებ, შენ კი იარაღს“. ახლა კი ლინახა კათოლიკამ, რომ საქმე წაგებულა, რომ უველა მის წინააღმდეგაა. იგი მოიცვა მრისხანებაში, რომელსაც საზღვარი არა აქვს. „თუ ასეა, — დაიღრიალა მან, — ჩემი საცხოვრებლის ხანძარს ნანგრევებით ჩავაქრობი!“

იმავე ღამეს კათოლიკა სამასიოდე ამხანაგით რომიდან გავიდა. იგი იმედოვნებდა, რომ ქალაქი ღამით ცეცხლის ალში გაეხვეოდა, რომ მტრებს დახოცავდნენ, რომ სენატი მისი სწრაფი მოქმედებით დაშინდებოდა. კათოლიკა სტოვებდა ქალაქს, მისი ბრძანებით წინ მიბჰკონდათ წენელის შეცვრა, ჩუგლუგები და რომის დროშები, როგორც ეს შეშვენოდა კონსულს. გზადაგზა მას ხალხი უერთებოდა. ახე შეაგროვა ოციათასამდე კაცი, მაგრამ მისი რევოლუციური იმედები არ გაშართლდა.

კათოლიკას მომხრეებს არც უფიქრიათ ქალაქის დაწვა. ციცერონის განკარგულებით რომში ჩბრეცა ჩაატარეს და იარაღის საწყობი აღმოაჩინეს. შეთქმულების ერთ-ერთ მონაწილეს პატიებას დაპირდნენ, თუ დანარჩენებსაც გასთქვამდა; მხილებული შეთქმულების მონაწილენი სენატორთა შეთვალეურეობაში იმყოფებოდნენ, მეორე დღეს კი უკვე მათ ხიკვდილით დასჯაზე ბკობდნენ.

ცეზარი შეწყალებისაკენ იბრებოდა; იგრძნობოდა, რომ იგი ამ საქმეში უსოდველი არ იყო; ციცერონისა და კატონის დაჟინებული მოთხოვნით შეამბობებენ შაინც სიკვდილით დასაჯეს. დაინტერესებული ბრბო ვითარების გასაგებად წამდაუწუმ გროვდებოდა. შეთქმულები სათითაოდ ჩუმად გამოიყვანეს და დასაჯეს. ციცერონი უველას დასჯას ესწრებოდა და განკარგულებებსაც თვითონ იძლეოდა, რომელი უწინ უნდა მოხვედრილიყო ქალათის ბელში.

ღამით სახლში დაბრუნებისას იგი ხალხის გროვას შემოხვდა და შეუძახა: „ისინი მკვდრები არიან!“ ბრბო ციცერონს ტაშით და აღურთოვანებული შეძახილებით აცილებდა: „მხსნელო!“, „სამშობლოს მამა!“

რაც შეეხება თვით კათოლიკას, მასთან საბრძოლველად გაგზავნეს საიმედო ლაშქარი ციციკონისა და ანტონიუსის მთავარსარდლობით, აჯანუებული მონებისაგან შემდგარმა კათოლიკას ბანდების ნაწილმა გაქცევით უშველა თავს; მეორე ნაწილს ალუა შემოარტყეს კლდეკარებ-

ში. გააფთრებული ბრძოლის დროს კათოლიკა მტრის შუაგულში შევარდა და დაიღუპა.

მე ვიხსენებ საკმაოდ ცნობილ ფურცელს ძველი მსოფლიო ისტორიიდან. ეს ერთ-ერთია მარცხით დამთავრებული მარკუს კლავდიუს ნიკრუსის რევოლუციებიდან, ეს ერთ-ერთი ნაწილები აქანუებაა.

ვცდილობდი მომეთხრო ეს ფურცელი ისეთი სიტყვებით, რომლებიც საშუალებას მომცემდნენ გამეკეთებინა ზოგიერთი შეპირისპირება, რომლებიც დაგვანახებდნენ, რომ ადამიანთა ცხოვრების ნაუშები ერთ მუდმივ თარგზე იქარგება. არავითარი სქემა, არავითარი განუენებული თეორია არ მინდა თავს მოგახვიოთ.

ვფიქრობ, რომ მკვდარი, პარალელების მსგავსი სქემების თავზე მოხვევა, რომელიც გადის წარმართულ და ქრისტიანულ სამყაროებს, ვენერასა და ღვთისმშობლის, ქრისტესა და ანტიქრისტეს შორის, მწიგნობართა და სულდაცულილ ადამიანთა საქმიანობაა; ეს დიდი ცოდვაა ჩადენილი წნეობრივად გაწამებულ და დაბნეულ ადამიანთა წინაშე, ასეთები კი ბევრი არიან თანამედროვე ადამიანთა შორის; ხომ საჭიროა გვექონდეს გედების მძლავრი ფრთები, რათა ავფრინდეთ; დიდხანს გავძლოთ შაერში და დავბრუნდეთ უკან ფრთებშეუტრუსველები და დაუზიანებლები იმ სამყაროს ხანძრისაგან, რომლის მოწმენიც და თანამედროვენიც ჩვენ ვართ, რომელიც გაჩაღებულია და კიდევ უფრო ძალუშად და შეუკავებლად გაჩაღდება, გადაიტანს რა თავის კერებს აღმოსავლეთიდან დასავლეთით, დასავლეთიდან აღმოსავლეთით, ხანამ არ ავიზგივდება და სულ ერთიანად არ გადაიბუგება ძველი სამყარო.

ამრიგად, თავს არ ვახვევთ სქემებს. მაგრამ მხურდა, თვითონ მკითხველებს გაეკეთებინათ რამდენიმე დასკვნა ჩემ მიერ მოყვანილი ფაქტებიდან. დაბმარების მიწნით შევეცადე საბეღდაბელოდ მომეხაზა კათოლიკას საბე და ღამეხასიათებინა მიცვალეებულთა აჩრდილები: ხალუსტიუსი, მარიუსი, სულა, ციცერონი. იმავე მიწნითვე მინდა მივაპყრო თქვენი უურადლება რამდენიმე მოსაზრებას და ფაქტს.

კათოლიკა დაიღუპა, დაიღუპა მისი ამხანაგების უმრავლესობაც. რა დამართათ ჩვენ წინ გადაშლილი ტრაგედიის დანარჩენ მოქმედ პირებს?

იულიუს ცეზარი შეთქმულებიდან უვნებელი გამოვიდა. მან არა მარტო მოახერხა წაეშალა ოდნავ შესამჩნევი კვალი, ეს გენიალობაზდის მისული ცბიერი პიროვნება დიდების შარავანდედითაც შეიმოსა. ეს იყო მიწიერი, ცხოვრებისეული დიდება; ასეთად მოაღწია მან ჩვენამდე; დიდების ვზები მიუწვდომელია, მაგრამ თუ შევუდგებით იმ მოვლენათა განხილვას, რომელზედაც დაფუძნებულია ცეზარის დიდ-

ხა, დავინახავთ, რომ ამ მოვლენათა სათავეში დგას ცნობილი ლაშქრობა ბარბაროსთა წინააღმდეგ, ომი ვალებთან, გერმანელებთან და სხვა ხალხებთან; ამ ომის კომენტარებში, რომლებსაც ახწავლიდნენ და ახწავლიან ჩვენი ეპოქის კრიტიკიან მოსწავლეს, ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს თავისი ომების გამართლებას, როგორც რომის იმპერიალიზმის დიდების აუცილებლობის მტკიცებას.

კაბინეტურმა მხედართმთავარმა ნამდვილად განაცვიფრა სამყარო თავისი სამხედრო ტაქტიკის გენიალურობით; მეთისმეტად ცივნიხლიანმა პატივმოყვარემ მიაღწია დიდების ნამდვილ მწვერვალებს, მაგრამ მაინც დაეცა სწორედ იმ წუთს, როდესაც რომის იმპერიის ყველა პროვინციის მეფედ უნდა აერჩიათ; და ხელი, რომელმაც იგი დასცა, სწორედ იმ „საბალბო პარტიას“ ეკუთვნოდა, რომლის საქმიანობაშიც ერთ დროს ცეზარი, როგორც შეთქმული, თვითონაც იღებდა მონაწილეობას.

ახე დაამთავრა ცხოვრება ცეზარმა-კათილინას სამხედრო თანამშრომლებმა და ჩუმმა მტერმა. სხვაგვარად დაამთავრა ცხოვრება კათილინას სამოქალაქო მოწინააღმდეგემ და პირდაპირმა მტერმა-ციცერონმა.

ციცერონს არ აპატიებს კათილინას შეთქმულების მონაწილეთა სიკვდილით დასჯა, ეს ერთ-ერთია იმ იშვიათი მაგალითიდან, თუ როგორ დაისაჯა ჩვეულებრივად დაუსჯელი „თეთრი ტერორი“. კათილინას მეგობრები რამდენიმე წელს თვალყურს ადევნებდნენ ციცერონს და იგი ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდა ნება-ყოფლობით გადასახლებულიყო, რათა გამქცეოდა ადმინისტრაციულ გადასახლებას. მართალია, ერთი წლის შემდეგ რომში დააბრუნეს და რომის ბრბოს კვლავ დიდი სიხარულით შეხვდა, მაგრამ მისი სიმტკიცე უკვე შერყეული იყო. სახელმწიფო საქმეებში ნაკლებ მონაწილეობას იღებდა; იმასაც ამბობენ, სინდისის ქენჭა აწუხებდაო. ყოველ შემთხვევაში ეს დაუფიქრებელი ინტელიგენტი ჩიუტად და უაზროდ აგრძელებდა „ქვეყნის ხიფათულს“ იმ დროს, როცა რომის იმპერია უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, როცა ნაზარეთი მზად იყო ძველი ცივილიზაციის მიმართ შეუბრალებელი განაჩენის წარმოსათქმელად. იგი აგრძელებდა ხელმძღვანელობას ძველი, პროვინციული, მემჩანური, პოზიტიური მორალით (დავინახეთ, როგორც იყო ეს მორალი) სწორედ იმ დღეებში, სანამ სამყაროში მოვიდოდა ახალი მორალი — მორალი როგორც „ციცხლი მწველი“; მას კვლავ სჭეროდა პოლიტიკური საქმიანობისა იმ დროს, როცა სახელმწიფომ, რომლის ნაფიცი მსაჭულიც იყო, საკუთარი თავი თვითონ გასწირა დახადუპავად უსახრულო განხიებით, რომელიც გვამის გახიებას მოგვავონ-

ებს. ბოლოს, თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი უღიმღამო ფილოსოფიას მიუძღვნა, რომელსაც იგი სახელმწიფო საქმიანობისაგან მოკალეობის უამს მიმართავდა ბოლომდე. ეს იყო რომის მოთხოვნილებებს შეწყობილი ყველა სათვის უფლებელი ძალექტური ფილოსოფია; ცოტადენი შემეცნების თერია, რათა ნაწი გაეხვა მეტაფიზიკისადმი სკეპტიკური დამოკიდებულებისათვის; ყველა ფიზიკურ პრობლემასთან შედარებით მორალის უპირატესობის წარმოჩენა. სიმძიმის ცენტრი ნათიფ სიტყვაჯამულ თბრობაზე, რომის საზიდრის უხეში ბორბლების მიერ უმოწყალოდ გასრესილი ძველი ბერძნული აზროვნების კეთილსურნელოვანი ყვავილებიდან ციცერონმა თაფლის საცოდავი ნარჩენებიდა მოაგროვა.

ციცერონის მიერ შექმნილ ფილოსოფიაში აღსრულდა შუა საუკუნეები. ადამიანები მანამდე სვამდნენ ამ მკვდარ წყალს, ვიდრე რენესანსმა არ აღმოაჩინა უკვდავების წყაროები. ციცერონის თხზულებებზე დროს კარგავდნენ ყველა ცივილიზებული ქვეყნის მოსწავლეები, მათ რიცხვში, როგორც ყველა სათვის ცნობილია, რუსი მოსწავლეებიც.

თვით ციცერონმა ერთი წლით მეტი იცხოვრა ცეზარზე; მიუხედავად ყველა პარტიასთან შეგუების ნიჭისა, თავისი ნებასურვილის წინააღმდეგ ურიცხვი პოლიტიკური ავანტიურისტებიდან ერთ-ერთს შეეჯახა და მოკლეს.

ავანტიურისმის ამ დამქანცველ და პოლიტიკური კომბინაციებისა და პიროვნებების განუწვევებელ ცვლას, როგორც უნდა ყოფილიყვნენ ისინი თავიანთი გონებრივი და ზნეობრივი ჩარისხით, ათეულობით სხვა ნიშანს უნდა დაერწმუნებინა შორსმჭვრეტელი და ალყოსანი ადამიანები, რომ ქვეყანაში ხდება რალაც განსაკუთრებული, რომ ძველი საზომით ქვეყანას უკვე ვეღარ გაზომავ, რომ ძველმა ცნებებმა გადაფარეს ერთმანეთი, გადაგვარდნენ და ჩაკვდნენ. თუმცა, თუ იმ დროის ციცერონის მსგავსი ძალზედ კულტურული მწიგნობრებიც კი არ იყვნენ ახეთი მგრძნობიარენი და აღდროიანები, რა უნდა მოგვეთხოვა რომაელი პატრიცებისაგან, მანდილოსნებისაგან, მეღუქნეებისაგან და ჩინოვნიკებისაგან?

კათილინას შეთქმულებამ — ამ ახალი სამყაროს მკრთალმა მათუწყებელმა — ერთი წუთით იფეთქა. მისი ცეცხლი ჩააქრეს და გათილეს. შეთქმულება ჩაქრა, ის ფონი, რომელზედაც მან იფეთქა, როგორც ჩანს, ძველებურად დარჩა, ელფერი არ შეუცვლია.

რესპუბლიკას ძველებურად მართავდა უვარგისი, მოხუციული და დაჩაჩანაკებული სენატი. მონები, რომელთა რიცხვი და საშინელი მდგომარეობაც რომის იარაღის ყოველ ახალ ტრიუმფთან ერთად იზრდებოდა, ეს უსაბო,

მკაცარი და უბედური ღარბ-ღატაკები (ფილოლოგების მიერ ესოდენ გალანტურად „მეკობრეებად“ წოდებულნი) უწინდებურად დევრტირობდნენ, სპეკულაციას ეწეოდნენ, იყიდებოდნენ ფულზე: დღეს რომ ამ პარტიის წევრს მიეყიდებოდნენ, ხვალ მისი მტრის მხარეზე იდგნენ. გაიძვერა, წითელი საღებავით წვერზედებული არისტოკრატი ძველებურად ლორწოვით, ცნობისმოყვარედ უცქეროდა მონობაში ყოფნის დროს ხელსაყრელ ფასში ნაყიდ ბრგე და ჯანმრთელ ბარბაროსებს. რომელი ბატონები ძველებურად იღებავდნენ თმას უვითელი საღებავით, რადგან თმის გერმანული ფერი კვლავ მოდაში იყო. შეძლებულ ბურჟუებს ძველებურად ჰყავდათ სახლში ფინია და ბერძენი მხახური. ერთიც და მეორეც კვლავ მოდაში იყო. ამასთან ერთად, დიადი სახელმწიფოს უველა ამ მოქალაქეს ყოფნიდა გამბედაობა, რომ ძველი რომის წარსულზე გამოეთქვა წუხილი, ვლასარაკა „ქვეყნის სიყვარულსა და ხალხის ღირსებაზე“, ჰყოფნიდა უტიფრობა, კმაყოფილი ყოფილიყო საკუთარი თავითა და მამულით: რომის ტრიუმფული ლპობით.

არ მსურს გავამრავლო ურცხვობისა და სიმახინჯის სურათები, მსურდა, შეთხვედლებს ეს უველაფერი თვითონ წარმოედგინათ. დაე, ამაში მათ ჩვენი ევროპული სინამდვილე დაეხმაროს. რომი ისეთივე ქაოტური სახელმწიფო იყო, როგორც ჩვენი თანამედროვე ევროპა.

ამ სახელმწიფოების ერთი ნაწილი სულს ძლივსღა ითქვამდა; დანარჩენები აგონიაში იყვნენ. მთლიანად სახელმწიფო კი ფიქრობდა, რომ იგი დიადი სახელმწიფოა და არა ქაოტური. უველანი ისე იყვნენ შეწებებულები ერთმანეთთან, როგორც ახლანდელნი; მათი განშორება აღარ შეეძლო უკვე არც ერთ ისტორიულ და ადამიანურ ძალას; ეს სახელმწიფოები ჩნუბობდნენ, ძარცვავდნენ, ცდილობდნენ მიეხრჩოთ ერთმანეთი; დიადი სახელმწიფოს მომაკვდავმა ვეებერთელა სხეულმა მილიონობით ადამიანი დაიტანა, იმ დროის სიბრძნის უველა ადამიანი; მხოლოდ რამდენიმე ათეულმა გადაგვარებულმა ადამიანმა იცოცხა მის ზურგზე თავისი უსიარცხვილო, პატრიოტული ციკვა.

უველაფერი ეს ერთად აღებული იწოდებოდა რომის სახელმწიფო ძლიერების დიად ხანაობად.

მობრჩობილ ადამიანთა რიცხვი კატოლიკა იყო უველა თანამზრახველთან ერთად. ამ ძველი სამყაროს ადამიანთა შორის, ისევე როგორც ჩვენი ძველი სამყაროს ადამიანთა შორის, იყო წრიული თავდებობა, უსიტყვო თანხმობა, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემოდა მემჩანთა თაობებს: ეს თავდებობა გამოიხატება იმაში, თითქოსდა არაფერი ნომხდარა და უველაფერი

ძველებურადაა: იყო შეთქმულება, იყო რევოლუცია, მაგრამ რევოლუცია ჩაბშობილია, შეთქმულება გამომეღაფნებული და უველაფერი ისევე ისე კარგადაა; ახე მოუვიდა, რა თქმა უნდა, კატოლიკის შეთქმულებას; საფრთხის წინათგრძობით შეშფოთებულმა რომის, რომელიც კი მოახერხა კატოლიკის განადგურებას, მისივე დამშვიდდა; ცხოვრებამ ჩვეულებრივი დინება განაგრძო, ხანამ შემდგომი შემთხვევა არ მოხდებოდა. ჩვენ არ შეგვეძლო რომის ცხოვრების რევოლუციისდროინდელი რიტმი აღგვედგინა. ამაში რომ ჩვენი თანამედროვეობა და იმ ეპოქის კიდევ ერთი პატარა ძეგლი არ დაგვხმარებოდა.

კატოლიკის დროს რომში ცხოვრობდა „ლათინელი პუშკინი“, პოეტი ვალერიუს კატულუსი. ჩვენამდე მოღწეულ მის ბევრ ლექსს შორის შემონახულია ერთი, რომელიც არ ჰგავს სხვებს არც შინაარსით და არც ფორმით. ამ ლექსის დაწერის თარიღი ფილოლოგებისათვის უცნობია.

შე ვლასარაკობ კატულუსის მმ-ე, „ატისად“ დასათაურებულ ლექსზე. მისი შინაარსი ასეთია: ატისი, მშვენიერი უმაწვილი, აბოპოქრდა ვენერას დიდი სიძულვილის გამო, შიატოვა სამშობლო, გადახცურა ზღვა, შევიდა ფრიგიაში დიადი ქალღმერთის — კიბელას<sup>9</sup> წმინდა ქალაში (Magna Mater) და თავი დაისაპურისა ერთბაშად სიმსუბუქე იგრძნო — ქალმა (პოეტა უცებ იწყებს ვლასარაკს ატის ქალზე, მიგვანიშნებს რა იმაზე, რომ გარდაქმნა მოხდა უბრალოდ და წამიერად) ქათქათა ხელებით აილოტიმბანი და აკანკალებულმა მოუხმო ქალღმერთის ქურუმებს, თავისნაირივე დასაპურისებულ „გალებს“ — „ნუღარ დაახანებდნენ და გაქციულიყვნენ ღვთის ქალებში“.

მიადწია რა ქალღმერთის ქალას, შიმშილისაგან გატანჯულმა („ცერერას გარეშე“)<sup>10</sup> ატისმა და მისმა თანამგზავრმა ქალებმა ზანტ ძილს მისცეს თავი. როდესაც მზე ამოვიდა და გაიღვიძეს, ბოპოქრობამ გაუარათ. ატისი გავიდა ნაპირზე და მწარედ ატირდა მიტოვებულ სამშობლოზე, მოხტევამდა იმის გამო, რაც თავს დამარტოა.

მაშინ განრისხებულმა ქალღმერთმა ორი მძვინვარე ლომი გაგზავნა ატისის უკან დასაბრუნებლად. ლომებით შეშინებული ნაზი ატისი კვლავ შეიშალა და მთელი ცხოვრება ქალღმერთის მსახურად დარჩა.

კატულუსის ლექსი დაწერილია ძველი და იშვიათი ზომის პალიამბოთი, ეს ორგიათა განხელებული ციკვების ზომაა. რუსულ ენაზე არსებობს ფეტის თარგმანი,<sup>11</sup> რომელიც ხამწუხაროდ იმდენად სუსტია, რომ მის გამოყენებას ვერ ვხედავ და თავს ნებას ვაძლევ მოვახდინო



შეფერება. მაგრამ ესეც ძალზე ცოტაა. ვფიქრობ, რომ ამ ლექსის საგანი არ იყო მხოლოდ კატულუსის პირადული გატაცება, როგორც ამბობენ. პირიქით უნდა ითქვას. კულტურის გატაცება, როგორც უოველი პოეტისა, ეპოქის სულითაა გამსჭვალული. მისი ბედი, მისი რიტმები, მისი ზომები შთაგონებული იყო თანამედროვეობით, რადგან სამყაროს პოეტურ შეგრძნებაში არ არის განხეთქილება პირადულსა და საერთოს შორის; რაც უფრო შგრძნობიარეა პოეტი, უფრო განუყოფლად შეიგრძნობს „თავისას“ და „არა თავისას“. ამიტომაც, ქარიშხლისა და შეტევის ეპოქაში პოეტის სულის უნაწესი და უინტიმურესი მისწრაფებები ასევე იმსჭვალება ქარიშხლითა და შეტევით.

კატულუსს ვერაფერს უსაყვედურებდა უგულისყურობას. სწორად მიმაჩნია იმის მტკიცება, რომ კატულუსი სხვა რომაელ პოეტებს შორის (რომლებსაც, სიტყვამ მოიტანა და მაშინ ისევე ცოტას კითხულობდნენ, როგორც თანამედროვე პოეტებს) არ იყო ისეთი უყუარე და ლენჩი, რომ მეცენატებისა და იმპერატორების სასარგებლოდ რომელიღაც რომელი მიცვალებულის სამოქალაქო და რელიგიურ მამაცობისთვის ეგალობა (როგორც ვარაუდობენ ფილოლოგები); მართალია, ზოგჯერ შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ სწავლულ ფილოლოგებს აწუხებთ ერთი ხაზრუნავი: რადაც უნდა დაუჭდეთ, დაშალონ სამყაროს ისტორიის არსი, ეჭვით შეხედონ კულტურის მოვლენათა შორის კავშირს, რათა უოველ მოხერხებულ წუთს გაწყვიტონ ეს კავშირი და თავიანთი დამჭერე მოსწავლეები დატოვონ საცოდავ სეპტიკოსებად, რომლებიც ვერასოდეს ვერ დაინახავენ ტყეში ცალკეულ ხეებს.

ასეთი ფილოლოგიის კრემარიტი მტრის მხატვრის საქმეა აღადგინოს კავშირი, გაწმინდოს პორიზონტი ამ უწესრიგო და იმ უმნიშვნელო ფაქტების გროვისაგან, რომლებიც, ქარქცეულ ტყის მსგავსად გზას უღობავს უველა ისტორიულ პერსპექტივას.

მე მწამს, რომ ჩვენ არა მარტო გვაქვს უფლება, არამედ მოვალენიც ვართ პოეტი თავის დროსთან დაკავშირებულად მივიჩნიოთ. ჩვენთვის სულ ერთია, სახელდობრ რომელ წელს დაწერა კატულუსმა „ატისი“, მაშინ, როცა კატინას შეთქმულება მხოლოდ მწიფდებოდა, თუ მაშინ, როცა მან იფეთქა, თუ მაშინ, როცა ის ჩამქრალი იყო. იმის თაობაზე, რომ ეს სწორედ ის წლებია, არავინ დავობს, რადგან კატულუსი სწორედ ამ წლებში წერდა „ატისი“ სამოქალაქო ომებით სულშებუთული რომის მცხოვრების ქმნილებაა. ჩემი აზრით, ახე უნდა ავხსნათ კატულუსის ლე-

ქსის ზომა და თვით ამ ლექსის თემაც კი. წარმოიდგინეთ ის არაადამიანური მრისხანება, რომელმაც შეიპურო გამძვინვარებული და დამცირებული კატინა იუპიტერ სტატორის ტაძარში. გამჟღავნებმა სენატორებმა არ ისურვეს მასთან ერთ მერხვულად დაუტოვებულ შეაქციეს. ამ დიდებული ცერემონიის ინიციატორმა საგანგებოდ აირჩია ამ ადგილად ტაძარი, თითქოსდა ტაძარი არის სწორედ ის ადგილი, სადაც შესაძლოა და სავალდებულოა მავანი ადამიანის შეურაცხყოფა და მოწამვლა, მთელი ცერემონია ინსცენირებული იყო. საჭირო წუთს სახალხოვად წაიკითხეს ანონიმური წერილები. დასასრულს უველაზე საპატიო და უველაზე სწავლულმა კაცმა, რომელიც არ შედრკა დაკავშირებოდა სენატორებს, მამულის გადარჩენისათვის გაითამაშა ეს დამამცირებელი კომედია და დაამთავრა იმით, რომ გატანჯული ადამიანის თავზე გადმოანთხია ადვოკატის ბრწყინვალე მქვერმეტყველური სიტყვები. კატინას თითქოს ერთი რამ დარჩენოდა; ჩამხრჩვალყო ციცერონის გაშანადგურებელი სიტყვების კორიანტელში.

მაგრამ კატინამ შესძლო თავი დაედოწია შეურაცხყოფელი სიტყვების კორიანტელისათვის. იგი საკმაოდ ბევრს დახეტილობდა ავაჯაკთა ბუნაგებში, საკმაოდ გაუხეშდა და ლანძღვა ახლოსაც არ გაიკარა. ამაში ისიც დაეხმარა, რომ სიმშაგემ შეიპურო. მან თითქოსდა გარდაქმნა, შეტამორფოზა განიცადა. თავი გალაღებულად იგრძნო, რამეთუ „განუდგა ძველ სამყაროს“ და ფეხებიდან რომის „მტვერი დაიბერტყა.“

წარმოიდგინეთ ახალა დიდი ქალაქის ბნელი ქუჩები, რომელშიაც მცხოვრებთა ნაწილი გარყვნილებას ეწევა, ნახევარს სძინავს, საბჭოს რამდენიმე კაცი, ერთგულნი თავიანთი საპოლიციო მოვალეობისა, ფიზილობს, და ობვიატელთა დიდ ნაწილს, როგორც უოველთვის და უველგან, ეჭვიც არ ეპარება იმაში, რომ სამყაროში რაღაც ხდება, ხალხის დიდ ნაწილს არ წარმოუდგენია, რომ ზოგჯერ ხდება ხოლმე მოვლენები. ამაშია ჩვენი ამქვეყნიური არსებობის ერთ-ერთი უდიდესი ცდუნება. ჩვენ შეგვიძლია ვიკამათოთ და არ გავიზიაროთ ერთმანეთის შეხედულებები. რის გამოც შევიძლოთ ერთმანეთი გულის სიღრმემდე, მაგრამ ჩვენ მაინც ერთი რამ გავერთიანებხ: ვიცით, რომ არსებობს რელიგია, მეცნიერება, ხელოვნება, რომ ხდება მოვლენები კაცობრიობის ცხოვრებაში: ხდება მსოფლიო ომები, ხდება რევოლუციები, იბადება ქრისტე. უველაფერიც ეს, ან თუნდაც მისი ნაწილი, ჩვენთვის აქსიომაა. საკითხი მდგომარეობს იმაში, როგორ მივუდგებით ამ მოვლენებს. მაგრამ ისინი, ვინც ასე ფიქრობს;

უოველთვის მცირენი არიან. ფიქრობს ადამიანთა მცირე ნაწილი და განიცდის ახვედ მცირე ნაწილი. ხალხის მასას ეს არ ებება. მისთვის არ არსებობს ეს აქსიომა. მისთვის არ ხდება არავითარი მოვლენა.

აი, ღამიური ქალაქის ამ შავ ფონზე (რევოლუცია, როგორც უველა დიადი მოვლენა, უოველთვის ხაზს უსვამს სიშავეს) წარმოიდგინეთ ბრბო, რომელსაც წინ უძღვის სიბრავისაგან გაშმაგებული ადამიანი და აიძულებს თავისი გროვის წევრებს წინ წაუძღვარონ კონსულის ღირსების ნიშნები. ეს იგივე კატილინაა — რომის სამყაროს ძუ ლომების მალაღი და ნახევრად მალაღი საზოგადოების ნებინერა, გარუწნილთა ხანდის დამნაშვე წინამძღოლი. კვლავ მისთვის დამახასიათებელი „ხანჯანტი, ხან კი აჩქარებული“ ნაბიჯით მიდის. მაგრამ მრისხანებამ და სიშმაგემ გვამცნეს მის სიარულში მუსიკალური რიტმი. თითქოსდა ეს უკვე აღარ არის გარუწნილი და ანგარების მოყვარული კატილინა. ამ ადამიანის მოქმედებებში ჩანს ჭანუი, სახალხო მრისხანების ფურია.

ამაოდ ვეცდებით ვეძებოთ ისტორიკოსებთან ამ მრისხანების ასახვა, მოგონებები კატილინას რევოლუციური მძვინვარების თაობაზე, აღწერა იმ დაძაბული ატმოსფეროსი, რომლითაც ცხოვრობდა რომი იმ დღეებში. ჩვენ ერთ სიტყვახაც კი ვერ ვიპოვით ამის თაობაზე სალუსტიუსის ლაქლაქში. ვერც ციცერონის უბედობაში, ვერც პლუტარქეს მორალის კითხვაში, მაგრამ ჩვენ მოვძებნით სწორედ ამ ატმოსფეროს პოეტთან — კატულუსის იმ პალიამბებში, რომელზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ.

გესმით განწირულის ეს არათანაბარი, აჩქარებული ნაბიჯის ხმა, რევოლუციონერის ნაბიჯის ხმა, რომელშიც უღერს მრისხანების ქარიშხალი. რომელიც წყვეტილ მუსიკალურ ბგერებშია ახსნილი?

მოუსმინეთ მას:

Super alta vectus Attys celeri rate maria,  
Phrygium nemus citato cupide pede tetigit...

შემდგომი დაპირისპირებისაგან თავს შევიკავებ. ისინი შორს გამიტაცებენ და მაიძულებდნენ შემედგინა სქემა, რომელიც, ვიმეორებ, უველაზე არასასურველ ხერხად მიმაჩნია — ადამიანს რომ პურის მაგივრად ქვა შეაჩეჩო. მხოლოდ მინდა მივეუთითო, რომ ის საშუალებანი, რომლითაც მე (წარმატებით, თუ წარუმატებლად) ვხარგებლობდი, ერთადერთ გზად შეჩვენება, რომელზეც სვლითაც შეიძლებოდა აღდგენილიყო ფილოლოგების მიერ დანგრეული კულტურის ისტორია. ეს საშუა-

ლებანი ორი თავისებურებით გამოიჩინება: 1. მე ვიწყებ არა პირველადვე ჩელში მოხვედრილი ისტორიული ეპოქის ანტიმეორ შესწავლას, არამედ ვირჩევ იმ ეპოქას, რომელიც უფრო მეტად შეესაბამება ჩემი დროის ისტორიულ პროცესს. მესამე წინაპირობაში მკაფიოდ ვხედავ დასტურებს იმ წერილმანებს, რომლებიც არ შეიძლება არ გამოჩნეს მკვლევარს, რომელიც საგანს აკადემიურად მიუდგება. 2. მივმართე ცხოვრების იმ მოვლენათა შეპირისპირებას, რომლებსაც ერთმანეთთან თითქოსდა არაფერი არ აკავშირებთ. მაგ. ამ შემთხვევაში მე ვადარებ რომის რევოლუციას და კატულუსის ლექსებს. დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ ასეთი და მსგავსი შედარებებით შეიძლება მოყუნახოთ გასაღები ეპოქას, შეიძლება შეიგრძნო მისი თრთოლა. შეიცნო მისი აზრი.

5.

მაშ ასე, რომელი „ბოლშევიკი“ კატილინა დაიღუპა. ხარობდნენ რომელი მოქალაქეები. მათი აზრით, „ძალღ ძალღური სიკვდილი“ ერგო. ცნობილმა მწერლებმა კი თანამოქალაქეთა აზრი საკუთარ თხზულებებში ასახეს.

ქრისტე რომ დაიბადა, რომის გულის ცემა შეწყდა. რომის მონარქიის ორგანიზმი ისეთი უზარმაზარი იყო, საუკუნეები დასჭირდა იმის ხათვის, რომ ამ სხეულის უველა ნაწილს შეეწყვიტა ციებცხელებიანი ცაბცაბი. პერიფერაებში თითქმის არავინ იცოდა, რა მოხდა ქვეყნის შუაგულში. ამის თაობაზე იცოდნენ მხოლოდ კატაკომბებში გამომწყვდოულმა ადამიანებმა.

გავიდა საუკუნეები. იმპერიამ შეწყვიტა არა მარტო უოფა, არამედ არსებობაც. ხარბაროსულმა ქარაშოტმა ბევრი რამ დაფარა მიწითა და ნანგრევებით, მათ შორის ცნობილ რომაელ მწერალთა ქმნილებანიც.

გაიარა ათასმა წელმა. აღორძინების ქარაშოტმა გაფანტა მიწის ბელტები და აღმოაჩინა ცივილიზებული რომის ნარჩენები, მათ რიცხვში სალუსტიუსის თხზულებანიც.

რისთვის გამოდგა ეს თხზულებები?

— კატილინას მრისხანე სულის მკვდრით აღდგომისათვის. იტალიელმა უმაწვილებმა ჩაიფიქრეს მილანელი მტარვალის გალიაცო სფორცას მოკვლა. მათ მოაწყვეს ნამდვილი შეთქმულება. ვარჯიშობდნენ თუ როგორ უნდა მიეუენებინათ ხანჭლით სასიკვდილო კრილობა და მართლაც მოკლეს ტირანი ეკლესიაში. მათივე საკუთარი აღიარებით (ქალაქ სიენას უამთა აღწერა) აღმოჩნდა, რომ სწავლობდნენ სალუსტიუსს და იმყოფებოდნენ კატილინას შეთქმულების ზეგავლენაში.

უმაწვილები, რა თქმა უნდა, სახტიკად აწა-

შეს და სიკვდილით დასაჯეს. მაგრამ რომის „ბოლშევიზმის“ სული სიცოცხლეს განაგრძობდა. კათოლიკე ძველთაგანვე მოიხსენიებოდა იტალიურ ხალხურ ლეგენდებში. ცივილიზებულ საზოგადოებაში შეხედულებანი კათოლიკეზე გაორდა. სკოლებში, სამეცნიერო თხზულებებში კათოლიკე ერთხმად და ლეგალურად იხახებოდა საზოგადოებრივ ბოროტმოქმედად. მხატვრულ ლიტერატურაში და ახალგაზრდობის ცხოვრებაში კათოლიკეს სახე სხვაგვარ მოხაზულობას იღებდა. საფრანგეთშიც კი XVIII საუკუნის I ნახევარში, თითქოსდა სრულიად მოულოდნელად გამოქვეყნდა კრებილიონის ტრაგედია „კათოლიკე“. თუმცა ავტორმა თვითონვე იგრძნო უხერხულობა, როდესაც კათოლიკეს უკეთ გამოხატვის მიზნით მას მოუხდა რამდენადმე დაემცირებინა ციცერონი.

კრებილიონი თავისი შეცდომის გამოსწორების მიზნით შეუდგა ახალი ტრაგედიის<sup>12</sup> შეთხზვას თავისი სასახლის მფარველის, მადამ პომპადურის დაფინებული მოთხოვნით.

კაცობრიობამ კათოლიკე ხელახლა და ღირსეულად მხოლოდ გასული საუკუნის ნახევარში შეაფასა. ამის შემდეგ ფილოლოგებს შეუძლიათ არ შეწუხდნენ. შეფასება გაკეთებულია XIX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მწერლის მიერ.

6.

კათოლიკეს დაღუპვიდან ცხრაშედი ახლდღეს გასვლის შემდეგ, ოცი წლის უმწველმა, აფთიაქარის თანამეგობრებმა, შემდეგში კი დიდმა მწერალმა, მსოფლიო რევოლუციით შთაგონებულმა ჰენრიკ იბსენმა 1848 წელს გვიჩვენა რომელი რევოლუციონერის კეშმარტი გულისწადილი.

„ციცერონისა და სალუსტიუსის თხზულებათა წაკითხვის გარეშე პოეტო, აღბათ, არ წააწყდებოდა ამ სიუჟეტს. „— სწორად ამბობს იბსენის შესახებ ერთ-ერთი მისი კრიტიკოსთაგანი.<sup>13</sup> თვით იბსენი კი იგონებს, რა „სიხარბით შთანთქა“ სალუსტიუსის „კათოლიკე“ და ციცერონის სიტყვები: „რამდენიმე თვის შემდეგ დრამა უკვე მზად მქონდა. როგორც დრამაში დანს, იმ დროისათვის არ ვიზიარებდი ამ ორი უძველესი მწერლის შეხედულებებს კათოლიკეს ხასიათსა და მოქმედებებზე. დღემდე ვფიქრობ, რომ უნდა წარმომედგინა ჩემი თავი — დიად ან მნიშვნელოვან ადამიანად, რომლის წინააღმდეგაც ბრძოლას დაუღლეელი ადვოკატი! ციცერონი ხელსაყრელად არ თვლიდა იქამდე, სანამ საქმის ვითარება ისე არ შეტრიალდა, რომ მასზე თავდასხმით საფრთხე აღარ ემუქრებოდა. საჭიროა აგრეთვე გვახსოვდეს, რომ ის-

ტორიაში ცოტა თუ მოიძებნება ასეთი პიროვნება, რომელთა ხსოვნაც უფრო მეტადაა დამოკიდებული მტრებისაგან ვიდრე კათოლიკის ხსოვნა“.<sup>14</sup>

ამას წერს იბსენი თავისი 80 წლის შემდეგ, ეს იბსენის მწველად, საყოველთაოდ აღიარებული, განდიდებული და ამიტომაც გადაღლილი. ის იბსენი, რომლის რევოლუციურ საქმიანობაში მონაწილეობის ბრალდებისაგან დაცვასაც დაბეჭდებით ცდილობენ კრიტიკოსები.

იმის მტკიცება, იბსენი სოციალისტი იყო, საეჭვოა ვინმემ დაიწუოს, მაგრამ იშვიათად თუ ვინმეს შეეპარება ეჭვი იმაში, რომ იბსენი რევოლუციონერი იყო. მისი უბადაღებული „არისტოკრატიზმისა“ და „ინდივიდუალიზმის“ არსი ნახევრად ტყუილი და ნახევრად მართალია, რომელთა დახმარებითაც განმმართველებმა არაერთხელ შეაგუეს მწერალი ობივალურ გაგებას და ამით კარგი პირადი სამსახურიც გაუწიეს (მაგ. მისი ნაწარმოებების გასაღება წიგნების ბაზარზე, სანამ ეს ბაზარი ბურჟუაზიის ხელში იმყოფებოდა). არ ვიცი, იქნებ ძალზე ცუდია ის დახმარება, რომელიც მათ აღმოუჩინეს იბსენსა და ბევრ სხვასაც, როცა მათი ნაწარმოებების აწრი შეავიწროვეს, მგონი ეს მხოლოდ დროებითი ზარალია, ათეული ან ასეული წლების საქმე. ცხრაშედი საუკუნის განმავლობაში კათოლიკეს ხაქმე ერთხმად ითვლებოდა წაგებულად. თუმცა კი მათი გასვლის შემდეგ სამყაროს მოუხდა გაეხსენებინა კათოლიკე, სხვათა შორის, იმიტომ, რომ სამყაროს იგი დიდმა მხატვარმა შეახსენა.

დაღლილ-დაქანცული იბსენი არ ეწინააღმდეგებოდა კრიტიკოსთა განმარტებებს; მაგრამ ხაქმე სულაც არ არის ის, რომ მან მიატოვა თავისი ახალგაზრდობის დროინდელი „რევოლუციური ბოძებები“. იბსენი დაუინებით იმეორებდა, რომ უველა მისი ქმნილება ერთი მთლიანია: „მე არ ვისურვებდი, რომ თუნდაც რაიმე ახლა უკვე განვლილიდან ამოგდებული იყოს ჩემი ცხოვრებიდან“ (1875)<sup>15</sup> „მხოლოდ მთელი ჩემი ლიტერატურული შემოქმედების ერთობლიობით, როგორც ერთი თანმიმდევრულად განვითარებული მთლიანობის აღქმითა და შეთვისებით შეიძლება მისი ცალკეული ნაწილებისაგან სწორი, ჩემი ზრახვების შესაბამისი შთაბეჭდილებების მიღება“ (1898)<sup>16</sup>

მსოფლიო მხატვარი ახალგაზრდა მხატვრისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ საკუთარ თავში იკეტება, ღრმად იხედება თავის არსებაში. თავისი თავის ღალატი მხატვარს არ შეუძლია, თვითონაც რომ უნდოდეს. მე ამას იმიტომ კი არ მოგახსენებთ, რომ გავამართლო მხატვარი, რომელიც არ საჭიროებს გამართლე-





შეტყველებს მის დიდ შინაგან სირთულეებზე, რომლის დაძლევაც არ შეეძლო ოცი წლის უმწვეილს. უფრო მეტიც, შეიძლება იბსენმა ვერ დაძლია ეს მთელ თავის შემდგომ შემოქმედებაშიც. მე არა მაქვს არც დრო, არც ადგილი, არც ძალა და არც უფლება იმისათვის, რომ განვაფიქრო ახლა ეს თემა. ვიტყვი მხოლოდ, რომ აქ ლაპარაკია არა დემოკრატიისა და არისტოკრატიის თაობაზე, არამედ სრულიად სხვა რამეზე. აქედან გამომდინარე, კრიტიკოსებს მაინცდამაინც არ უნდა გახარებოდეთ, რომ კატლინა „მარჯვნივ“ მიდის. საეჭვოა, ეს ის გადამრჩენი „მემარჯვენეობა“ იყოს, რომელიც სხვადასხვაგვარი თავისუფლების შენარჩუნების საშუალებას იძლევა. იბსენისეული კატლინა როგორც ვხედავთ, იყო არა ციდან მოვლენილი მტკიცე და პოზიტიური „თავისუფლების“ მეგ-

ობარი: იგი იყო მეგობარი თავისუფლებისა, რომელიც მუდამ ხელიდან უქრებოდა.

მაგრამ კრიტიკოსებს მართებდათ თავიანთი უურადღება გაემახვილებინათ იმაზე, რომ იბსენმა თავისი დამაშვრალი ცხოვრების ორმოცდამერვე წელს ყოველგვარი მტკიცეობის გარეშე დაამუშავა, „თუმცა სრულიად არ შეეცაძა ადევებს, სახეებს და მოქმედების განვითარებას,“ და ხელახლა გამოსცა თავისი უმაწვილური დრამა, რომელიც სრულიადაც არ მთავრდება ლიბერალურად: „ელიზიუმის დირსი და სიყვარულს ნაზიარავი აღმოჩნდება სწორედ კატლინა — მიაგზობა და მკვლელი იმ ყველაზე უმინდისა, რაც კი ცხოვრებაში არსებობს“.

1918, მაისის 17.

შენიშვნები

1. ი. შერი ადამიანური ტრაგიკომედია. 1877. (რუს. ენაზე)
2. იხ: სალუსტიუსი კატლინას შეთქმულების თაობაზე, თავი X — XIII (რუს. ენაზე)
3. ისტორიკოსის სახელი დადგენილი არ არის. ბლოკმა გამოიყენა ცნობები ი. ზაბსტის სტატიიდან „სალუსტიუსისა და მისი თხზულებების შესახებ“ („პროპილეი, წიგ. 1 M 1856 გვ. 249)
4. სალუსტიუსი ომი იუგურთასთან, თავი XV (რუს. ენაზე)
5. ბლოკს მხედველობაში აქვს მ. ნორდაუს წიგნი „გადაგვარება“. (რუს. ენაზე)
6. იხ: პლუტარქე. ციცერონი (თავი 10).
7. ბლოკი გულისხმობს ფ. ნიცშეს წიგნის სახელწოდებას „ადამიანური, ძალზე ადამიანური“.
8. იხ: პლუტარქე — რჩეული ბიოგრაფიები. თბ. 1979, გვ. 596, თარგმანი იაკო ურუშიაძისა.
9. კიბელა — ფრიგიული ღმერთქალი, დიდი დედა, ღმერთთა და ყოველთა არსთა დედა დედამიწაზე. ბუნების ამალორძინებელი და ყოველგვარი სოცხალი არსებისათვის ნაყოფიერების მიმნიჭებელი.

10. ცერერა — რომაული მითოლოგიის მიხედვით ნაყოფიერების ქალღმერთი.
11. იხ: „კატულუსის ლექსები ფეტის თარგმანითა და კომენტარებით.“ M 1986, აგრეთვე ბლოკის ჩანაწერი დღიურში 1912 წ. 4 ოქტომბერს
12. შესაძლოა ბლოკს მხედველობაში აქვს ტრაგედია „ჩიუმვირატი“
13. ბლოკს მხედველობაში ჰყავს გერმანელი კრიტიკოსი ლ. პასარგე, რომლის სიტყვების ციტირებასაც ახდენს პ. იბსენის დრამის „კატლინას“ წინასიტყვაობიდან. (პ. იბსენი თხზ. სრული კრებული ს. სკირმუნდტის გამ. წიგ. 1. M, 1907, გვ. 409, რუს. ენაზე).
- 14, 15, 16, იხ: პ. იბსენი თხზ. სრული კრებული. წიგ. 1. გვ 496, 499, 491.
17. „კატლინა“ მოქ. 1
- 18, 19. იხ: პ. იბსენი. თხზ. სრული კრებული წიგ. 8 M, 1906, გვ. 232, 234
- 20, 21. „კატლინა“ მოქ. 1. მოქ. 2.
- 22, 23, 24. იქვე, მოქ. 33





თარგმნა ლამარა კიკილაშვილმა

„წმინდა კაცი“

ეს ერთი თავი ალექსანდრ კრივიციკის ვრცელი დოკუმენტური მოთხრობისა — „ნაძვისხე უფროსებისათვის“ ანდრეი პლატონოვის ეძღვნება. დაიბეჭდა „ლიტერატურნაია გაზეტაში“ 1980 წლის 2 აპრილს.

I.

მის მეორე წელი იყო. გა-  
წეითი „ქრასნაია ზვეზდას“  
რედაქცია „პრავდის“ შენობაში მუშაობდა. ერთ-  
თხელ ჩემი ოთახის კარზე ვილაყამ ფრთხილად  
დააკაკუნა, ჩუმად, მეთისმეტი მორიდებით. ეს  
უჩვეულოდ მომეჩვენა. ჩემს პაწია კაბინეტში  
კოლეგები ხმაურით რომ შემოცვივოდნენ, ლამის  
კარებს შემოგლეჯდნენ. ქალაქის თავზე საწინიტო  
ქვეშეხები გრუხუნებდნენ, შორეულ აფეთქებათა  
მძიმე ექო ჩვენამდე აღწევდა და კარზე კაკუნს  
უურადღებას აღარ ვაქცევდით. ხოლო ის, რაც იმ  
კეთილად მოსაგონარ დღეს გავიგონე, ჩემს კა-  
რზე, მხოლოდ ანგელოზის ფრთის უცაბედი შე-  
ხება თუ შეიძლება უფილიყო.

— შემოდი, შე დალოცვილო, კარებზე რაღას  
აკაკუნებს — ხელნაწერიდან თავი არც კი ამი-  
დია, ისე გავძახე. როგორც ჩანს, რაღაც სასწრა.  
ფო მქონდა წასაკითხი.

ამას პატარა პაუზა მოჰყვა. გაურკვეველი ხმე-  
ბიც მოისმა. ეტუობა, ჩემმა ანგელოზმა ფრთები  
ჩაკეცა... ნუთუ ფუთაში? წარმოიდგინეთ, კარის  
კრილში ხწორედ ხელფუთიანი კაცი გამოჩნდა.  
არც შალაღი, არც ტანმორჩილი, გამბდარი —  
იქნებ მეთისმეტადაც. ოდნავ კალთებშემომწვა-  
რი მაწარა ეცვა — აღბათ სადმე ცეცხლთან  
თბებოდა. ნათელი, ცისფერი თვალები მქონდა,  
ტუჩებისკენ დაბრილი ცხვირი მის სახეს ნაღვ-  
ლიან იერს აძლევდა, თითქოს რაღაცას თანაგი-  
გრძნობდა. სამხედრო პირი იყო თუ სამოქალა-  
ქო, ვერ გაარჩევდით. უფრო კარის წიხქვილე-  
ბთან ნაბრძოლ დონ კიბოტს მოგაგონებდა, ან  
სახლკარდამწვარს, შორეული სოფლიდან საშო-  
ვარზე ჩამოსულს.

სტუმრის ახეთი შესახედაობით ოდნავ დაბნე-  
ულს ხმის ამოდება გამოქირდა — უპატრონოს  
ჭგავდა, რაღაც უწნო მომეჩვენა, უთვალტანა-  
დო. თუმც, ომი იყო, ვის რას გაუგებდი. რა-  
ტომღაც ვიფიქრე: „აღბათ ალყას გამოექცა, რა-  
ძნელი მისახვედრი ეს არის-მეთქი!“ ასე მჩვევია,  
თავიდან ყველაფერს საარაკოს წარმოვიდგენ,  
თუმც მაშინაც კარგად ვიცოდი, რომ უოველგ-  
ვარი მისტიკა თუ უცნაურობა ადრე თუ გვიან  
უსათუოდ რეალობით უნდა აიხსნას. დუმილი  
გაგრძელდა. სტუმრის სახეს უჩვეულო სიმორ-  
ცხვე დაეტყო.

- კრივიციკი ხართ? — მკითხა ბოლოს.
- დიახ, კრივიციკი.
- საშა კრივიციკი? — ვერ გავიგე, დარწმუნ-  
დება უნდოდა თუ ისე, უბრალოდ, წაიცელქა.
- კრივიციკი ვარ, ალექსანდრ იურევიჩი, საშა,  
საშენკა, საშურა, საშულიაც კი — როგორც გნე-  
ხავთ. მაგრამ თქვენ ვინ ხართ?
- უცებ გაიღიმა. ეს კი მართლაც ანგელოზის  
ღიმილი იყო — შუქიანი, ხალახი, კეთილი.
- მე პლატონოვი ვარ.

ქალაქის ნაგლეჯი გამომიწოდა. ვახილ გრო.  
სმანის ბარათი იყო: „ძვირფასო საშა! მფარვე-  
ლობა გაუწიე ამ კარგ მწერალს. უმწეროა, უად-  
გილო და აბნეული“.

არმომხედილი გაუწოდა ხაბკოთა ეპოქის ერთ-  
ერთ ყველაზე რთულ მწერალს და სათუთ შე-  
მოქმედს. თავისი ცხოვრების უმძიმეს დღეებ-  
ში მოვიდა ჩვენთან. რედაქციაში გული გაუთბა,  
ამბანაგები შეიძინა, ზოგაერთ კრიტიკოსს ვიწრო  
სპეციალობად გაეზადა ყველაფერის კრიტიკა. რა.  
საც პლატონოვი დაწერდა ხოლმე, ისინი თავი-

ანთვინის ცნობილობა და ხაქშიანობა, მაგრამ როგორც კი მორიწონებულ პლატონოვს ამალი წიგნი ანდა მოთხრობა გამოჩნდებოდა, უველაფერს გვერდზე გადადებდნენ და ისევ თავისას გააგრძელებდნენ.

ერთადერთი წიგნი, რომლის წინააღმდეგ მან ვერაფერს ამოიღო, „ბრონია“ იყო — კრებული მისი მოთხრობებისა, რომლებიც პირველად „კრახნია ზვეზდაში“ დაიბეჭდა.

ვგონებ, პლატონოვმა ომის წლებში პირველად სწორედ ეს მოთხრობა დაწერა და კრებულსაც მისი სახელი დაერქვა. საგანგებოდ დიდი იყო, შემოკლება უსათუოდ ხკირდებოდა. ჩემი აზრი ავტორს ვუთხარი.

— იქნებ მაინც ასე დაბეჭდოთ. — ბვეწნით თქვა მან. — ასაწყობად ასე გაგზავნეთ.

ერთდღეობის ქერ ისევ „თქვენიობით“ მივმართავდი.

მისი თხოვნის შესრულებას რომ კარგი არაფერი მომეცებოდა, უკვე ვიცოდი, პირიქით, ცუდიც იქნებოდა. მაგრამ პლატონოვის მწარედ მოკუმულ ტუჩებსა და ნაღვლიან ხანებს თვალში რომ შევავლო, დავეთანხმე და ორიგინალი ასაწყობად გაგატანე.

მხოლოდ მოთხრობის სიდიდით რომ არ კმნოდა სიძინელის, პლატონოვმა მალე გაიგო, ისინი ვინც ნაწარმოების ანაბეჭდები წაიკითხა, შეაშფოთა მისი ენის „უცნაურობაში“, დააშინა კადნიერმა სიბიბეჭე სტაფისა. ამიტომ მოთხრობის მომხრეების ძებნა დაიწყო. ერთად მინდოდა განგვებოდა მისი ფორმა და შინაარსი.

ანდრეი პლატონოვის ხატვის მანერა იმით არის მომხიბლავი, რომ მწერალს თითქოს ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცნებებისა თუ ეპითეტების შეკვობისა და შეხორცების უნარი აქვს. ვთქვათ, კი ასე: „პუნოვმა ხელახლა ისილა სიციცხლის დიდებულება და სიშმაგე ხუნებისა, სიმშვიდეცა და მოკმედებაც გასაოცარი რომ იცის“.

როცა გაზეთი დაკაბადონდა, „ბრონია“ „კუდი“ ჩარჩოში არ ჩაქდა (იმის გარდა, რაც სამდივნოში ამოიღეს) — ალბათ ასე, ასოცა სტრიქონი. ვცდილობდი, მეტი ჩამეტია, პახუბისმგებელმა მდივანმა კი ქერაც სველ ანაბეჭდებს თვალში მოაშორა და მოკლედ მომიტრა:

— ღმერთო ჩემო! ფრონტიდან მოხუდ კორესპონდენტებს რაღა ვუყო? ეს შენი მოთხრობა იქნებ სულაც ამოვიდოთ!

ასე გახდა „ჩემი“, „ბრონია“ და ამ ავტორის სხვა მოთხრობებიც, რომლებიც შემდეგ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა.

პლატონოვმა ანაბეჭდი რომ წაიკითხა, ფერი დაქარგა:

— ვაი, ცუდია! რად გთხოვეთ, მოლიანად

დაწყეთ-მეთქი... თქვენ ალბათ უკეთ შეამოკლებდით.

მართლაც, მოთხრობა უბეზოდ იყო შემოკლებული, დაუდევრად, კარგად ვხედავდი, პლატონოვი რა დღეში იყო და ესეა ვუთხარი:

— იქნებ ახალი ანაბეჭდის გამოთქმა მოგებო, სცადეთ და თქვენვე შეამოკლეთ.

მან კი მორცხვად მიპასუხა:

— არ შემიძლია, ვეფიცებით, საკუთარ ნაწერს ვერ ვამოკლებ. ეს იოგების... თვითგვემას მგავს. არ შემიძლია... თქვენ უკეთესად შეამოკლებდით. — გაიმეორა კვლავ ნაღვლიანად.

განვმარტოვდი და ხაქმეს შევუდექი. ერთნაწილს რომ აღვადგენდი, მეორეს ვამოკლებდი. ჩვეულებრივ, რედაქტირება სწრაფად შემეძლო, მაგრამ მანამდე ასეთი რთული ამოცანა ჩემს წინაშე არასდროს მდგარა. მოთხრობის ქსოვილი ისეთი იყო, ვერ დაჩხვავდი, რედაქტორის წითელი ფანქარი გვერდზე გადავდი, წვრილი კალამი მოვიმარჯვე. მოთხრობაში უველაფერი ერთმანეთს იყო შირჩილული, მიდუღებული, ერთი მეორიდან გამოდიოდა. სიტყვას ხელს რომ მიაკარებდი, მთელი სტრიქონი ჩაიშლებოდა, შემდეგ აბზაცი ჩაწვავდებოდა, მიიხედავდი, სხვა აბზაცი ინგრეოდა.

გულახდილად ვიტყვი: მაშინ ჩემს თვალში პლატონოვი ქერ არ იყო ის მხატვარი, რომელიც მერს შევიცანი. მთავარი მიზეზი ამ სიბეცისა, უბრალოდ, ის იყო, ამ მწერლისა მანამდე რომ არაფერი წამეკითხა, სულ არაფერი. პირველი, რაც წავიკითხე, „ბრონია“ იყო — ალბათ არც იმ მოთხრობებზე უკეთესი, რაც პლატონოვმა ჩემს გაზეთში მერე დაბეჭდა.

წავიკითხე და პლატონოვის ტალანტის ქადომ მუისვე შემეძპრო, მუისვე და თანაც სამუდამოდ. მაგრამ მაშინ უველასათვის ცნობილი მწერლის — ანდრეი პლატონოვის ნაწარმოებს კი არ ვამოკლებდი, არამედ ვცდილობდი, გადამერჩინა ხაინტენდანტო სამსახურის კამიტის მოთხრობა, რომელიც მომწონდა. ალბათ ცოტა ვაქარბებ კიდევ, როცა ჩემს მიერ პლატონოვის შემოკმედების არცოდნაზე ვლაპარაკობ, მაგრამ ეს მეტი სიცხადისათვის.

რა თქმა უნდა, მისი სახელი გამეგონა, წავიკითხეთაც წაშეკითხა, როგორც შემდეგ ვახიხხენე, თუნდაც ქერ კიდევ ოცდაათიან წლებში დაწერილი მოთხრობა — „ფრო“. მაგრამ ის მწერალი ვერ დავუკავშირე იმ პლატონოვს, რომელიც ჩემთან „კრახნია ზვეზდაში“ ბარათით მოვიდა. ჩემი ღმერთი ჩემოვი იყო და ამჟამადაც ჩემოვია. პროზაში ერთი ღმერთი მწამდა. პოეზიაში შეიძლებოდა გამონაკლისი — წმინდა სამებას ვცემდი თაყვანს — ბლოკს, მაიაკოვსკის, სერგეი ესენინს.

ჩემს ხაოჯახო კანკელს თუ ოლიმპს ახლა

ბევრი ღმერთი ამშვენებს, ისე როგორც ძველი საბერძნეთის მითებშია. მათ შორის არის პლატონოვიც. მართალი ვითბრათ, ის არ არის მთავარი ღმერთი, მაგრამ ღმერთია.

ომის წინ მის წიგნებს ნაკლებ ბეჭდავდნენ, ამ წიგნებზე კიდევ უფრო ნაკლებად წერდნენ. ახალი თაობა ანდრეი პლატონოვს არ იცნობდა. მეც, ის იყო, სიკაბუჯიდან გამოვდიოდი და, როგორც უკვე ვთქვი, ერთობ წერდებოდი, უფრო უურმოკვრით ვიცნობდი მას.

ეს პლატონოვს მშვენივრად ესმოდა, ხედს კი მაინც არ უჩიოდა. არ ჩქარობდა საკუთარ თავზე რაიმეს თქმას. ღირსების გრძნობა საძებარი არ ჰქონია და ეს ყალბად არასოდეს გამოვლავნებულა, გულნამცეცობად არ ქცეულა. მის სახეზე სულ პირველად დამცინავ ღიმილს თვალი მაშინ შევასწარი, როცა ვილაციის უსაფუძვლო მედიდურობის მოწმენი ვაგებდით, მერე ამ ღიმილს მუდამ ვხედავდით, თუ ორივენი ვინმეს ტრაბახს და ბაქიაობას გავიგონებდით.

რაკი გაზეთ „კრასნაია ზვეზდაში“ ვმუშაობდი, ომის წინაც თავისუფალ დროს უმთავრესად სამხედრო თემატიკაზე დაწერილ წიგნებს ვკითხულობდი. ასე გაგრძელდა ომის წლებშიც, ისე რომ, პლატონოვთან მუშაობამაც ვერ მაძლულა მაინც და მაინც სასწრაფოდ დამეწყოს მისი წიგნების კითხვა და გაცნობა. იმჟერად ჩემთვის „ბრონიაც“ კმაროდა, რომელმაც მომხიბლა. მას დავუბრუნდეთ იმ მაგიდას, ავტორის თხოვნით მისი მოთხრობის შესამოკლებლად ხელახლა რომ მივუჭექე. სქელი ფანქრით თუ წვრილი კალმით, როგორც იქნა, ჩემი საქმე მოვათავე და პლატონოვს ვუბმე-წაიკითხა და ასე მითხრა:

— გულიდან დარდი გადამყარეთ. ასე კარგია, თანახმა ვარ. — და კვლავ ოდნავ გაიღიმა.

საჭირო იყო ამ ცვლილებათა და შესწორებათა სამდივნოსთან შეთანხმება, თანაც ისე, რომ გაზეთის ნომერი თავის დროზე გამოსულიყო. ამ საიუველირო შესწორება-შემოკლებამ კი საკმაოდ დიდი დრო წაიღო. ბოლოს მოგვარდა ყველაფერი და ისევ ჩემს ოთახს დავუბრუნდით, სადაც პლატონოვი მელოდებოდა — რედაქციაში თავისი ადგილი მას ჯერ არ ჰქონდა. შევედი და მოკლედ ვუთხარი:

— მოვრჩი ყველაფერს!

პლატონოვს სახე გაუნათდა:

— შენი დიდი მადლობელი ვარ, ალექსანდრ!

— არაფერია, ანდრეი.

ასე გადავედით „თქვენიდან“ „შენზე“, მას შემდეგ კი დავმეგობრდით.

პლატონოვის ყველა მოთხრობას, რაც „კრასნაია ზვეზდაში“ იბეჭდებოდა, მერეც ჩემს ხელში უნდა გაევლო. ჯერ კიდევ 1943 წელს გა-

მოიცა ამ გაზეთში დაბეჭდილი მოთხრობების პირველი კრებული.

ახლაც წინ მიდევს ეს მოთხრობათა კრების-ფრო გარეკანში ჩასმული წიგნი და ვკითხულობ წარწერას: „ალექსანდრ კრივიციკის — მეგობრული სიყვარულით და მადლიერებით: ა. პლატონოვი. 4/V, 48 წ.“

იმავე წელს პლატონოვის გაზეთისთვის დაწერილი მოთხრობების კიდევ უფრო მოზრდილი კრებული „გოსლიტიზდატმა“ გამოაქვეყნა. პლატონოვის ცხოვრება თანდათანობით მოწესრიგდა.

2.

..მაგონდება:

ჩემთვის ქუჩის ვიწრო ტროტუარს მივუყვები — „კრასნაია ზვეზდადან“ „ნოვი მირის“ რედაქციაში მივდივარ და გვერდით მომავალ ანდრეი პლატონოვს ზოგჯერ სიყვარულით გადავხედავ. ის ჯერ ისევ „კრასნაია ზვეზდას“ რედაქციაში ითვლებოდა. იმ დღეს მისი ნარკვევი გავვწავნეთ ახაწყობად და ახლა უკვე შინ მიდიოდა — ტვერის ქუჩაზე, თან „ნოვი მირის“ რედაქციაში მაცილებდა.

მე უკვე ვთქვი, რომ პლატონოვს მაღალი, მოაზროვნის შუბლი ჰქონდა, ძარღვიანი კისერი და ცხვირი — რაღაც ნაღვლიანად დაშვებული ზედა ტუჩისკენ, პიჯის კოშკივით გადახრილი. იტყვიან ხოლმე, თხელი ტუჩები ბოროტების ნიშანიაო. მაგრამ ფიზიონომისტიკა სრულყოფილი მეცნიერება ხელაღ არ გახლავთ. პლატონოვი მეტისმეტად კეთილი იყო, არა უბრალოდ გულკეთილი, არამედ კეთილი — ამ ცნების ხწორედ სოციალური მნიშვნელობით. იგი ყველასთვის არ ყოფილა ახლობელი და „თავისიანი“, სახარების სიკეთეს არ ქადაგებდა — ხაკმარისია წაიკითხოთ მისი სამხედრო მოთხრობები.

რომ შეხედავდი, შეიძლებოდა სასურსათო მაღაზიასთან გაჩერებულ ვინმე „მესამე“ გგონებოდა, სინამდვილეში დახვეწილი კაცი იყო და ზედმიწევნით ინტელიგენტური ლექსიკა ჰქონდა. უაღრესად აფასებდა ნამდვილ იუმორს, მახვილსიტყვაობის მისი ხტილი ბესტერ კიტონის (კლასიკოსი მსახიობის, რომელიც არასდროს იღინებოდა) მანერას ჰგავდა. პლატონოვს შეეძლო, რაღაც საოცრად სასაცილო რამ მთლად უწყინარი სახით ეთქვა. იგი ჩემზე უფროსი იყო, მაგრამ გვიყვარდა ერთად ყოფნა და ერთი საფრონტო მივლინებიდან მეორემდე ქაუზების დროს ზოგჯერ ხადმე, იმდროინდელ ღარიბ სუფრაზეც ვპატიუბდით.

ამ ამბანაგურ შეკრებებზე იშვიათად თუ იცოდა ვინმემ, პლატონოვი რომ მწერალი იყო. მისი ასეთი ერთობ უბრალო გარეგნობით შეცბუნებულ დიასახლისს თუ ოჯახის უფროსს ზოგჯერ მისთვის გაოცებითაც შეუხედავს. მაგ-

რამ ერთ ხაათს გაუვლია და ცხადი გამხდარა რომ უველა მხოლოდ პლატონოვს უხმენდა. მის მონათბრობ ანაზღვიულ საყოფაცხოვრებო თუ ფრონტულ ამბებს, მის განუყოფლობელ, უბადლო ლექსიკას, ნაამბობის მოხდენილად თავმო-ბმულ ფორმას, რაც ზეპირ თბრობაში იშვიათია. პლატონოვს თავისი ხერხები ჰქონდა ადამიანთა მიწიდვისა და მოხიბვლისა.

მეგობრულ სუფრაზე პლატონოვი უარს სას. მელზეც არ ამბობდა. კიქას ნელა აწევდა ხოლმე. გახედავდა, ოდნავ შეაქანებდა და განზე გადაგამდა. მერე ისევ აიღებდა, სულს მოითქვამდა და ასე იტყოდა:

— აბა, ალექსანდრ, ჩემო ძვირფასო, უნდა გავხედოთ, წვეთ-წვეთობით... როგორც ვიცით და როგორც გვიჩვენებს მეცნიერებმა..

იგი ნელა მოძრაობდა, ლაპარაკითაც აუჩქარებლად ლაპარაკობდა. ზედმეტსიტყვაობა არ იყო, მის მეთყველებას სიტყვიერი ნარჩენები არ მოხდევდა, არასოდეს ენამრავლობდა. ფრაზა ნათელი, მკაფიო ჰქონდა, ისევე როგორც აწრი — განცდათა გამომხატველი. შეკითხვა კი გაუბედავი იცოდა ხოლმე — ისე არა, ზოგიერთი რომ გეკითხება და პასუხსაც ისევ თვითონ გკარნახობს. თითქოს ეკვი ეპარებოდა — უპასუხებდი? ანდა შენთვისაც იყო კი რამით ნაინტერესო მისი შეკითხვა?

პლატონოვი თავაზიანი კაცი იყო, თითქმის მორცხვი, მაგრამ რწმენას ვერავინ და ვერაფერი შეურყევდა. მას კი მშრომელი კაცისა სწამდა.

მის მოთხოვნას — „ამ მშვენიერსა და ულმობელ წუთისოფელში“ — შრომის უმშვენიერეს საგალობელს ვუწოდებდით მსოფლიო მწერლობაში. რა შორს დგას იგი „საწარმოო რომანის“ მკაცრი კონსტრუქციებისაგან და რარივ ძვირფასი, ახლობელი და გასაგებია მუშა კაცისთვის.

ავტორს შევეჯვართ მშრომელი ხალხის „რჩეულთა“ შორის. ისინი უდიდეს მიზანს შეუქრავს — „სახელებისწერო ძალების მიმართ“ ბრძოლის მიზანს, „კაცი ასე შემთხვევით და დაუნდობლად რომ გაანადგურეს“. ნურავის შეატდენს პლატონოვის მოთხოვნების თავიხებური სტილისტიკა. ამ მოთხოვნებში იგი ბუნების მოვლენებსა და ადამიანის გრძნობებს თუ განცდებს პირველყოფილი სიცხადით და სისადავით არქმევს სახელებს. ეს სახარების მქადაგებლობა საუბრაც არ არის, როგორც სურდა ზოგიერთ მოლაუბე ლიტერატორს.

პლატონოვი ცხოვრობდა მშვენიერსა და ულმობელ წუთისოფელში. სხვანაირი წუთისოფელი არც არის სადმე, თავის გმირზე. „ჩვენი დროის უმაწვილესი“ სერვანტ შადრონზე იგი

ასე წერს: „ღირსება და მოვალეობა მის გულს მთელ სიცოცხლეში კანონად დარჩება, მთელ სიცოცხლეში მაშვრალი იქნება — შურის უანაში, ქარხნის სახელოსნოში თუ ქარისკაცთა მწკრივში, — რადგან გმირებაში გმირად, ხოლო გმირთა უმაღლესი შრომა, ხალხს სიკვდილისგან რომ იფარავს“.

ადამიანებს შრომა აერთებს, აკავშირებს. ეს კავშირი უველა დანარჩენ კავშირსა და ერთობაზე ძვირფასია. პლატონოვის პერსონაჟები შორს „მუშაობაში შეწყობილი, შეწყვილებული გულით“ ხერხავენ. ლოზუნგი — „პროლეტარებო, უველა ქვეყნისა, შეერთდით!“ — ფუჭ სიტყვებად არ მიაჩნდა და ინტერნაციონალისტიც ამიტომ იყო.

აღმერთებდა „მამა-პაპათა“ მიწას და მამულს, საკუთარ ხალხს. სულით და გულით პატივს სცემდა უველა სხვა ერს. ახეთი იყო ცხოვრებაში, ახეთი იყო შემოქმედებაში. პლატონოვის მოთხოვნები ისე, როგორც განსაწმენდელი, გამოიარენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანებმა და მოგვევლინენ, როგორც რჩეულნი, ამაღლებულნი. გაიხსენეთ მალცევი და ჩაგატაევი, სუფიანი, გერშანოვიჩი, პატარა აიდიში...

მას დედამიწაზე სამოთხე სურდა. მის მეტაფორებს, იქნებ ავი განზრახვითაც, დეიზმის ფორმულებად მიიჩნევდნენ. ის კი მხოლოდ თავისუფალი სოციალისტური საზოგადოების სამოთხეზე ოცნებობდა. ოღონდ სხვადასხვა მწერალი ხომ ერთ ამბავზე სხვადასხვაგვარად დაწერს ხოლმე.

მეგობრობდა პაუსტოვსკისთან. ფრაერმანთან — ცნობილი მოთხოვნების — „ველური ძალი დინგოს“ ავტორთან. როცა ისინი დაბალი ხმით და გულში ჩამწყვდილად „ზაუნას“ მღეროდნენ, მოგინდებოდა, გეცინა და გეტირა კიდევ.

უჭირდა ცხოვრება. იმ მძიმე წლებში მისი „ჩემი“ უველას არ შეეძლო ისე გაეგო, როგორც „ჩვენი“. ერთიც და მეორეც პლატონოვისთვის გარდაუვალი და საჭირო იყო. იგი თავის გმირთა ხამყაროს პირველადი ელემენტებით — გულით, გონებით, აღმაფრენით, ძერწავდა და როგორც მემატიანეს შეეფერება, ეპიკოსის მშვენიერი და ულმობელი კალმით წერდა.

მ.

„ჯანი“ ბედნიერების მაძიებელი ხულია, ანეთია თურქმენული ხალხური გადმოცემა.

„— სად მიდიხარო? — რაც კი შეეძლო, დაუყვირა ჩაგატაევმა.

მუშამედის მკლავებში მოქცეული აიდიში ატირდა.

„— მიშველე, ნაზარ, ჩაგატაევი... ავღანისტანში წასვლა არ მინდა, იქ ბურჟუები ცხოვრობენ...“

რა იცის ამ გოგონამ, ბურჟუა რა არის?..“

მუჭამედს გოგონა მეფისდროინდელ, ძველ ავღანეთში იმიტომ მიხვდა, ნივთივით რომ გაეცინა.

პლატონოვის მოთხოვნაში ბორტება ვერ იმ- არჩევს. „ჩაგატავეი აღარ წაქცეულა, სიცოცხ- ლის ხახწაუღებლივი ძალა დაუბრუნდა, რევო- ლუციონი მტკიცე ხელით აღმართა და მუჭამედს უბრძანა, შეჩერდიო“. პლატონოვის გმირმა ეს- რილა ხახმაჩს, ზან ჭუნაიდის დიდი ხნის აგ- ენტს... და აიღიმი, მომთაბარე ტომის — „ჭან- ის“ შვილი საბჭოთა ქვეყნის მიწაზე დარჩა.

პლატონოვის შემოქმედებაც, კრიტიკოსთა წრებთან ძველ უთანხმოებათა მიუხედავად, ასევე საბჭოთა ნიადაგზე დარჩა. წარბშეკრულ- მა დოგმატიკოსებმა „პლატონოვის ადამიანი“ ოდებლაც სიბილწის კურჭლად მიიჩნიეს, ახლა კი ზოგიერთს სურვილი გაუჩნდა, იმავე გმირ- ებს „ღვთის გლაზობა“, დააბრალოს. ისინი კი, ხვდათა შორის, საბჭოთა ადამიანები იყვნენ, წმინდა „კაცთა“ მოყვარული მისი დიდი გულის მიერ ხალხის წიაღიდან გამოხმობილნი — ისე- თებიც, ცხოვრების ტვირთი მშვიდად რომ მი- აქვთ და უველასთვის საუკეთესო ხვედრს რომ ეძებენ, მოსვენებას რომ ვერასოდეს პოულობ- ენ, ისეთებიც.

ცხოვრების ქარცეცხლს არ ეპუებოდა: „კარ- გის ქმნა ცუდ ვითარებაშიც შეიძლება, ეს იმა- ზეა დამოკიდებული, საქმეს როგორ მიუდგე- ბიო“, — ასე იტყოდა. ანდა ასე: „გამარჯვება შრომითა და ბრძოლით უნდა შეიქმნასო“, ან კიდევ ასე: „უჩემოდ ხალხი ნაკლულია“.

უველაფერი, რაც პლატონოვს შეუქმნია, თა- ნაბარი ღირებულების არ არის. მისი მოთხოვ- ნების უველა გმირი ჩვენი საზოგადოების მო- ძრობის მთავარ მიმართულებას არ მიხვევს. მაგრამ დიდ ეპოქას ქედმაღლობის უფლება არა აქვს. ადამიანთა როლი რევოლუციურ პროცეს- ში ერთგვარი არ არის, და იმისთვის, ვინც პა- ტიოსნად აწონ-დაწონის თავის ცხოვრებას, ვი- სი გულიც საერთო სიკეთისთვის უშურველია, არც ისე უცბოა პლატონოვის მოთხოვნის — „გულითადი კაცის“ გმირის — ზვორიჩნის აზ- რი — „კომუნისში ძალაუფლება კი არა, წმიდ- ათა წმიდა მოვალეობაა“.

„საბჭოთა“ — პლატონოვის სისხლში ფეხქა- ვდა. ის იყო რუსი მუშებისა და რევოლუციური ინტელიგენციის ბორცი ზორცთაგანი. მის მრავალფეროვან პუბლიცისტუკასა და კრიტიკულ სტატიებს ავტორის კრედი აშკარად და ცხად- ად დააჩნდა.

ერთხელ, როცა პლატონოვი ფრონტზე მორ- ივ მივლინებაში მიდიოდა, გაზეთის თემატურ გეგმას გადაეხედე და შევეყიოთხე:

— კეთილი, მაინც რაზე დაწერ, გულით რისი დაწერა გინდა?

— რაზე? — დაფიქრდა პლატონოვი, დაიმო- რცხვა და ჩაახველა, — გულით? ფიცზე. ფიც- ზე დაწერ.

— კარგი. — ვუთხარი და გეგმა გადავდე. — წადი და დაწერე, რაზედაც გინდა. ანდრეი პლატონოვის „ფიცზე“ წიგნის შესახებ წიგნის „წიგნის“ 1948 წლის 25 ივნისს რომ დაიბეჭდა, განსაცვიფრებელი ნარკვევია. დაწერილია ჩვე- ულბერივი, უბრალო სიტყვებით, მაგრამ როცა ეს სიტყვები ერთმანეთს ერწყმის, საოცარია, — თითოეულს თვისი პირველი, პირვანდელი მნი- შვნელობა უბრუნდება, ამას გარდა, ეს უოვე- ლივე ერთად — მტკიცეა, მტკიცედ შეკრული, უცნაური და სინაზით სავსე. ისეთ დიდ თემაზე, როგორცაა ახალგაზრდუ მებრძოლთა ფიცთ, ალბათ მხოლოდ ასე უნდა იწერებოდეს. აი, რას ეუბნება პლატონოვის ნარკვევის მიხედვით ამ ახალგაზრდებს კაპიტანი კონსტანტინ ჩეპურნოი:

„— ფიცი ჩვენი სამშობლოსათვის მიცემული აღთქმაა... აღთქმაა მისი ერთგული შვილებისა, რომ მას გადაარჩენენ — თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად. მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ თქვენ სამშობლოს გადაარჩენთ არა მარტო სა- კუთარი სიცოცხლის ფასად, არამედ მტრის სი- კვდილის ფასადაც. ეს უფრო სახარებლო იქ- ნება. ჩვენი სამშობლო კი გაიხარებს, უოველი შვილი თუ გადაურჩება. მაშ, მტერს ნუ დავინ- დობთ, მარტვე ხელით და მტკიცე გულით ვი- ბრძოლოთ, როგორც ვაჟაკის წესია და ამ ქვე- უნად ცოცხლები დავრჩეთ პატიოსან ქარბკა- ცებად. ვისაც სიკვდილის არ შინებია, ვინც მტერი თავისი იარაღით გაანადგურა“.

აი, ფიცზე! როგორ დაწერა.

4.

ხანდახან პლატონოვი შეუძლოდ ხდებოდა, ახველებდა. ამას იგი ყელის სიმშრალეს აბრა- ლებდა, თამბაქოს კვამლს. უკვე ომი მთავრდ- ებოდა, რომ გამომიტყდა — თურმე მძიმედ ავად იყო. როგორც იქნა, საშხედრო სანატორი- უმის საგზური ვუშოვეთ. იმ სამკურნალთ და- წესებულების სახელწოდება ეწლა აღარ მაგ- თინდება, მარტო ის მახსოვს, მოსკოვთან რომ ახლოს იყო, იქნებ იქვე, მეზობელ ოლქშიც. გა- მგზავრებამდე ალბათ ერთი თუ ორი დღით ადრე ჩემთან ვისხედით, ერთიმეორეს ვეთხოვე- ბოდით. წასვლა არ უნდოდა, ერთხელ კიდევ შეეცადა, უარი ეთქვა:

— მართალი გითხრა, უხერხულია! ჭერ ისევ ოშია, მე კი სანატორიუმში უნდა წავიდე... რადაც არ მომწონს ეს ამბავი.

— ჩათვალე, რომ დაჭრილი ხარ. ფრონტზე რომ არ უოფილიყავი, გაცივდებოდი? დაავადე- ბა სწორედ ამიტომ გაგიმწვავდა.

— ხიტყვით რას არ გაამართლებ, მაგრამ გული? გული შეუბნება, სადაც საჭიროა, იქ არ მიდიხარ, ფრონტზე წადი.

— მერე, გული არ გეუბნება, რომ უფროსის ნაბრძანები უნდა შესრულდეს? აქ რა წერია? — და ქალაქი გადავუშალე: — „ბრძანების თანახმად, საჭიროა... გესმის? — „ბრძანების თანახმად“... მაშ, წადი, სადაც გეუბნებიან.

პლატონოვმა ამოიოხრა, ნაღვლიანი ცხვირი კიდევ უფრო ძირს დაუშვა. მაგრამ უცებ თვალეზში რაღაც ჩუმმა სიჭიქტემ გაუელვია და მე შევშინდი — ნეტა რას ფიქრობს, სანატორიუმიდან გაქცევა ხომ არ უნდა-მეთქი?

თითქოს მიხვდა, რაც ვიფიქრე და ამოიოხრა:

— გემორჩილები. კარგია, თუ ჩამოხვალ და მომინახულებ. პირველ ხანებში მოთხოვნაზე ვიშუშავებ, მერე კი ცოტა წაცულულუბნებაც შეიძლება.

ამან დამამშვიდა:

— შეიძლება შენი მოთხოვნის წამოსაღებად ჩამოვიდე. სანატორიუმშიც დავწერ რაიმეს, უჩვეულო თემა იქნება.

— ძალიან კარგი, — კვერი დამიკრა პლატონოვმა და უკვე მესამედ ამოიოხრა.

მეორე კვირა იღეოდა, რაც ის წავიდა. განუყოფილების თანამშრომელს ვერონიკა ანტონოვას სანატორიუმში დარეკვა ვთხოვე:

— პლატონოვი მთაძებნინეთ, თუ აქ ვიქნები, ტელეფონთან დამიძახეთ. თუ არა და, შეეკითხეთ, როგორ არის. უთხარით, მალე ვინახულებ.

ხალხის ანტონოვამ მომახსენა:

— სამჭერ დავრეკე, მაგრამ ამოდ: ბევრი ცქცებებს, თათხში არ იყო, აქეთ-იქით დარბისო...

რამდენიმე დღეს ამოდ ვრეკავდით. ჩვენი პლატონოვი ვერ მოვიხელთეთ. უჩვეულოდ ცქციტი გამოდგა — როგორც ჩანს, მთელ დღეს სადღაც დაქროდა. ეს უცნაურად მომეჩვენა — ბოლოს და ბოლოს, ავად იყო!

ანტონოვამ კიდევ დარეკა, კიდევ და კიდევ. უვლაზე დიდი წარმატება იმ დღეს მქონდა, სანიტარმა ქალმა რომ უთხრა (როგორც ჩანს, იმან, ვინც ტელეფონთან მორიგეობდა და მოუხელთებელ პლატონოვს რომ ასე ვცქცებდით, უკვე იცოდა): „ეს-ეს არის, აქ იყო თქვენი პლატონოვი. იდგა, ალბათ ტელეფონის ზარს უსდიდა. მერე კი შეტრიალდა და სადღაც გაქუხლა. დავემუქრე: სად მიჩბიხარ, შენი ქალი დარეკავს-მეთქი. მან კი ბელი ჩაიქნია და ისევ გაიქცა“.

ჩემს წარმოდგენაში პლატონოვის სახე გორდა. იმის მიხედვით, რასაც ანტონოვა ექიმებთან და სანიტარ ქალებთან დიალოგზე მიაშობდა, პლატონოვი თქვის მთაველში ვაცხვით დახტოდა, სანატორიუმში კი მხოლოდ იმიტომ

ბრუნდებოდა, სახელდახელოდ წაებმსა. ანდა ნემსი გაეკეთებინა.

ბოლოს, როგორც იქნა, ანტონოვი მკურნალ ექიმს დაუკავშირდა. მან ახლა კი, თავს ნება მისცა, საუბარში ცოტა გესლიც გარეო: ეს ჩვენი პლატონოვი როდის მკურნალდება როდის წერს, თუ დღისით, მუშაობს თუ ვერ პოულობთ?

ავადმყოფის გვარს უური რომ მოპკრა და ანტონოვას ასეთი ტირადაც მოისმინა, ექიმმა უთხრა: „ვიცი, ვიცი, თქვენს პლატონოვს აბა, ჩვენთან რა საქმე აქვს ახლომახლო სოფლებში დადის. როგორც ეტუბა, არაყს დაეძებს. ჩვენთან იგი შეცდომით მოხვდა. პრაქტიკულად ჩანმრთელია, მისი ადგილი ფრონტზეაო! ორ დღეში მაგ უმაწვილს ალბათ გამოვწერთ. რას წერს კი, არ ვიცი, მაგან რა უნდა დაწეროსო!“ — და აგდებით ჩაიფრუტუნა.

პლატონოვის სახე ახლა გასამდა — წითელ-ლოყება ვაეკაცს დემსგავსა. ასეთი კაცი სანატორიუმში როგორ დაქდებოდა! მას სივრცეები სჭირდებოდა, თავისუფლება და ზაჯვარდინები — მარცხნივ წახვალ, ეს იქნება... მარჯვნივ წახვალ...

რალა არ ვიფიქრე, ვიცნობ კი პლატონოვს? ხხვის გულში როგორ ჩაიხედავი ამდენი ხანი ერთად ვიყავით, ერთმანეთს გული გადავუშალეთ, ერთი ფუთი მარული შევკამეთ, და ამა რაც გინდა თქვით და, ადამიანი გამოცანაა, ზოგჯერ არც კი ღირს გამოცნობა.

იმდენი ვიფიქრე, ცოტას გადაჩა, მიწანთროპიას არ ავუვიცი. გადავწყვიტი, საქმე თვითონვე გამომერკვია. ანტონოვამ, რომელსაც უკვე ხმაზეც სცნობდნენ როგორც „შეცდენილს და მიტოვებულს“, სანატორიუმის უფროსის ტელეფონი გაიგო და დამაკავშირა. ჩემი თავი წარვუდგინე და დაწვრილებით ავუხსენი, ვისაც ვიცნობდი. იგი კითხვის მოყვარული კაცი გამოდგა და გულწრფელი სიხარულით გაიხსენა „კრასნაია ზვეზდაში“ დაბეჭდილი პლატონოვის მოთხოვნები. ვიშვიშებდა, წუხდა — „აქ თუ ისვენებს, ჩვენთან თუ მკურნალობს, რატომ აქამდე არ ვიცოდით.“ მითხრა, ახლავე მოვაყვანიებ და ჩემი კაბინეტიდან გალაპარაკებთ, ათ წუთში დარეკეთ.

ათი წუთის შემდეგ გავიგე: „მათი“ პლატონოვი — ოცდაშვიდი წლის ლეიტენანტი — არტილერიისტი უოფილიყო. მწერალი ანდრეი პლატონოვი კი სანატორიუმში არ არის და არც უოფილაო.

ჩემი განუყოფილების თანამშრომელს, რა თქმა უნდა, თავისი მიეწლო. მაგრამ სად იყო პლატონოვი? ეს კითხვა უოველი საათის შემდეგ იზრდებოდა და იზრდებოდა. ვიდრე უშველი-



ბელ შავ საგანგაშო ნიშნად არ იქცა: სად არის პლატონოვი

როგორც კი სავსებით შევიგრძენი დრამატიზმი ამ ამბისა, ჩემი პატარა კაბინეტის ზღურბლზე ანდრეი გამოჩნდა — დაუკაკუნებლად, პირიქით, კარის შემოგლეჯით შემოვიდა, გარუჯული, მხიარული, „აბალთახალი.“

— სად იყავი, რას აკეთებდი, შე ურჯულო! — შევეკითხე სასომინდილმა თითქმის მუქარით.

„ურჯულომ“ მორცხვად გადააქნია ტუჩსმკრელის დაძარღვული კისერი და მონაცრისფრო-მოციხრო ბავშვური თვალებით შემომხედა. მერე კი დანაშაულის სრული შეგნებით მიპასუხა:

— შეტევაზე...

ვიდრე ანტონოვა ტელეფონით უთავბოლოდ დაეძებდა, იგი თავის ნაცნობ პოლკში ყოფილიყო — ფრონტზე, სადაც მიუღწევბის ქალაქის და პროდატესტატის გარეშე წავიდა.

როცა წარსულის დღეებს ვიხსენებ, თვალწინ ხშირად წარმოვიდგენ ანდრეის პლატონოვს: მის გამხდარ სახეს, გვერდზე გადავარცხნილ, შუბლზე დაუდევრად ჩამოვარდნილ თმას, ნაჭაფ კისერს, სამოქალაქოდ თუ სამხედროდ ჩაცმულს, ოფიცრის შარფი რომ მოუხვევია. რაც მთავარია, წარმოვიდგენ განმკითხველის, ადამიანთა დამცველის, დაძაბულ გონიერ გამოხედვას და თხელ ტუჩებზე კეთილსა და ნაღვლიან ღიმილს.





პოლდერლინისეული უკეთესი მომავლის ხილვა და აქციისა და რეფლექსიის დიალექტიკა კაბერ პერტლინგის რომანში „პოლდერლინი“

დიდი გერმანელი პოეტის ფრიდრიხ პოლდერლინის შემოქმედებაში ერთი უველაზე მეტად თვალსაჩინო და ამასთან ერთად ამოუცნობი თემა ანტიკური საბერძნეთის გარდასულ მშვენიერებაზე ოცნება და სიუვარულით გაერთიანებული, ადამიანური, თავისუფალი, კეთილი და სამართლიანი დროის დაბრუნების ხილვა და იმედია. პოლდერლინთან წარსულის იდეალიზაცია მომავალი გარდაქმნის მიზანს ისახავს. ძირითადად ეს განახლებებს მას რომანტიკოსებისაგან, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ პოლდერლინის გაგება ლიტერატურათმცოდნეობასა და ფილოსოფიაში ერთგვაროვანი არ არის და ეს მისი სიდიდითაა განპირობებული.

პოლდერლინი დიდხანს ითვლებოდა საბერძნეთზე ამაო მეოცნებედ. პოლდერლინის სურათის პირველი მნიშვნელოვანი რევიზია ფრიდრიხ ნიცშეს სახელთანაა დაკავშირებული, რომელმაც პირველმა იკითხა, შეეწყობოდა თუ არა პოლდერლინი ახლანდელ დიდ დროს. ვიღძველმ დილთაი თვლის, რომ მომავლის ხილვა პოლდერლინთან მისი ბუნების სისუფთავისაგან იშვა. დილთაი საფრანგეთის რევოლუციას მიიჩნევს პოლდერლინის დროის უველაზე ღირსშესანიშნავ მოვლენად, რომელმაც სრულყოფილი საზოგადოების შექმნის იმედი მოიტანა. ამასთანავე რევოლუციის გადაგვარებით ხსნის დილთაი პოლდერლინის გაწბილებას, რომელმაც ის „ქმედების სამყაროდან საგანთა სიღრმეში წვდომამდე, ტოტალურ მარტოობამდე“ მიიყვანა. ასე წარმოიშვა, დილთაის აზრით, პოლდერლინისეული უკეთესი დროის ხილვა. ჩვენთვის ყურადსაღებია, რომ უკვე დილთაიმ გამოყოფა და დაპირისპირა პოლდერლინთან, ერთის მხრივ, რევოლუცია და ქმედება — მეორეს მხრივ „ტოტალური მარტოობა“, საგანთა სიღრმეში წვდომა, რეფლექსია.

მარტინ ჰაიდეგერი პოლდერლინს მოიშველიებს, როგორც პოეტს, რომელსაც არსის ახსნა აკისრია: „პოეზია არანამდვილისა და ოც-

ნების მოჩვენებას აღვიძებს ხელმოსაჭიდი და აშკარა ხინამდვილის საწინააღმდეგოდ, რომელშიც თავს შინაურად ვგრძნობთ, მაგრამ ხინამდვილეში უველაფერი პირიქითაა, ხინამდვილე ისაა, რასაც პოეტი ამბობს. „პოეზია, რომელიც უველაზე უცოდველი საქმეა, რომელიც შორს არის რეალური მოქმედებისაგან, რომელიც ხინამდვილის გარდაქმნას ცდილობს, ჰაიდეგერი ფილოსოფიაში დიდ მნიშვნელობას, არსის წარმოჩენის მნიშვნელობას, იძენს, აღწევს იმას, რასაც მარტო აზროვნება ვერ შეძლებს, თუ პოეზიას არ დაეხეხება. ეს დებულება ერთგვარად განავრცობს ჰეგელის ხელნაწერით გადმოცემულ, შელინგის მიერ ჩამოყალიბებულ „გერმანული იდეალიზმის უძველეს ხისტემურ პროგრამაში“ გამოთქმულ მოსაზრებებს პოეზიისა და მშვენიერების შესახებ. ცნობილია, რომ ამ კონცეფციის შთამაგონებელი ამ ორი დიდი ფილოსოფოსის სტუდენტობის მეგობარი ფრიდრიხ პოლდერლინი იყო: „პოეზია საბოლოოდ ის გახდება, რაც დასაწყისში იყო — კაცობრიობის მასწავლებელი, არც ფილოსოფია და არც ისტორია აღარ იარხებებენ, მხოლოდ პოეტური ხელოვნებაა გადარჩება დანარჩენი მეცნიერებებიდან და ხელოვნებებიდან... მითოლოგია ფილოსოფიური უნდა იქნეს, ხალხი გონიერი რომ გახადოს, ხოლო ფილოსოფია — მითოლოგიური, რათა ფილოსოფოსებს მგრძნობელობა შეემატოთ“.

ჰაიდეგერი პოლდერლინს ესეხება „მწირი დროის“ ცნებას, ეს არის დრო გარდასულ და მომავალ ღმერთებს შორის. „ეს სიტყვა პოლდერლინთან ნიშნავს დროს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ“. — აქ ჰაიდეგერი იმეორებს ნიცშეს კითხვას — დააკმაყოფილებდა ჩვენი დრო პოლდერლინს? ეს არის დრო, რომელიც არსს ფარავს. არსის წარმოჩენა მხოლოდ პოეტს შეუძლია, რომელიც „ღმერთებსა და ადამიანებს შორისაა“ და ჩვენ დანარჩენები ამ პოეტის ნათქვამს უნდა მივყვეთ, რომ არ დავიკარგოთ ამ დროში. ჩვენთვის საგულსხიზმოა, რომ ჰაიდეგერი „მწირ დროს“ „ნამდვილ დროს“ უპირისპი-

რებს, რომელსაც ღმერთები დაუბრუნდებიან: „ცვლილება მოხდება მაშინ, როცა ახალი ღმერთი ან ძველი მოვა ხელახლა“.

როგორც ვხედავთ, „მწირი დროის“ „ნამდვილი დროით“ შეცვლა ჰაიდელგერთან პოლდერლინის შემოქმედების ცენტრალურ თემადაა მიჩნეული და უდიდეს განზოგადებას იძენს. თუმცა, ცვლილების თემა პოლდერლინთან მისი შემოქმედების უველა ინტერპრეტატორის მიერ ასე ზოგადად როდია გაგებულა. პოლდერლინს ცხოვრება მოუხდა ეპოქაში, როდესაც ეს ძირითადი ცვლილება ევროპელთათვის აშკარა იყო, პოლდერლინის სამშობლოს შეზობლად, საფრანგეთში რევოლუცია მოხდა. პოლდერლინის ცნობილ მკვლევარს, ფრანგ ისტორიკოსს პიერ ბერტოს პოლდერლინის მთელი შემოქმედება ამ რევოლუციის კომენტარად მიაჩნია. ამდენად ბერტო პოლდერლინის შემოქმედების ძირითად დიალექტიკას პოეტსა და გმირს შორის (პიპერიონი — ალაბანდა) უშუალოდ რევოლუციურ მოვლენებს უკავშირებს.

აქ მივუახლოვდით მეტად მნიშვნელოვან საკითხს: პოლდერლინისეული მომავლის ხილვები, მისი უკმაყოფილება არსებულით, ანტიკურობის განდიდება და მისი მსგავსი უკეთესი დროის დადგომის სურვილი და რწმენა — („შე მჭერა აზრთა მომავალი რევოლუციისა, რომელიც არსებულს შეარცხენს, და შესაძლოა გერმანიის წვლილი ამ საქმეში ძალიან დიდი იყოს“) — პოლდერლინის მკვლევართა ერთი ნაწილის მიერ კონკრეტულ-ისტორიულ გარემოებასთან მისადაგებობათა განხილული და ორივე თვალსაზრისი სწორია, უკეთ — სისწორე მათ ერთიანობაშია. საფრანგეთის რევოლუციამ პოლდერლინსა და მისი თაობის მოაზროვნეებს უკეთესი დროის დადგომის პერსპექტივა გადაუშალა. რევოლუციის შემდგომმა მოვლენებმა — იაკობინელთა ტერორმა და ნაპოლეონის, ერთ დროს პოლდერლინის მიერ ხოტბაშესხმული უმაწვილის, გმირის იმპერატორად კურთხევამ, მართალია, პოეტის გაწბილება გამოიწვიეს, მაგრამ უკეთესი დროის დადგომის იმედი არ დააკარგვინეს. ასე რომ, ცალმხრივია გეორგ ლუკაჩის მტკიცება იმის თაობაზე, თითქოს პოლდერლინი, „დაგვიანებული მარტვილი“ გმირულად დაეცა იაკობინელთა მიტოვებულ ბარკადებზე, ეს მარტვილობა მან თავის პოეზიაში ცხოველყო, თითქოს მისი დანარჩენი ცხოვრება და აზროვნება, თვით სულით ავადმყოფობაც, მხოლოდ რევოლუციის გაწბილების გამოძახილი იყო. ასევე ზედმეტად კონკრეტულია პიერ ბერტოს მიერ პოლდერლინის იაკობინელად გამოცხადება და მისი შებენილება. მხოლოდ რევოლუციის კომენტარად ვაიმარსა და პოლდერლინს მოკლედ ვხედავთ. როგორც პოლდერლინი, შემოქმედების, მოწოდება მისი დროისა და ამ დროის უმნიშვნელოვანესი

მოვლენის, საფრანგეთის რევოლუციისაგან. ამ ჭვალსაზრისით მისასაღებელია დასავლეთგერმანელი მწერლის — პეტერ პერტლინგის მიერ შექმნილი პოლდერლინის სახე რომანში „პოლდერლინი“. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ მხატვრულ ნაწარმოებში პოლდერლინის ფაქტებზე დაყრდნობით რევოლუციური კეთილსინდისიერებით, მეცნიერული სიზუსტის მიღწევის სურვილით ხატავს და მის მიერ გააზრებული პოლდერლინის სახე დიდი პოეტის მეცნიერულ შესწავლაში შეტანილი წვლილია. პეტერ პერტლინგს პოლდერლინი მიაჩნია რადიკალურ დემოკრატად, პოლიტიკურ მოაზროვნედ, მაგრამ არა აქციონისტად. ძირითადად აზრსა და მოქმედებას შორის დიალექტიკამ, რომელიც პოლდერლინისათვის მტკიცეული უნდა უოფილიყო, დამაწერინა ეს წიგნიო, — ამბობს პერტლინგი.

თავისთავად ეს დაპირისპირება მეტად საგულისხმოა, ვინაიდან ის უშუალოდ გადმოსცემს პოლდერლინის შემოქმედების ძირითად დიალექტიკას რეფლექსიასა და აქციას შორის, რომელიც პოლდერლინის რომანის „პიპერიონის“ ცენტრალური თემაა, გადმოსცემული პიპერიონისა და მისი მეგობრის, ალაბანდას დაპირისპირებით. აქციონისტებთან, მოქმედების ხალხთან პოლდერლინის დამოკიდებულება წამყვანია პოეტის ბიოგრაფიაშიც და შემოქმედებაშიც. პოლდერლინის მეგობრები შტოიდლინი და სინკლერი მოქმედების ხალხია, რაც ალაბანდას სახეში ერთიანდება. მოქმედების ადამიანის და პოეტის ურთიერთობას გადმოსცემს პოლდერლინი ნაპოლეონისადმი მიძღვნილ ლექსში: ის ლექსში ვერ იცხოვრებს და ვერ დარჩება (ის ცხოვრობს და დარჩება ქვეყნიერებაში).

პერტლინგი რომანს ძირითადად მეოცნებეთა (პოლდერლინი) და აუქციონისტთა (შტოიდლინი, სინკლერი) დაპირისპირებაზე აგებს, მათ ურთიერთობაში განსხვავებაზე მეტად სიახლოვეს უხვამს ხაზს. ორივენი იღწვიან უკეთესისათვის და ორივემ იცის, რომ მათ მოქმედებას სასურველი შედეგი ვერ მოჰყვება. სინკლერი პერტლინგის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედებდა და მოქმედებით სურდა სამყაროს გაუმჯობესება, მაინც მეოცნებე იყო და კიდევ უფრო დიდი მეოცნებე, ვიდრე მისი უხაყვარლე, სი მეგობარი. მისი მოქმედება უშედეგო, თავიდანვე მარცხისთვის განწირული იყო, ეს მან ესმის, მაგრამ მაინც მოქმედებს. ამ დროს მოაზროვნე ადამიანს (პოლდერლინი) მოქმედების ხალხი შიშსა მგვრის და ამავე დროს იზიდავს. ისინი მას კირდება თავისი აზროვნებისათვის, თუნდაც უკეთეს დროზე ოცნებისათვის, თუმცა მისი გონება ხოლომდე არ ენდობა მათ.

პეტერ პერტლინგი რომანს პოლდერლინზე პოეტის ცხოვრებასთან თითქმის ორასწლიანი

დისტანციით წერს. კოლდერლინის ოცნება და იმედი უკეთეს დროზე ჭერაც განუხორციელებელია. მისი დრო — „მწერი დრო“ — ჩვენი დროა. კოლდერლინის უკეთეს დროზე ოცნება ისტორიულად ცოტა ხნის წინათ გერმანიაში ბოროტად იქნა გამოყენებული. მესამე რაიხში კოლდერლინი საკუთარ პოეტად გამოაცხადა. კოლდერლინის იმედი რომ გერმანია დიდ წვლილს შეიტანს კაცობრიობის უკეთესი მომავლის განხორციელების საქმეში, თავის ზრახვებს დაუკავშირა. პეტერ ჰერტლინგი, ომის შემდგომი პერიოდის გერმანელი მწერალი, ომის მწარე გამოცდილებით, კოლდერლინის უკეთესი დროის ვიზიონს, რა თქმა უნდა, მისი თაობის, მისი თანამედროვეობის პოზიციიდან აღიქვამს. კოლდერლინის ოცნებას უკეთეს დროზე, „ნაშვილ დროზე“ უკავშირებს ერნსტ ბლოხის „იმედის პრინციპს“. ბლოხი წერს ადამიანის სამშობლოზე, რომელიც განხორციელებულ დემოკრატიაში ნიშნავს. კოლდერლინის ნოსტალგიის ერნსტ ბლოხისეულ „სამშობლოსთან“ („ის, რაც პავშვობიდან მოჩანს და სადაც ჭერ არავინ ყოფილა“) დაკავშირებით პეტერ ჰერტლინგი უანამედროვე ელერადობას ანიჭებს მომავლის კოლდერლინისეულ ხილვას. კოლდერლინის ოცნებას ჰერტლინგთან ნაშვილ დემოკრატიაზე ოცნება ჰქვია. ამ ოცნების განხორციელებლად იღწვიან მისი რომანის გმირები, აქციონისტებიცა და შოაზროვნებებიც.

პეტერ ჰერტლინგის ძირითადი დებულება — შოაზროვნე ადამიანს მოქმედების ხალხი სჭირდება — რეფლექსიის მეტად ხაზულსხმო გაგებაა, ვინაიდან კოლდერლინთან რეფლექსია არ ნიშნავს სუბიექტისაკენ მიმართულ რეფლექსიას, ეს ობიექტისაკენ მიმართული რეფლექსიაა. რეფლექსია, მარტო საკუთარი თავისაკენ მიმართულია — „სულით ავადმყოფობაა“. — ეს სიტყვები კოლდერლინის შემგობარს, შელინგს ეკუთვნის, თუმცა თვით კოლდერლინიც ამ აზრისა იყო. „შხლოდ სხვათა გამოცდილებით შევიცნობ საკუთარ თავს“, — ასე განმარტავს კოლდერლინისეულ თვითშემეცნებას მიხედვით ფრანცი. ეს პრინციპი დაცულია პეტერ ჰერტლინგის რომანშიც. აქციონისტი შეგობრების: შტოიდლინის, სინკლერის გამოცდილებით, რევოლუციის, როგორც ტოტალიტარული ქმედების გამოცდილებით შექცნობს კოლდერლინი საკუთარ თავს. პოეტურ მოქმედებას კოლდერლინი უწოდებს სუბიექტის გახვლას თავისი პარტოზის სფეროდან, სხვა ხაზებთან შეხებას, როგორც თვითგამოცდის საშუალებას. ხოლო „პოეტური“ კოლდერლინთან არ ნიშნავს მხოლოდ მხატვრულ მოქმედებას. მისთვის ეს სამყაროსადმი უმთავრესი დამოკიდებულებაა. პოეტურობა, ამ სიტყვის უაღრესად ფართო გაგებით, ითვლება ცხოვრების პრინციპად. პოეტური „მე“

რეფლექსიის მარტოხელა „მე“ ალტერნატივაა. ამდენად მართებულია პეტერ ჰერტლინგის სამყაროს მოქმედების სამყაროსთან დაპირისპირება. პეტერ ჰერტლინგისეული კოლდერლინის ხაზე, ერთის მხრივ, შექმნილია კოლდერლინის იმ ინტერპრეტატორთა საწინააღმდეგოდ, რომლებიც მას დროისაგან მოწყვეტის, განუყოფელად, მისი წმინდა გონებრივში გადაყვანა ხურდათ. ამავე დროს, ის მოკლებულია კონკრეტულ საცხად, რომელსაც კოლდერლინი ბევრი მკვლევარის წარმოდგენაში იძენს: ლუკაჩი მას „დაგვიანებულ იაკობინელს“ უწოდებს, ბერტო — „იაკობინელს“, შერლო-პონტი — „რადიკალისტს“ და ა. შ.

პეტერ ჰერტლინგის კოლდერლინი რომანში ძირითადად აქციონისტებთან დაპირისპირებითაა წარმოდგენილი და განხილული, — „ის პოლიტიკურად აზროვნებდა, რადიკალური დემოკრატია იყო, მაგრამ არ იყო აქციონისტი“, — ეს აზრი იძენს იმ ზოგად განზომილებას, რომელიც კოლდერლინისეულივე პოეტის ცნებასთან დგას ახლოს. კოლდერლინი, ჰერტლინგის აზრით, არის პოეტი, რჩება რა თავისი დანიშნულების ერთგული და არ კარგავს უკეთესი დროის დადგომის იმედს. ჰერტლინგთან ეს ხაზი მკვეთრია. ასევე ხაზგასმულია კოლდერლინისეული პოეტურობის პრინციპი. ამ პრინციპს პეტერ ჰერტლინგი, როგორც X X საუკუნის მწერალი, კოლდერლინის იდეალების განხორციელებას ჭერაც რომ ვერ ხედავს, უკავშირებს ბლოხის „იმედის პრინციპს“. უნდა ითქვას, რომ პრობლემის ჰერტლინგისეული გადაწყვეტა, კოლდერლინის ჩვენებისაა დიალექტიკის ასეთი ერთგულება ჭეროვნად დაფასა მიხედვით პამბურგერმა „კოლდერლინზე“ დაწერილ რეცენზიაში: იმ დროს, როდესაც დასავლეთგერმანელი მწერლების უმრავლესობა წითელი და შავი ფერების გარდა სხვა ფერს ვეღარ არჩევენ, წიგნის ამ ასპექტის გამო მისი ავტორი დიდ პატივისცემას იმსახურებს“. კოლდერლინის უკანასკნელი დროის მხატვრულ რეცეფციის, უხეშად რომ ვთქვათ, კოლდერლინის მხოლოდ საკუთარი მიზნებისათვის გამოყენება შეინიშნება (პეტერ ვაისი, შტეფან ჰერმლინი). ჰერტლინგი კი ობიექტურობაზე ზრუნავს.

ამდენად, კოლდერლინის ცენტრალური თემა: უკეთესი დროის ხილვა, რევოლუციისადმი დამოკიდებულება და ა. შ. „კოლდერლინიში“ ობიექტური, უფრო ფილოსოფიური, ვიდრე მხატვრული კონცეფციის ჩამოყალიბების მიზნითაა დამუშავებული (თუმცა პირობითია მათი გამოჩენა). ამას თუნდაც მადლობის ის დიდი სია მოწმობს, ჰერტლინგი თავის რომანს ბოლოს რომ ურთავს, და რომელიც ყველა თვალსაჩინო შოაზროვნის მიმართაა თქმული, რომელთაც სხვადასხვაგვარად დიდი კოლდერლინის მემკვიდრეობის გააზრება, და ახსნა უცდიათ, ამ მეტად

მძიმე შრომის განწევა უკისრიათ, ვინაიდან, ჰაიდგერის სიტყვებით რომ ვთქვათ, „განა შეგვიძლია ჩვენს დროში ჰოლდერლინის ლექსს ვეკუთვნოდეთ“.

პეტერ ჰერტლინგი ამ პრინციპის ერთგულია. მისი რომანი არ არის შედარებით მცირე რანგის შემოქმედის დიდ შემოქმედთან შერკინება, ანდა, უფრო სწორად, მისი გამოყენება საკუთარი სათქმელის გადმოხაცემად. ეს არის მაკრძალებული დაახლოება დიდ ჰოლდერლინთან ორახწლიანი დისტანციის დაცვით, ისევე იმავე „მწიარ დროში“ ჰოლდერლინის „ნამდვილი დროის“ იმედი იმედად რჩება და ჰერტლინგის იმედს უერთდება. უურადსადებია ერთი ადგილი რომანიდან, ჰერტლინგის მიერ გამოგონილი ერთ-

ერთი ეპიზოდი ძირითადად ფაქტობრივ მასალაზე აგებულ რომანში, სადაც ჰოლდერლინი უანდარმს ეუბნება: თქვენ თაუისუფლებასა და აატიმრებთ და ციხეში დაიცავთო. ამ ადგილას უკველაზე თვალსაჩინოა რომანის სტრუქტურის-მოწყობის, XX საუკუნის ადამიანი შოწმეა ჰოლდერლინის დროისათვის ახალი, რევოლუციური სიტუაციის: — სამშობლო, თავისუფლება და ა. შ. — გაუბრალოებული, გაუფასურებული და დავიწროებული გაგებისა, მის ირგვლივ საზოგადოებაში რომ შეინიშნება. პეტერ ჰერტლინგს თავისი რომანის გმირთან — პოეტ ფრიდიხ ჰოლდერლინთან უკეთესი დროისა და ნამდვილი დემოკრატიის იმედი აერთიანებს.



### ვიქტორ შკლოვსკი

#### თარგმნა სულხან ჯორჯანელმა

#### „ჰამლეტი“ და „თოლია“

**ბ**ორკის არ უყვარდა გამოთქმა: ზღაპარი მალე ითქმისო, რადგან საკუთარი და სხვათა გამოცდილებიდან კარგად იცოდა, რომ ზღაპარი არც ისე ადვილად ითქმებოდა.

სამყარო განუწყვეტლივ იმტვერება, იხლართება კიდევ, ხოლო ზღაპარი, ანდა რომანი თავიანთი რეალური უჩვეულობით ასუფთავენ ცნობიერებას.

ამას წინათ ჩეხოვის „თოლიასა“ და შექსპირის „ჰამლეტის“ ურთიერთმიმართებით დავინტერესდი.

ჰამლეტი პატარა პიესის საშუალებით ცდილობს გაარკვიოს, მართლა იყო თუ არა ჰამლეტის ბიძა ჰამლეტის მამის მკვლეელი.

მან შენიშნა, როგორ დაფრთხა ადამიანი, როცა იბილა არა ახალი — ძველი, მაგრამ არა მოარული, არამედ მძიმე სიუჟეტი.

ამის შესახებ ძალზე ნათლად აქვს ნათქვამი ჩეხოვს, როცა მისი პიესის პერსონაჟები დედა და შვილი ხსნიან დრამას შექსპირის ციტირებით და შექსპირისეული რეალიკების მოშველიებით.

ჩეხოვის მოთხრობები და დრამები — სამყაროს წვდომის ახალი მცდელობაა.

სიუჟეტები არ დაეხეტებიან.

ისინი დადიან, როგორც რთული სპეციალობის, ცხოვრებამცოდნეობის ოსტატები.

ჩვენ ოდნავ დავიბენით, და სიტუაციების იქით გამოგვრჩა ფრაზები, დრამების მიღმა კი ცხოვრება.

ტრიგორინი აშკარად ნიჭიერია, ტრეპლევი კი უფრო ნიჭიერი ადამიანია.

საუბარში (ტექსტში) ტრიგორინმა რამდენჯერმე გაიმეორა ჩეხოვის სიტყვები, რამაც ერთ ერთობ მძიმეულ ახალგაზრდას საბაბი მისცა

ეთქვა, ჩეხოვი — ტრიგორინის პროტოტიპი...  
ჩეხოვი — გულდია ადამიანია, იგი კითხულ-  
ობს ახალგაზრდების წიგნებს და ამბობს, რომ  
წერის წყურვილი უკვე თავისთავად ნიჭიერებას  
მოახწავებსო. ტრიგორინი ცუდი ამხანაგია, სა-  
მაგიეროდ ჩეხოვი იყო — დიდებული ამხანაგი.  
აქ სიტყვებია ერთნაირი, ისევე როგორც ხეები  
ტყეში, მაგრამ ტყეები მაინც განსხვავდებიან  
ერთმანეთისაგან.

სიუჟეტების ნათესაობა ისევე მნიშვნელოვა-  
ნია, როგორც ადამიანების ნათესაობა, განსა-  
კუთრებით შორეულ თაობებს შორის.

ცხოვრება დიდია, მაგრამ მასში თითქოსდა  
მსგავსი ურთიერთობები მეორდება.

და აი, სხვადასხვა მწერალი სხვადასხვა დრო-  
ში კიდევ ერთხელ მოსინჯავს ერთსა და იმავე  
ნაქარვს, კიდევ ერთხელ შეამოწმებს ერთსა და  
იმავე დაკბილულ ადგილს იმ უთავბოლო დახ-  
ლართულ ლაბირინთში, რასაც „ცხოვრებას“ ეძ-  
ახიან.

ტყუილად ლაპარაკობენ მთარული სიუჟ-  
ეტების არსებობაზე.

ხომალდები არ მოგზაურობენ ზღვაზე, მათ  
ტვირთი გადააქვთ და გადმოაქვთ, ტვირთს და-  
ეძებენ, და გზები ერთმანეთს კვეთენ.

რა იშვიათად ამჩნევენ, რომ ჩეხოვის „თოლი-  
აში“ „კამლეტის“ ზღვას გადაუფრინა.

ამის შემოწმება არ არის ძნელი. „თოლიას“  
პირველ გვერდებზე ასეთი საუბარი იმართება:  
„არაბდინა (მიმართავს ვაჟიშვილს). ჩემო სა-  
ყვარელო ბიჭო, როდის დავიწყებთ?

ტრეპლემვი. ხუთ მალე. ცოტაც მოითმინე.

არაბდინა (კითხულობს „კამლეტიდან“): „ოჰ,  
შვილო კამლეტი, ჩუმიად იყავ, ნუღარას ამბობ,  
შენმა სიტყვებმა ჩემს ხულშივე ჩამახედვინა  
და დამანახვა ცოდვის კვალი ამოუშლელი“.

ტრეპლემვი (განაგრძობს). „როგორ, განცხ-  
რომით უნდა იწვევ კუჭუჩიან საწოლს, ქონსა და  
ოფლში უწმინდურად ითბუპნებოდე, უნდა  
სტკბებოდე მურტალსა გუბებს გარუვნილები-  
ხას...“!

ცუდი წიგნების ენით თუ ვილაპარაკებთ,  
ტრიგორინის პროტოტიპი პოტაპენკო კი არ  
არის, არამედ კამლეტის დედის ქმარი — კლავ-  
დიუსია.

არის და მარადიულად იარსებებს ხელოვნე-  
ბის სამეფო. იკამათებენ ამ სამეფოში კამლეტ-  
ის შორეული ნათესავები, შესვამენ ღვინოს  
დიდი თასებით, და ეს ამბები ქვემეხების ბათ-  
ქით აღინიშნება.

ასეა შექსპირთან.

ტრეპლემვი, კამლეტის მსგავსად, იმიტომ მა-

1. ი. მაჩაბელი, უილიამ შექსპირი, „კამლეტი“,  
ტრაგედიები, ტ. 2, გვ. 156 (მთარგმნ. შენიშვნა).

რთავს თეატრს, რომ ადამიანებს მათ მიერ ჩა-  
დენილ დანაშაულზე ესაუბროს.

იგი წარმოდგენას ტბის პირას მართავს და  
ნინა ზარჩინაია სამყაროს აღსახრულის შესახებ  
ლაპარაკობს.

„აგერ უკვე ათასი საუკუნეა, რაც დედამიწა-  
ზე ცოცხალი არსება აღარ დადის, საბრძოლო  
მთვარე ტყუილად ანათებს თავის ყვითელ ფა-  
რანს. აღარც მდელიოზე კვიან წეროები... სი-  
ცარიალეა, სიცარიელე, შემზარავია, შემზარავია“.

კამლეტმა ფარდა ახადა დანაშაულს და აი-  
ძულა დამნაშავენი ხცენაზე საკუთარი თავი ებ-  
ილათ.

ჩეხოვი წერდა, საჭიროა განგაში ავტებოთ,  
რადგან სიცოცხლე განსაცდელშიაო. აი, შორე-  
ული ამაზონის ნაპირებზე ტყეები გაჩეხეს და  
მსოფლიოში ბერმა იკლო... ჰირს სუნთქვა...

შიშის მომგვრელია ჩეხოვის ხომალდის ახა-  
ლი ტვირთი.

მოთხრობაში „სტვირი“ იგი ლაპარაკობს იმა-  
ზე, თუ როგორ შრება ტყეში ნაკადული, რო-  
გორ მოიწევს ქვეშა და ანადგურებს სიცოცხ-  
ლეს. როგორ ჩეხავენ ტყეებსა და ბაღებს,  
როგორ ისადგურებს ქალაქებში მოწყენილობა  
და სიცარიელე და თვით მესაფლავეებსაც  
კი უსაქმოდ ტოვებს.

ბრწყინვალე მოთხრობაა „როტშილდის ვიო-  
ლინო“. ამ მოთხრობის საიდუმლო ცხრაკლი-  
ტულშია მოქცეული. მის მთავარ გმირს —  
ბრონზა ბქვია. ცხოვრობს ყველაზე მაღალი და  
ღონიერი ადამიანი ამ პატარა ქალაქში და უკ-  
რავს ვიოლინოს ქორწილებში და სასაფლაოზე.

ბრონზა ვიოლინოზე უკრავს. უურში კი ფლე-  
იტის ქვითინი ჩაესმის.

ბრონზა მას ახოვანი სხეულის გამო შეარქვეს,  
და აგრეთვე იმიტომ, რომ მისებრ ღონიერი კა-  
ცი ციხეშიც არ მოიძებნებოდა.

ბრონზა უკრავდა ქორწილში, კედავდა კუ-  
ბობს, ცხოვრობდა პატარა ქობში ცოლთან  
ერთად, ისე, როგორც სხვები ცხოვრობენ  
ამ ქვეყანაზე, როცა ბრონზა სამოცდაათი წლი-  
სა გახდა, ცოლმა უთხრა, რომ მათ ბავშვი ჰუ-  
ვდათ, — ოქროსთმიანი ვაჟიშვილი. მან კი  
უპასუხა: მოგეჩვენაო. ცოლი გარდაიცვალა  
და სკნეზე დიმილი დასთამაშებდა.

ბრონზამ სასწრაფოდ აუღო ზომები და კუ-  
ბოს ფასი — 2 მან. და 40 კაპიკი ზარალის  
რვეულში შეიტანა, რაკი ამ ფულს ვერავის  
გამოართმევდა.

წავიდა ბრონზა და დაინახა მდინარე. თითქოს  
სხვა მდინარე იყო, და თითქოს მართლა იყო  
გოგო ან ოქროსთმიანი ბიჭი, იყო ფრინველები,  
იყო ტყეები, მაგრამ ყველაფერმა ჩაიარა...  
ცხოვრობს ადამიანი მხოლოდ ზარალისათვის.  
უღრენენ ადამიანები ერთმანეთს, და გადის

ასე წუთისოფელი, უკვალოდ ქრება მდინარე-  
ები, ტყეები, ნადირი.

ბრონზა შეუბრალებელია, იგი ძალს უქსევ-  
და თავის მეზობელს — ფლეტიხტ როტშილდს.

მაგრამ, სიკვდილის წინ გაახსენდა როტშილ-  
დი და ვიოლინო უანდერძა. იგი უკრავდა ამ  
ვიოლინოზე, და ადამიანი, რომელსაც ძაღლებს  
უქსევდა, ტიროდა, ხოლო, როცა ბრონზა მო-  
კვდა, როტშილდმა ვიოლინოზე დაკვრა ისწავ-  
ლა, მაგრამ მას არ შეეძლო უველაფერი გაეხ-  
სენა, რასაც ბრონზა უკრავდა, უკრავდა  
იმის შესახებ, როგორ ცხოვრობდნენ ადამი-  
ანები საკუთარი თავის საზარალოდ.

ცოტაა იმის თქმა, რომ ადამიანი არარაობაა,  
ისიც უნდა ითქვას, რომ არარაობად იქცა კა-  
ცი, რომელსაც შეეძლო სახელი მოეხვეჭა და  
სიკვდილის შემდეგ ბრინჯაოს ძეგლი დაემსახუ-  
რებინა.

ჭამლეტი ამბობდა, რომ მსოფლიო — სატუ-  
სალოა, იგი იმასაც ამბობდა, რომ ცხოვრებამ  
ფეხი იღრძო და სახსრებიდან ძვლებმა გამო-  
უვეს თავი.

ბრონზა — ჭამლეტის ძმა.

ჩებოვი წერდა წერილ მოხელეებზე, ცუდ  
მასწავლებლებზე, ადამიანებზე, უქმად რომ  
განვლეს ცხოვრება.

იგი „თოლიაში“ წერდა, რომ ადამიანებმა,  
რომლებსაც ერთმანეთი უნდა შეხვედრებოდათ,  
გვერდი აუარეს ამ გრძნობას, და ნინა ზარეჩ-  
ნაიას სხვა უყვარს, ალბათ პოტაპენკო, ანუ ტრი-  
გორინი, ანდა სხვა, ნაკლებად ნიჭიერი მწერა-  
ლი, უყვარს და გაიღებს სიყვარულს, სიცოცხ-  
ლეს გაიღებს სიყვარულის სამახსოვროდ. ადა-  
მიანებს ხომ უყვართ ისე, სხვათა შორის, და  
არა ისე, როგორც სინამდვილეში შეუძლიათ:

ისინი თავს იმშვიდებენ იმით, რომ რგავენ  
ხურტკმელს, მაგრამ იგი მუავე აღმოჩნდება.

ჩებოვის უველაზე შემადრწუნებელი მიგნე-  
ბაა ის, რომ ადამიანი, რომელიც მცირე ქონე-  
ბის დაგროვების მიზნით იყო შეპყრობილი და  
ძუნწად ცხოვრობდა, სიკვდილის წინ კამს  
მუავე ხურტკმელს და კმაყოფილია.

სამწუხაროა, რომ ასე მრავლადაა კმაყოფილი  
ხალხი.

აი, ასე იქცა თავად მოჩვენებითობა და უმ-  
ნიშვნელობა ჩებოვის შემოქმედების წამყვან  
სიუჟეტებად, ისინი თითქოს გაერთიანდნენ  
„თოლიას“ სიუჟეტთან, კერძოდ ნინა ზარეჩ-  
ნაიას მონოლოგთან.

ჩებოვი — დიდი განმათავისუფლებელია.

მან ბორკილი აბუჭრა ხელოვნებას. იგი წერ-  
და მოთხრობებსა და პიესებს და თითქოსდა  
არად მიიჩნევდა კვანძის შეკვრასა და გახსნას.

იგი თითქოსდა კვეთდა ცხოვრებიდან ნაჭრე-  
ბსა და არ აღამაზებდა მათ.

და აი ახლა მსოფლიო ხელოვნება ეკუთვნის  
არა მხოლოდ ტოლსტოის, არამედ ჩებოვსაც.

ჩებოვი — მონის შეილი შეილია მდელუქნის  
ვაჟია. იგი დიდი ადამიანია, და თუ ტოლსტოის  
არ უყვარს ჩებოვის მთელი შემოქმედება, დრა-  
მების გამოკლებით, ამის მიზეზი მხოლოდ ისაა,  
რომ ტოლსტოის შექსპირიც არ უყვარს.

როგორ უნდა დაიდგას დღეს „თოლია“?  
მწერალ-ჩებოვის ძმისწული, მიხაილ ჩებოვი —  
დიდი მსახიობი წერდა — უველაზე საშინელი  
ის არის, თამაშო ტრეპლევი ნევრასთენიკად.

შემადრწუნებელია — რომ ეს რეალობა  
უოველდღიურობაა, და რომ ბოროტება ასე ჩვე-  
ულებრივია, ბოროტება შენს საკუთარ ბინაში  
ცხოვრობს და რემონტის წინააღმდეგიც კი  
არის.

ბოროტებას მხოლოდ კიდევ ერთი ოთახი  
უნდა.

ჭამლეტმა არ გადაჭრინა ქალი, ვისაც იგი  
უყვარდა.

ტრეპლევისა და ჭამლეტის სიყვარული —  
ტრაგედიაა.

ერთნაირია ხვედრი, თუმცა ერთი პრინციპი,  
მეორე კიეველი მდაბიო, რომელიც დედასაც  
ვერ უცვნია.

ახალი ჭამლეტი დედასაც სძულს.

არაა საჭირო ჭამლეტის თამაში შელამაზებუ-  
ლად.

იგი თავად ჭკუაშერყეულივით იქცეოდა და  
ამის დასტურად ცალ ფეხზე წინდას იხდიდა.  
ჭამლეტს მხოლოდ და მხოლოდ ორი მეგობარი  
ჰყავდა.

ერთი — შორაცო, მეორე — შექსპირი.

შექსპირი გულუბრყვილია, ეზოებში, სადაც  
მისი დრამები იდგმებოდა, დამთავრების შემ-  
დეგ პრიმიტიულ დრამებსაც დგამდნენ — დათვის  
ძაღლებს უქსევდნენ.

რაშია ტრეპლევის დანაშაული?

იმაში, რომ საკუთარი თავის არ სწამდა!

და არ სჭეროდა, რომ ერთი თაობის შემდეგ  
იგივე დრამას გადაიტანდა საყოველთაოდ აღი-  
არებული მაიაკოვსკი.

ჩვეულებრივი ამბავია: შენ ვიყვარს, შენ არ  
უყვარხარ.

მაგრამ, ალბათ, ხოლო რომ მოედოს ახეთ  
დრამებს, საჭიროა სამუაროს გარდაქმნა, ანდა,  
ვიტყვი სხვაგვარად, თან უნდა გაიყოლო სამ-  
უარო და აღსდგე მკვდრეთით.

საჭირო გახდა მთელი რუსეთის გადასერვა  
უგზობაში დანჯღრეული მარხილთ, ძველი  
ნჯვებით კარგი, ფართო მდინარეების გადაცუ-  
რვა. ცურვა სიხარულისკენ კი არა, სევდისაკენ,  
სახალინისაკენ, და მთელი ცხოვრების თავიდან  
გააწრება.

უბრალოდ წერა ძნელია, სიმართლის თქმა კი — საშიში.

როგორც ძაღლები ღათვს, — ისე შეხვდნენ ჩეხოვის თეატრს ჩეხოვის თანამედროვენი, შურიანი მეგობრები, ზარმაცი მოლაღატეები.

მარტოდმარტო იყო თითქოსდა თავისი დროის მიერ უკვე აღიარებული ჩეხოვი. თვით ტოლსტოიც, რომელიც აღიარებდა, რომ „ჩეხოვი — პუშკინია პროზაში“, უარყოფდა ჩეხოვის ნაწარმოებთა დანიშნულებას.

ცხადია, ტოლსტოი მხოლოდ „სულიკოს“ სცნობდა, რადგან იგი არასოდეს ეურჩებოდა თავის ქალურ ბვედრს.

მარტოდმარტო იყო ჩეხოვი თავის შემოქმედებაშიც. უცნაურია, მაგრამ, იგი მოესწრო აღიარებას ცხოვრებაში, მოესწრო ჩეხოვის სცენაზე, მაგრამ ვერ მოესწრო ჩეხოვის შეცნობას.

იგი როდია სევდიანი, იგი ფხიზელია. განწყობილება კი არა, მდგომარეობაა მისი საბრძოლველად შემართული და ამიტომაც შეუბრალებელი.

იგი აიძულებს მაყურებელს, ჩაიხედოს საკუთარ სულში და ჩვეულებრიობა მშვენიერებად გადააქციოს.

ეურნად „ნივას“ იღბლიანმა გამომცემელმა

მარქსმა მწერალს თავისთვის ხელსაყრელი ხელშეკრულება დაუდო.

როცა გამოცხადდა, რომ ეურნალის დამატებაში ჩეხოვის ნაწარმოებები გამოქვეყნდებოდა, ხელმომწერთა რიცხვი გაორდა, გასამდა კიდევ, და როცა მკითხველებმა წარკაფხეს უკვე დროის პირველი ტომები, როცა ჩეხოვის ჟურნალში წერდა თავის სახელს, ისინი ერთობ კმაყოფილები დარჩნენ. მაგრამ, როცა საქმე მიდგა მათი ცხოვრების ამსახველი ტომების გამოცემაზე, სადაც მათ მარცხზეც იყო ლაპარაკი, კინაღამ არ იყვირეს: ფულები უკან.

მკითხველი იშვიათად იზრდება ხოლმე მწერალთან ერთად.

მაყურებელი, რომელსაც შექსპირი არა მხოლოდ სისხლიანი დრამებისათვის მოსწონდა, დიდი ხნის შემდეგ დაიბადა.

ახეთი იყო ის მკითხველიც, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ იცინოდა დონ კიხოტზე, რადგან ის მართლაც სასაცილო იყო, ასეულობით წელმა ჩაიარა, ვიდრე მიხვდნენ, რომ ამ პაროდიული რომანით იბადებოდა ახალი ხელოვნება, რომანი ფსიქოლოგიური ანალიზით.

ძველ ზღაპრებშიც ხომ ყველაზე კვიანი „სულიელი“ იყო.







არმანდ ჰამერის კოლექციის გამოფენა თბილისში

უკანასკნელ წლებში საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინტენსიურად იმართება მხატვრულ ნაწარმოებთა გამოფენები, რომელთა მნიშვნელობა განუზომელია, მაგრამ 1988 წლის დეკემბერში მოწუობილი ცნობილი ამერიკელი მოღვაწის არმანდ ჰამერის კოლექციის დემონსტრირება საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია. მთელი თვის მანძილზე ხელოვნების მოყვარულები დიდი ინტერესით ეცნობოდნენ მხატვრობის შედეგებს: მსოფლიო სახელის მქონე მხატვართა ნამუშევრების გაცნობას ესთეტიკური სიამოვნების გარდა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობაც გააჩნია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XVII ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა საერთაშორისო უშიშროების უფლისმომცველი სისტემის შექმნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად მიიჩნია კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების, განათლებისა და მედიცინის სფეროში თანამშრომლობის ახალი ფორმების ძიება და მათი განმტკიცება.

1985 წლის ნოემბერში უნევეაში საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მეცნიერების, ხელოვნების, ტექნიკის, განათლების, კულტურის და სხვა სფეროებში თანამშრომლობისა და კონტაქტების შესახებ ხელმოწერილი შეთანხმების შესაბამისად სსრკ-ში 1988 წლის 25 მარტიდან არმანდ ჰამერის კოლექციის „ხუთი საუკუნის შედეგების“ დემონსტრირება დაიწყო.

არმანდ ჰამერი ამერიკელი ბიზნესმენი და ხელოვან მოღვაწეა. იგი მედიცინის დოქტორია, თუმცა პრაქტიკოსი არ ყოფილა. სამეცნიერო წოდება მან კოლუმბიის სამედიცინო კოლეჯში მიიღო. ჯერ კიდევ 20-იან წლებში ჩამოვიდა რუსეთში, საიდანაც ემიგრირებული იყო მისი პაპა, და აქტიური მონაწილეობა მიიღო რუსეთში გამძვინვარებული ტიფის ეპიდემიისა და შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლაში.

არმანდ ჰამერმა ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთთან დასდო ხელსაყრელი სავაჭრო ხელშეკ-

რულებები, დააარსა რამდენიმე კონცესია, რითაც ხელი შეუწყო რუსეთის ეკონომიკის განვითარებას.

არმანდ ჰამერი ჰუმანური, პროგრესულად მოაზროვნე პიროვნებაა. მან მრავალი კონგრესი, სიმპოზიუმი და საერთაშორისო კონფერენცია მოაწყო, სადაც იხილავდნენ და სახავდნენ გზებს მშვიდობის შენარჩუნებისათვის. ა. ჰამერი კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის ამერიკის პრეზიდენტის საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარეა. დღეისათვის მისთვის უველაზე სანუკვარი ოცნებაა ავთვისებიანი სიმსივნის წინააღმდეგ ბრძოლა და მისი დამარცხება, რისთვისაც მან რამდენიმე პრემია დააწესა. „მე არ მოვიხვეწებ მანამ, სანამ არ მივაღწევ ჩემი ორი ძირითადი სურვილის შესრულებას. ეს არის მშვიდობა მსოფლიოში და კიბოზე გამარჯვება“, ამბობს ჰამერი.

ა. ჰამერის ძირითადი საქმიანობა წარმოებასთანაა დაკავშირებული, მაგრამ კულტურის დარგში მოღვაწეობა მისი სასიცოცხლო მოთხოვნაა, რომლის გარეშე მას დღეს, მიუხედავად ხანდაზმულობისა (იგი 88 წლისაა) - ცხოვრება ვერ წარმოუდგენია.

ა. ჰამერმა სურათების კოლექციის შეგროვება პირველად რუსეთში დაიწყო, სადაც მან 9 წელს დაჰყო მოსკოვში ყოფნის დროს, როდესაც იგი გატაცებული იყო თავისი სახლის გადაკეთებითა და ავეჯის გამართვით, პირველად დაინტერესდა ხელოვნების ნაწარმოებებით. ამ საქმეში მას კონსულტაციას უწევდა თავისი ძმა ვიქტორი, რომელიც პრინსტონის უნივერსიტეტში ხელოვნების ისტორიას ეუფლებოდა.

ძმებმა რუსეთში შეიძინეს XVIII ს. ფრანგული ავეჯი, ობიუსონის გობელენები, სევრისა და საქსის ნიმუშები, ფაბერჟეს ნაწარმი. ამ სახლში დაგროვილ კოლექციას შეეძლო კონკურენცია გაეწია დეკორატიული ხელოვნების ნებისმიერი მუზეუმისათვის. ასე დაარსდა „ჰამერის გალერეა“. ძმები წარმატებით ჰყიდდნენ

ხელოვნების ნაწარმოებებს და ამგვარად მათი პირველი კოლექცია გაიფანტა.

20-იან წლებში ა. ჰამერი პარიზში კერძო ბანკის მფლობელი ხდება, მაგრამ ხელოვნების ნიმუშებით ვაჭრობას მაინც არ ღალატობს. ჰამერმა მონაწილეობა მიიღო შერსტის ცნობილი კოლექციის გაყიდვაში. 1956 წლიდან ა. ჰამერის კომპანია „ოქსიდენტალ პეტროლეუმის“ პრეზიდენტი და შემდგომ კი დირექტორების გამგეობის თავმჯდომარე ხდება.

იგი არ ზოგავს არც ენერჯიას და არც მატერიალურ სახსრებს მშვიდობის შენარჩუნებისა და პროგრესისათვის. საბჭოთა ხალხმა ისიც კარგად იცის, თუ როგორ განიცადა მან ჩერნობილის ტრაგედია და როგორ დაეხმარა ჩვენ ხალხს მატერიალურად და მორალურად.

ა. ჰამერი არა ჰგავს სხვა კოლექციონერებს, რომლებიც ხელოვნების ნაწარმოებებს პირადი სიამოვნებისათვის იძენენ. მისი აზრით, „ხელოვნების ნაწარმოები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის და არა მხოლოდ ბედნიერი ერთეულებისათვის. დიდ სიამოვნებასა და კმაყოფილებას მგვრის შესაძლებლობა სხვასაც ვაჩვენო ჩემი კოლექცია და განსაკუთრებით მსიამოვნებს, როდესაც ვხედავ მაყურებელთა აღტაცებას ხელოვნების გენიალური ნიმუშების ხილვისას“.

20-იან წლებში შეგროვილი კოლექცია ა. ჰამერმა 1966 წელს კალიფორნიის უნივერსიტეტს აჩუქა. შემდგომ კი ხელი მიჰყო უფრო მდიდარი კოლექციის შეგროვებას, სადაც ძირითადი ყურადღება ეთმობოდა ფრანგი იმპრესიონისტების, პოსტიმპრესიონისტებისა და აღორძინების ხანის ოხტატების ნაწარმოებებს. ბოლო წლებში მისი ნახატებისა და აკვარელის კოლექცია საგრძნობლად გამდიდრდა. 1970-1971 წლებში შეიძინა ა. დიურერის შესანიშნავი აკვარელი, ხოლო ამერიკელი მუზეუმების საგანძურისათვის ლეონარდო და ვინჩის ბოლო ხელნაწერი, რომელიც ადრე კერძო კოლექციონერების კუთვნილებას წარმოადგენდა. ეს არის ლესტერის კოდექსი, რომელმაც ეხლა ჰამერის კოდექსის სახელწოდება მიიღო. კოდექსი წარმოადგენს მრავალგვერდიანი უბის წიგნაკის ფორმის ხელნაწერს, ილუსტრირებულს ავტორისეული მრავალრიცხოვანი ნახატებით და შენიშვნებით.

ჰამერის კოდექსის დიდ მნიშვნელობაზე მოწმობს ის ფაქტი, რომ იგი დამოუკიდებლად იფინება. კოდექსის გამოფენაში ჩართულია ბოლო ხანებში შექმნილი ლეონარდო და ვინჩის პირველხარისხოვანი ნახატი.

ამერიკელი და საბჭოთა ხალხის ურთიერთგაგებისა და დაახლოების მიზანს ემსახურება საბ-

ჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში, ლენინგრადში, მოსკოვში, ნოვოსიბირსკში, ოდესაში, კიევში და თბილისში მოწყობილი ა. ჰამერის მესამე კოლექციის გამოფენა, რომელიც მან მეორედ ჩამოიტანა საბჭოთა კავშირში. მას მსუბუქი გაეცნო 1972 წელს.

პარმანდ ჰამერი 20-იან წლებში ყოფილა პირველად თბილისში და ახლა გამოფენის გახსნის დღეს მეორედ ჩამოვიდა ჩვენთან. ა. ჰამერმა ხელოვნების მუზეუმში მოწყობილ პრესკონფერენციაზე სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა ის გულითადი შეხვედრა, რომელიც თბილისში მოუწყვეს.

„დიდ სიხარულს წარმოადგენს ჩემთვის ამ კოლექციის დემონსტრირება თბილისში. ბედმა მეორედ მომიყვანა ამ შესანიშნავ ქალაქში. პირველად 1921 წელს ვიყავი, როდესაც ლენინის წინადადებით ვეცნობოდი საბჭოთა რუსეთს. მე განცვიფრებული ვარ ყოველივე იმით, რაც აქ ვნახე“...

ჰამერის კოლექცია ერთ-ერთი საუკეთესო კერძო კოლექციაა მსოფლიოში. იგი შეიცავს მსოფლიო ხელოვნების უნიკალურ ნიმუშებს, რომლის ბადალი იშვიათად თუ მოიპოვება რომელიმე კერძო კოლექციაში. ამიტომაც იყო, რომ ერთი თვის მანძილზე ხელოვნების მუზეუმში არ წყდებოდა ხალხის ნაკადი. ათასობით მნახველი აღფრთოვანებული ხტოვებდა საგამოფენო დარბაზებს. ხელოვნების მუზეუმის თანამშრომლებმა უდიდესი დაძაბვისა და შრომის წყალობით ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ მნახველები კმაყოფილნი დარჩენილიყვნენ. კოლექციის მაღალ-მხატვრულ დონეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ფერწერულ ტილოებთან ერთად აქ წარმოდგენილია აღორძინების ხანის ისეთი ტიტანების ნახატები, აკვარელები, ესკიზები, ჩანახატები, როგორცაა მიქელანჯელო, ბუონაროტი, შიშველი მამაკაცის ორმხრივი ესკიზი, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს რონდანიინის ოჯახის საკუთრებას „პიეტას“ პირველ ესკიზს ან „უფლის გამოცხადების“ ნახატის ესკიზს.) რაფაელ სანტი (ესკიზი რომის სანტა დელა პაჩეს ტაძრისათვის ოსია და იონა წინასწარმეტყველები), ანტონიო კორეჯო (ესკიზი სურათისათვის „მადონა დელა სკოდელა“, მათე მახარებლისა და წმ. იერონიმეს ფიგურების ეტიუდი პარმის სანჯიოვანის ტაძრის კონქისათვის).

კოლექციის მშვენებას წარმოადგენს მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მხატვრის, რემბრანდტ მარმენს ვან რეინის ორი ნაწარმოები „იუნონა“ და „მამაკაცის პორტრეტი შავი ქუდით ხელში“. რემბრანდტის შემოქმედებაში განსაკუთრებული სისრულითა და სიღრმით გამო-

მელავნდა ინტერესი ადამიანის სულიერი სა-  
 მყაროსადმი. დიდი რეალისტი მხატვარი, ჰუმან-  
 ისტი, ღრმა ფსიქოლოგიური ფერწერისა და  
 შუქ-ჩრდილის შეუდარებელი ოსტატი თემატუ-  
 რი დიაპაზონით ყველა თავის თანამედროვე მო-  
 ლანდიელ მხატვარს აღემატება. რემბრანდტის  
 შემოქმედებითი მეთოდის არსებით მომენტს  
 წარმოადგენს ახლობელთა სახეების გამოყენება  
 მითოლოგიური და ბიბლიური სიუჟეტების  
 ასახვისას. რემბრანდტის პირველი ცოლი სას-  
 კია მისი შემოქმედების წყარო და მუდმივი მო-  
 დელი იყო. ხანდაზმული მხატვრის ცხოვრების  
 განუყრელ მეგობრად კი იქცა ახალგაზრდა ქა-  
 ლი ჰენდრიკე სტოფელსი, რომელმაც მსახურად  
 მოვიდა მხატვრის სახლში, შემდგომ კი მისი  
 ერთგული მეგობარი გახდა. ჰენდრიკე სტოფე-  
 ლსის სახეს ხშირად ვხვდებით 1645 წლის  
 შემდგომ დაწერილ სურათებში. იგი ხან კოლა-  
 ნდიელ ბიურგერად გვევლინება, ხან კი ანტიუ-  
 რი, ბიბლიური და მითოლოგიური სიუჟეტის  
 პერსონაჟია. რემბრანდტის ყველაზე მომხიბლა-  
 ვი სურათები სწორედ მისგანაა შთაგონებული  
 („ვირხავია“ 1654 წ. პარიზი-ლუვრი, „მომხიბ-  
 ლავი მოხანავე“ — 1655 წ. ლონდონი, ერო-  
 ვნული გალერეა. „ფლორა“ ნიუ-იორკი მეტ-  
 როპოლიტენ მუზეუმი და სხვა.) იუნონა ოლი-  
 შპის ქალღმერთი, ნაყოფიერების, სიუხვის,  
 შთვარისა და სახელმწიფო ძალაუფლების მფა-  
 რველი გამოსახულია მხატვრის მეგობრის ჰე-  
 ნდრიკე სტოფელსის სახით; მდიდრულ ტანსაც-  
 მელში, ოქროს გვირგვინით თავზე და სკიპტ-  
 რით ხელში, მშვიდი, კეთილი სახით. ჰენდრი-  
 კე სტოფელსის ქალური სითბო და მომხიბლა-  
 ლობა ჩაქსოვილი იუნონას სახეში და ადამიანის  
 სახის უფაქიზეს განცდათა მეტყველი გადმოცე-  
 მით ხასიათდება. წერის თავისუფალი მანერა,  
 ფერების პარმონია, შუქ-ჩრდილის ოსტატური  
 გამოყენება, ნაწარმოების ფერადოვნება დამა-  
 დასტურებელია იმისა, რომ მხატვარმა ეს ნა-  
 წარმოები 1682-1685 წლებში შექმნა. საინტე-  
 რესო ბედი ხვდა ამ სურათს. მისი ადგილსამყო-  
 ფელი XIX ს.-ის შუა წლებამდე უცნობია.  
 ვარაუდობენ, რომ ინგლისის კერძო კოლექცი-  
 აში იმყოფებოდა. 1888 წლიდან სურათი გერ-  
 მანელი ვაქრის საკუთრებაა, შემდგომ კი ბონის  
 მუზეუმს გადაეცა, ხალაც შეცდომით რემბრა-  
 ნდტის მიმბაძველის ნაწარმოებად ჩათვალეს.  
 1925 წ. სურათი ქ. რეინის მხარის საბჭომ და  
 ქ. ბონმა შეიძინეს. 1935 წელს კი კიოლნის  
 აუქციონზე გაყიდა, როგორც რემბრანდტის  
 სტილში შესრულებული ნაწარმოები. მხოლოდ  
 ამის შემდეგ ექსპერტებმა აღიარეს, რომ იუნო-  
 ნა არის ჭრა მხოლოდ რემბრანდტის ორიგინა-  
 ლი, არამედ მხატვრის სიცოცხლის ბოლო წლე-

ბში შესრულებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი  
 ნაწარმოები.

„იუნონა“ ამჟამად ა. ჰამერის კოლექციას ამ-  
 შვენებს და სულ მალე ლოს-ანჯელესის სახვი-  
 თი ხელოვნების მუზეუმში დაემკვიდრებს ბი-  
 ნას. რემბრანდტის პორტრეტები მსოფლიო  
 რეალისტური ხელოვნების წარუხვალე მონა-  
 პოვარს წარმოადგენს, რომლებიც არაჩვეულებ-  
 რივი დამაჭერებლობით, ადამიანის სახის ღრმა  
 ფსიქოლოგიური გახსნით გამოირჩევიან. „მამა-  
 კაცი შავი ქუდით ხელში“, როგორც აღვნიშ-  
 ნეთ, მისი შემოქმედების ბოლო პერიოდშია  
 შესრულებული, როდესაც მხატვარი საშინელ  
 სილატაკესა და სიმარტოვეს განიცდიდა. ამ პე-  
 რიოდში შექმნილი ნაწარმოებები აშკარა დამა-  
 დასტურებელია იმისა, რომ ვერც სიბერემ  
 ვერც ცხოვრებისეულმა მძიმე გამოცდამ ვერ  
 შეარყია მხატვრის შემოქმედებითი ძალა, რწმე-  
 ნა და სიყვარული ადამიანებისადმი. ამ პე-  
 რიოდის უბრალო, ლაკონური, არაჩვეულებრი-  
 ვად გამომსახველი ნაწარმოებები მხატვრის  
 გრანდიოზული შემოქმედებითი გზის ღირსეულ  
 დასასრულს წარმოადგენენ.

რემბრანდტის გენიის დიაპაზონზე მეტყველე-  
 ბენ ჰამერის კოლექციაში წარმოდგენილი ნახა-  
 ტები „მათხოვრისა და მოხუცი ქალის გამოსა-  
 ხულება“, „ბიბლიური სიუჟეტი“ და „პეიზაჟი  
 შენობებით“, რომელშიც გამოვლინდა ნახატის  
 გამომსახველობა, უშუალობა და შეუდარებე-  
 ლი ლაკონიზმი.

გამოჩენილი ვენეციელი მხატვრის ტიციან  
 ვეჩელიოს შემოქმედება, ისევე როგორც მიქელ-  
 ლანჯელოს, რაფაელის, ლეონარდოსი, წარმოა-  
 დგენს აღორძინების მწვერვალს. ტიციანის ნა-  
 წარმოებები საუკუნოდ შევიდა კაცობრიობის  
 მხატვრული მემკვიდრეობის ოქროს ფონდში.  
 ფსიქოლოგიური პორტრეტის უდიდესი ოსტა-  
 ტი გამოფენაზე წარმოდგენილია „აბჯარასხმული  
 მამაკაცის“ შესანიშნავი პორტრეტით, რომე-  
 ლიც განსაცვიფრებელია თავისი ფერწერულო-  
 ბითა და შუქ-ჩრდილის რბილი გამით. თუმცა  
 პორტრეტის მოდელის ვინაობა არ არის დადგე-  
 ნილი, ცხადია, რომ გამოსახულია ღრმა შინა-  
 განი ღირსებების და კეთილშობილების ადამი-  
 ანი.

ცნობილია, რომ ტიციანი თავისი დროის ერთ-  
 ერთი ყველაზე გავლენიანი მხატვარი იყო და  
 მას უკვეთდნენ პორტრეტებს არა მარტო იტა-  
 ლიის „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“, არამედ გერ-  
 მანიის, საფრანგეთის და ესპანეთის დიდებუ-  
 ლები და გავლენიანი პირები.

„აბჯარასხმული მამაკაცის“ პორტრეტი —  
 ისევე, როგორც ტიციანის უმრავლესი პორ-  
 ტრეტები გამოსახულია ნეიტრალურ ფონზე და

მოიცავს სურათის მთელ არეს. მიუხედავად იმისა, რომ ოსტატურადაა დაშუშავებული აბჯრის უკველი დეტალი, მაყურებლის ყურადღება მიმართულია პორტრეტის მოდელის სახეზე და ხედებზე, რომლებიც განათების საშუალებით მკვეთრად გამოიყოფა მუქ ფონზე.

გამოცენაზე განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი აღორძინების ეპოქის მნიშვნელოვანი წარმომადგენლის ტიცციანის თანამედროვისა და თანამემამულის, ვენეციის სენიორის ოფიციალური მხატვრის, იაკოპო რობუსტი ტინტორეტოს მიერ შესრულებულ „ვენეციელი გენერლის“ პორტრეტს, რომლის ძირითადი დამკვეთები, ტიცციანის დამკვეთებისაგან განსხვავებით, ევროპული არისტოკრატის წარმომადგენლები იყვნენ; ტინტორეტო დიდი პოპულარობით სარგებლობდა ვენეციის ბურჟუაზიის მკვიდრთა შორის (200-მდე პორტრეტი), რომელთაც ხიბლავდათ შესრულების ჩქარი მანერა, მხატვრის დეკორატიული ტექნიკა, ფერადოვანი ეფექტები. აღნიშნული პორტრეტი ერთ-ერთი იმ უმცირესთაგანი სამხედრო პორტრეტია, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. სახის მედიდური გამომეტყველება, თავისა და სახის პლასტიკური ძერწვა, ოსტატური და თამაში მოწასმები, აქცენტების ზუსტი განაწილება სწრაფად ამყარებს კონტაქტს მაყურებელსა და მოდელს შორის. მოდელი გამოსახულია მშვიდ პოზაში, ძირითადი ყურადღება სახეზეა გადატანილი და სწორედ სახის გამომეტყველებაში მოჩანს ენერგიული და მოღვაწე ადამიანის შინაგანი სამყარო.

ა. ჰამერის კოლეჯიაში შესანიშნავადაა წარმოდგენილი XVII საუკუნის უდიდესი ფლამანდიელი მხატვარი პიტერ პაულ რუბენსი, რომლის სახელთანაა დაკავშირებული XVII საუკუნის ფლამანდიური ფერწერის აუვაგება. მეცნიერი, ბუმანისტი, ფილოლოგი, არქეოლოგი, სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, სამშობლოს ეროვნული ინტერესების დაცვის აქტიური მონაწილე რუბენსი ძირითადად წერდა რელიგიურ, მითოლოგიურ, ალეგორიულ და ისტორიულ სურათებს. მხატვრის შემოქმედების ძირითად ტენდენციას რეალისტური ხედვა წარმოადგენდა, რომელიც ასე თვალნათლივ ჩანს რელიგიურ თემებზე შექმნილ ნაწარმოებებში.

საეკლესიო — ხატწერის ტრადიციულ ფორმებში მხატვარს ცოცხალი და ადამიანური შინაარსი შეაქვს. გამოცენაზე წარმოდგენილი კომპოზიცია „მწყემსების თაყვანისცემა“ შემოქმედის მოწიფულობის პერიოდშია შექმნილი. ეს არაერთი იიფი ზომის სურათი „გაჭედლი-

ლია“ ფიგურებით. კომპოზიცია აღსავსეა დინამიზმით, რთული მოძრაობებით, რაკურსებით მოულოდნელი ეფექტებით და კიდევ ერთხელ ავლენს რუბენსის მაღალ ოსტატობას, რაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე. რუბენსის მეორე სურათი „მწყემსები ქალიშვილის პ-ტი“. ქ. უბედველნი მარ ვიცია სხვა სურათი, რომელშიც ასეთი მოდელირებითა და შუქ-ჩრდილის მომხიბვლელი ფერადოვანი გრადაციით იყოს გადმოცემული ქალის სახე“.

ა. ჰამერის კოლეჯიაში დაცულია როკოკოს სტილში შესრულებული რამდენიმე სურათი უან ონორე ფრაგონარის „ქალწული მარიამის აღზრდა“, უან ანტუან კატოს პანტორალური სიუჟეტი „მანისაღმი მიძღვნილი დღესასწაული“ და დიდი ეხპანელი მხატვრის ფრანსისკო გოიას ტილო „ელ პელელე“, რომელიც უანრული ხასიათის სურათია და წარმოადგენს მადრიდის სანტა-ბარბარას სამეფო მანუფაქტურაში გობელენის დასამზადებლად ქანკუფინელ ქარტონს. ეს სურათი შეიძლება მიეკუთვნოს ფრანსისკო გოიას მადრიდის სურათების კოლექციას, რომელიც შემდგომში მისი შვილის მფლობელობაში გადავიდა.

არმანდ ჰამერის საყვარელი მხატვარი კამილ კორო XIX საუკუნის ფრანგული პეიზაჟის ერთ-ერთი ფუძემდებელია, იგი ითვლება იმპრესიონიზმის წინამორბედად. კოროს ნამუშევრებში აღბეჭდილია ბუნების წამიერი ცვალებადობა, ჰაერის გამჭვირვალება, მეოცნებე, პოეტური განწყობილება.

გამოცენაზე წარმოდგენილ სურათებში იგრძნობა მხატვრის კომპოზიციური და პლასტიკური გამომსახველობითი ძიების ხორცშესხმა, სადაც უაღრესად დახვეწილი, მსუბუქი ნახატი მთლიანად ერწყმის ფერადოვან გამას. სურათის კოლორიტული გადაწყვეტა იცვლება განწყობილებისა და თემის მიხედვით, ღია ნათელ ვერცხლისფერ ტონებს ზოგჯერ ენაცვლება მუქი ფერების კონტრასტული დაბირისპირება, შუქ-ჩრდილების ეფექტები. „შუა სუკუნის ნანგრევები“ — დაწერილია მხატვრის იტალიაში მეორედ გამგზავრებამდე — 1828-1830 წლებს შორის, სადაც შუქი გამოხეობს სურათის ორ ძირითად ტონალურ გამას — ნათელ ცასა და მუქ წინა პლანს, რაც ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა ამ პერიოდის კოროს შემოქმედებისათვის. მისი მეორე სურათი „პეიზაჟი მომკვლით“ ამავე პერიოდის ნამუშევარია, იგი ტონალურად უფრო მუქია, მხოლოდ მომკვლის თეთრი პერანგი და ცის ღია ზოლი არღვევს სურათის ერთფეროვან უავისფერ გამას. „მანტის ტაძრის ხედი“ შედარებით უფრო

ნათელი ფერებითაა შესრულებული, ვიდრე კოროს სხვა სურათები, სადაც მხატვრისათვის დაძაბახსიათებელი წითელი ფერი მკვეთრად გამოჰყოფს მომწვანო მოციისფრო ტონალობას. აღსანიშნავია მისი „გოგონას პორტრეტი“, სადაც იგი გამოვლინდა როგორც ბრწყინვალე პორტრეტისტი, ამ პორტრეტში ოსტატურადაა გადმოცემული მოდელის განწყობილება და ხასიათი.

ჭამერის კოლექციაში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი იმპრესიონისტებსა და პოსტიმპრესიონისტებს.

იმპრესიონისტმა მხატვრებმა XIX საუკუნის 70-იან წლებში გაილაშქრეს გაბატონებული სალონური ხელოვნების წინააღმდეგ. ისინი იბრძოდნენ ხელოვნებაში სიმართლის დამკვიდრებისათვის. სურდათ ხუნებაზე დაკვირვების შედეგად მიღებულ უშუალო შთაბეჭდილებათა გადმოცემა, და საგნისა და მოვლენის მხატვრულად ზუსტი ასახვისათვის ხეფთა, ნათელი, ხასხასა ბუნებრივი ფერების გამოყენება. შუქჩრდილებისა და განათების ეფექტებით ისინი გადმოგვცემდნენ საგნისაგან მიღებულ პირველ, მოულოდნელ შთაბეჭდილებას. იმპრესიონისტების ფერწერის პოეზია, უოველდღიური ცხოვრების პოეტური აღქმა, მათი უნარი გადმოსცენ ბუნების ცვალებადობა, ფერისა და სინათლის ვიბრაცია შესანიშნავადაა გადმოცემული გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრებით.

ფრანგული იმპრესიონიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი კლოდ მონე თავის ნამუშევრებში ხეფთა ფერების ფაქიზი მონასმებით შესანიშნავად გადმოსცემს ბუნების საგნების განათების სხვაობას წლის სხვადასხვა დროს. მისი მთავარი ამოცანა იყო ჰაერისა და სინათლის მსუბუქი ვიბრაციის გადმოცემა. სურათში „ბორდიგერას ხედი“ იგრძნობა ჰაერის გამჭვირვალეობა, ფერების კონტრასტული შეხამება.

ედუარდ მანემ დიდი როლი ითამაშა იმპრესიონიზმის განვითარებაში. მისი ტილოებისათვის დამახასიათებელია სადა კომპოზიცია, მდიდარი კოლორიტი. ნატურის აღქმის სიმძაფრე, ეპოქის დამახასიათებელი სულისკვეთება. მისი შემოქმედებისათვის მთავარია ღირიკული, უოველდღიური, მოულოდნელი ეფექტებით აღსავსე, ერთი შეხედვით უმნიშვნელო ეპიზოდების ასახვა. 1870-იან წლებიდან მანე ბევრს მუშაობდა პორტრეტის ჟანრში. ჰამერისეული „აღისა ლეგუვეს პორტრეტი“ მისი ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანია. ამ მკვირე ზომის ტილოზე მან შექმნა ქალის სახე, რომელთანაც იგი წლების მანძილზე მეგობრობდა. ეს პორტრეტი გამოირჩევა დიდი მხატვრული გამომსახველობითი ძალით და კოლორიტის ღრმა შეგრძნებით.

ედუარდ დეგა თავის სურათებში ფერთან ერთად მთავარ ყურადღებას მოძრაობას და ხაზის პლასტიკურობას უთმობს. იგი ცნობილია როგორც ბალერინების მხატვარი, რომელიც ბრწყინვალედ გადმოგვცემს ბალეტის მრავალფეროვნების, თეატრის სუფთისწილად განწყობილებას. ზუსტად ასახავს მოცეკვავეთა რთულ მოძრაობებს. დეგას კომპოზიციები ასიმეტრიულია და დინამიური ფრაგმენტულობა ახასიათებს. ისინი ზუსტი და მოქნილი ნახატით გამოირჩევიან. დეგას ინტენსიურ მდიდარ კოლორიტს დროთა განმავლობაში ეფექტური ხელოვნური განათება ემატება, რაც ნამუშევრებს დაძაბულობას მატებს („სამი მოცეკვავე ყვითელში“, „ლოჯა“). დეგას სურათში „მრეცხავი თეთრეულის კალათით“ ქალი გამოსახულია მოძრაობაში, რომელიც თეთრეულის სიმძიმისა და სხეულის დაძაბულობის შთაბეჭდილებას ქმნის.

იმპრესიონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი კამილ პისარო დიდი ვატაციებით და სიყვარულით ხატავდა ქალაქის ქუჩებს, ბულვარებს, უოველდღიურ ცხოვრების ამსახველ პოეტურ სურათებს. „მონმარტრის ბულვარის ხედი კარნავალის დროს“ ბოლო წლებში შესრულებული ნამუშევრებისათვის დამახასიათებელი მანერიტაა შესრულებული, რომელიც ფერადოვნებით, დეკორატიულობით და ვირტუოზული მხატვრული შესრულებით გამოირჩევა.

ფერების დიდი ოსტატი ოგიუსტ რენუარი 1860—1870-იანი წლების მიჯნაზე გაიტაცა პლენერულმა ფერწერამ, იგი ბუნებაში ოსტატურად ათავსებს ადამიანთა ფიგურებს და გადმოგვცემს მათ შუქჩრდილის ცვალებადობათა ნიუანსებით. განსაკუთრებული გრაციოზულობით გადმოგვცემს ქალის სხეულს. რენუარის პალიტრა ძალზე ნათელი და ფერადოვანია, ფერწერა გამჭვირვალე, კოლორიტი თბილი, ტექნიკა მსუბუქი. რენუარის ნაწარმოებები შესრულებულია თითქოს ერთი ამოხუნთქვით, სადაც ყველა ნაწილი დამუშავებულია სწორი, რბილი ფუნჯით. „უურძნის მკრეფავები“, და „ანტიბის ხანაპირო“ გამოირჩევა კოლორიტის ფერადოვნებით, შუქჩრდილის ჰარმონიით, რბილი ფაქტურით.

იმპრესიონიზმის მომდევნო მემდინარეობის — პოსტიმპრესიონიზმის წარმომადგენლების — ხეჯანის, ვან გოგის, გოგენის ნამუშევრები მნახველთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა.

პოლ ხეჯანს სურდა თავისი შემოქმედებით გადმოეცა ბუნებისა და საგანთა ურთიერთდამოკიდებულება. იგი წუთიერი, უეცარი შთაბეჭდილებით აღარ კმაყოფილდება, ცდილობს გადმოგვცეს საგნისა და მოვლენის შინაგანი სტრუქტურა. უოფიერების მარადიული კანონები გამოსახოს მხატვრული საშუალებებით. მისი კოლო-

რითი ფაქტზე ამ მკვეთრად კონტრასტულია. იუვენებს ხაში ძირითადი ფერის (მწვანე, ციხფერ და უვითელ) გრადაციებს. აღწევს ხაგნების კლასტიურობას („ბიჭი დახვენების დროს“). აკვარელით შესრულებული „წმ. ვიქტორიას შთა“ მხატვრის საუვარული მოტივია.

ვან გოგის ბედი ერთ-ერთი უველაზე ტრაგიკული ფურცელია ხელოვნების ისტორიაში. მან გამოხატა მუშაობის მძიმე ცხოვრება ბელგიაში, ბორინაჟის პარკინციაში, სადაც გატაცებით ხატავდა ბორინაჟის მალაროელებს, გლეხებს, ხელოვნებს, მეთევზეებს. სწორედ ამ პერიოდს მიეკუთვნება გამოფენაზე წარმოდგენილი მისი ნახატები. მის წლის ვან გოგმა მუშაობა დაიწყო ფერწერაში. მხატვარი თავის ტილოებში მიმართავდა ფერების კონტრასტულ შეხამებას და პასტოზურ მონახმებს. ფერების დინამიკისა და ფართე მონახმების საშუალებით იგი გამოსახულებას დიდ ცხოველმყოფელობას ანიჭებს. მისი ნამუშევრებისათვის დამახასიათებელია ფერთა შეხამებას, რიტმისა და ფაქტურის გაძლიერებული ექსპრესია. განწყობილებათა ცვალებადობა. „მთესველი“ და „იასამანი“ მიეკუთვნება მხატვრის შემოქმედების უდიდესი დამახასიათებლის პერიოდს, როდესაც ფერთა შეხამების ინტენსიურობა მაქსიმუმს აღწევს. ამ ნაწარმოებებში იგრძნობა ვან გოგის ხაკუთარი ხედვა—წერვიული; მოუსვენარი, ექსპრესიული და დამახული განწყობილება.

გოგენი შემოქმედებითი მოღვაწეობის დახაწვისში იმპრესიონიზმით იყო გატაცებული. მხატვრის დამოუკიდებელი მხატვრული შეხედულებების ჩამოყალიბება კი დაკავშირებულია კონტრასტულ პერიოდთან (ბრეტანის პატარა ქალაქი, სადაც მან მრავალი წელი დაჰყო), სწორედ ბრეტანი იქცა გოგენის შემოქმედების პირველი შთაგონების წყაროდ. იგი თავის მეგობარს წერდა: — „მე მიყვარს ბრეტანი, აქ ვპოულობ იდუმალ ხისადავეს, რომელსაც ვიძებ ჩემს სურათებში“. გოგენის გენია პირველად სწორედ ბრეტონულ ჩანახატებში გამოვლინდა.

„გამარჯობათ, ბატონო გოგენ“ მისი ცნობილი ფერწერული ტილოა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ფერთა ემოციურობა, კომპოზიციის გარეგნულ სტატიკურობასთან შერწყმული შინაგანი დინამიკა. დემოკრატიულობა და მონუმენტურობა. გოგენის შემოქმედების თავისებურება უველაზე ნათლად გამოვლინდა ოკეანის კუნძულზე — ზღაპრული ხუნების წიაღში — შექმნილ ნაწარმოებებში, რომლებშიც გოგენი ცდილობს გადმოსცეს არა მარტო ის, რასაც ხედავს, არამედ ის, რასაც გრძნობს. ცდილობს ჩასწვდეს ტაიტულების ბატონან საშუაროს, მათ ფსიქოლოგიას. ძალზე საინტერესოა გოგენის ალბომი, სადაც 10მ გვერდზე 268 ჩანახატია

ფერწერული ტილოებისათვის. თერთმეტ ფურცელზე წარმოდგენილია გოგენის აზრები ხელოვნებაზე, მხატვრის პირველი წერილობითი გამოკვლევა ხელოვნების თეორიის საკითხებზე, მუსიკისა და ლიტერატურაზე.

გოგენის, ხერას, ვან გოგის თანამედროვე ანტიტულუზ ლოტრეკი თავის შემოქმედებებში შესანიშნავად ხსნის ფერის გამომსახველ თვისებებს, ამავდ დროს მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე განსაკუთრებულ მიდრეკილებას გრაფიკისადმი იჩენს.

ჰამერისეული ხურათი „მაგიდაზე მჯდომარე ტაუკი“ ცხოველის ერთ-ერთი ადრეული ანტიროპორტული გამოსახულებაა, რომელშიც მხატვრის ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ძაღლის ხაზზე და პოზაზე.

ტულუზ ლოტრეკის მეორე ტილო „სალონი“ წარმოდგენს ალბის მუზეუმში დაცული ხურათის „სალონი მუღენის ქუჩაზე“-ს ესკიზს.

ა. ჰამერმა სხვა ამერიკელი კოლექციონერებისაგან განსხვავებით, რომელნიც ინტერესს მხოლოდ იმპრესიონისტთა და პოსტიმპრესიონისტთა ნაწარმოებებისადმი იჩენდნენ, გვერდით არ აუარა სხვა სკოლის წარმოდგენილ მხატვრებსაც. სიურრეალიზმის წინამორბედი გუსტავმორო ა. ჰამერის კოლექციაში ორი შედეგრიტაა წარმოდგენილი. „მეფე დავითი“ და „სალონი“. ჩვენთან ექსპოზიციაში მხოლოდ „სალონი“ იყო წარმოდგენილი. ვაშინგტონის ხურათების ეროვნული გალერეის საპატიო დირექტორი ჯონ უოლკერი კატალოგის წინასიტყვაობაში იმეფებს სენ-ვიქტორს, რომელმაც დაწერა, რომ ეს არის მხატვრის უველაზე საუკეთესო ნაწარმოები და „ამ მხატვარზე მეტნაკლები წარმოდგენის შექმნა შეიძლება, თუ იუველირის სიწესტით წარმოვსახავთ ოპიუმის მწვევლის ჭმანებებს“. საინტერესოა ფანტენ-ლატურის ნამუშევრები „ვარდები“, „იორდასალამი ლურჯთეთრ ლარნაჟში და „მისს ედიტ კროუს პორტრეტი“ — რომელიც გამოირჩევა შუქ-ჩრდილების თავისებური მოდულირებით, რაც უაღრესად ლირიკულ განწყობილებას ქმნის ედუარდ ვიუიარის „ზღვის პეიზაჟი“, კრიტიკოსთა აზრით, მხატვრის „ხულის ძახილია, რომლის ექო ჩვენამდე მოდის“, მხატვრის ადრეული ნაწარმოები „ლეპიკის ქუჩა პარიზში“, და „ინტერიერი“ პროფესიული ოსტატობის მაღალ, დახვეწილ დონეზე შეტყველებს. გამოფენაზეა მორის ვლამინკის „ზაფხულის თაიგული“, ანდრე დერენის „ნატურმორტი კალათით, ხელადით და ხილით“ — უველა ამ ნამუშევრებისათვის დამახასიათებელია კომპოზიციათა ხისადავე. ფერადოვანი გამის თავდაჭერილობა. არ შეიძლება არ აღინიშნოს მარი ლორანსენის „ქალები ტუში“, მარკ შაგალის

„ცისფერი ანგელოზი“. პაბლო პიკასოს და ხაიმ სუტინის შესანიშნავი ნამუშევრები.

ხელოვნების მოყვარულთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ჰამერის კოლექციაში დაცულმა ჩვენთვის შედარებით უცნობმა ამერიკელი მხატვრების ნამუშევრებმა; მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია XVIII საუკუნის გამოჩენილი ამერიკელი მხატვრის ჟილბერტ სტიუარტის შემოქმედება, რომლის სახელთანაა დაკავშირებული ამერიკის პორტრეტული ხელოვნების აღორძინება. სტიუარტის მრავალრიცხოვანი პორტრეტები, რომლებიც გამოირჩევიან ღრმა ფსიქოლოგიური გადაწყვეტით, დახვეწილი კომპოზიციით და სადა კლორით, გადმოსცემენ თავისი დროის და ხალხის მღელვარე, მაგრამ მიწანდასახულ სულისკვეთებას.

ჰამერის კოლექციაში დაცულია სტიუარტის სამი ნამუშევარი. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ჯორჯ ვაშინგტონის“ პორტრეტი, რომელიც ამერიკის პირველი პრეზიდენტის პორტრეტების მის მიერ შესრულებულ სხვა ვარიანტებიდან ყველაზე უფრო საინტერესოა. სურათზე პრეზიდენტი გამოსახულია ცის ფონზე, მაგიდასთან მჯდომარე, ხმლით ხელში. ეს რეალისტურად გადაწყვეტილი ფსიქოლოგიური პორტრეტი შესრულებულია მოწითალო-მოვერცხლისფრო ნაცრისფერფერადოვან გამაში.

ირლანდიაში ყოფნის პერიოდს მიეკუთვნება სტიუარტის ორი სურათი—ვესტმინსტერის გრაფის პორტრეტი ბავშვობაში. ეს არის ბავშვის ერთ-ერთი იშვიათი პორტრეტი მხატვრის შემოქმედებაში. უჩვეულოა ისიც, რომ ბავშვი გამოსახულია პეიზაჟის ფონზე. მის მრავალრიცხოვან პორტრეტებს შორის პეიზაჟის ფონზე დაწერილია მხოლოდ პენრიეტა ვენის პორტრეტი. სურათის ხაინტერესო დეტალია მხატვრის ხელმოწერა ძაღლის საყუდლოზე.

მეორე სურათი ბიჭის მამის, ჯორჯ ტომას ჯონ ნაჭენტის პორტრეტი დათარიღებულია 1780 წლით და სტიუარტის შემოქმედების ირლანდიური პერიოდის ბოლო ეტაპს მიეკუთვნება.

ამერიკელი მხატვარი მერი კესეტი სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა პარიზში და თავისი შემოქმედებით მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმპრესიონისტებთან, ახლოს იცნობდა მანეს, დეგას. მერი კესეტმა ამერიკულ ხელოვნებაში დაამკვიდრა ადრეული იმპრესიონიზმის უშუალოება. მხატვარმა მთელი თავისი შემოქმედება უძღვნა დედაშვილობის თემას. ქაღისა და ბავშვის გამოსახულებას იმეორებდა თავის უმრავლეს სურათებში. იგი თითქოს მიზნად ისახავდა ხელოვნებაში დაემკვიდრებინა თანამედროვე მადონას სახე-არა ზეციური, არამედ მიწიერი და რეალური.

დედაშვილურ თემას ეძღვნება სურათი „რენ

ლეფერი და მარგო“. სურათი გამოირჩევა ნაზი ფერების შეხამებით, და გამოსახულებათა ბუნებრივი პოზებით. სადაც მოცემულია არა მხოლოდ ადამიანთა პორტრეტები, არამედ მათი ურთიერთკავშირი, რომელიც ერთ კომპოზიციაშია გაერთიანებული.

მერი კესეტი პორტრეტისტი მხატვარია, მაგრამ იგი ქმნიდა ტანრულ სურათებსაც. ამ მხრივ აღსანიშნავია დინამიური მონასმებით შესრულებული მისი ბრწყინვალე ნამუშევარი „ზაფხული“.

უილიამ მაიკლ შარნეტის „ნატურმორტი“ მაღალი ოხტატობით არის გადმოცემული საგნის ფაქტურის თავისებურებანი და ფერისა და ფორმების ურთიერთკავშირი. „ნატურმორტი“ დაიწერა 1885 წელს და გაიგზავნა ლონდონის სამეფო აკადემიაში. ლონდონის „ტაიმსი“ ამ ნაწარმოების შესახებ წერდა „როგორც ერთ-ერთ ყველაზე განსაკვირებელ სურათზე ყველა იმ სურათს შორის, რომელიც როდესმე აქ უოფილა გამოფენილი“. მხატვარი შესანიშნავად გადმოგვცემს ქაღალდის, ლითონის, ტყავის, ხავერდისა და ხის ფაქტურას.

უადრესად ხაინტერესოა ამერიკელი იმპრესიონისტის შორის პრენდერგასტის სურათი „პლაჟი“. მხატვარი თავის შემოქმედებაში მთავარ ყურადღებას დეკორატიულ ამოცანების გადაწყვეტას უთმობს. იგი ადამიანის ფორმებს და ბუნებას პირობითი ფერადოვანი ლაქების საშუალებით გადმოგვცემს. მისი გმირები — ბედნიერი ადამიანები არიან, რომლებიც ისვენებენ პლაჟზე, პარკებში, სეირნობენ პარიზის და ვენეციის ქუჩებში. სტილიზებული ფიგურები გამოსახულია გამარტივებულ ზღვის ან ხმელეთის ფონზე. პრენდერგასტის ფერწერა ძალზე ფერადოვანია, სადაც გამოსახულებანი კრელი და ბუნდოვანია.

დიდ ინტერესს იწვევს კოვბოებისა და ინდიელთა ცხოვრების ამსახველი მხატვრების ფრედერიკ რემინგტონისა და ჩარლზ მარიონ რახელის ნამუშევრები.

ფრედერიკ რემინგტონი XIX საუკუნის ამერიკული დასავლეთის გამოჩენილი მხატვარია, რომელიც მთელი თავისი შემოქმედებით უმღეროდა რომანტიკულ დასავლეთს, მის განუყოფელ კოლორიტს. იგი ასახავდა კოვბოების ცხოვრებას დინამიურ სცენებში, — მაგრამ 1898 წ. რემინგტონის შემოქმედებაში მოხდა გარდატეხა. მას გული გაუტყდა დასავლეთზე, რომელიც სწრაფად იცვლებოდა ცივილიზაციის შემოჭრის შედეგად. მისი სიცოცხლით სავსე ოპტიმისტური, კოვბოების ცხოვრების ამსახველი სურათები შეიცვალა ნოსტალგიური მოგონებებით და ოცნებებით წარსულზე, რომლებსაც გამოსახავდა უფრო მშვიდ გარემოცვაში. ამ განწყობილების

გადმოსაცემად იგი ლამის კეიჯებზე იყენებდა, „კოვბოის იავნანაში“ მხატვარი შავი და ყავისფერი ფერების შეხამებით მწვანე ფონზე აღწევს ფერადოვან გამას. მუქ ფონზე მომწვანო ოქროსფერი შუქის ციმციმი კი ხელს უწყობს კოვბოის მელანქოლიური განწყობილების გამოცემას.

ჩარლზ მარიონ რასელი XX საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ამერიკელი მხატვარია, რომელიც თავის სურათებში გამოგვცემს „ველური დასავლეთის“ ცხოვრების ამსახველ სცენებს. იგი განსაკუთრებით ხშირად გამოსახავს ინდიელთა ცხოვრებას, რომელთა წეს-ჩვეულებას და ადათებს კარგად იცნობდა, ვინაიდან 1887-1888 წ. ცხოვრობდა კანადის ინდიელთა ტომებში. რასელს აღიარება მოუტანა თხრობითი ხასიათის ხიუტეტურმა სცენებმა. იგი ჩვეულებრივად გამოსახავდა ადამიანებს მოქმედებაში, უფრო ხშირად ნადირობისა და ბრძოლის დროს. სურათში „სამხედრო რაზმი“ თვით ბრძოლა არ არის ნაჩვენები, მაგრამ ომისწინა დაძაბული სიტუაცია აღბეჭდილია მეომრების სახეებზე.

გამოცენას დიდ ღირსებას ანიჭებდა თანამედროვე ამერიკელი მხატვრის ენდრიუ უაიესის ნამუშევრები. იგი ეკუთვნის იმ ბედნიერ მხატვართა რიცხვს, რომლებმაც თავისი შემოქმედების პირველი ნაბიჯებიდან უდიდესი აღიარება მოიპოვეს. თავისი ხელოვნებით ენდრიუ უაიესი პასუხობდა ხალხის სულიერ მისწრაფებას და ყველაზე ნათელ გმედებს. უაიესი თავისი შემოქმედებით დაკავშირებულია სოფელთან, მის ტყესა და ველთან. უაიესის ხუნება შორს არის პოეტების მიერ აღწერილი ხილამაზისაგან — ხშირად ეს არის ველი, უდაბნო, ქვიშიანი ნაპირი, ცელიანი ბუჩქნარი, რომელსაც იგი დიდი პოეტურობით გამოგვცემს. უაიესის ადამიანი არც რაინდია და არც კეთილშობილი გმირი. ეს არის მოზუცო, გაუპარსავი, დაღლილი გამვლელი, ან გამხდარი, ავადმყოფი ქალი. იგი იშვიათად გამოსახავს თავის აკვარელებში ცოცხალ ხელშეუხებელ ახალგაზრდობას. მისი ხალხი ვინც არ უნდა იყოს ისინი, ბუნებრივადაა გამოსახული ყოველგვარი პოზების გარეშე, გამსჭვალული ნაკუთარი ღირსებებით და კეთილშობილებით. უაიესი უოველ-ავის დიდი უშუალოებით გამოგვცემს ცალკეულ დეტალს: ბალახს, ქვას, ხეობის დაგრესილ ფესვებს, პოულობს რა ხილიადესა და მარმონიას იქ, სადაც მას არავინ არ ეძებს. უაიესი ამავე დროს შესანიშნავი პორტრეტისტი, ბოლო ხანებში იგი ხშირად წერს პორტრეტებს.

„ბრენდიუაინის ველი“ მისი ადრეული ნამუშევარია. ეს არის ადგილი, სადაც იგი მშვიდად ცხოვრობს და მუშაობს. „დღის სინათლე“ შესრულებულია ტემპერით. ოდნავ შესამჩნევი ნიავი არხევს გამჭვირვალე ფარდას, რომელიც ფარავს სიცოცხლით სავსე, მძინარე ქალიშვილის შიშველ სხეულს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჰამერმა თავისი კოლეჯის სურათები ღოს-ანუელესის სახვითი ხელოვნების მუზეუმს უანდერძა, ნახატები კი ვაშინგტონის ეროვნულ გალერეას.

ამ კოლეჯის გარდა ჰამერს შეგროვილი აქვს ონორე დომიეს ნახატების მეტად საინტერესო კოლექცია, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობს და ბოლოს ღოს-ანუელესის ფრენხის და არმანდ ჰამერის სახვითი ხელოვნების მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციას დაამშვენებს.

ჰამერის კოლეჯის სურათების გამოცენა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ჩვენი ქალაქისათვის. ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოტანილი გამოცენისადმი საბჭოთა მაუზუმების უდიდესი ინტერესი დამადასტურებელია იმისა, რომ ხალხთა შორის ურთიერთგაგებისათვის, მშვიდობის შენარჩუნებისათვის მთელს მსოფლიოში აუცილებელია კულტურული ღირებულებათა გაცვლა.





წერის  
კავშირები

### შეცდომის გასწორება

ტორაყის ნაწილში 214-ე გვერდის პირველი-ორი სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: „რჩი, დაეინახე, თვალეზზე ხელები აეფარებინა და ტუჩებს აცმაკუნებდა. უფრო მიეხვდი, ვიდრე გაეიგონე: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმინ“.

215-ე გვერდის პირველი-ორი სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: „შაბლი?“ — რითაც მაგრძნობინა, რომ მისი შეხსიერება ბევრად ჯობდა ზოგიერთი პროფესორისას, ღვიხოების დიდი მოყვარული არ განლაგართ“.

## «САУНДЖЕ» ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ

На грузинском языке


1987 № 4

СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ  
ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ  
ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ



დანიელ რიჯვანი ნაიტი. ჩაის სმა შუაღლისას

6 / 137



საქართველოს  
მუზეუმი

მორის და ვლამინარი. ზაფხულის თაიგული

76132